avtoris stili daculia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

თემურ ცქიტიშვილი

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

მზია ლეკვეიშვილი პროფესორ-ემერიტუსი
მერაბ ტურავა პროფესორი

ნაშრომი წარმოდგენილია სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი, 2014

ს ა რ ჩ ე ვ ი

შემოკლებანი 7
შესავალი 9

I. თავი. დელიქტების კლასიფიკაცია 13
1. მოკლე ისტორიული ექსკურსი 13
2. შედეგიანი და შედეგგარეშე დანაშაულები და მათი მიმართება საფრთხის დელიქტებთან 16

II. თავი. აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტები 21
1. ტერმინი „აბსტრაქტული საფრთხე“ 21
2. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ზოგადი დახასიათება 24
3. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების მოძღვრების განვითარების ისტორია 27
3.1. გენერალური საფრთხის თეორია 27
3.2. აბსტრაქტული საფრთხის თეორია 28
3.3. კ. ბინდინგის თეორია 30
3.4. პ. კრამერის თეორია 34
3.5. აბსტრაქტული საფრთხე, როგორც წინდახედულების დაცვის ვალდებულების ობიექტური დარღვევა 35
3.6. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი, როგორც წინდახედულების ვალდებულების სუბიექტური დარღვევა 38
3.7 დუალისტური თეორია 39
3.8. სამართლებრივი საზოგადოების ნდობის ხელყოფის თეორია 41
3.9. უ. ჰინდჰოიზერის თეორია 45
3.10. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი, როგორც შედეგიანი დელიქტი 46
4. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების კლასიფიკაცია 51
4.1. სუსტი და ძლიერი აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტები 51
4.2. კლასიკური აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები 52
4.3. მასობრივი ხასიათის ანუ საყოველთაო საშიშროების აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები 52
4.4. აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტები 56
4.5. შეკვეცილი შემადგენლობანი, როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები 60
4.6. დენადი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი 62
4.7. მიზნით დაფუძნებული აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები 64
4.8. მოტივით დაფუძნებული აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი 69
5. თრობის შედეგად ბრალუუნარობის მდგომარეობაში თავის ჩაყენება, როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი? 75
5.1. Actio libera in causa თუ პასუხისმგებლობა საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელებისთვის? 75
5.2. Omissio libera in causa თუ პასუხისმგებლობა საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელებისთვის? 85
6. შეჯამება 88

III. თავი. კონკრეტული საფრთხის დელიქტები 90
1. საფრთხის ცნება 90
2. საფრთხის სუბიექტური და ობიექტური თეორიები 94
2.1. საფრთხის სუბიექტური თეორია 94
2.2. საფრთხის ობიექტური თეორია 95
3. კონკრეტული საფრთხის დელიქტების 96
4. დანაშაულებრივი ქმედებით შექმნილი საშიშროების ზონაში სამართლებრივი სიკეთის მოხვედრის აუცილებლობა 99
5. ქმედების საშიშროების ობიექტური ex ante შეფასება 104
6. ქმედების საშიშროება, როგორც ზღვარგამყოფი შეფასება 106
7. ქმედების საშიშროების ობიექტური ex post შეფასება 108
8. დანაშაულებრივი შედეგი კონკრეტული საფრთხის დელიქტებში 110
8.1. დანაშაულებრივი შედეგის ცნება 110
8.2. კონკრეტული საფრთხე, როგორც დანაშაულებრივი შედეგი 114
9. საფრთხის შემქმნელ დელიქტებში დანაშაულის დამთავრების მომენტის განსაზღვა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა 116
10. მიზეზობრივი კავშირის საკითხი კონკრეტული საფრთხის დელიქტებში 120
10.1. ზოგადი შესავალი 120
10.2. მიზეზობრიობის დადგენა ეკვივალენტური თეორიის მიხედვით 122
10.3. მიზეზობრივი კავშირის დადგენა ადეკვატურობის თეორიის მიხედვით 124
10.4. კანონზომიერ პირობათა თეორია 125
10.5. რელევანტობის თეორია 126
11. შეჯამება 129

IV. თავი. განზრახვა და გაუფრთხილებლობა საფრთხის დელიქტებში 131
1. პირდაპირი განზრახვა საფრთხის დელიქტებში 131
2. ევენტუალური განზრახვა საფრთხის დელიქტებში 132
3. ალტერნატიული განზრახვა და საფრთხის დელიქტები 136
4. თვითმედოვნება საფრთხის დელიქტებში 140
5. დაუდევრობა საფრთხის დელიქტებში 143
6. შეჯამება 144

V. თავი. სამართლებრივი სიკეთის დაცვა, როგორც საფრთხის შემქმნელი დელიქტების დასჯადობის ლეგიტიმაციის საფუძველი 146
1. სამართლებრივი სიკეთის ცნება 146
2. „დანაშაულის ობიექტი“ თუ „სამართლებრივი დაცვის სიკეთე“? 149
3. სამართლებრივ სიკეთეთა კლასიფიკაცია 153
3.1. ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე 153
3.2. ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე 154
4. ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის დაცვა და საფრთხის შემქმნელი დელიქტები 155
5. სამართლებრივი სიკეთე, როგორც ნორმით დაცული რეალური მდგომარეობა 157
6. სამართლებრივი სიკეთე, როგორც იდეალური ღირებულება 162
7. ზნეობა, როგორც სისხლის სამართლით დაცული სიკეთე 165

8. ღირებულების, სამართლებრივი სიკეთის და უფლების ურთიერთმიმართება 172
9. სამართლებრივი სიკეთისა და ქმედების ობიექტის ურთიერთგამიჯვნა საფრთხის დელიქტებში 182
10. სამართლებრივი სიკეთის დაცვა, როგორც საფრთხის დელიქტების დასჯადობის ლეგიტიმაციის საფუძველი 184
11. შეჯამება 191

VI. თავი. დანაშაულის მცდელობისა და საფრთხის შემქმნელი დელიქტების ურთიერთმიმართება 192
1. დანაშაულის მცდელობისა და საფრთხის შემქმნელი დელიქტების თანაფარდობა ობიექტური მხარის მიხედვით 192
2. დანაშაულის მცდელობისა და საფრთხის შემქმნელი დელიქტების ურთიერთმიმართება სუბიექტური მხარის მიხედვით 199
2.1. საკითხის გადაწყვეტა ქართული კანონმდებლობისა და დოგმატიკის მიხედვით 199
2.2. საკითხის გადაწყვეტა უცხოური კანონმდებლობისა და დოგმატიკის მიხედვით 206
3. ევენტუალური განზრახვის რაობა და მისი მნიშვნელობა არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობის დასასაბუთებლად 214
4. სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისა და სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნის განზრახვის ურთიერთმიმართება 222
5. შეჯამება 230

VII. თავი. მცდელობა შედეგით კვალიფიცირებულ საფრთხის დელიქტებში 232
1. შედეგით კვალიფიცირებული საფრთხის შემქმნელი დელიქტების ზოგადი მიმოხილვა 232
2. შედეგით კვალიფიცირებული საფრთხის დელიქტების მცდელობა 239
3. „შედეგით კვალიფიცირებული მცდელობა“ საფრთხის შემქმნელ დელიქტებში 242
4. შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის მცდელობაზე არსებული თეორიები 251
4.1. ლეტალურობის თეორია 251
4.2. ქმედების საშიშროების თეორია 253
4.3. გამიჯვნის თეორია 254
5. შეჯამება 256

VIII. თავი. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, ქმედითი მონანიება და საფრთხის შემქმნელი დელიქტები 258
1. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა საფრთხის დელიქტებში 258
2. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საფრთხის შემქმნელი დელიქტის გამო 261
3. შეჯამება 264

IX. თავი. თანამონაწილეობა საფრთხის დელიქტებში 266
1. თანამონაწილეობის დასჯადობის ობიექტური საფუძველი 266
2. თანამონაწილეობა საფრთხის დელიქტებში 268
3. თანამონაწილეობა საკუთარი ხელით ჩასადენ საფრთხის დელიქტებში 272
4. უშედეგო დახმარება და წაქეზება, როგორც საფრთხის შემქმნელი დელიქტი 273
5. თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე და თანამონაწილეთა დასჯადობა თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ საფრთხის დელიქტებში 277
6. შეჯამება 286

X. თავი. მართლწინააღმდეგობა საფრთხის დელიქტებში 287
1. მართლწინააღმდეგობის ცნება 287
2. მართლწინააღმდეგობაზე მითითება, როგორც ქმედების შემადგენლობის ნიშანი საფრთხის დელიქტებში 294
3. მართლწინააღმდეგობა საფრთხის შემქმნელ დელიქტებში 297
4. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები საფრთხის დელიქტებში 300
4.1. აუცილებელი მოგერიება 300
4.2. უკიდურესი აუცილებლობა 301
4.3. საკუთარი თავის საფრთხეში ჩაყენება 302
4.4. მოვალეობათა კოლიზია 304
4.5. მართლზომიერი რისკი 308
5. მართლწინააღმდეგობა გაუფრთხილებლობით საფრთხის დელიქტებში 310
6. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა სუბიექტური მხარე 313
7. შეჯამება 319

XI. თავი. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელ დელიქტთა ცალკეული შემადგენლობანი 321
1. ზოგადი შესავალი 321
2. სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება (127-ე მუხ.) 322
2.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით 322
2.2. გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით 325
3. განსაცდელში მიტოვება (128-ე მუხ.) 329
3.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით 329
3.2. გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით 343
4. დაუხმარებლობა (129-ე მუხ.) 345
4.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით 345
4.2. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით 350
5. ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება (130-ე მუხ.) 354
5.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით 354
5.2. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით 356
6. შიდსის შეყრა (131-ე მუხ.) 356
6.1. ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით 356
6.2. გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით 359

7. განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა (132-ე მუხ.) 363
7.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით 363
7.2. გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით 365
8. უკანონო აბორტი (133-ე მუხ.) 365
8.1. აბორტის დასჯადობა საერო და საეკლესიო სამართლის ძეგლების მიხედვით 365
8.2. ნაყოფი, როგორც სიცოცხლის უფლების სუბიექტი 369
8.3. უკანონო აბორტის დასჯადობა თანამედროვე სისხლის სამართალში 374
8.3.1. უკანონო აბორტის დასჯადობა თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალში 374
8.3.2. აბორტის დასჯადობა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით 386
8.3.2.1. ორსულობის შეწყვეტა, როგორც დაუბადებელი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (გერმანიის სსკ-ის 218-ე პარაგრაფი) 386
8.3.2.2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ორსულობის შეწყვეტის დროს (გერმანული სსკ-ის მიხედვით) 389
8.3.2.3. ორსულობის შეწყვეტა და სამართლებრივად თავისუფალი სივრცე – არტურ კაუფმანის კონცეფცია 390
8.4. შეჯამება 391
9. ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება (134-ე მუხ.) 393
9.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით 393
9.2. გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით 396
10. სისხლით ან სისხლის კომპონენტებით უკანონო ვაჭრობა 396
10.1. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით 396
10.2. გერმანული კანონმდებლობის მიხედვით 398
11. ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა 398
11.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით 398
11.2. გერმანული კანონმდებლობის მიხედვით 400
12. გენეტიკური მანიპულაცია 402
12.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით 402
12.2. გერმანული კანონმდებლობის მიხედვით 403
დასკვნა 405
ბიბლიოგრაფია 412

შემოკლებანი

ა.შ. – ასე შემდეგ;

გვ. – გვერდი;

დასახ. ნაშრ. – დასახელებული ნაშრომი;

ე.ი. – ესე იგი;

ე.წ. – ეგრეთ წოდებული;

თბ. – თბილისი;

იხ. – იხილეთ;

მუხ. – მუხლი;

რედ. – გამოცემის რედაქტორი;

სსკ – სისხლის სამართლის კოდექსი;

სსრ – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის;

სუსგ – საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე;

სხვ. – სხვა;

შდრ. – შეადარეთ;

M. – Москва;

C. – Страница;

AT – Allgemeiner Teil;

Aufl. – Auflage;

BGHSt – Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen;

BT – Besonderer Teil;

FG – Festgabe;

FS – Festschrift;

GA – Goltdammer's Archiv für Strafrecht;

Hrsg.- Herausgeber;

JA – Juristische Arbeitsblätter;

JR.- Juristische Rundschau;

Jus – Juristische Schulung;

Jura – Juristische Ausbildung;

JZ – Juristenzeitung;

LK – Leipziger Kommentar;

MüKo – Münchener Kommentar;

NK – NomosKommentar;

NJW – Neue Juristische Wochenschrift;

NStZ – Neue Zeitschrift für Strafrecht;

Rn. – Randnummer;

S. – Seite;

SK – Systematischer Kommentar zum Strafgesetzbuch;

StGB – Strafgesetzbuch;

ZStW – Zeitschrift für die gesamte Strafrechtwissenschaft

შესავალი

კვლევის აქტუალობა. სისხლის სამართლის მეცნიერებაში მიღებულია დელიქტების კლასიფიკაცია ხელყოფის და საფრთხის შემქმნელ, შედეგიან და შედეგგარეშე დელიქტებად. იმის გარკვევას, თუ რომელ დელიქტთა რიცხვს მიეკუთვნება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ესა თუ ის ქმედება, არა მხოლოდ თეორიული, არამედ უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაცია შეუძლებელია აღნიშნული საკითხის გათვალისწინების გარეშე.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში საფრთხის შემქმნელ დელიქტებზე არაერთგვაროვანი მოსაზრებაა გამოთქმული. ხშირად, ავტორთა ნაწილი კონკრეტული საფრთხის დელიქტად განიხილავს ქმედებას, რომელიც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია. დაშვებულ მცდარ დასკვნებს განაპირობებს ის, რომ არ ხდება შესაბამისი ნორმის მიზნის გათვალისწინება და ნორმის ტელეოლოგიური განმარტება. ნორმის მხოლოდ სიტყვა-სიტყვითი განმარტების საფუძველზე შეუძლებელია აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის გამიჯვნა კონკრეტული საფრთხის დელიქტისგან.

სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა შეიძლება გულისხმობდეს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას ან მისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეუძლებელი იყოს იმის თქმა, რომ საქმე გვაქვს ხელყოფის ან კონკრეტული საფრთხის დელიქტთან. ზოგჯერ კანონმდებელი საფრთხის შემქმნელი დელიქტის შემადგენლობას პრაქტიკული მიზანშეწონილობიდან გამომდინარე ქმნის და უადვილებს პრაქტიკოს მუშაკს ქმედების კვალიფიკაციას. აღნიშნული კი იმაში გამოიხატება, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ნორმის შემფარდებელს არ უწევს მიზეზობრიობის დადგენა ქმედებასა და შექმნილ საფრთხეს შორის. იმისთვის, რომ ქმედება სწორად დაკვალიფიცირდეს, რასაკვირველია, ყურადღება უნდა მიექცეს ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო აღწერილობას, მაგრამ, ქმედების სწორი კვალიფიკაციისთვის მხოლოდ ეს ვერ გახდება საკმარისი და ერთადერთი კრიტერიუმი.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ქართული და გერმანული სისხლის სამართლის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტების სიღრმისეული გამოკვლევის პირველი ცდაა, რაც საკვლევი თემის აქტუალობაზე მიუთითებს.

საკვლევი თემის მრავალასპექტიანობიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო ყველა საკითხის ამომწურავი განხილვა, მაგრამ ნაშრომში გადმოცემულია პრინციპული დებულებები დასმულ საკითხთა გარშემო, რაც საშუალებას იძლევა, საკითხით დაინტერესებულ პირს შეუქმნას სწორი წარმოდგენა საფრთხის შემქმნელ დელიქტებზე და პრაქტიკოს მუშაკებს დაეხმაროს ქმედების კვალიფიკაციის დროს წამოჭრილი ზოგიერთი რთული საკითხის გადაწყვეტაში.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ სიახლეებზე შეიძლება შემდეგი აღინიშნოს:

– ნაშრომში საფუძვლიანად არის განხილული აბსტრაქტული და

კონკრეტული საფრთხის დელიქტები. მოცემულია აღნიშნული დელიქტების კლასიფიკაცია და ის კრიტერიუმები, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს მათი გამიჯვნა.

– იურიდიულ ლიტერატურაში და უცხოურ სასამართლო პრაქტიკაში არაერთგვაროვანი მოსაზრება გამოითქვა საფრთხის დელიქტებში ქმედების საშიშროების შეფასების მასშტაბთან დაკავშირებით. მოცემულ ნაშრომში აღნიშნული საკითხი განხილულია ცალკეულ შეხედულებათა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე და ასევე წარმოდგენილია ავტორისეული მოსაზრებაც.
– ახლებურად იქნა განხილული აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების პრობლემა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა გაგვეკეთებინა მეტად საინტერესო დასკვნები აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში დანაშაულის განხორციელების ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით. დღემდე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებზე გაბატონებული მოსაზრება მხოლოდ იმის შესაძლებლობას გვაძლევდა, რომ დანაშაულის განხორციელების ადგილად ამ ტიპის დელიქტებში მხოლოდ ქმედების განხორციელების ადგილი მიჩნეულიყო, მაგრამ ნაშრომში წარმოდგენილი დებულება პრობლემის განსხვავებულად გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა.
– სისხლის სამართლის ლიტერატურაში ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებებია გამოთქმული საფრთხის დელიქტების სუბიექტურ შემადგენლობასა და მის მიმართებაზე ხელყოფის დანაშაულის მცდელობასთან. საკიხის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე წარმოჩენილია ის მიზეზები, რაც საფუძვლად უდევს ცალკეული მეცნიერების მიერ საკითხის არასწორ გადაწყვეტას. ამ მხრივ აღსანიშნავია, მეცნიერთა მიერ, ერთი მხრივ, იმის მტკიცება, რომ გაუფრთხილებლობის დროს დამნაშავე არ მოქმედებს კონკრეტული საფრთხის შექმნის განზრახვით, ხოლო მეორე მხრივ, კონკრეტული საფრთხის დელიქტების განზრახ განხორციელებისას ცდილობენ დაასაბუთონ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასთან დაკავშირებით დამნაშავის გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება.
– ნაშრომში განხილულია საფრთხის შემქმნელი დელიქტების მცდელობის საკითხი. სათანადო ყურადღებაა გამახვილებული შედეგით კვალიფიცირებულ საფრთხის დელიქტებში მცდელობის პრობლემაზე. საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული თეორიების ანალიზის შემდეგ ავტორი იძლევა რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება მაშინ, როცა საფრთხის შემქმნელი დელიქტის მცდელობას მძიმე შედეგი მოჰყვება და დასაბუთებულია საკითხის ავტორისეული გადაწყვეტის უპირატესობაც. აღნიშნული პრობლემა მჭიდრო კავშირშია ქმედების კვალიფიკაციასა და სასჯელის დანიშვნასთან, რაც საკითხის განსაკუთრებულ პრაქტიკულ მნიშვნელობაზე მეტყველებს.
– დისერტაციაში დასაბუთებულია საფრთხის დელიქტებში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა და განხილულია ხელყოფის დელიქტებში ნებაყოფლობით ხელის აღების თანაფარდობა საფრთხის შემქმნელ დელიქტებთან.
– სადისერტაციო თემის დამუშავებისას ავტორი შეეცადა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტების კვ-

ლევისთვის სისტემური სახე მიეცა. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ განხილვის გარეშე არ არის დატოვებული სისხლის სამართლის მეცნიერების ზოგადი თეორიის ისეთი ფუნდამენტური საკითხები, როგორებიცაა მართლწინააღმდეგობის და დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ეს პრობლემები საფრთხის შემქმნელ დელიქტებთან მიმართებით არის გაანალიზებული და არა ზოგადად. ასეთი სისტემური კვლევა მით უფრო გამართლებულად უნდა ჩაითვალოს, თუ გავითავალისწინებთ იმას, რომ საფრთხის შემქმნელი დელიქტების პრობლემას საქართველოში პირველად მიეძღვნა სადისერტაციო ნაშრომი. საფრთხის შემქმნელ დელიქტებში მართლწინააღმდეგობის საკითხის შესწავლისას ყურადღება იქნა გამახვილებული აბსტრაქტული, კონკრეტული, განზრახი და გაუფრთხილებლობითი საფრთხის დელიქტებში ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენის თავისებურებაზე, კლასიკურ და ბლანკეტურ დელიქტებში ქმედების შემადგენლობის და მართლწინააღმდეგობის ურთიერთმიმართებაზე. რაც შეეხება საფრთხის შემქმნელ დელიქტებში თანამონაწილეობის დასჯადობის საკითხის ანალიზს, ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი კონცეფციით დასჯადი უნდა იყოს არა მხოლოდ საფრთხის დელიქტებში თანამონაწილეობა, არამედ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უნდა იწვევდეს უშედეგო დახმარება, როგორც საფრთხის შემქმნელი დელიქტი. ნაშრომში განხილულია მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ საფრთხის დელიქტებში თანამონაწილეობის საკითხი და სათანადო არგუმენტების მოშველიებით დასაბუთებულია განზრახი საფრთხის შემქმნელი ქმედებით გამოწვეული გაუფრთხილებლობითი შედეგისთვის ამსრულებლის და თანამონაწილის, როგორც დამოუკიდებელი ამსრულებლების დასჯადობის გამართლება. და ბოლოს, ნაშრომში შედარებითი სამართლებრივი კვლევის საფუძველზე განხილულია არა მხოლოდ საფრთხის შემქმნელ დელიქტებთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური პრობლემები, არამედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი ცალეული შემადგენლობანი. ქართული და გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის შედეგად ავტორი იძლევა ქართველი კანონმდებლებისთვის საგულისხმო რეკომენდაციებს კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია: წარმოაჩინოს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტების ბუნება, ის თავისებურებანი, რაც განასხვავებს საფრთხის დელიქტებს ხელყოფის დელიქტებისგან; შეიმუშავოს ის კრიტერიუმები, რომლებიც თეორეტიკოს და პრაქტიკოს იურისტებს დაეხმარება აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის დელიქტების გამიჯვნაში; წარმოადგინოს რეკომენდაციები საფრთხის შემქმნელი დელიქტების განხორციელებისას ქმედების სწორად კვალიფიკაციის მიზნით. განსაკუთრებით ეს შეეხება შედეგით კვალიფიცირებულ საფრთხის შემქმნელ დელიქტებში მცდელობისა და თანამონაწილეობის საკითხებს; კვლევის მიზანია აგრეთვე ქართული და გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობის შე-

დარებითი ანალიზის საფუძველზე საკანონმდებლო წინადადებათა შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი. კვლევის დროს გამოყენებულია ისტორიული, ფორმალურ-ლოგიკური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. ნაშრომი შედგება შესავლის, XI თავის და დასკვნისგან. ნაშრომის მოცულობა შეადგენს 439 გვერდს. აქედან გამოყენებული წყაროების ნუსხა 28 გვერდს მოიცავს, რომელიც ნაშრომს თან ერთვის.

I. თავი

დელიქტების კლასიფიკაცია

1. მოკლე ისტორიული ექსკურსი

თავდაპირველად, სამართლის განვითარების მეტად ადრეულ პერიოდში, როდესაც ყურადღება არ ექცეოდა დამნაშავის მოქმედების შინაგან მხარეს, დამნაშავეს იმ ქმედებისთვის, რომელიც გარკვეული შედეგისკენ იყო მიმართული, მაგრამ ვერ აღწევდა სასურველ შედეგს, პასუხისმგებლობა, უმთავრესად, დამთავრებული დანაშაულისთვის ეკისრებოდა. განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი სამართლისათვის უცხო იყო დაუმთავრებელი დანაშაულის ცნება და ის ქმედება, რომელიც არ იწვევდა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას, ისჯებოდა როგორც დამთავრებული დანაშაული.

რომის სამართალშიც, იმ ნორმებთან ერთად, რომლებიც ზიანის მიყენების დასჯადობას ითვალისწინებენ, გვხვდება ისეთი ნორმები, რომლებიც სჯიან თავისთავად მოქმედებას, მიმართულს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე. ასე მაგალითად, დანაშაულად ითვლება მოკვლის მიზნით იარაღით ხელში სიარული, ამავე მიზნით საწამლავის შეძენა, დამზადება, შენახვა და ა. შ. მაგრამ, ვინაიდან რომის სამართალი მცდელობის ცნებას არ იცნობდა, ყველა ეს მოქმედება ისჯებოდა არა როგორც დაუმთავრებელი, არამედ როგორც დამთავრებული დანაშაული, როგორც delictum sui generis.[1]

ქართული ფეოდალური სამართალიც არ იცნობდა დანაშაულის მცდელობის ზოგად ნორმებს და ისევე როგორც რომის და დასავლეთ ევროპის ფეოდალურ სამართალში, აქაც გვხვდება ე. წ. „შეკვეცილი შემადგენლობანი“, რომლებიც საფრთხის შემქმნელ დელიქტებს წარმოადგენენ.[2] აღნიშნული ხასიათის ნორმებს ვხვდებით ბექა-აღბუღას სამართალში. კერძოდ, მე-13 მუხლში საუბარია პასუხისმგებლობაზე, თუ მკვლელობის მიზნით განხორციელებულ თავდასხმას ადამიანის სიცოცხლის მოსპობა არ მოჰყვა: „თუ კაცი არ მოკვდეს ზედა-დასხმასა, დედაწულთა აფარვისათვის, დედა-წულთა შერცხვენისათვის საპატიოს კაცის სისხლისა ნახევარი დაუურვოს“.[3] წარმოდგენილ ნორმაში პასუხისმგებლობა რომ არა მკვლელობის მცდელობისთვისაა გათვალისწინებული, არამედ დამთავრებული დანაშაულისთვის, ამაზე მიუთითებენ სიტყვები: „დედა-წულთა აფარვისათვის, დედა-წულთა შერცხვენისათვის“. აღნიშნული სიტყვები მიუთითებენ იმაზე, რომ მე-13 მუხლში აღწერილი ქმედება ისჯებოდა როგორც ოჯახის ღირსების შეურაცხმყოფელი დანაშაული და არა როგორც მკვლელობის მცდელობა.[4]

როგორც ზემოთ აღინიშნა, ძველი ქართული სამართალი დანაშაუ-

---

[1] იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 303-304; *დავითაშვილი გ.,* დანაშაულის მცდელობის საკითხი ქართულ ჩვეულებით სამართალში, გიორგი ნადარეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, თბ., 2010, გვ. 283.

[2] იხ. *წერეთელი თ.,* იქვე, გვ. 313.

[3] იხ. *დოლიძე ი.,* ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 291.

[4] იხ. *წერეთელი თ.,* იქვე, გვ. 314-315.

ლის მცდელობის ცნებას, ზოგადად, არ აღიარებდა, მაგრამ მხოლოდ ერთ დანაშაულთან, კერძოდ, მკვლელობასთან მიმართებით უშვებდა მცდელობის, როგორც დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობას.[5] მაგალითად, ბაგრატ კურაპალატის სამართლის 134-ე მუხლში ვკითხულობთ: „თუ გაემართოს და იგი კაცი ღმერთმან მოარჩინოს, ექუსი ათასი თეთრი დაუურვოს **სიკუდილისა ცდისათვის**, სამი ათასი შეეყრების ცოდვისათვის“.[6] ქართული სამართლის ძეგლების მსგავსად მხოლოდ მკვლელობის მცდელობას იცნობდა ქართული ჩვეულებითი სამართალიც (უშგულში, ქვემო სვანეთში, ხევსურეთში).[7]

სისხლის სამართლის კოდექსებში თავდაპირველად მიღებული კონსტრუქცია დანაშაულის შემადგენლობისა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, როგორც საერთო წესი, ე.წ. შედეგიანი დანაშაულის შემადგენლობის სახით ყალიბდებოდა. სამართლის განვითარების ადრეულ ეტაპზე მეცნიერები საფრთხის ცნებას მხოლოდ მცდელობის ცნების დადგენისთვის იყენებდნენ. პირველი, ვინც დააყენა საკითხი საფრთხის შემქმნელი დამოუკიდებელი ტიპის დანაშაულებრივი შემადგენლობის არსებობის შესახებ, ეს იყო მე-19 საუკუნის გერმანელი მეცნიერი *კარლ ბინდინგი*.

თანამედროვე პირობებში, როცა ქმედების სწორად შესაფასებლად თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება ქმედების ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებს, დასჯადია არა მხოლოდ დამთავრებული დანაშაული, არამედ დანაშაულის მცდელობაც. მიუხედავად ამისა, საფრთხის შემქმნელ დელიქტთა დასჯადობის აუცილებლობა მაინც არსებობს.

დანაშაულის მცდელობის მოძღვრების ჩამოყალიბებას და განვითარებას საფრთხის დელიქტების შემადგენლობათა არსებობისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ასახვისთვის ხელი არ შეუშლია. თუმცა, ჩნდება კითხვა: მაშინ, როდესაც დასჯადია დანაშაულის მცდელობა, რა აუცილებლობით არის განპირობებული საფრთხის შემქმნელ დელიქტთა შემადგენლობის გათვალისწინება სისხლის სამართლის კანონმდებლობით?

კითხვაზე, თუ რატომ იქნა შემოტანილი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში საფრთხის დელიქტები და რა საჭიროება უდევს ამას საფუძვლად, *თ. წერეთელი* შემდეგნაირად პასუხობს: „ტექნიკის მძლავრ განვითარებასთან, პრაქტიკული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ახალი ძალების გამოყენებასთან, რომელთაც აქვთ მოქმედების ფართო დიაპაზონი, დაკავშირებულია არსებული საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ინტერესებისათვის საშიშროების ახალი წყაროების გაჩენა. მავნე შედეგების დიდი მოცულობა და მრავალფეროვნება, მათი კონკრეტიზაციის სირთულე და ზოგიერთი ინტერესების განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომლებიც შესაძლოა მოხვდნენ საშიშროების ზონაში, კანონმდებელს აიძულებს, სიმძიმის ცენტრი გადაიტანოს მავნე შედეგიდან უფრო ადრინდელ საფეხურზე, როცა პირის მოქმედებით შექმნილი იყო მხოლოდ შესაძლებლობა ზიანის მიყენების, ანდა უფრო ადრინდელზე, როცა მოხდა თვითონ მოქმედება, რომელსაც ჰქონდა სა-

---

[5] იხ. *დავითაშვილი გ.*, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, გვ. 172-173.

[6] იხ. *დოლიძე ი.*, იქვე, გვ. 339.

[7] იხ. *დავითაშვილი გ.*, იქვე, გვ. 176-177; 179-180.

შიში თვისებები.“[8]

საფრთხის შემქმნელი დელიქტების შექმნა საკანონმდებლო პოლიტიკით შეიძლება იყოს გამოწვეული. სახელდობრ, დანაშაულის დამთავრების მომენტის უფრო ადრინდელ სტადიაზე გადატანით კანონმდებელს სურს უფრო მკაცრად დასაჯოს ესა თუ ის ქმედება.[9] ეს ყოველივე დამოკიდებულია სამართლით დაცული სიკეთის ღირებულებაზე, იმაზე, თუ რა საფეხურზე იმყოფება დასაცავი სამართლებრივი სიკეთე სამართლებრივ სიკეთეთა იერარქიულ საფეხურზე.

კანონმდებელი საფრთხის დელიქტების საკანონმდებლო კონსტრუქციას მაშინ მიმართავს, როცა ამა თუ იმ სიკეთეს განსაკუთრებული სამართლებრივი დაცვის ღირსად მიიჩნევს.[10] მაგალითად, ადამიანის სიცოცხლე უფრო მეტად მნიშვნელოვანი სიკეთეა, ვიდრე საკუთრება. ამიტომაც არის, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ადამიანის სიცოცხლის ხელყოფისთვის მეტი სასჯელია გათვალისწინებული, ვიდრე საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის და, შესაბამისად, როდესაც ადამიანის სიცოცხლეს ეხება საქმე, კანონმდებელს დანაშაულის დამთავრების მომენტი უფრო ადრინდელ სტადიაზე აქვს გადმოტანილი და სიცოცხლის დაცვას იწყებს მისთვის საფრთხის შექმნის მომენტიდან. მართალია, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავშიც ვხვდებით საფრთხის შემქმნელ დელიქტს ყაჩაღობის სახით, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კანონმდებელმა დანაშაულის დამთავრების მომენტი იმიტომ გადმოსწია ადრეულ სტადიაზე და დანაშაული დამთავრებულად თავდასხმის მომენტში იმიტომ გამოაცხადა, რომ ყაჩაღობის შემადგენლობის ძირითად ელემენტს წარმოადგენს თავდასხმის განხორციელება ისეთი ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენებით, რომელიც ადამანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიშია.

გარდა იმისა, რომ საფრთხის შემქმნელი დელიქტების შემადგენლობათა ასახვა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, ხელს უწყობს მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეთა ეფექტურ დაცვას, იგი სხვა აუცილებლობითაც არის გამართლებული. დანაშაულის მცდელობა, წინამდებარე ტექსტში წარმოდგენილი თვალსაზრისით, მხოლოდ პირდაპირი განზრახვით განხორციელებულ ქმედებას გულისხმობს. მაშასადამე, შეუძლებელია დანაშაულის მცდელობა ევენტუალური განზრახვით და გაუფრთხილებლობით. მაშინ, როცა ქმედება არაპირდაპირი განზრახვით და გაუფრთხილებლობითაა ჩადენილი და იგი საფრთხეს უქმნის სამართლებრივ სიკეთეს, შეუძლებელია დამნაშავე დანაშაულის მცდელობისთვის დაისაჯოს, მაგრამ აღნიშნულ ხარვეზს საფრთხის შემქმნელი დელიქტის საკანონმდებლო შემადგენლობის არსებობა ავსებს.

---

[8] იხ. *Церетели Т.В.,* Деликты создания опасности, «Советское государство и право», 1970, №8, с. 56.

[9] იხ. *წერეთელი თ.,* დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961, გვ. 53.

[10] იხ. *Wohlers W.,* Deliktstypen des Präventionsstrafrechts-zur Dogmatik „moderner Gefährdungsdelikte“, Berlin, 2000, S. 282.

2. შედეგიანი და შედეგგარეშე დანაშაულები და მათი მიმართება საფრთხის დელიქტებთან

იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია დელიქტების კლასიფიკაცია ხელყოფის,[11] საფრთხის შემქმნელ, შედეგიან და შედეგგარეშე დელიქტებად. აღნიშნული დაყოფა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად გულისხმობს სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში აღწერილი ქმედების შემადგენლობა კონსტიტუციურ ნიშნად სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას ან გარკვეული შედეგის დადგომას. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოცემულია ისეთი შემადგენლობანი, რომლის აუცილებელ ელემენტს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, განსაზღვრული შედეგის დადგომა წარმოადგენს და მათ ხელყოფის, იგივე შედეგიანი ანუ ე. წ. მატერიალური დანაშაულები ეწოდებათ. ასეთ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება მკვლელობა (სსკ-ის 108-ე მუხ.), ჯანმრთელობის დაზიანება (სსკ-ის 117-ე მუხ.) და ა. შ.

შედეგიან დანაშაულთა განხორციელების შემთხვევაში მოსამართლემ უნდა დაადგინოს არა მხოლოდ ქმედების განხორციელების ფაქტი, არამედ მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. თუკი განხორციელდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, მაგრამ არ მოჰყვა მას შესაბამისი შედეგი, სახეზე იქნება არა დამთავრებული, არამედ დაუმთავრებელი დანაშაული.

შედეგგარეშე შემადგენლობებში ქმედების ობიექტური შემადგენლობა ამოიწურება მხოლოდ საშიში თვისებების მქონე ქმედების განხორციელებით და კანონმდებელი ასეთი დანაშაულის დამთავრებისთვის არ მოითხოვს განსაზღვრული მავნე შედეგის დადგომას. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად მოსამართლეს ევალება მხოლოდ შესაბამისი ქმედების განხორციელების ფაქტის დადგენა.

საფრთხის შემქმნელი დელიქტები დელიქტების სხვა სახეებისაგან გამოირჩევიან თავიანთი შემადგენლობით. სისხლის სამართალში დელიქტების ყველაზე სრულყოფილ და დასრულებულ ტიპს წარმოადგენს ხელყოფის დელიქტი. აღნიშნულ დელიქტთა შემადგენლობაში სრულყოფილადაა წარმოდგენილი ქმედების შემადგენლობის ობიექტური და სუბიექტური ნიშნები. ხელყოფის დელიქტის განხორციელებისას დამნაშავე ხელყოფს სამართლით დაცულ სიკეთეს. რაც შეეხება დელიქტთა იმ ტიპს, რომლებიც სისხლის სამართლის მეცნიერებაში ცნობილია საფრთხის დელიქტების სახელწოდებით, მათი განხორციელების დროს, დამნაშავე თავისი დანაშაულებრივი ქმედებით სამართლებრივ სიკეთეს მხოლოდ საფრთხეს უქმნის. საფრთხის შემქმნელი დელიქტები თავის მხრივ იყოფა აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის დელიქტებად.[12]

---

[11] ტერმინი „ხელყოფის დელიქტები“ გამოიყენება იმ დელიქტების აღმნიშვნელად, რომელსაც გერმანულ ლიტერატურაში „Verletzungsdelikte“ ეწოდება. იხ. *ცქიტიშვილი თ.*, მცდელობა შედეგით კვალიფიცირებულ საფრთხის დელიქტებში, „სამართლის ჟურნალი“, 2012, №1, გვ. 197. აღნიშნული ტერმინი მოგვიანებით ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში სხვა ავტორებმაც გამოიყენეს. იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი I, დანაშაული, თბ., 2014, გვ. 39.

[12] იხ. *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 62-63, Rn. 161-162.

კონკრეტული საფრთხის დელიქტი ეწოდება საფრთხის შემქმნელი დელიქტის იმ შემადგენლობას, რომლის ობიექტური შემადგენლობის ნიშნებია ქმედება, სამართლებრივი სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნა და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და ქმედებით შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს შორის. აქედან გამომდინარე კონკრეტული საფრთხის დელიქტები მიეკუთვნება შედეგიან დელიქტთა რიცხვს.[13] შედეგად ამ შემთხვევაში მიიჩნევა ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული კონკრეტული საფრთხე. ყველა შედეგიანი დელიქტი არ არის ხელყოფის დელიქტის იდენტური, ვინაიდან ყველა შედეგი, მაგალითად, კონკრეტული საფრთხე, არ გულისხმობს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას.[14] ხელყოფის დელიქტი უფრო ვიწრო ცნებაა ვიდრე ე. წ. მატერიალური ანუ შედეგიანი დელიქტი. ხელყოფის დელიქტის შემადგენლობის ნიშანია არა სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნა, არამედ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, „ტერმინი „ხელყოფა“ არ ნიშნავს სამართლით დაცული ამა თუ იმ ობიექტის მხოლოდ რეალურად დაზიანებას, არამედ გულისხმობს ისეთ მოქმედებასაც, რომელიც ქმნის ასეთი დაზიანების საფრთხეს“.[15]

საფრთხის დელიქტების იმ შემადგენლობაში, რომელიც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების სახელწოდებითაა ცნობილი, კანონმდებელს დანაშაულის დამთავრების მომენტი ადრეულ სტადიაზე აქვს გადმოტანილი და დანაშაულს დამთავრებულად აცხადებს საშიში თვისებების მქონე ქმედების განხორციელების მომენტში. ამ სახის საფრთხის დელიქტთა ქმედების შემადგენლობის ნიშანი არ არის არც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა და არც კონკრეტული საფრთხის შექმნა. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში მოსამართლეს არ ევალება მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და საფრთხეს შორის, ვინაიდან აღნიშნულ დელიქტებში საფრთხე ქმედების შემადგენლობის ნიშანი კი არ არის, არამედ ქმედების შემადგენლობის შექმნის საკანონმდებლო მოტივი. მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და აბსტრაქტულ საფრთხეს შორის თითქმის შეუძლებელია, რამეთუ ადგილი აქვს ქმედების განხორციელებით არა კონკრეტული საფრთხის შექმნას, არამედ საშიში, სახიფათო ქმედების განხორციელებას. კანონმდებელი იმიტომ კრძალავს ასეთი ქმედების განხორციელებას, რომ მათ, ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, შეუძლიათ საფრთხის შექმნა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. ამიტომაც გადმოაქვს კანონმდებელს დანაშაულის დამთავრების მომენტი დანაშაულის მცდელობის მაგვარ სტატიაზე და დანაშაულის დასრულებისათვის არ ელოდება განსაზღვრული შედეგის დადგომას, არამედ საკმარისად აცხადებს, საკუთრივ ქმედების განხორციელების ფაქტს. შესაბამისად,

---

[13] კონკრეტული საფრთხის დელიქტს შედეგიან დელიქტად მიიჩნევს *ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხიც.* იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი I, დანაშაული, თბ., 2014, გვ. 56.

[14] იხ. *Heinrich B.,* იქვე, S. 62, Rn. 161.

[15] იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010, გვ. 11; *მამულაშვილი გ.*, წიგნში: *მამულაშვილი გ.*, (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მე-4 გამოცემა, თბ., 2012, გვ. 161.

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები მიეკუთვნება უშედეგო ანუ ფორმალურ დანაშაულთა რიცხვს.[16]

ქართულ და რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში დავა გამოიწვია საკითხმა იმასთან დაკავშირებით, მიეკუთვნება თუ არა საფრთხის შემქმნელი დელიქტები შედეგიან დანაშაულებს. მეცნიერთა ნაწილმა გამოთქვა შეხედულება, რომ საფრთხის შემქმნელი დელიქტები არ შეიძლება მიეკუთვნოს შედეგიან დანაშაულებს, ვინაიდან აღნიშნული დელიქტების დამთავრებისთვის კანონი მოითხოვს არა მავნე შედეგის რეალურად დადგომას, არამედ მისი დადგომის მხოლოდ შესაძლებლობას და ასეთი ტიპის დელიქტთა განხორციელებისას არ არსებობს შედეგიანი შემადგენლობისთვის აუცილებელი ნიშანი-მავნე შედეგის რეალიზაცია.[17]

როგორც აბსტრაქტულ, ისე კონკრეტულ საფრთხის დელიქტებსაც შედეგგარეშე ანუ ფორმალურ დანაშაულად განიხილავს *გ. ტყეშელიაძე*.[18]

ო. გამყრელიძე დანაშაულებს ყოფს ორ ჯგუფად: შედეგიან და საფრთხის შემქმნელ დელიქტებად, რაც იმას ნიშნავს, რომ *ო. გამყრელიძეც* საფრთხის შემქმნელ დელიქტს შედეგგარეშე დელიქტად მიიჩნევს.[19]

თ. წერეთელი და *მ. უგრეხელიძე* აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს შედეგგარეშე, ხოლო კონკრეტული საფრთხის დელიქტებს, ე.წ. მატერიალურ შემადგენლობებს მიაკუთვნებენ.[20]

კონკრეტული საფრთხის დელიქტების „მატერიალური", „რეზულტატური შემადგენლობისთვის" მიკუთვნებას *თ. წერეთელი* კონკრეტული საფრთხის დელიქტებში ქმედებასა და ქმედებით შექმნილ საფრთხეს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენის აუცილებლობით ხსნიდა: „სწორედ ეს აუცილებლობა, დამტკიცდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირი ადამიანის მოქმედებასა და საფრთხის მდგომარეობას შორის, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დასახელებული შემადგენლობანი „მატერიალურ" ანუ „რეზულტატურ" დანაშაულებს მივაკუთვნოთ.[21]

ნ. კუზნეცოვას შეხედულებით, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის საფრთხე ანუ ხელყოფის რეალური შესაძლებლობა დანაშაულებრივი შედეგის ყველა ნიშანს შეიცავს. მისი აზრით, ამ დებულების დასამტკიცებლად საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ ხელყოფის ობიექტის

---

[16] იხ. *Heinrich B.,* იქვე, S. 63, Rn. 164.

[17] იხ. *Дурманов Н.Д.,* Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, М., 1955, с. 40; *Горелик И.И.,* Квалификация преступлений, опасных для жизни и здоровья, Минск, 1973, с. 15, 38, 147.

[18] იხ. *ტყეშელიაძე გ.,* წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002, გვ. 204, 206.

[19] იხ. *გამყრელიძე ო.,* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამოცემა, თბ., 2008, გვ. 77.

[20] იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 417, 419; *წერეთელი თ.,* საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ., 2006, გვ. 165-166, 168-171; *უგრეხელიძე მ.,* ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 5-4.

[21] იხ. *წერეთელი თ.,* საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ., 2006, გვ. 171.

მდგომარეობა დანაშაულის ჩადენამდე და დანაშაულის ჩადენის შემდეგ.[22]

საფრთხის დელიქტებზე ანალოგიური აზრი აქვს გამოთქმული *ნ. კუდრიავცევსაც*: „საზიანო შედეგის დადგომის შესაძლებლობა ქმედებას არ ემთხვევა, არამედ ის ადამიანური ქცევის განსაზღვრულ რეზულტატს, შედეგს წარმოადგენს“.[23] საბჭოთა სისხლის სამართლის სკოლის ცნობილი წარმომადგენელი *ა. პიონტკოვსკიც* ზოგჯერ საზიანო შედეგის დადგომის შესაძლებლობის დანაშაულებრივ შედეგად განხილვას დასაშვებად მიიჩნევდა.[24]

მართებულად უნდა მივიჩნიოთ იმ ავტორთა შეხედულება, რომლებიც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებისგან განსხვავებით, კონკრეტულ საფრთხის დელიქტებს შედეგიან შემადგენლობად მიიჩნევენ. შეიძლება კონკრეტული საფრთხე არ იყოს სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების და, ზოგადად, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის იდენტური, მაგრამ კონკრეტული საფრთხეც დანაშაულებრივი შედეგია, გარკვეული ცვლილებაა გარესამყაროში, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული საფრთხე ჯერ კიდევ მხოლოდ შესაძლებლობაა განსაზღვრული საზიანო შედეგის გამოწვევის, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისა.

საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლში მიზეზობრივი კავშირის ცნების განსაზღვრებისას კანონმდებელი ერთმანეთისაგან განარჩევს მართლსაწინააღმდეგო შედეგს და კონკრეტულ საფრთხეს, მაგრამ კანონმდებელი ამ შემთხვევაში ტერმინ მართლსაწინააღმდეგო შედეგს იყენებს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გაგებით. სამართლებრივი სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნა მართლაც არ არის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის იდენტური, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც წარმოადგენს გარკვეულ დანაშაულებრივ შედეგს. კონკრეტული საფრთხე შედეგი რომ არ იყოს, ქმედებასა და კონკრეტულ საფრთხეს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენის არც შესაძლებლობა იქნებოდა და არც საჭიროება. იქ, სადაც მიზეზია, იგულისხმება შედეგი და, პირიქით, შედეგის არსებობა მიუთითებს მიზეზობრივ კავშირზე ქმედებასა და გარკვეულ შედეგს შორის.

ვინაიდან კონკრეტული საფრთხეც შედეგია, მიზანშეწონილია საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლში ცვლილების შეტანა და „შედეგის“ შეცვლა ტერმინით „ხელყოფა“, ხოლო მე-8 მუხლის ტექსტის შემდეგნაირად ჩამოყალიბება:

„1. თუ ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დანაშაული მხოლოდ მაშინ ითვლება დამთავრებულად, როდესაც ქმედებამ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა გამოიწვია ან ასეთი ხელყოფის კონკრეტული საფრთხე შექმნა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და ქმედებით გამოწვეულ ხელყოფას ან შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს შორის.

2. მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მარ-

---

22 იხ. *Кузнецова Н.Ф.,* Значение преступных последствий, М., 1958, с. 23-24.

23 იხ. *Кудрявцев В.Н.,* Обьективная сторона преступления, М., 1960, с. 172.

24 იხ. *Пионтковский А.А.,* Учение о преступлении, М., 1961, с. 176.

თლსაწინააღმდეგო ხელყოფის ან ხელყოფის კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს ხელყოფა არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა.

3. უმოქმედობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის ან კონკრეტული საფრთხის შექმნის აუცილებელ პირობად, როდესაც პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული“.

სსკ-ის მე-8 მუხლის წარმოდგენილი რედაქციის გარდა შესაძლებელია ტექსტის შეცვლის სხვა ვარიანტის შემოთავაზებაც. კერძოდ, მე-8 მუხლის ტექსტიდან შეიძლება ტერმინ „კონკრეტული საფრთხე“-ს ამოღება და „შედეგში“ ისედაც მოიაზრება როგორც „ხელყოფა“, ისე „კონკრეტული საფრთხის შექმნა“.

II. თავი

აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტები

1. ტერმინი „აბსტრაქტული საფრთხე“

საკითხი იმასთან დაკავშირებით, გააჩნია თუ არა აბსტრაქტულ საფრთხეს კონკრეტული საფრთხის გვერდით საკუთარი, დამოუკიდებელი მნიშვნელობა, დავის საგანს წარმოადგენს. აბსტრაქტული საფრთხის ცნებასთან დაკავშირებით მეცნიერთა ერთი ნაწილის მიერ გამოთქმული მოსაზრების თანახმად, საფრთხის დელიქტების კლასიფიკაცია აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის დელიქტებად იმის მიხედვით უნდა მოხდეს, უნდა დაადგინოს თუ არა მოსამართლემ ცალკეულ შემთხვევებში საფრთხის შექმნა. ამ მოსაზრების მიხედვით, მოსამართლეს კონკრეტული საფრთხის დელიქტებში უწევს იმის დადგენა, შექმნა თუ არა განხორციელებულმა ქმედებამ საფრთხე, ხოლო აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში არა.[25]

მეცნიერთა ნაწილი კი მიიჩნევს, რომ აბსტრაქტულ და კონკრეტულ საფრთხეს შორის კვანტიტატიური (რაოდენობრივი) განსხვავება არსებობს. აღნიშნული დებულების თანახმად, გადამწყვეტია იმის გარკვევა დაზიანების, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის თუ როგორი ალბათობა არსებობს, ეს ალბათობა დიდია თუ მცირე.[26] *უ. გებერი* თვით აბსტრაქტულ საფრთხესაც ხარისხებად ყოფს და ერთმანეთისგან მიჯნავს სუსტ და ძლიერ აბსტრაქტულ საფრთხეს.[27] მას თავისი დებულების საილუსტრაციოდ შემდეგი მაგალითი მოჰყავს: როდესაც მძღოლი საჭესთან ზის და ისეა მთვრალი, რომ მანქანის ტარება არ შეუძლია, უბედური შემთხვევის საფრთხე მეტია, ვიდრე მაშინ, როცა მძღოლი ნასვამია, მაგრამ მთვრალი არ არის და სხვებისთვის შეუმჩნეველია ის, რომ მძღოლს მანქანის მართვის უნარი დაქვეითებული აქვს.

ვ. ბრემის კონცეფციით, კონკრეტულ და აბსტრაქტულ საფრთხეს შორის ლოგიკური ზღვარის გავლება შეუძლებელია და აბსტრაქტულ საფრთხესთან გვაქვს საქმე, თუ კონკრეტული საფრთხის დელიქტთან ეს დამოკიდებულია საკანონმდებლო ტექნიკაზე, ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო აღწერილობაზე. კონკრეტული საფრთხის დელიქტებში ქმედება ირიბადაა აღწერილი, ხოლო აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში განსაზღვრული ქმედებაა აღწერილი და ჩამოთვლილია ის პირობებიც, რომელიც უნდა არსებობდეს ქმედების აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად დასაკვალიფიცირებლად.[28]

ბრემის შეხედულება ნაწილობრივ შეიძლება გავიზიაროთ. კერძოდ, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტთან გვაქვს საქმე, თუ კონკრეტული საფრთხის დელიქტთან, შეგვიძლია ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო აღწერილობის გათვალისწინებით დავადგინოთ. თუმცა, კანონმდებელი ზოგჯერ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის შემადგენლობას გვთავაზობს როგორც გარკვეული პრობლემის გადაწყვეტის

---

[25] იხ. *Horn E.*, Konkrete Gefährdungsdelikte, Köln, 1973, S. 20.

[26] იხ. *Maurach/Zipf*, Strafrecht, AT., Teilband 1, Müller, Heidelberg, 1992, S. 287, §20, Rn. 31.

[27] იხ. *Arzt/ Weber/ Heinrich/ Hilgendorf*, Strafrecht, BT, Lehrbuch, 2. Aufl., Bielefeld, S. 928, §35 Rn.50.

[28] იხ. *Brehm W.*, Zur Dogmatik des abstrakten Gefährdungsdelikts, Tübingen, 1973, S. 20.

სამართლებრივ მექანიზმს. შეიძლება ადგილი ჰქონდეს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას ან კონკრეტული საფრთხის შექმნას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კონკრეტული შემადგენლობა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის შემადგენლობად განიხილებოდეს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს სსკ-ის 225-ე (ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, მასში მონაწილეობა), 129-ე (დაუხმარებლობა), 407-ე (გენოციდი) მუხლები.

ბრემის და ზოგიერთი სხვა ავტორის შეხედულების ნაკლოვანება იმაში მდგომარეობს, რომ აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის ცნებას აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის დელიქტების მიხედვით განსაზღვრავენ. აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის ცნება აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის დელიქტების შემადგენლობისგან დამოუკიდებლად უნდა განისაზღვროს. შეიძლება, ზოგიერთი საფრთხის დელიქტი მოშველიებულიც იქნეს აღნიშნული საკითხის ნათელსაყოფად მაგალითის სახით, მაგრამ საფრთხის შემქმნელი დელიქტების შემადგენლობები მაინც სრულად ვერ დაგვეხმარება იმის დადგენაში, თუ რა არის აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხე. ზოგიერთ დელიქტს პირობითად შეიძლება ეწოდოს „აბსტრაქტული საფრთხის“ დელიქტი, ვინაიდან, ადგილი აქვს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას ან კონკრეტული საფრთხის შექმნას და შესაბამისი დელიქტი, მიუხედავად ამისა, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად განიხილება. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლით დასჯადი ქმედების (ჯგუფური მოქმედების ორგანიზება ან ხელმძღვანელობა) განხორციელებას შეიძლება თან ახლდეს სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, მაგრამ მიუხედავად ამისა, აღნიშნული დანაშაული აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს მიეკუთვნება, მაშინ, როცა სხვისი ნივთის დაზიანება უკვე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ანუ გარკვეული შედეგია. ჩნდება კითხვა: თუ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ხდება, რატომ მიიჩნევა შესაბამისი დელიქტი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად? პასუხი შეიძლება შემდეგი იყოს: იმიტომ, რომ მოსამართლეს კანონმდებელი არ სთხოვს ქმედებასა და ქმედებით გამოწვეულ შედეგს ან კონკრეტულ საფრთხეს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენას. ამ შემთხვევაში ჩვენ საკითხი ნორმის ტელეოლოგიური განმარტების მიხედვით, ნორმის მიზნის გათვალისწინებით, უნდა გადავწყვიტოთ.[29]

მეცნიერთა ერთი ნაწილი საერთოდ უარყოფს აბსტრაქტული საფრთხის ცნებას. მათი თვალსაზრისით, საფრთხე ყოველთვის კონკრეტულია და აბსტრაქტული საფრთხე საფრთხეს არ წარმოადგენს.[30] *ე. ჰილგენდორფი* აღნიშნავს, რომ „საფრთხე“ გულისხმობს მდგომარეობას, როცა ჩვენი გამოცდილების მიხედვით დროის გარკვეულ მონაკვეთში სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა მოსალოდნელია, მაშასადამე, საფრთხე ყველა შემთხვევაში მეტ-ნაკლებად კონკრეტულია, მაგრამ არა აბსტრაქტული. „აბსტრაქტული“ საფრთხე არ არსებობს, ხოლო „აბსტრაქტულ

---

[29] ტელეოლოგიურ განმარტებაზე იხ. *ციპელიუსი რ.*, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მეათე გადამუშავებული გამოცემა, გერმანულიდან ქართულად თარგმნა ლ. თოთლაძემ, რედაქტორი მ. ტურავა, მიუნხენი, 2006, გვ. 61-63; *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 156-158.

[30] იხ. *Bohnert J.*, Die Abstraktheit der abstrakten Gefährdungsdelikte-BGH, NJW 1982, 2329, in: Jus 1984, S. 83; *Zieschang F.*, Die Gefährdungsdelikte, Berlin, 1998, S. 27, 185.

საფრთხეზე“ საუბარი აზრს მოკლებულია.[31]

არ შეიძლება დავეთანხმოთ იმ ავტორებს, რომლებიც აბსტრაქტული საფრთხის არსებობას უარყოფენ და თვლიან, რომ საფრთხე ყოველთვის კონკრეტულია. კონკრეტული საფრთხე გულისხმობს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შესაძლებლობას, მდგომარეობას, როცა სამართლებრივი სიკეთის ობიექტი საშიშროების ზონაშია მოხვედრილი, მაგრამ ასეთი საფრთხე ყოველთვის როდი არსებობს. მაგალითად, მაშინ, როცა საფრთხე კონკრეტულ ობიექტს, ინდივიდს კი არ ემუქრება, არამედ არსებობს გენერალიზებული სახით და ქმედება მიმართულია მთელი საზოგადოების ან ზოგადად სახელმწიფოს წინააღმდეგ. შეიძლება აბსტრაქტული საფრთხე კონკრეტულ ინდივიდსაც შეექმნას. აბსტრაქტული საფრთხე გულისხმობს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შესაძლებლობას, მაგრამ შედარებით ნაკლები ხარისხით და ინტენსივობით. აბსტრაქტული საფრთხის დროს არ არსებობს გაურკვევლობა სამართლებრივი სიკეთის მომავალ უვნებელ არსებობასთან დაკავშირებით. თუ აბსტრაქტული საფრთხის დროს საერთოდ გამოვრიცხავდით სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შესაძლებლობას, გამოგვეცლებოდა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დასჯადობის ლეგიტიმაციის საფუძველი. აბსტრაქტული საფრთხე გულისხმობს მდგომარეობას, რომელსაც ზოგადად კი შეუძლია საზიანო შედეგის გამოწვევა, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება სამართლებრივი სიკეთე არ იყოს ისეთ მდგომარეობაში, როცა საეჭვოა მისი შემდგომი უვნებელი არსებობა. მაგალითად, უკანონო აბორტი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია, ვინაიდან იდეაში, მსგავს ქმედებას შეიძლება მოჰყვეს ორსული ქალის ჯანმრთელობის ხელყოფა, კერძოდ, უშვილობა და ა.შ. უკანონო აბორტი კონკრეტული საფრთხის დელიქტი არ არის იმდენად, რამდენადაც, უკანონო აბორტის დროს ჯერ კიდევ არ არსებობს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შესაძლებლობა და ალბათობა იმ ხარისხით, რომელიც კონკრეტული საფრთხისთვისაა დამახასიათებელი. საქართველოს სსკ-ის 133-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაციისთვის არ არის საჭირო წინასწარ შეუძლებელი იყოს იმის განჭვრეტა, ორსული ქალის სიცოცხლე და ჯანმრთელობა უვნებელი გადარჩება თუ არა.

თუ უარვყოფდით აბსტრაქტული საფრთხის არსებობას, ალოგიკური იქნებოდა საფრთხის დელიქტების დაყოფა აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის დელიქტებად.

[31] იხ. *Hilgendorf E.*, Die Neuen Medien und das Strafrecht, ZStW 2001, S. 662-663.

2. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ზოგადი დახასიათება

საფრთხის შემქმნელი დელიქტების სამ სახეს[32] გამოჰყოფენ: 1. აბსტრაქტული; 2. კონკრეტული და 3. აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტები.

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში კანონმდებელი დასჯადად აცხადებს საკუთრივ მოქმედებას, რომელიც ხასიათდება საშიში თვისებებით. დანაშაულის შემადგენლობა მთავრდება საკანონმდებლო შემადგენლობაში აღწერილი ქმედების განხორციელებით და არ მოითხოვს შემდგომი შედეგის დადგომას ხელყოფის ან კონკრეტული საფრთხის სახით.

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები მოიცავენ ისეთ მოქმედებებს, რომელთა შემთხვევაში დაცული სამართლებრივი სიკეთის რეალური ხელყოფა და მისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნა სავალდებულო არ არის.[33] აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები ეწოდება ისეთ დელიქტებს, რომლებშიც საშიში სიტუაცია ქმედების შემადგენლობის ნიშანს კი არ წარმოადგენს, არამედ მხოლოდ მოტივია, საფუძველია სისხლის სამართლის ნორმის არსებობისა.[34]

ო. გამყრელიძე განსხვავებულად ასაბუთებს საფრთხის დელიქტების არსებობის საფუძველს სისხლის სამართალსა და ადმინისტრაციულ სამართალში: „სამართლებრივი სიკეთის დაზიანება ან მისთვის ასეთი დაზიანების საფრთხის შექმნა სამართლებრივი აქტის გამოცემის როგორც მოტივს, ისე დამნაშავის დასჯის საფუძველს წარმოადგენს. ადმინისტრაციულ დელიქტებში კი, პირიქით, სამართლებრივი სიკეთის დაზიანების საფრთხე მხოლოდ ნორმის გამოცემის საკანონმდებლო მოტივია და არა დასჯის საფუძველი".[35] *ო. გამყრელიძის* შეხედულებით, საფრთხე ადმინისტრაციულ სისხლის სამართალში ნორმის შექმნის საკანონმდებლო მოტივია, ხოლო დასჯადობის საფუძვლად აქ კანონ-

---

[32] ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ტრადიციულად საფრთხის შემქმნელ დელიქტებს ორ ნაწილად ყოფენ-აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის დელიქტები. იხ. *გამყრელიძე ო.*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამოცემა, თბ., 2008, გვ. 77; *გამყრელიძე ო.,* სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2011, გვ. 18; *წერეთელი თ.*, საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ., 2006, გვ. 164; მისივე, სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010, გვ. 176; *უგრეხელიძე მ.*, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 3; *თოდუა ნ.*, საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ჟურნ. "მართლმსაჯულება და კანონი", 2007, №2/3, გვ. 153; *მამულაშვილი გ*, წიგნში: *ლეკვეიშვილი მ, თოდუა ნ, მამულაშვილი გ*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 148. საფრთხის დელიქტების ტრადიციულ ორსახოვან დაყოფაზე გერმანულ სისხლის სამართალში იხ. *Zieschang F.*, Die Gefährdungsdelikte, Berlin, 1998, S. 15-22. საფრთხის შემქმნელი დელიქტების სამსახოვანი დაყოფა ქართულ სისხლის სამართალში პირველად *მ. ტურავამ* შემოგვთავაზა. იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, თბ., 2010, გვ. 76-77.

[33] იხ. *Wohlers W.*, Deliktstypen des Präventionsstrafrechts-zur Dogmatik „moderner Gefährdungsdelikte", Berlin, 2000, S. 283.

[34] იხ. *Wohlers W.*, Deliktstypen des Präventionsstrafrechts-zur Dogmatik „moderner Gefährdungsdelikte", Berlin, 2000, S. 281-282; *Brehm W.*, Zur Dogmatik des abstrakten Gefährdungsdelikts, Tübingen, 1973, S. 9; *Heinrich B.,* Der Erfolgsort beim abstrakten Gefährdungsdelikt, GA 1999, S. 74.

[35] იხ. *გამყრელიძე ო.,* სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2011, გვ. 15-16.

მდებლის ნებისადმი შიშველი დაუმორჩილებლობა გამოდის.[36]

აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების დროს კანონმდებელმა განსაზღვრული ქმედება იმდენად საშიშად მიიჩნია, რომ უარი თქვა კონკრეტული საფრთხის შექმნის აუცილებლობაზე.[37] აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს კანონმდებელი მაშინ მიმართავს, როცა საქმე ეხება განსაკუთრებული მნიშვნელობის სამართლებრივი სიკეთის დაცვას. რაც უფრო მნიშვნელოვანია სამართლებრივი სიკეთე, მით უფრო გამართლებულია კონკრეტული საფრთხის ნაცვლად აბსტრაქტული საფრთხის შექმნის აკრძალვა.[38] აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ამკრძალავ ნორმას ასევე მიიჩნევენ ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის დაცვის საკანონმდებლო მექანიზმად.[39]

აბსტრაქტული საფრთხის დანაშაულებში საფრთხე პრეზუმირებულია თვით კანონმდებლის მიერ. ასეთი შემადგენლობის შექმნის დროს, კანონმდებელი აღიარებს, რომ სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში აღწერილ ქმედებას ზოგადად, ცხოვრებისეული გამოცდილების შესაბამისად, შეუძლია ზიანი მიაყენოს სამართლით დაცულ განსაზღვრულ ინტერესს.[40] ამიტომ, სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის ხელყოფის კონკრეტული ობიექტისათვის კონკრეტული საფრთხის შექმნის დადგენა და არც მისი უარყოფა. სასამართლოსთვის ასეთი უფლების მიცემა იქნებოდა კანონის რევიზია და დაუპირისპირდებოდა კანონმდებლის ნებას ქმედების დასჯაზე, რომლის ტიპიურად საშიში ხასიათი თვითონ დაადგინა. ამ მოსაზრებით აბსტრაქტული საფრთხის დანაშაული მიეკუთვნება ე.წ. ფორმალურ დანაშაულებს.[41]

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ადამიანის სიცოცხლისთვის აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი ისეთი დელიქტებისთვის, როგორიცაა უკანონო აბორტი (133-ე მუხ.)[42], დაუხმარებლობა (129-ე მუხ.), განსაცდელში მიტოვება (128-ე მუხ.), ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება (130-ე მუხ.) და სხვა.

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია ასევე საქართველოს სსკ-ის 229-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (აფეთქება). 229-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიცია შემდეგი შინაარსისაა: „ასაფეთქებელი ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში სხვა მოწყობილობის ან ნივთიერების გადატანა, განთავსება, გასროლა, აფეთქება ან სხვა მოქმედება, ჩადენილი სიცოცხლის მოსპობის, სხეულის მძიმე დაზიანების, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის გამოწვევის მიზნით“. როგორც დისპოზიციიდან ჩანს, ქმედების 229-ე

---

[36] იქვე,გვ. 22.

[37] იხ. *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 3 Aufl., Stuttgart, 2012, S. 63 Rn. 164.

[38] იხ. *Wohlers W.*, Deliktstypen des Präventionsstrafrechts-zur Dogmatik „moderner Gefährdungsdelikte“, Berlin, 2000, S. 283.

[39] იქვე, გვ. 285, სქოლიო მე-20.

[40] იხ. *Brehm W.*, Zur Dogmatik des abstrakten Gefährdungsdelikts, Tübingen, 1973, S. 9.

[41] იხ. *Церетели Т.,* Деликты создания опасности, «Советское государство и право», 1970, №8, с. 56.

[42] უკანონო აბორტის დასჯადობაზე ვრცლად იხ. *ცქიტიშვილი ო.,* უკანონო აბორტი – განზრახ მკვლელობა თუ საფრთხის შემქმნელი დელიქტი?, კრებულში: *ფერაძე გ.* (რედ.), სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, თბ., 2010, გვ. 515-559.

მუხლის პირველი ნაწილით დასაკვალიფიცირებლად არ არის საჭირო, რომ ვინმეს ზიანი მიადგეს ან კონკრეტული საფრთხე შეექმნას. სიცოცხლის მოსპობის ან სხეულის დაზიანების მიზნით ასაფეთქებელი მოწყობილობის გადატანა ან განთავსება ჯერ კიდევ არ გულისხმობს კონკრეტული საფრთხის არსებობას. რაც შეეხება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ასაფეთქებელი მოწყობილობის აფეთქებას, იგი ყოველთვის არ ქმნის კონკრეტულ საფრთხეს და რაც მთავარია, არც კანონმდებელი მოითხოვს ამას. როცა კანონმდებელი კონკრეტული შემადგენლობის შექმნისას მოითხოვს ქმედების დასასჯელად კონკრეტული საფრთხის შექმნას გარკვეული შედეგის სახით, მას გამოხატავს სიტყვებით: „...საფრთხე შექმნა“, „საშიშ მდგომარეობაში ჩააყენა“ და ა.შ. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტთა შემადგენლობებში კი კანონმდებელი მხოლოდ ქმედებას აღწერს მსგავს შედეგზე მითითების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მართებულად არ შეიძლება ჩაითვალოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსკ-ის 229-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული კონკრეტული საფრთხის დელიქტს წარმოადგენდეს.[43]

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის მაგალითად გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად ასახელებენ ისეთ დანაშაულს, როგორიცაა ცეცხლის წაკიდება (გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის 306a პარაგრაფის I პუნქტი).[44] ამ შემთხვევაში დასჯადობის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ საცხოვრებელი ბინისათვის ცეცხლის წაკიდება, ცხოვრებისეული გამოცდილების შესაბამისად, სხვა ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს ქმნის. მაგრამ, ცეცხლის წაკიდება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი, როდესაც დამნაშავე დარწმუნებულია, რომ სახლში, რომელსაც ცეცხლს უკიდებს, არავინ არ იმყოფება,[45] ხოლო, მაშინ, როდესაც დამნაშავე არ არის ამაში დარწმუნებული და მართლაც აღმოჩნდება სახლში ცეცხლის წაკიდების დროს ადამიანი, ჩვენ გვექნება არა აბსტრაქტული, არამედ კონკრეტული საფრთხის დელიქტი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია ასევე ისეთი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები, როგორიცაა: ბანდიტიზმი (224-ე მუხ.); ბირთვულ ან რადიაქტიურ ობიექტზე ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯება (233-ე მუხ.) და სხვა. აღნიშნული დელიქტები მიმართულია საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ. დასახელებულ მუხლებში მკაფიოდ არის აღწერილი კონკრეტული ქმედებები, რომლის განხორციელებაშიც გამოიხატება აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დანაშაულები და მათი ჩადენით იქმნება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გენერალიზებული საფრთხე.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ლეგიტიმაციას საკამათოდაც მიიჩნევენ და გამოთქვამენ შეხედულებას, რომ აღნიშნული ტიპის დელიქტები ბრალეულობის პრინციპთან წინააღმდეგობაში მოდის, რამდენადაც აბსტრაქტული საფრთხ-

---

[43] იხ. *თოდუა ნ.*, წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 627.

[44] იხ. *Frister H.*, Strafrecht, AT, 4. Aufl., München, 2009, S. 32.

[45] იხ. *Frister H.*, იქვე, გვ. 32.

ის დელიქტი წარმოადგენს ქმედებას, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში არ აფუძნებს საფრთხეს სამართლით დაცული სიკეთისათვის.[46] მართალია, აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტი არ აფუძნებს კონკრეტულ, რეალურ საფრთხეს სამართლით დაცული სიკეთისთვის, მაგრამ აღნიშნული დელიქტის დასჯადობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ შეიძლება დადგეს. ტექნიკური რევოლუციის პირობებში სულ უფრო იზრდება აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ დელიქტთა დასჯადობის აუცილებლობა, რაც კიდევ უფრო ცხადყო ბოლო დროს იაპონიაში ატომურ ენერგოსადგურში მომხდარმა ტრაგედიამ. მაშინ, როცა ტექნიკური მეცნიერების განვითარების პარალელურად მატულობს ისეთ მოქმედებათა წრე, რომელსაც ფართო მასშტაბის ზიანის გამოწვევა შეუძლია, კანონმდებელი ქმედებას მისი საშიშროების მასშტაბის გათვალისწინებით დასჯადად აცხადებს ზიანის გამოწვევის ან კიდევ კონკრეტული საფრთხის შექმნის გარეშეც.

3. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების მოძღვრების განვითარების ისტორია

3.1. გენერალური საფრთხის თეორია

გენერალური საფრთხის თეორიის მიხედვით, აბსტრაქტული საფრთხის შექმნის კრიმინალიზაცია იმით არის განპირობებული, რომ კანონმდებელს სურს აკრძალოს და გაკიცხოს ისეთი ქმედება, რომელსაც შეიძლება გენერალურად, ტიპურად შედეგად მოჰყვეს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი ქმედება იმიტომ კი არ არის აკრძალული, რომ იგი განსაზღვრულ სიკეთეს ხელყოფს ან საფრთხეს უქმნის მას, არამედ იმიტომ, რომ იგი მიეკუთვნება იმ ქმედებათა ჯგუფს, რომლებსაც ხშირად მოსდევს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა[47]. აღნიშნულიდან გამომდინარე, უმნიშვნელოა საკითხი იმის შესახებ, ქმედებამ ცალკეულ შემთხვევაში დაზიანება გამოიწვია ან კონკრეტულ შემთხვევაში ამისთვის ვარგისია თუ არა. მაშასადამე, ცალკეული ქმედების სუბსუმფცია აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებთან არ ხდება იმისთვის, რომ ქმედება მოცემულ შემთხვევაში ჩაითვალოს საშიშად [48].

---

[46] იხ. *Frister H.*, Strafrecht, AT, 4. Aufl., München, 2009, S. 33. ბრალეულობის კონსტიტუციურსამართლებრივ პრინციპთან აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების შეუსაბამობაზე იხ. ასევე. *Graul E.*, Abstrakte Gefährdungsdelikte und Präsumtionen im Strafrecht, Berlin, 1991, S. 232; *Volz M.*, Unrecht und Schuld abstrakter Gefährdungsdelikte, Göttingen, 1968, S. 133. საწინააღმდეგო მოსაზრება იხ. *Ahn W-H.*, Zur Dogmatik abstrakter Gefährdungsdelikte, München, 1995, S. 111. დასახელებული ნაშრომის ავტორი აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის დასჯადობას გამართლებულად მიიჩნევს სამართლებრივი სიკეთისა და საჯარო ინტერესების დაცვის მიზნიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მთელ რიგ შემთხვევებში შეუძლებელი იყოს საფრთხის შექმნის ზუსტად დადგენა. იხ. *Ahn W-H.*, დასახ. ნაშრ. გვ. 110-111.

[47] იხ. *Kindhäuser U.*, Gefährdung als Straftat, Rechtstheoretische Untersuchungen zur Dogmatik der abstrakten und konkreten Gefährdungsdelikte, Frankfurt/M, 1989, S. 230.

[48] იხ. *Graul E.*, Abstrakte Gefährdungsdelikte und Präsumtionen im Strafrecht, Berlin, 1991, S.144; *Ahn W-H.*, Zur Dogmatik abstrakter Gefährdungsdelikte, München, 1995, S. 3.

აღნიშნული თეორიის მიხედვით, როგორც ცნობილი გერმანელი მეცნიერი *კ. ბინდინგი* აღნიშნავს, საშიშროება არ წარმოადგენს ცალკეული ქმედების ატრიბუტს, არამედ გარკვეული ჯგუფის ქმედებათა თვისებას. ასეთი ქმედებანი გენერალურად არიან საშიში. ცხოვრებისეული გამოცდილება გვასწავლის, რომ მათ კანონზომიერად შეუძლიათ ხელყოფის გამოწვევა[49]. თანამედროვე სისხლის სამართლის თეორიაში გენერალური საფრთხის თეორიას ბევრი მომხრე ჰყავს[50].

გენერალური საფრთხის თეორიის მიხედვით, კონკრეტული საფრთხის შექმნის დროს განსაზღვრული ქმედებით განსაზღვრული ზიანის გამოწვევა სავარაუდოა, აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი ქმედების აკრძალვის მიზანს წარმოადგენს ასეთი ქმედების წინააღმდეგ ბრძოლა, ვინაიდან იგი ხშირად განსაზღვრული სახის ხელყოფას იწვევს[51].

ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედების შემადგენლობის შესაბამისი ქმედების განხორციელება მატერიალურადაც მართლსაწინააღმდეგოა. ნორმის მიზანია ასეთი კატეგორიის ქმედების აკრძალვა, იმიტომ, რომ სტატისტიკურად ასეთი ქმედება ხელყოფას იწვევს. აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელებისას დღის წესრიგში არ დგება კონკრეტული ქმედების საშიშროების მნიშვნელობის დამტკიცება ან მისი უარყოფა[52].

გენერალური საფრთხის თეორიის დადებით მხარედ შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ იგი სტატისტიკურ მონაცემებს ეყრდნობა, რაც კარგი გარანტიაა იმისთვის, რომ არ მოხდეს ყველანაირი ქმედების კრიმინალიზაცია და სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზანშეუწონელი გამკაცრება. ის, რომ გარკვეულ ქმედებას ხშირად მოსდევს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, უდაოდ მიუთითებს ქმედების საშიშროებაზე, მაგრამ მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები არ შეიძლება ქმედების კრიმინალიზაციისთვის ერთადერთ კრიტერიუმად მივიჩნიოთ.

3.2. აბსტრაქტული საფრთხის თეორია

მაშინ, როცა გენერალური საფრთხის თეორია სტატისტიკურ მონაცემებს ეყრდნობა და ისეთ ქმედებას აფასებს საშიშად, რომელიც ხშირად იწვევს ხელყოფას, აბსტრაქტული საფრთხის თეორია გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ქმედების რელევანტურობას. ამის მაგალითად გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში მოჰყავთ ცეცხლის წაკიდება (გერმანული სსკ-ის 306-ე პარაგრაფის მე-2 ქვეპუნქტი)[53]. შეიძლება აღნიშნული ქმედება ხშირად არ ხდებოდეს, მაგრამ მას შეუძლია ზიანის

---

[49] იხ. *Binding K.,* Die Normen und ihre Übertretung, Band I, Neudruck der 4. Auflage Leipzig 1922, 1965, Verlag Aalen, S. 379.

[50] იხ. *Graul E.*, Abstrakte Gefährdungsdelikte und Präsumtionen im Strafrecht, Berlin, 1991, S. 145; *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 3 Aufl., Stuttgart, 2012, S. 63 Rn. 164; *Jescheck H-H., Weigend T.,* Lehrbuch des Strafrechts, AT, Berlin, 1996, S. 264; *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Auflage, Heidelberg, 2010, S. 8, Rn. 29. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს გენერალური საშიშროების შემცველად განიხილავენ ასევე სხვა ავტორებიც. იხ. *Hau H.,* Die Beendigung der Straftat und ihre rechtlichen Wirkung, Berlin, 1974, S. 90.

[51] იხ. *Ahn W-H.*, Zur Dogmatik abstrakter Gefährdungsdelikte, München, 1995, S. 4.

[52] იხ. *Ahn W-H.*, იქვე, S. 4-5.

[53] იხ. *Kindhäuser U.,* იქვე, S. 239.

გამოწვევა, შესაბამისად, შეიძლება ჩაითვალოს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად.

აბსტრაქტული საფრთხის თეორია აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში უშვებს კანონმდებლის მიერ საფრთხის პრეზუმფციას, ვარაუდს. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა არ წარმოადგენს ამ დელიქტის მნიშვნელოვან წინაპირობას. შესაბამისად, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები არ გულისხმობენ საფრთხის შექმნის შედეგს. უფრო მეტიც, აღნიშნული თეორია, გენერალური საფრთხის თეორიისგან განსხვავებით, ქმედების საშიშროების ფენომენს სამართლებრივ მნიშვნელობას არ ანიჭებს[54]. ყოველივე აღნიშნულს *კ. ბინდინგი* საფრთხის შექმნის მტკიცების მომენტს უკავშირებს. მისი აზრით, მაშინ, როცა საფრთხის შექმნა რთული დასამტკიცებელია, კანონმდებელი საფრთხეს განსაზღვრული კანონზომიერი საშიში ქმედების სახით შექმნილად მიიჩნევს და ქმედების საშიშროებაზე პრეზუმფციას juris et de jure გამოხატავს[55]. მოყვანილი დებულების მიხედვით, კანონმდებელი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს მაშინ მიმართავს, როცა საფრთხის შექმნის დამტკიცება სირთულეებთანაა დაკავშირებული. აბსტრაქტული საფრთხის თეორიის მიხედვით, უნდა არსებობდეს დაზიანებისთვის საკმარისი მინიმალური პირობა. ასეთ პირობას კი წარმოადგენს აკრძალული ქმედება, რომელიც დაზიანებისთვის არა უმნიშვნელო, არამედ მნიშვნელოვან ქმედებას წარმოადგენს (schadensrelevante Handlung). ქმედებას უნდა შეეძლოს მიზეზობრივად ზიანის გამოწვევა.

როგორც აღინიშნა, აბსტრაქტული საფრთხის თეორიის მიხედვით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების აუცილებელ წინაპირობას ხელყოფისთვის მნიშვნელოვან ქმედებაზე პრეზუმფცია (ვარაუდი) წარმოადგენს. მაგრამ, აღნიშნული თვალსაზრისი მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული. კერძოდ, თუ ჩვენ ამ თეორიას გავიზიარებთ და ვარაუდს ქმედების კრიმინალიზაციისა და საშიშროების განმსაზღვრელ მნიშვნელობას მივანიჭებთ, ქმედების მატერიალურ მართლწინააღმდეგობას ვარაუდზე დავაფუძნებთ, რაც ზოგიერთი მეცნიერის მართებული შეხედულებით არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპს ეწინააღმდეგება[56].

ე. გრაულის თვალსაზრისით, საფრთხეზე ვარაუდი წინააღმდეგობაში მოდის არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპთან, თუ იგი მტკიცების წესად იქნება გაგებული.[57] როგორც *გრაული* აღნიშნავს, რამდენადაც არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი კონსტიტუციურად უზრუნველყოფილია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნება ვარაუდზე დაუშვებელია[58].

ჰ. ფრისტერი აღნიშნავს, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებისთვის პასუხისმგებლობის დაწესება არ ეწინააღმდეგება ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს და იგი შეესაბამება ამ მოთხოვნას,

---

54 იხ. *Graul E.,* იქვე, S. 151.

55 იხ. *Binding K.,* Die Normen und ihre Übertretung, Band I, Neudruck der 4. Auflage Leipzig 1922, 1965, Verlag Aalen, S. 380.

56 იხ. *Ahn W-H.*, იქვე, 1995, S. 7.

57 იხ. *Graul E.*, იქვე, გვ. 287.

58 იხ. *Graul E.*, იქვე, გვ. 349.

თუ იგი, ერთი მხრივ, ემსახურება მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის დაცვას, და, მეორე მხრივ, ისეა ფორმულირებული, რომ აკრძალული ქმედება უმეტეს შემთხვევაში საშიშია და სულ მცირე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შესაძლებლობას შეიცავს.[59]

მართალია, აბსტრაქტული საფრთხე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის ალბათობას გულისხმობს და ალბათობა სუბიექტური ეგებისობაა, რასაც პასუხისმგებლობა ვერ დაეფუძნება, მაგრამ აბსტრაქტული საფრთხე არ შეიძლება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის ალბათობამდე დავიყვანოთ. იგი გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, რომელსაც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გამოწვევა და სხვა სინამდვილედ გარდაქმნა შეუძლია, რაც რეალურ საფუძველს არ არის მოკლებული. აბსტრაქტული საფრთხე გულისხმობს ობიექტურად საშიშ მდგომარეობას. რამდენადაც აბსტრაქტულ საფრთხეს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გამოწვევის და სხვა სინამდვილედ გარდაქმნის უნარი გააჩნია, აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი ქმედებისთვის პასუხისმგებლობაც არ შეიძლება ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გადახვევად მივიჩნიოთ.

3.3. კ. ბინდინგის თეორია

კ. ბინდინგი არც გენერალური და არც აბსტრაქტული საფრთხის თეორიას არ მიიჩნევდა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ლეგიტიმაციისთვის საკმარის საფუძვლად. იგი სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას მხოლოდ კონკრეტულ საფრთხეს ანიჭებდა. მაშინ, როცა მეცნიერთა უმრავლესობა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში კონკრეტულ საფრთხეს უარყოფს, *კ. ბინდინგი* ცდილობდა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დროსაც კონკრეტული საფრთხის არსებობა დაესაბუთებინა[60]. *ბინდინგის* თვალსაზრისით, არა მხოლოდ ხელმყოფი, არამედ საფრთხის დელიქტიც გულისხმობს სამართლებრივ სიკეთეზე თავდასხმას მატერიალური გაგებით, რამდენადაც საფრთხის დელიქტები ხელყოფენ სამართლებრივი სიკეთის უსაფრთხო არსებობას (Gefährdung ist immer Erschütterung der Daseinsgewissheit).[61]ამასთან ერთად, თავდასხმა მას ესმის არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულად. მისი მოსაზრებით, როგორც საფრთხე, ისე საზიანო შედეგის გამოწვევის უნარი ყოველთვის კონკრეტულად უნდა განიმარტოს და დამნაშავეს ცალკეულ შემთხვევებში უნდა დაუმტკიცდეს.

ბინდინგის თვალსაზრისით, საფრთხის შექმნა ნორმის შექმნის მოტივს არ წარმოადგენს. საფრთხის შემქმნელი ქმედების აკრძალვით ხდება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის აკრძალვა. საფრთხის შექმნა *ბინდინგის* მიხედვით, გულისხმობს იმ მდგომარეობის ცვლილებას, რომელშიც სამართლებრივი სიკეთე მანამდე იმყოფებოდა. საფრთხის შექმნის შემდეგ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება სამართლებრივი სიკეთის შემდგომი უვნებელი არსებობის საკითხი.[62] იგი არ აღიარებს იმ მო-

---

[59] იხ. *Frister H.,* Strafrecht, AT, 5. Aufl., München, 2011, S. 36, § 3 Rn. 25.

[60] იხ. *Binding K.,* იქვე, გვ. 383.

[61] იხ. *Binding K.,* იქვე,გვ. 372,374.

[62] იხ. *Binding K.,* იქვე,გვ. 372.

საზრებას, რომლის მიხედვითაც საფრთხის სფეროში სამართლებრივი სიკეთის მოხვედრა ან არმოხვედრა შემთხვევითობაზეა დამოკიდებული.

ბინდინგი დელიქტებს სამ ჯგუფად ყოფს: ხელყოფის, საფრთხის შემქმნელი დელიქტები და ე.წ. დაუმორჩილებლობის დელიქტი (ungehörsam). ამ უკანასკნელ ჯგუფს იგი მიაკუთვნებს აბსტაქტული საფრთხის დელიქტს.

ბინდინგის თვალსაზრისით, საფრთხის შემქმნელ დელიქტს მიეკუთვნება ის დელიქტი, რომელიც კანონით აკრძალული საშუალების გამოყენებასთან არის დაკავშირებული (როგორიცაა ფალსიფიცირებული მტკიცებულება; ყალბი დოკუმენტი და ა. შ).[63] ქმედების საშიშროება, მისი შეხედულებით, საშუალების ვარგისიანობით განისაზღვრება. საფრთხის შემქმნელი ქმედების განხორციელებას ადგილი აქვს სამართლით დაცული ობიექტის წინააღმდეგ საფრთხის შესაქმნელად ვარგისი საშუალების სრულად გამოყენებისას.[64] საფრთხის შექმნის მიზნით საშუალების არასრული გამოყენება *ბინდინგის* მიხედვით, მცდელობად უნდა შეფასდეს. დამნაშავის განზრახვით უნდა იყოს მოცული საფრთხის შესაქმნელად გამოყენებული საშუალების ვარგისიანობა.[65]

ბინდინგის თეორიის განხილვის შემდეგ შეიძლება შემდეგ დასკვნამდე მივიდეთ: ყაჩაღობა, როგორც საფრთხის შემქმნელი დელიქტი მაშინ არის განხორციელებული, როცა თავდამსხმელი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ საშუალებას იყენებს, მაგრამ საფრთხის შემქმნელი დელიქტი არ იქნება განხორციელებული, თუ თავდამსხმელი გამოიყენებს არა ნამდვილ იარაღს, არამედ იარაღის მაკეტს, ვინაიდან იარაღის მაკეტით ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნა შეუძლებელია. *ბინდინგის* თეორია ამ თვალსაზრისით, უდავო მხარდაჭერას იმსახურებს.

საფრთხის შემქმნელ დელიქტებში ქმედების დასჯადობა, *ბინდინგის* თვალსაზრისით, ქმედების საშიშროებაზეა დამოკიდებული, რომელიც ex ante ფასდება.

ო. გამყრელიძე აკრიტიკებს *კ. ბინდინგის* თეორიას და აღნიშნავს, რომ „*კ. ბინდინგის* შეცდომა კონკრეტული საფრთხის არასწორ გაგებაში უნდა ვეძიოთ. იგი ძლიერ ფართოდ განმარტავს ამ ცნებას. მისი აზრით, კონკრეტული საფრთხე გვაქვს მაშინ, როცა დასაცავი სამართლებრივი სიკეთის საწინააღმდეგო საშუალება ბოლომდეა გამოყენებული, თუკი ეს საშუალება ასეთი საფრთხის შექმნისთვის ვარგისია. ამით მან თითქოს შეძლო აბსტრაქტული დელიქტების ერთი ნაწილი კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტთა ჯგუფში ჩაერთო“.[66]

ო. გამყრელიძე სათანადოდ ასაბუთებს *ბინდინგის* მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნას. მისი მართებული თვალსაზრისის მიხედვით, კონკრეტული საფრთხის დასასაბუთებლად ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმ ფაქტის დადგენა, რომ განსაზღვრული მოქმედება განსაზღვრული შედეგის გამოსაწვევად ვარგისია. მაგალითად, გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობა კონკრეტული საფრთხის დასაფუძნებლად ვარგისია, მაგრამ თუ მძღოლი ცარიელ გზაზე მოძრაობდა, ქმედება აბ-

---

63 იხ. *Binding K.,* იქვე,გვ. 384.

64 იხ. *Binding K.,* იქვე,გვ. 385.

65 იხ. *Binding K.,* იქვე,გვ. 386.

66 იხ. *გამყრელიძე ო.,* სისხლის სამართლის პრობლემები,I ტომი,თბ.,2011,გვ. 19.

სტრაქტული (და არა კონკრეტული) საფრთხის დელიქტად უნდა შეფასდეს. ამ შემთხვევაში ქმედების შეფასება კონკრეტული საფრთხის დელიქტად შეუძლებელია არა იმის გამო, რომ ქმედება იყო უვარგისი კონკრეტული საფრთხის შესაქმნელად, არამედ სხვა გარემოების (ქუჩის სიცარიელის) გამო. ე. ი. „კონკრეტული საფრთხის შექმნა ვარგისი საშუალების გარდა, დამოკიდებულია სხვა გარემოებებზეც, რომლებიც ვარგის საშუალებებზე არიან გადაჯაჭვული“.[67]

ო. გამყრელიძის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი შეგვიძლია სხვა მაგალითზეც განვიხილოთ. მაგალითად, ყაჩაღობის მიზნით ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ბოროტმოქმედი შეიჭრა სხვის ბინაში, მაგრამ ბინის მესაკუთრე ბოროტმოქმედს ბინაში გარდაცვლილი დახვდა. ბოროტმოქმედი, რომელსაც იარაღის ტარების უფლება ჰქონდა, ფლობდა ცეცხლსასროლ იარაღს, რომელიც სხვისი სიცოცხლისთვის საფრთხის შესაქმნელად ვარგისი იყო, მაგრამ ფაქტობრივი გარემოებიდან (ბინის შიგნით ცოცხალი ადამიანის არყოფნა) გამომდინარე ქმედება მაინც არ შეიძლება კონკრეტული საფრთხის გამოწვევისთვის ვარგისად ჩაითვალოს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა ყაჩაღობად, არამედ ყაჩაღობის უვარგის მცდელობად.[68] მაშასადამე, არა მხოლოდ კონკრეტული, არამედ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების განსახორციელებლადაც საჭიროა არა მხოლოდ გამოყენებული საშუალების ვარგისიანობა საფრთხის შესაქმნელად, არამედ სხვა გარემოებებიც. წარმოდგენილი მსჯელობის შემდეგ ჩნდება კითხვა: თუ ცარიელ საავტომობილო გზაზე გადაჭარბებული სისწრაფით მოძრაობა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია, რატომ არ შეიძლება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად მივიჩნიოთ შეიარაღებული ადამიანის შეჭრა იმ ბინაში, რომელშიც დამნაშავის წარმოდგენით ცოცხალი, მაგრამ რეალურად გარდაცვლილი ადამიანი იმყოფება? ყაჩაღობის, როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განსახორციელებლად აუცილებელია, რომ თავდასხმის განხორციელებისას კონკრეტული პირის მიმართ გამოყენებული იქნეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობაა თუნდაც ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული პირის მიერ თავდასხმის განხორციელება და მისი მხრიდან მუქარა. გამოყენებული იარაღი ვარგისი უნდა იყოს კონკრეტული საფრთხის შესაქმნელად, მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, თუ სად და რა პირობებში ხდება იარაღის გამოყენება. თუ დამნაშავის მიერ სხვის ბინაში შეჭრის დროს ბინაში ცოცხალი ადამიანი არ იმყოფებოდა, მიუხედავად იარაღის ვარგისიანობისა, არ შეიძლება ითქვას, რომ განხორციელებული ქმედებით შეიქმნა ის საფრთხე, რომელიც ქმედების

---

[67] იხ. *გამყრელიძე ო.*, იქვე, გვ. 19-20. ანალოგიური მოსაზრება იხ. *Wolter J.*, Konkrete Erfolgsgefahr und konkreter Gefahrerfolg im Strafrecht-OLG Frankfurt, NJW 1975, 840, Jus 1978, S. 750. ვოლტერიც აღნიშნავს, რომ კონკრეტული საფრთხე არსებობს თუ არა ეს შეიძლება დადგინდეს არა მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რა სისწრაფით მოძრაობდა მძღოლი, არამედ სხვა გარემოებათა გათვალისწინებითაც. კერძოდ, იყო თუ არა გზა ცარიელი, როცა მძღოლი მაღალი სისწრაფით მოძრაობდა.

[68] ხოლო, თუ დამნაშავე სხვის მოძრავ ნივთს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა, ქმედება შეიძლება ქურდობად დაკვალიფიცირდეს.

ყაჩაღობის მუხლით კვალიფიკაციისთვისაა საჭირო. ცარიელ ავტომაგისტრალზე გადაჭარბებული სისწრაფით ავტომანქანით გადაადგილება აბსტრაქტულ საფრთხეს ქმნის, ვინაიდან აღნიშნული ქმედება ვარგისია კონკრეტული საფრთხის შესაქმნელად, მაგრამ, თუ იგივე ქმედება ანუ ავტომანქანით მაღალი სისწრაფით მოძრაობა არა ავტომაგისტრალზე, არამედ შემოღობილ პირად საკუთრებაში მყოფ ნაკვეთში განხორციელდება, სადაც სხვა ადამიანი ახლო-მახლო არ იმყოფება, ქმედება აბსტრაქტული საფრთხის შემცველ ქმედებად ვერ შეფასდება. როდესაც მძღოლი ცარიელ ავტომაგისტრალზე გადაჭარბებული სისწრაფით მოძრაობს, იდეაში არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ საპირისპირო მიმართულებით წამოვიდეს მანქანა და მისი შეჯახების შედეგად გამოიწვიოს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, მაგრამ თუ მაღალი სიჩქარით მძღოლი არა ავტომაგისტრალზე, არამედ შემოსაზღვრულ საკუთარ ნაკვეთში გადაადგილდება, სადაც სხვა არავინ არ იმყოფება, ასეთი საფრთხე სხვა ადამიანისთვის იდეაშიც არ იქმნება.

ზემოთ მოცემული მსჯელობის შემდეგ იბადება კითხვა: ხომ არ ხდება აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის დელიქტების ერთმანეთში არევა? დასმულ შეკითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს. აბსტრაქტული საფრთხე გულისხმობს კონკრეტული საფრთხის გამოწვევის პოტენციას, უნარს, მაგრამ ქმედება თავისთავად ვერ შეფასდება კონკრეტული საფრთხის გამოწვევისთვის ვარგისად მხოლოდ გამოყენებული საშუალების მიხედვით. უნდა გავითვალისწინოთ ასევე ქმედების განხორციელების პირობებიც. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი ზოგიერთ შემთხვევაში არ გამორიცხავს ე.წ. შუალედურ შედეგს (ნივთის დაზიანება ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაო საშუალებით-სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და კონკრეტული საფრთხის არსებობას (დაუხმარებლობა-სსკ-ის 129-ე მუხ., განსაცდელში მიტოვება-სსკ-ის 128-ე მუხ.) და იმის დადგენა, თუ რომელ დელიქტთან გვაქვს საქმე, ხდება ქმედების საკანონმდებლო აღწერილობის გათვალისწინებით და ნორმის ტელეოლოგიური განმარტების საფუძველზე.

საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მიხედვით, ყაჩაღობა გულისხმობს სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით თავდასხმას, მაგრამ ასეთ თავდასხმას ადგილი არ ექნება თუ სახეზე არ არის დანაშაულებრივი ქმედებისთვის ვარგისი ობიექტი. ანალოგიურად უნდა გადაწყდეს საკითხი მაშინაც, როცა ადამიანს ჰგონია, რომ ადამიანს ესხმის თავს, მაგრამ სინამდვილეში იგი ცდება სიბნელის გამო და მის წინ მდგარ ხეს ადამიანად მიიჩნევს და მუქარა მიმართულია არა ადამიანის მიმართ, არამედ უვარგის ობიექტზე, რის გამოც ქმედება ყაჩაღობად ვერ დაკვალიფიცირდება. რამდენადაც ყაჩაღობა კონკრეტული ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ქმედებაა ქმედების ობიექტის ვარგისიანობას ქმედების შესაფასებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. იგივე ეხება ისეთ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტსაც, როგორიცაა განსაცდელში მიტოვება. თუ განსაცდელში მიტოვებულის მიმართ განსაცდელში მიმტოვებელს ზრუნვის სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა არ გააჩნია, ქმედება დაკვალიფიცირდება არა განსაცდელში მიტოვებად, არ-

ამედ დაუხმარებლობად მაშინაც, როცა განსაცდელში მიმტოვებელი ცდება და ჰგონია, რომ განსაცდელში მიტოვებული ის პირია, რომლის მიმართ ზრუნვის მოვალეობა გააჩნია (მაგალითად შვილი ან მშობელი). ამ შემთხვევაში ქმედების ობიექტის ვარგისიანობის არარსებობა განპირობებულია განსაცდელში მიტოვებულსა და მიმტოვებელს შორის იმ სპეციალური სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობის არარსებობით, რომელიც უნდა არსებობდეს განსაცდელში მიტოვების შემადგენლობის განსახორციელებლად. ქმედების ობიექტის ვარგისიანობაზე არ არის დამოკიდებული ისეთი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განხორციელება, რომელიც მასებზეა მიმართული. მაგალითად, სიცოცხლისთვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია (საქართველოს სსკ-ის 198-ე მუხლი).

პ. კრამერი აკრიტიკებს იმას, რომ *კ. ბინდინგი* ერთმანეთში ურევს საფრთხის გამოწვევისთვის ქმედების ვარგისიანობას და სამართლებრივი სიკეთისთვის ფაქტობრივად შექმნილ საფრთხეს, რაც კონკრეტული საფრთხის დელიქტებად იმ ქმედებათა შეფასებაში გამოიხატება, რომლებიც საფრთხის შექმნის შესაძლებლობას, უნარს შეიცავენ.[69]

თ. წერეთელი ბინდინგის თეორიის დამსახურებას იმაში ხედავს, რომ იგი საფრთხის სუბიექტური გაგების წინააღმდეგ გამოდის.[70] კერძოდ, იგი გულისხმობს *ბინდინგის* შეხედულებას იმასთან დაკავშირებით, რომ შიში საფრთხის ნაყოფია, მაგრამ საფრთხე არ არის შიშის ნაყოფი. შიშის საფუძველზე ზოგჯერ მდგომარეობას საშიშად ვაფასებთ, მაგრამ შიში ვერ აქცევს უსაფრთხო ვითარებას საშიშად. საფრთხის ცნება ყველაზე ნაკლებად წარმოადგენს ჩვენი შეცდომის, უცოდინარობის ნაყოფს.[71]

თ. წერეთელი ერთი მხრივ, ყურადღებას ამახვილებს *ბინდინგის* თეორიის დადებით მხარეზე, და მეორე მხრივ, ხაზს უსვამს მის ნაკლოვანებას. *თ. წერეთელი ბინდინგის* თეორიის ხარვეზს მიზეზობრიობაზე მისეულ მოძღვრებას უკავშირებს.[72]

3.4. პ. კრამერის თეორია

პ. კრამერის თვალსაზრისით, ქმედების უმართლობის დასაფუძნებლად აუცილებელი არ არის დაზიანებით გამოწვეული შედეგის დადგომა და შეფასების საგანს შეიძლება ქმედებაც წარმოადგენდეს. როგორც უვარგისი მცდელობის და შეკვეცილი დელიქტების დროს, შეიძლება ქმედება სოციალური თვალსაზრისით, მაშინაც შეფასდეს სამართლით დაცულ ინტერესზე თავდასხმად, როცა მას არავითარი ცვლილება რეალურ სამყაროში არ გამოუწვევია.[73] *კრამერი* ამგვარი დასკვნის გაკეთებით ცდილობს დაასაბუთოს, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები გულისხმობენ სამართლებრივად დაცულ ინტერესსზე თავდასხმას.

კრამერი აბსტრაქტულ საფრთხეს განიხილავს როგორც კონკრეტუ-

---

69 იხ. *Cramer P.,* Der Vollrauschtatbestand als abstraktes Gefährdungsdelikt, Tübingen, 1962, S. 52.

70 იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010, გვ. 201.

71 იხ. *Binding K.,* იქვე, გვ. 377.

72 იხ. *წერეთელი თ.,* იქვე, გვ. 203.

73 იხ. *Cramer P.,* იქვე, გვ. 62.

ლი საფრთხის წინა საფეხურს, რომელსაც შუალედური ადგილი უკავია კონკრეტულ საფრთხესა და ხელყოფას შორის. *კრამერის* შეხედულებით, „ხელყოფა გულისხმობს დაზიანებას, კონკრეტული საფრთხე ხელყოფის ალბათობას და აბსტრაქტული საფრთხე კონკრეტული საფრთხის ალბათობას“.[74] აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დროს ქმედება უნდა იყოს ვარგისი საფრთხის შექმნის შედეგი გამოიწვიოს და მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი კონკრეტული საფრთხის შექმნის ალბათობაზე.[75]

კრამერის თეორია შემდეგ ნაკლოვანებას შეიცავს: თუ ჩვენ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს განვმარტავთ როგორც კონკრეტული საფრთხის შექმნის ვარაუდს, გამოდის, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტისთვის პასუხისმგებლობა ვარაუდისთვის პასუხისმგებლობას წარმოადგენს. ვარაუდის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ბრალეული პასუხისმგებლობის კონსტიტუციურსამართლებრივ პრინციპს ეწინააღმდეგება. გარდა ამისა, *კრამერის* თეორია სხვა ხარვეზსაც შეიცავს, რაც აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის დელიქტების ურთიერთმიმართების პრობლემას ეხება. როგორც უკვე აღინიშნა, *კრამერი* აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს განიხილავს კონკრეტული საფრთხის დელიქტის წინარე საფეხურად. ასეთი თვალსაზრისით, აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის დელიქტებს შორის ისეთი დამოკიდებულებაა, როგორც დანაშაულის მომზადებასა და მცდელობას შორის, მაგრამ საქმე სულ სხვაგვარად არის. ზოგჯერ კონკრეტული საფრთხის არსებობა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განხორციელების წინაპირობაა და კონკრეტული საფრთხის შესაძლო განეიტრალებისგან თავის შეკავება განიხილება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად. მაგალითად, დაუხმარებლობის ან განსაცდელში მიტოვების დროს. განსაცდელში ყოფნა თავისთავად გულისხმობს კონკრეტულ საფრთხეს, მაგრამ განსაცდელში მიმტოვებელს პასუხისმგებლობა ადამიანის განსაცდელში ჩაყენების გამო კი არ ეკისრება, არამედ უკვე არსებული კონკრეტული საფრთხის განეიტრალებისაგან თავის შეკავების და დაუხმარებლობის გამო. ამ შემთხვევაში კონკრეტული საფრთხის არსებობა საფუძველია აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განხორციელებისა. თუ ადამიანი განსაცდელში არ აღმოჩნდება და მის სიცოცხლეს კონკრეტული საფრთხე არ შეექმნება, დახმარების ვალდებულებაც არ წარმოიშობა და დაუხმარებლობის და განსაცდელში მიტოვების განხორციელებაც შეუძლებელი იქნება.

3.5. აბსტრაქტული საფრთხე, როგორც წინდახედულების დაცვის ვალდებულების ობიექტური დარღვევა

ე. ჰორნი[76] და *ვ. ბრემი*[77] მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები წინდახედულობის ობიექტურად დამრღვევ, უშედეგო გაუფრთხილებლობით ქმედებას გულისხმობენ. წინდახედულება ობიექტური და ნორმატიული ცნებაა. მისი შინაარსი განისაზღვრება

[74] იხ. *Cramer P.*, იქვე, გვ. 68-69.

[75] იხ. *Cramer P.*, იქვე, გვ. 69.

[76] იხ. *Horn E.*, Konkrete Gefährdungsdelikte, Köln, 1973, S. 94.

[77] იხ. *Brehm W.*, Zur Dogmatik des abstrakten Gefährdungsdelikts, Tübingen, 1973, S. 89, 126.

არა იმის მიხედვით, დამნაშავემ თუ რომელი წინდახედულების ნორმა დაარღვია და რომლის დაცვა შეეძლო, არამედ იმის მიხედვით, რომლის დაცვაც საჭირო და შესაძლებელი იყო გონიერი და წინდახედული ადამიანის თვალსაწიერიდან გამომდინარე. ობიექტური წინდახედულება გულისხმობს ყველა იმ გარემოების გათვალისწინებას, რომელსაც ქმედებაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია და რომლის განჭვრეტა ობიექტურად, კეთილგონიერად შესაძლებელია.[78]

ჰორნის და *ბრემის* თვალსაზრისით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების შემადგენლობა უშედეგო გაუფრთხილებლობითი ქმედების შემადგენლობას წარმოადგენს. დასახელებული მეცნიერები საფრთხის შემქმნელი დელიქტების განსაზღვრებას შედეგთან მჭიდრო კავშირში წარუმატებლად მიიჩნევენ.

როგორც *ბრემი* მიუთითებს, ქცევის წესის დარღვევა, რომელსაც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი შეიცავს, ამავდროულად კონკრეტული ქმედების ვალდებულების დარღვევას გულისხმობს.[79] *ბრემი* ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი ხშირად მართლწესრიგის დარღვევაში გამოიხატება, ხოლო მართლწესრიგი იმით განსხვავდება სისხლის სამართლისგან, რომ აკრძალვა ფორმალურად არის გაგებული.[80]

ბრემი მიიჩნევს, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში მართლწინააღმდეგობის დასადგენად ახალი მოძღვრება არ არის ჩამოსაყალიბებელი და ასეთ დელიქტებში მართლწინააღმდეგობა უნდა იქნეს დასაბუთებული ქმედების უმართლობის მოძღვრების მიხედვით, რომლის თანახმადაც, ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, თუ დარღვეულია კონკრეტული ქმედების ვალდებულება[81]. *ბრემის* თვალსაზრისით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში, ისევე როგორც გაუფრთხილებლობით დელიქტებში, კონკრეტული ქმედების ვალდებულების დარღვევა აფუძნებს უმართლობას.[82]

ქმედების ვალდებულების შინაარსი გულისხმობს იმის დადგენას, არის თუ არა ქმედება ex ante ვარგისი იმისათვის, რომ არასასურველი შედეგი გამოიწვიოს. *ბრემის* შეხედულებით, კონკრეტული ქმედების მოვალეობა კონსტრუირებულია ორი მომენტისგან: კონკრეტული ვითარება, რომელშიც მოქმედი პირი იმყოფება და ნორმა, რომელიც ქმედების ზოგად მითითებას შეიცავს.[83] *ბ.შუნემანმა ბრემის და ჰორნის* თეორიის მოდიფიცირება მოახდინა და დასძინა, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები წინდახედულების არა ობიექტურ, არამედ სუბიექტურ დარღვევას გულისხმობენ.

ბრემის და *ჰორნის* მიერ ჩამოყალიბებული თეორიის ნაკლოვანება მდგომარეობს სწორედ იმ მთავარ დებულებაში, რომელსაც დასახელებული მეცნიერები მათ მიერ ჩამოყალიბებულ თეორიას საფუძვლად უდებენ. როგორც აღინიშნა, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დასჯადობის საფუძველს წინდახედულების ვალდებულების ობიექტუ-

---

78 იხ. *Welzel H.,* Das Deutsche Strafrecht, 11. Aufl., Berlin, 1969, S. 131-132.

79 იხ. *Brehm W.,* იქვე, გვ. 89.

80 იხ. *Brehm W.,* იქვე, გვ. 89.

81 იხ. *Brehm W.,* იქვე, გვ. 90.

82 იხ. *Brehm W.,* იქვე, გვ. 91.

83 იხ. *Brehm W.,* იქვე, გვ. 96.

რი დარღვევა წარმოადგენს, მაგრამ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების გაიგივება წინდახედულების ობიექტურ დარღვევასთან მიუღებელია. წინდახედულების ობიექტური დარღვევა გაუფრთხილებლობითი დანაშაულისთვის არის დამახასიათებელი და წარმოდგენილი თეორიის მიხედვით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები გაუფრთხილებლობით დანაშაულადაა წარმოდგენილი. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ჩვენ გვხვდება ისეთი შემადგენლობანიც, სადაც წინდახედულების დარღვევა კი არ ხდება, არამედ ნორმის მოთხოვნის შეგნებული, განზრახი უგულებელყოფა. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ უკანონო აბორტის, განსაცდელში მიტოვების, დაუხმარებლობის შემადგენლობა. დასახელებული დელიქტების დასჯადობის დასაბუთება *ჰორნის* და *ბრემის* თეორიის მიხედვით შეუძლებელია. ასევე, თუ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს განვმარტავთ როგორც წინდახედულების ვალდებულების მხოლოდ ობიექტურ დარღვევას და სუბიექტურ მომენტს არავითარ მნიშვნელობას მივანიჭებთ, გამოდის, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტისთვის ადამიანის დასჯა იგივეა, რაც „გაუფრთხილებლობითი მცდელობისთვის“ დასჯა, მაგრამ არა დაუმთავრებელი დანაშაულის, არამედ დამთავრებული დანაშაულის ფორმით.

წინდახედულების ვალდებულების მხოლოდ ობიექტური დარღვევისთვის სისხლისსამართლებრივი დასჯადობა მაშინაა გამართლებული, როცა წინდახედულების ვალდებულების ობიექტურ დარღვევას საზიანო შედეგი მოჰყვება (ხელყოფის ანუ შედეგიანი დელიქტი) ან ასეთი შედეგის დადგომის კონკრეტული საფრთხე იქმნება (კონკრეტული საფრთხის დელიქტი) ან კიდევ მაშინ, როცა ქმედების შემადგენლობაში მითითებულია მავნე შედეგის გამოწვევის შესაძლებლობაზე (აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტი). მხოლოდ გაუფრთხილებლობისთვის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის დაწესება გაუმართლებელია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 242-ე მუხლით გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი დასჯადობა აფეთქებასაშიშ საწარმოში ან საამქროში საწარმოო-ტექნიკური უსაფრთხოების წესის დარღვევისთვის, თუ მას შეეძლო გაუფრთხილებლობით გამოეწვია მძიმე შედეგი. აღნიშნული დანაშაული მიეკუთვნება აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტების რიცხვს, რომელიც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ნაირსახეობას წარმოადგენს.[84] სუბიექტური მხრივ დანაშაული გაუფრთხილებლობით ხორციელდება, რაც სსკ-ის 242-ე მუხლის დისპოზიციაშიც არის აღნიშნული, მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარია ისეთ ქმედებაზე, რომელიც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის მომეტებულ საფრთხეს შეიცავს კლასიკური აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებთან შედარებით და ამით შეიძლება გამართლდეს შედეგის გამოწვევის გარეშე გაუფრთხილებლობითი ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის დაწესება. ქმედების 242-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ უსაფრთხოების წესების დარღვევა, არამედ უნდა დადგინდეს, რომ ქმედებას (უსაფრთხოების

[84] *გ. მამულაშვილი* განსახილველ დანაშაულს კონკრეტული საფრთხის დელიქტს მიაკუთვნებს. იხ. *მამულაშვილი გ.*, წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 690-691.

წესების ობიექტურ დარღვევას) შეეძლო მძიმე შედეგის გამოწვევა. კანონმდებლის მიერ ამა თუ იმ დელიქტის საკანონმდებლო აღწერისას მძიმე შედეგის გამოწვევის შესაძლებლობაზე მითითება წარმოადგენს ქმედების საშიშროების ხარისხზე ხაზგასმას. ამით კანონმდებელი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საქმე ეხება განსაკუთრებული საშიშროების შემცველ (და არა კონკრეტული საფრთხის შემქმნელ) ქმედებას. თუკი კანონმდებელი სისხლისსამართლებრივ დასჯადობას მხოლოდ უსაფრთხოების წესის დარღვევისთვის დააწესებდა ქმედების საშიშროების (მძიმე შედეგის გამოწვევის შესაძლებლობა) გაუთვალისწინებლად, მაშინ მეტისმეტად გაამკაცრებდა სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას და, რაც მთავარია, დაირღვეოდა საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ დანაშაულებრივ ქმედებად არ შეიძლება ჩაითვალოს მცირე მნიშვნელობის ქმედება.

3.6. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი, როგორც წინდახედულების ვალდებულების სუბიექტური დარღვევა

ბ. შუნემანის თვალსაზრისით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი, რომელიც ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის დაცვას ემსახურება, წინდახედულების ვალდებულების სუბიექტური დარღვევით ხასიათდება. კერძოდ, დამნაშავე საფრთხის ასაცილებლად არავითარ ღონისძიებას არ ახორციელებს, მაშინ, როცა ასეთი ზომების მიღება დამნაშავის შეფასებით შესაძლებელი იყო. მაშასადამე, მისი შეხედულებით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი გულისხმობს არა მხოლოდ ისეთი ზომების განუხორციელებლობას, რომელსაც შეუძლია საფრთხის თავიდან აცილება, არამედ ასეთი ზომების მიღების შესაძლებლობას და იმას, რომ ობიექტურ გარემოებათა გათვალისწინებით უნდა იყოს აღნიშნული ღონისძიებანი საფრთხის თავიდან ასაცილებლად საკმარისი.[85] აღნიშნული თვალსაზრისის მიხედვით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად არ შეიძლება ჩაითვალოს საცხოვრებელი სახლისთვის მხოლოდ ცეცხლის წაკიდება. თუ ცეცხლის წამკიდებელი დარწმუნდება, რომ შენობაში და მის ახლოს არავინ არ იმყოფება, ადამიანებისგან დაცლილი საცხოვრებელი სახლისთვის მხოლოდ ცეცხლის წაკიდება არ შეიძლება თუნდაც აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ დელიქტად ჩაითვალოს. როდესაც ვამბობთ საცხოვრებელ სახლს, თუ შენობას, იგულისხმება არა მიტოვებული შენობა, რომელიც ოდესღაც საცხოვრებლად გამოიყენებოდა, არამედ ისეთი, რომელიც ჯერ კიდევ გამოიყენება ადამიანთა საცხოვრებლად და ამიტომაც განიხილება შესაბამისი ქმედება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად. წინააღმდეგ შემთხვევაში აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის შემადგენლობა იქნებოდა განხორციელებული მაშინაც, როცა ადამიანი ახალი სახლის ასაშენებლად ძველ სახლს დაანგრევდა უსაფრთხოების წესების სრული დაცვით.

---

[85] იხ. *Schünemann B.*, Moderne Tendenzen in der Dogmatik der Fahrlässigkeits- und Gefährdungsdelikte, JA 1975, S. 798.

შუნემანი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს სამ კატეგორიად ჰყოფს:[86]

პირველ კატეგორიას მიაკუთვნებს ისეთ დელიქტებს, როგორიცაა ცრუ ჩვენების მიცემა, ქრთამის მიცემა და ქრთამის აღება.

მეორე ჯგუფის დელიქტებს კი ისეთ დელიქტებს, რომელიც ისჯება იმ ნორმით, რომელიც მასების ქმედების რეგულირებას ემსახურება. ასეთი ტიპის აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად იგი განიხილავს საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი ნორმით გათვალისწინებულ დელიქტს (მაგალითად გერმანული სსკ-ის 316-ე პარაგრაფით გათვალისწინებული დელიქტი).

მესამე ტიპის დელიქტებს იგი მიაკუთვნებს დელიქტებს, რომელთა შემთხვევაშიც კანონმდებელს სურს მხოლოდ აკრძალვის დარღვევა დასაჯოს (გერმანული სსკ-ის 306-ე პარაგრაფის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დელიქტი – ცეცხლის წაკიდება). ამ მესამე ტიპის დელიქტებს გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში აბსტრაქტულ-კონკრეტულ საფრთხის დელიქტებსაც უწოდებენ.

3.7 დუალისტური თეორია

ი. ვოლტერი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს ყოფს ორ ჯგუფად: ნამდვილი და არანამდვილი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები.[87]არანამდვილი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დროს დამნაშავე გაუფრთხილებლობით ქმნის ხელყოფისთვის ადეკვატურ საფრთხეს ან განზრახ მოქმედებს, მაგრამ საფრთხესთან დაკავშირებით ცდება და ჰგონია, რომ ხელყოფისთვის ადეკვატური საფრთხე გამოიწვია. მაშასადამე, აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, დასახელებული ჯგუფის აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების უმართლობისა და ბრალეულობისათვის საჭირო და საკმარის წინაპირობას წარმოადგენს შემდეგი ორი ალტერნატივიდან ერთ-ერთის არსებობა: გაუფრთხილებლობა და რეალური საშიშროება ან განზრახვა და მოჩვენებითი საშიშროება.[88] *ვოლტერს* ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს გერმანული სსკ-ის 306-ე პარაგრაფით გათვალისწინებული დანაშაული – ცეცხლის წაკიდება. ცეცხლის წამკიდებელმა თავისი ქმედებით უნდა შექმნას რეალური საფრთხე, რომლის მიმართ გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება ექნება ან უნდა მოქმედებდეს იმ წარმოდგენით, რომ საფრთხე შექმნა, მაგრამ ეს უნდა იყოს მოჩვენებითი და არა რეალური. 306-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა არ მოითხოვს რეალური საფრთხის შექმნას და ამიტომ არ არის იმის საჭიროებაც, რომ დამნაშავის განზრახვით იყოს იგი მოცული, თუ იგი მისმა ქმედებამ (განზრახ ცეცხლის წაკიდებამ) გამოიწვია. ასეთ შემთხვევაში სახეზეა უმართლობის ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთიანობა: განზრახი ქმედება (ცეცხლის წაკიდება) და გაუფრთხილებლობით გამოწვეული რეალური საფრთხე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისა. ყოველივე აღნიშნულის

---

[86] იხ. *Schünemann B.*, JA 1975, S. 798.

[87] იხ. *Wolter J.*, Objektive und personale Zurechnung von Verhalten, Gefahr und Verletzung in einem funkzionalen Straftatsystem, Berlin, 1981, S. 276.

[88] იხ. *Wolter J.*, იქვე,გვ. 296.

მერე იბადება კითხვა, ხომ არა აქვს ადგილი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის ქმედების შემადგენლობის ნიშნად კონკრეტული საფრთხის მოთხოვნას? რამდენად აუცილებელია აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განსახორციელებლად რეალური საფრთხის შექმნა თუნდაც გაუფრთხილებლობით? *ვოლტერი,* ერთი მხრივ, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის ნიშნად რეალური საფრთხის (გაუფრთხილებლობით) შექმნას მიიჩნევს, ხოლო, მეორე მხრივ, უშვებს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის არსებობას ასეთი რეალური საფრთხის გარეშე. მაგრამ ამ შემთხვევაში იგი მოითხოვს, რომ დამნაშავე მოქმედებდეს რეალური საფრთხის შექმნის რწმენით, მაშინ, როცა რეალური საფრთხე არ არსებობს და იგი მხოლოდ დამნაშავის წარმოდგენაშია. ასეთი მსჯელობით კონკრეტული საფრთხის დელიქტის უვარგისი მცდელობის დასჯა ხდება იმ ნორმით, რომელიც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის დასჯადობას აწესებს. *ვოლტერს* არ გააჩნია ერთიანი კრიტერიუმი ქმედების აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად შესაფასებლად.

ვოლტერის დებულებიდან კიდევ ის არის მნიშვნელოვანი, რომ იგი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედების და საფრთხის ერთმანეთისგან გამიჯვნით აღწევს განსხვავებული სუბიექტური დამოკიდებულების დადგენას ქმედების და საფრთხის მიმართ. ქმედებისა და ქმედებით შექმნილი საფრთხის ურთიერთგამიჯვნით იგი ახერხებს ქმედების მიმართ განზრახვის, ხოლო შექმნილი საფრთხის მიმართ გაუფრთხილებლობის დადგენას. ეს კი ეწინააღმდეგება ცალკეულ ავტორთა მიერ გამოთქმულ იმ დებულებას, რომლის მიხედვით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში საფრთხე ქმედების შემადგენლობის ნიშანი არ არის და აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განხორციელებისას ხდება არა საფრთხის შექმნა, არამედ საშიში თვისებების მქონე ქმედების განხორციელება და, შესაბამისად, საშიშროება განხორციელებული ქმედების მხოლოდ თვისებაა, რომლის გამოყოფა ქმედებისგან შეუძლებელია. თუ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში საშიშროებას ქმედების თვისებად ჩავთვლით და არა ქმედებით გამოწვეულ „შედეგად“, ქმედების და საფრთხის მიმართ განსხვავებული სუბიექტური დამოკიდებულების დადგენაც გაგვიჭირდება. უფრო მეტიც, *ვოლტერის* კონცეფციის მიხედვით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის ფორმას ატარებს, რამდენადაც განზრახვისა და გაუფრთხილებლობის კომბინაციაზე საუბარი, არა თუ აბსტრაქტული საფრთხის, არამედ კონკრეტული საფრთხის და ხელყოფის დელიქტების ძირითად შემადგენლობებშიც შეუძლებელია.

ვოლტერის მიხედვით, ნამდვილ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს მიეკუთვნება მასების მიმართ განხორციელებული ქმედება (სატრანსპორტო დანაშაული), რომელშიც დასჯადობა მხოლოდ წესის დარღვევას არ შეიძლება უკავშირდებოდეს[89].

ვოლტერის თვალსაზრისით, ზოგიერთი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპთან შესაბამისი განმარტების პატარა ბაზისს სუბიექტური გაუფრთხილებლობა წარმოადგენს.[90]

---

[89] იხ. *Wolter J.*, იქვე, გვ. 277.

[90] იხ. *Wolter J.*, იქვე, გვ. 289.

3.8. სამართლებრივი საზოგადოების ნდობის ხელყოფის თეორია

უ. ბერცის თეორია „იდეალური სამართლებრივი სიკეთის“ (ideell zu verstehende Rechtsgut) ცნებას ეფუძნება. აღნიშნული თეორიის მიხედვით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის აკრძალვა გულისხმობს სამართლებრივი სიკეთის, როგორც იდეალური ღირებულების და არა მისი სხეულებრივი მთლიანობის (სამართლებრივი სიკეთის ობიექტის) დაცვას.[91] აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის დასჯადობის საფუძველს, *ბერცის* თვალსაზრისით, „იდეალური სამართლებრივი სიკეთის“ ხელყოფა წარმოადგენს.[92] მაგრამ, იბადება კითხვა, რამდენად შესაძლებელია აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას ყოველთვის ჰქონდეს ადგილი?

თუ ჩვენ სამართლებრივ სიკეთეს განვმარტავთ არა როგორც იდეალურ ღირებულებას, არამედ როგორც რეალურად, ობიექტურად არსებულს, რომელიც განსხეულებულია, ასეთი დასკვნის გამოტანა შეუძლებელი გახდება. *ბერცი* მის მიერ ჩამოყალიბებულ დასკვნამდე სწორედ იმის წყალობით მიდის, რომ იგი სამართლებრივ სიკეთეს განსაზღვრავს როგორც იდეალურ ღირებულებას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია ისეთი დანაშაული, რომელიც გულისხმობს იმ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას, რომელიც იდეალურ ღირებულებად უნდა იქნეს გაგებული და მას არ გააჩნია ფიზიკური გამოხატულება. იგი არ არსებობს განსხეულებული ფორმით. ასეთ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. კერძოდ, მიცვალებულისადმი უპატივცემულობა (საქართველოს სსკ-ის 258-ე მუხლი), პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა (სსკ-ის 254-ე მუხლი). საზოგადოებრივ ზნეობას, როგორც სამართლით დაცულ სიკეთეს, არ გააჩნია არსებობის ფიზიკური, სხეულებრივი ფორმა. ზნეობა ზოგადად, შეფასებითი კატეგორიაა. ყველა საზოგადოებას თავისი ზნეობრივი ნორმა გააჩნია. საზოგადოების ზნეობა იდეალური ღირებულებაა, რომელიც აღიქმება გონების თვალით და არა გრძნობის ორგანოთი. ამიტომაც, მიცვალებულისადმი უპატივცემულობა და პროსტიტუციისთვის ადგილის დათმობა არ წარმოადგენს ე. წ. მატერიალურ დანაშაულს. საქართველოს სსკ-ის 254-ე და 258-ე მუხლებით გათვალისწინებული შემადგენლობა ფორმალურია.

მაშინ, როცა საქმე ეხება ისეთ ქმედების შემადგენლობას, რომელიც მიზნად ისახავს დაიცვას ისეთი სამართლებრივი სიკეთე, რომელიც რეალურად, ობიექტურად არ არსებობს და იდეალურ ღირებულებას ემთხვევა,[93] ქმედების შემადგენლობის განხორციელებით შეიძლება არა თუ საფრთხე შეექმნას სამართლით დაცულ სიკეთეს, არამედ ხელყოფილი/დარღვეული იქნეს კიდეც იგი და დანაშაული, მიუხედავად

---

[91] იხ. *Berz U.,* Formelle Tatbestandsverwirklichung und materialer Rechtsgueterschutz, Muenchen, 1986, S. 113.

[92] იხ. *Berz U.,* იქვე, გვ. 113.

[93] ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს სამართლებრივი სიკეთე და ღირებულება, მაგრამ ზოგჯერ ისინი ემთხვევა ერთმანეთს. აღნიშნული საკითხი უფრო ვრცლად ქვემოთ არის განხილული. იხ. V თავი.

„*სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისა*“, განიხილება არა შედეგიან, არამედ ფორმალურ ანუ უშედეგო დანაშაულად, რამდენადაც არ მომხდარა ცვლილება გარე სამყაროში. ასეთ ცვლილებას გარე სამყაროში ადგილი აქვს მაშინ, როცა ზიანი ადგება სხეულებრივ სამართლებრივ სიკეთეს.

ბერცის შეხედულებით, დაცული ობიექტის ხელყოფა ან მისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნა ამავდროულად სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას წარმოადგენს (იდეალური გაგებით), აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დროსაც სისხლისსამართლებრივი რეაქციისთვის საკმარისია ქმედების შემადგენლობით აკრძალული ქმედებით მსგავსი შედეგის გამოწვევა (დაცული ობიექტის ხელყოფა ან მისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნა).[94]

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ დაცული ობიექტი (ქმედების ობიექტი) და დაცული სამართლებრივი სიკეთე. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განხორციელება შესაძლებელია ისე, რომ მოხდეს ქმედების ობიექტის ხელყოფა. მაგალითად, გერმანიის სსკ-ის 306-ე პარაგრაფით დასჯადია საცხოვრებელი სახლისთვის ცეცხლის წაკიდება. ცეცხლის წაკიდების დროს ხდება საცხოვრებელი სახლის (ქმედების ობიექტის) ხელყოფა და აბსტრაქტული საფრთხე ექმნება ადამიანთა სიცოცხლეს. *ბერცის* თვალსაზრისით, საცხოვრებელი სახლისთვის ცეცხლის წაკიდება ანუ დაცული (ქმედების) ობიექტის ხელყოფა იდეალური სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასაც ნიშნავს. აღნიშნული თვალსაზრისი არ შეიძლება გაზიარებული იქნეს. მართალია, რიგ შემთხვევებში შეიძლება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასაც გულისხმობდეს, მაგალითად ისეთი სამართლებრივი სიკეთისა, როგორიცაა საზოგადოებრივი წესრიგი, საზოგადოებრივი ზნეობა, მაგრამ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედების (დაცული) ობიექტის ხელყოფა ავტომატურად ყოველთვის როდი გულისხმობს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასაც.

ამავე თეორიის თანახმად, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტთა შემადგენლობანი ისეთ ქმედებას კრძალავენ, რომლებსაც, ზოგადად ცხოვრებისეული გამოცდილების მიხედვით, გენერალურად, ხშირად, დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანების გამოწვევა შეუძლიათ, ამიტომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედების განხორციელება გულისხმობს დაცული სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობის უგულებელყოფას, შესაბამისად, წინდახედულების მოთხოვნის დარღვევას.[95]

ბერცის თეორიის მიხედვით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი სამართლებრივი საზოგადოების ნდობის დარღვევას წარმოადგენს, მაგრამ ამას ადგილი არ ექნება მაშინ, თუ დამნაშავე დაზიანების, ხელყოფის თავიდან აცილებაში დარწმუნებულია[96] და თუ შედეგი მართლაც არ დადგება.[97] ასეთ დროს ადგილი აქვს ამკრძალავი ნორმის მხოლოდ ფორმალურ დარღვევას. სხვაგვარად იქნება საქმე მაშინ, თუ დამნაშავე მისი ქმედების უსაფრთხოებაში დარწმუნებულია, მაგრამ ქმედებას

---

[94] იხ. *Berz U.*, იქვე,გვ. 115.

[95] იხ. *Berz U.*, იქვე,გვ. 114.

[96] იმ განსაზღვრულ გარემოებათა საფუძველზე, რომელიც გარეგნულად შეიძლება გამოვლინდეს და გადამოწმდეს.

[97] იხ. *Berz U.*, იქვე,გვ. 114.

მავნე შედეგი მოჰყვება. *ბერცის* თვალსაზრისით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განხორციელებისას ქმედება სისხლისსამართლებრივად რელევანტური უნდა იყოს. მისი შეფასებით, ქმედება სისხლისსამართლებრივად მაშინაა რელევანტური, როცა ქმედებას ხელყოფის გამოწვევა შეუძლია და დამნაშავესაც გააჩნია იმის შესაძლებლობა, გააცნობიეროს, რომ მას სხვისი დაზიანება შეუძლია. მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა არ არის გენერალურად, ზოგადად აკრძალული,[98] არამედ მაშინ, როცა მას მავნე შედეგის გამოწვევა შეუძლია. კერძოდ, ჰაერში უმისამართო სროლა ხალხმრავალ ადგილას აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია, მაგრამ, ტყეში ნადირის მოსაკლავად სროლა არ არის აკრძალული. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას უმისამართო სროლა საზოგადოებრივ წესრიგს არღვევს და იგი კვალიფიცირდება საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლით (ხულიგნობა). საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა თითქოს სსკ-ის 239-ე მუხლში მოცემული ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული „შედეგია“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხულიგნობა ფორმალურ დანაშაულად უნდა განვიხილოთ. საზოგადოებრივი წესრიგი გულისხმობს საზოგადოებრივი ცხოვრების უსაფრთხოებას, რომელიც სხვადასხვა სფეროს მოიცავს.[99] საზოგადოებრივი წესრიგის ანუ საზოგადოებრივი ცხოვრების უსაფრთხოების დარღვევას ყველა იმ დანაშაულის განხორციელებისას აქვს ადგილი, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავშია მოცემული (მაგალითად ბანდიტიზმი). კანონმდებელი ზოგჯერ ისე აყალიბებს საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფ ქმედებათა შემადგენლობას, რომ ქმედების შემადგენლობაში არ სჭირდება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე, როგორც ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ შედეგზე მითითება (ბანდიტიზმის დროს), ვინაიდან ქმედება თავისთავად გულისხმობს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებელს ქმედების შემადგენლობის ჩამოყალიბებისას სჭირდება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე, როგორც ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ „შედეგზე“ მითითება (ხულიგნობის დროს). კანონმდებელი რიგ შემთხვევებში ქმედების შემადგენლობას ისე აყალიბებს, რომ ამა თუ იმ დანაშაულის განსაზღვრებასაც იძლევა (აღწერილობითი დისპოზიცია), სხვაგვარად ქმედების შემადგენლობას ვერ აღწერს და სწორედ ასეთ შემადგენლობაში ვხვდებით მსგავს „შედეგზე“ მითითებას, რომელიც არ არის იმ შედეგის ეკვივალენტური, რომელიც შედეგიანი და უშედეგო შემადგენლობათა გასამიჯნავად გამოიყენება. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა არ შეიძლება განხილული იქნეს ცვლილებად გარესამყაროში, რომელთანაც საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი ქმედების მიზეზობრივი კავშირის დადგენა ხდება. შედეგიან ანუ ე. წ. მატერიალურ დანაშაულებში შესაძლებელია ქმედებისგან შედეგის გამოყოფა. მაგალითად, მკვლელობის დროს ქმედება (მსხვერპლის სასმელ წყალში საწამლავის ჩაყრა) შეიძლება განხორციელდეს ერთ დღეს და შედეგი

---

[98] იხ. *Berz U.,* იქვე, გვ. 113.

[99] იხ. *თოდუა ნ.,* წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 569.

(სიცოცხლის მოსპობა) დადგეს მეორე დღეს. მაგრამ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი ქმედების და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამოყოფა პრაქტიკულად გამორიცხულია. აღნიშნულიდან გამომდინარე საკამათოდ უნდა იქნეს მიჩნეული ის შეხედულება, რომელიც ხულიგნობას შედეგიან დელიქტებს მიაკუთვნებს.[100] შედეგიან დელიქტებში ქმედებას ყოველთვის არ მოჰყვება ის შედეგი, რისი გამოწვევის მიზნითაც დამნაშავე მოქმედებს და ასეთ დროს ქმედება დანაშაულის მცდელობად ფასდება, მაგრამ ხულიგნობის შემთხვევაში შეუძლებელია ეს მოხდეს. ხულიგნობის დროს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას იმთავითვე იწვევს ის ქმედება, რომელიც ხორციელდება. მართებულად მიუთითებს *გ. ტყეშელიაძე*, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა გულისხმობს დანაშაულებრივ შედეგს მხოლოდ ფორმალური (არამატერიალური) გაგებით.[101] მაშასადამე, ხულიგნობა შედეგგარეშე (ფორმალური) დანაშაულია.

ბერცის თეორიის მიხედვით, მაშინ, როცა შედეგი კონკრეტულ ქმედებას არ მოჰყვება და დამნაშავე მოქმედებს იმის რწმენით, რომ მისი ქმედება საშიში არ არის, ადგილი არ ექნება როგორც შედეგის, ისე ქმედების უმართლობის განხორციელებას, ვინაიდან ქმედება შესაბამისი ნორმის და სისხლის სამართლის მიზანს სამართლებრივი სიკეთის დაცვასთან დაკავშირებით არ ეწინააღმდეგება. აქედან გამომდინარე, მაშინ, როცა ქმედება მხოლოდ ფორმალურად შეესაბამება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის ქმედების შემადგენლობას, სამართლებრივი სიკეთე ხელყოფილად არ ითვლება.[102] მაგრამ იბადება კითხვა, რამდენად მართებულია აბსტრაქტული საფრთხის არსებობის ან არარსებობის დასაბუთება იმის მიხედვით, თუ რამდენად აღიქვამდა მას მოქმედი პირი. საფრთხის ასეთი განსაზღვრა სუბიექტური თეორიისთვისაა დამახასიათებელი, რომელიც მოქმედი პირის ცოდნას და შეგნებას უკავშირებს საფრთხის არსებობის საკითხს, რაც არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს.

ბერცი აღნიშნავს, რომ თუ შედეგიან დელიქტებში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მაშინ შეიძლება დადგეს, როცა დამნაშავე შედეგის დადგომას შესაძლებლად მიიჩნევს (განზრახვა) ან ასეთ შესაძლებლობას არ აცნობიერებს (გაუფრთხილებლობა), აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში საკმარისია განზრახვა ან გაუფრთხილებლობა მხოლოდ აკრძალულ ქმედებასთან დაკავშირებით.[103] მიუხედავად იმისა, რომ *ბერცი* აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში (იდეალური გაგებით) სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას შესაძლებლად მიიჩნევს, მას მაინც არ თვლის იმ შედეგად, რომელსაც სისხლის სამართლის მეცნიერებაში შედეგიანი და შედეგგარეშე შემადგენლობათა გასამიჯნავად იყენებენ. სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში განზრახვის და გაუფრთხილებლობის შინაარსთან დაკავშირებით მის მიერ გამოთქმული შეხედულება. იქ, სადაც არ მომხ-

---

[100] იხ. *თოდუა ნ.*, იქვე, გვ. 676.

[101] იხ. *ტყეშელიაძე გ.*, წიგნში: *ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი ლ.*, (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 120.

[102] იხ. *Berz U.*, იქვე, გვ. 114-115.

[103] იხ. *Berz U.*, იქვე, გვ. 115.

დარა (არა იდეალურად გაგებული, არამედ რეალურად, ობიექტურად არსებული) სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, შეუძლებელია განზრახვის ან გაუფრთხილებლობის დადგენა დანაშაულებრივი შედეგისადმი დამოკიდებულების მიხედვით. განზრახვის ან გაუფრთხილებლობის დადგენა შედეგისადმი დამოკიდებულების მიხედვით ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ადგილი აქვს რეალურ სამყაროში კაუზალურად გამოწვეულ ცვლილებას. რამდენადაც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებისთვის ასეთი ცვლილების გამოწვევა არ არის დამახასიათებელი, განზრახვა და გაუფრთხილებლობაც მხოლოდ აკრძალული ქმედებისადმი დამოკიდებულებით დგინდება.

3.9. უ. ქინდჰოიზერის თეორია

უ. ქინდჰოიზერის თვალსაზრისითაც, ისევე როგორც გენერალური საფრთხის თეორიის მიხედვით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედება გენერალურად ან ტიპურად სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას უნდა იწვევდეს.[104] *ქინდჰოიზერი* უარყოფს იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ხელყოფის და აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები, რომლებიც ყოველთვის განსხვავებული სტრუქტურის ნორმითაა გათვალისწინებული, ერთიდაიგივე მიზანს ემსახურებიან. *ქინდჰოიზერის* თვალსაზრისით, ორივე ტიპის დელიქტი სხვადასხვა მიზანს ემსახურება.[105] რამდენადაც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის თავიდან აცილება აღემატება იმ ნორმის მიზანს, რომელიც საფრთხის შექმნას კრძალავს, ამდენად ხელყოფის ამკრძალავი ნორმები მოიცავენ არა საფრთხის შემქმნელ, არამედ ხელმყოფ ქმედებებს.[106]

უ. ქინდჰოიზერი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ნორმის მიზანს სამწევროვანი სისტემის საფუძველზე განსაზღვრავს, რომელიც გულისხმობს ურთიერთობას ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ ქმედებას, სიკეთეს და ნორმატიულ მოლოდინს შორის. ეს ნორმატიული მოლოდინი არის სიკეთის უსაფრთხო განკარგვის შესაძლებლობა. მისი შეხედულებით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი არ იცავს სამართლებრივ სიკეთეს, არამედ „უსაფრთხოებას“ უზრუნველყოფს. იგი ერთმანეთისგან განასხვავებს ავტონომიურ და ჰეტერონომიულ უსაფრთხოებას. ავტონომიური უსაფრთხოების დაცვა არ საჭიროებს სისხლისსამართლებრივ ჩარევას. იგი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა რისკი სოციალური ადეკვატურობის ფარგლებს არ სცდება. მაგალითად, რისკი აზარტული თამაშის დროს. ასეთ შემთხვევებში სისხლისსამართლებრივი ჩარევა არ ღირს, იგი უვარგისი და უმნიშვნელოა სისხლისსამართლებრივი ჩარევისთვის. *ქინდჰოიზერის* თეორიის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დაცვა გარანტირებული უნდა იქნეს ჰეტერონომიული უსაფრთხოების (მაგალითად უსაფრთხოება საგზაო მოძრაობის დროს) უზრუნველსაყოფად.[107] ავტონომიურ და ჰეტერონო-

---

[104] იხ. *Kindhäuser U.,* Gefährdung als Straftat, Rechtstheoretische Untersuchungen zur Dogmatik der abstrakten und konkreten Gefährdungsdelikte, Frankfurt/M, 1989, S. 229, 238.

[105] იხ. *Kindhäuser U.,* იქვე, გვ. 272.

[106] იხ. *Kindhäuser U.,* იქვე, გვ. 170.

[107] იხ. *Kindhäuser U.,* იქვე, გვ. 179.

მიულ უსაფრთხოებას შორის ზღვარის გავლება საზოგადოების თვითშეგნებაზეა დამოკიდებული. უსაფრთხოება, აღნიშნული კონცეფციის თანახმად, არის სამართლებრივად გარანტირებული მდგომარეობა, რომელიც ხელს უწყობს სიკეთეთა სამართლიან განკარგვას.[108] აღნიშნული დებულების თანახმად, გერმანული სსკ-ის 306a პარაგრაფი (პირველი ნაწილის პირველი პუნქტი), რომელიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ცეცხლის წაკიდებისთვის, იცავს ცეცხლის გაჩენის შედეგად საფრთხის შექმნის შიშის გარეშე განსაზღვრულ სივრცეში ცხოვრების შესაძლებლობას.[109] თუ *ქინდჰოიზერის* შეხედულებას გავიზიარებთ, მივიღებთ შემდეგ სურათს: არსებობს ნორმა, რომელიც სამართლებრივ სიკეთეს იცავს და ნორმა, რომელიც სამართლებრივ სიკეთეს კი არ იცავს, არამედ მისი უსაფრთხო არსებობის პირობებს. ასეთი შეხედულებით კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ის დებულება, რომ სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სისტემა (თავებად დაყოფა) სამართლებრივი დაცვის სიკეთის მიხედვითაა აგებული. ასევე იბადება კითხვა, არის თუ არა სამართლებრივი სიკეთე საზოგადოებრივი უსაფრთხოება, რომელიც საზოგადოების წევრთა უსაფრთხო ცხოვრებას გულისხმობს და როცა საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ხორციელდება, ხდება თუ არა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ან მისთვის საფრთხის შექმნა?

რამდენადაც არ არსებობს სამართლებრივი სიკეთე იმ პირობების გარეშე, რომელშიც იგი იმყოფება და რომელიც მის არსებობას უზრუნველყოფს, სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნად უნდა მივიჩნიოთ იმ მდგომარეობის ხელყოფა ან მისთვის საფრთხის შექმნა, რომელიც კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის არსებობას ემსახურება. არ შეიძლება არსებობდეს ნორმა, რომელიც სამართლებრივ სიკეთეს თუ არ ხელყოფს, (აბსტრაქტულ) საფრთხეს მაინც რომ არ უქმნიდეს. თუ ესა თუ ის ქმედება ისჯება როგორც საფრთხის შემქმნელი დელიქტი, ეს იმას ნიშნავს, რომ შესაბამისი ნორმა სწორედ რომ განსაზღვრულ სამართლებრივ სიკეთეს იცავს.

3.10. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი, როგორც შედეგიანი დელიქტი

სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი იმით განსხვავდება კონკრეტული საფრთხის და ხელყოფის დელიქტისგან, რომ დანაშაული დამთავრებულია კანონით აკრძალული ქმედების განხორციელებისას. აღნიშნული დელიქტის განსახორციელებლად საჭირო არ არის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ან მისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნა. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში შეუძლებელია ქმედებისგან შექმნილი საფრთხის გამოყოფა. შესაბამისად, მეცნიერთა უმრავლესობის თვალსაზრისით, ამ ტიპის დელიქტებში არ არსებობს შედეგის განხორ-

[108] იხ. *Kindhäuser U.*, იქვე,გვ. 280-282.
[109] იხ. *Kindhäuser U.*, იქვე,გვ. 296.

ციელების (დადგომის) ადგილი[110] და დანაშაულის ჩადენის ადგილია ის ადგილი, სადაც აკრძალული ქმედება განხორციელდა.

გერმანელი მეცნიერი *ბ. ჰაინრიხი* გამოთქვამს[111] მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულების[112] საწინააღმდეგო თვალსაზრისს და მიიჩნევს, რომ არა მხოლოდ კონკრეტული, არამედ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებშიც შესაძლებელია ქმედებისგან ქმედებით შექმნილი საფრთხის გამოყოფა, როგორც დროით, ისე სივრცობრივად. იგი არ უარყოფს იმას, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში უმეტესად შემადგენლობაში აღწერილი ქმედების განხორციელებასთან ერთად ხდება შესაბამისი სამართლებრივი სიკეთისთვის აბსტრაქტული საფრთხის შექმნა, მაგრამ ქმედებისგან შექმნილი საფრთხის გამოყოფის შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს. მას მოჰყავს სათანადო მაგალითებიც. მაგალითად, „ა“ უძღვება კერძო სატელევიზიო კომპანიის მუშაობას და სატელიტის მეშვეობით გადასცემს პორნოგრაფიულ გადაცემებს, რომლის ყურება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზეც შესაძლებელია.[113] საქართველოს სსკ-ის 255-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ისჯება „პორნოგრაფიული ნაწარმოების, ნაბეჭდი გამოცემის, გამოსახულების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადება, გავრცელება ან რეკლამირება, აგრეთვე ასეთი საგნით ვაჭრობა ანდა მისი შენახვა გაყიდვის ან გავრცელების მიზნით“. პორნოგრაფიული ნაწარმოების (პორნოგრაფიული გადაცემის) გავრცელება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია და აღნიშნული დანაშაული დამთავრებულია პორნოგრაფიული გადაცემის გავრცელებისთანავე. ამ შემთხვევაში, ერთი შეხედვით, ქმედება და აბსტრაქტული საფრთხე შერწყმულია და მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა შეუძლებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენის ადგილი მსგავს შემთხვევაში მხოლოდ ის ადგილი შეიძლება იყოს, სადაც ქმედება განხორციელდა.

სუფველგანობის პრინციპის მიხედვით, დანაშაულის ჩადენის ადგილია არა მხოლოდ ის ადგილი, სადაც აკრძალული ქმედება განხორციელდა, არამედ ისიც, სადაც შედეგი დადგა ან კონკრეტული საფრთხე შეიქმნა. მაგრამ, თუ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში საფრთხე ქმედებაშია შერწყმული და მათი გამიჯვნა შეუძლებელია, ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენის ადგილი მხოლოდ ქმედების ადგილით განისაზღვრება. თუმცა, *ბ. ჰაინრიხის* მიერ მოყვანილ მაგალითებს რომ გავაანალიზებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ საკითხი ასე ცალსახა არ არის და აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებშიც შეიძლება დანაშაულებრივი ქმედებისგან აბსტრაქტული საფრთხის გამოყოფა სივრცით და დროით და დანაშაულის ადგილის განსაზღვრა არა მხოლოდ ქმედების, არამედ ქმედებით გამოწვეული საფრთხის ადგილის მიხედვით.[114]

---

[110] იხ. *Piazena M.*, Das Verabreden, Auffordern und Anleiten zur Begehung von Straftaten unter Nutzung der Kommunikationsmöglichkeiten des Internets, Berlin, 2014, S. 253.

[111] იხ. *Heinrich B.,* Der Erfolgsort beim abstrakten Gefährdungsdelikt, GA 1999, S. 79.

[112] იხ. *Hilgendorf E.*, Überlegungen zur strafrechtlichen Interpretation des Ubiquitätsprinzips im Zeitalter des Internet, NJW, 1997, S. 1875.

[113] იხ. *Heinrich B.,* იქვე, გვ. 76.

[114] იხ. *Heinrich B.,* იქვე, გვ. 76; ქმედების შემადგენლობაში აღწერილი ქმედებისგან აბსტრაქტული საფრთხის დროით და სივრცით გამიჯვნას შესაძლებლად მიიჩნევენ სხვა

თანამედროვე მედიის საშუალებები იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ სისხლის სამართლით დაცული სიკეთე საკუთარი სახელმწიფოს საზღვრის გადალახვის გარეშე იქნეს ხელყოფილი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე.[115] თუ ჩვენ ვიტყვით, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში დანაშაულებრივი ქმედება და აბსტრაქტული საფრთხე ყოველთვის ერთმანეთს ერწყმის, დანაშაულის ადგილად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ ქმედების განხორციელების ადგილი, რაც არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. მაშინ, როცა პორნოგრაფიულ გადაცემას გადასცემს ტელეკომპანია, სატელიტის მეშვეობით იგი შეიძლება გავრცელდეს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზეც. ამ შემთხვევაში, ქმედება ხორციელდება ერთი სახელმწიფოში, მაგრამ აბსტრაქტული საფრთხე იქმნება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. გარდა ამისა, შეიძლება შემდეგი კითხვა დაისვას: როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ ქმედება დასჯადი არ არის იმ სახელმწიფოში, სადაც ფუნქციონირებს კომპანია, რომელიც პორნოგრაფიულ გადაცემას გადასცემს? თუ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში დანაშაულის ჩადენის ადგილს ყოველთვის მხოლოდ ქმედების განხორციელების ადგილით განვსაზღვრავთ, შეიძლება შეუძლებელი გახდეს ქმედების ჩამდენი პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ვრცელდებოდა პორნოგრაფიული გადაცემა.

ბ. ჰაინრიხს თავისი დებულების საილუსტრაციოდ მოჰყავს სხვა მაგალითიც. მაგალითად, „ა“ აშშ-ში დააფუძნებს თავის ინტერნეტ გვერდს, რომელშიც უარყოფს გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკებში ებრაელთა მასობრივი მკვლელობის ფაქტს.[116] ნაციონალ-სოციალისტების მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებათა მოწონება ან მისი უარყოფა დასჯადია გერმანული სსკ-ის 130-ე მუხლის III ნაწილით. აღნიშნული ქმედება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია. შეიძლება, რომ ადამიანმა ერთ სახელმწიფოში ინტერნეტის საშუალებით უარყოს ან მოიწონოს ნაციონალ-სოციალისტების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებანი და მის მიერ ინტერნეტით გავრცელებული განცხადება წაიკითხონ სხვა სახელმწიფოში.

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედების და საფრთხის დროის და სივრცის თვალსაზრისით ერთმანეთისგან გამიჯვნის შესაძლებლობის დასასაბუთებლად შემდეგი მაგალითიც შეიძლება მოვიყვანოთ. მაგალითად, „ა“-მ ტელევიზიის საშუალებით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიიდან მოუწოდა საქართველოს მოსახლეობას სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო წყობილების დამხობისკენ. საქართველოს სსკ-ის 317-ე მუხლით ისჯება „საქვეყნოდ მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისკენ, ანდა ასეთი მოწოდების შემცველი მასალის გავრცელება, აგრეთვე ამავე მიზნით შეიარაღებისაკენ მოწოდება“. ზემოთ მოყვანილი მაგალითის მიხედვით, ქმედება განხორციელებულია ერთი სახელმწი-

---

ავტორებიც. იხ. *Martin J.,* Strafbarkeit grenzüberschreitender Umweltbeeinträchtigungen, Zugleich ein Beitrag zur Gefährdungsdogmatik und zum Umweltvölkerrecht, Freiburg, 1989, S. 85.

[115] იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.,* დანაშაულის ჩადენის ადგილის პრობლემისათვის მედიის სისხლის სამართალში, აკაკი ლაბარტყავა, საიუბილეო კრებული, თბ., 2013, გვ. 232.

[116] იხ. *Heinrich B.,* იქვე, გვ. 76.

ფოს ტერიტორიაზე, მაგრამ მას სათანადო შედეგები შეიძლება მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, კერძოდ, საქართველოში მოჰყვეს.

თანამედროვე სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცნობს არა მხოლოდ ტერიტორიულობისა და სუყველგანობის, არამედ დაცვის პრინციპსაც (საქართველოს სსკ-ის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი), რომლის მიხედვითაც, ეროვნული სისხლის სამართლის იურისდიქცია შეიძლება გავრცელდეს იმ ქმედებაზეც, რომელიც ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა განხორციელებულია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში დანაშაულის განხორციელების ადგილის განსაზღვრა მხოლოდ ქმედების განხორციელების ადგილით. საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს შედეგიან დელიქტებად გამოვაცხადებდით და თანამედროვე მედიასაშუალებებით მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჩადენილ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ბასრ იარაღად გადაიქცევა იმ სახელმწიფოს სისხლის სამართალი, სადაც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი არ განხორციელებულა, მაგრამ სხვა სახელმწიფოში განხორციელებული ქმედებით შეიქმნა აბსტრაქტული საფრთხე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორის აზრით გლობალურ კიბერსივრცეში ჩადენილ დანაშაულთა მიმართ ეროვნული სისხლის სამართლის იურისდიქცია უნდა შეიზღუდოს.[117] მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ კიბერსივრცეში ჩადენილი დანაშაულის მოსალოდნელი ზიანის მოცულობას, შეიძლება გაუმართლებელიც კი იყოს ეროვნული სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის შეზღუდვა კიბერსივრცეში სხვა სახელმწიფოს ტერიტორიიდან ჩადენილ აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებზე. ავტორის მიერ მოყვანილი არგუმენტი მით უფრო არასაკმარისი შეიძლება მოგვეჩვენოს, თუ სათვალავში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თანამედროვე სისხლის სამართალი დანაშაულის ჩადენის ადგილს „სუყველგანობის“ პრინციპის მიხედვით განსაზღვრავს და მხოლოდ ქმედების განხორციელების ადგილით არ იზღუდება. მართალია, აბსტრაქტული საფრთხე არ არის ისეთი შედეგი, როგორიცაა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ან კონკრეტული საფრთხე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც (არა ყველა შემთხვევაში, მაგრამ) ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია ქმედებისგან აბსტრაქტული საფრთხის გამოყოფა, რაც იმის შესაძლებლობას გვაძლევს, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში დანაშაულის განხორციელების ადგილად ჩავთვალოთ არა მხოლოდ ქმედების განხორციელების, არამედ აბსტრაქტული საფრთხის შექმნის ადგილიც. მიუხედავად ამისა, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები რჩება უშედეგო დანაშაულად, ე.წ. ფორმალურ დელიქტად, ვინაიდან აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განსახორციელებლად, როგორც წესი, არ გვჭირდება (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა) სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ან კონკრეტული საფრთხის შექმნა, რაც აბსტრაქტული საფრთხისგან განსხვავებით, ყოველთვის შეიძლება გამოიყოს დანაშაულებრივი ქმედებისგან და გულისხმობს გარკვეულ ცვლილებას გარე სამყაროში.

ქმედებისა და ქმედებით გამოწვეული აბსტრაქტული საფრთხის

---

[117] იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, დანაშაულის ჩადენის ადგილის პრობლემისათვის მედიის სისხლის სამართალში, აკაკი ლაბარტყავა, საიუბილეო კრებული, თბ., 2013, გვ. 241.

ერთმანეთისგან გამიჯვნას შესაძლებლად მიიჩნევენ ეკოლოგიურ სფეროში განხორციელებულ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებშიც. მაგალითად, ერთ სახელმწიფოში მდინარის დაბინძურებისას დანაშაულის განხორციელების ადგილად შეიძლება ჩაითვალოს მეორე მოსაზღვრე სახელმწიფო,[118] ვინაიდან დაბინძურებული მდინარე გაივლის მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიასაც. თუ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში დანაშაულის ჩადენის ადგილად ჩავთვლით მხოლოდ იმ ადგილს, სადაც ქმედება განხორციელდა, საკამათოდ შეიძლება ჩაითვალოს საკითხი იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს იმ მეზობელი ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც დაბინძურებულმა მდინარემ გაიარა და ამით გარკვეული შედეგიც კი გამოიწვია.

ი. მარტინი აღნიშნავს, რომ კონკრეტული საფრთხე შედეგად რომ არის მიჩნეული, ეს მხოლოდ ნორმატიული შეფასების შედეგია, მაგრამ ასეთი ნორმატიული გადაწყვეტილება შეიძლება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებთან მიმართებითაც გაკეთდეს. შესაბამისად, აბსტრაქტული საფრთხე შეიძლება შედეგად ჩაითვალოს.[119] მისი შეხედულებით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში შედეგი ex ante (ობიექტურად და დამნაშავის თვალსაწიერიდან) ფასდება, ხოლო კონკრეტული საფრთხის დელიქტებში საფრთხეში მყოფის (მსხვერპლის) პერსპექტივიდან.[120] აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში შედეგი ex ante მაშინაც არსებობს, როცა პოტენციური მსხვერპლი შემთხვევით არ მოხვდა საშიში ქმედების ზემოქმედების ზონაში.[121]

ე. გრაული ერთმანეთისგან განასხვავებს შედეგს ფორმალური გაგებით, რომელიც ქმედების ობიექტის დაზიანებას გულისხმობს, და შედეგს მატერიალური გაგებით, რომელიც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას მოიცავს. ხელყოფის და საფრთხის შემქმნელი შედეგიანი დელიქტები ფორმალური გაგებით ისეთი დელიქტებია, რომლებშიც ქმედებისგან ქმედების ობიექტის ხელყოფის ან მისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნის გამოყოფა შესაძლებელია, რომელშიც ქმედების ობიექტი და დაცული სამართლებრივი სიკეთე იდენტური არ არის. მატერიალური გაგებით ხელყოფის და საფრთხის შედეგიან დელიქტებში იგულისხმება ისეთი დელიქტები, რომელშიც დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ან მისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნა ქმედების შემადგენლობის ნიშანია. აღნიშნული შეხედულების მიხედვით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებიც წარმოადგენენ შედეგიან დელიქტებს ფორმალური გაგებით. მაგრამ ამ შემთხვევაში შედეგში იგულისხმება არა სამართლებრივი სიკეთის, არამედ ქმედების ობიექტის ხელყოფა ან მისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნა.[122] *გრაულს* ასეთი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის მაგალითად მოჰყავს გერმანული სსკ-ის 306-ე პარაგრაფით გათვალისწინებული დანაშაული (ცეცხლის წაკიდება). ცეცხლის წაკიდების დროს ქმედების ობიექტია საცხოვრებელი შენობა, რომელიც ცეცხლის წაკიდების შედეგად ზიანდება, ხოლო სამართ-

[118] იხ. *Tiedemann K., Kindhäuser U.*, Umweltstrafrecht-Bewährung oder Reform?, NStZ 1988, S. 346.

[119] იხ. *Martin J.,* Strafbarkeit grenzüberschreitender Umweltbeeinträchtigungen, Zugleich ein Beitrag zur Gefährdungsdogmatik und zum Umweltvölkerrecht, Freiburg, 1989, S. 84-85.

[120] იხ. *Martin J.,* იქვე, გვ. 86.

[121] იხ. *Martin J.,* იქვე, გვ. 87.

[122] იხ. *Graul E.*, იქვე, გვ. 108.

ლებრივი დაცვის სიკეთეა ადამიანის სიცოცხლე, რომელსაც აბსტრაქტული საფრთხე ექმნება.

4. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების კლასიფიკაცია

4.1. სუსტი და ძლიერი აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტები

სისხლის სამართლის ლიტერატურაში აბსტრაქტულ საფრთხეს ხარისხის მიხედვით, თავის მხრივ, ყოფენ სუსტ და ძლიერ საფრთხედ, რის საფუძველზეც ერთმანეთისგან განასხვავებენ სუსტი და ძლიერი აბსტრაქტული საფრთხის შექმნას (starke und schwache Gefährdungen). მაშასადამე, მიღებულია არა მხოლოდ საფრთხის დელიქტების აბსტრაქტულ და კონკრეტულ საფრთხის დელიქტებად კლასიფიკაცია, არამედ თვით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დაყოფა სუსტი და ძლიერი საფრთხის შემქმნელ დელიქტებად. სუსტი საფრთხის შემქმნელ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად მიიჩნევა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი დელიქტი, ხოლო ძლიერი საფრთხის შემქმნელია ის დელიქტი, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს. სუსტი აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ დელიქტად განიხილება ის დელიქტი, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას იწვევს. წესრიგის დამრღვევი ქმედებები, როგორც წესი, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებად მიიჩნევა.[123] ე. წ. სუსტი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს გერმანულ სისხლის სამართალში იმ დელიქტებს მიაკუთვნებენ, რომლებიც განიხილება არა როგორც დანაშაული, არამედ როგორც გადაცდომა. თუმცა, ქართულ სისხლის სამართალში სისხლის სამართალდარღვევის ასეთი დაყოფა არ არსებობს. რაც შეეხება ე. წ. ძლიერი აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ დელიქტს, მას მიაკუთვნებენ, ძირითადად, ისეთ დელიქტებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.[124] ძლიერი აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტი, სუსტი აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტისგან განსხვავებით, უფრო მძიმე უმართლობას შეიცავს.

ზემოაღნიშნული არ შეიძლება ისე გავიგოთ, რომ მხოლოდ სამართლებრივი სიკეთის მიხედვით ხდებოდეს აბსტრაქტული საფრთხის ხარისხის განსაზღვრა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა სწორი არ იქნებოდა. რასაკვირველია, ქმედების საშიშროების შესაფასებლად ესეც მნიშვნელოვანია, მაგრამ არსებობს კიდევ სხვა კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს საფრთხის ხარისხის დადგენა. კერძოდ, ქმედების განხორციელების დრო და ადგილი. აბსტრაქტული საფრთხე შეიძლება საგზაო მოძრაობის წესის დარღვევამაც შექმნას, მაგრამ საგზაო წესის დარღვევა ზოგჯერ შეიძლება ქმნიდეს სუსტ, ხოლო სხვა შემთხვევაში ძლიერ აბსტრაქტულ საფრთხეს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ სუსტი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები ქართული სამართლის მიხედვით, ძირითადად ადმინისტრაციული სამართალდარღვევებია და, შესაბამის-

---

[123] იხ. *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, Strafrecht, BT, Lehrbuch, 2. Aufl., Bielefeld, S. 927-928, §35 Rn.46-49.

[124] იხ. *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, იქვე,§35 Rn. 50, 51.

ად, პასუხისმგებლობაც მათ ჩამდენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობით ეკისრება.

4.2. კლასიკური აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ნაირსახეობიდან შეიძლება გამოიყოს კლასიკური აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები. აღნიშნული ტიპის დელიქტთა ქმედების შემადგენლობის ნიშანი არ არის სამართლებრივი სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნა. ქმედების შემადგენლობაში არ გვხვდება ასევე მითითება რაიმე შედეგის გამოწვევის შესაძლებლობაზე. კლასიკური აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, შეიძლება დავასახელოთ განსაცდელში მიტოვება, ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება, დაუხმარებლობა. დანაშაული დამთავრებულია სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლში აღწერილი ქმედების განხორციელებისას, რომელიც შეიძლება მოქმედებით ან უმოქმედობით გამოიხატოს.

4.3. მასობრივი ხასიათის ანუ საყოველთაო საშიშროების აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები

მასობრივი ხასიათის აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს მიეკუთვნება ისეთი საფრთხის დელიქტები, რომლებიც აბსტრაქტულ საფრთხეს ქმნის არა კონკრეტული ადამიანისთვის, არამედ პირთა დიდი რაოდენობისთვის ან განუსაზღვრელი წრისთვის. მასობრივი ხასიათის აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების აკრძალვას აქვს გენერალურპრევენციული მნიშვნელობა.[125] *კ. როქსინის* შეხედულებით, ამ ჯგუფის აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დროს საგნის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე კონკრეტული საფრთხის შექმნა სავსებით გამორიცხულია.[126] დასახელებული ტიპის აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების მაგალითად *როქსინს* მოჰყავს ადამიანებისგან დაცლილ ადგილას ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის ტარების შემთხვევა. აღნიშნულ შემთხვევაში ქმედებას აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად ქმედების განხორციელების ადგილმდებარეობა (ადამიანებისგან ცარიელი ადგილი) აქცევს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვექნებოდა არა აბსტრაქტულ, არამედ კონკრეტულ საფრთხის დელიქტთან. გერმანული სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, ქართული სისხლის სამართლის კოდექსით აღნიშნული ქმედება არ ისჯება, თუ მას მძიმე შედეგი არ მოჰყვა და ამიტომ ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადი საყოველთაო საშიშროების აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის მაგალითადაც არ გამოგვადგება.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იურიდიულ ლიტერატურაში დისკუსია გამოიწვია საკითხმა იმასთან დაკავშირებით, ჰქონდა თუ არა საყოველთაოდ საშიშ საფრთხის დელიქტად ქმედების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა იმას, ქმედება საფრთხეს თუ რამდენ ადამიანს შეუქმნიდა,

---

125 იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 430, § 11 Rn. 160.

126 იხ. *Roxin C.*, იქვე, S. 430, § 11 Rn. 160.

პირთა განსაზღვრულ, თუ განუსაზღვრელ რაოდენობას.[127] მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ საყოველთაო საშიშროების დელიქტების განხორციელებისას ქმედება მიმართულია დიდი რაოდენობით ადამიანების წინააღმდეგ, ხოლო ნაწილი მიიჩნევს, რომ საყოველთაო საშიშროების მაშინ არის დელიქტი, როცა იგი მიმართულია პირთა არა მხოლოდ დიდი რაოდენობის, არამედ განუსაზღვრელი წრის მიმართ.[128]

პირველად *ჰ.ზიბენჰარმა* განიხილა საყოველთაო საშიშროების დელიქტი, როგორც ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა წრისთვის საფრთხის შემქმნელი ქმედება, 1884 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში.[129] მისი თვალსაზრისით, საყოველთაო საშიშროება, საფრთხე წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოების თითოეული წევრისთვის. *ზიბენჰარის* კონცეფცია გამომდინარეობს იქიდან, რომ საყოველთაო საშიშროების დელიქტი მიჩნეულია დელიქტად, რომელიც საზოგადოებას ემუქრება და საფრთხეს უქმნის. საზოგადოება კიდევ მოიცავს თითოეულ ადამიანს, რომელიც მისი წევრია. აღნიშნული კონცეფციის ნაკლოვანება იმაში მდგომარეობს, რომ „საზოგადოება“, წარმოდგენილი თვალსაზრისით, გაგებულია როგორც განუსაზღვრელ პირთა ერთობა. საზოგადოება ჩვენ შეიძლება პირთა განსაზღვრულ რაოდენობასაც ვუწოდოთ. სულაც არ არის აუცილებელი, რომ ქმედება პირთა განუსაზღვრელ რაოდენობას უქმნიდეს საფრთხეს, იმისთვის, რომ ქმედება საზოგადოებისთვის საფრთხის შემქმნელად მივიჩნიოთ. „ორი ადამიანი უკვე საზოგადოებაა“.[130]

ა. ფინგერის შეხედულებით, საყოველთაო საფრთხე გულისხმობს სახელმწიფოს რამოდენიმე მოქალაქისთვის ან ხალხისთვის საფრთხის შექმნას.[131] ამგვარი შეფასებით, საყოველთაო საშიშროების შემცველია ისეთი ქმედება, რომელსაც, სულ მცირე, გენერალიზებული შეფასებით საზოგადოებისთვის საფრთხის შექმნა ან დაზიანების გამოწვევა შეუძლია.[132] *ა. ფინგერის* შეხედულებიდან ასევე ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ საყოველთაო საშიშროების დანაშაული შეიძლება იყოს, როგორც მრავალი ადამიანის, ისე პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ განხორციელებული ქმედება. ასეთ დელიქტებს წარმოადგენენ უპირატესად ის დელიქტები, რომლებიც საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავშია გათვალისწინებული. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 230-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტი (ბირთვული მასალისადმი ან მოწყობილობისადმი, რადიოაქტიური ნარჩენებისადმი, რადიოაქტიური ნივთიერებისადმი უკანონო მოპყრობა).

თ. წერეთელი საყოველთაო საშიშროების დელიქტად მიიჩნევს ისეთ დელიქტს, რომელიც საშიშია პირთა დიდი რაოდენობისთვის. საბჭოთა კანონმდებლობას და სასამართლო პრაქტიკასაც საყოველთაო საშიშ-

---

[127] იხ. *Radtke H.*, Die Dogmatik der Brandstiftungsdelikte, Zugleich ein Beitrag zur Lehre von den gemeingefährlichen Delikten, Berlin, 1998, S. 121.

[128] იხ. *წერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010, გვ. 225.

[129] ზიბენჰარის შეხედულებაზე იხ. *Radtke H.*, იქვე, გვ. 121-122.

[130] იხ. *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 59.

[131] იხ. *Finger A.*, Begriff der Gefahr und Gemeingefahr im Strafrechr, Frank-FG, Band I, 1930, S. 230, 249.

[132] იხ. *Radtke H.*, იქვე, გვ. 118.

როება ესმოდა არა როგორც საშიშროება ინდივიდუალურად განუსაზღვრელი რაოდენობის ობიექტებისთვის, არამედ როგორც რაოდენობრივი ნიშანი.[133]

თ. წერეთელი საყოველთაო საშიშროების დელიქტებს კონკრეტულ საფრთხის დელიქტებთან მიმართებით განიხილავდა და სწორედ ეს იყო იმის მიზეზიც, რომ იგი საყოველთაო საშიშროების დელიქტად მიიჩნევდა ისეთ დელიქტს, რომელიც დიდი რაოდენობის პირთა წინააღმდეგ იყო მიმართული.[134]სინამდვილეში, საკითხი ასე ცალსახად არ უნდა იქნეს განხილული.

საყოველთაო საშიშროების აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს: საყოველთაო საშიშროების აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები, რომლებიც ა) დიდი რაოდენობით ადამიანთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას უქმნიან აბსტრაქტულ საფრთხეს და ბ) დელიქტები, რომლებიც პირთა განუსაზღვრელი რაოდენობისთვისაა საშიში.

შტიუბელმა განავითარა დებულება, რომლის თანახმადაც, საყოველთაო საშიშროების დელიქტები კვალიფიციურ ხელყოფის დელიქტებად მიიჩნევა. ამ შემთხვევაში იგულისხმება ისეთი მდგომარეობა, როცა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ხდება და სამართლებრივი სიკეთის ხელმყოფი ქმედება ამავდროულად საფრთხეს უქმნის სხვა სამართლებრივ სიკეთეს.[135]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გვხვდება ისეთი შემადგენლობები, რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ კვალიფიციურ ხელყოფის დელიქტებად, რომლებიც ამავდროულად საყოველთაო საშიშროების აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებსაც წარმოადგენენ. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემადგენლობა, რომლითაც ისჯება განზრახ მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. აღნიშნული დელიქტი წარმოადგენს როგორც შედეგიან, ისე საფრთხის შემქმნელ დელიქტს. განსახილველი შემადგენლობა შედეგიანი დელიქტია, რამდენადაც საქმე ეხება ადამიანის მკვლელობას, ე. ი. მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევას და საფრთხის დელიქტია იმდენად, რამდენადაც მკვლელობა ჩადენილია საყოველთაო საშიშროების შემცველი საშუალებით. მკვლელობა საყოველთაო საშიშროების საშუალებითაა ჩადენილი, თუ მკვლელობა განხორციელდა აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით, ადამიანთა თავშეყრის ადგილას სროლით. ქმედება 109-ე მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება თუ საყოველთაო საშიშროების შემცველი საშუალებით მკვლელობა განხორციელდება უკაცრიელ ადგილას.[136] ამრიგად, ქმედების სწორად შესაფასებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ დანაშაულის განსახორციელებლად გამოყენებულ საშუალებას, არამედ მისი გამოყენების ვითარებასაც.

ქმედების 109-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის აუცილებელი არ არის

---

[133] იხ. *წერეთელი თ.,* იქვე,გვ. 227.

[134] იხ. *წერეთელი თ.,* იქვე,გვ. 228.

[135] შტიუბელის მოსაზრება იხ. *Radtke H.,* იქვე,გვ, 119.

[136] იხ. *ლეკვეიშვილი მ.,* წიგნში: *მამულაშვილი გ.,*(რედ.),სისხლის სამართლის კერძო ნაწილი,წიგნი I,მე-5 გამოცემა,თბ.,2014,გვ. 36.

სხვა ადამიანთა სიცოცხლისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნა, არამედ საყოველთაო საშიშროების საშუალების გამოყენებით მკვლელობის განხორციელება ისეთ ვითარებაში, რომელიც კონკრეტული საფრთხის შექმნის პოტენციას/შესაძლებლობას გულისხმობს. მაგალითად, მკვლელობა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ხალხმრავალ ან ისეთ ადგილას, სადაც შეიძლებოდა სხვა ადამიანი ყოფილიყო.

ქმედების სსკ-ის 109-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის მოსამართლეს არ ევალება იმის დადგენა, რომ მკვლელობის დროს გამოყენებული საშუალებით საფრთხე სხვა ადამიანის სიცოცხლესაც შეექმნა, არამედ საკმარისია იმის დადგენაც, რომ მკვლელობა ცეცხლსასროლი იარაღის ანუ ისეთი საშუალების გამოყენებით განხორციელდა, „რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალ პირთა სიცოცხლისათვის“.[137] მაშასადამე, შეიძლებოდა განხორციელებულ ქმედებას სხვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოეწვია. როდესაც მკვლელობა ხალხმრავალ ადგილას საყოველთაოდ საშიში საშუალებით ხორციელდება, მკვლელობის ადგილზე მყოფ ადამიანთა სიცოცხლეს რეალური საფრთხე ექმნება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქმედება მაინც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად უნდა ჩაითვალოს. Ამიზეზი, ქმედება თუ რატომაც არ ითვლება კონკრეტული საფრთხის დელიქტად, არის არა კონკრეტული, რეალური საფრთხის არარსებობა, არამედ ის, რომ მოსამართლეს არ აქვს ასეთი საფრთხის არსებობის დამტკიცების ვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის ზუსტი *კ. როქსინის* შეხედულება, რომელიც საყოველთაო საშიშროების აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დროს კონკრეტული საფრთხის შექმნას სავსებით გამორიცხავს.[138]

საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლით გათვალისწინებული იყო სასჯელი ისეთი მკვლელობისთვის, რომელიც ჩადენილი იყო ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენდა „მრავალი პირის“ სიცოცხლისთვის.[139] ქმედების შემადგენლობაში მითითებული იყო დაზარალებულ პირთა სიმრავლეზე (მრავალი) და არა განუსაზღვრელობაზე.

საყოველთაოდ საშიში აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი დელიქტები, რომელთა განხორციელებისას განუსაზღვრელია იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც საფრთხე შეიძლება შეექმნათ. ამ შემთხვევაში თავად დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარეობს იმ პირთა რაოდენობის განუსაზღვრელობა, რომელთაც საფრთხე შეიძლება შეექმნათ. ასეთი დელიქტების რიცხვს მიეკუთვნება სსკ-ის 198-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია. როდესაც ხდება სიცოცხლისთვის საშიში პროდუქციის რეალიზაცია, რეალიზებული პროდუქციის მომხმარებელთა წრე განუსაზღვრელია და პროდუქციის მწარმოებელმა არც იცის, კონკრეტულად ვინ არის მის მიერ წარმოებული პროდუქ-

---

[137] საკითხისადმი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალოგიური მიდგომა სხვა ადამიანთა სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელი საშუალებით მკვლელობის მცდელობის საქმეზე იხ. სუსგ,2008,№8,გვ. 79.

[138] იხ. *Roxin C.*, იქვე, S. 430, § 11 Rn. 160.

[139] იხ. *მაყაშვილი ვ., მაჭავარიანი მ., წერეთელი თ., შავგულიძე თ.,* დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ,თბ.,1980,გვ. 34.

ციის მომხმარებელი. იგი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი.

4.4. აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტები

კონკრეტული და აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების გარდა, ლიტერატურაში გამოყოფენ კიდევ მესამე სახეს საფრთხის დელიქტებისა, რომელსაც გერმანელმა მეცნიერმა *ჰ. შროდერმა* თავის დროზე აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტები უწოდა.[140] მოგვიანებით სხვა ავტორებმა აღნიშნული ტიპის დელიქტები „პოტენციური საფრთხის შემქმნელი დელიქტების“ (“potentielle Gefährdungsdelikte“),[141] პოტენციური დელიქტების (“Eignungsdelikte“)[142] სახელწოდებით განიხილეს.

აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტები ეწოდება ისეთ დელიქტებს, რომლის ქმედების შემადგენლობის ნიშანია შემდგომი შედეგის გამოწვევის უნარი. კერძოდ, ქმედება უნდა იყოს ვარგისი იმისთვის, რომ შემდგომი შედეგი გამოიწვიოს სამართლებრივი სიკეთის დაზიანების სახით. არის თუ არა ქმედება იმისთვის ვარგისი, რომ შემდგომში სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა გამოიწვიოს, დგინდება სამოსამართლო ინტერპრეტაციის/განმარტების შედეგად. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 288-ე მუხლის პირველი ნაწილი მოითხოვს იმის დადგენას, გარემოსათვის საშიში ნივთიერებისადმი მოპყრობის წესის დარღვევას შეეძლო თუ არა ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს არსებითი დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი გამოეწვია.[143]იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს სსკ-ის 222-ე, 233-ე, 241-ე, 242-ე, 245-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობებზე, სადაც საუბარია ზიანის გამოწვევის შესაძლებლობაზე.

როდესაც ვსაუბრობთ აბსტრაქტულ-კონკრეტულ საფრთხის დელიქტებზე, იგულისხმება ისეთი დელიქტები, რომლებიც თავიანთი საკანონმდებლო აღწერილობითაა გამორჩეული, რომელსაც ორივე სახის დელიქტის – აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის დელიქტებისთვის დამახასიათებელი ნიშნები ახასიათებს და არა ისეთი, რომელიც „აბსტრაქტულ-კონკრეტულ საფრთხეს“ ქმნის. ასეთი საფრთხე არ არსებობს. საფრთხე ან აბსტრაქტულია ან კონკრეტული. ქმედება შეიძლება გარკვეულ სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფდეს და სხვა (კიდევ უფრო მნიშვნელოვან) სიკეთეს საფრთხეს უქმნიდეს, მაგრამ არ შეიძლება ქმედება ერთიდაიმავე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის როგორც აბსტრაქტულ, ისე კონკრეტულ საფრთხესაც ქმნიდეს.

აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტის შემადგენლობის ნიშანია მავნე შედეგის გამოწვევის უნარი, თუმცა კონკრეტული საფრთხის შექმნა არ წარმოადგენს აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტების შემადგენლობის ნიშანს.[144]

---

[140] იხ. *Schröder H.*, Abstrakt-konkrete Gefährdungsdelikte?, JZ 1967, S. 522; *Schröder H.*, Die Gefährdungsdelikte im Strafrecht, ZStW 1969, S. 17.

[141] იხ. *Zieschang F.*, Die Gefährdungsdelikte, Berlin, 1998, S. 162-163; *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 8-9, Rn. 30.

[142] იხ. *Hoyer A.*, Die Eignungsdelikte, Berlin, 1987, S. 16; *Graul E.*, Abstrakte Gefährdungsdelikte und Präsumtionen im Strafrecht, Berlin, 1991, S. 116; *Wolter J.*, Objektive und personale Zurechnung von Verhalten, Gefahr und Verletzung in einem funkzionalen Straftatsystem, Berlin, 1981, S. 253.

[143] იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ.,2013,გვ. 77.

[144] იხ. *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgard, 2012, S. 63 Rn. 165; *Wessels/Beulke*, Strafrecht,

სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის უნარი არ არის ნამდვილი მიზეზობრიობის იდენტური, ვინაიდან იგი პროგნოზის სახით დგინდება, სადაც განსაზღვრული პირობები აბსტრაგირებულია. ამ გენერალიზების ხარისხი შესაბამისი ნორმის მიზანზეა დამოკიდებული.[145]

ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი კრიტერიუმებით უნდა მოხდეს იმის განსაზღვრა, რომ ქმედება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისთვის ვარგისია. *ჰ. შროდერის* კონცეფციით, აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტები შეიძლება კონკრეტული საფრთხის დელიქტებს მიეკუთვნოს. აღნიშნული ტიპის დელიქტებში კანონმდებელმა მოსამართლეს მიანიჭა იმის უფლება, რომ ქმედების საშიშროება თვითონ შეაფასოს, რაც ქმნის ისეთი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რომ კანონმდებელს სურდეს ქმედების საშიშროებაზე გადაწყვეტილების მიღებისას, ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინება შესაძლებელი გახადოს.[146] აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის შექმნის კომბინაცია მაშინ არსებობს, როცა კანონმდებელს არ შეუძლია საფრთხის სრულყოფილად განსაზღვრა და გადაწყვეტილების მიღების უფლებას მოსამართლეს უტოვებს (კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის ელემენტი), თუმცა ქმედების შემადგენლობის კონსტრუქციით იმის დადგენა შესაძლებელია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას კონკრეტული მდგომარეობა კი არ არის გადამწყვეტი, არამედ გენერალური მასშტაბი უნდა იქნეს გამოყენებული (აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის ელემენტი). აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტებში ქმედების შემადგენლობის ნიშანია საზიანო შედეგის გამოწვევის უნარი, მაგრამ არ უნდა იყოს ქმედების შემადგენლობაში დეტალური მითითება განსაზღვრულ ინდივიდუალური დაცვის ობიექტზე, რომლის წინააღმდეგაც ქმედებაა მიმართული.[147]

ჰ. შროდერის თვალსაზრისით, აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტების განსაკუთრებულობა ქმედების შემადგენლობის ფორმულირებაში მდგომარეობს, თორემ მატერიალური თვალსაზრისით, ეს დელიქტები კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტებია.[148]

ავტორთა ნაწილი დელიქტების ამ ჯგუფს როგორც ფორმალური, ისე მატერიალური გაგებით საფრთხის შემქმნელი დელიქტების დამოუკიდებელ სახედ მიიჩნევს და არც აბსტრაქტული და არც კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებს არ მიაკუთვნებს.[149]

მეცნიერთა მეორე ნაწილის მოსაზრებით კი, დელიქტების ეს ჯგუფი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების განსაკუთრებულ გამოვლინებას წარმოადგენს.[150] *ვ. გალასი შროდერისგან* განსხვავებით, აბსტრაქტულ-

---

AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 8-9. Rn. 30.

145 იხ. *Brehm W.*, იქვე, გვ. 96-97.

146 იხ. *Schröder H.*, Abstrakt-konkrete Gefährdungsdelikte?, JZ 1967, S. 523. შროდერის აღნიშნული შეხედულების კრიტიკაზე იხ. *Gallas W.,* Abstrakte und Konkrete Gefährdung, Heinitz-FS, 1972, S. 172; *Zieschang F.*, Die Gefährdungsdelikte, Berlin, 1998, S. 171; *Hoyer A.*, Zum Begriff der „abstrakten Gefahr", JA 1990, S. 184.

147 იხ. *Schröder H.*, Abstrakt-konkrete Gefährdungsdelikte?, JZ 1967, S. 525.

148 იხ. *Schröder H.*, Die Gefährdungsdelikte im Strafrecht, ZStW 1969, S. 21.

149 იხ. *Fischer Th.*, Das Verhältnis der Bekenntnisbeschimpfung (§ 166 StGB) zur Volksverhetzung (§130 StGB), GA 1989, S. 454.

150 იხ. *Jescheck H-H., Weigend T.,* Lehrbuch des Strafrechts, AT, Berlin, 1996, S. 264; *Graul E.*, იქვე,

კონკრეტულ საფრთხის დელიქტებს არ მიიჩნევს კონკრეტულ საფრთხის დელიქტად და თვლის, რომ იგი უფრო მეტად აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს წარმოადგენს.[151] თუმცა, აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის შემქმნელ ზოგიერთ დელიქტს[152] კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტად განიხილავს.[153] იგი აღნიშნავს, რომ სიტყვები „შეეძლო ზიანი გამოეწვია“ („geeignet…zu schädigen“) ყოველთვის არ გულისხმობს ინკრიმინირებული ქმედების გენერალურ საშიშროებას და ეს არ უნდა გავიგოთ აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების არსებობაზე მითითებად.[154]

გალასის შეხედულება ბუნდოვანია. მას არ გააჩნია მყარი კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შეგვეძლებოდა იმის დადგენა, კონკრეტული, თუ აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტთან გვაქვს საქმე, როცა ქმედების შემადგენლობაში მოცემულია მითითება ქმედების უნარზე, გამოიწვიოს საზიანო შედეგი.

მართებულად უნდა ჩაითვალოს ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ნაირსახეობად მიიჩნევა. მაგრამ, თუ ე. წ. აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტების დროს მოსამართლეს უწევს იმის დადგენა, დამნაშავის ქმედებას შეეძლო თუ არა ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი გამოეწვია, რით განსხვავდება დელიქტის ეს ტიპი კონკრეტული საფრთხის დელიქტისგან, რაში მდგომარეობს ის განსხვავება, რის გამოც საფრთხის დელიქტთა ეს სახე კლასიკური აბსტრაქტული საფრთხის და კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტისგან უნდა გამოვყოთ?

მოსამართლის მიერ იმის დადგენა, შეეძლო თუ არა დამნაშავის მოქმედებას სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა გამოეწვია, ხომ არ ნიშნავს კონკრეტული საფრთხის არსებობის დადგენას? კონკრეტული საფრთხეც ხომ ხელყოფის შესაძლებლობას გულისხმობს? დასმულ შეკითხვაზე შეიძლება შემდეგი პასუხი გაეცეს: განსახილველი ტიპის დელიქტებში საუბარია შედეგის დადგომის შესაძლებლობაზე, რაც ჯერ კიდევ არ ატარებს შედეგის სახით დამდგარი კონკრეტული საფრთხის სახეს. ხოლო, კონკრეტული საფრთხის დელიქტებში კონკრეტული საფრთხე უკვე დამდგარი შედეგის ხასიათს ატარებს, რომლის მიზეზობრივი კავშირი შესაბამის ქმედებასთან შეიძლება დადგინდეს.

აბსტრაქტულ-კონკრეტულ საფრთხის დელიქტებს ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტად მიიჩნევს.[155] კერძოდ, *გ. მამულაშვილი* საქართველოს სსკ-ის 242-ე მუხ-

---

გვ. 116; *Berz U.,* Formelle Tatbestandsverwirklichung und materialer Rechtsgueterschutz, Muenchen, 1986, S. 60.

[151] იხ. *Gallas W.,* Abstrakte und Konkrete Gefährdung, Heinitz-FS, 1972, S. 183.

[152] გერმანული სსკ-ის 130-ე და 166-ე პარაგრაფებით გათვალისწინებული დელიქტები.

[153] იხ. *Gallas W.,* იქვე,გვ. 182.

[154] იხ. *Gallas W.,* იქვე,გვ. 181.

[155] იხ. *თოდუა ნ.,*საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2007, №2-3, გვ. 156; *თოდუა ნ.,* საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი,სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები,თ. წერეთლის დაბადების მე-100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 2006, გვ. 98-99; *მამულაშვილი გ.,* წიგნში:

ლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის განხილვისას მიუთითებს, რომ აღნიშნული „დანაშაულის ობიექტური მხარე ხასიათდება მოქმედებით ან უმოქმედობით-ფეთქებადსაშიშ საწარმოში ან საამქროში საწარმოო-ტექნიკური უსაფრთხოების წესის დარღვევა, ამ ქმედების შესაძლო მძიმე შედეგით და მიზეზობრივი კავშირით უსაფრთხოების წესების დარღვევასა და მითითებულ შესაძლო მძიმე შედეგს შორის“.[156] არ შეიძლება აღნიშნული მოსაზრება მართებულად ჩაითვალოს. მიზეზობრივი კავშირი დგინდება ქმედებასა და ქმედებით გამოწვეულ შედეგს შორის და არა ქმედებასა და შესაძლო შედეგს შორის. მართალია, კონკრეტული საფრთხეც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გამოწვევის შესაძლებლობას შეიცავს და მიზეზობრივი კავშირი დგინდება ქმედებასა და ამ ქმედებით შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს შორის, მაგრამ კონკრეტული საფრთხე უკვე არსებობს გარკვეული შედეგის სახით, რასაც ვერ ვიტყვით შედეგის გამოწვევის იმ შესაძლებლობაზე, რომელზეც კანონმდებელი უთითებს აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტის შემადგენლობაში. კონკრეტული საფრთხე რომ განხორციელებული შედეგის სახით არსებობს, ამაზე მიუთითებს კონკრეტული საფრთხის დელიქტების შემადგენლობაში მოცემული სიტყვები: „...საფრთხე შეუქმნა“, „საშიშ მდგომარეობაში ჩააყენა“. ხოლო, აბსტრაქტულ-კონკრეტულ საფრთხის დელიქტთა შემადგენლობაში საუბარია არა კონკრეტულ საფრთხეზე, როგორც გარკვეულწილად, დამდგარ შედეგზე, არამედ შედეგის გამოწვევის შესაძლებლობაზე ანუ პოტენციაზე, უნარზე, იმაზე, რომ ქმედებას შეეძლო გარკვეული სახის შედეგი გამოეწვია.

აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტებში მოსამართლე ადგენს განსაზღვრული შედეგის გამოწვევის შესაძლებლობას, მაგრამ ეს საფრთხე, შედეგის გამოწვევისა, არ არის კონკრეტული, არამედ გენერალიზებული. ამიტომაც არის, რომ შესაბამის საფრთხის დელიქტთა შემადგენლობებში ფიგურირებს სიტყვა *„შეეძლო გამოეწვია„*. სიტყვა *„შეეძლო გამოეწვია“* მიუთითებს იმაზე, რომ სამართლით დაცული ობიექტი არ იმყოფება კონკრეტული საფრთხის ზემოქმედების ქვეშ, რაც კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტებისთვის არის აუცილებელი.

აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტების სახელწოდება იქიდან გამომდინარეობს, რომ მას გააჩნია ორივე დელიქტისთვის დამახასიათებელი ნიშნები. კერძოდ, მოსამართლეს არ მოეთხოვება კონკრეტული საფრთხის დადგენა, ისევე, როგორც კლასიკური აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებისას, მაგრამ მოსამართლემ, კლასიკური აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებისგან განსხვავებით, უნდა დაადგინოს მართალია არა კონკრეტული საფრთხე, მაგრამ ის, რომ კონკრეტულ ქმედებას *შეეძლო გამოეწვია* გარკვეული შედეგის დადგომა. თუმცა ეს „შესაძლებლობა“ არ არის კონკრეტული საფრთხის თანაფარდი.

აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტები სისხლის სამართლის კოდექსში იმ თავებშია მოცემული, რომელშიც თავმოყრილია

მამულაშვილი გ. (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 690-691.

[156] იხ. *მამულაშვილი გ.*, წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 584, 690.

ნორმები, რომლებიც ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის დაცვას ისახავენ მიზნად.[157] სისხლის სამართალის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტებს ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის დასაცავად უვარგისია. *რ. ჰეფენდელი* ამის მიზეზად იმას მიიჩნევს, რომ მოსამართლეს კონკრეტულ ქმედებათა შესაძლო შედეგების შეფასება შეუძლია, რაც კოლექტიურ სამართლებრივ სიკეთეებთან მიმართებით უარყოფით შედეგამდე მიგვიყვანდა.[158] აღნიშნული მოსაზრება მეტად საკამათოა, ვინაიდან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ, მართალია, აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტები კოლექტიური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავშია მოცემული, რითაც კანონმდებელი ზეინდივიდუალურ/კოლექტიურ სიკეთეს იცავს, თუმცა ქმედების შემადგენლობაში გარკვეული შედეგის გამოწვევის შესაძლებლობაზე მითითება ინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთეს ეხება. მაშასადამე, კანონმდებელი იცავს როგორც კოლექტიურ, ისე ინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთეს, მაგრამ კოლექტიური სამართლებრივი სიკეთე, დელიქტის თავისებურებიდან გამომდინარე, მაინც წინა პლანზეა წამოწეული. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სსკ-ის 233-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა, რომელიც შემდეგი სახითაა ჩამოყალიბებული: „ბირთვულ ან რადიაქტიურ ობიექტზე ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯება, **რასაც შეეძლო გამოეწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა** ან სხვა მძიმე შედეგი“. უნივერსალური სამართლებრივი სიკეთის დამცავ ნორმებში აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების შემადგენლობაა მოცემული. სწორედ ასეთი ნორმებია ვარგისი კოლექტიური სამართლებრივი სიკეთის დასაცავად, ვინაიდან უნივერსალური სიკეთის წინააღმდეგ ქმედების განხორციელებისას არ არსებობს ქმედების ობიექტი, რომელიც კონკრეტული საფრთხის ზემოქმედების ზონაში შეიძლება მოექცეს. აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტები კი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ნაირსახეობაა. აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტები, ერთი მხრივ, უნივერსალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგაა მიმართული, და, მეორე მხრივ, იქმნება ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის (სიცოცხლის) ხელყოფის შესაძლებლობაც. თუმცა, ეს შესაძლებლობა არ არის კონკრეტული საფრთხის ანალოგი. ამაში მდგომარეობს განსახილველი დელიქტების „აბსტრაქტულ-კონკრეტულობა“.

4.5. შეკვეცილი შემადგენლობანი, როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები

სისხლის სამართლის ლიტერატურაში დელიქტების ერთ-ერთ სახედ გამოჰყოფენ შეკვეცილ შემადგენლობებს (Versuchsdelikte = Unternehmensdelikte). შეკვეცილი შემადგენლობა ისეთი შემადგენლობაა, რომელიც თავისი ფორმით დანაშაულის მომზადებას ან მცდელობას ჰგავს,

[157] დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ.

[158] იხ. *Hefendehl R.*, Kollektive Rechtsgüter im Strafrecht, Köln, Berlin, Bonn, München, 2002, S. 160.

მაგრამ კანონმდებელი ქმედების საშიშროებიდან გამომდინარე არ მოითხოვს გარკვეული შედეგის დადგომას, და დანაშაულს დამთავრებულად აცხადებს ქმედების განხორციელების მომენტშივე. შეკვეცილი შემადგენლობის მაგალითად ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით შეიძლება მივიჩნიოთ ყაჩაღობა, ბანდიტიზმი და სხვ.

რამდენადაც შეკვეცილი და საფრთხის შემქმნელი შემადგენლობანი არ მოითხოვენ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას, იბადება კითხვა, ხომ არ წარმოადგენენ ისინი ერთი და იმავე ტიპის დელიქტებს?

ლიტერატურაში ხშირად იყენებენ ტერმინ „შეკვეცილ შემადგენლობას“ ფორმალური შემადგენლობის აღსანიშნავად, მაგრამ მათ შორის არსებითი სხვაობაა. ფორმალურ დელიქტებში -წერს *მ. უგრეხელიძე* – ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობას შორის მოცულობის თვალსაზრისით სრული პროპორციაა. შეკვეცილ შემადგენლობებში ობიექტური შემადგენლობაა შეკვეცილი. ხოლო, რაც შეეხება სუბიექტურ ნიშანს (მაგალითად მიზანი), იგი იმ შედეგზე ვრცელდება, რომელიც შემადგენლობის მიღმაა.[159] საფრთხის შემქმნელი ზოგიერთი დელიქტი შეიძლება ისე იყოს ფორმულირებული, რომ ქმედების შემადგენლობის ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებს შორის თანაფარდობა დარღვეული არ იყოს, მაგრამ შეკვეცილი შემადგენლობის საფრთხის შემქმნელ დელიქტებში თანაფარდობა ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებს შორის დარღვეულია. ვერ ვიტყვით, რომ ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობას შორის თანაფარდობაა დარღვეულიო ისეთი საფრთხის დელიქტის დროს, როგორიცაა განსაცდელში მიტოვება. პირიქით, განსაცდელში მიტოვების დროს დამნაშავის განზრახვით ის უნდა იყოს მოცული, რაც ობიექტურად არსებობს. თუ დამნაშავეს განზრახული აქვს განსაცდელში მყოფის მოკვლა თავისი უმოქმედობით, მაშინ განსაცდელში მიტოვების შემადგენლობა კი არ იქნება განხორციელებული, არამედ მკვლელობის მცდელობა. განსაცდელში მიტოვებისას ადამიანი განსაცდელში, საფრთხეში იმყოფება და იგი დამნაშავის განზრახვით მოცულია კიდეც. განსაცდელში მიტოვების დროს დამნაშავეს შეგნებული უნდა ჰქონდეს ადამიანის განსაცდელში ყოფნა, მაგრამ არ უნდა სურდეს და არც უნდა ჰქონდეს განზრახული მისი სიცოცხლის მოსპობა. ყაჩაღობის დროს კი, დამნაშავე მოქმედებს სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, თუმცა კანონმდებელი ყაჩაღობას დამთავრებულად მიიჩნევს ამ მიზნით თავდასხმის განხორციელების მომენტიდან. ე. ი. ყაჩაღობისას ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის ნიშნებს შორის თანაფარდობა სუბიექტური ნიშნის სასარგებლოდაა დარღვეული. სუბიექტური ნიშნები სჭარბობს ობიექტურს.

საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის თანახმად, ყაჩაღობა გულისხმობს სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით თავდასხმის განხორციელებას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით. იბადება კითხვა, ქმედების შემადგენლობის სტრუქტურიდან გამომდინარე, ყაჩაღობა ხომ

[159] იხ. *Угрехелидзе М.*, Проблема неосторожной вины в уголовном праве, Тб., 1976, с. 101, 24-ე სქოლიო.

არ არის კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტი? რამდენადაც ყაჩაღობის დროს აუცილებელია გამოყენებული ძალადობა იყოს სიცოცხლისთვის საშიში და არა ის, რომ დაზარალებულის სიცოცხლეს შეექმნას კონკრეტული საფრთხე, ყაჩაღობა (ქართული სსკ-ის მიხედვით) არა კონკრეტული, არამედ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია. იქ, სადაც საუბარი არ არის კონკრეტული ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნაზე, არამედ დანაშაულის განსახორციელებლად გამოყენებული იარაღის საშიშროებაზე, კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის არსებობა უნდა გამოირიცხოს. დანაშაულის ჩადენის დროს დამნაშავის მიერ გამოყენებული იარაღის საშიშროებიდან გამომდინარე, დაზარალებულის სიცოცხლე მართლაც შეიძლება იყოს რეალურ საფრთხეში, მაგრამ ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციის მიხედვით, მოსამართლეს ევალება არა იმის დადგენა, დაზარალებულის სიცოცხლეს შეექმნა თუ არა კონკრეტული საფრთხე, არამედ იმის, დამნაშავის მიერ გამოყენებული იარაღი იყო თუ არა სიცოცხლისთვის საშიში. აღნიშნულიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ დანაშაულის ჩადენის იარაღის საშიშროების გათვალისწინებით, დაზარალებულის სიცოცხლეს კონკრეტული საფრთხე რეალურად ექმნება, მაგრამ რამდენადაც მოსამართლის მიერ დასადგენია, არა კონკრეტული საფრთხის შექმნა ადამიანისთვის, როგორც ქმედებით გამოწვეული შედეგი, არამედ საშიშროება, როგორც გამოყენებული იარაღის თვისება, განხორციელებული ქმედება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად უნდა მივიჩნიოთ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მერე შეიძლება ითქვას, რომ აბსტრაქტული საფრთხის და შეკვეცილი დელიქტები ზოგჯერ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ სინონიმებს. შეკვეცილი შემადგენლობანი საფრთხის დელიქტების, კერძოდ, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ნაირსახეობად შეიძლება მივიჩნიოთ,[160] რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა შეკვეცილი შემადგენლობა აბსტრაქტული საფრხის დელიქტია, მაგრამ ყველა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი როდია შეკვეცილი შემადგენლობა.

მას შემდეგ, როცა გავარკვიეთ, რომ საფრთხის შემქმნელი დელიქტები და შეკვეცილი შემადგენლობანი ერთმანეთის სინონიმებად არ შეიძლება განხილული იქნენ, იბადება კითხვა, რა სახის ურთიერთობა არსებობს შეკვეცილ და მიზნით დაფუძნებულ დელიქტებს შორის? ვინაიდან ორივე ტიპის დელიქტებში ისეთი სუბიექტური ნიშანი, როგორიც მიზანია, გადამწყვეტ როლს ასრულებს. უნდა აღინიშნოს, რომ არც ამ შემთხვევაში შეიძლება საუბარი მათ სრულ იდენტობაზე, რაზეც უფრო ვრცლად ქვემოთ იქნება საუბარი.

4.6. დენადი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი

დელიქტების ჯგუფიდან ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს დენადი დელიქტები, რომლებიც მოქმედებით ან უმოქმედობით იწყება და უწყვეტად გრძელდება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით,

[160] ანალოგიური თვალსაზრისი იხ. *Graul E.*, იქვე,გვ. 131.

დენადი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის მაგალითად შეიძლება დასახელდეს სსკ-ის 292-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (წყლის დაბინძურება).

დენადი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად შეიძლება ასევე დასახელდეს დაუხმარებლობა (სსკ-ის 129-ე მუხლი) და განსაცდელში მიტოვება (სსკ-ის 128-ე მუხლი). დაუხმარებლობა და განსაცდელში მიტოვება ფორმალურად დამთავრებულია სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობის მომენტიდან ანუ მაშინ, როცა ამსრულებელი არ დაეხმარა განსაცდელში მყოფს, მაგრამ აღნიშნული დელიქტები მატერიალური გაგებით გრძელდება მანამ, სანამ ადამიანი განსაცდელში იმყოფება.

დენადი აბსტაქტული საფრთხის დელიქტის მაგალითად გერმანული სსკ-ის მიხედვით, განიხილავენ მთვრალი მძღოლის მიერ მანქანის მართვას (გერმანული სსკ-ის 316-ე პარაგრაფი).[161] ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობით აღნიშნული ქმედება სისხლის-სამართლებრივად დასჯადი არ არის, თუ მას რაიმე შედეგი არ მოჰყვა. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ საფრთხის შემქმნელი დელიქტები მხოლოდ სისხლის სამართალში როდი გვხვდება. იგი მოცემულია ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობაში. დასახელებული დელიქტი ფორმალურად ქმედების განხორციელებისთანავეა დამთავრებული, მაგრამ მატერიალური გაგებით იგი შეიძლება უწყვეტლივ გაგრძელდეს. მაგალითად, როდესაც მთვრალი მძღოლი ავტომანქანის მართვას დაიწყებს დანაშაული გერმანული სსკ-ის მიხედვით ფორმალურად დამთავრებულია, თუმცა მატერიალურად იგი გრძელდება მანამ, სანამ მთვრალი მძღოლი არ შეწყვეტს მანქანის მართვას.

ყველა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი არ შეიძლება დენად დანაშაულად ჩაითვალოს, მიუხედავად იმისა, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი ქმედების განხორციელებისას არის უმეტესად იურიდიულად/ფორმალურად დამთავრებული და კონკრეტული შედეგის დადგომა ქმედების შემადგენლობის მიღმა დგას. მაგალითად უკანონო აბორტი, რომელიც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია, არ შეიძლება დენად დანაშაულად ჩაითვალოს. უკანონო აბორტის შემადგენლობა მაშინ ითვლება დამთავრებულად, როცა ორსულობა უკანონოდ შეწყდება. ორსულობის შეწყვეტისას დანაშაული ფორმალურადაც და მატერიალურადაც დამთავრებულია. ამ შემთხვევაში აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განსახორციელებლად კონკრეტული შედეგის დადგომა – ორსულობის შეწყვეტაა საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება დასახელებული დელიქტის მცდელობას.

საინტერესოა, რამდენად არის შესაძლებელი, რომ კონკრეტული საფრთხის დელიქტიც წარმოადგენდეს დენად დანაშაულს? კონკრეტული საფრთხის შექმნა ხშირად ზიანში გადაიზრდება ან საფრთხე დროის გარკვეულ მონაკვეთში გაივლის. აღნიშნულიდან გამომდინარე, დენადი კონკრეტული საფრთხის დელიქტები არც თუ ისე ხშირად გვხვდება, მაგრამ მაინც შესაძლებელია დენადი კონკრეტული საფრთხის დელიქტების გამოყოფა. დენადი კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის მაგალითად შეიძლება დასახელდეს საქართველოს სსკ-ის

[161] იხ. *Hau H.,* Die Beendigung der Straftat und ihre rechtlichen Wirkung, Berlin, 1974, S. 91.

293-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა (ზღვის დაბინძურება): „გემიდან, სხვა მცურავი საშუალებიდან, პლატფორმიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციიდან ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებების, სხვა ნარჩენის ანდა მასალის ზღვაში უკანონოდ ჩაყრა (ჩაშვება), აგრეთვე მათი ჩამარხვის წესის დარღვევით ზღვის დაბინძურება, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან ზღვის ცოცხალ ორგანიზმს, ანდა ხელს უშლის ზღვის მართლზომიერ გამოყენებას, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ“.[162]

ო. გამყრელიძე და *ქ. მჭედლიშვილი – ჰედრიხი* დენადი დანაშაულის თავისებურებად მიიჩნევენ იმას, რომ მისი ჩადენა მხოლოდ განზრახვის სფეროში ხდება,[163] მაგრამ იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე საწინააღმდეგო მოსაზრებაცაა გამოთქმული.[164] ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში მართლაც მოიძებნება ისეთი დენადი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი, რომლის განხორციელება გაუფრთხილებლობით არის შესაძლებელი. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლით ისჯება „ატომური ენერგეტიკის ობიექტის განლაგების, დაპროექტების, მშენებლობის ან ექსპლუატაციის დროს უსაფრთხოების წესის დარღვევა, რასაც გაუფრთხილებლობით შეეძლო გამოეწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან გარემოს რადიაქტიური დაბინძურება“. აღნიშნული დანაშაული რომ გაუფრთხილებლობას გულისხმობს ამაზე დისპოზიციაში პირდაპირაა მითითებული. განსახილველი დანაშაული ასევე დენად დანაშაულს შეიძლება მივაკუთვნოთ, რამდენადაც იგი შეიძლება ატომური ენერგეტიკის ობიექტის უსაფრთხოების წესის დარღვევით მშენებლობაში გამოიხატოს. მშენებლობა კი დროში გაწელილი პროცესია და იგი არ გულისხმობს მხოლოდ ერთჯერად ქმედებას.

4.7. მიზნით დაფუძნებული აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ნაირსახეობას წარმოადგენს მიზნით დაფუძნებული დელიქტები (Absichtsdelikte = erfolgskupierte Delikte). მიზნით დაფუძნებული აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები სხვა ტიპის

---

[162] აღნიშნული ნორმა ე.წ. პრეიუდიციულ ნორმათა ჯგუფს მიეკუთვნება. ასეთი ნორმების რიცხვი ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში ძალიან ცოტაა. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ პრეიუდიციული ნორმის არსებობა გამართლებული არ არის, ვინაიდან ადმინისტრაციულ გადაცდომასა და დანაშაულს შორის სხვაობა ქმედების სოციალური საშიშროების ხარისხშია და არა ქმედების განხორციელების რაოდენობაში. ქმედების განმეორებით განხორციელებისას არ იზრდება სოციალური საშიშროება, იგი იმავე საშიშროების რჩება, რა საშიშროებასაც მოიცავდა პირველად განხორციელების დროს. ამა თუ იმ ქმედების განმეორებით განხორციელება მიუთითებს არა ქმედების საშიშროების ზრდაზე, არამედ მისი ჩამდენის პიროვნებაზე, მის გამოუსწორებელ ხასიათზე.

[163] იხ. *გამყრელიძე ო.*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამოცემა, თბ., 2008, გვ. 134; *მჭედლიშვილი – ჰედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 382.

[164] იხ. *მამულაშვილი გ.*, წიგნში: *ნაჭყებია გ., დვალიძე ი.* (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 332.

დელიქტებისგან იმით გამოირჩევიან, რომ ქმედების ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობას შორის დისპროპორცია არსებობს. ობიექტურ ნიშნებს სჭარბობს სუბიექტური ნიშნები.[165]

მიზნით დაფუძნებული საფრთხის დელიქტების ქმედების შემადგენლობის განსახორციელებლად არ არის საჭირო არც კონკრეტული საფრთხის შექმნა და არც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, იგი ქმედების ობიექტური შემადგენლობის ფარგლებს სცდება. ამ ტიპის დელიქტთა ქმედების შემადგენლობის აუცილებელ სუბიექტური ნიშანი კონკრეტული მიზანია.

მიზნით დაფუძნებულ აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებს მიეკუთვნება საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლით (მძევლად ხელში ჩაგდება); 329-ე მუხლის პირველი (მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით) და მე-2 ნაწილებით, აგრეთვე 177-ე (ქურდობა), 178-ე (ძარცვა), 179-ე (ყაჩაღობა) მუხლებით გათვალისწინებული შემადგენლობანი და სხვ.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში საკამათოდ მიიჩნევა საკითხი იმის შესახებ, მიეკუთვნება თუ არა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს მიზნით დეტერმინირებული ისეთი დანაშაული, როგორიც ქურდობაა. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ქურდობა ხელყოფს საკუთრების უფლებას[166] და იგი ე. წ. მატერიალურ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება[167], მაგრამ *ე. გრაულის* თვალსაზრისით, დასმული კითხვისთვის სწორი პასუხის გასაცემად საჭიროა იმის გათვალისწინება, თუ როგორ განისაზღვრება ქურდობის შემადგენლობით დაცული სამართლებრივი სიკეთე.[168]

ე. გრაული აღნიშნავს, რომ ქურდობის შემადგენლობა (გერმანული სსკ-ის 242-ე პარაგრაფი, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხ.) არ იცავს საკუთრებას, როგორც ქონებრივ უფლებას, ე.ი. მესაკუთრის სამართლებრივი პოზიციის დაკარგვა არ არის დასამტკიცებელი (დასადგენი), რის გამოც ქურდობა მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში იწვევს საკუთრების ხელყოფას.[169] ქურდობის შემადგენლობა ხელყოფისგან იცავს მესაკუთრის იმ შესაძლებლობებს, რომელიც საკუთრების უფლებიდან გამომდინარეობს.[170]

ქურდობის დროს მესაკუთრე კარგავს არა საკუთრების უფლებას, არამედ საკუთრების უფლებიდან გამომდინარე შესაძლებლობებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, „მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება“. ე.ი. თუ ვინმე სხვის ნივთს უკანონოდ დაეუფლება, მესაკუთრე არ კარგავს საკუთრების უფლებას და მას უფლება აქვს უკანონო მფლობელობიდან გამოითხოვოს საკუთარი ნივთი. ქურდობის განხორციელებისას, მოსამართლემ ქმედების საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით დასაკვალ-

---

165 იხ. *უგრეხელიძე მ.,* ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 19.

166 იხ. *ლეკვეიშვილი მ.,* წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კურძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 404.

167 იხ. *ლეკვეიშვილი მ.,* იქვე, გვ. 406.

168 იხ. *Graul E.,* იქვე, გვ. 133.

169 იხ. *Graul E.,* იქვე, გვ. 133.

170 იხ. *Graul E.,* იქვე, გვ. 133.

იფიცირებლად უნდა დაადგინოს ქმედების შესაბამისობა სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობასთან. კერძოდ, იმის დადგენა უნდა მოხდეს, რომ კონკრეტული პიროვნება დაეუფლა სხვის მოძრავ ნივთს ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. მოსამართლეს არ ევალება ქმედებასა და კონკრეტულ შედეგს ან საფრთხეს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა. ასეთი კავშირის დადგენა შეუძლებელიც არის მისი არარსებობის გამო. ალბათ ყოველგვარ აზრს არის მოკლებული იმის მტკიცება და თქმა, რომ თუ ქურდი სხვის ნივთს არ მოიპარავდა ქურდის ხელში სხვისი ნივთი არ აღმოჩნდებოდა. თუ ქურდობით მოპარული ნივთის მესაკუთრე საკუთრების უფლებას არ კარგავს, არამედ იმ შესაძლებლობას, რომელიც საკუთრების უფლებიდან გამომდინარეობს და მას უფლება აქვს უკანონო მფლობელობიდან გამოითხოვოს საკუთარი ნივთი, მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქურდობასა და საკუთრების ხელყოფას შორის შეუძლებელია, რამდენადაც ქურდობა ასეთ შედეგს არც იწვევს. რაც შეეხება ქურდობის შედეგად საკუთრების უფლებიდან გამომდინარე შესაძლებლობის დაკარგვას, ქურდობა, როგორც სსკ-ით გათვალისწინებული ქმედება, ამას ისედაც გულისხმობს. ამ „შედეგის“ ქმედებისგან გამოყოფა შეუძლებელია, რაც ზოგადად აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებისთვისაა დამახასიათებელი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებობს სხვა არგუმენტიც, რომელიც კიდევ უფრო საეჭვოს ხდის იმ მოსაზრების სისწორეს, რომლის მიხედვითაც ქურდობა ხელყოფის დანაშაულად უნდა გამოვაცხადოთ. მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის მიხედვით, საკუთრების უფლების შინაარსის ელემენტებია მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა, მაგრამ ზოგიერთი ევროპული ქვეყნის კანონმდებლობით საკუთრების უფლება მხოლოდ ორკომპონენტიანია. ესენია: სარგებლობა და განკარგვა.[171] ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით, აღნიშნული მიდგომით, მფლობელობა მიჩნეულია არა უფლებრივ კატეგორიად, არამედ ფაქტად. მაშასადამე, მესაკუთრის მფლობელობიდან ნივთის დროებითი არამართლზომიერი გასვლით საკუთრების ხელყოფა კი არ ხდება, არამედ ამ ნივთის მესაკუთრის მიერ შემდგომში სარგებლობას და განკარგვას ექმნება საფრთხე. თუმცა, ეს ყოველივე არ გამორიცხავს იმას, რომ ქურდობის შედეგად მოპარული ნივთის მესაკუთრემ საკუთარი ნივთით სარგებლობის და განკარგვის შესაძლებლობაც დაკარგოს, მაშასადამე ქურდობა საკუთრების ხელყოფით დასრულდეს, თუ მოპარული ნივთი დროულად არ დაუბრუნდა მესაკუთრეს.

როდესაც ვსაუბრობთ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებზე და იმაზე, თუ რამდენად შეიძლება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს წარმოადგენდეს ქურდობა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს *უ. ქინდჰაიზერის* მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ აბსტრაქტული საფრთხის შექმნა გულისხმობს სიკეთეთა უსაფრთხო განკარგვისთვის საჭირო პირობების დარღვევას.[172] ქურდობის დროსაც დაზარალებულის ნივთის უსაფრთხო

---

[171] იხ. *ქოჩაშვილი ქ.*, მფლობელობა და საკუთრება – ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., 2013, გვ. 134-135.

[172] იხ. *Kindhäuser U.,* Strafrecht, AT, 5. Aufl., Baden-Baden, 2011, S. 69, §8 Rn. 22.

განკარგვისთვის საჭირო პირობები ირღვევა. დაზარალებული ქურდობის შედეგად საკუთრების უფლებას კი არ კარგავს, არამედ შეიძლება ხელი შეეშალოს საკუთარი ან მისი კანონიერი მფლობელობიდან უკანონოდ გასული ნივთის განკარგვაში. *უ. ქინდჰოიზერის* თვალსაზრისით, საკუთრივ უსაფრთხოება, არ განიხილება სამართლებრივ სიკეთედ, არამედ მდგომარეობად. *ქინდჰოიზერის* მოსაზრება უდავოდ საინტერესოა, მაგრამ იგი მაინც შეიცავს გარკვეულ ნაკლოვანებას. მისი მსჯელობა იმ ავტორების შეხედულებას უახლოვდება, რომლებიც მიიჩნევენ, რომ შეიძლება არსებობდეს დელიქტი სამართლებრივი სიკეთის გარეშე, რაც არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. ქურდობის დროს მართალია, ყოველთვის არ ხდება საკუთრების, როგორც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქურდობის შემადგენლობა არსებობდეს სამართლებრივი სიკეთის გარეშე. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტისთვის სასჯელის დაწესება სწორედ სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით არის განპირობებული. დაუშვებელია სასჯელის დაწესება ისეთი ქმედებისთვის, რომელიც სამართლებრივ სიკეთეს თუნდაც აბსტაქტულ საფრთხეს არ უქმნის.

ბ. ჰაინრიხი აღნიშნავს, რომ დელიქტების ჯგუფიდან უნდა გამოიყოს დელიქტების ერთ-ერთი სახე, რომელშიც შედეგი ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშანს არ წარმოადგენს, არამედ დამნაშავეს მოეთხოვება შედეგის გამოწვევისკენ მიმართული მიზნით მოქმედების განხორციელება. აღნიშნული ტიპის დელიქტებს იგი ქურდობის შემადგენლობას (გერმანული სსკ-ის 242-ე პარაგრაფი) მიაკუთვნებს.[173] ქურდობასთან დაკავშირებით ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამენ სხვა უცხოელი ავტორებიც.[174]

ბ. ჰაინრიხის შეხედულებით, ქურდობის ობიექტური შემადგენლობის განსახორციელებლად საკმარისია მხოლოდ განსაზღვრული ქმედება, ხოლო შედეგი და მისი გამომწვევი მიზეზობრიობა დამნაშავეს მხოლოდ გამიზნული უნდა ჰქონდეს. მისაკუთრება, როგორც შედეგი, დგინდება არა ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების შესამოწმებლად, არამედ სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე. ე. ი. მისაკუთრება ქურდობის დროს წარმოადგენს არა რეალურად დამდგარ, არამედ დამნაშავის მიერ გამიზნულ შედეგს.[175]

ბ. ჰაინრიხის მოსაზრების ანალოგიურ თვალსაზრისს გამოხატავს *დ. ოელერი* და აღნიშნავს, რომ ქურდობასთან დაკავშირებით კანონი არ ელოდება სხვისი ნივთის მისაკუთრებას,[176] ქმედების შემადგენლობა უფრო ადრეულ ეტაპზეა განხორციელებული. ქურდობისთვის დასჯის საფუძველია სხვისი ნივთის მისაკუთრების მიზნის მისაღწევად ქმედების განხორციელება, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ დამნაშავემ ამ მიზანს მიაღწიოს. ამის მიზეზი ის არის, რომ **ქურდობის განსახორციელებლად კანონმდებელი არ მოითხოვს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას**. ქმედება, რომლითაც ქურდობის შემადგენლობა (ფორმალურად) ხორციელდება საფრთხეს უქმნის დასაცავ ობიექტს. კანონმდებელი ამ საფრთხის შემქმნელ ქმედებას ქურდობის, როგორც დამ-

---

173 იხ. *Heinrich B.,* Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 62, Rn. 160.

174 იხ. *Krey/Esser.,* Deutsches Strafrecht, AT, 4. Aufl., Stuttgart, 2011, S. 90, Rn. 220.

175 იხ. *Heinrich B.,* Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 62, Rn. 160.

176 იხ. *Oehler D.*, Das objektive Zweckmoment in der rechtswidrigen Handlung, Berlin, 1959, S. 79.

თავრებული დელიქტის გამო დასჯისთვის საკმარისად მიიჩნევს. ქურდობის საფრთხის შემქმნელ დელიქტად შეფასება ეფუძნება იმას, რომ მოვლენათა ნორმალურად განვითარების (Regellauf der Dinge) შემთხვევაში, თუ დამნაშავეს რაიმე დაბრკოლება არ შეექმნა, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა დიდი ალბათობით მოსალოდნელია.[177]

როდესაც ქურდობაზე ვსაუბრობთ და ვარკვევთ იმას, თუ რომელ შემადგენლობას მიეკუთვნება იგი, აუცილებელია შემდეგი მომენტის გათვალისწინებაც. ქურდობისგან დასაცავი სიკეთე, როგორც უკვე ითქვა, არის საკუთრება, რომელიც საკუთრების უფლების ობიექტია. ქურდობა, მართალია საფრთხის შემქმნელი დელიქტია და აქ იგულისხმება საკუთრებისთვის საფრთხის შექმნა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქურდობა საკუთრების უფლებას არ არღვევდეს. უფლება (ნებისმიერი) ირღვევა არა მხოლოდ მაშინ, როცა სამართლებრივი სიკეთე (როგორც უფლების ობიექტი) ხელყოფილია, არამედ მაშინაც, როცა მას საფრთხე ექმნება. მაგრამ, უფლების დარღვევა ავტომატურად არ გვაძლევს შედეგიან (მატერიალურ) დანაშაულს. შედეგიანი მაშინაა შემადგენლობა, როცა მისი ელემენტია სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ან კონკრეტული საფრთხის შექმნა (როგორც შედეგი). აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ უფლება ფორმალურ-იურიდიული კატეგორიაა, ხოლო საკუთრება ეკონომიკურ (სოციალურ)-სამართლებრივი. ამიტომ, მატერიალური შემადგენლობის მოცემა შეუძლია არა უფლების დარღვევას, არამედ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას ან კონკრეტული საფრთხის შექმნას, რაც, ბუნებრივია, არ არის სამართლებრივი სიკეთისთვის აბსტრაქტული საფრთხის შექმნის იდენტური. თუ უფლების დარღვევას იმ შედეგად ჩავთვლიდით, რომელსაც შედეგიანი დელიქტის დაფუძნება შეუძლია, შედეგიან დელიქტად უნდა მიგვეჩნია თავისუფლების უკანონო აღკვეთაც (143-ე მუხ.), ვინაიდან აღნიშნული დანაშაულის განხორციელების დროსაც ირღვევა (თავისუფლების) უფლება.

ქურდობის შემადგენლობასთან დაკავშირებით საინტერესო აზრს გამოთქვამს *ო. გამყრელიძე*, რომელიც ქურდობას, ერთი მხრივ, შედეგიან დანაშაულთა რიცხვს მიაკუთვნებს,[178] და, მეორე მხრივ, მას ფორმალურად დამთავრებულ დანაშაულს უწოდებს და აღნიშნავს, რომ „ქურდობა დამთავრებულია სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლების მომენტიდან, მაგრამ ნივთის ქურდის ხელში გადასვლა არ ნიშნავს ხელყოფის საბოლოო დამთავრებას და მოგერიების უფლების მოსპობას“.[179] *ო. გამყრელიძის* თვალსაზრისი მართებულია იმასთან დაკავშირებით, რომ სხვისი ნივთის ფარულად დაუფლება არ ნიშნავს ჯერ კიდევ საკუთრების ხელყოფას. წინააღმდეგ შემთხვევაში მესაკუთრე ქურდის მიერ სხვისი ნივთის დაუფლების მომენტში დაკარგავდა აუცილებელი მოგერიების უფლებას.[180] აუცილებელი მოგერიების უფლება ადამიანს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფამდე გააჩნია. ხოლო, თუ სამართ-

---

[177] იხ. *Oehler D.*, ebenda, S. 80.

[178] იხ. *გამყრელიძე ო.*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამოცემა, თბ., 2008, გვ. 79.

[179] იხ. *გამყრელიძე ო.*, იქვე, გვ. 223.

[180] იხ. *ცქიტიშვილი თ.*, აუცილებელი მოგერიება, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება, კრებულში: *ფერაძე გ.* (რედ.), სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი II, ეძღვნება დ. ფურცელაძის ხსოვნას, თბ., 2012, გვ. 622.

ლებრივი სიკეთის ხელყოფა განხორციელდა, აუცილებელი მოგერიების უფლებაც ისპობა. აუცილებელი მოგერიება ხომ სხვისი ან საკუთარი სამართლებრივი სიკეთის დაცვას გულისხმობს მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისგან, მაგრამ როგორ შეიძლება დაიცვა ის სიკეთე, რომელიც უკვე ხელყოფილია. სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის მერე შესაძლებელია განხორციელდეს არა აუცილებელი მოგერიება, არამედ დამნაშავის შეპყრობა ან შურისძიება.

სხვისი ნივთის დაუფლებას, რომელიც ქურდობის შემადგენლობის ობიექტური ნიშანია, კანონმდებელი ტიპურად ისეთ ქმედებად თვლის, რომელიც საფრთხეს უქმნის საკუთრებას. მაგრამ ქურდობის უმართლობაზე მსჯელობისთვის ეს არ არის საკმარისი, ვინაიდან მართლწინააღმდეგობაზე მსჯელობას არ შეიძლება საფუძვლად დაედოს მხოლოდ გარეგანი ხდომილება.[181] სხვისი ნივთის მხოლოდ ფიზიკურად დაუფლება საფრთხეს ვერ შექმნის, თუ მას საფუძვლად არ უდევს კონკრეტული მიზანი. წარმოუდგენელია სხვისი ნივთის დაუფლება უმიზნოდ, უშინაარსოდ. ქურდობის დროს ეს შეიძლება იყოს მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი.[182]

4.8. მოტივით დაფუძნებული აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებიდან ერთ-ერთ ჯგუფს წარმოადგენს მოტივით დაფუძნებული აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები. ეს ის საფრთხის დელიქტებია, რომელთა უმართლობასაც მოტივი აფუძნებს. მოტივით დაფუძნებულ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს მიეკუთვნება საქართველოს სსკ-ის 135-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტი – სისხლით ან სისხლის კომპონენტებით უკანონო ვაჭრობა, ჩადენილი ანგარებით. სსკ-ის 135-ე მუხლის მიხედვით, სისხლით ან მისი კომპონენტებით უკანონო ვაჭრობა მხოლოდ მაშინ დაისჯება სისხლისსამართლებრივად, თუ იგი ანგარების მოტივითაა ჩადენილი. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ქმედების უმართლობას ანგარების მოტივი განსაზღვრავს.

მოტივი ზოგჯერ ბრალის ნიშანია, ზოგჯერ უმართლობის. მაშასადამე, მოტივს ორმაგი ფუნქცია ენიჭება: სისხლისსამართლებრივი უმართლობის დამაფუძნებელი და უმართლობის და ბრალის ხარისხის განმსაზღვრელი. მოტივის ორმაგ ფუნქციაზე მიუთითებს *მ. ტურავა*, როცა აღნიშნავს, რომ განზრახი დანაშაულის ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ ნიშნებს წარმოადგენს სპეციალური მიზანი, სპეციალური ცოდნა და **უმართლობის დამაფუძნებელი მოტივი**. ხოლო ანგარება, ხულიგნური და სხვა დაბალი ქვენაგრძნობები, როგორც ბრალის ნიშანი, სსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, შეერაცხება მხოლოდ იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელსაც უშუალოდ ახასიათებს იგი.[183]

მაშინ, როცა მოტივი უმართლობის ნიშანია, იგი ამავდროულად

---

[181] იხ. *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2013, გვ. 29.

[182] იხ. *გამყრელიძე ო.*, იქვე, გვ. 30.

[183] იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 261.

ბრალის ნიშანიც ვერ იქნება და ბრალის ხარისხს ვერ განსაზღვრავს. თუ ერთსადაიმავე ნიშანს ერთდროულად მივანიჭებდით სისხლის-სამართლებრივი უმართლობის და ბრალის ხარისხის განმსაზღვრელ ფუნქციას და ვინმე მკაცრად დაისჯება იმ დასაბუთებით, რომ მან ქმედების შემადგენლობის ნიშანი განახორციელა, დაირღვევა ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპი (Das Verbot der Doppelverwertung).[184] აღნიშნული პრინციპის გამოხატულებას წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილში ასახული დებულება, რომლის მიხედვითაც, „თუ სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლი ან მუხლის ნაწილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად ითვალისწინებს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებას, იგივე გარემოება სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღება“.[185]

არ შეიძლება მოსამართლემ დამნაშავეს მკაცრი სასჯელი დაუნიშნოს იმ გარემოების საფუძველზე, რომელიც ქმედების შემადგენლობის ნიშანია. ეს ეხება ქმედების როგორც ძირითად, ისე კვალიფიცირებულ შემადგენლობას.[186] აღნიშნული წესი ვრცელდება ქმედების შემადგენლობის არა მხოლოდ ობიექტურ, არამედ სუბიექტურ ნიშნებზეც.[187]

ერთიდაიგივე ნიშნის მიხედვით სისხლისსამართლებრივი უმართლობის და ბრალის ხარისხის განსაზღვრა შესაძლებლად მიაჩნიათ *ო. გამყრელიძეს*[188], *ირაკლი დვალიძეს*[189] და *ქ. მჭედლიშვილ-ჰედრიხს.*[190] *ო. გამყრელიძის* თვალსაზრისით, სუბიექტური ნიშნებიდან სისხლისსამართლებრივ უმართლობას მხოლოდ მიზანი აფუძნებს,[191] ხოლო მოტივი ბრალის ნიშანია[192] და მას არ შეუძლია უმართლობის დაფუძნება. მაშინ, როცა მიზანს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს უმართლობაზე, მოტივს არ შეიძლება ასეთი მნიშვნელობა მივანიჭოთ.[193] თუ განზრახ დელიქტებში მიზანი უმართლობის ნიშანია და იგი ამის შემდეგ საფეხურზეც ფასდება ბრალის დადგენისას, მოტივი მხოლოდ ბრალის ხარისხზე ახდენს

---

[184] იხ. *Jescheck H-H., Weigend T.,* Lehrbuch des Strafrechts, AT, Berlin, 1996, 5. Auf., S. 901.

[185] ანალოგიურ შინაარსს შეიცავს გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე პარაგრაფიც.

[186] იხ. *Fischer T.,* Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Auf., München, 2010, S. 360, §46 Rn. 76.

[187] იხ. *Fischer T.,* ebenda, S. 361,§46 Rn. 76b.

[188] *ო. გამყრელიძის* თვალსაზრისით, ორი ან მეტი ადამიანის განზრახ მკვლელობისას იზრდება როგორც უმართლობის, ისე ბრალის ხარისხიც. მისი შეხედულებით, სისხლის-სამართლებრივი უმართლობის ხარისხს შეუძლია ბრალის ხარისხზე მოახდინოს ზეგავლენა იხ. *გამყრელიძე ო.,* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამოცემა, თბ., 2008, გვ. 90.

[189] *ი. დვალიძე* მიუთითებს, რომ „თუკი მიზანი დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებადაა მოცემული, მაშინ უმართლობის ხარისხთან ერთად იზრდება ბრალის ხარისხიც. მაგალითად, მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით“. იხ. *დვალიძე ი.,* მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ. 79.

[190] *ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხის* თვალსაზრისით, „უმართლობის ხარისხი, როგორც წესი, ბრალის ხარისხსაც განსაზღვრავს“. იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი I, დანაშაული, თბ., 2014, გვ. 93.

[191] იხ. *გამყრელიძე ო.,* სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., 1989, გვ. 176.

[192] იხ. *გამყრელიძე ო.,* სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2011, გვ. 346.

[193] იხ. *გამყრელიძე ო.,* უმართლობის სუბიექტური ნიშნების საკითხისათვის, „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1983, №2, გვ. 85.

ზეგავლენას.[194]

არ არის გასაზიარებელი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც უმართლობის ხარისხი ბრალის ხარისხსაც განსაზღვრავს. არა მხოლოდ ბრალი, არამედ უმართლობაც გულისხმობს გაკიცხვას და მეტი უმართლობის ჩამდენი მეტად იკიცხება, უფრო მკაცრად ისჯება, მაგრამ თუ უმართლობა სამართლებრივი, ობიექტური ხასიათის გაკიცხვაა, ბრალი პერსონალურ გაკიცხვას გულისხმობს. უმართლობის ხარისხით ბრალის ხარისხის განსაზღვრა სხვა არაფერია თუ არა ბრალის ობიექტური, არაპერსონალური ხასიათის აღიარება და სამართლებრივი (მაშასადამე, ობიექტური) და პერსონალური გაკიცხვის გაიგივება. მოსამართლე უმართლობის ჩამდენს კიცხავს ბრალის ხარისხის გათვალისწინებით და სასჯელს უნიშნავს კანონმდებლის მიერ განსაზღვრული სანქციის ფარგლებში. კანონმდებელი კი სასჯელის ზომას ადგენს უმართლობის ხარისხის გათვალისწინებით. უმართლობის ხარისხის გათვალისწინებით სასჯელის ზომა ქმედების განხორციელებამდე წინასწარვეა კანონმდებლის მიერ დადგენილი, მაშინ, როცა მოსამართლე უმართლობის ჩამდენის ბრალის ხარისხს განსაზღვრავს იმ კონკრეტულ (ობიექტური თუ სუბიექტური ხასიათის) გარემოებათა გათვალისწინებით, რომელიც არსებობს ქმედების განხორციელებისას. უმართლობის ხარისხის განმსაზღვრელი გარემოებაც არსებობს ქმედების განხორციელებისას, მაგრამ ბრალის ხარისხის განმსაზღვრელი გარემოებისგან განსხვავებით, იგი ქმედების განხორციელებამდე იქნა კანონმდებლის მიერ გათვალისწინებული ქმედების კრიმინალიზაციისა და სასჯელის დაწესებისას, მაშინ, როცა მოსამართლე ბრალის ხარისხს პერსონალური ხასიათის გარემოებათა გათვალისწინებით განსაზღვრავს.

იეშეკი და ვაიგენდი თავიანთ სახელმძღვანელოში განიხილავენ ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპს და მიუთითებენ, რომ ქმედების შემადგენლობის ნიშანი სასჯელის დანიშვნის დროს არ მიიღება მხედველობაში,[195] მაგრამ მიუხედავად ამისა, ანგარების მოტივს განიხილავენ ბრალის ნიშნად მაშინ, როცა იგი ქმედების შემადგენლობაშია მოცემული[196] (მაგალითად, მკვლელობა ანგარების მოტივით, რომელიც გერმანული სსკ-ის 211-ე პარაგრაფით, ხოლო ქართული სსკ-ის 109-ე მუხლით ისჯება). საკითხის ასეთი გადაწყვეტა წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან, ვინაიდან ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სასჯელის დანიშვნის დროს მოსამართლეს უფლება არა აქვს, გაითვალისწინოს ის ნიშანი, რომელიც ქმედების შემადგენლობის ნიშანია. არ შეიძლება, რომ ამ წესიდან გამონაკლისი იყოს დაშვებული მხოლოდ სუბიექტური ნიშნებისთვის. იგი ერთნაირად უნდა გავრცელდეს როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ ნიშნებზე. თუ მოტივი ბრალის ნიშანია, იგი არც უნდა იქნეს ქმედების (მათ შორის კვალიფიციურ) შემადგენლობაში მითითებული და მოსამართლეს უნდა მიენიჭოს აღნიშნული ნიშნის სასჯელის დანიშვნის დროს გათვალისწინების პრეროგატივა.

კ. როქსინის თვალსაზრისითაც, მოტივი არა უმართლობის, არამედ

---

[194] იხ. *გამყრელიძე ო.*, იქვე,გვ. 87.

[195] იხ. *Jescheck H-H., Weigend T.*, იქვე,გვ. 901.

[196] იხ. *Jescheck H-H., Weigend T.*, იქვე,გვ. 319.

ბრალის ნიშანია.[197] მისი პოზიციით, არ შეიძლება ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშნებს ამავდროულად ქმედების სოციალური უღირსობის დამაფუძნებელი ან ამამაღლებელი ფუნქცია შევუთავსოთ. ის, რომ ესა თუ ის გარემოება გავლენას ახდენს სოციალურ უღირსობაზე, იმას არ ნიშნავს, რომ იგი უმართლობას ეკუთვნის.[198] მაშასადამე, ქმედების სოციალურ უღირსობას ყოველთვის უმართლობის ნიშანი კი არ აფუძნებს და ამაღლებს, არამედ ბრალის ნიშანიც. ერთი მხრივ, *როქსინი* მოტივს ბრალის ნიშნად მიიჩნევს, მაგრამ მეორე მხრივ, იმასაც არ გამორიცხავს, რომ ამ სუბიექტურმა ნიშანმა ქმედების სოციალურ უღირსობაზე ზეგავლენა მოახდინოს.

როქსინი მართებულად აღნიშნავს, რომ გაუმართლებელია სუბიექტური ნიშნის გამოცხადება აბსტრაქტულად ან უმართლობის ან ბრალის ნიშნად. მისი შეხედულებით, საკითხი იმის თაობაზე, სუბიექტური ნიშანი უმართლობას ეკუთვნის, თუ ბრალს, უნდა გადაწყდეს კონკრეტულ დელიქტთან მიმართებით. იმისთვის, რომ სუბიექტური ელემენტი უმართლობის ნიშნად იქნეს მიჩნეული, აუცილებელია, რომ იგი დელიქტის ტიპს განსაზღვრავდეს და დაკავშირებული იყოს სამართლებრივ სიკეთესთან.[199] *როქსინის* ეს მსჯელობა კიდევ უფრო მისაღები იქნებოდა, თუ იგი ამას არა მხოლოდ მიზანზე, არამედ მოტივზეც გაავრცელებდა. მას ბრალის ნიშნად მიაჩნია ის მოტივიც, რომელიც ქმედების შემადგენლობაშია მითითებული.

ჰ. ველცელი თვლის, რომ მოტივი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშანია, რომელიც ქმედების სოციალურ უღირსობას აფუძნებს ან ზრდის. მისი თვალსაზრისით, მოტივი რომ ბრალის ნიშანი არ არის, მეტყველებს ის, რომ ბრალუუნაროს შეუძლია ამ ნიშნით მოქმედებდეს.[200]

მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, მოტივი ყოველთვის ბრალის ნიშანია, საკამათოდ უნდა ჩაითვალოს. მოტივი სსკ-ის 135-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სისხლისსამართლებრივ უმართლობას ისევე აფუძნებს, როგორც სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზანი ყაჩაღობის უმართლობას. თუ მიზანს შეუძლია სისხლისსამართლებრივი უმართლობის დაფუძნება, ჩნდება კითხვა, მოტივმა რატომ ვერ შეიძლება სისხლისსამართლებრივი უმართლობა დააფუძნოს. ჯორივე ხომ ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშანია?

თუ ქმედების ძირითად, კვალიფიციურ ან პრივილეგიურ შემადგენლობაში არის მითითებული მოქმედების მოტივზე, იგი მოსამართლემ სასჯელის დანიშვნის დროს კი არ უნდა გაითვალისწინოს, არამედ ქმედების კვალიფიკაციისას.

მართებულად მიუთითებს *ი. დვალიძე*, რომ არა მხოლოდ მიზანი, არამედ მოტივიც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დანაშაულებრივი ქმედება არადანაშაულებრივისგან გაიმიჯნოს. მაშასადამე, მოტივს შეუძლია სისხლისსამართლებრივი უმართლობის დაფუძნება.[201]

---

197 იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, 4. Auf., München, 2006, S. 314, §10 Rn. 73.

198 იხ. *Roxin C.*, ebenda, S. 313-314, §10 Rn. 71.

199 იხ. *Roxin C.*, ebenda, S. 315, §10 Rn. 74.

200 იხ. *Welzel H.*, Das Deutsche Strafrecht, Berlin, 1969, S. 79.

201 იხ. *დვალიძე ი.*, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და

თუ ქმედების შემადგენლობაში მითითებულია მოტივზე, როგორც ქმედების შემადგენლობის ნიშანზე, ეს იმას ნიშნავს, რომ მას სისხლის-სამართლებრივი უმართლობის დამაფუძნებელი ან მისი ხარისხის განმსაზღვრელი ფუნქცია გააჩნია.[202] მაგრამ, თუ ასეთ მითითებას სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლში ვერ ვხვდებით, იგი ბრალის ხარისხის განმსაზღვრელ ფუნქციას იძენს. მაშინ, როცა ანგარების მოტივი ქმედების შემადგენლობის (სისხლისსამართლებრივი უმართლობის დამაფუძნებელ) ნიშნად გვხვდება, ბრალის ხარისხის განსაზღვრა ხდება არა ამავე ნიშნის (ანგარების მოტივი) საფუძველზე, არამედ შემდეგი გარემოების მიხედვით: რაში უნდა გამოიყენოს ან გამოიყენა დამნაშავემ დანაშაულის განხორციელების შედეგად მისაღები/მიღებული მატერიალური სარგებელი.

მოტივით დაფუძნებული აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განხორციელებისას ამსრულებელი აღნიშნული მოტივით უნდა მოქმედებდეს, მაგრამ იბადება კითხვა, რამდენად აუცილებელია თანამონაწილისთვის იგივე მოტივით მოქმედება, რა მოტივითაც ამსრულებელი დანაშაულს ჩადის? თანამონაწილისთვის საკმარისია იმის ცოდნაც, რომ ამსრულებელი ანგარების მოტივით მოქმედებს. ისევე როგორც ქურდობის დროს არ მოეთხოვება თანამონაწილეს სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოქმედება და საკმარისია მის მიერ იმის გაცნობიერება, რომ ამსრულებელი სხვისი ნივთის მისაკუთრების მიზნით მოქმედებს,[203] მოტივით დაფუძნებულ დელიქტებშიც არ არის აუცილებელი თანამონაწილეც ანგარების მოტივით მოქმედებდეს. თუ თანამონაწილემ (დამხმარე) იცის ამსრულებლის მოქმედების მოტივი იგი მასზეც გადმოვა. სხვაგვარად თანამონაწილის პასუხისმგებლობის დასაბუთება შეუძლებელი გახდება.

თ. წერეთლის[204] და *მ. ლეკვეიშვილის*[205] მართებული თვალსაზრისით, იმისთვის, რომ ქმედება დავაკვალიფიციროთ, როგორც ანგარებით განხორციელებული, მნიშვნელობა არა აქვს, თავის სასარგებლოდ უნდოდა მიეღო გამორჩენა დამნაშავეს თუ სხვის სასარგებლოდ. აღნიშნული დებულება კიდევ უფრო ამყარებს იმ შეხედულებას, რომლის მიხედვით, თანამონაწილეც შეიძლება დაისაჯოს ანგარებით განხორციელებულ დანაშაულში თანამონაწილეობისთვის, მიუხედავად იმისა, თვითონ იღებს თუ არა თანამონაწილე დანაშაულის შედეგად სარგებელს. მთავარია, თანამონაწილეს გაცნობიერებული ჰქონდეს, მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება გამორჩენის მისაღებად რომ ხდება. თუ ანგარების მოტივი ქმედების შემადგენლობის ნიშანია, მნიშვნელობა არა აქვს, გამორჩენას თანამონაწილე მიიღებს თუ ამსრულებელი. ასეთ შემთხვევაში ამსრულებელი დაისჯება ანგარების მოტივით განხორციელებული დანაშაულის ამსრულებლობისთვის, ხოლო თანამონაწილე

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ. 73, 150.

[202] იხ. *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 3. Auf., Stuttgart, 2012, Rn. 260, 545.

[203] იხ. *გამყრელიძე ო.*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამოცემა, თბ., 2008, გვ. 193, 203.

[204] იხ. *წერეთელი თ.*, წიგნში: *მაყაშვილი ვ., მაჭავარიანი მ., წერეთელი თ., შავგულიძე თ.*, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980, გვ. 20.

[205] იხ. *ლეკვეიშვილი მ.*, წიგნში: *მამულაშვილი გ.*, (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 48-49.

თანამონაწილეობისთვის.

ანგარების მოტივით მკვლელობა რომ ქმედების სოციალურ საშიშროებას და უღირსობას ზრდის, მიუთითებს ისიც, რომ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით ისჯება „მკვლელობა ანგარებით ან შეკვეთით“. მაშინ, როცა შემკვეთი ფულს უხდის მკვლელობის ამსრულებელს, 109-ე მუხლით ისჯება არა მხოლოდ ამსრულებელი, არამედ შემკვეთიც, მიუხედავად იმისა, რომ შემკვეთი ამსრულებელს იქით უხდის ფულს და შეიძლება მას შურისძიების მოტივი ამოძრავებდეს. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა ის, რომ 109-ე მუხლით არა მხოლოდ ანგარებით მკვლელობა ისჯება, არამედ შეკვეთით მკვლელობაც. თუ შემკვეთი და ანგარების მოტივით მოქმედი ამსრულებელი ერთიდაიმავე მუხლით ისჯება, რატომ არ უნდა დაისაჯოს ამავე მუხლით დამხმარეც, რომელმაც იცის, რომ დაეხმარა ადამიანს, რომელმაც ანგარების მოტივით ადამიანი მოკლა? ლოგიკური არ იქნება, თუ ანგარებით მკვლელობის ამსრულებელს და შემკვეთს 109-ე მუხლით დავსჯით და დამხმარეს 108-ე მუხლით. მაშასადამე, ამ შემთხვევაში დამხმარეც უნდა დაისაჯოს იმავე მუხლით, რომლითაც ისჯება დანაშაულის ამსრულებელი.[206] ვინაიდან 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტში ანგარებით და შეკვეთით მკვლელობა გამიჯნულია ერთმანეთისგან, შეიძლება ვინმემ დაასკვნას, რომ ასეთი გამიჯვნა აუცილებელი გახდა იმდენად, რამდენადაც წამქეზებლის დასჯა შეუძლებელი იყოს ანგარებით მკვლელობისთვის მაშინ, როცა ანგარების მოტივით მხოლოდ ამსრულებელი მოქმედებს. ასეთი შეფასება არ არის გასაზიარებელი. ანგარებით მკვლელობის და შეკვეთით მკვლელობის გამიჯვნა იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ მკვლელობა შეიძლება ანგარების გარეშეც განხორციელდეს, მაშასადამე, არც ამსრულებელი და არც თანამონაწილე მოქმედებდეს ანგარების მოტივით. ასეთ დროს ამსრულებელი და თანამონაწილე პასუხს აგებენ შეკვეთით მკვლელობისთვის. ხოლო მაშინ, როცა ანგარებით მკვლელობას ახორციელებს ამსრულებელი, მაგრამ წამქეზებელი და დამხმარე არ მოქმედებენ ამ მოტივით, თუ მათ შეცნობილი ჰქონდათ ამსრულებლის მოტივი, მათი ქმედებაც სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით უნდა დაკვალიფიცირდეს, შეკვეთით მკვლელობა ამავე მუხლით რომც არ იყოს დასჯადი.

---

[206] ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებაა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული, რომლის მიხედვითაც, მკვლელობის დროს ანგარების მოტივი სისხლისსამართლებრივ უმართლობას არ აფუძნებს, არამედ ბრალის ხარისხს განსაზღვრავს და ამიტომ იგი ამსრულებლიდან თანამონაწილეზე ვერ გადმოვა. იხ. *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2011, გვ. 346; *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 340; *ნაჭყებია გ.*, წიგნში: *ნაჭყებია გ., დვალიძე ი.*, (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 232; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი I, დანაშაული, თბ., 2014, გვ. 92; *დვალიძე ი.*, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ. 79.

5. თრობის შედეგად ბრალუუნარობის მდგომარეობაში თავის ჩაყენება, როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი?

5.1. Actio libera in causa თუ პასუხისმგებლობა საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელებისთვის?

ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი თანამედროვე სისხლის სამართლის ქვაკუთხედია. აღნიშნული პრინციპის მიხედვით, ადამიანი უნდა იყოს შერაცხადი ანუ ბრალუნარიანი ქმედების განხორციელებისას. თუ ქმედების განხორციელებისას ქმედების ჩამდენი ბრალუუნაროა, პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში შემუშავდა სხვადასხვა სახის ფორმულა, რომელთა მიხედვითაც, პირს პასუხისმგებლობა ეკისრება მიუხედავად იმისა, რომ მოქმედების დროს მთვრალ მდგომარეობაში იმყოფება და, სიმთვრალიდან გამომდინარე, არ შეიძლება შერაცხადად ჩაითვალოს.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ სიმთვრალეს და ნასვამ, არაფხიზელ მდგომარეობას. სიმთვრალე კი, თავის მხრივ, მოიცავს თრობის სხვადასხვა ხარისხს: მსუბუქს, საშუალოს და მძიმეს. არაფხიზელ, ნასვამ მდგომარეობაში მყოფად შეიძლება ჩაითვალოს პირი, რომელმაც ალკოჰოლის უმნიშვნელო ოდენობა მიიღო, მაგრამ ამას არ გამოუწვევია მსუბუქი სიმთვრალეც კი.[207]

ალკოჰოლური სიმთვრალის ორ სახეს განიხილავენ: ჩვეულებრივი ალკოჰოლური სიმთვრალე და პათოლოგიური ალკოჰოლური სიმთვრალე. იურიდიულ ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული ალკოჰოლური სიმთვრალით გამოწვეულ შედეგებთან დაკავშირებით. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ალკოჰოლური თრობა, მიუხედავად თრობის სიმძიმისა, არ გამორიცხავს შერაცხადობას, ხოლო ავტორთა მეორე ჯგუფის აზრით, ღრმა სიმთვრალე შერაცხადობას გამორიცხავს.[208]

ქართულ სისხლის სამართალში სიმთვრალე ყოველთვის არ გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ქართული სისხლის სამართლის კოდექსში სიმთვრალე სატრანსპორტო დანაშაულებთან მიმართ (276-ე მუხ.) პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებადაც გვხვდება. მაშინ შეიძლება სიმთვრალე ჩაითვალოს ბრალუუნარობის მდგომარეობად, როცა ადგილი აქვს პათოლოგიურ თრობას. პათოლოგიური სიმთვრალე ალკოჰოლური მოწამვლის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც გულისხმობს ალკოჰოლით წარმოშობილ ფსიქიკის უეცარ, ხანმოკლე მოშლას. ასეთ დროს დარღვეულია აღქმის პროცესი. პათოლოგიური სიმთვრალის ერთ-ერთი და თანაც მთავარი მიზეზი ალკოჰოლია. სხვა მიზეზი შეიძლება იყოს ინფექციური დაავადება, ნერვიულობა, შიში, შიმშილი, ძლიერი წყურვილი.[209] იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა საწინააღმდეგო მოსაზრებაც და აღინიშნა, რომ პათოლოგიური სიმთვრალეც არ გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ

---

[207] იხ. *თოდუა ნ.*, სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი საკითხები, თბ., 1997, გვ. 6.

[208] იხ. *თოდუა ნ.*, იქვე, გვ. 7-9.

[209] იხ. *თოდუა ნ.*, იქვე, გვ. 9.

პასუხისმგებლობას, ვინაიდან არა მხოლოდ მსუბუქი, არამედ პათოლოგიური სიმთვრალეც შეიძლება ბრალეულად იქნეს გამოწვეული,[210] რაც არ არის გასაზიარებელი. პათოლოგიური სიმთვრალის დროს პირს არ აქვს წინასწარ იმის განჭვრეტის შესაძლებლობა, თუ როგორ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა იგი ალკოჰოლური სასმელის მიღების შედეგად და ამიტომაც გამოირიცხება პასუხისმგებლობა, ვინაიდან ფსიქიკის მოშლა უეცრად მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, მიღებული ალკოჰოლური სასმელის ოდენობა არ იყო იმდენი, რომ სხვა შემთხვევაში ასეთი შედეგი გამოეწვია.

როდესაც ვსაუბრობთ სიმთვრალით გამოწვეულ შეურაცხადობაზე, ჩნდება კითხვა, თუ რომელი მუხლით გამოირიცხება ბრალუნარიანობა სიმთვრალის შედეგად? ქართული სსკ-ის 34-ე მუხლის მიხედვით, შეურაცხადობას გამორიცხავს ფსიქიკური დაავადება, მაგრამ რამდენად გამართლებულია სიმთვრალის გაიგივება ფსიქიკურ ავადმყოფობასთან?

მეცნიერებაში გამოთქმულია შეხედულება, რომ ძლიერი სიმთვრალე (Volltrunkenheit) უნდა იქნეს მიჩნეული ფსიქიკის დარღვევად („krankhafte seelische Störung“).[211] შეიძლება ადამიანი ზოგადად ფსიქიკურად ჯანმრთელი იყოს, მაგრამ სიმთვრალის დროს მისი ფსიქიკური მდგომარეობა დროებით არის მოშლილი. აქედან გამომდინარე, თუ სახეზეა პათოლოგიური სიმთვრალე, შერაცხადობა ქართული სსკ-ის 34-ე მუხლით შეიძლება გამოირიცხოს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძლიერი სიმთვრალე ყოველთვის არ შეიძლება მივიჩნიოთ ბრალუნარიანობის გამომრიცხველ გარემოებად. ეს განსაკუთრებით შეეხება ისეთ შემთხვევას, როცა პირი შეგნებულად იყენებს თავს შეურაცხად მდგომარეობაში. თუმცა, შერაცხადობა შეიძლება არ გამოირიცხოს განუზრახველობის დროსაც, როცა პირი შეურაცხადობის მდგომარეობაში თავს შეგნებულად არ იყენებს.[212]

ა. გაბიანი სწორად მიუთითებს, რომ სიმთვრალე ყოველთვის არ ახდენს ერთნაირ ზეგავლენას სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. შეიძლება სიმთვრალემ არც დაამძიმოს და არც შეამსუბუქოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. თუმცა, სიმთვრალე მეტწილად პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად შეიძლება მოგვევლინოს.[213] *ა. გაბიანის* შეხედულებით, სიმთვრალემ პასუხისმგებლობა მაშინ შეიძლება დაამძიმოს, როცა საქმე ეხება სატრანსპორტო დანაშაულის[214] ჩადენას ან დანაშაულის ჩადენას ისეთ სამსახურებრივ, პროფესიულ თუ სხვაგვარ საქმიანობასთან დაკავშირებით, რაც ადამიანის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის ან ქონებისთვის საფრთხეს ქმნის.[215] სიმთვრალეს შეიძლება მიეცეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოების მნიშვნელობა, როცა სუბიექტი სპეციალურად დააოვრებს დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩათრევის მიზნით ან თუ დადგინდება, რომ

---

[210] იხ. *Габиани А.А.,* Уголовная ответственность за преступления, совершенные в состоянии опьянения, Тб., 1968, с. 106-107.

[211] იხ. *Rengier R.,* Strafrecht, BT II, Delikte gegen die Person und die Allgemeinheit, 11. Aufl., München, 2010, S. 379, § 41, Rn. 10; *Streng F.*, in: MüKo, Band 1, 2. Aufl., München, 2011, S. 896, §20, Rn. 32.

[212] იხ. *თოდუა ნ.,* იქვე, გვ. 28.

[213] იხ. *გაბიანი ა.,* სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდების ზოგიერთი საკითხი, "საბჭოთა სამართალი", 1966, №1, გვ. 10.

[214] იხ. *გაბიანი ა.,* იქვე, გვ. 11.

[215] იხ. *გაბიანი ა.,* იქვე, გვ. 14.

ალკოჰოლის გამოყენება მოცემული პირისთვის ერთეულ, გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს.[216]

ქართული სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, გერმანულ სისხლის სამართალში გვხვდება სპეციალური ნორმა (323a), რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სიმთვრალის მდგომარეობაში თავის ჩაყენებისთვის, როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტისთვის,[217] თუ მთვრალ მდგომარეობაში პირმა რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედება განახორციელა. თუმცა, ავტორთა ნაწილი მას კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტად მიიჩნევს.[218] სისხლის სამართლის ლიტერატურაში დავაა იმასთან დაკავშირებითაც, თუ როდის უნდა იქნეს ქმედება შესაბამისი ნორმით შეფასებული და შეიძლება თუ არა აღნიშნული ნორმის გამოყენება ყველა სახის მართლსაწინააღმდეგო ქმედების მიმართ, რომელიც სიმთვრალეში განხორციელდა.

ᵓგერმანული სსკ-ის მიხედვით, ადამიანს პასუხისმგებლობა სიმთვრალის მდგომარეობაში ჩაყენებისთვის მხოლოდ მაშინ ეკისრება, თუ ასეთ მდგომარეობაში თავის ჩაყენებას მისი მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება მოჰყვა. გერმანული სსკ-ის 323a-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს ალკოჰოლური ნივთიერებით მხოლოდ თრობა შემდგომი მართლსაწინააღმდეგო ქმედების გარეშე.[219] სიმთვრალის მდგომარეობა შეიძლება გამოიწვიოს როგორც ალკოჰოლურმა სასმელმა, ისე ნარკოტიკულმა საშუალებამ.[220]

სიმთვრალით გამოწვეული ბრალუუნარო მდგომარეობაში განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების დასჯადობის საკითხის გადაწყვეტის განსხვავებული მექანიზმიც არსებობს. actio libera in causa-ს სახელითაა ცნობილი სამართლებრივი ფორმულა, რომლის მიხედვითაც პირს პასუხისმგებლობა ეკისრება თრობის შედეგად ბრალუუნარობის მდგომარეობაში განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის და არა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განხორციელებისთვის. actio libera in causa-ს პრობლემა არ არის ახალი და ამ საკითხს ყურადღება ჯერ კიდევ *თომას აქვინელმა* და *პუფენდორფმა* მიაქციეს.[221]

სიმთვრალით გამოწვეული ბრალუუნარობის მდგომარეობაში განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების დასჯადობასთან დაკავშირებით დღემდე არაერთი თეორია ჩამოყალიბდა,[222] რომლებიც სიმთვრალეში განხორციელებული ქმედების დასჯადობას სხვადასხვანაირად ასაბუთებენ. სანამ აღნიშნულ თეორიებს განვიხილავდეთ, უმჯობესია საკითხის ნათელსაყოფად სათანადო მაგალითების მოშველიება:

1. „ა“-მ იცის, რომ ალკოჰოლური სასმელის მიღების შემდეგ

---

[216] იხ. *გაბიანი ა.,*იქვე,გვ. 16.

[217] იხ. *Cramer P.*, Der Vollrauschtatbestand als abstraktes Gefährdungsdelikt, Tübingen, 1962, S. 78.

[218] იხ. *Hilgendorf,* წიგნში: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, Strafrecht, BT, Lehrbuch, 2. Aufl., Bielefeld, 2009, S. 1037, §40. Rn. 12; *Fischer T.*, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Aufl., München, 2010, §323a Rn. 2.

[219] იხ. *Rengier R.,* Strafrecht, BT II, Delikte gegen die Person und die Allgemeinheit, 11. Aufl., München, 2010, S. 374, § 41, Rn. 1.

[220] იხ. *Rengier R.,* იქვე, S. 379, §41, Rn. 10-11.

[221] იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 914, §20, Rn. 57.

[222] აღნიშნული თეორიების ანალიზი ასევე იხ. *ტურავა მ.*, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 430-433.

მიდრეკილება აქვს ძალადობითი ქმედებებისკენ. მიუხედავად ამისა, იგი ყოველ პარასკევს სტუმრობს ახლოს მდებარე ბარს სამსახურის შემდეგ მის თანამშრომლებთან ერთად, სადაც ის ზოგჯერ ისე თვრება, რომ ბრალუუნარო ხდება. ერთ ღამეს, როცა ლუდის ჩამომსხმელი, ბარის ოფიციანტი უარს ეტყვის „ა“-ს ლუდის დამატებით ჩამოსხმასა და მიყიდვაზე, „ა“ ძლიერი სიმთვრალით გამოწვეული ბრალუუნარობის მდგომარეობაში დაიწყებს ლუდის ჩამოსასხმელი აპარატის და იქ არსებული ჭურჭლის მტვრევას.

2. „ა“-ს სურს მოკლას „ბ“, მაგრამ „ა“-ს გამბედაობა არ ჰყოფნის. გარდა ამისა, „ა“ იმ სასჯელზეც ფიქრობს, რომელიც ელოდება „ბ“-ს მოკვლის შემთხვევაში. იმისთვის, რომ „ა“-ს „ბ“-ს მკვლელობა გაადვილებოდა „ა“-მ თავისი სახლის აივანზე, რომელიც „ბ“-ს ბაღს გადაჰყურებდა, დალია ერთი ბოთლი არაყი. „ა“ სწრაფად ძლიერ დათვრა, ვინაიდან ალკოჰოლურ სასმელს ხშირად არ სვამდა და მიუვარდა „ბ“-ს, რომელიც თავის ბაღში მუშაობდა და იგი ნაჯახით მოკლა.[223]

გერმანულ სისხლის სამართალში ჩამოყალიბებული ერთ-ერთი მოძღვრების თანახმად (Unvereinbarkeitstheorie), ზემოთ მოყვანილი მაგალითების მიხედვით, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს გერმანული სსკ-ის 323a პარაგრაფით, როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი.[224] აღნიშნული თეორიის წარმომადგენლებს დაუშვებლად მიაჩნიათ actio libera in causa-ს ფიგურის გამოყენება. actio libera in causa-ს ფიგურაც გულისხმობს სიმთვრალით გამოწვეული ბრალუუნარობის მდგომარეობაში განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის პასუხისმგებლობას, მაგრამ იმ ქმედებისთვის, რაც განხორციელდა და არა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტისთვის. მაგალითად, თუ სიმთვრალით გამოწვეულ ბრალუუნარობის მდგომარეობაში მთვრალმა ადამიანმა მკვლელობა განახორციელა, მკვლელი actio libera in causa-ს ფიგურის საფუძველზე პასუხს აგებს მკვლელობისთვის, ხოლო განსახილველი თეორიის მიხედვით, არა მკვლელობისთვის, არამედ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტისთვის. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად კვალიფიცირდება ამ შემთხვევაში მთვრალ მდგომარეობაში თავის ჩაყენება, რომელიც შემდგომ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველი ხდება. წარმოდგენილი თეორიის მხარდამჭერთა თვალსაზრისით, ქმედების კვალიფიკაცია 323a პარაგრაფით სავსებით საკმარისი და ადეკვატურია, როცა ქმედების განხორციელება ბრალუუნარობის მდგომარეობაში ხდება. ქმედების ამგვარი კვალიფიკაცია, მათი აზრით, მისაღებია, მიუხედავად იმისა, რომ შეურაცხადობის მდგომარეობაში თავის ჩაყენება და ასეთ მდგომარეობაში მოგვიანებით მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება დამნაშავეს წინასწარ ჰქონდა განჭვრეტილი და გაანალიზებული. თუმცა, აქ საკამათოა შეიძლება იყოს ის, რომ არ ხდება არავითარი მნიშვნელობის მინიჭება იმისთვის, რომ ადამიანი თავს ზოგჯერ შეგნებულად იყენებს შეურაცხად მდგომარეობაში, რათა შემდგომ გაუადვილდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება. ასევე მეტად მნიშვნელოვანია განხორციელებული ქმედების სიმძიმე. შეიძლება

---

[223] ანალოგიური მაგალითები იხ. *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 269, Rn. 597.

[224] იხ. *Hettinger M.*, Zur Strafbarkeit der „fahrlässigen actio libera in causa“, GA 1989, S. 19; *Horn E.*, Actio libera in causa – eine notwendige, eine zulässige Rechtsfigur ?, GA 1969, S. 306.

ადამიანმა შეგნებულად ჩაიყენოს საკუთარი თავი შეურაცხადობის მდგომარეობაში, თუ მას ეცოდინება, რომ ბრალუუნარობის მდგომარეობაში თავის ჩაყენებით და მოგვიანებით მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებით გაცილებით მსუბუქ სასჯელს დაიმსახურებს, ვინაიდან იგი დაკვალიფიცირდება როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას (მაგალითად, მკვლელობას, ჯანმრთელობის დაზიანებას და ა. შ). დასმულ შეკითხვაზე გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში არსებობს შემდეგი პასუხი: ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი არ შეიძლება კონკრეტული ქმედების მიხედვით გამოირიცხოს და იგი ყოველთვის ინარჩუნებს ძალას, მიუხედავად იმისა, თუ რა სახის და სიმძიმის ქმედება განხორციელდა შეურაცხადობის მდგომარეობაში.[225]

ერთ-ერთი მოძღვრების[226] მიხედვით, რომელიც წინარე ეტაპზე გადატანის თეორიის სახელწოდებითაა ცნობილი, სიმთვრალეში განხორციელებული ქმედების შერაცხვა უკავშირდება არა სიმთვრალეში განხორციელებულ ქმედებას, არამედ დამნაშავის წინარე ქმედებას, მის მიერ საკუთარი თავის დათრობას და ბრალუუნარობის მდგომარეობაში თავის ჩაყენებას. მაშასადამე, ამ თეორიის მიხედვით, actio libera in causaს დასჯადობა არ არის გამონაკლისი ანუ გადახვევა ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან.[227]ამ შემთხვევაში დასჯადი ქმედება არის თავის დათრობა, რომელიც მოგვიანებით შედეგს მიზეზობრივად იწვევს. დათრობა არის მიზეზი მოგვიანებით განხორციელებული ქმედებისა და ამიტომ ეკისრება მას პასუხისმგებლობა სიმთვრალეში განხორციელებული ქმედებისთვის. ალკოჰოლური სასმელის დალევის დაწყების დროსაც დამნაშავე შერაცხადია, ასე, რომ ქმედების და ბრალის თანხვედრა სახეზეა. განსახილველი თეორიის ზოგიერთი წარმომადგენელი თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად შუალობითი ამსრულებლობის სამართლებრივ ფიგურაზე მიუთითებს. აღნიშნული თეორიის მიხედვით, მაშინ, როცა ადამიანი თავის თავს იყენებს შეურაცხად მდგომარეობაში თავის დათრობის შედეგად, საკუთარ თავს (როგორც ბრალუუნაროს) იყენებს იარაღად, მაგრამ შუალობითი ამსრულებლობის დროს, როგორც წესი, დამნაშავე იარაღად იყენებს სხვა ბრალუუნარო ადამიანს.[228]

ის ვინც განზრახ მოქმედებს, დამთავრებული დანაშაულისთვის ისჯება, თუ ქმედება შერაცხადმა განახორციელა და მიზეზობრიობის განვითარებაშიც მნიშვნელოვან გადახვევას ადგილი არ ჰქონია. *კ. როქსინის* თვალსაზრისით, ანალოგიური წესი მოქმედებს actio libera in causa-ს დროსაც. პირისთვის ქმედების დასრულებული ფორმით განზრახ და ბრალეულად განხორციელების გამო პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვს, რომ ქმედების განხორციელება მაინც დაიწყოს შერაცხა-

---

[225] იხ. *Heinrich B.*, Strafrecht Allgemeiner Teil, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 269-270, Rn. 598.

[226] გერმანულად Vorverlagerungstheorie ანუ "Tatbestandsmodell". აღნიშნულ თეორიას ქართველ მეცნიერთა შორისაც ჰყავს მხარდამჭერები. იხ. *თოდუა ნ.*, სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი საკითხები, თბ., 1997, 29; *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ, 2013, გვ. 219.

[227] იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 915, §20, Rn. 57.

[228] იხ. *Baumann J., Weber U., Mitsch W.,* Strafrecht, AT, 9. Auflage, Bielefeld, §19 Rn.45; *Dold D.*, Die actio libera in causa als Sonderfall der mittelbaren Täterschaft, GA 2008, S. 427.

დობის მდგომარეობაში. ბრალუუნარობის მდგომარეობაში თავის ჩაყენება შემდგომ სხეულის დაზიანების მიზნით ჯერ კიდევ არ წარმოადგენს სხეულის დაზიანებას, მაგრამ სხეულის დაზიანების დაწყებად (მცდელობად) მაინც უნდა მივიჩნიოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში საკითხის სწორად გადაწყვეტა შეუძლებელი იქნებოდა.[229] აღნიშნული შეხედულების მიხედვით, პირი მართალია, ქმედების დასრულების დროს ბრალუუნარო, მაგრამ ქმედების განხორციელების დაწყებისას შერაცხადი იყო, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება, მაგრამ არა დანაშაულის მცდელობის, არამედ დანაშაულებრივი ქმედების დასრულებული ფორმით განხორციელებისთვის. წარმოდგენილი დებულების თანახმად, თრობის შედეგად ბრალუუნარობის მდგომარეობაში თავის ჩაყენება შემდგომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების მიზნით, დანაშაულის საწყის სტადიად, დანაშაულის მცდელობად მიიჩნევა. თუმცა, ეს მოსაზრება მეტად საკამათოა. დანაშაულის მცდელობა, როგორც წესი, გულისხმობს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის კონკრეტული საფრთხის შემცველ ქმედებას. მაგრამ, ჩნდება კითხვა: არსებობს კი ასეთი საფრთხე ჯერ კიდევ მაშინ, როცა პირი თავს ბრალუუნარობის მდგომარეობაში იყენებს შემდგომში მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების მიზნით. როცა „ბ“-ს მკვლელობის გასაადვილებლად „ა“ ერთ ლიტრ კონიაკს სვამს, თუ მან ამის მეტი მოგვიანებით არაფერი არ განახორციელა, რამდენად შეიცავს განხორციელებული ქმედება იმ ხარისხის საფრთხეს, როგორსაც დანაშაულის მცდელობა ზოგადად?

როგორც უკვე აღინიშნა, წინარე ეტაპზე პასუხისმგებლობის გადატანის თეორია actio libera in causa-ს დასჯადობას ასაბუთებს შუალობითი ამსრულებლობის ფიგურაზე მითითებით. თუმცა, შუალობითი ამსრულებლობით შეუძლებელია ყველანაირი დანაშაულის განხორციელება. მაგალითად, წმინდა უმოქმედობისა და საკუთარი ხელით ჩასადენი დანაშაულების.[230] პასუხისმგებლობის წინარე ეტაპზე გადატანის თეორიას კრიტიკულად განიხილავს *ჰ. ბაიერი*, რომელიც მიუთითებს, რომ შუალობითი ამსრულებლობა გულისხმობს იარაღად არა საკუთარი თავის, არამედ „სხვა ადამიანის“ გამოყენებას.[231]

საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაშიც ჰყავდა მომხრეები იმ იდეას, რომლის მიხედვითაც სიმთვრალეში მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენის დასჯადობა უკავშირდება წინარე ეტაპს და სიმთვრალეში მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი ყოველთვის უნდა დაისაჯოს. მაგრამ, აღნიშნული მოსაზრება გააკრიტიკეს ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. კერძოდ, *ნ. თოდუა* აღნიშნავს, რომ სიმთვრალეში განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის პირი ყოველთვის არ უნდა დაისაჯოს, ვინაიდან „პირს ყოველთვის არა აქვს შესაძლებლობა გაითვალისწინოს, თუ ალკოჰოლის რა დოზაა საჭირო, რომ იგი უგონო მდგომარეობაში მოექცეს. უფრო მეტიც, პირი ყოველთვის ვერ გაითვალისწინებს, თუ კონკრეტულად რა მოქმედებას ჩაიდენს იგი ასეთ მდგომარეობაში. ამიტომ არ შეიძლება სამართლი-

---

229 იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 917, §20, Rn. 61.

230 იხ. *Heinrich B.*, Strafrecht, A T, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 272-273, Rn. 603.

231 იხ. *Baier H.*, Unterlassungsstrafbarkeit trotz fehlender Handlungs- oder Schuldfähigkeit, Zugleich ein Beitrag zur Rechtsfigur der omissio libera in causa, GA 1999, S. 279.

ანად ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება ღრმა სიმთვრალეში საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის ყველა შემთხვევისათვის".[232]

რამდენადაც შუალობითი ამსრულებლობით ყველანაირი დანაშაულების განხორციელება შეუძლებელია, ზოგიერთმა ავტორმა მოახდინა პასუხისმგებლობის წინარე ეტაპზე გადატანის თეორიის მოდიფიცირება და შეზღუდა იმ ქმედებათა წრე, რომელთა მიმართაც შესაძლებელია actio libera in causa-ს ფიგურის გამოყენება. აღნიშნულ თეორიას შეიძლება ვუწოდოთ პასუხისმგებლობის წინარე ეტაპზე გადატანის შეზღუდვის თეორია (eingeschränkte Vorverlagerungstheorie).[233] ამ თეორიის მიხედვით actio libera in causaს ფორმულა არ გამოიყენება საკუთარი ხელით ჩასადენი, წმინდა უმოქმედობის და ქმედებით დაფუძნებული დელიქტების (verhaltensgebundene Delikte) მიმართ.

განვრცობის თეორიის (Ausdehnungstheorie) მიხედვით, პასუხისმგებლობის გადატანა წინარე ეტაპზე ნაწილობრივ ხდება. პასუხისმგებლობა ეფუძნება ასევე იმ ქმედებასაც, რომელიც სიმთვრალეში განხორციელდა და თავის დათრობა და სიმთვრალეში განხორციელებული ქმედება განიხილება ერთ მთლიანობად, ერთ დანაშაულად. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის თანახმად, დამნაშავე დანაშაულის ჩადენის დროს ბრალეულად უნდა მოქმედებდეს, მაგრამ, წარმოდგენილი თეორიის მიხედვით, სიტყვები „დანაშაულის ჩადენის დროს" უნდა განვავრცოთ და მან უნდა მოიცვას ის წინარე ქმედებაც (საკუთარი თავის დათრობა), რომელიც შერაცხვაუუნარობის მდგომარეობაში განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალად შერაცხვისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.[234] აღნიშნული თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენელი *ფ. შტრენგი,* ბრალის ფუნქციონალურ თეორიაზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ შერაცხადობის და ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედების განხორციელების დროითი თანხვედრა არ არის მნიშვნელოვანი.[235] მისი თვალსაზრისით, დანაშაულებრივ ქმედებას მიეკუთვნება არა მხოლოდ სამართლებრივ სიკეთეზე თავდასხმა ქმედების შემადგენლობის ნიშნების უშუალო განხორციელების ფორმით, არამედ ნორმის დამრღვევი დეფექტური მდგომარეობის შექმნაც (die Schaffung der den Normverstoß prägenden Defektlage).[236] *შტრენგის* შეხედულებით, დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების განვრცობითი განმარტება უნდა მოხდეს იმისგან დამოუკიდებლად, ბრალუუნარობის მდგომარეობაში თავის ჩაყენებას მივაკუთვნებთ თუ არა დანაშაულის მომზადებას, მაშასადამე, გერმანული სამართლის მიხედვით, არადასჯად ქმედებას. *შტრენგის* თვალსაზრისით, საკითხის ასეთი გადაწყვეტა წინააღმდეგობაში არ მოდის ასევე იმ ნორმასთან, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს განსაზღვრავს (გერმანული სსკ-ის მე-8 პარაგრაფი)[237]

---

[232] იხ. *თოდუა ნ.,* იქვე, გვ. 11-12.

[233] იხ. *Hoffmann-Holland K.,* Strafrecht, AT, 2. Aufl., Tübingen, 2011, Rn. 383, 393.

[234] იხ. *Frisch W.*, Grundprobleme der Bestrafung „verschuldeter" Affekttaten, Eine dogmatische Zwischenbilanz aus Anlaß neuerer Entwiklungen, GA 1989, S. 608.

[235] იხ. *Streng F.,* Schuld ohne Freiheit? Der funktionale Schuldbegriff auf dem Prüfstand, GA 1989, S. 310.

[236] იხ. *Streng F.,* იქვე, გვ. 311.

[237] იხ. *Streng F.,* იქვე, გვ. 311.

და რომლის მიხედვითაც, დანაშაულის ჩადენის დროა ის დრო, როცა ამსრულებელმა ან თანამონაწილემ ქმედება განახორციელა ან უმოქმედობით დანაშაულის ჩადენისას ის დრო, როცა უნდა ემოქმედათ.[238]

მიუხედავად იმისა, რომ პასუხისმგებლობის გადატანა ნაწილობრივ წინარე ქმედებაზეც ხდება და სიმთვრალეში თავის ჩაყენება და შემდგომი მართლსაწინააღმდეგო ქმედება ერთ მთლიანობად განიხილება, თავის დათრობა განვრცობის თეორიის მიხედვით ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, *ბ. ჰაინრიხი* აკრიტიკებს ამ თეორიას, ვინაიდან აღნიშნული თეორიის მიხედვით, თავის დათრობა ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებად არ ითვლება, მაგრამ ითვლება დანაშაულის განხორციელების დაწყებად. ამ თვალსაზრისით, დანაშაულებრივი ქმედება უფრო ადრეულ სტადიასაც მოიცავს, ვიდრე ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყება.[239] უნდა აღინიშნოს, რომ *ბ. ჰაინრიხის* კრიტიკა არ არის სათანადოდ არგუმენტირებული ქართული სისხლის სამართლის მიხედვით. მაშინ, როცა გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით დანაშაულის მომზადება არ ისჯება, ქართული სისხლის სამართლის მიხედვით დასჯადია არა მხოლოდ დანაშაულის მცდელობა, არამედ დანაშაულის მომზადებაც. დანაშაულის მომზადებაც დანაშაულის განვითარების დასჯადი სტადიაა. მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის მომზადება დანაშაულებრივი ქმედების განვითარების სტადიაა, დანაშაულის მომზადების დროს ქმედების შემადგენლობის განხორციელება ჯერ კიდევ არ არის დაწყებული, ხოლო დანაშაულის მცდელობის დროს ქმედების შემადგენლობის განხორციელება იწყება. მართალია, განვრცობის თეორიის მიხედვით, თავის დათრობა ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებას და, შესაბამისად, იგი ვერ შეფასდება დანაშაულის მცდელობადაც, მაგრამ აღნიშნული ქმედება შეიძლება დანაშაულის მომზადებად დაკვალიფიცირდეს.[240] თუმცა, საკითხის ასეთი გადაწყვეტა გერმანული

---

[238] დანაშაულის ჩადენის დრო ანალოგიურადაა განმარტებული საქართველოს სსკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილში.

[239] იხ. *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 273, Rn. 604.

[240] დანაშაულის ჩადენის მიზნით ძლიერ დათრობას დანაშაულის მომზადებად, მაგრამ არა დანაშაულის ჩადენის დაწყებად მიიჩნევს *ნ. თოდუა*. (იხ. *თოდუა ნ.*, დასახელებული ნაშრომი, გვ. 32-33). ის, რომ დანაშაულის ჩასადენად ძლიერ დათრობას *ნ. თოდუა* დანაშაულის მომზადებად მიიჩნევს მართებულ დებულებად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ არ შეიძლება გახიარებულ იქნეს მისი შეხედულება, რომ ეს ეტაპი ჯერ კიდევ არ უნდა მივიჩნიოთ დანაშაულის დაწყებად. ჩვენ ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ქმედების შემადგენლობის და დანაშაულის განხორციელების დაწყება. დანაშაულის მომზადებისას დანაშაული დაწყებულია, მაგრამ არა ქმედების შემადგენლობის განხორციელება. **თუ დანაშაულის მომზადებას დანაშაულის დაწყებად არ მივიჩნევდით, არასწორი იქნებოდა დანაშაულის განვითარების აღნიშნული ეტაპისთვის გვეწოდებინა დაუმთავრებელი დანაშაული. თუ დანაშაული არ დაწყებულა, არ გვაქვს არა მხოლოდ დამთავრებული, არამედ დაუმთავრებელი დანაშაულიც.** დაუმთავრებელი დანაშაული სწორედ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ დანაშაულის განხორციელება დაიწყო, მაგრამ ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. დანაშაული უფრო ტევადი ცნებაა, ვიდრე ქმედების შემადგენლობა. არ შეიძლება დანაშაული ქმედების შემადგენლობამდე, ხოლო დანაშაულის განხორციელების დაწყება, ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებამდე დავიყვანოთ. დანაშაულის მომზადებას ქმედების შემადგენლობის ნიშნად არ მიიჩნევდა *თ. წერეთელიც*. იხ. *წერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 385-386. *ო. გამყრელიძე* კი ქმედების შემადგენლობას კიდევ უფრო ვრცლად განმარტავს და და-

სამართლის მიხედვით პრობლემას მაინც ვერ მოხსნის, ვინაიდან დანაშაულის მომზადება დასჯადი ქმედება არ არის და თუ თავის დათრობას დანაშაულის მომზადებად ჩავთვლით იგი მაინც ვერ ჩაითვლება დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების დასჯად ეტაპად, რომელსაც შეეძლება სისხლისსამართლებრივი უმართლობის დაფუძნება.

საგამონაკლისო თეორიის მიხედვით, რომელიც *ჰრუშკამ* განავითარა,[241] actio libera in causa-ს დასჯადობა ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან იმ გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს, რომელიც ჩვეულებითი სამართლით არის გამართლებული. მართალია, დამნაშავე ქმედების ჩადენის დროს ბრალუნარიანი უნდა იყოს, მაგრამ გამონაკლისის სახით სიმთვრალეში ჩადენილი ქმედებისთვის მაინც ხდება პასუხისმგებლობის დაკისრება, მიუხედავად იმისა, რომ ქმედების განხორციელებისას მოქმედი პირი ბრალუუნარო იყო.

სწორად აკრიტიკებს *კ. როქსინი ჰრუშკას* მიერ განვითარებულ მოძღვრებას და აღნიშნავს, რომ აღნიშნული შეხედულება და პრობლემის გადაწყვეტის ის გზა, რომელსაც *ჰრუშკა* გვთავაზობს, მიუღებელია, ვინაიდან იგი წინააღმდეგობაში მოდის კანონიერების ფუძემდებლურ პრინციპთან.[242] გარდა კანონიერების პრინციპისა, *ჰრუშკას* მიერ ჩამოყალიბებული თეორია, ეწინააღმდეგება ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპსაც. არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება ამ პრინციპიდან გადახვევა.

გერმანიის ფედერალური სასამართლოც არ იზიარებს *ჰრუშკას* მოძღვრებას და მიუთითებს, რომ მისი შეხედულება არ შეესაბამება იმ ნორმას, რომლის მიხედვითაც დამნაშავე ქმედების განხორციელებისას ბრალუნარიანი უნდა იყოს.[243]

ჰრუშკას მოძღვრებამ ბევრი კრიტიკა მოიპოვა და იგი არ გაიზიარა გერმანიის ფედერალურმა სასამართლომაც, მაგრამ ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ უნაკლო იყოს მეორე მოსაზრება, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებლობის გადატანა ხდება წინარე ქმედებაზე (ბრალუუნარობის მდგომარეობაში თავის ჩაყენება). ამ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს ის, რომ განზრახ შედეგისთვის მიზეზის შექმნა ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ ქმედებას, როგორსაც კანონი მოითხოვს. მაგალითად, როცა ადამიანი განზრახ თავს ითრობს იმ მიზნით, რომ მოგვიანებით სექსუალური ძალადობა განახორციელოს. აღნიშნული ქმედება ჯერ კიდევ არ

ნაშაულის მომზადებას ქმედების შემადგენლობის ნიშნად თვლის. იხ. *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 239. *ი. დვალიძე* თვლის, რომ დანაშაულის ჩასადენად პირობების განზრახ შექმნით (დანაშაულის მომზადებით) დანაშაულის განხორციელება იწყება, მაგრამ აქ სიტყვები „დანაშაულის ჩასადენად" კანონმდებელს ვიწროდ ესმის. იხ. *დვალიძე ი.*, წიგნში: *ნაჭყებია გ., დვალიძე ი.*, (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 158-159.

241 იხ. *Hruschka*, Der Begriff der actio libera in causa und die Begründung ihrer Strafbarkeit-BGHSt 21, 381, Jus 1968, S. 554. აღნიშნულ თეორიას მხარს უჭერს არაერთი ავტორი. იხ. *Jescheck/Weigend*, Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 445, §40 VI 1; *Krey/Esser*, Deutsches Strafrecht, AT, 5. Aufl., Stuttgart, 2012, S. 295, Rn. 710; *Kühl K.*, Strafrecht, AT, 7. Aufl., München, 2012, S. 370, §11 Rn.10; *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, 42. Aufl., Heidelberg, 2012, S. 155, Rn. 415.

242 იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 915, § 20, Rn. 58.

243 იხ. BGHSt 42, 241.

წარმოადგენს სექსუალურ ძალადობას და ამიტომ შეუძლებელია დასჯა სექსუალური ძალადობისთვის. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქმედების შემადგენლობის განსახორციელებლად შერაცხვაუნარიანობა არ არის საჭირო.[244]

მეცნიერთა ერთი ნაწილი ერთმანეთისაგან განასხვავებს განზრახ და გაუფრთხილებლობით actio libera in causa-ს. განზრახი actio libera in causa გულისხმობს ბრალუუნარობის მდგომარეობაში თავის ჩაყენებას იმ განზრახვით, რომ შემდგომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება იქნეს განხორციელებული. განზრახი actio libera in causa-ს დროს სახეზეა ორმაგი განზრახვა. კერძოდ, განზრახ ბრალუუნარობის მდგომარეობაში თავის ჩაყენება და აღნიშნულ მდგომარეობაში ასევე განზრახი ქმედების განხორციელება.[245]

განუზრახველი actio libera in causa-ში გულისხმობენ არა შეგნებულად ბრალუუნარობის მდგომარეობაში საკუთარი თავის ჩაყენებას, არამედ წინდახედულობის ნორმის დარღვევას.[246] როდესაც ოვრება ადამიანი ამით იგი არღვევს წინდახედულობის ნორმას, თუ შესაძლებელი იყო იმის წინასწარ განჭვრეტა, რომ მთვრალ მდგომარეობაში ჩაიდენდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. განუზრახველი actio libera in causa გამორიცხავს ორმაგი განზრახვის არსებობას, თუმცა განზრახვა შეიძლება ან ბრალუუნარობის მდგომარეობაში ჩაყენებასთან ან ამ მდგომარეობაში განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებით არსებობდეს. მაშასადამე, განუზრახველ actio libera in causa-ში გულისხმობენ შემდეგ კომბინაციებს: ბრალუუნარობის მდგომარეობაში განზრახ თავის ჩაყენება და გაუფრთხილებლობით ამ მდგომარეობაში მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება; ბრალუუნარობის მდგომარეობაში განუზრახველად თავის ჩაყენება და ამ მდგომარეობაში განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება; ბრალუუნარობის მდგომარეობაში განუზრახველად თავის ჩაყენება და ამ მდგომარეობაში მართლსაწინააღმდეგო ქმედების ასევე განუზრახველად განხორციელება.

მეცნიერთა უმრავლესობა განუზრახველობის დროს actio libera in causa-ს გამოყენებას მართებულად არ უჭერს მხარს.[247] გაბატონებული თვალსაზრისით, გაუფრთხილებლობითი actio libera in causa-ს ფიგურა იმიტომ არ არის საჭირო, რომ გაუფრთხილებლობის დროს, ზოგადი წესის მიხედვით, გაკიცხვა ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის დადგომამდე განხორციელებამდელ ქცევას შეიძლება დაუკავშირდეს. განუზრახველი მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებისას ადამიანი წინდახედულების ნორმას არღვევს, რაც მისი გაკიცხვისთვის საკმარის პირობას წარმოადგენს. მაშასადამე, გაუფრთხილებლობის დროს გაკიცხვის საგანია ის ქმედება, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან. ალკოჰოლური სასმელის დალევა,

---

[244] იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 917, § 20, Rn. 61.

[245] იხ. *Eisele J.,* Strafrecht, BT, I, Straftaten gegen die Person und die Allgemeinheit, 2. Aufl., Stuttgart, 2012, S. 382, Rn. 1232; *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 429.

[246] იხ. *Eisele J.,* იქვე, S. 383, Rn. 1234.

[247] იხ. *Baumann J., Weber U., Mitsch W.,* Strafrecht, AT, 9. Aufl., Bielefeld, S. 460, § 19. Rn. 44; *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 277, Rn. 612; *Hoffmann-Holland K.,* Strafrecht, AT, 2. Aufl., Tübingen, 2011, S. 151-152, Rn. 386, 388.

რომელიც შემდგომ შერაცხადობის გამორიცხვას იწვევს, ასევე შეიძლება შეფასდეს წინდახედულობის ნორმის დარღვევად. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაუფრთხილებლობის დროს actio libera in causa-ს ფიგურის გამოყენების საჭიროება არ დგას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ, დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ თრობის შედეგად შეგნებულად შეურაცხადობის მდგომარეობაში თავის ჩაყენებისა და მართლსაწინააღმდეგო მოქმედების განხორციელებისას გამართლებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება actio libera in causa-ს ფიგურის გამოყენებით. თუ პირი შეგნებულად ძლიერ დათვრება იმ მიზნით, რომ მთვრალ მდგომარეობაში ადამიანი მოკლას და ამას განახორციელებს კიდეც, მას პასუხისმგებლობა განზრახ მკვლელობისთვის უნდა დაეკისროს, მიუხედავად სიმთვრალის სიძლიერისა. ამასთან ერთად კარგი იქნებოდა, თუ საქართველოს სსკ-ის კერძო ნაწილში გერმანული სსკ-ის მსგავსად კანონმდებელი შემოიტანდა სპეციალურ ნორმას სიმთვრალეში ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების დასჯადობასთან დაკავშირებით. თუმცა, აღნიშნული ნორმით მიზანშეწონილი იქნებოდა არა განზრახი, არამედ გაუფრთხილებლობით განხორციელებული ქმედების დასჯადობა. კერძოდ, ისეთი შემთხვევის, როცა ადგილი არ აქვს მთვრალ მდგომარეობაში თავის ჩაყენებას შემდგომში მართლსაწინააღმდეგო ქმედების განსახორციელებლად. განზრახ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების დასჯადობა მიზანშეწონილია მხოლოდ actio libera in causa-ს ფიგურის საფუძველზე. სიმთვრალეში ჩადენილი გაუფრთხილებლობით განხორციელებული ქმედების დასჯადობისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუ რამდენად იყო მიდრეკილი ქმედების ჩამდენი მთვრალ მდგომარეობაში მსგავს ქმედებათა განხორციელებისკენ და შეეძლო თუ არა გაეთვალისწინებინა მომავალში მოვლენათა იმგვარად განვითარება, რომელსაც ადგილი ჰქონდა. თუ პირს მისი გამოუცდელობიდან გამომდინარე, არ შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ მთვრალ მდგომარეობაში მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ჩაიდენდა, მისი ბრალი საერთოდ უნდა გამოირიცხოს და შესაბამისად, განთავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

5.2. Omissio libera in causa თუ პასუხისმგებლობა საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელებისთვის?

ცნობილია, რომ დანაშაული შეიძლება განხორციელდეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. უმოქმედობა მაშინ შეიძლება გახდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, როცა პირს გააჩნდა მოქმედების შესაძლებლობა და სავალდებულო მოქმედება არ განახორციელა. თუ პირი მოკლებული იყო მოქმედების შესაძლებლობას, იგი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება. თუმცა, არის შემთხვევები, როცა აქტიური ქმედებით თავს შეგნებულად იყენებენ ისეთ მდგომარეობაში, რომელიც გამორიცხავს შემდგომი მოქმედების შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევას ლიტერატურაში „მოქმედებით უმოქმე-

დობასაც“ უწოდებენ.[248] მაგალითად, გარანტი თვრება და მოქმედების უნარს კარგავს, თავს შერაცხვაუუნარობის მდგომარეობაში იყენებს. რამდენად შესაძლებელია მსგავს ვითარებაში, გარანტისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება განსაცდელში მიტოვების გამო?

გაბატონებული შეხედულების მიხედვით, როდესაც აქტიური ქმედებით ხდება საკუთარი თავის ჩაყენება ისეთ მდგომარეობაში, რაც მოქმედების შესაძლებლობას გამორიცხავს, პირს პასუხისმგებლობა უმოქმედობისთვის ეკისრება, მიუხედავად იმისა, რომ მას მოქმედების შესაძლებლობა არ ჰქონდა და ასეთ მდგომარეობაში წინარე აქტიური ქმედებით აღმოჩნდა. აღნიშნული კონსტრუქცია აღინიშნება ტერმინით omissio libera in causa.[249]

omissio libera in causa არის actio libera in causa-ს ფიგურის მსგავსი. ორივე შემთხვევაში წინარე ქმედებით ხდება ბრალუუნარობის მდგომარეობაში თავის ჩაყენება. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ actio libera in causa-ს ფიგურა მოქმედებით ჩასადენ დელიქტებთან მიმართებით, ხოლო omissio libera in causa უმოქმედობით განხორციელებული დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად გამოიყენება.

ჰ. ბაიერის შეხედულებით, მაშინ, როცა ადამიანი თავს მოქმედების უუნარობის მდგომარეობაში იყენებს, უარი უნდა ვთქვათ omissio libera in causa-ს გამოყენებაზე და გარანტი გერმანული სსკ-ის 323a პარაგრაფით საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელებისთვის უნდა დაისაჯოს ან გამონაკლისი უნდა იქნეს დაშვებული იმ ნორმიდან, რომლის მიხედვითაც ბრალი გამოირიცხება ფსიქიკური შეურაცხადობის გამო[250] (გერმანული სსკ-ის მე-20 პარაგრაფი და საქართველოს სსკ-ის 34-ე მუხ.). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით *ჰ. ოტო* გამოთქვამს განსხვავებულ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ ქმედების საფრთხის შემქმნელ დელიქტად, კერძოდ, გერმანული სსკ-ის 323a პარაგრაფით, კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, იყო თუ არა ადამიანი ისე მთვრალი, რომ შეურაცხადი ყოფილიყო და არა იმის, იყო თუ არა იგი სიმთვრალიდან გამომდინარე არა მხოლოდ შეურაცხი, არამედ მოქმედების უუნაროც. მისი თვალსაზრისით, კანონმდებელმა გერმანულ სსკ-ში 323a პარაგრაფი შეურაცხადობის და არა მოქმედების უუნარობის მდგომარეობაში თავის ჩაყენებასთან დაკავშირებით შემოიტანა.[251] *ოტო* იმას კი არ უარყოფს, რომ გერმანული სსკ-ის 323a პარაგრაფით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა უმოქმედობითაც არის შესაძლებელი, არამედ 323a პარაგრაფის კანონმდებლობაში შემოტანას ასაბუთებს განსხვავებულად და მას ბრალუუნარობის (და არა მოქმედების უუნარობის) მდგომარეობაში თავის ჩაყენების პრობლემას უკავშირებს. *ოტოს* შეხედულებით, გერმანული სსკ-ის 323a პარაგრაფით უნდა დაკვალიფიცირდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება თუ მის განხორციელებას წინ უსწრებდა დამნაშავის მიერ თავის ბრალუუნარობის მდგომარეობაში ჩაყენება, მიუხედავად იმისა, მართლსაწინააღმდეგო

---

[248] იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 271-272.

[249] იხ. *Baier H.*, Unterlassungsstrafbarkeit trotz fehlender Handlungs- oder Schuldfähigkeit, Zugleich ein Beitrag zur Rechtsfigur der omissio libera in causa, GA 1999, S. 272.

[250] იხ. *Baier H.*, იქვე, გვ. 284.

[251] იხ. *Otto H.*, Der Vollrauschtatbestand (§ 323 a StGB), Jura 1986, S. 483.

ქმედება სიმთვრალეში მოქმედებით განხორციელდა, თუ უმოქმედობით, ქმედება სრულად განხორციელდა, თუ მცდელობას ჰქონდა ადგილი, ეროპიროვნულად იქნა ჩადენილი, თუ თანამონაწილეობით.[252] ამასთან ერთად იგი ხაზს უსვამს იმასაც, რომ გარანტს უნდა ჰქონდეს მოქმედების ფაქტობრივი შესაძლებლობა მას პასუხისმგებლობა დაუხმარებლობისთვის ან ზოგადად წმინდა უმოქმედობის დელიქტისთვის რომ დაეკისროს. თუ ასეთი შესაძლებლობა ადამიანს არ გააჩნია, იგი საერთოდ უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან, ვინაიდან უმოქმედობისთვის პასუხისმგებლობის წინაპირობას მოქმედების ფაქტობრივი შესაძლებლობის ქონა წარმოადგენს.[253] *ოტოს* შეფასებით, მაშინ დგება უმოქმედობით გერმანული სსკ-ის 323a პარაგრაფით გათვალისწინებული დანაშაულის უმოქმედობით განხორციელებისთვის პასუხისმგებლობის საკითხი, როცა მთვრალ გარანტორს, მიუხედავად სიმთვრალისა, არ ჰქონდა დაკარგული მოქმედების ფაქტობრივი შესაძლებლობა.[254]

როდესაც ვსაუბრობთ სიმთვრალეში სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობაზე, ჩნდება კითხვა: ყველა სახის უმოქმედობის დელიქტისთვის შეიძლება თუ არა მთვრალ ადამიანს პასუხი მოეთხოვოს? მაგალითად, დაუხმარებლობისთვის?

სიმთვრალეში განხორციელებული უმოქმედობითი დელიქტისთვის ადამიანს პასუხისმგებლობა მაშინ უნდა დაეკისროს, როცა იგი გარანტია და, შესაბამისად, პასუხისმგებლობის ხარისხიც მაღალი. რაც შეეხება დაუხმარებლობას (საქართველოს სსკ-ის 129-ე მუხ.), სიმთვრალეში მისი განხორციელებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება დაუშვებელია, მიუხედავად იმისა, შეეძლო თუ არა ბრალუუნარო მდგომარეობაში მყოფს აქტიური მოქმედება. ადამიანს შეიძლება ავუკრძალოთ საკუთარი თავის ისეთ მდგომარეობაში ჩაყენება, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედება მის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას ან გამორიცხავს იმ ქმედების განხორციელების უნარს, რომლის განხორციელების მოვალეობა მას ეკისრება როგორც გარანტორს. მაგრამ, მაშინ, როცა საქმე ეხება ისეთი მოქმედების შეუსრულებლობას, რომლის განხორციელების მოვალეობა მხოლოდ სოლიდარულია (და არა სპეციალურ სამართლებრივი), პასუხისმგებლობა სიმთვრალით გამოწვეულმა ბრალუუნარობამ სრულად უნდა გამორიცხოს, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა მთვრალს აქტიური მოქმედების განხორციელების უნარი შენარჩუნებული.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ადამიანს ევალება მართლწესრიგის არა მხოლოდ აკრძალვის, არამედ მოთხოვნის გათვალისწინებაც.[255] აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი. თუ გავიზიარებთ *ფ. შტრენგის* შეხედულებას, გავზრდით სოლიდარული მოვალეობის ხარისხს და რიგით მოქალაქესაც გარანტორად ვაქცევთ, რაც გაუმართლებელი იქნებოდა.

---

[252] იხ. *Otto H.*, იქვე.

[253] იხ. *Otto H.*, იქვე.

[254] ანალოგიური მოსაზრება ასევე იხ. *Ranft O.*, Grundprobleme des Vollrauschtatbestandes (§323 a StGB), JA 1983, S. 240.

[255] იხ. *Streng F.*, Unterlassene Hilfeleistung als Rauschtat?, JZ 1984, S. 118.

6. შეჯამება

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები ისეთ დანაშაულებრივ ქმედებას მოიცავენ, რომლებიც თავიანთი ბუნებით და ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, საშიშია სამართლით დაცული სიკეთისთვის და შეუძლიათ სამართლებრივი სიკეთის დაზიანების გამოწვევა. მაგრამ ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დროს გამორიცხული იყოს კონკრეტული საფრთხის არსებობა ან სამართლებრივი სიკეთის დაზიანება. ზოგჯერ კონკრეტული საფრთხის არსებობა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების განხორციელების წინაპირობაა (განსაცდელში მიტოვება, დაუხმარებლობა). კონკრეტული საფრთხის არსებობა აკისრებს მოქალაქეებს არსებული საფრთხის განეიტრალების მოვალეობას და სწორედ ამ მოვალეობის შეუსრულებლობაში გამოიხატება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი. რიგ შემთხვევებში კანონმდებელი ქმედებით გამოწვეული ხელყოფის მიუხედავად არ მოითხოვს ქმედებით გამოწვეული შედეგის ობიექტურ შერაცხვას, რაც განპირობებულია პრაქტიკული მიზანშეწონილებით, ვინაიდან ობიექტური და სუბიექტური ნიშნების დადგენა ან შეუძლებელია ან დიდ სირთულეს ქმნის. ასეთი დელიქტები უპირატესად მასების წინააღმდეგაა განხორციელებული და დამნაშავეს და დაზარალებულს შორის უშუალო კონტაქტი არ არსებობს. მაგალითად, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციის დამზადების, შემოტანისა და რეალიზაციის დროს (სსკ-ის 198-ე მუხ.). გარდა ამისა, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ზოგჯერ ვხვდებით ე. წ. შუალედურ შედეგს, მაგრამ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი, მიუხედავად ამისა, მაინც შედეგგარეშე დანაშაულად რჩება, ვინაიდან ის შედეგი, რომელიც დადგა, გულისხმობს სხვა სამართლებრივი სიკეთის და არა იმ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას, რომლის დაცვასაც ისახავს მიზნად ის ნორმა, რომელშიც მოცემულია აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის შემადგენლობა. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა (ნივთის დაზიანება ან განადგურება ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაო საშუალებით). სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი იცავს არა მხოლოდ საკუთრებას, არამედ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წესრიგს და ამიტომაც ითვლება აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული შემადგენლობა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული შედეგი განხორციელებულია ნივთის დაზიანების სახით.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები უშედეგო ანუ ე. წ. ფორმალურ შემადგენლობას წარმოადგენენ და ასეთ დელიქტებში ქმედების და საფრთხის განცალკევება შეუძლებელია. მაგრამ გაბატონებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ არა მხოლოდ კონკრეტული საფრთხის დელიქტებშია ქმედების და ქმედებით გამოწვეული საფრთხის დროით და სივრცობრივად ერთმანეთისგან გამიჯვნა შესაძლებელი, არამედ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებშიც. მაგალითად, მოწოდება სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისკენ ან ძალადობით შეცვლისკენ (სსკ-ის 317-ე მუხ.). აღნიშნული ქმედება შეიძლება სატელევიზიო ჩაროვის დროს ან ინტერნეტის საშუალებით

სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელდეს, რომელმაც საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება საფრთხე შექმნას, ვინაიდან უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებულ ქმედებას (მოწოდებას უცხოეთიდან) შედეგები საქართველოში შეიძლება მოჰყვეს და აბსტრაქტული საფრთხეც სხვა არაფერია, თუ არა საზიანო შედეგის გამოწვევის შესაძლებლობის შექმნა. ასეთი შესაძლებლობა ანუ აბსტრაქტული საფრთხე შეიძლება განხილულ იქნეს „ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ შედეგად“ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში. თუმცა, ეს „შედეგი“ არ არის იმ შედეგის ეკვივალენტური, რომელიც გამოიყენება შედეგიანი და შედეგგარეშე შემადგენლობათა გასამიჯნავად, ვინაიდან აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები არ გამორიცხავენ ე. წ. შუალედური შედეგის განხორციელებას, მაგრამ არ მოითხოვენ ცვლილებას გარე სამყაროში. ის ე. წ. შუალედური შედეგი არ არის აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების შემადგენლობის კონსტიტუციური ნიშანი. აბსტრაქტული საფრთხე გარესამყაროში ცვლილებას არ გულისხმობს. ასეთ ცვლილებას გარესამყაროში ადგილი აქვს შედეგიან დელიქტებში.

III. თავი

კონკრეტული საფრთხის დელიქტები

1. საფრთხის ცნება

საფრთხის ცნება გულისხმობს მდგომარეობას, როცა სამართლით დაცული ინტერესის ხელყოფა შესაძლებელია. მაგრამ, ხელყოფის მოლოდინის ხარისხზე საფრთხის ცნება შეიძლება არ იყოს დამოკიდებული. პირიქით, დამაზიანებელი შედეგის დადგომის მეტი ან ნაკლები ალბათობის მიხედვით საფრთხის სხვადასხვა ხარისხზე შეიძლება საუბარი. მაშასადამე, შედეგის დადგომის მცირე შესაძლებლობაც სიტყვის გარკვეული გაგებით საფრთხედ შეიძლება შეფასდეს.[256]

მართალია, ზიანის გამოწვევის ალბათობის ხარისხით არა საფრთხის არსებობა, არამედ საფრთხის ხარისხი განისაზღვრება, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ზიანის გამოწვევის უმნიშვნელო შანსიც საფრთხის არსებობაზე მიუთითებდეს. ზიანის გამოწვევის მინიმალური შანსი საშიშად არ ფასდება.[257] მართალია, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გამოწვევის უმნიშვნელო შანსის შემცველი ქმედებაც სიტყვის გარკვეული მნიშვნელობით შეიძლება საშიშად იქნეს მიჩნეული, მაგრამ ასეთი ქმედება სისხლისსამართლებრივად ირელევანტურია და „საშიშად“ სამართლებრივი გაგებით არ მიიჩნევა.

გერმანიის მართლმსაჯულებამ განსაზღვრა, რომ საფრთხის შექმნას მაშინ აქვს ადგილი, როცა „ზიანის დადგომა უფრო მეტადაა სავარაუდო, ვიდრე მისი არდადგომა“.[258]მაგრამ, ნათელი არ არის, ასეთი ფორმულირებით ალბათობის ხარისხი (მეტობა) მათემატიკურად დადგინდება, თუ მართლმსაჯულებას საფრთხედ ისეთი მდგომარეობის შეფასება სურს, როცა საზიანო შედეგის დასადგომად არსებითი შესაძლებლობა არსებობს. როგორც *ჰ. შროდერი* მიუთითებს, თუ შედეგის დადგომის საზღვარი 51- დან 49 პროცენტამდე იქნებოდა, მკაფიო ზღვარი საფრთხეს და უსაფრთხოებას შორის ვერ გაივლებოდა.[259]

კ. რაბლი, საფრთხეს განსაზღვრავს როგორც ახლოს მყოფ ხელყოფის შესაძლებლობას. მისი აზრით ძნელია შორეული შესაძლებლობისგან ახლოს მყოფი შესაძლებლობის გამიჯვნის და მათ შორის მკაფიო ზღვარის გავლება.[260] *რაბლის* შეხედულება არ არის ზუსტი. საფრთხე შეიძლება ახლოს მყოფ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შესაძლებლობას გულისხმობდეს, მაგრამ არა ყველანაირი, არამედ კონკრეტული საფრთხე. აბსტრაქტული საფრთხის დროს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შესაძლებლობა ისე ახლოს არ არის. უფრო მეტიც, აბსტრაქტული საფრთხე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის რეალურ შესაძლებლობას არ ქმნის.

ჰ. შროდერის შეხედულებით, მართლმსაჯულებამ საფრთხედ ისეთი მდგომარეობა უნდა შეაფასოს, როცა მავნე შედეგის დადგომის პერ-

---

256 იხ. *Schröder H.*, Die Gefährdungsdelikte im Strafrecht, ZStW1969, S. 8.

257 იხ. *Schröder H.*, იქვე, ZStW 1969, S. 8.

258 იხ. *Schröder H.*, იქვე, ZStW 1969, S. 8.

259 იხ. *Schröder H.*, იქვე, ZStW 1969, S. 8.

260 იხ. *Rabl K.*, Der Gefährdungsvorsatz, Breslau-Neukirch, 1933, S. 7.

სპექტივა სერიოზულად აღიქმება. ამის (არსებობს თუ არა ასეთი პერსპექტივა) დასადგენად საჭიროა მასშტაბს კი შეიძლება წარმოადგენდეს ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებით შეძენილი ცოდნა. ვინაიდან საშიში ვითარება ხშირად ეფექტურ ზიანს არ იწვევს, ქმედება იმის მიხედვით უნდა შეფასდეს, საზიანო შედეგის გამოსაწვევად იგი საკმარის ფაქტორებს შეიცავს თუ არა. ასეთი შეფასება როგორც მომავალი მოვლენის პროგნოზი მხოლოდ გამოცდილებას შეიძლება ეფუძნებოდეს. მხოლოდ მას შეუძლია გვითხრას, განსაზღვრული გარემოება საფრთხეს წარმოადგენს თუ არა. ვინაიდან ცხოვრებისეული გამოცდილებით შეძენილი ცოდნა ფრაგმენტარული ხასიათისაა და ადამიანური ცოდნა და შეგნება მუდმივად მზარდია, იმასაც უნდა შევეგუოთ, რომ ქმედების საშიშროების შეფასება თანაზომიერი შეიძლება არ იყოს[261] (შეიძლება გადამეტებული იყოს ან, პირიქით).

როდესაც საფრთხეზე და ქმედების საშიშროებაზე ვსაუბრობთ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ქმედების საშიშროების შეფასება ხდება წინდახედული, კეთილგონიერი ადამიანის პოზიციებიდან. საშიშად ისეთი ქმედება ან მდგომარეობა მიიჩნევა, რომელიც წინდახედულ, გონიერ ადამიანს ამ ქმედებით ან მდგომარეობით მავნე შედეგის გამოწვევის თავიდან ასაცილებლად, გარკვეული ქმედებისგან თავის შეკავებას ან გარკვეული ზომების მიღებას აიძულებს.

ჰ.შროდერი მიუთითებს, რომ შეფასების მასშტაბი არ შეიძლება იყოს ის, თუ დამნაშავემ საზიანო შედეგის გამომწვევ ფაქტორებზე რა იცოდა ან რა შეიძლებოდა სცოდნოდა, ასევე არ შეიძლება იყოს ის ცოდნა, რომელსაც საშუალო შემფასებელი გამოცდილებიდან გამომდინარე ფლობდა. *შროდერის* თვალსაზრისით, საფრთხესთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უმეტესად საუკეთესო შემფასებლის (bestmögliche Beurteiler) შეხედულებას უნდა შეესატყვისებოდეს, ვინაიდან საშუალო გამოცდილება არ არსებობს. ყოველ ადამიანს გამოცდილების საკუთარი მარაგი გააჩნია და ექსპერტებიც არიან განსაზღვრული დარგის სპეციალისტები, რომლებსაც შეფასების მეტი შესაძლებლობა გააჩნიათ, ვიდრე სხვებს.[262]

მართლაც საკამათოა, თუ ვინ შეიძლება იყოს შემფასებელი და ვისი პოზიციიდან უნდა მოხდეს იმის შეფასება, არის თუ არა ვითარება საშიში. მაგალითად, შეიძლება თუ არა საფრთხეზე გადაწყვეტილება დაეფუძნოს საშუალო შემფასებლის გამოცდილებას და საშუალო შემფასებლად ჩაითვალოს მოსამართლე ან ამა თუ იმ დარგის სპეციალისტი, ექსპერტი? ექსპერტი, როგორც გარკვეული საგნის სპეციალისტი, არ შეიძლება საშუალო შემფასებლად ჩავთვალოთ. იგი ფლობს ცოდნის იმ მარაგს, რომელიც ყველა ადამიანს არ გააჩნია და თუ ჩვენ ასეთ ცოდნაზე დავაფუძნებთ საფრთხეზე მიღებულ გადაწყვეტილებას, პასუხს ვერ მოვთხოვთ არასპეციალისტს, რამდენადაც მას, როგორც სათანადო გამოცდილების და ცოდნის არმქონეს არ შეეძლო ქმედება საშიშად შეეფასებინა. ჩვენ იმ შემთხვევაში გვექნება იმის უფლება, რომ ვუსაყვედუროთ ქმედების ჩამდენს, როგორც არაექსპერტს, არასპეციალისტს, როცა ქმედების საშიშროების შესაფასებლად საჭირო არ არის ასეთი

---

261 იხ. *Schröder H.*, იქვე, ZStW 1969, S. 9.

262 იხ. *Schröder H.*, იქვე, ZStW 1969, S. 9.

სპეციალური განათლების და კვალიფიკაციის ქონა.

რაც შეეხება მოსამართლეს, იგი შეიძლება საშუალო შემფასებლად მივიჩნიოთ. მართალია, მას გააჩნია სპეციალური ცოდნა, მაგრამ სამართლის დარგში. ქმედების საშიშროების შეფასება კი მოითხოვს ან ზოგად ცხოვრებისეულ გამოცდილებას ან ცოდნას საბუნებისმეტყველო ან ტექნიკური მეცნიერების დარგში.

საფრთხე იყოფა აბსტრაქტულ და კონკრეტულ საფრთხედ. აქედან გამომდინარეობს საფრთხის დელიქტების დაყოფაც აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის დელიქტებად. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედება საშიშად თავად კანონმდებლის მიერაა შეფასებული და მოსამართლე მას არ აფასებს. იგი მხოლოდ ადგენს იმას, განხორციელდა თუ არა სისხლის სამართლის კანონში აღწერილი ქმედება. რაც შეეხება კონკრეტული საფრთხის დელიქტებს, აქ, პირიქით, კანონმდებელი მოსამართლეს უთმობს ქმედების შეფასებას არის თუ არა იგი საშიში. საკითხის ასე გადაწყვეტა გამართლებულია. შეუძლებელია კანონმდებელმა კანონში ამომწურავად მოგვცეს ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც ქმედება საშიშად უნდა შეფასდეს, ვინაიდან კონკრეტული საფრთხის დელიქტებში ქმედების შეფასება ხდება არა გენერალიზებულად, არამედ კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით. გენერალიზებულმა შეფასებამ შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ ქმედება არასაშიშად იქნეს მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საფრთხის ეფექტურად შექმნა დადგინდა.[263]

მაგალითად, თვალზე მსუბუქ დარტყმას გენერალურად არ შეუძლია არსებითი ხელყოფის გამოწვევა. მაგრამ, თუ ქმედება განხორციელდა იმ პირის წინააღმდეგ, რომელსაც თვალის დაავადება აქვს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს, რომ დარტყმას მხედველობის დაკარგვა შეეძლო გამოეწვია. სროლა ფეხის არეში მიიჩნევა ვარგისად არსებითი ხელყოფის გამოსაწვევად. თუმცა, მსხვერპლი თუ პროთეზს ატარებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საშიშროება გამოირიცხება.[264]

საფრთხის ცნება მიეკუთვნება შესაძლებლობის კატეგორიას,[265] ვინაიდან საფრთხე გულისხმობს მომავალში სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შესაძლებლობას და არა ხელყოფას, რეალიზებული შესაძლებლობის სახით. შესაბამისად, საფრთხის შინაარსის გარკვევა მიზანშეწონილია ისეთი ფილოსოფიური კატეგორიების საფუძველზე, როგორიცაა შესაძლებლობა და სინამდვილე.

სინამდვილე არის ობიექტური რეალობა, რომელიც ადამიანის ცნობიერებისგან დამოუკიდებლად არსებობს.[266] შესაძლებლობა განვითარების ტენდენციას წარმოადგენს, რომელიც სინამდვილის კანონზომიერებითაა განსაზღვრული. თუმცა, შესაძლებლობა არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ ამავდროულად არსებულიც. შესაძლებლობა არსებობს ჩანასახის, ტენდენციის ანუ სინამდვილედ გადაქცევის პოტენციის სახით, ხოლო სინამდვილე ვიწრო გაგებით არსებობს განხორციელებული სახით. შესაძლებლობა მომავალი სინამდვილეა, ხოლო სინამდვილე (ვიწრო

---

[263] იხ. *Schröder H.*, იქვე, ZStW 1969, S. 10.

[264] იხ. *Schröder H.*, იქვე, ZStW 1969, S. 11.

[265] იხ. *Церетели Т.*, Деликты создания опасности, «Советское государство и право», 1970, №8, с. 19; *წერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 406.

[266] იხ. *ბაქრაძე კ.*, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტომი მეხუთე, თბ., 1976, გვ. 116.

გაგებით) განხორციელებული შესაძლებლობა. ვინაიდან შესაძლებლობა, როგორც განვითარების, შესაძლებლობად გარდაქმნის ტენდენცია არსებობს, ის სინამდვილის გარკვეული მხარეა. იგი შესაძლებლობაა იმ ახალი, მომავალი სინამდვილის, რომელიც ჯერ არ განხორციელებულა, ჯერ არ არსებობს.[267]

ერთმანეთისგან განასხვავებენ აბსტრაქტულ ანუ ლოგიკურ და რეალურ შესაძლებლობას. ლოგიკურად შესაძლებელია ყველაფერი, რაც ლოგიკურ წინააღმდეგობას არ შეიცავს. ყველაფერი რაც ლოგიკურად შესაძლებელია, როდი წარმოადგენს ამავდროულად რეალურ შესაძლებლობას. რეალური შესაძლებლობისთვის მხოლოდ ლოგიკური შესაძლებლობის არსებობა საკმარისი არ არის. რეალური შესაძლებლობა ობიექტური პირობებითაა განსაზღვრული და გულისხმობს სინამდვილედ გადაქცევის ალბათობის გარკვეულ ხარისხს.[268]

აბსტრაქტული შესაძლებლობა არ არის მოკლებული რეალურ საყრდენს. აბსტრაქტულ და რეალურ შესაძლებლობას შორის პრინციპული, გადაულახავი ზღვარი არ არსებობს.[269] თუ აბსტრაქტულ და რეალურ შესაძლებლობას შორის გადაულახავი ზღვარი იარსებებდა, აბსტრაქტული შესაძლებლობა იქნებოდა არა შესაძლებლობა, არამედ შეუძლებლობა.

აბსტრაქტული საფრთხის შინაარსის გასარკვევად აბსტრაქტული შესაძლებლობის კატეგორია, ხოლო კონკრეტული საფრთხის ცნების განსასაზღვრავად რეალური შესაძლებლობის კატეგორია უნდა გამოვიყენოთ.

როდესაც ვსაუბრობთ საფრთხეზე, არ შეიძლება არ შევეხოთ აუცილებლობის და შემთხვევითობის ფილოსოფიურ კატეგორიებს. მით უფრო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხშირად მიუთითებენ შემთხვევითობის როლზე კონკრეტული საფრთხის დელიქტებში. კონკრეტული საფრთხე, როგორც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის რეალური შესაძლებლობა, დაკავშირებულია აუცილებლობასთან. აუცილებელია ის, რაც მოვლენის შინაგანი კანონზომიერებიდან გამომდინარეობს. მაგრამ, ეს კანონზომიერება გარკვეულ პირობებში და ვითარებაში ხორციელდება.[270]კონკრეტული საფრთხე ზოგადი ცხოვრებისეული კანონზომიერებიდან გამომდინარე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას იწვევს, მას შესწევს იმის უნარი, რომ საზიანო შედეგი გამოიწვიოს და ამაში ვლინდება მისი კავშირი აუცილებლობასთან.

კონკრეტული საფრთხის აუცილებლობასთან დამოკიდებულებას შეიძლება შემდეგი ასპექტები ჰქონდეს: 1. აუცილებლობა, როგორც კონკრეტული საფრთხის, როგორც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის რეალური შესაძლებლობის წარმოშობის და არსებობის მთავარი პირობა; 2. აუცილებლობა, როგორც რეალური შესაძლებლობის სინამდვილედ ქცევის პროცესის განმსაზღვრელი.[271]

---

[267] იხ. *ბაქრაძე კ.*, იქვე, გვ. 117; *ასათიანი გ.*, შესაძლებლობა და სინამდვილე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 97, თბ., 1961, გვ. 163.

[268] იხ. *ბაქრაძე კ.*, იქვე, გვ. 118.

[269] იხ. *ასათიანი გ.*, შესაძლებლობა და სინამდვილე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 97, თბ., 1961, გვ. 164.

[270] იხ. *ბაქრაძე კ.*, იქვე, გვ. 103.

[271] იხ. *ასათიანი გ.*, იქვე, გვ. 166.

საფრთხე, როგორც შესაძლებლობა, არა მხოლოდ აუცილებლობასთან, არამედ შემთხვევითობასთანაც არის დაკავშირებული, ვინაიდან აუცილებლობა და შემთხვევითობა ერთმანეთის გარეშე არ არსებობს, ერთი მოვლენის სხვადასხვა მხარეს წარმოადგენს.[272] უფრო მეტიც, აუცილებლობა შემთხვევითობაში ვლინდება. სადაც აუცილებლობაა, იქ შემთხვევითობაცაა, როგორც მისი გამოვლენის ფორმა.[273]

2. საფრთხის სუბიექტური და ობიექტური თეორიები

2.1. საფრთხის სუბიექტური თეორია

საფრთხის სუბიექტური თეორიის მიხედვით, საფრთხე წარმოდგენილია მაშინაც, როცა საფრთხე ობიექტურად კი არ არსებობს, არამედ ადამიანის წარმოსახვაშია. საკითხის ასეთი გადაწყვეტა მიუღებელია და იგი თავის დროზე სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული.

როგორც *თ. წერეთელი* აღნიშნავდა, საფრთხის სუბიექტური განმარტება იმ შედეგამდე მიგვიყვანდა, რომ ამა თუ იმ მოქმედების აღიარება საშიშად ან არასაშიშად დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, შეამჩნია თუ არა ეს მოქმედება იმ პირმა, ვის წინააღმდეგაც იგი იყო მიმართული. თუ მოქმედება ცნობილი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც აღნიშნულმა პირმა უკვე გაიგო, რომ მას მავნე შედეგი არ მოჰყოლია, იგი საშიშ მოქმედებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან მას შიშის ან აღელვების გრძნობა არ გამოუწვევია. ამავე დროს ობიექტურად სრულიად არასაშიში მოქმედება უნდა ჩაითვალოს საშიშად და გამოიწვიოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, თუ მან ვინმეს შიშის გრძნობა აღუძრა. დაბოლოს, ერთი და იგივე მოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც არასაშიში, უკეთუ იგი მიმართულია მამაცი და აუშფოთებელი პირის წინააღმდეგ, და როგორც საშიში-როდესაც იგი მიმართულია მხდალი და ნერვიული კაცის წინააღმდეგ. ამგვარად, ქმედობის სისხლისსამართლებრივი შეფასება დამოკიდებულია არა თვით მოქმედების თვისებებზე, არამედ იმ პირის ფსიქიკურ განცდებზე, ვისაც თავისი თავი განსაცდელში ჰგონია.[274]

საფრთხის სუბიექტური თეორიის თანახმად, რომლის წარმომადგენელებიც იყვნენ *ვინდელბანდი* და *ზიგვარტი*, შესაძლებლობა ობიექტურად, რეალურად არ არსებობს, იგი არსებობს მარტოოდენ სუბიექტის წარმოსახვაში და გამოხატავს სუბიექტის მოლოდინის ხარისხს. ასე გაგებული შესაძლებლობა ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ სუბიექტი

---

[272] ფილოსოფიაში არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც. ერთ-ერთი თეორიის მიხედვით აუცილებლობა და შემთხვევითობა არ არის ერთი მოვლენის სხვადასხვა მხარე, ხოლო მეორე მოსაზრების მიხედვით, შემთხვევითობა საერთოდ არ არსებობს და არსებობს მხოლოდ აუცილებლობა, ვინაიდან ყველა მოვლენას თავისი მიზეზი აქვს.

[273] იხ. *ასათიანი გ.*, იქვე, გვ. 166; *ბაქრაძე კ.*, იქვე, გვ. 102 და შემდეგი.

[274] იხ. *წერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 409; *წერეთელი თ.*, რეალური შესაძლებლობის კატეგორიის გამოყენება დანაშაულის მცდელობის ცნების აგებისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXIV ტომი, თბ., 1945, გვ. 26.

ამა თუ იმ დარწმუნებულობით მოქმედების განხორციელებას. რეალური ცხოვრების სინამდვილეს საქმე არა აქვს შესაძლებლობასთან, არამედ ან აუცილებლობასთან, ან შეუძლებლობასთან. აქედან დასკვნა: ადამიანის მოქმედება ან კაუზალურია შედეგისათვის, ან არაკაუზალური, მესამე რამ აქ არ არსებობს. თუ ამ მსჯელობას საფრთხის ცნებას შევუფარდებთ, მივიღებთ შემდეგ ალტერნატივას. არსებობს მარტოოდენ ან მავნე, ან უვნებელი მოქმედება. საფრთხის შემქმნელი ანუ ნაწილობრივ კაუზალური მოქმედება რეალურ სინამდვილეში არ არსებობს. თუ მავნე შედეგი არ განხორციელდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მოქმედების შესრულების მომენტშივე გადაწყდა მისი განხორციელების შეუძლებლობა, მაშასადამე მავნე შედეგის შესაძლებლობაზე ლაპარაკი არც კი შეიძლება.[275] ამ თვალსაზრისით მსჯელობა საფრთხეზე დაფუძნებულია მხოლოდ ადამიანის ცოდნის შეზღუდულობაზე, იგი წარმოადგენს შეცდომის, უცოდინარობის ან განსაკუთრებული ემოციური მდგომარეობის ნაყოფს.[276] ასე სუბიექტურად გაგებული საფრთხე, რომელიც რეალურად არ არსებობს, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საფრთხის შემქმნელი დელიქტების გამო პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის,[277] რამდენადაც, ერთი და იმავე ქმედება საშიშად ან კიდევ არასაშიშად დაზარალებულის წარმოდგენის მიხედვით უნდა შეგვეფასებინა, რაც არ იქნებოდა საკითხის სწორად გადაწყვეტა. ასეთი გაგებით შეუძლებელია ქმედება საფრთხის შემქმნელად შეფასდეს, როცა ქმედება მიმართულია მცირეწლოვანის ან კიდევ ფსიქიკურად დაავადებულის მიმართ, რომელსაც არ შეუძლია აღიქვას ის საფრთხე, რომელიც მას ემუქრება.

2.2. საფრთხის ობიექტური თეორია

საფრთხის სუბიექტური თეორიისგან განსხვავებით, მეცნიერთა უმეტესობა, რომელიც საფრთხის ობიექტურ თეორიას უჭერს მხარს, ცდილობს საფრთხის ობიექტურობა დაასაბუთოს. აღნიშნულ თეორიას მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩაეყარა საფუძველი. მას შემდეგ, რაც *როლანდმა* საფრთხის ცნების ელემენტებად მიიჩნია მოვლენის დამაზიანებელი უნარი და ალბათობა, საფრთხე განიმარტა როგორც დაზიანების ობიექტური შესაძლებლობა ან როგორც განსაცდელი ხალხური გაგებით. ამ თვალსაზრისზე დაყრდნობით მართლმსაჯულებამ კონკრეტული საფრთხე განმარტა როგორც მდგომარეობა, როცა ზიანის გამოწვევა უფრო მეტადაა სავარაუდო, ვიდრე მისი არდადგომა. მოკლეთ რომ ვთქვათ, საფრთხე განისაზღვრა როგორც ზიანის ალბათობა (die Wahrscheinlichkeit eines Schadens),[278] რომელიც არ არის სუბიექტის წარმოსახვის ნაყოფი, არამედ ეყრდნობა ობიექტურად, რეალურად არსებულ მონაცემებს.

---

[275] იხ. *წერეთელი თ.,* I ტომი, იქვე, გვ. 407; *წერეთელი თ.,* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXIV ტომი, იქვე, გვ. 24.

[276] იხ. *Церетели Т.,* Деликты создания опасности, «Советское государство и право», 1970, №8, с. 57.

[277] იხ. *Церетели Т.,* იქვე, გვ. 57.

[278] საფრთხის ობიექტურ თეორიაზე იხ. *Ahn W-H.*, Zur Dogmatik abstrakter Gefährdungsdelikte, München, 1995, S. 58-59.

როცა ალბათობაზეა საუბარი, უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ სიტყვა „ალბათობის“ ინტერპრეტაციის სხვადასხვა შესაძლებლობა არსებობს. თუ ალბათობა სტატისტიკურ წარმონაქმნად განიმარტა, შეუძლებელი იქნება იმის პროგნოზი, თუ როგორ დასრულდება ესა თუ ის შემთხვევა. იგი ყოველთვის გულისხმობს მეტად ან ნაკლებად უეჭველ, სწორ ვარაუდს.[279] კონკრეტულ გარემოებათა უგულებელყოფა, ერთი მხრივ, in dubio pro reo პრინციპის უგულებელყოფა იქნებოდა.[280]

როდესაც საუბარია კონკრეტულ საფრთხეზე, როგორც საზიანო შედეგის გამოწვევის ალბათობაზე, მოვლენათა სამომავლო განვითარებაზე პროგნოზის გაკეთება მართლაც შეუძლებელია მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, კონკრეტულ გარემოებათა გაუთვალისწინებლად. სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე მხოლოდ ის შეიძლება დადგინდეს, ქმნის თუ არა ქმედება აბსტრაქტულ საფრთხეს და არა ის, არის თუ არა ქმედება კონკრეტული საფრთხის შემცველი. სტატისტიკური მონაცემები კონკრეტული საფრთხის დასადგენად საკმარის პირობას არ შეადგენს.

მოსამართლემ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა აწონ-დაწონოს, არსებული ალბათობის ხარისხი არის თუ არა საკმარისი კონკრეტული საფრთხის დასადგენად.[281]

როგორც ზემოთ აღინიშნა, ალბათობა შეიძლება სხვადასხვანაირად განიმარტოს. შეიძლება ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ალბათობა, რომელიც სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარეობს, და ალბათობა, რომელიც აღნიშნულ მონაცემებს არ ეფუძნება. ალბათობის ეს უკანასკნელი გაგება გამომდინარეობს არა აქტუალური, არამედ ვირტუალური მონაცემებიდან, მაშინ, როცა სტატისტიკური გაგება ალბათობისა აქტუალურ მონაცემებს ეყრდნობა.[282]

საფრთხე ობიექტური გაგებით შეიძლება განისაზღვროს როგორც განხორციელების და გარდაქმნის ტენდენციის მქონე მდგომარეობა. კერძოდ, როგორც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შესაძლებლობა, რომელიც ობიექტურად, რეალურად არსებობს.

3. კონკრეტული საფრთხის დელიქტების ზოგადი დახასიათება

კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტთა შემადგენლობებში კანონმდებელი არ კმაყოფილდება მხოლოდ მოქმედების აღწერით და მოითხოვს, რომ პიროვნების ქცევით შექმნილი იყოს საშიში მდგომარეობა სამართლით დაცული ამა თუ იმ ობიექტისათვის. ამგვარად, კონკრეტული საფრთხის დელიქტებში საშიში მდგომარეობის შექმნა, როგორც გარესამყაროში განსაზღვრული ცვლილება, შეტანილია შემად-

---

279 იხ. *Ahn W-H.*, იქვე,გვ. 59-60.

280 იხ. *Horn E.*, Konkrete Gefährdungsdelikte, Köln, 1973, S. 131, 182.

281 იხ. *Schünemann B.*, Moderne Tendenzen in der Dogmatik der Fahrlässigkeits- und Gefährdungsdelikte, JA 1975, S. 794.

282 იხ. *Ahn W-H.*, იქვე,გვ. 60.

გენლობის აუცილებელ ნიშნებს შორის.[283]

კონკრეტული საფრთხის დელიქტები მოითხოვენ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში შეიქმნას რეალური საფრთხე შესაბამისი ქმედების შემადგენლობით დაცული ობიექტისთვის.[284] ცნობილი გერმანელი მეცნიერი *კ. როქსინი* კონკრეტული საფრთხის დელიქტების დახასიათებისას ხაზს უსვამს საფრთხის რეალურობას და იმას, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონკრეტული შემთხვევა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქმედება ზოგადად კი არ უნდა იყოს საშიში, არამედ იგი ასევე საშიში უნდა იყოს კონკრეტულ ვითარებაში.

აღნიშნული ტიპის დელიქტები მოიცავენ ისეთ მოქმედებებს, რომლებიც დაცულ სამართლებრივ სიკეთეს უშუალო საფრთხეს უქმნიან, თუმცა საბოლოოდ ხელყოფა არ მოჰყვება.[285] კონკრეტული საფრთხის დელიქტის შემადგენლობის დროს კანონმდებელი ირჩევს ფორმულირებას: „[....] და ამის გამო სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და ა. შ. [..] საფრთხე შეექმნა“. კონკრეტული საფრთხე მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა შედეგის დადგომა მხოლოდ შემთხვევითობაზეა დამოკიდებული.[286] კონკრეტული საფრთხის დელიქტებში შემთხვევითობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს.[287]

დამოუკიდებელი პრაქტიკული მნიშვნელობა კონკრეტული საფრთხის დელიქტებს ენიჭება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული საფრთხის მდგომარეობის მიუხედავად ხელყოფა არ განხორციელდება. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ იბადება კითხვა: თუ საფრთხის ცნება დამოკიდებულია ხელყოფის შემთხვევით განუხორციელებლობაზე, რა დამატებითი შედეგი უნდა ჰქონდეს, ან შეიძლება ჰქონდეს ხელყოფის აკრძალვის გვერდით საფრთხის აკრძალვას?[288]

რამდენადაც კონკრეტული საფრთხის დელიქტების დროს შედეგის არდადგომა შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, არ შეიძლება კონკრეტული საფრთხის დელიქტების დასჯადობის აუცილებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დაისვას, ვინაიდან დანაშაულებრივი შედეგის არდადგომა ხშირად შემთხვევითობაზეა დამოკიდებული მცდელობის დროსაც, მაგრამ ეს არ აუქმებს მცდელობის დასჯადობის აუცილებლობას. კანონმდებელი კონკრეტული საფრთხისა და დანაშაულის მცდელობის დასჯადობით ხაზს უსვამს დასაცავი ობიექტის მნიშვნელობას, რაც კიდევ უფრო გამოკვეთილია აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დროს. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დროს ქმედება ისჯება იმისდა მიუხედავად, რომ კონკრეტული საფრთხეც კი არ არსებობს და საქმე გვაქვს მხოლოდ საშიში ოვისებების მქონე ქმედებასთან.

კონკრეტული საფრთხის დელიქტების დროს საქმე შეეხება განსა-

---

283 იხ. *Церетели Т.*, Деликты создания опасности, «Советское государство и право», 1970, №8, с. 56.

284 იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 423.

285 იხ. *Wohlers W.*, Deliktstypen des Präventionsstrafrechts-zur Dogmatik „moderner Gefährdungsdelikte“, Berlin, 2000, S. 283.

286 იხ. *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 63, Rn. 163.

287 იხ. *Kratzsch D.*, Prinzipien der Konkretisiierung von abstrakten Gefährdungsdelikten-BGHSt 38, 309, Jus, 1994, S. 379.

288 იხ. *Wohlers W.,* Deliktstypen des Präventionsstrafrechts-zur Dogmatik „moderner Gefährdungsdelikte“, Berlin, 2000, S. 286.

კუთრებული სახის შედეგს-ხელყოფის ობიექტის საფრთხეში ჩაყენებას.[289] სამართლებრივი სიკეთის ობიექტის არსებობისთვის საფრთხის შექმნა („Existenzkrise“), შესაბამისად, დაცული ინტერესების არსებობის ეჭვქვეშ დაყენება ხელყოფის გვერდით შეიძლება განხილულ იქნას დასჯის ღირს დამოუკიდებელ „შედეგად“.[290]

კონკრეტული საფრთხის დელიქტების განხორციელებისას უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და კონკრეტულ საფრთხეს შორის. კონკრეტული საფრთხის დელიქტები მიეკუთვნება შედეგიან, ე. წ. „მატერიალურ“ დანაშაულთა რიცხვს,[291]რაც იმას ნიშნავს, რომ ხელყოფის დელიქტებისგან დელიქტების დასახელებული ტიპი არსებითად არ განსხვავდება შერაცხვის კრიტერიუმებით, არამედ იმით, რომ ხელყოფის შედეგის (Verletzungserfolg) ადგილს ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული საფრთხის შექმნის შედეგი (Gefährdungserfolg) იკავებს.[292]

კონკრეტული საფრთხის ცნება არ გამოიყენება ზოგადად, არამედ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. ყველა შემთხვევაში მართლმსაჯულება ადგენს კონკრეტული საფრთხის ორ საყოველთაოდ აღიარებულ პირობას: პირველ რიგში ქმედების ობიექტის არსებობას და საფრთხის ზემოქმედების სფეროში მოქცევას, და მეორე, ინკრიმინირებულმა ქმედებამ უნდა შექმნას ქმედების ობიექტის ხელყოფასთან ახლოს მდგარი საფრთხე.[293] კონკრეტული საფრთხის შექმნის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: მძღოლი მოძრაობის დროს გადააჭარბებს კანონით განსაზღვრულ მოძრაობის დადგენილ სიჩქარეს და დაარღვევს უსაფრთხოების წესებს ან კიდევ გადაასწრებს ავტობანზე მოძრავ მანქანას და შექმნის საავარიო მდგომარეობას, მაგრამ დანაშაულებრივი შედეგი თავიდან იქნება აცილებული მეორე მძღოლის ოსტატობის შედეგად.

კონკრეტული საფრთხის არარსებობის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: ციცაბო მთის ფერდობზე, მოსახვევში მძღოლმა ა-მ ქარაფშუტულად გადააჭარბა მოძრაობის დაშვებულ ნიშნულს და გადაუსწრო ბ-ს. თუკი საპირისპირო მხარეს ვინმე აღმოჩნდებოდა, ა ვერ შეძლებდა გზის დათმობას და ავარიის თავიდან აცილებას. მაგრამ, საწინააღმდეგო მხარეს 10 კილომეტრის სიშორეზე არავინ არ აღმოჩნდა.[294] მიუხედავად მძღოლის უკიდურესად წინდაუხედავი მოქმედებისა, კონკრეტული საფრთხე მაინც არ არსებობს.[295] მსგავს შემთხვევაში, როგორც *ო. გამყრელიძე* აღნიშნავს, კონკრეტული საფრთხე არ წარმოიშობა არა იმის გამო, რომ ასეთი მოქმედება (გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობა) უვარგისია კონკრეტული საფრთხის შექმნისთ-

---

[289] იხ. *უგრეხელიძე მ.*, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 5; *Krey/Esser.,* Deutsches Strafrecht, AT, 4. Aufl., Stuttgart, 2011, S. 91, § 8 Rn. 224.

[290] იხ. *Wohlers W.,* Deliktstypen des Präventionsstrafrechts-zur Dogmatik „moderner Gefährdungsdelikte“, Berlin, 2000, S. 285.

[291] იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 423; *Церетели Т.*, Деликты создания опасности, «Советское государство и право», 1970, №8, с. 57; *უგრეხელიძე მ.,* ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 6.

[292] იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 423.

[293] იქვე, გვ. 423-424.

[294] იხ. *Horn E.*, Konkrete Gefährdungsdelikte, Köln, 1973, S. 161; *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 424.

[295] იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 424.

ვის, არამედ ქუჩის სიცარიელის გამო.[296] წარმოდგენილ შემთხვევაში ქმედების ობიექტი არ არის საფრთხის ზემოქმედების ზონაში მოქცეული, რაც კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტებისთვისაა დამახასიათებელი.

ცნობილი გერმანელი მეცნიერის *ჰ. ველცელის* მართებული თვალსაზრისით, კონკრეტული საფრთხე მხოლოდ განსაზღვრული ობიექტისკენაა მიმართული. სამართლებრივი სიკეთე *ველცელს* ესმის კონკრეტულად და არა აბსტრაქტულად ანუ საფრთხის არსებობისთვის აუცილებელია, რომ სამართლებრივი სიკეთე განსაზღვრული შემთხვევის ზემოქმედების ზონაში მოხვდეს. იმის დადგენა, მოხვდა თუ არა სამართლებრივი სიკეთე საშიშროების ზონაში, სამართლებრივი სიკეთის კონკრეტიზაციის გარეშე შეუძლებელია.[297] მაშასადამე, კონკრეტული საფრთხე ექმნება კონკრეტული ადამიანის სიცოცხლეს და არა სიცოცხლეს ზოგადად. სიცოცხლის იდეა, მაშასადამე, ის რაც ზოგადია, აბსტრაქტულია, არ შეიძლება მოხვდეს საფრთხის შემქმნელი ქმედების ზემოქმედების სფეროში.

ბურის მოსაზრებით, სატრანსპორტო საფრთხის შექმნის („Transportgefährdung“) ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ერთი კონკრეტული სატრანსპორტო საშუალებისთვის და არა ზოგადად ტრანსპორტისთვის საფრთხის შექმნა (გერმანული სსკ-ის 315-ე პარაგრაფი). ბურიმ ერთმანეთისგან გამიჯნა ტრანსპორტი, როგორც საგზაო ტრანსპორტი (ზოგადად) და ტრანსპორტი, როგორც ცალკეული (ერთეული, კონკრეტული) სატრანსპორტო საშუალება. *ბურის* თქმით, უშუალო საფრთხე შეიძლება შეექმნას არა ცნებას, არამედ მხოლოდ ამ ცნებით მოცულ კონკრეტულ ობიექტს.[298]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ისეთი კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტისთვის, როგორიცაა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება (სსკ-ის 127-ე მუხ.). ქმედების საქართველოს სსკ-ის 127-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ კონკრეტული საფრთხე შეექმნას დაზარალებულის სიცოცხლეს. შესაბამისად, სსკ-ის მე-8 მუხლის თანახმად, უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს შორის.

4. დანაშაულებრივი ქმედებით შექმნილი საშიშროების ზონაში სამართლებრივი სიკეთის მოხვედრის აუცილებლობა

გერმანული საიმპერიო სასამართლო კონკრეტული საფრთხის დასადგენად არ მოითხოვდა სამართლებრივი სიკეთის ობიექტის მოხვედრას დანაშაულებრივი ქმედებით შექმნილი საფრთხის ზონაში. გერმანულმა

---

[296] იხ. *გამყრელიძე ო.,* სისხლის სამართლის პრობლემები,I ტომი,თბ.,2011,გვ. 19.

[297] იხ. *Welzel H.,* Das Deutsche Strafrecht, 11. Aufl., Berlin, 1969, S. 137.

[298] იხ. *Buri Maximilian* von, Beiträge zur Theorie des Strafrechts und zum Strafgesetzbuche,1894, S. 375. *ბური* აღნიშნავს,რომ იმ შემთხვევაში თუ საფრთხე არ შეექმნა ცალკეულ ასეთ ობიექტს, გფრ-ის სსკ-ის 315-ე პარაგრაფის გამოყენება დაუშვებელია. იქვე. ბურის ნაშრომზე მითითებისას ვისარგებლეთ შემდეგი ნაშრომით: *Horn E.* , Konkrete Gefährdungsdelikte, Köln, 1973, S. 162.

ფედერალურმა სასამართლომ მოგვიანებით შეცვალა საკითხისადმი მიდგომა და მიიჩნია, რომ საფრთხე გულისხმობს მდგომარეობას, როცა საზიანო შედეგის დადგომა უფრო მოსალოდნელია, ვიდრე, პირიქით.[299] თუმცა, საფრთხის ასეთი განსაზღვრებით, საფრთხის არსებობა მაშინაც შეიძლება დადასტურდეს, როცა სამართლებრივი სიკეთის ობიექტი საშიშროების ზონაში არ მოხვედრილა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზიანის გამოწვევა სავარაუდოა. ასეთი ფორმულირებით შეიძლება საქმე გვქონდეს პროცენტულ გაანგარიშებასთან, რაც პრაქტიკულად მოუხერხებელია. ზიანის დადგომის შესაძლებლობის ხარისხის ზუსტი განსაზღვრა, როგორც წესი შეუძლებელია.[300]

გერმანიის თანამედროვე მართლმსაჯულება მიიჩნევს, რომ კონკრეტული საფრთხის არსებობა მაშინ შეიძლება დავუშვათ, როცა სამართლებრივი სიკეთის ობიექტი საშიშროების ზონაშია მოქცეული,[301] საფრთხე არ არის შორეული[302] და არსებული მდგომარეობა სერიოზული შიშის გრძნობას იწვევს (ernstlich zu befürchten ist). საფრთხის არსებობა გულისხმობს ზიანის გამოწვევასთან დაკავშირებულ გაურკვევლობას ("Das Wesen der Gefahr besteht in der Ungewissheit des Schadens"), ზიანის გამოწვევის შესაძლებლობას. საფრთხის არსებობა არ შეიძლება იმ გარემოებებზე იყოს დამოკიდებული, რომელთა არსებობის დროს ზიანის დადგომა სარწმუნოა.[303]

წარმოდგენილი დებულების თანახმად, კონკრეტული საფრთხე მაშინ არსებობს, როცა არ არსებობს რწმენა იმის, რომ საზიანო შედეგი არ დადგება ან, პირიქით, დადგება. ზიანის დადგომასთან დაკავშირებული გაურკვევლობა (Ungewissheit des Schadens) სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს. აღნიშნული დებულებიდან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: თუ ადამიანი სამართლებრივი სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნის განზრახვით მოქმედებს, შეუძლებელია, მას სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის მიმართ გაუფრთხილებლობა გააჩნდეს და ევენტუალური განზრახვა არ ჰქონდეს.

გერმანიის მართლმსაჯულების მიერ გამოთქმული შეხედულებით, დანაშაულებრივმა ქმედებამ ისეთი კრიტიკული მდგომარეობა უნდა შექმნას, რომ განსაზღვრულ პირთა და ნივთთა უსაფრთხოება ისე ძლიერ იქნეს ხელყოფილი, რომ სამართლებრივი სიკეთე დაზიანდება თუ არა, მხოლოდ შემთხვევითობაზე იყოს დამოკიდებული.[304]

გერმანული მართლმსაჯულების მიერ ჩამოყალიბებული საფრთხის განსაზღვრების მიხედვით, ქმედების საშიშროების შეფასება მოსამართლის ცხოვრებისეულ გამოცდილებას ეფუძნება. მისი სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ კონკრეტული საფრთხის განსაზღვრება ობიექტურ მასშტაბს არ ემყარება.[305] ამიტომ, სისხლის სამართლის მეცნიერებაში

---

[299] იხ. *Zieschang F.*, Die Gefährdungsdelikte, Berlin, 1998, S. 37; *Satzger H.*, Die Anwendung des deutschen Strafrechts auf grenzüberschreitende Gefährdungsdelikte, NStZ 1998, S. 114.

[300] იხ. *Zieschang F.*, იქვე,გვ. 38.

[301] იხ. BGH NJW 1989, 122.

[302] იხ. BGHSt 18, 271, 272; *Geppert K.*, Die schwere Brandstiftung (§306 StGB), Jura 1989, S. 418; *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 424.

[303] იხ. *Maurach/Schroeder/Maiwald*, Strafrecht, B T, Teilband 2, 10. Aufl., Heidelberg, 2012, S. 9, §50 Rn. 21.

[304] იქვე,გვ. 424.

[305] იხ. *Satzger H.*, Die Anwendung des deutschen Strafrechts auf grenzüberschreitende Gefähr-

ადგილი ჰქონდა არაერთ მცდელობას, კონკრეტულ საფრთხეზე მართლმსაჯულების მიერ შემოთავაზებული განსაზღვრება ისე გარდაექმნათ, რომ მისთვის უფრო მეტი პრაქტიკული მნიშვნელობა მიენიჭებინათ.

ჰორნის შეხედულებით, კონკრეტულ საფრთხეზე გაკეთებული დასკვნა ეფუძნება ex post შეფასებას და კონკრეტული საფრთხე გულისხმობს ვითარებას, მდგომარეობას, რომელიც შეიძლება გაგებულ, განმარტებულ იქნეს, როგორც მიზეზი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისა.[306]

ჰორნის თვალსაზრისით, კონკრეტული საფრთხე გულისხმობს ვითარებას, რომლის მიხედვით საბუნებისმეტყველო მეცნიერებას არ შეუძლია პოზიტიურად იმის დადგენა, თუ რატომ ვერ შესძლო ხელყოფის გამოწვევა კონკრეტულმა გარემოებამ (საბუნებისმეტყველო თეორია).[307] *როქსინი* მართებულად აკრიტიკებს *ჰორნის* ამ დებულებას და აღნიშნავს, რომ ასეთი განმარტებით კონკრეტული საფრთხის ცნება ძალიან შეიზღუდებოდა, რამდენადაც, (თითქმის) ყველაფერი საბუნებისმეტყველო მეცნიერებით შეიძლება აიხსნას როდესაც სწორად და საკმარისად იძიებენ. გარდა ამისა, საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიხედვით გაკეთებული შეფასების შედეგები ყოველთვის არ არის მკაფიო.[308] *როქსინის* პოზიციით, მაშინ, როდესაც საპირისპირო მიმართულებით მოძრავ მანქანასთან დაჯახება გარდაუვალი იყო, მაგრამ იგი გამოირიცხა იმის გამო, რომ გრიგალმა, რომლის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო, საპირისპირო მიმართულებით მოძრავი მანქანა გვერდით გადაწონა, სავსებით გაუგებარია კონკრეტული საფრთხის არსებობის უარყოფა მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი გრიგალის წარმოშობა და შემდგომ მისი ზემოქმედება საბუნებისმეტყველო მეცნიერებით შეიძლება აიხსნას.[309]

საფრთხის ნორმატიული თეორიის თანახმად, რომელიც *შუნემანმა* ჩამოაყალიბა, საფრთხე გულისხმობს მდგომარეობას, როცა ვითარების განსამუხტავად ნორმალური ღონისძიებების მიღება საკმარისი არ არის. მაშასადამე, საფრთხე არსებობს იქ, სადაც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა შემთხვევით არ მოხდება. მაგრამ, *შუნემანის* თვალსაზრისით, გადამწყვეტი ის კი არ არის, შესაძლებელია თუ არა იმ მიზეზების განმარტება, რის გამოც საზიანო შედეგი არ დადგა, არამედ ის, შეუძლია თუ არა „ნდობის აღძვრა“ („Vertrauens erweckt“) იმ მიზეზებს, რამაც, როგორც დადგინდა, სამართლებრივი სიკეთის გადარჩენა გამოიწვია.[310] მაშასადამე, მთავარია სანდოობა იმ მიზეზების, რაც სამართლებრივი სიკეთის გადარჩენას ხელს უწყობს. რამდენადაც ეს მიზეზები არ არის სანდო, ამიტომაც ფასდება შედეგის არდადგომა შემთხვევითობად. თუ კონკრეტულ ვითარებაში სამართლებრივი სიკეთის გადარჩენა იმ გარემოებებმა გამოიწვიეს, რომლებიც სანდოა, მავნე შედეგის არდადგომა შემთხვევითობად ვერ შეფასდება. იმ გარემოებათა სანდოობა, რომლებიც ხელს უწყობენ სამართლებრივი სიკეთის გადარჩენას, ყოველ

---

dungsdelikte, NStZ 1998, S. 114; *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, München, 2006, § 11 Rn. 124.

306 იხ. *Horn E.*, Konkrete Gefährdungsdelikte, Köln, 1973, S. 191.

307 იხ. *Horn E.*, იქვე, გვ. 160-161.

308 იხ. *Roxin C.*, Strafrecht, A T, Band I, München, 2006, S. 425, §11 Rn. 150.

309 იქვე,გვ. 425, §11 Rn. 150.

310 იხ. *Schünemann B.*, Moderne Tendenzen in der Dogmatik der Fahrlässigkeits- und Gefährdungsdelikte, JA 1975, S. 796. თითქმის ანალოგიურად განმარტავს კონკრეტულ საფრთხეს *დემუტიც*. იხ. *Demuth H.*, Der normative Gefahrbegriff, Ein Beitrag zur Dogmatik der konkreten Gefährdungsdelikte, Bochum, 1980, S. 205, 218.

კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადექვატური მიზეზობრიობის თეორიის გამოყენება მოგვიწევდა, რაც სასურველ და სწორ გადაწყვეტილებამდე ვერ მიგვიყვანდა.

ვოლტერმა ჩამოაყალიბა საფრთხის მოდიფიცირებული ნორმატიული თეორია, რომლის მიხედვით, სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის შანსების დამაფუძნებელმა ყველა გარემოებამ კონკრეტული საფრთხე უნდა გამორიცხოს. ეს ეხება არა მხოლოდ ტიპიურ გარემოებებს (მაგალითად, მსხვერპლის ან მესამე პირის უნარი და მიზანი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენისა), არამედ არატიპურ, შემთხვევით გარემოებებსაც (მაგალითად, უბედური შემთხვევის დროს საფრთხეში მყოფის მიერ მანქანის მართვის არტისტული შესაძლებლობა, რაც მას საფრთხის თავიდან აიცილებაში შეიძლება დაეხმაროს). კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტი სრულადაა განხორციელებული, როცა სამართლებრივი სიკეთის გადარჩენა ძალიან უიმედოდ მოჩანს (Rettung erscheint weitgehend aussichtslos).[311]

ვოლტერის შეხედულება არ არის გასაზიარებელი, ვინაიდან დამნაშავეს არ შეუძლია განჭვრიტოს ისეთი არატიპური, უჩვეულო გარემოებანი, როგორიცაა პოტენციური მსხვერპლის შესაძლებლობები. *ვოლტერის* კონცეფციით, კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელება, სამართლებრივი სიკეთის გადარჩენისთვის უიმედო მდგომარეობის შექმნაში გამოიხატება, მაგრამ, მეორე მხრივ, აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, კონკრეტული საფრთხის გამორიცხვა შეუძლია არატიპურ, უჩვეულო გარემოებასაც, რაც სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის შანსს იძლევა. თუმცა, ჩნდება კითხვა: როგორ შეიძლება სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის მოლოდინი არსებობდეს, თუ საზიანო შედეგის თავიდან აცილება არატიპური გარემოებით იქნება განპირობებული? სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის იმედი (მით უფრო მყარი) მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, თუ სამართლებრივი სიკეთის გადარჩენა შემთხვევით გარემოებებს კი არ დაეფუძნება, არამედ ისეთს, რომელსაც კანონზომიერი ხასიათი გააჩნია.

ჰინდჰოიზერის მიხედვით, საფრთხე მაშინ არსებობს, როცა ზიანის თავიდან ასაცილებლად ზომების მიღება შეუძლებელია[312] და საზიანო შედეგის არდადგომა ისეთ გარემოებებს ეფუძნება, რომლებიც ხელყოფისგან დასაცავად, რაციონალური თვალსაზრისით, გასათვალისწინებელი არ იქნებოდა.[313]

ჰინდჰოიზერის შეხედულების მსგავს თვალსაზრისს ავითარებს *ოსტენდორფიც*, რომლის თანახმადაც, საფრთხის შექმნის უმართლობის არსებით ნიშანს საფრთხის შექმნის მსვლელობაზე ბატონობის შეუძლებლობა შეადგენს.[314] ამ შემთხვევაში იგულისხმება ადამიანის ნების გამომხატველი საფრთხის შემქმნელი ქმედების განხორციელების შემდგომ მოვლენათა განვითარებაზე ბატონობის შესაძლებლობა და არა ისეთი მდგომარეობა, როცა საფრთხე იქმნება ადამიანის ნების გარეშე

---

311 იხ. *Wolter J.*, Objektive und personale Zurechnung von Verhalten, Gefahr und Verletzung in einem funkzionalen Straftatsystem, Berlin, 1981, S. 226.

312 იხ. *Kindhäuser U.,* Gefährdung als Straftat, Rechtstheoretische Untersuchungen zur Dogmatik der abstrakten und konkreten Gefährdungsdelikte, Frankfurt/M, 1989, S. 202.

313 იხ. *Kindhäuser U.,* იქვე,გვ. 212.

314 იხ. *Ostendorf H.*, Grundzüge des konkreten Gefährdungsdelikts, Jus 1982, S. 430.

განხორციელებული ქმედებით და საფრთხის შემდგომ განვითარებაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა არ არსებობს. ე. ი. საფრთხეს მაშინ ქმნის ადამიანი, როცა ახორციელებს ქმედებას საკუთარი ნებით და ამით ქმნის ისეთი საშიშროების შემცველ მდგომარეობას, რომელსაც ვერ შეცვლის და რომელზეც გავლენას ვერ მოახდენს.

ჰინდჰოიზერის და *ოსტენდორფის* შეხედულება უდავოდ შეიცავს ნაკლოვანებას. არ შეიძლება საფრთხის შექმნა დავუკავშიროთ მხოლოდ ისეთი მდგომარეობის შექმნას, როცა მოვლენათა განვითარებაზე ბატონობა შეუძლებელია. მაგალითად, როცა დედა ჩვილ ბავშვს ტოვებს სხვის სახლთან, დედა შეიძლება მოქმედებდეს იმ იმედით, რომ მას სახლის მეპატრონე დროულად დაინახავს და აღმოუჩენს სათანადო დახმარებას. ამ შემთხვევაში დედა, რომელსაც შვილის მოშორება სურს, მაგრამ არა მისი სიკვდილი, ბავშვის სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს, თუმცა ვერ ვიტყვით იმასაც, რომ დედის მოქმედებით ისეთი საშიში ვითარება იქმნებოდეს, რომელზე ბატონობის შესაძლებლობა მას არ ჰქონდეს. ის, ვისაც ამ შემთხვევაში მოვლენათა განვითარებაზე ბატონობის შესაძლებლობა არა აქვს, არის თავად მსხვერპლი და არა დამნაშავე (დედა). შეიძლება მოგვიანებით დედამ შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება, დაბრუნდეს და უვნებელი ბავშვი საკუთარ სახლში მიიყვანოს. რომ არ დაბრუნებულიყო დედა დროულად, ზამთრის ცივი ამინდიდან გამომდინარე, შეიძლება ბავშვი გაყინულიყო. ასეთ დროს აშკარაა ბავშვის გარდაცვალების თავიდან აცილებაში დედის როლი, რაც იმას ადასტურებს, რომ დედამ მოახდინა ზეგავლენა მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე. აქვს თუ არა საფრთხის შექმნის დროს დამნაშავეს მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე ბატონობის შესაძლებლობა, ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულად შეიძლება გადაწყდეს. თუ კონკრეტული საფრთხის შექმნის დროს მოვლენების შემდგომ განვითარებაზე დამნაშავის ბატონობის შესაძლებლობა ყოველთვის გამოირიცხებოდა, შეუძლებელი იქნებოდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის მცდელობის სტადიაზე, ვინაიდან დანაშაულის მცდელობის შემთხვევაშიც იქმნება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის კონკრეტული საფრთხე.

კონკრეტული საფრთხის შექმნა ყოველთვის არ გამორიცხავს დამნაშავის შესაძლებლობას, მოახდინოს ზეგავლენა მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე. ჩვენ შეგვიძლია შემდეგი მაგალითი მოვიყვანოთ, რომელშიც მოვლენათა განვითარებაზე ზეგავლენის მოხდენა დამნაშავისთვის შეუძლებელი იქნება: მძღოლი გადაჭარბებული სისწრაფით უხვევს მოსახვევში, რომელიც ციცაბო კლდის ძირას მდებარეობს და შეუძლებელია იმის დანახვა შორი მანძილიდან, მოდის თუ არა მანქანა საპირისპირო მიმართულებით. თუ აღმოჩნდა, რომ საპირისპირო მიმართულებით მანქანა მოდის, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის საფრთხე დიდი იქნება. ასეთ დროს საზიანო შედეგი შეიძლება აცილებულ იქნეს საპირისპირო მიმართულებით მომავალი მძღოლის არტისტული უნარით, რაც მანქანის მართვას უკავშირდება. მაგრამ, ეს არ არის ის ფაქტორი, რომელიც საფრთხის შემქმნელ მძღოლს აძლევს მოვლენათა განვითარებაზე ზემოქმედების შესაძლებლობას. თუ აღნიშნულ შემთხვევაში საზიანო შედეგის თავიდან აცილება მოხერხდა, არა იმის გამო, რომ საფრთხის შემქმნელმა მძღოლმა მოახდინა ზეგავლე-

ნა მოვლენათა განვითარებაზე, არამედ იმის გამო, რომ საპირისპირო მიმართულებით მოძრავი მძღოლი მეტად გამოცდილი და განსაკუთრებული უნარის პატრონი აღმოჩნდა, რაც შემთხვევით გარემოებად უნდა ჩაითვალოს, რამეთუ, წინდახედულობის ნორმის დამრღვევი მძღოლისთვის შეუძლებელი იყო მოვლენათა განვითარების წინასწარ განჭვრეტა, მას არ ჰქონდა იმის საფუძველი, ყოფილიყო დარწმუნებული საზიანო შედეგის თავიდან აცილებაში.

5. ქმედების საშიშროების ობიექტური ex ante შეფასება

ex ante შეფასების მოძღვრება თავდაპირველად ადეკვატური თეორიის წარმომადგენლებმა განავითარეს. მე-19 საუკუნის დასასრულს *კრისმა* შემოგვთავაზა, რომ მხოლოდ ის ქმედება მიჩნეულიყო საზიანო შედეგის მიზეზად, რომელიც აღნიშნული შედეგის დასადგომად, განზოგადებული შეფასებით, აუცილებელ პირობას წარმოადგენს. აღნიშნული თეორიის მომხრეთა წინაშე დაისვა საკითხი, თუ რომელი ცოდნის საფუძველზე უნდა დაედგინათ ეს გენერალური ტენდენცია. სუბიექტურად ადეკვატური მიზეზობრიობის თეორიის მიხედვით (Theorie subjektiv adäquater Verursachung), ეს დამოკიდებულია იმ გარემოებებზე, რომელიც დამნაშავისთვის ნაცნობია და რომლის გამოცნობა მას შეუძლია. *კრისის* მოძღვრება არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს, ვინაიდან საკითხის ამგვარი გადაწყვეტით იშლება ზღვარი მიზეზობრიობას და ბრალს შორის.[315] დამნაშავეს ჰქონდა თუ არა იმ გარემოებათა ცოდნის შესაძლებლობა, რომლებმაც ხელი შეუწყვეს გარკვეული შედეგის დადგომას ან საფრთხის შექმნას, მიზეზობრიობის პრობლემას კი არ წარმოადგენს, არამედ ბრალის. მიზეზობრიობა ამ გარემოებათაგან დამოუკიდებლად დგინდება. რაც შეეხება შედეგის გამომწვევ გარემოებათა ცოდნას, იგი მნიშვნელოვანია ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ფარგლებში იმის გასარკვევად, განზრახ მოქმედებდა დამნაშავე, თუ განუზრახველად.

ადეკვატური თეორიის ფარგლებში მოგვიანებით განვითარდა შედეგის ობიექტური შერაცხვის მოძღვრება, რომლის მიხედვითაც, აუცილებელია ნორმატიული შეფასება, და ამასთან ერთად, ნებადართული და აკრძალული რისკის შემცველ ქმედებათა გამიჯვნა.[316] *ი. ვოლტერის* თვალსაზრისით, მართალია, ადეკვატური თეორია პასუხისმგებლობის ფარგლებს ნორმატიული შეფასებით ზღუდავს, მაგრამ ესეც არ არის საკმარისი. ადეკვატური თეორია ერთმანეთისგან არ მიჯნავს სამართლებრივად რელევანტურ და სამართლებრივად ნებადართულ რისკებს. საფრთხის ან შედეგის ობიექტური შერაცხვა სწორედ ამაზეა დამოკიდებული.[317] საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტის შემთხვევაში ობიექტურად

---

[315] იხ. *Börger N.*, Studien zum Gefahrurteil im Strafrecht, Ein Abschied vom objektiven Dritten, Berlin, 2008, S. 27.

[316] იხ. *Wolter J.*, Adäquanz- und Relevanztheorie, Zugleich ein Beitrag zur objektiven Erkennbarkeit beim Fahrlässigkeitsdelikt, GA 1977, S. 261.

[317] იხ. *Rudolphi H.*, Vorhersehbarkeit und Schutzzweck der Norm in der strafrechtlichen Fahrlässigkeitslehre, Jus 1969, S. 551.

უნდა მოხდეს საფრთხის შერაცხვა მაშინაც, როცა განხორციელებული ქმედება არ იყო სამართლებრივად აკრძალული. მაშასადამე, ობიექტური ex ante შეფასების მიხედვით, ქმედებით შექმნილი საფრთხის ობიექტური შერაცხვის წინაპირობა სამართლებრივი აკრძალვის, სამართლებრივი მოვალეობის დარღვევაა. მხოლოდ მაშინ შეერაცხება საფრთხის შექმნა ობიექტურად საფრთხის შემქმნელი ქმედების ჩამდენს, თუ ქმედება სოციალურად არაადეკვატურია. თუ ქმედება სოციალურადაა ადეკვატური და საზოგადოებას მსგავს ქმედებათა მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება გააჩნია, ქმედების ჩამდენი არ დაისჯება.[318] იმისთვის, რომ ქმედება შეფასდეს სამართლებრივად დასაძრახად ან ნებადართულად, აუცილებელია შეძლებისდაგვარად ზუსტად დადგინდეს, მოქმედებამ ან უმოქმედობამ რა მოცულობით აამაღლა საზიანო შედეგის დადგომის ალბათობა.[319] მაგრამ, ამ მსჯელობის მერე ჩნდება კითხვა, რამდენად მართებულია საკითხის ამგვარი გადაწყვეტა? თუკი ქმედების შემადგენლობის ეტაპზე საფრთხის ობიექტური შერაცხვისთვის გვიწევს იმის დადგენა, დაარღვია თუ არა მოქმედმა პირმა სამართლებრივი მოვალეობა, ამით ხომ არ გადმოგვაქვს დანაშაულის მეორე ნიშანი – მართლწინააღმდეგობა ქმედების შემადგენლობაში და ხომ არ მივდივართ იმ შედეგამდე, რა შედეგამდეც მივიდნენ ნეგატიური ნიშნების თეორიის წარმომადგენლები?

გაბატონებული შეხედულების მიხედვით, საფრთხე არსებობს მაშინ, როცა ობიექტური შემფასებელი ან კონკრეტული დამნაშავე საზიანო შედეგის დადგომას ex ante სრულიად არასავარაუდოდ არ მიიჩნევს.[320] *ლ. გრეკოს* აზრით, ყოველი სხვაგვარი შეფასება სამართლებრივი სიკეთის დაცვასთან დაკავშირებით პრობლემას შექმნიდა. ის ვინც უკვე საფრთხის შეფასების ეტაპზე ითვალისწინებს საპირისპირო ინტერესებს, მიდის ნაკლებად თვალსაჩინო შედეგამდე: რაც უფრო ღირებულია სამართლებრივი სიკეთე, მით უფრო მეტად უნდა ვაღიაროთ საფრთხე; რაც უფრო მეტს იწონის საპირისპირო ინტერესი (სამართლებრივი სიკეთე), მით უფრო მეტად უნდა იქნეს თავი შეკავებული ქმედების საშიშად შეფასებისგან. *გრეკო* აღნიშნავს, რომ საფრთხის შესაფასებლად საპირისპირო ინტერესების გათვალისწინება, ერთი შეხედვით, მოქნილია და სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ უპირატესობა გაბატონებულ მოსაზრებას გააჩნია, რაზეც შემდეგი გარემოებანი მეტყველებენ:

პირველი, ანალიტიკური გამიჯვნა საფრთხის შეფასების, როგორც ასეთის, და შეფასების იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა საფრთხე ნებადართული ან აკრძალული, ხელს უწყობს სამართლებრივ გამჭვირვალობასა და უსაფრთხოებას.[321] თუმცა, *გრეკოს* შეხედულებით, ასეთი ანალიტიკური გამიჯვნის აუცილებლობა არ გამომდინარეობს იქიდან, რომ საფრთხის შეფასებას (Gefahrurteil) დესკრიფციული, ხოლო საფრთხის ნებართვის არსებობაზე შეფასებას (Urteil über das Erlaubt-

---

[318] იხ. *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 96, Rn. 245.

[319] იხ. *Börger N.*, იქვე,გვ. 29.

[320] იხ. *Greco L.*, Das Subjektive an der objektiven Zurechnung: Zum „Problem" des Sonderwissens, ZStW 2005, S. 548.

[321] იხ. *Greco L.*, იქვე,გვ. 548.

sein der Gefahr) ნორმატიული ბუნება გააჩნია, ვინაიდან საფრთხის შეფასებაც ნორმატიულ ელემენტს შეიცავს. მაგრამ, ორივე შეფასება სხვადასხვა ენობრივ სიბრტყეზე მდებარეობს: მაშინ, როცა საფრთხის შეფასება გულისხმობს ფაქტის შეფასებას, მეორე შეფასება, არის მეტა-შეფასება („Meta-Wertung“) და ორივე შეფასება ეფუძნება განსხვავებულ მასშტაბებს.[322]

მეორე, გაბატონებული შეხედულება აკმაყოფილებს მოთხოვნას იმასთან დაკავშირებით, რომ საფრთხის ნებადართულობის შეფასების დონეზე უნდა აიწონოს სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობა ერთი მხრივ, და შესაძლო საპირისპირო ინტერესი, მეორე მხრივ.[323] ნებადართული რისკი არის გარკვეული ქმედების აუცილებლობისა და ინდივიდუალური დაცვის მნიშვნელობის აწონვის პროდუქტი.[324] ასეთი აწონვა უნდა მოხდეს არა საფრთხის შეფასებისას, არამედ საფრთხის ნებადართულობის თაობაზე შეფასების გაკეთების დროს.[325]

6. ქმედების საშიშროება, როგორც ზღვარგამყოფი შეფასება

კონკრეტული საფრთხის, როგორც შედეგიანი დელიქტების, გაანალიზების დროს პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის მთავარ წინაპირობად მიიჩნევენ ობიექტურ შერაცხვას, როგორც ქმედების ობიექტური შემადგენლობის დამატებით, დაუწერელ ნიშანს.[326] ობიექტური შერაცხვის მოძღვრების მიხედვით, დამნაშავემ დაცულ სიკეთეს ან სამართლებრივად დასაძრახი საფრთხე უნდა შეუქმნას ან უნებართვოდ საფრთხე უნდა აამაღლოს.[327] დასჯადია არა მხოლოდ საფრთხის შექმნა იმ სიკეთისთვის, რომელსაც მანამდე საფრთხე არ ემუქრებოდა, არამედ აუცილებელია, რომ სამართლებრივი სიკეთის მდგომარეობა გაუარესდეს.[328]

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ერთმანეთისგან განასხვავებენ შედეგის საფრთხეს (Erfolgsgefahr) და საფრთხის შედეგს (Gefahrerfolg).[329] თუ შედეგის საფრთხე ობიექტურად ex ante ფასდება, მისი განხორციელება საფრთხის შედეგში მხოლოდ ex post უნდა შეფასდეს.[330]

კ. როქსინის მიერ ჩამოყალიბებული რისკის ამაღლების თეორიის წარმომადგენლები რისკის ამაღლებას დამდგარი შედეგის ობიექტური შერაცხვისთვის საკმარის პირობად მიიჩნევენ ხელყოფის დელიქ-

---

322 იხ. *Greco L.*, იქვე,გვ. 548-549.

323 იხ. *Greco L.*, იქვე,გვ. 549.

324 იხ. *Roxin C.*, Pflichtwidrigkeit und Erfolg bei fahrlässigen Delikten, ZStW 1962, S. 433.

325 იხ. *Greco L.*, იქვე,გვ. 549.

326 იხ. *Börger N.*, იქვე,გვ. 30.

327 იხ. *Kühl K.*, Strafrecht, AT, 7. Aufl., München, 2012, S. 42-43, §4 Rn. 43; *Stratenwerth, Kuhlen*, Strafrecht, AT, Die Straftat, 6. Aufl., München, 2011, S. 83, §8 Rn. 34.

328 იხ. *Roxin C.*, იქვე,ZStW 1962, S. 430; *Wolter J.*, იქვე,GA 1977, S. 261.

329 იხ. *Wolter J.*, Konkrete Erfolgsgefahr und konkreter Gefahrerfolg im Strafrecht-OLG Frankfurt, NJW 1975, 840, Jus 1978, S. 748.

330 იხ. *Börger N.*, იქვე,გვ. 30.

ტებშიც.[331] კონკრეტული საფრთხის დელიქტებში შექმნილი საფრთხის ობიექტური შერაცხვისთვის საკმარისი შეიძლება იყოს დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის საფრთხის ამაღლება, მაგრამ ეს ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი ხელყოფის დელიქტებში.

თუ რისკის ამაღლების თეორიას გავიზიარებთ, საფრთხის დელიქტებსაც ხელყოფის დელიქტებად ვაქცევთ, ამიტომ მართებულად უნდა ჩაითვალოს გერმანიის ფედერალური სასამართლოს პოზიცია, რომელმაც არ გაიზიარა რისკის ამაღლების თეორია.

ის, რომ ქმედების შემადგენლობის ეტაპზე დგინდება განხორციელებული ქმედებით საფრთხის ამაღლება, ერთ-ერთი პირობა შეიძლება იყოს შექმნილი საფრთხის ობიექტურად შერაცხვისთვის, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი პირობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. კონკრეტული ქმედებით დაცული სიკეთის ხელყოფის რისკის ამაღლებისთვის პასუხისმგებლობა შეიძლება მართლწინააღმდეგობის ეტაპზე, მაგალითად უკიდურესი აუცილებლობის გარემოებამ გამორიცხოს. თუ ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ხდება იმის დადგენა, რომ ქმედებამ საფრთხე აამაღლა, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე შეიძლება დადგინდეს, რომ ქმედებამ სხვა სამართლებრივად დაცულ სიკეთესთან მიმართებით საფრთხე შეამცირა.

სამართლებრივი სიკეთის წონას, ღირებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც საფრთხის ობიექტური შერაცხვის, ისე მართლწინააღმდეგობის ეტაპზე ქმედების გამართლებისთვის. მეცნიერთა ერთი ნაწილის შეფასებით, დაცული სიკეთე სხვა სიკეთეზე (რომელიც დაზიანდა ან რომელსაც საფრთხე შეექმნა) უფრო მნიშვნელოვანია თუ არა, განისაზღვრება ერთი მხრივ, დაცული სიკეთისთვის საფრთხის შემცირების, ხოლო მეორე მხრივ ხელყოფილი სიკეთისთვის საფრთხის ამაღლების მოცულობით.[332] აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი, ვინაიდან, წარმოდგენილი შეხედულებით, სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობა საფრთხის შემცირებით (დაცული სიკეთისთვის) და საფრთხის ამაღლებით (ხელყოფილი სიკეთისთვის) იზომება. სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობა არ შეიძლება ასეთი კრიტერიუმით განისაზღვროს. სამართლებრივი სიკეთე თუ რამდენად მნიშვნელოვანია, ეს უნდა დადგინდეს საფრთხის ამაღლების, თუ შემცირებისგან დამოუკიდებლად. განვითარებული მსჯელობის მერე ჩნდება კითხვა: თვით საფრთხის არსებობა ხომ არ არის დამოკიდებული სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობაზე? დასმულ შეკითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა იქნეს გაცემული. არც საფრთხის არსებობის საკითხი არ უნდა გადაწყდეს სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობის მიხედვით. კონკრეტული საფრთხე კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთესთან მიმართებით დგინდება, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობს თუ არა კონკრეტულ სიკეთესთან მიმართებით საფრთხე, იმისგან დამოუკიდებლად უნდა გაირკვეს, თუ რა მნიშვნელობა და წონა აქვს სხვა სამართლებრივ სიკეთეებთან შედარებით. სამართლებრივი სიკეთის ღირებულებას მნიშ-

---

[331] იხ. *ტურავა მ.*, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 228-230; *ტურავა მ.*, სამართლებრივად დასაძრახი საფრთხის მდგომარეობის "რისკის ამაღლებაში" რეალიზაცია მოქმედებით და უმოქმედობით ჩადენილ დელიქტებში, კრებულში: *ტურავა მ.* (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბ., 2013, გვ. 1-79.

[332] იხ. *Börger N.*, იქვე, გვ. 31.

ვნელობა ენიჭება არა საფრთხის არსებობა-არარსებობის გასარკვევად, არამედ მართლწინააღმდეგობის ეტაპზე უკიდურესი აუცილებლობის გარემოებით ქმედების გასამართლებლად.

7. ქმედების საშიშროების ობიექტური ex post შეფასება

ობიექტური ex post შეფასებისას გამოიყენება შეფასების დროს არსებული ცოდნა და გამოცდილება. საფრთხის ობიექტურ ex post შეფასებას იყენებს საფრთხის ამაღლების მოძღვრება, რომლის მიხედვითაც, საფრთხის ამაღლება საფრთხის შექმნის შედეგის ობიექტურად შერაცხვის საფუძველია.

როდესაც საუბარია ex post შეფასებაზე, ჩნდება კითხვა: ქმედების საშიშროების შესაფასებლად შეიძლება თუ არა გათვალისწინებულ იქნეს მოგვიანებით გამოვლენილი მოვლენები. მაგალითად, ქმედება შეიძლება თუ არა საშიშად შეფასდეს, თუ მოგვიანებით გაირკვა, რომ საამისო წინაპირობები არსებობდა? აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით *შროდერს* მოჰყავს ერთი მაგალითი, რომელიც მედიკამენტის გამოყენებას უკავშირდება. მაგალითად, მედიკამენტი პაციენტთა დიდ ნაწილში დადებით შედეგს იწვევს, თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში საწინააღმდეგო ზემოქმედებას ახდენს. სპეციალისტს თავისი სამედიცინო გამოცდილებით მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია მიუთითოს, რამდენ შემთხვევაში შეუძლია ამ ქმედებას ადამიანისთვის საფრთხის შექმნა. *შროდერი* გამართლებულად არ მიიჩნევს საზიანო შედეგის დაბალი ალბათობის გათვალისწინებით მდგომარეობის არასაშიშად შეფასებას, თუ დადგინდა, რომ შედეგი შესაბამისმა ქმედებამ გამოიწვია. *შროდერი* მოგვიანებით დამდგარი შედეგის მიხედვით აკეთებს უკუდასკვნას იმ ქმედების ან მდგომარეობის საშიშროებაზე, რომელმაც იგი გამოიწვია.[333] მისი შეხედულებით, ფაქტობრივი გარემოება, რომ ქმედება დამდგარი შედეგისთვის condicio sine qua non იყო, იმას ასაბუთებს, რომ ქმედების განხორციელებისას შედეგის დადგომა არა მხოლოდ შესაძლებლად იყო მისაჩნევი, არამედ მისი დადგომისთვის ყველა პირობა არსებობდა.[334] აქედან შეიძლება შედეგის არდადგომის გამო ქმედების უვნებად ხასიათზე უკუდასკვნაც გაკეთებულიყო. გერმანიის საიმპერიო სასამართლოც ანალოგიურ პოზიციაზე იყო, როცა მიუთითებდა, რომ თუ ქმედებამ კონკრეტულ შემთხვევაში სიკეთის ხელყოფა არ გამოიწვია, ეს უდავოდ ამტკიცებს იმას, რომ მას კონკრეტულ შემთხვევაში ხელყოფა არ შეეძლო გამოეწვია, მაშასადამე, ქმედებით სამართლებრივ სიკეთეს საფრთხე არ შექმნია. თუმცა, აღსანიშნავია ის, რომ გერმანიის საიმპერიო სასამართლოს ეს შეხედულება მაშინდელი და არც ახლანდელი გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან არ გამომდინარეობს. ამაზე მიუთითებს სსკ-ში საფრთხის შემქმნელი დელიქტების შემადგენლობათა არსებობა. აღნიშ-

[333] იხ. *Schröder H.*, Die Gefährdungsdelikte im Strafrecht, ZStW 1969, S. 12.

[334] იხ. *Schröder H.*, იქვე,გვ. 12.

ნული დელიქტები მოითხოვენ სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნას და არა ხელყოფას.[335] ის, რომ გარკვეულ ქმედებას არ მოჰყვა საზიანო შედეგი სულაც არ ამტკიცებს იმას, რომ ქმედება საშიში არ იყო. თუ ჩვენ საწინააღმდეგო დასკვნას გავაკეთებდით, საშიშად მხოლოდ ის ქმედება უნდა მიგვეჩნია, რომელიც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფით მთავრდება.

გერმანიის იმპერიის სასამართლომ მოგვიანებით შეცვალა თავისი პოზიცია და მიიჩნია, რომ შედეგი შეიძლება ადასტურებდეს იმას, რომ მისი დადგომის საფრთხე არსებობდა, მაგრამ შედეგის არდადგომა არ ნიშნავს, რომ საფრთხე არ შექმნილა.[336]

ჰ. გიუნთერის თვალსაზრისით, საფრთხე გულისხმობს დინამიურ, ცვლილებაზე დამოკიდებულ პროცესს („Gefahr ist ein dynamischer, auf Veränderung angelegter Vorgang“),[337] რომელიც სამართლებრივ სიკეთეს დაზიანებით ემუქრება. წმინდა ობიექტური ex post შეფასება მომავალზეა ორიენტირებული და ქმედების შეფასება არ ხდება ქმედების განხორციელების დროს, მაგრამ როგორც *ჰ. გიუნთერი* მართებულად შენიშნავს, ქმედების შეფასება მისი განხორციელების დროს შესაძლებელი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედების განხორციელების მომენტში ვერ დავადგენდით უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობასთან გვაქვს თუ არა საქმე, განხორციელებული ქმედება მართლზომიერია თუ მართლსაწინააღმდეგო, უკიდურესი აუცილებლობის მსხვერპლს ევალება თუ არა თმენა, თუ უფლება აქვს, რომ საწინააღმდეგო თავდაცვითი ქმედება განახორციელოს.[338]

თუ ხელყოფის დელიქტებში ქმედების საშიშროების შეფასება ხდება ex post ანუ ქმედების განხორციელების შემდეგ, საფრთხის დელიქტებში ქმედების საშიშროება ex ante უნდა შეფასდეს.

---

[335] იხ. *Börger N.*, Studien zum Gefahrurteil im Strafrecht, Ein Abschied vom objektiven Dritten, Berlin, 2008, S. 58.

[336] იხ. *Börger N.*, იქვე, გვ. 59.

[337] იხ. *Günther H.L.*, SK, Band I, 8. Aufl., 2012, §34, Rn. 18.

[338] იხ. *Günther H.L.*, SK, Band I, 8. Aufl., 2012, §34, Rn. 22.

8. დანაშაულებრივი შედეგი კონკრეტული საფრთხის დელიქტებში

8.1. დანაშაულებრივი შედეგის ცნება

სისხლის სამართლის მეცნიერებაში მიღებულია დანაშაულთა დაყოფა შედეგიან (ე.წ. მატერიალურ) და შედეგგარეშე (ე.წ. ფორმალურ)[339] დელიქტებად. შედეგიანი დელიქტები ეწოდება ისეთ დანაშაულს, რომელიც დამთავრებულია განსაზღვრული შედეგის დადგომისას. მაგრამ რა შეიძლება მოიაზრებოდეს დანაშაულებრივი შედეგის ცნების ქვეშ, სწორედ ეს იწვევს დავას სისხლის სამართლის ლიტერატურაში. დანაშაულებრივი შედეგი გულისხმობს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას, მაგალითად, სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, სხვისი ნივთის განადგურება და ა. შ. მაგრამ შეიძლება დანაშაულებრივი შედეგის ცნებაში მოვიაზროთ სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნა? აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ შეიძლება იმის თქმა, თუ რომელ შემადგენლობას უნდა მიეკუთვნოს საფრთხის შემქმნელი დელიქტები, ვინაიდან დანაშაულთა დაყოფა შედეგიან და შედეგგარეშე შემადგენლობებად, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გვესმის შედეგის ცნება.

შედეგთან დაკავშირებით ბევრი დაიწერა იურიდიულ ლიტერატურაში და გამოითქვა განსხვავებული შეხედულებებიც. *თ. წერეთელი* აღნიშნავდა, რომ „შედეგი წარმოადგენს ცვლილებას ობიექტში, ე. ი. ადამიანის მოქმედებით გამოწვეულ ცვლილებას გარესამყაროში“.[340] *ფ. ლისტი* კი შედეგს ქმედების შემადგენლობის ნიშნად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ მოქმედების ცნება მოითხოვს შემდეგ ცვლილებას გარესამყაროში, რომელსაც შედეგს ვუწოდებთ.[341] *ე. მეცგერის* აზრით, შედეგს მიეკუთვნება სხეულებრივი მოძრაობაც, მაგალითად მკვლელობისას შედეგია არა მხოლოდ ადამიანის გარდაცვალება, არამედ იარაღის დამიზნებაც, ჩახმახის გამოკვრაც, ე. ი. ადამიანის სხეულებრივი ქცევაც.[342]

საბჭოთა კრიმინალისტი *ა. მიხლინი* მოქმედებისა და შედეგის ურთიერთდამოკიდებულებაზე წერდა: „მოქმედება წარმოადგენს გარკვეულ პროცესს, რომლის შინაარსია ობიექტზე ზემოქმედება, შედეგი კი – ამ მოქმედების რეზულტატია, რომელიც ობიექტში ძევს.“[343]

შედეგთან დაკავშიებით ყველაზე მკაფიო განსაზღვრება ჩამოაყალიბა *ნ. კუზნეცოვამ*, რომელიც მოქმედებას და შედეგს ერთმანეთისგან

---

[339] *თ. წერეთელს* მიუღებლად მიაჩნია შედეგგარეშე და შედეგიანი შემადგენლობის აღმნიშვნელ ტერმინებად „ფორმალური“ და „მატერიალური“ დანაშაულის გამოყენება.: „ეს ტერმინები ვერ გამოხატავენ საქმის არსებას, ვინაიდან ყოველ დანაშაულს აქვს ორი მხარე–მატერიალური (ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება) და ფორმალური (ქმედების მართლწინააღმდეგობა).“ იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 171. *ნ. დურმანოვიც* იგივე აზრს გამოხატავდა აღნიშნულ ტერმინებთან დაკავშირებით. იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, გვ. 406, სქოლიო.

[340] იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 403.

[341] იხ. *Лист Ф.,* Учебник уголовного права, Общая часть, М., 1903, с. 126.

[342] იხ. *Mezger E.*, Strafrecht, Ein Lehrbuch, München und Leipzig, 1931, S. 95.

[343] იხ. *Михлин А.С.,* Понятие и виды последствий преступлений, «Вопросы уголовного права и процесса», М., 1958, с. 41.

მიჯნავდა და აღნიშნავდა, რომ დანაშაულებრივი შედეგის ბედზე ზემოქმედება განსაზღვრული პიროვნების მხრიდან განისაზღვრება შეგნებული მოქმედებით, მაგრამ მოვლენათა შემდგომი ობიექტური განვითარება მასზე არ არის დამოკიდებული.[344] *ნ. კუზნეცოვას* დებულების არგუმენტირებულობაზე მიუთითებს შემდეგი: არცთუ ისე ხშირია შემთხვევები, როდესაც დამნაშავე მიზნად ისახავს გარკვეული მიზნის მიღწევას, მაგრამ იგი ამას ვერ ახერხებს. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს დანაშაულის მომზადებასთან ან მცდელობასთან და თუ ჩვენ გავიზიარებთ იმ ავტორთა შეხედულებას, რომლებიც მოქმედებას და მოქმედებით გამოწვეულ შედეგს ერთმანეთისგან არ განარჩევენ და შედეგს მოქმედების განუყოფელ ნაწილად მიიჩნევენ, დამთავრებულ დანაშაულად უნდა დავაკვალიფიციროთ ისეთი მოქმედება, რომელსაც შედეგი არ მოჰყოლია. არსებობს ასევე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, მაგალითად სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით. შეიძლება ადამიანმა ქმედება განზრახ განახორციელოს, მაგრამ განზრახვით არ იყოს მოცული შედეგი-ადამიანის გარდაცვალება. თუ შედეგი ქმედების ნიშანია, რატომ არ ვრცელდება განზრახვა ადამიანის გარდაცვალებაზეც? როგორ უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ადამიანის განზრახმა მოქმედებამ გამოიწვია ისეთი ცვლილება გარესამყაროში, რომელიც არც ჰქონდა გათვალისწინებული და არც უნდოდა დამნაშავეს?

სწორედ შედეგის დადგომის სურვილით ვმიჯნავთ ერთმანეთისაგან პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვას და თუ ჩვენ მოქმედებას უკვე ვაღიარებდით შედეგად, ასეთი კლასიფიკაცია განზრახვის სახეებისა შეუძლებელი გახდებოდა. თუ ქმედების ხასიათს აცნობიერებ და ჩადიხარ მას, ესე იგი გსურს კიდევაც.[345] მაგრამ, როდესაც შედეგი არ არის ქმედებაში გაერთიანებული ცნება და სხეულებრივი მოქმედება არ მიიჩნევა შედეგად, როდესაც არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ქმედებას შეიძლება მოჰყვეს ან არ მოჰყვეს ესა თუ ის შედეგი, ლოგიკურიც არის ისაუბრო გარკვეული (პარალელური) შედეგის დადგომის სურვილის არარსებობაზე, რაც არაპირდაპირი განზრახვისთვისაა დამახასიათებელი. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი მიმართულებით ნასროლი ტყვია ხვდება სხვა ადამიანს. მაგალითად, „ა“-მ გაისროლა „ბ“-ს მიმართულებით, რომელიც ორსული ქალია და ტყვია მოხვდა „გ“-ს. როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ამ შემთხვევაში ქმედება? ასეთ დროს მიზანშეწონილია ქმედების კვალიფიკაცია შემდეგნაირად: „ბ“-ს მკვლელობის მცდელობა და „გ“-ს სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა. ამ შემთხვევაში საქმე არ გვაქვს პიროვნებაში შეცდომასთან და ამითაა განპირობებული ორმაგი კვალიფიკაცია. თუ ჩვენ გავიზიარებდით იმ შეხედულებას, რომ სხეულებრივი მოძრაობა უკვე შედეგია, ქმედების სწორი კვალიფიკაცია გაგვიჭირდებოდა. წარმოდგენილი მაგალითი ნათლად ადასტურებს იმ აზრის უსუსურობას, რომ „შედეგი

---

[344] იხ. *Кузнецова Н.Ф.,* Значение преступных последствий, М., 1958, с. 15.

[345] შემთხვევითი არ არის, რომ ევენტუალური განზრახვით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ჩადენის შესაძლებლობას გამორიცხავს *მ. უგრეხელიძე* (იხ. *უგრეხელიძე მ.,* ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 16-17), მაშინ, როცა კონკრეტული საფთხის დელიქტებში ევენტუალური განზრახვის არსებობას არ გამორიცხავს. *მ. უგრეხელიძის* მოსაზრება საინტერესოა, მაგრამ ზოგიერთი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის ბუნების გათვალისწინებით, შეიძლება საკამათოდ მივიჩნიოთ, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ქმედების განუყოფელი ნაწილია და სხეულებრივი ქმედება უკვე შედეგია". მოყვანილი მაგალითი მიუთითებს იმაზე, რომ ქმედების განხორციელების შემდგომ თუ როგორ განვითარდება მოვლენები, ეს ხშირად არ არის დამოკიდებული დამნაშავეზე. დამნაშავეს შედეგზე ბატონობის უნარი უმეტესად შესწევს მანამ, სანამ ქმედებას განახორციელებს, ხოლო ქმედების განხორციელების შემდეგ იგი მართალია, არა ყოველთვის, მაგრამ, უმეტესწილად კარგავს ამ უნარს.

ზემოთ ჩამოყალიბებულ დებულებას ასაბუთებს თუნდაც ნებაყოფლობით დანაშაულის ბოლომდე განხორციელებისაგან ხელის აღების ინსტიტუტის არსებობაც. თუ ქმედების განხორციელება უკვე შედეგია, როგორ შეიძლება, რომ დამნაშავემ დანაშაულზე ხელი აიღოს. დანაშაულზე ხელის აღება იმიტომაა შესაძლებელი, რომ ქმედების განხორციელებით ხშირ შემთხვევაში არ არის დანაშაული დასრულებული. თუ დანაშაული დამთავრებულია ქმედების განხორციელების მომენტში, შესაბამისად, დანაშაულისაგან ხელის აღება ქმედების განხორციელების შემდეგ შეუძლებელია.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა შეხედულება, რომ ისევე როგორც არ არსებობს უობიექტო დანაშაული, არ არსებობს არც უშედეგო დანაშაული. „ხელყოფის უვნებადი ობიექტი-არის წინააღმდეგობა თავის თავთან. უვნებელი ობიექტი-მცდელობისათვის პასუხისმგებლობის საფუძველია".[346] მაგრამ თუ ჩვენ ამ დებულებას გავიზიარებთ, საერთოდ უნდა უარვყოთ ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა დანაშაულის მომზადება და მცდელობა. წარმოდგენილი დებულების ავტორი, ერთი მხრივ, აღიარებს დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტის არსებობას და აღნიშნავს, რომ „უვნებელი ობიექტი-მცდელობისთვის პასუხისმგებლობის საფუძველია" და, მეორე მხრივ, გამორიცხავს უშედეგო დანაშაულის არსებობის შესაძლებლობას, რითაც იგი საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში მოდის. ამა თუ იმ ქმედებას იმიტომ ვაღიარებთ დანაშაულის მცდელობად, რომ ქმედება სასურველ შედეგს ვერ აღწევს. თუ ყველა დანაშაული გულისხმობს შედეგს, რა არის ის საფუძველი, თუ არა შედეგის არ დადგომა, რის გამოც ერთმანეთისაგან ვმიჯნავთ დამთავრებულ და დაუმთავრებელ დანაშაულს? ასევე შეიძლება ამ საკითხზე შემდეგი კითხვის დასმაც: რატომ არის, რომ ყველა დანაშაულის მომზადება და მცდელობა შეუძლებელია, მაშინაც, როცა დანაშაული განზრახაა განხორციელებული, მაგალითად წმინდა უმოქმედობის დელიქტებში? სწორედ იმიტომ, რომ ასეთ დელიქტებში დანაშაული დამთავრებულია გარკვეული შედეგის დადგომამდე, ე. ი. მაშინ, როდესაც დადგება მოქმედების მოვალეობის შესრულების დრო და პირი არ შეასრულებს სავალდებულო მოქმედებას.[347]

გერმანელი მეცნიერი *ი. პუპე* ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ შედეგს განმარტავს როგორც სამართლებრივი სიკეთის მატარებელი ობიექტის უარყოფით ცვლილებას.[348] მისი თვალსაზრისით, სისხლისსამართლებრივად რელევანტური შედეგი არის ის, რასაც ქმედების შემადგენლობის მიხედვით ვადგენთ და არსობრივად კონკრეტული შედეგის ფორმა გააჩნია. ასეთი კონკრეტული ფორმა ბევრ

---

[346] იხ. *Трайнин А.Н.,* Состав преступления по советскому уголовному праву, М., 1951, с. 195.

[347] იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 497.

[348] იხ. *Puppe I.*, Strafrecht AT, 2. Aufl., Baden-Baden, 2011, S. 23, § 1 Rn. 11. შედეგის ანალოგიური განმარტება ასევე იხ. *Kindäuser U.*, Strafrecht, AT, 5. Aufl., Baden-Baden, 2011, S. 77, § 10 Rn. 3.

„ასპექტს“ მოიცას და აქედან ერთ-ერთია ფაქტობრივი მდგომარეობა, რომელიც განსაზღვრული ქმედების შემადგენლობის განხორციელებას გულისხმობს.[349] *პუპეს* შედეგის კონკრეტული ფორმის აღწერა შეუძლებლად მიაჩნია იმ ასპექტების სიმრავლიდან გამომდინარე, რომელსაც იგი მოიცავს.[350]

პუპეს შეხედულებით, შედეგი აბსტრაქტულად შეიძლება განვმარტოთ როგორც სამართლებრივი სიკეთის ობიექტის უარყოფითი ცვლილება. თუმცა, „უარყოფითი ცვლილება“ თავის მხრივ შეფასებითი ცნებაა.[351] ყოველგვარი უარყოფითი ცვლილება არ მიიჩნევა შედეგად, არამედ ისეთი, რომელიც ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობითაა გათვალისწინებული.

შედეგის დასადგენად არა აქვს მნიშვნელობა იმას, ცვლილება გარესამყაროში ადეკვატურმა ქმედებამ გამოიწვია თუ არაადეკვატურმა. მთავარია, რომ ქმედებამ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლით გათვალისწინებული ცვლილება გამოიწვიოს. თუ შედეგად მხოლოდ იმ ცვლილებას მივიჩნევდით, რომელიც არაადეკვატურმა ქმედებამ გამოიწვია, მივიდოდით იმ დასკვნამდე, რა დასკვნამდეც ადეკვატური თეორიის წარმომადგენლები მივიდნენ, რაც არ იქნებოდა საკითხის მართებული გადაწყვეტა.

როდესაც შედეგზე ვსაუბრობთ და მით უფრო ისეთ შემთხვევაზე, როცა მოვლენათა განვითარებაში რამდენიმე ქმედებაა ჩართული, საინტერესოა იმის გარკვევაც, რაიმე როლს თუ თამაშობს ქმედების შემადგენლობის ამ ობიექტური ნიშნის დადგენაში სუბიექტური ნიშანი, კერძოდ, წინასწარი ცოდნა მოვლენათა განვითარებისა? მაგალითად, როდესაც ორი ადამიანის მოქმედებათა ჯამმა, კერძოდ, წყალში საწამლავის ჩაყრამ გამოიწვია ადამიანის სიკვდილი. თუ ეს შედეგი მათმა ურთიერთშეთანხმებულმა მოქმედებამ გამოიწვია, ორივე დაისჯება მკვლელობისთვის, მაგრამ, თუ იგი გამოიწვია შეუთანხმებელმა ორმა ერთდროულად განხორციელებულმა ქმედებამ, თითოეული დაისჯება მკვლელობის მცდელობისთვის და მიუხედავად დამდგარი შედეგისა, მათ ეს შედეგი არ შეერაცხებათ. ამ შემთხვევაში შედეგი, როგორც ობიექტური ცვლილება არსებობს და სუბიექტური ნიშანი მხოლოდ შედეგის ობიექტურად შერაცხვის საკითხის გადაწყვეტაში გვეხმარება.

თ. წერეთელი დანაშაულის შედეგს იყენებდა ორი – ფაროო და ვიწრო მნიშვნელობით. იგი აღნიშნავდა, რომ „ადამიანის მოქმედების ყოველგვარი გამოვლინება მიზეზია და იქ, სადაც არსებობს მიზეზი, აუცილებლად არსებობს შედეგიც“.[352] ამდენად, *თ. წერეთელი*, შედეგის ფაროო გაგებით, შედეგის არსებობას აღიარებდა ყველა სახის დანაშაულის განხორციელებისას, იმისგან მიუხედავად, შეიტანა თუ არა კანონმდებელმა ასეთი შედეგი შესაბამისი ქმედების შემადგენლობის აღწერისას სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში.[353] ხოლო, დანაშაულის შედეგში ვიწრო მნიშვნელობით, გულისხმობდა იმ ცვლილბას გარესამყაროში, რომელიც აღნიშნულია სისხლის სამართლის კანონის

---

349 იხ. *Puppe I.*, Strafrecht, AT, 2. Aufl., Baden-Baden, 2011, S. 23, § 1 Rn. 9.

350 იხ. *Puppe I.*, იქვე, S. 23, § 1 Rn. 9.

351 იხ. *Puppe I.*, იქვე, S. 23-24, § 1 Rn. 11.

352 იხ. *წერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები,II ტომი,თბ.,2007,გვ. 409.

353 იხ. *წერეთელი თ.*, იქვე,გვ. 410.

დისპოზიციაში, როგორც დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი“.[354] თუ რა ცვლილება შეიძლება წარმოადგენდეს შედეგს, ეს დამოკიდებულია სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციის აღწერილობაზე.

თ. წერეთლის მსგავსად *გ. ნაჭყებიაც* ერთმანეთისგან განასხვავებს შედეგს ვიწრო და ფართო მნიშვნელობით. მისი თვალსაზრისით, თუ შედეგი ვიწრო გაგებით მხოლოდ ე. წ. მატერიალურ შემადგენლობებში გვხვდება, შედეგი ფართო გაგებით ფორმალურ დელიქტებშიც არის მოცემული და „შედეგს“ ამ შემთხვევაში იგი „მორალურ-პოლიტიკური“ თვალსაზრისით გულისხმობს.[355] კერძოდ, ნებისმიერი დანაშაული ხელს უწყობს დანაშაულებრივი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, რაც თავისებურ „შედეგს“ წარმოადგენს.

8.2. კონკრეტული საფრთხე, როგორც დანაშაულებრივი შედეგი

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის კონკრეტული საფრთხე დანაშაულებრივ შედეგს, იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვაობას იწვევს. არ არსებობს ერთიანი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის კონკრეტული საფრთხე დანაშაულებრივ შედეგად მივიჩნიოთ.

თ. წერეთელი აღნიშნავდა, რომ შედეგის დადგომის საფრთხეც, სიტყვის გარკვეული მნიშვნელობით, დანაშაულის შედეგს წარმოადგენს. იგი გულისხმობს გარკვეულ პროცესებს ობიექტურ გარესამყაროში, ე. ი. ისეთი პირობების შექმნას, რომელთაც გარკვეული მდგომარეობის განვითარების საერთო კანონზომიერებათა შესაბამისად, შეიძლება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა გამოიწვიონ. რამდენადაც ეს პირობები უკვე შექმნილია, მაშასადამე, რამდენადაც გარკვეული ცვლილებები ობიექტურ გარესამყაროში უკვე მოხდა, იმდენად საფრთხე ობიექტური კატეგორიაა და ამიტომ დანაშაულებრივი შედეგის განსაზღვრულ სახესხვაობად შეიძლება ჩაითვალოს.[356] ამავე შეხედულებას იზიარებდა *ნ. კუზნეცოვა*. მისი აზრით, საფრთხე არის ობიექტის განსაზღვრული მდგომარეობა იმ საზოგადოებრივად მავნე ცვლილების შედეგად, რომლებიც მასში სუბიექტის დანაშაულებრივმა ქმედებამ გამოიწვია. საფრთხე ქმედებითაა შექმნილი, მაგრამ ქმედების ფარგლებს გარეთ არსებობს.[357] საფრთხეს დანაშაულის დამოუკიდებელ შედეგად მიიჩნევს ასევე *გ. ნაჭყებია*.[358]

როდესაც ვსაუბრობთ საფრთხზე, როგორც ქმედებით გამოწვეულ დანაშაულებრივ შედეგზე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველანაირი საფრთხე არ წარმოადგენს დანაშაულბრივ შედეგს, არამედ მხოლოდ

---

354 იხ. *წერეთელი თ.,* იქვე,გვ. 412.

355 იხ. *ნაჭყებია გ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, 259-262.

356 იხ. *წერეთელი თ.,*იქვე,გვ. 419-420.

357 იხ. *Кузнецова Н.Ф.,* Значение преступных последствий, М., 1958, с. 25.

358 იხ. *ნაჭყებია გ.,*იქვე,261.

კონკრეტული საფრთხე, ე. ი. ისეთი, რომელიც შეიცავს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის კონკრეტულ და რეალურ შესაძლებლობას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, „თუ შესაბამისი მუხლით დანაშაული მხოლოდ მაშინ ითვლება დამთავრებულად, როდესაც ქმედებამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია ან ასეთი შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხე შექმნა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ამ ქმედებასა და შედეგს ან საფრთხეს შორის“. აღნიშნული დებულების თანახმად, მხოლოდ კონკრეტული საფრთხის დროს უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი, ვინაიდან კონკრეტული საფრთხისგან განსხვავებით, აბსტრაქტული საფრთხე, უმეტესად, წარმოადგენს ქმედების მხოლოდ ოვისებას, რომელიც შეიცავს ტენდენციას იმისა, რომ კონკრეტულ საფრთხედ გადაიქცეს.

კონკრეტული საფრთხე განიხილება დანაშაულებრივ შედეგად და სწორედ ამიტომ არსებობს მიზეზობრივი კავშირის დადგენის ვალდებულება, მაგრამ აბსტაქტული საფრთხე არ შეიძლება განხილულ იქნეს დანაშაულებრივ შედეგად, რამდენადაც იგი უმრავლეს შემთხვევაში ქმედების გარეთ არ არსებობს და ქმედების განუყოფელი ნაწილია.[359]

კონკრეტული საფრთხე დანაშაულებრივ შედეგად მიიჩნევა გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების მიხედვითაც.[360] *ჰორნის* შეხედულებით, კონკრეტული საფრთხე კონკრეტული საფრთხის დელიქტთა ქმედების შემადგენლობის ნიშანია და მისი არსებობა ქმედების შემადგენლობის განხორციელების წინაპირობაა. კონკრეტული საფრთხე, რომელიც ქმედებასთან მიზეზობრივადაა დაკავშირებული, შეიძლება მისგან გაიმოჯნოს და განხილულ იქნეს იმ ფენომენად, რომელსაც გარე სამყაროში განხორციელებულ ცვლილებას ვუწოდებთ.[361]

კონკრეტულ საფრთხესთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის შესაბამისად, საფრთხე არის არა გარე სამყაროს ფენომენი, არამედ მხოლოდ შესაძლო მოვლენა. აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, მიზეზობრივი კავშირი არ არის ქმედების და საფრთხის მაკავშირებელი სიტყვა. მიზეზობრივი კავშირი არსებობს მხოლოდ ორ რეალურ მოვლენას შორის.[362]

კორიატის თვალსაზრისით, საფრთხე არ არის რეალურ მოვლენად მიჩნეული. სიტყვა საფრთხის ქვეშ იგულისხმება არარეალური კონსტრუქცია. საფრთხის შედეგი („Gefahrerfolg“) არის არა შედეგი, არამედ შედეგის გამოწვევის საფრთხე („Erfolgsgefahr“).[363] აქედან გამომდინ-

---

[359] აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედებისგან აბსტრაქტული საფრთხის გამოყოფა მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში არის შესაძლებელი. დაწვრილებით იხ. II თავი.

[360] იხ. *Horn E.*, Konkrete Gefährdungsdelikte, Köln, 1973, S. 7, 11; *Jescheck H-H., Weigend T.,* Lehrbuch des Strafrechts, AT, Berlin, 1996, S. 264, §26 II 2; *Graul E.*, Abstrakte Gefährdungsdelikte und Präsumtionen im Strafrecht, Berlin, 1991, S. 24; *Martin J.,* Strafbarkeit grenzüberschreitender Umweltbeeinträchtigungen, Zugleich ein Beitrag zur Gefährdungsdogmatik und zum Umweltvölkerrecht, Freiburg, 1989, S. 45; *Zieschang F.*, Die Gefährdungsdelikte, Berlin, 1998, S. 34; *Satzger H.*, Die Anwendung des deutschen Strafrechts auf grenzüberschreitende Gefährdungsdelikte, NStZ 1998, S. 114; *Baumann J., Weber U., Mitsch W.,* Strafrecht, AT, 9. Aufl., Bielefeld, 2003, S. 120, §8, Rn. 42,

[361] იხ. *Horn E.*, Konkrete Gefährdungsdelikte, Köln, 1973, S. 104.

[362] იხ. *Koriath H.*, Zum Streit um die Gefährdungsdelikte, GA 2001, S. 59.

[363] იხ. *Koriath H.*, იქვე,გვ. 59.

არე, კონკრეტული საფრთხის დელიქტი არ არის შედეგიანი დელიქტი.[364] *კორიატის* შეხედულება არ არის გასაზიარებელი. საფრთხე რეალური სინამდვილის მოვლენაა. იგი არ არის მხოლოდ ადამიანის თავში არსებული წარმოდგენა, თუ მოლოდინი სამართლებრივი სიკეთის სამომავლო ხელყოფაზე.

კორიატისგან ოდნავ განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობს *ი. მარტინი*, რომელიც მიუთითებს, რომ კონკრეტული საფრთხე არ წარმოადგენს დაცული სამართლებრივი სიკეთის მდგომარეობის, თვისების აშკარა და გაზომვად ცვლილებას. იმისთვის, რომ კონკრეტული საფრთხე შედეგად იქნეს შეფასებული, საჭიროა ნორმატიული გადაწყვეტილება. ის, რომ სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნა ხელყოფასთან ერთად შედეგად მიიჩნევა, მხოლოდ და მხოლოდ ნორმატიული გადაწყვეტილების შედეგია, და არა დასაბუთების.[365]

გალასის თვალსაზრისით, კონკრეტული საფრთხის შექმნა ნიშნავს, რომ დაზიანების შესაძლებლობა ზოგადად კი არ არსებობს, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებისგან განსხვავებით, არამედ უფრო მეტად განსაზღვრულ სამართლებრივ სიკეთესთან მიმართებით და ამ სიკეთისთვის de facto რისკს წარმოადგენს, რომელიც სერიოზულად უნდა იქნეს აღქმული. კონკრეტული საფრთხე გულისხმობს შესაბამისი სამართლებრივი სიკეთის მდგომარეობის გაუარესებას. სამართლებრივი სიკეთის არსებობა ფაქტობრივად კითხვის ქვეშ არის.[366]

გაუმართლებელია კონკრეტული საფრთხის დელიქტების მიკუთვნება შედეგგარეშე დანაშაულებისათვის. თუ კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტს ე. წ. ფორმალურ დანაშაულად მივიჩნევდით, უარი უნდა გვეთქვა ამ დელიქტებში ქმედებასა და კონკრეტულ საფრთხეს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობაზე. თუ არ გვაქვს შედეგი, გაუგებარია როგორ უნდა დავადგინოთ მიზეზობრივი კავშირი ან რასა და რას შორის უნდა დადგინდეს იგი. მიზეზი ხომ შედეგის გამოწვევის პირობაა და ისინი ერთმანეთის დამოუკიდებლად არ არსებობენ. მიზეზი თავისთავად გულისხმობს გარკვეული შედეგის არსებობას.

9. საფრთხის შემქმნელ დელიქტებში დანაშაულის დამთავრების მომენტის განსაზღვა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა

იურიდიულ ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ დანაშაულის ფორმალურ და მატერიალურ დამთავრებას. დანაშაულის ფორმალურ განხორციელებაში (Vollendung) იგულისხმება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დანაშაული ფორმალური ანუ იურიდიული გაგებით მაშინაა განხორციელებული ანუ დამთავრებული, როცა სახეზეა ქმედების შემადგენლობის ყველა ნიშანი.[367]

---

364 იხ. *Koriath H.*, იქვე,გვ. 60.

365 იხ. *Martin J.*, იქვე, გვ.. 46.

366 იხ. *Gallas W.,* Abstrakte und Konkrete Gefährdung, Heinitz-FS, 1972, S. 176.

367 იხ. *Heinrich B.,* Strafrecht, AT, 3. Aufl., 2012, S. 314, Rn. 707.

დანაშაულის დამთავრება მატერიალური გაგებით (Beendigung) გულისხმობს დროის იმ მონაკვეთს, როცა სამართლებრივი სიკეთე ხელყოფილია. დანაშაულის დამთავრება მატერიალური გაგებით ხშირად ქმედების ფორმალურ განხორციელებას მოსდევს, თუმცა სხვადასხვა დელიქტებში აღნიშნული საკითხი განსხვავებულად წყდება.[368] შეიძლება დანაშაული ფორმალური გაგებით განხორციელებული იყოს, მაგრამ სამართლებრივი სიკეთე ჯერ კიდევ არ იყოს ხელყოფილი (დაზიანებული).

დანაშაულის ფორმალური და მატერიალური გაგებით დასრულების მომენტის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამონაწილეობის დასჯადობის საკითხის სწორად გადასაწყვეტად.

თუ როდის არის ესა თუ ის დანაშაული ფორმალურად დამთავრებული, დამოკიდებულია იმაზე, როგორ აღწერს შესაბამის ქმედების შემადგენლობას კანონმდებელი და რა ნიშნების არსებობას მოითხოვს ქმედების შემადგენლობის განსახორციელებლად. მაგალითად, თავისუფლების უკანონო აღკვეთის შემადგენლობა ფორმალურად განხორციელებულია კანონით გათვალისწინებული ქმედების–სხვისი თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის მომენტიდან, თუმცა იგი გრძელდება მანამ, სანამ უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილი არ განთავისუფლდება. ე. ი. უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში დანაშაულის ფორმალური და მატერიალური დამთავრება ერთმანეთს არ ემთხვევა. დანაშაულის განხორციელება ასეთ დელიქტებში გრძელდება დანაშაულის ფორმალური განხორციელების შემდეგაც. არის კი დანაშაულის ფორმალურად განხორციელების და მატერიალურად დამთავრების ასეთი დროითი შუალედის განსაზღვრა ყველა სახის საფრთხის დელიქტებში შესაძლებელი?

აღნიშნულ კითხვაზე უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ არის ყველა ტიპის დანაშაულში შესაძლებელი. თუმცა, ეს არ გამორიცხავს საფრთხის დელიქტებში დანაშაულის ფორმალური და მატერიალური გაგებით დასრულების გამიჯვნის შესაძლებლობას. მაგალითად, იარაღის უკანონო ტარება საფრთხის დელიქტს წარმოადგენს, ვინაიდან, იარაღის უკანონო ტარებით საფრთხე ექმნება საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. დასახელებული დანაშაული განხორციელებულად ითვლება იარაღის უკანონოდ დაუფლების მომენტიდან, მაგრამ გრძელდება მანამ, სანამ არ მოხდება დამნაშავის განიარაღება ან თავად არ ჩააბარებს სამართალდამცავ ორგანოებს იარაღს. რაც შეეხება უშუალოდ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელ დელიქტებს, მათში დანაშაულის ფორმალური გაგებით დასრულების მომენტის დადგენა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ საფრთხის დელიქტთან გვაქვს საქმე.

რამდენადაც კონკრეტული საფრთხის დელიქტებში სამართლებრივი სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნა ქმედების შემადგენლობის ნიშანია, კონკრეტული საფრთხის დელიქტი ფორმალური გაგებით მაშინ არის დასრულებული, როცა სამართლებრივ სიკეთეს კონკრეტული საფრთხე შეექმნება. ხოლო აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში კონკრეტული საფრთხის შექმნა ქმედების შემადგენლობის ნიშანი არ არის და კონკრეტული საფრთხის შექმნისთვის ვარგისი ქმედების

[368] იხ. *Heinrich B.*, იქვე,Rn. 713.

განხორციელება საკმარისია, ამიტომ დანაშაული ფორმალური გაგებით მაშინაა დასრულებული, როცა კანონით აკრძალული ქმედება განხორციელდება.[369] ეს ეხება ყველა სახის აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტს.

საფრთხის შემქმნელ დელიქტებში დანაშაულის ფორმალური გაგებით დამთავრების ეტაპი უფრო ადრეულ საფეხურზეა გადმოტანილი, ვიდრე ხელყოფის დელიქტებში, იმიტომ, რომ ხელყოფის დელიქტებისგან განსხვავებით, საფრთხის შემქმნელ დელიქტებში ქმედება სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნის მომენტშია დასჯადი.

რამდენადაც სისხლის სამართლის მეცნიერებაში ჩამოყალიბებული მოსაზრებით კონკრეტული და აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში შეიძლება გამოიყოს ისეთი ტიპის დელიქტები, როგორიც დენადი დანაშაულია, ორივე სახის საფრთხის დელიქტში (აბსტრაქტულში და კონკრეტულში) შესაძლებელია დანაშაულის ფორმალური და მატერიალური გაგებით დამთავრების მომენტის გამიჯვნა.[370] დენადი დანაშაულები იმით ხასიათდებიან, რომ ამ ტიპის დანაშაულებში ფორმალური და იურიდიული გაგებით დანაშაულის დამთავრების მომენტი ერთმანეთს არ ემთხვევა. დანაშაულებრივი ქმედების დაწყებისას დანაშაული ფორმალური თვალსაზრისით დამთავრებულია, მაგრამ მატერიალურად იგი გრძელდება და მაშინ მთავრდება, როცა ქმედების განხორციელება შეწყდება.

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებისგან განსხვავებით, უფრო პრობლემურია კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებში ფორმალური და მატერიალური გაგებით დანაშაულის დასრულების მომენტის გამიჯვნა. იმისთვის, რომ კონკრეტული საფრთხის დელიქტებში შესაძლებელი გახდეს დანაშაულის ფორმალური და მატერიალური გაგებით დამთავრების მომენტის გამიჯვნა, საჭიროა, რომ კონკრეტული საფრთხის მდგომარეობა გარკვეული დროის განმავლობაში გაგრძელდეს, მაგრამ უპირატესად, კონკრეტული საფრთხე განსაზღვრული დროის გავლისთანავე ან გადაივლის ან კიდევ ხელყოფაში გადაიზრდება. თუ კონკრეტული საფრთხე ხელყოფაში გადაიზარდა, სახეზე იქნება არა საფრთხის შემქმნელი დანაშაულის მატერიალური გაგებით დამთავრება, არამედ სხვა სახის დანაშაული – ხელყოფის დანაშაული იქნება განხორციელებული. იმისთვის, რომ ერთმანეთისგან შევძლოთ დანაშაულის ფორმალური და მატერიალური გაგებით დამთავრების გამიჯვნა, აუცილებელია, რომ დანაშაულის ფორმალური გაგებით განხორციელების მერეც იყოს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელება შესაძლებელი ისე, რომ არ მივიღოთ ახალი შემადგენლობა. მაგალითად ისეთ დანაშაულში, როგორიც მკვლელობაა, დანაშაულის განხორციელება ფორმალური და მატერიალური გაგებით ერთმანეთს ემთხვევა და მათი გამიჯვნა შეუძლებელია, ვინაიდან მკვლელობის საკანონმდებლო შემადგენლობის განსახორციელებლად აუცილებელია სხვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, რაც დანაშაულს როგორც ფორმალურად,

---

369 იხ. *Hau H.,* Die Beendigung der Straftat und ihre rechtlichen Wirkung, Berlin, 1974, S. 21-22.

370 იხ. *Hau H.,* იქვე, გვ. 91- 92. აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დენადი დანაშაულის მაგალითად გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში მოჰყავთ გერმანული სსკ-ის 316 პარაგრაფით გათვალისწინებული დანაშაული. დასახელებული პარაგრაფით ისჯება სატრანსპორტო საშუალების მთვრალ მდგომარეობაში მართვა. იხ. *Eisele J.*, Strafrecht, BT, Straftaten gegen die Person und die Allgemeinheit, 2. Aufl., Stuttgart, 2012, S. 347, Rn. 1118.

ისე მატერიალური გაგებითაც განხორციელებულად გულისხმობს, რამეთუ ხელყოფილია სამართლებრივი სიკეთე.

ყაჩაღობა, როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი, კარგი მაგალითია იმისთვის, თუ როგორ შეიძლება გაიმიჯნოს დანაშაულის ფორმალურად განხორციელება და მატერიალურად დასრულება ერთმანეთისგან. ყაჩაღობა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის თანახმად, ფორმალურად განხორციელებულია ჯერ კიდევ მაშინ, როცა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით თავდასხმა განხორციელდება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით. თუმცა, დანაშაული შეიძლება გაგრძელდეს თავდასხმის შემდეგაც და დამნაშავემ შეძლოს სხვისი ნივთის დაუფლება, რაც ყაჩაღობის შემადგენლობის მიღმა დგას, მაგრამ სხვა დანაშაულის შემადგენლობასაც არ ქმნის.

მართალია, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში დანაშაულის ფორმალურად განხორციელების და მატერიალურად დასრულების გამიჯვნის საკითხი ნაკლებად პრობლემურია, მაგრამ რამდენად შესაძლებელია იგი კონკრეტული საფრთხის დელიქტებში ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის გათვალისწინებით?

კონკრეტული საფრთხის დელიქტებში შედარებით იშვიათია ისეთი დელიქტები, რომლებიც დენად დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა, ასეთი ტიპის დელიქტებიც გვხვდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. მაგალითად, სსკ-ის 293-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (ზღვის დაბინძურება).[371] აღნიშნული მუხლის დისპოზიცია შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „გემიდან, სხვა მცურავი საშუალებიდან, პლატფორმიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციიდან ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებების, სხვა ნარჩენის ანდა მასალის ზღვაში უკანონოდ ჩაყრა (ჩაშვება), აგრეთვე მათი ჩამარხვის წესის დარღვევით ზღვის დაბინძურება, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან ზღვის ცოცხალ ორგანიზმს, ანდა ხელს უშლის ზღვის მართლზომიერ გამოყენებას, ჩადენილი ასეთი ქმედებისთვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ“. ადამიანის ჯანმრთელობისთვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებების ზღვაში ჩაყრა და ზღვის დაბინძურება შეიძლება გარკვეული დროის მანძილზე გაგრძელდეს და არ ჰქონდეს ერთჯერადი ხასიათი. აღნიშნული ქმედების დაწყებიდან დანაშაული შეიძლება გაგრძელდეს მანამ, სანამ დამნაშავე თვითონ არ შეწყვეტს ქმედებას ან სამართალდამცველები არ გამოავლენენ დამნაშავეს და ხელს არ შეუშლიან შემდგომი დანაშაულებრივი ქმედების გაგრძელებაში.

---

[371] *გ. მამულაშვილი* აღნიშნული დანაშაულის ობიექტური მხარის ნიშნად მიიჩნევს ქმედებას, შედეგს და მიზეზობრივ კავშირს, ხოლო მეორე მხრივ, განსახილველ შემადგენლობას მიაკუთვნებს ფორმალურ შემადგენლობებს. იხ. *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მე-4 გამოცემა, თბ., 2012, გვ. 67-68. აქედან ირკვევა, რომ *გ. მამულაშვილი* კონკრეტული საფრთხის დელიქტებს ფორმალურ შემადგენლობებს მიაკუთვნებს,რაც გაუმართლებლად მიგვაჩნია.

10. მიზეზობრივი კავშირის საკითხი კონკრეტული საფრთხის დელიქტებში

10.1. ზოგადი შესავალი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „როდესაც ქმედებამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია ან ასეთი შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხე შექმნა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ამ ქმედებასა და შედეგს ან საფრთხეს შორის.“ მაგალითად, მკვლელობისას უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ადამიანის ქმედებასა და მსხვერპლის გარდაცვალებას შორის, ჯანმრთელობის დაზიანებისას ქმედებას და ჯანმრთელობის დაზიანებას შორის, სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებისას ქმედებას და სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებას შორის.

ამრიგად, მიზეზობრივი კავშირის საკითხი მაშინ დგება, როდესაც დანაშაული მთავრდება სამართლებრივი სიკეთის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფით ან ამგვარი ხელყოფის კონკრეტული საფრთხის შექმნით.

კონკრეტული საფრთხის არსებობის აუცილებელ პირობად სიკეთესა და საშიშ მდგომარეობას შორის კავშირის დამყარებას მიიჩნევდა ცნობილი გერმანელი მეცნიერი *კარლ ბინდინგიც*. როგორც *ბინდინგი* აღნიშნავდა, კონკრეტული საფრთხე არ არსებობს მაშინ, როცა სამართლებრივი სიკეთე არ მოხვდება ქმედების ზემოქმედების ზონაში.[372]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა.“

„მიზეზობრივი კავშირი ადამიანის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის არის ობიექტური კავშირი, რომლის არსებობა ან არარსებობა ადამიანის ნებასა და ცნობიერებაზე არაა დამოკიდებული“.[373] მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის შეიძლება არსებობდეს ადამიანის ნებისა და ცნობიერებისგან დამოუკიდებლად. სისხლის სამართალში ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა აუცილებელი, მაგრამ საკმარისი პირობა არ არის ჩადენილი ქმედების ბრალეულობის დასადგენად.[374]

უშედეგო ანუ ე.წ. ფორმალურ შემადგენლობებში, კერძოდ, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში, რომლებშიც დანაშაული თვით მოქმედების ან უმოქმედობის ჩადენის მომენტშივე მთავრდება (მაგალითად, დაუხმარებლობა, განსაცდელში მიტოვება), მიზეზობრივი კავშირის

---

[372] იხ. *Binding K.,* Die Normen und ihre Übertretung. 1. Band (2. Aufl): Normen und Strafgesetze, Leipzig 1890, S. 388. მითითებულია: *Horn E.,* Konkrete Gefährdungsdelikte, Köln, 1973, S. 162.

[373] იხ. *ნაჭყებია გ.,* სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება (ლექციების კურსი), თბ., 2002, გვ. 79. მიზეზობრივი კავშირის შესახებ ასევე იხ. *Церетели Т,* Причинная свиазь в уголовном праве, М., 1963.

[374] იხ. *ნაჭყებია გ.,* იქვე.

საკითხი არც დაისმის, რადგან ამ შემთხვევაში „დანაშაულებრივი შედეგი“ გაგებულია მორალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით და სახეზე არ არის შედეგი გარესამყაროში გამოწვეული ცვლილების სახით.[375]

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი ზოგიერთი დელიქტი შეიძლება განხორციელდეს როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობითაც (სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება). თუ კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტი უმოქმედობით განხორციელდა, მიზეზობრივი კავშირი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით უნდა დადგინდეს. აღნიშნული ნორმის თანახმად, უმოქმედობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება სსკ-ის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული კონკრეტული საფრთხის შექმნის პირობად, როდესაც პირს: 1) ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა; 2) ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და 3) სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული.

სამართლებრივი საფუძველი, რომელიც აკისრებს პირს მოქმედების მოვალეობას, შეიძლება სხვადასხვა იყოს. მოქმედების სპეციალური მოვალეობა შეიძლება გამომდინარეობდეს: თვით კანონიდან. ასეთია, მაგალითად დედის მოვალეობა საზრდო მისცეს ბავშვს; ხელშეკრულებიდან; წინარე ქმედებიდან; პროფესიული ფუნქციიდან.

მატერიალური შემადგენლობის დანაშაულებში–წერს *ი. გორელიკი*– მიზეზობრივი კავშირის საკითხი წყდება რეტროსპექტულად: ქმედების განხორციელებასა და უკვე დამდგარ შედეგს შორის კავშირის გაანალიზებით მიიღება გადაწყვეტილება მიზეზობრივი კავშირის არსებობის ან არარსებობის შესახებ. დანაშაულის მატერიალური შემადგენლობებისაგან განსხვავებით, საფრთხის შემქმნელ შემადგენლობებში ის წყდება პროსპექტულად. ქმედებასა და შედეგს შორის კავშირის რეალური დაფიქსირება შეუძლებელია შედეგის არარსებობის გამო. საფრთხეში ჩაყენების დროს უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი მოქმედებას (უმოქმედობას) და შესაძლო შედეგებს შორის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა დადგინდეს, წარმოადგენს კი ინკრიმინირებული ქმედება ისეთს, რომელიც გამოიწვევდა შედეგის დადგომას.[376] როგორც ჩანს *ი. გორელიკი* საფრთხის შემქმნელ ყველა დელიქტს ე.წ. „ფორმალურ შემადგენლობათა“ რიცხვს მიაკუთვნებს.

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები მართალია “ფორმალურ შემადგენლობათა“ რიცხვს მიეკუთვნება, მაგრამ ამავე რიცხვს არ შეიძლება მივაკუთვნოთ საფრთხის შემქმნელი ისეთი დელიქტები, რომლებიც კონკრეტულ საფრთხის დელიქტებად იწოდებიან. კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტები რომ ე.წ. მატერიალურ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება ამაზე მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლი.

კონკრეტული საფრთხის დელიქტები შეიცავენ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის უნარს, ხოლო მეორე მხრივ, კონკრეტული საფრთხე უკვე თავად არსებობს გარკვეული შედეგის სახით. ამიტომაც მია-

---

[375] იხ. იქვე,გვ. 80.

[376] იხ. *Горелик И,* Квалификация преступлений, опасных для жизни и здоровья, Минск 1973, с. 28-29.

კუთვნებენ მას შედეგიან დელიქტებს და შესაძლებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს შორის, ვინაიდან ეს საფრთხე ქმედების თვისებას კი არ წარმოადგენს (აბსტრაქტული საფრთხისგან განსხვავებით), არამედ გარესამყაროში გამოწვეულ გარკვეულ ცვლილებას. ეს ცვლილება არის თუნდაც კითხვის ნიშნის ქვეშ იმ სიკეთის დაყენება, რომელსაც მანამდე საფრთხე არ ემუქრებოდა.

10.2. მიზეზობრიობის დადგენა ეკვივალენტური თეორიის მიხედვით

მიზეზობრივ კავშირთან დაკავშირებით სისხლის სამართლის მეცნიერებაში არაერთი თეორია ჩამოყალიბდა, რომელთაგან აღსანიშნავია ეკვივალენტურობის ანუ პირობათა თეორია, რომლის ფუძემდებელია გერმანელი მეცნიერი *ბური*.

თანამედროვე მართლმსაჯულება ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრიობის დასადგენად პირობათა თეორიას იყენებს. აღნიშნული თეორიის მიხედვით, მიზეზად მიიჩნევა ყველა condicio sine qua non, მაშასადამე, ყველა პირობა, რომლის გამორიცხვა შეუძლებელია, რომლის გარეშეც შედეგი არ დადგებოდა. შედეგის გამოწვევის პირობას შეიძლება წარმოადგენდეს არა მხოლოდ დამნაშავის, არამედ მსხვერპლის ქმედებაც.[377]

ეკვივალენტური თეორიის მიხედვით, მიზეზად მიიჩნევა არა შედეგის გამომწვევ პირობათა ჯამი, არამედ თითოეული პირობა ცალკე აღებული. მაშასადამე, თითოეული პირობა, როგორც პირობათა ჯამის ნაწილი, დამოუკიდებელი პირობის მნიშვნელობას იძენს,[378] რამეთუ თითოეული პირობა თანაბარმნიშვნელოვნად ფასდება.

ეკვივალენტური თეორიის მამამთავრის, *ბურის* თვალსაზრისით, „მოვლენის არსებობა იმდენადაა დამოკიდებული თითოეულ ცალკეულ ძალაზე, რომ თუ მიზეზობრივი კავშირიდან თუნდაც ერთ ცალკეულ ძალას გამოვაკლებთ, მოვლენა არ განხორციელდება. ამრიგად, თითოეული ცალკეული პირობა, რომელიც სასიცოცხლო ძალას ანიჭებს სხვა ძალების მკვდარ მასას, ამით კაუზალურად აქცევს დანარჩენ ძალებსაც“.[379] აღნიშნული დებულების მიხედვით, თითოეულ პირობას „მიზეზი“ შეიძლება ვუწოდოთ, რამდენადაც, თუ პირობათა ჯამს ერთ პირობას გამოვაკლებთ, სხვა პირობაც ინერტულ მასად გადაიქცევა, რომელსაც დამოუკიდებლად არ შეუძლია მოვლენა წარმოშვას. თუმცა, ამ შემთხვევაში ტერმინი „მიზეზი“ ფილოსოფიური გაგებით მხოლოდ პირობითად გამოიყენება, ვინაიდან ფილოსოფიური თვალსაზრისით

---

[377] ეკვივალენტურობის თეორიის ანალიზი იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, 4. Aufl., I Band, München, 2006, S. 351, §11. Rn. 6 ; *Kühl K.*, Strafrecht, AT, 6. Aufl., München, 2008, S. 22, §4 Rn. 9; *წერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 178-192; *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 193-196.

[378] იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, 4. Aufl., I Band, München, 2006, S. 352, §11. Rn. 7.

[379] *Buri M.*, Über Kausalität und deren Verantwortung, 1873, 1. მითითებულია: *წერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 182.

მიზეზი არა ცალკეული პირობაა, იზოლირებულად აღებული, არამედ აუცილებელ პირობათა ჯამია.[380]

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კონკრეტული საფრთხეც შედეგია, კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებთან მიმართებით, შემდეგი დასკვნის გაკეთება მოგვიწევს: კონკრეტული საფრთხის შექმნის მიზეზია ყველა ის პირობა, რომლის გარეშეც კონკრეტული საფრთხე არ შეიქმნებოდა. ყველა პირობა, რომელმაც ხელი შეუწყო კონკრეტული საფრთხის შექმნას, არის თანაბარი მნიშვნელობის პირობა კონკრეტული საფრთხის შექმნისა, მათ შორის მსხვერპლის ქმედებაც, თუ მან რამენაირად ხელი შეუწყო კონკრეტული საფრთხის შექმნას. კონკრეტული საფრთხის შექმნასთან შესაძლებელია იმ პირთა ქმედების მიზეზობრიობაც დადგინდეს, რომლებმაც დაამზადეს ის საგანი, რაც გამოყენებული იქნა კონკრეტული საფრთხის შესაქმნელად. მაგალითად, ავტომანქანის დამზადება, იარაღის წარმოება და ა. შ. გამოდის, რომ მიზეზობრიობის ჯაჭვში შეიძლება ჩაერთოს არა მხოლოდ დამნაშავის და მსხვერპლის, არამედ მესამე პირთა ქმედებაც. მაშასადამე, მიზეზობრიობის ეკვივალენტური თეორია მეტისმეტად აფართოებს მიზეზობრიობის ჯაჭვს.

ეკვივალენტური თეორიის წარმომადგენლები მიზეზობრივი კავშირის დასადგენად ჰიპოთეტური ელიმინაციის მეთოდს იყენებენ. აღნიშნული მეთოდის თანახმადაც, თუ ქმედების აზრობრივი გამორიცხვით შედეგი არ გამოირიცხა, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის არ არსებობს. ხოლო მაშინ, როცა ქმედების აზრობრივი გამორიცხვით შედეგიც გამოირიცხება, ქმედება შედეგთან მიზეზობრივ კავშირშია.[381] ყოველივე ეს შეიძლება შემდეგი სიტყვებითაც გამოითქვას: „შენ თუ ამას არ გააკეთებდი, არაფერი მოხდებოდა“.[382]

განსახილველი თეორიით რთულია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ალტერნატიული მიზეზობრიობის დროს, რომელსაც ორმაგ მიზეზობრიობასაც უწოდებენ.[383] ორმაგი მიზეზობრიობა გულისხმობს შემთხვევას, როცა შედეგი ორი ან მეტი ეროდროულად განხორციელებული ქმედებითაა გამოწვეული, მაგრამ შედეგის დასადგომაც ერთ-ერთი ქმედებაც საკმარისია. თუ ჰიპოთეტური ელიმინაციის მეთოდს მივმართავთ, რომელსაც ეკვივალენტური თეორიის წარმომადგენლები იყენებენ, შემდეგ დასკვნამდე მივალთ: ალტერნატიული მიზეზობრიობის დროს არცერთი ქმედება არ არის შედეგთან მიზეზობრივ კავშირში, ვინაიდან ერთ-ერთი ქმედების გამორიცხვისას სხვა ქმედება შეუშლიდა ხელს შედეგის გამორიცხვას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სხვა ქმედება შედეგს მაინც გამოიწვევს და მხოლოდ ერთ-ერთის გამორიცხვა საკმარისი არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე ზოგიერთი ავტორი condicio-ფორმულის მოდიფიცირებულ ვარიანტს გვთავაზობს, რომლის მიხედვით მაშინ, როცა შედეგი რამოდენიმე პირობამ გამოიწვია, თითოეული მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან, თუ მათი აზრობრივი გამორიცხვა შესაძლებელია ალტერნატიულად, მაგრამ არა კუმულაციურად, იმისთ-

---

[380] იხ. *წერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 182.

[381] იხ. *Kühl K.,* Strafrecht, AT, 6. Aufl., München, 2008, S. 22, §4 Rn. 9; *წერეთელი თ.*, იქვე, გვ. 182-183.

[382] *Kühl K.,* იქვე.

[383] იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 201.

ვის რომ შედეგი არ გამოირიცხოს.[384] მოდიფიცირებული ეკვივალენტური თეორიის თანახმად, ალტერნატიული მიზეზობრიობის დროს რამოდენიმე პირობიდან ერთ-ერთი ქმედების გამორიცხვა შედეგს ზოგადად არ გამორიცხავს, მაგრამ გამორიცხავს კონკრეტული სახით, ფორმით. ამ შემთხვევაში იგულისხმება შედეგის დადგომის ადგილი, გარემოება, ქმედების სახე და ა. შ.[385] მაშასადამე, რამოდენიმე ქმედების ერთდროულად განხორციელებით შედეგის გამოწვევისას, ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი მაშინაც დგინდება, როცა ერთი კონკრეტული ქმედების (და არა ყველა ქმედების) გამორიცხვით შედეგი ზოგადად (და არა კონკრეტული სახით და ფორმით) არ გამოირიცხება. მაგრამ, ქმედების გამორიცხვით შედეგის გამორიცხვა ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივ კავშირს მაშინ გამორიცხავს, როცა სახეზეა არა რამოდენიმე, არამედ ერთი პირობა.

ის რომ ეკვივალენტური თეორიის მიხედვით ხდება მიზეზობრიობის ჯაჭვის გაფართოება აღნიშნული თეორიის ეროგვარ ნაკლოვანებაზე მიუთითებს. მაგრამ, მის დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ ეკვივალენტური თეორიის მიხედვით შეიძლება მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და ქმედებით შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს შორის მაშინაც, როცა კონკრეტული საფრთხე შეიქმნა ქმედებით, რომელსაც ზოგადი ცხოვრებისეული კანონზომიერების მიხედვით საზიანო შედეგის გამოწვევა არ შეუძლია.

10.3. მიზეზობრივი კავშირის დადგენა ადეკვატურობის თეორიის მიხედვით

ადეკვატურობის თეორია მე-19 საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში. ა ადეკვატური თეორიის ფუძემდებელი იყო არა იურისტი, არამედ ექიმი, ფრაიბურგელი ფიზიოლოგი *იოჰანეს კრისი* (1853-1928).[386]

ეკვივალენტური თეორიისგან განსხვავებით, ადეკვატურობის თეორიის მიხედვით ყველა ქმედება როდია მიზეზობრივ კავშირში მის მიერ შექმნილ კონკრეტულ საფრთხესთან, არამედ მხოლოდ ის, რომელიც შექმნილი საფრთხის ადეკვატურია. აღნიშნული თეორიის შესაბამისად, მიზეზობრიობის დასადგენად ის კი არ უნდა გაირკვეს, შეეძლო თუ არა განსაზღვრულ პირობას მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში იგივე კონკრეტული საფრთხის შექმნა, არამედ შეუძლია თუ არა საზოგადოდ ამგვარ პირობას შექმნას ასეთი კონკრეტული საფრთხე. ადეკვატური თეორიის თანახმად, საკმარისი არ არის მხოლოდ იმის დადგენა, რომ განხორციელებული ქმედება შექმნილი კონკრეტული საფრთხის ერთერთი პირობაა, არამედ ამასთან ერთად ისიც უნდა იქნეს დადასტურებული, რომ ასეთ ქმედებას ამგვარი კონკრეტული საფრთხის შექმნის

---

[384] იხ. *Welzel H.*, Das Deutsche Strafrecht, 11. Aufl., Berlin, 1969, 45; *Wessels/Beulke*., Strafrecht, AT, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 58, Rn.157; *Kühl K.,* იქვე,S. 27, §4 Rn. 19.

[385] იხ. *Ebert U*., Strafrecht, AT, 3. Aufl., Heidelberg, 2001, S. 46.

[386] კრისის მოძღვრებაზე ვრცლად იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 368-370, § 11 Rn. 39-43; *Jescheck H-H/Weigend T,* Lehrbuch des Strafrechts, AT, Berlin, 1996, S. 285-286.

ტენდენცია აქვს.[387]

ადეკვატურობის თეორიის დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ზღუდავს ეკვივალენტურობის თეორიის მიერ უსაზღვროდ გაფართოებულ მიზეზობრიობას, მაგრამ ეს თეორია სწორად ვერ წყვეტს მთელ რიგ საკითხებს.[388] კონკრეტული საფრთხე შეიძლება არაადეკვატურმა ქმედებამაც გამოიწვიოს, მაგრამ ქმედებასა და შექმნილ საფრთხეს შორის მიზეზობრივი კავშირი გამოირიცხება, რამდენადაც ის ქმედება, რომელმაც კონკრეტული საფრთხე შექმნა არაადეკვატური იყო და მოქმედმა არ იცოდა, რომ მისი ქმედება საფრთხეს შექმნიდა ან არ ჰქონდა მას იმის შესაძლებლობა, რომ განეჭვრიტა მისი ქმედების მოსალოდნელი შედეგები. ასეთ დროს ჩნდება კითხვა: თუ ქმედების ჩადენისთვის წინასწარ იყო ცნობილი, რომ მისი ქმედება სამართლებრივ სიკეთეს საფრთხეს შეუქმნიდა, რატომ უნდა გამოირიცხოს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს შორის, მიუხედავად იმისა, კონკრეტული საფრთხე გამოიწვია არაადეკვატურმა ქმედებამ? ეს ყოველივე, ე.ი. საკითხი იმის შესახებ, იცოდა თუ არა მოქმედმა, რომ მისი ქმედება კონკრეტულ საფრთხეს შექმნიდა ან საერთოდ ჰქონდა თუ არა იმის შესაძლებლობა, განეჭვრიტა მისი ქმედების სამომავლო შედეგები, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მიზეზობრიობის პრობლემას კი არ წარმოადგენს, არამედ ბრალის. ადეკვატური მიზეზობრიობის დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ეკვივალენტური თეორიის მიერ გაფართოებული მიზეზობრიობის ჯაჭვს ავიწროებს, მაგრამ მას უდავოდ გააჩნია ნაკლი, რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული თეორია შლის ზღვარს მიზეზობრიობას და ბრალს შორის. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეზე თანამედროვე მართლმსაჯულება უარს ამბობს მიზეზობრიობის დასადგენად ადეკვატური თეორიის გამოყენებაზე, რაც მართებულად უნდა მივიჩნიოთ.

10.4. კანონზომიერ პირობათა თეორია

კანონზომიერ პირობათა თეორიის მიხედვით მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის სახეზეა მაშინ, როცა ქმედება შედეგის კანონზომიერ პირობას წარმოადგენს. მაშასადამე, ქმედებასა და შედეგს შორის უნდა არსებობდეს კანონზომიერი კავშირი. ისევე როგორც ეკვივალენტური თეორია, განსახილველი მოძღვრებაც ყველა პირობის თანასწორფასოვნებას აღიარებს. ქმედება შედეგთან მიზეზობრივ კავშირშია, თუ მან შედეგის გამოწვევაში წვლილი შეიტანა და შედეგის გამომწვევი მრავალი პირობიდან ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს.[389] თუმცა, ეკვივალენტური თეორიისგან განსხვავებით მიზეზობრიობის დასადგენად მთა-

---

[387] იხ. *წერეთელი თ.*,იქვე,გვ. 196.

[388] აღნიშნული თეორიის კრიტიკაზე იხ. *Церетели Т.,* Причинная связь в уголовном праве, М., 1963, с. 100-103; *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 197. ადეკვატურ თეორიაზე იხ. ასევე *Heinrich B.,* Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 85, Rn. 224; *Baumann/Weber/Mitsch,* Strafrecht, AT, Lehrbuch, 11. Aufl., Bielefeld, 2003, S. 247, § 14 Rn. 54; *Rengier R.,* Strafrecht, AT, 3. Aufl., München, 2011, S. 75, § 13 Rn. 9.

[389] იხ. *Kühl K.,* Strafrecht, AT, 6. Aufl., München, 2008, S. 29, §4 Rn.22; *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი,დანაშაულის მოძღვრება,თბ.,2011,გვ. 197.

ვარი იმის შემოწმება კი არ არის, კონკრეტული ქმედების გარეშე დადგებოდა თუ არა შედეგი, არამედ იმის, განხორციელებული ქმედება არის თუ არა დამდგარი შედეგის კანონზომიერი პირობა.[390] აუცილებელია შემდეგ პირობათა არსებობა კუმულაციურად: ქმედება უნდა იყოს შედეგის გამომწვევი ერთ-ერთი პირობა და ქმედებასა და შედეგს შორის უნდა არსებობდეს კანონზომიერი კავშირი.

კანონზომიერ პირობათა თეორიას მართებულად აკრიტიკებს *მ. ტურავა* და აღნიშნავს, რომ აღნიშნული თეორიის მიხედვით მიზეზობრივი კავშირის დადგენა რთულია, ვინაიდან „შეუძლებელია ზუსტად იმის დადგენა, თუ როდის არის სახეზე „კანონზომიერი კავშირი" მოქმედებასა და შედეგს შორის".[391] კანონზომიერ პირობათა თეორია ერთი მხრივ, ცდილობს მიზეზობრიობის ჯაჭვის შევიწროებას ქმედებასა და შედეგს შორის „კანონზომიერ კავშირზე" მითითებით, ხოლო მეორე მხრივ, არ იძლევა მკაფიო კრიტერიუმს მიზეზობრივი კავშირის დასადგენად.

10.5. რელევანტობის თეორია

რელევანტობის თეორიის წარმომადგენლები ეკვივალენტური თეორიის მიერ განვრცობილი მიზეზობრიობის ჯაჭვის შეზღუდვას ცდილობენ და მკაცრად მიჯნავენ მიზეზობრიობის საკითხს შედეგის ობიექტური შერაცხვისგან.[392] აღნიშნული თეორიის მიხედვითაც მიზეზობრივი კავშირი მაშინ არსებობს, თუ ქმედების აზრობრივი გამორიცხვა შედეგსაც გამორიცხავს და ამასთან ერთად ქმედება სისხლისსამართლებრივი კრიტერიუმების მიხედვით გასათვალისწინებელი, რელევანტურია. ამ თეორიის თანახმად, აუცილებელია ორი პირობის კუმულაციურად არსებობა: 1. ქმედების აზრობრივი გამორიცხვა შედეგის გამორიცხვას უნდა იწვევდეს და 2. ქმედება სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი ანუ რელევანტური უნდა იყოს. პირველი პირობის არსებობა მიზეზობრივი კავშირის დასადგენად ეკვივალენტური თეორიის მიხედვითაც არის აუცილებელი. მაგრამ, მეორე პირობის საშუალებით ახდენს რელევანტობის თეორია მიზეზობრიობის ჯაჭვის შეზღუდვას.

კონკრეტული საფრთხის დელიქტებში მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და კონკრეტულ საფრთხეს შორის, განსახილველი თეორიის მიხედვით, მაშინ შეიძლება არსებობდეს, როცა დადგინდება, რომ არსებული კონკრეტული საფრთხის შექმნის ერთ-ერთ პირობას განხორციელებული ქმედება შეადგენს, რომელიც სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანია. მოცემული მსჯელობის შემდეგ ჩნდება კითხვა, ის, რაც საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მთავარი პირობაა, მიზეზობრივი კავშირის დასადგენად ხომ არ გვჭირდება? აღნიშნული ნორმის თანახმად, დანაშაულს არ წარმოადგენს ქმედება, თუ ქმედებას არ შეუქმნია ისეთი ზიანის საფრთხე, რომელიც აუცილებელს ხდის ქმედების ჩამდენისთ-

---

390 იხ. *Jescheck H-H/Weigend T,* Lehrbuch des Strafrechts, AT, Berlin, 1996, S. 283.

391 იხ. *ტურავა მ.,* იქვე,გვ. 197.

392 იხ. *Wessels/Beulke.*, Strafrecht, AT, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 63, Rn. 172.

ვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.

დასმულ კითხვაზე შეიძლება შემდეგი პასუხი გავცეთ: თუ ქმედება მცირე მნიშვნელობისაა, იგი არ შეიძლება სისხლისსამართლებრივად ირელევანტურად შევაფასოთ, ხოლო, თუ ქმედება სისხლისსამართლებრივად რელევანტურია, იგი ავტომატურად არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ქმედება უმნიშვნელო საფრთხის შემცველი ვერ იქნება. მიზეზობრიობის დადგენა არ ხდება მატერიალური მართლწინააღმდეგობის ნიშნის დადგენით. ქმედების რელევანტურობის დადგენა წინაპირობაა ქმედების სოციალური საშიშროების დასადგენად, რომელსაც მატერიალურ მართლწინააღმდეგობას ვუწოდებთ. ქმედების რელევანტურობის დადგენა კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ქმედების მატერიალური მართლწინააღმდეგობა დადგინდა. მატერიალური მართლწინააღმდეგობის დადგენა ქმედების რელევანტურობის დადგენის შემდეგი პროცესია. თუ ქმედება რელევანტური არ არის, ქმედების შემადგენლობა გამოირიცხება და ქმედების მართლწინააღმდეგობის საკითხი არც დაისმის. მაშასადამე, ერთმანეთისგან განსხვავდება ქმედების რელევანტურობა და სოციალური საშიშროების ის ხარისხი, რაც მატერიალური მართლწინააღმდეგობის არსებობაზე მიუთითებს. ქმედების რელევანტურობა დგინდება მისი ხასიათით და არა დამდგარი შედეგით, მაშინ, როცა ქმედების სოციალური საშიშროება ქმედებით გამოწვეული ზიანის მოცულობით შეიძლება გაიზომოს.

რელევანტობის თეორია მისაღებად შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული თეორიის მიერ მიზეზობრივი კავშირის დასადგენად შემოთავაზებულ ორ პირობას დავუმატებთ მესამე პირობას – ქმედებასა და შედეგს (ხელყოფასა და კონკრეტულ საფრთხეს) შორის უშუალო კავშირის არსებობა. მაშასადამე, იმისთვის, რომ ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი დადგინდეს, სახეზე უნდა იყოს შემდეგი სამი პირობა: 1) ქმედება უნდა იყოს შედეგის აუცილებელი პირობა; 2) ქმედება სისხლისსამართლებრივად რელევანტური უნდა იყოს და 3) ქმედებასა და შედეგს შორის უნდა არსებობდეს უშუალო კავშირი. თუ მიზეზობრივი კავშირის დასადგენად პირველ ორ წინაპირობასთან ერთად ქმედებასა და შედეგს შორის უშუალო კავშირის არსებობას არ მოვითხოვთ, საფრთხის შემქმნელი ქმედების მიზეზობრიობის დადგენა მოგვიწევს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასთან, რაც სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შემქმნელი და ხელმყოფი ქმედების თანაბარ კვალიფიკაციამდე მიგვიყვანს და ამით წაიშლება ზღვარი საფრთხის შემქმნელ დელიქტებს, დანაშაულის მცდელობასა და ხელყოფის დასრულებულ დელიქტებს შორის. რაც შეეხება ქმედების რელევანტობის მიზეზობრივი კავშირის პირობად მიჩნევას, ისიც გარკვეულწილად იმას ემსახურება, რომ არ მოხდეს მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვის არაგონივრული განვრცობა. მაგრამ, ქმედება არის თუ არა რელევანტური, უნდა დადგინდეს არა მხოლოდ ზოგადი ცხოვრებისეული კანონზომიერების, არამედ კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებითაც. ქმედების რელევანტობის ამგვარი გაგება საშუალებას იძლევა, რელევანტურობის თეორია გაიმიჯნოს ადეკვატურობის თეორიისგან, რომელიც მიზეზობრიობის დასადგენად მოითხოვს, რომ ქმედება დამდგარი შედეგის ადეკვატური იყოს, რაც ზოგადი ცხოვრებისეული კანონზომიერების გათვალისწინებით დგინდება. ქმედების რელევანტო-

ბის გათვალისწინება, სისხლის სამართალში, არა მხოლოდ მიზეზობრივი კავშირის, არამედ იმის დასადგენადაც არის მნიშვნელოვანი, განხორციელდა თუ არა თუნდაც შედეგგარეშე (ფორმალური) ქმედების შემადგენლობა. მიზეზობრივი კავშირის დადგენა იმის შემოწმებით უნდა დაიწყოს, იყო თუ არა განხორციელებული ქმედება შედეგის აუცილებელი პირობა. ამის გარკვევის შემდეგ უნდა შემოწმდეს დანარჩენი ორი პირობის არსებობა. პირველი პირობის გამორიცხვით გამოირიცხება დანარჩენი ორის დადგენის აუცილებლობა.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოითქვა შეხედულება, რომ რელევანტურობის თეორიის სისუსტე მიზეზობრიობის შეფასებითი კრიტერიუმებით დადგენაში მდგომარეობს,[393] მაგრამ აღნიშნული მოსაზრება საკამათოა. თუ ქმედების რელევანტობას სსკ-ით დასჯადი ქმედების ნიშნად არ გამოვაცხადებთ, მიზეზობრივ კავშირს ამ ნიშნით არ შევზღუდავთ და ნებისმიერ მოძრაობას სისხლისსამართლებრივი ქმედების მნიშვნელობას მივანიჭებთ, მოგვიწევს მიზეზობრივი კავშირის არსებობის და ქმედების შემადგენლობის განხორციელების დადასტურება ყველა იმ შემთხვევაში, როცა ადგილი ჰქონდა მოძრაობას ძილში, უგონობის მდგომარეობაში, რამაც საზიანო შედეგი გამოიწვია. როდესაც ვსაუბრობთ ქმედებაზე სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით, უნდა ვიგულისხმოთ არა ყოველგვარი მოძრაობა ან თუნდაც ქმედება, არამედ ისეთი, რომელიც სისხლისსამართლებრივად რელევანტურია. ქმედების სისხლისსამართლებრივი რელევანტობა შეიძლება გაიზომოს სხვადასხვა კრიტერიუმებით. ეს შეიძლება იყოს ნებელობითი ან სხვაგვარი ნიშნები. რეფლექსური მოძრაობა, რომელიც არ არის ნებისყოფის აქტი, სისხლისსამართლებრივად რელევანტურ ქმედებად ვერ ჩაითვლება. სისხლის სამართალს არ აინტერესებს ყველანაირი მოძრაობა. მათ შორის ისეთიც, რომელიც არ არის რეფლექსური მოძრაობა, მაგრამ როგორც ქმედება მაინც მოკლებულია სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას. მაგალითად, უმნიშვნელო ოდენობით ხილის მოპარვა (ერთი ცალი ვაშლის მოწყვეტა მეზობლის ბაღში). ასეთი ქმედებით არა თუ მართლსაწინააღმდეგო, არამედ სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობაც არ ხორციელდება. იგი უნდა გაიმიჯნოს ისეთი ქმედებისგან, რომლითაც ქმედების შემადგენლობა ხორციელდება, მაგრამ მოკლებულია სოციალური საშიშროების იმ ხარისხს, რაც მართლწინააღმდეგობის მატერიალური ნიშანია. ამგვარი ქმედების მაგალითად გამოდგება 2 (ორ) ლარად შეფასებული ერთი ბოთლი ლუდის ქურდობა. აღნიშნულ შემთხვევაში ქმედება რელევანტურია, მაგრამ მატერიალური გაგებით სისხლისსამართლებრივად არ არის მართლსაწინააღმდეგო.

ქმედების რელევანტურობა, როგორც მიზეზობრიობის ერთ-ერთი წინაპირობა, ქმედების ნიშანია და არა მიზეზობრივი კავშირის. იმისთვის, რომ მიზეზობრივი კავშირი დადგინდეს, აუცილებელია განხორციელებული ქმედება სისხლისსამართლებრივად იყოს რელევანტური. თუ რელევანტური ქმედება არ არის განხორციელებული, მიზეზობრივი კავშირიც გამოირიცხება. მიზეზობრივი კავშირი არ არის ქმედების

[393] იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი I, დანაშაული, თბ., 2014, გვ. 57.

შემადგენლობის ნორმატიული ნიშანი, იგი არის ობიექტური კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის. მაგრამ ამ შემთხვევაში იგულისხმება რელევანტური ქმედება და არა ყოველგვარი. მაშასადამე, ქმედების რელევანტობა მიზეზობრივი კავშირის დადგენის წინაპირობაა და არა მისი ნიშანი. სისხლის სამართალში მიზეზობრივი კავშირი გულისხმობს კავშირს არა ნებისმიერ ქმედებას ან მოძრაობასა და დამდგარ შედეგს შორის, არამედ ობიექტურ კავშირს მხოლოდ სისხლისსამართლებრივად რელევანტურ ქმედებასა და შედეგს შორის.

11. შეჯამება

კონკრეტული საფრთხის დელიქტები, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებისგან განსხვავებით, შედეგიან შემადგენლობებს მიეკუთვნება, ვინაიდან კონკრეტული საფრთხე შედეგია სიტყვის გარკვეული მნიშვნელობით.

კონკრეტული საფრთხე გულისხმობს მდგომარეობას, როცა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა მეტადაა მოსალოდნელი, ვიდრე მისი თავიდან აცილება. კონკრეტული საფრთხის დროს არსებობს ერთგვარი გაურკვევლობაც მოვლენათა შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით. თუმცა, ეს არ შეიძლება იყოს ერთადერთი კრიტერიუმი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებისგან კონკრეტული საფრთხის დელიქტების გასამიჯნად. შეიძლება გაურკვევლობას ადგილი ჰქონდეს აბსტრაქტული საფრთხის დროსაც. კონკრეტული საფრთხის დელიქტებში აუცილებელია სამართლებრივი სიკეთის მოხვედრა ქმედებით გამოწვეული საშიშროების ზონაში. როდესაც ციცაბო კლდის კალთასთან, მოსახვევში მძღოლი მაღალი სიჩქარით უხვევს და ვერ ხედავს, მოდის თუ არა საპირისპირო მიმართულებით მანქანა, იქმნება საფრთხე და ერთგვარი გაურკვევლობა მოვლენათა შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით, მაგრამ ამის საფუძველზე ჩვენ არ შეგვიძლია მყარი დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, თუ რა სახის საფრთხე შეიქმნა. ამის გასარკვევად უნდა დადგინდეს, მოძრაობდა თუ არა ახლო მანძილზე საპირისპირო მიმართულებით მანქანა, ანუ მოხვდა თუ არა ქმედებით შექმნილი საშიშროების ზონაში სამართლით დაცული სიკეთე.

კონკრეტული საფრთხის დელიქტებში, ისევე როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში, ქმედების საშიშროება ობიექტურად ex ante ანუ ქმედების განხორციელებისას, ობიექტური, საშუალო კეთილგონიერი შემფასებლის თვალსაწიერიდან უნდა შეფასდეს.

კონკრეტული საფრთხის დელიქტების გამიჯვნა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებისგან შეუძლებელია მხოლოდ ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო აღწერილობის გათვალისწინებით. კონკრეტული საფრთხის არსებობა ყოველთვის არ ადასტურებს კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელებას. ნორმის ტელეოლოგიური განმარტება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დადგინდეს, კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტთან გვაქვს საქმე, თუ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტთან. ნორმის სიტყვასიტყვითი და ტელეოლოგიური განმარტება ერთმანეთს კი არ გამორიცხავს, არამედ ავსებს.

კონკრეტული საფრთხის დელიქტებში აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და ქმედებით შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს შორის. ქმედებასა და კონკრეტულ საფრთხეს შორის მიზეზობრივი კავშირი უნდა დადგინდეს რელევანტურობის თეორიის მიხედვით. მაგრამ რელევანტურობის თეორიის მიერ შემოთავაზებული ორი პირობის გარდა, უნდა დადგინდეს დამატებით, მესამე პირობის – ქმედებასა და კონკრეტულ საფრთხეს შორის უშუალო კავშირის არსებობა. ეკვივალენტური თეორია მეტისმეტად აფართოებს მიზეზობრიობის ჯაჭვს, რასაც რელევანტურობის თეორია გამორიცხავს მიზეზობრიობის დადგენაში ნორმატიული კომპონენტის ჩართვით. ადეკვატურობის თეორია მიუღებელია, ვინაიდან იგი ეკვივალენტური თეორიისგან განსხვავებით მეორე უკიდურესობაში ვარდება, მეტისმეტად ზღუდავს მიზეზობრიობის ჯაჭვს, ვინაიდან მიზეზობრიობის დადგენისას ცალკეულ, კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინება კი არ ხდება, არამედ ზოგად კანონზომიერებას ეყრდნობა. გარდა ამისა, ადეკვატური მიზეზობრიობის თეორია ითვალისწინებს ისეთ გარემოებებს, რომელიც არა მიზეზობრიობის, არამედ ბრალეულობის დადგენის წინაპირობაა. კანონზომიერ პირობათა თეორია, უკვე დასახელებული თეორიების მსგავსად, ასევე გამოუსადეგარია. მის უარყოფით მხარედ შეიძლება დასახელდეს ის, რომ მიზეზობრიობის დასადგენად მოითხოვს „კანონზომიერ პირობათა“ არსებობის დადასტურებას. მეტად ბუნდოვანია, თუ რა შეიძლება იგულისხმებოდეს „კანონზომიერ პირობაში“.

რელევანტურობის თეორია ყველაზე მეტად იძლევა მიზეზობრივი კავშირის ისე დადგენის შესაძლებლობას, რომ ერთი მხრივ, არ მოხდეს მიზეზობრიობის ჯაჭვის გაფართოება და მეორე მხრივ, დამნაშავე არ დარჩეს დაუსჯელი. რელევანტურობის თეორია, ეკვივალენტური თეორიისაგან განსხვავებით, მიზეზობრიობის ჯაჭვის გონივრულ ფარგლებში შეზღუდვას ნორმატიული კომპონენტის საშუალებით აღწევს, მაგრამ ეს არ შეიძლება ამ თეორიის ნაკლად ჩავთვალოთ. ვინაიდან, ყველანაირი ქმედების განხორციელება ვერ იქნება სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელება. თუ ქმედების რელევანტურობა ქმედების შემადგენლობის განხორციელების წინაპირობაა, განხორციელებული ქმედების სათანადო სოციალური საშიშროება მატერიალური მართლწინააღმდეგობის დადგენის საფუძველია. მიზეზობრიობის ეტაპზე ქმედების რელევანტურობის დადგენა არ ნიშნავს ქმედების სოციალური საშიშროების დადგენას და მატერიალური მართლწინააღმდეგობის ნიშნის ქმედების შემადგენლობაში, კერძოდ, ობიექტურ შემადგენლობაში გადმოტანას. მიზეზობრიობის დადგენისას რელევანტური თეორიის მიერ შეფასებითი კომპონენტის ჩართვა არ ნიშნავს ქმედების შემადგენლობის სრულ ნორმატივიზაციას. შეფასებითი კომპონენტის გამოყენება მხოლოდ მაშინ იძენს აქტუალობას, როცა მიზეზობრიობის ჯაჭვის გაფართოების საფრთხე არსებობს. ზოგჯერ იმდენად ნათელია მოვლენები, რომ ქმედების რელევანტურობაზე ხაზგასმა აზრსაც კარგავს. ისედაც იგულისხმება, რომ ქმედება სისხლისსამართლებრივად რელევანტურია.

IV. თავი

განზრახვა და გაუფრთხილებლობა საფრთხის დელიქტებში

1. პირდაპირი განზრახვა საფრთხის დელიქტებში

ისევე როგორც ყველა შემადგენლობას, საფრთხის დელიქტებსაც გააჩნია როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მხარე. ზოგადად, ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშნებია: განზრახვა, მიზანი და მოტივი.

განზრახვა ორი სახისაა: პირდაპირი განზრახვა და არაპირდაპირი განზრახვა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლშია მოცემული განზრახვის დეფინიცია. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას“.

პირდაპირი განზრახვა გულისხმობს ინტელექტუალურ და ნებელობით მომენტს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი, ითვალისწინებს გარკვეული შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს კიდეც ამ შედეგის დადგომა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში პირდაპირი განზრახვის დეფინიცია ისეა ჩამოყალიბებული, რომ იგი შედეგიან ანუ დასრულებულ შემადგენლობაზეა გაანგარიშებული. თუმცა, აღნიშნული დეფინიცია შეიძლება გამოყენებული და მისადაგებული იქნეს კონკრეტული საფრთხის დელიქტებზე. იქ, სადაც საუბარია დამდგარ შედეგზე, შეიძლება მოაზრებული იქნეს ქმედებით გამოწვეული კონკრეტული საფრთხე. კონკრეტული საფრთხეც ხომ შედეგია დანაშაულებრივი ქმედებისა. თუკი პირდაპირი განზრახვით განხორციელებულ ხელყოფის დელიქტებში დამნაშავეს უნდა გააჩნდეს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის სურვილი, კონკრეტული საფრთხის დელიქტებში პირს უნდა ჰქონდეს კონკრეტული საფრთხის შექმნის, სამართლით დაცული ობიექტის კონკრეტულ საფრთხეში ჩაგდების სურვილი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმის ჩაყენებისთვის, ვისაც არა აქვს შესაძლებლობა მიიღოს ზომები თავის დასაცავად. იმისათვის, რომ პირს პასუხისმგებლობა აღნიშნული მუხლით დაეკისროს, აუცილებელია, რომ დამნაშავეს გაცნობიერებული ჰქონდეს მისი მოქმედების ფაქტობრივი ხასიათი და ითვალისწინებდეს, რომ რეალურ საფრთხეში აგდებს ისეთ ადამიანს, რომელსაც არა აქვს შესაძლებლობა მიიღოს ზომები თავის დასაცავად. იმისათვის, რომ ქმედება ჩაითვალოს პირდაპირი განზრახვით განხორციელებულად, აუცილებელია, რომ დამნაშავეს გააჩნდეს ასევე სურვილი სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ადამიანის ჩაყენებისა. *მ. უგრეხელიძის* თვალსაზრისით, „ვინაიდან რეალური შედეგი არ წარმოადგენს დანაშაულის კონსტიტუციურ ნიშანს, მის ადგილს იჭერს წინარე ეტაპი

ობიექტური მხარის განვითარებისა,-რეალური საფრთხის შექმნა“.[394]

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ვინაიდან კონკრეტული საფრთხე არ გვაქვს და აღნიშნულ შემადგენლობებში საუბარია მხოლოდ საშიში თვისებების მქონე ქმედებაზე, რომელსაც შეუძლია კონკრეტულ საფრთხედ გადაიქცეს, დამნაშავეს გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და სურდეს აღნიშნული ქმედების განხორციელება. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში პირდაპირი განზრახვა ისევეა შესაძლებელი, როგორც კონკრეტული საფრთხის დელიქტებში და მისი დადგენა ხორციელდება იმავე გზით, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირდაპირი განზრახვის ნებელობითი ელემენტი-სურვილი დგინდება არა კონკრეტული შედეგის ან საფრთხის მიმართ, არამედ საკუთრივ ქმედების მიმართ. სწორად აღნიშნავს *მ. უგრეხელიძე,* რომ ნებელობითი ელემენტის მისადაგება ქმედების განხორციელების ფაქტთან განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრებას არ ეწინააღმდეგება. აღნიშნულის დასადასტურებლად მას მოაქვს ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: პაპიროსის მოწევის სურვილი ან ნდომა, დასვენების ან მუშაობის სურვილი ან ნდომა და ა. შ. რაც იმას ადასტურებს, რომ ნებელობითი ელემენტის მისადაგება ქმედების განხორციელების ფაქტის მიმართ არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს.

2. ევენტუალური განზრახვა საფრთხის დელიქტებში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლბას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას“. ე. ი. ევენტუალური ანუ ირიბი განზრახვის დროს არსებობს ინტელექტუალური მომენტი-ქმედების ფაქტობრივი ხასიათის შეგნება, მაგრამ დამნაშავეს არ გააჩნია სურვილი შედეგის დადგომისა.

ვ. მაყაშვილი აღნიშნავს, რომ „ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირი არ მიისწრაფვის საზოგადოებრივად საშიში შედეგისაკენ, ამ უკანასკნელის განხორციელება მას არავითარ სიამოვნებას არ ჰგვრის. დამნაშავე არათუ არ ინანებდა, არამედ შეიძლება ნასიამოვნებიც დარჩებოდა, თუ მის მიერ გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში შედეგი არ განხორციელდებოდა“.[395]

ევენტუალური განზრახვით კონკრეტული საფრთხის დელიქტის განხორციელების დროს დამნაშავე შესაძლებლად მიიჩნევს და ეგუება, რომ კონკრეტული საფრთხე შეიქმნება, მაშასადამე, დაცული ქმედების ობიექტი მოხვდება ზიანის გამომწვევი ზემოქმედების ზონაში.[396]

ისევე როგორც პირდაპირი განზრახვის, ევენტუალური განზრახვის დეფინიციაც გათვლილია შედეგიან დელიქტებზე, მაგრამ რამდენადაც

---

[394] იხ. *უგრეხელიძე მ.,* ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 13.

[395] იხ. *მაყაშვილი ვ.,* ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1965, №4, გვ. 19.

[396] იხ. *Vogel J.*, LK, 12. Aufl., Erste Band, 2007, §15 Rn. 130.

კონკრეტული საფრთხეც შედეგია ამ სიტყვის ვიწრო გაგებითაც, სადაც არ უნდა იყოს, რომ ევენტუალური განზრახვა შესაძლოა წარმოდგენილი იყოს კონკრეტული საფრთხის დელიქტებში.

რაც შეეხება ევენტუალური განზრახვით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების განხორციელებას, ამ საკითხმა იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგვაროვანი მოსაზრება გამოიწვია. *ვლ. მაყაშვილი* ევენტუალური განზრახვის არსებობას შესაძლებლად მიიჩნევდა აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში და აღნიშნავდა: „იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ქმედობის ჩადენის ფაქტს უკავშირდება, ეს უკანასკნელი აღჭურვილი უნდა იყოს გარკვეული თვისებებით, რომლებიც მას საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს ანიჭებენ. ამიტომ განზრახვის დასაბუთებისათვის აუცილებელია, რომ ამ თვისებებთან იყოს დაკავშირებული სუბიექტის ფსიქიკური განცდები. თუ ქმედების ჩამდენ პირს შეგნებული არა აქვს მოცემულ შემადგენლობაში შემავალი ნიშნები, რომლებიც ქმედებას ახასიათებენ როგორც დანაშაულს, მაშინ განზრახვის საკითხი ვერც კი დაისმება, თუნდაც ამა თუ იმ მიზნით ჩადენილი ქმედება, თავისთავად, ნებით იყოს წარმართული. განზრახვა გვექნება მაშინ, როცა ქმედების ჩამდენი სუბიექტი დარწმუნებულია (იცის), რომ ეს ქმედება ხასიათდება აღნიშნული ნიშნებით (პირდაპირი განზრახვა), ან კიდევ, ეჭვობს, მაგრამ წარმოდგენილი აქვს მათი არსებობის შესაძლებლობა (ევენტუალური განზრახვა). ამ ბოლო შემთხვევაში პირი „უშვებს“, რომ გარკვეული ხასიათის ქმედებას ჩადის.“[397]

მ. უგრეხელიძე არ იზიარებს *ვლ. მაყაშვილის* მიერ გამოთქმულ შეხედულებას ევენტუალურ განზრახვაზე და თვლის, რომ „სისხლის სამართალში სიტყვა „დაშვება“ ზუსტი იურიდიული მნიშვნელობის და გარკვეული ფსიქოლოგიური შინაარსით დატვირთული ტერმინია. იგი გამოიყენება ადამიანის ნებელობითი დამოკიდებულების გამოსახატავად მის მიერ ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგებისადმი“.[398] რამდენადაც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები არ გულისხმობენ არც შედეგს და არც კონკრეტულ საფრთხეს, *მ. უგრეხელიძე* გაუმართლებლად თვლის საკითხის დასმას ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ან მისი განმსაზღვრელი თვისებების დაშვების შესახებ. როგორც იგი აღნიშნავს, „ეს გარემოებანი შეიძლება მხოლოდ იცოდეს ან არ იცოდეს დამნაშავემ, შეგნებული ჰქონდეს მას, ან არ ჰქონდეს შეგნებული.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, ევენტუალური განზრახვა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში წარმოუდგენლად მიაჩნია.[399] *მ. უგრეხელიძის* ზემოთმოყვანილი მსჯელობა ევენტუალური განზრახვისა და აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ურთიერთმიმართების შესახებ საყურადღებოა, რამდენადაც სიტყვა „დაშვება“ მართლაც სხვა მნიშვნელობის მქონეა და მისი გამოყენება უფრო მეტად სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის ან კონკრეტული საფრთხის მიმართ ხდება, მაგრამ არის თუ არა არაპირდაპირი განზრახვა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში შესაძლებელი ეს მაინც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამ-

---

397 იხ. *Макашвили В,* Понятие умысла в уголовном праве, «Мацне», 1966, №6, с. 81.

398 იხ. *უგრეხელიძე მ.,* ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 16.

399 იხ. *უგრეხელიძე მ.,* იქვე.

დენად დასაშვებია ქმედების და ქმედებით შექმნილი საფრთხის გამიჯვნა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში.

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის ევენტუალური განზრახვით განხორციელების შესაძლებლობას უშვებს *გ. მამულაშვილი,* როცა იგი საქართველოს სსკ-ის 331[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (ტერორიზმის დაფინანსება) განხორციელებას ევენტუალური განზრახვით შესაძლებლად მიიჩნევს.[400] აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი შემდეგი შინაარსის დისპოზიციას მოიცავს: „ტერორიზმის დაფინანსება, ესე იგი ფინანსური სახსრების ან სხვა სახის ქონების შეგროვება ან მიწოდება იმის წინასწარი შეცნობით, რომ იგი მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენებული იქნება ან შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ტერორისტის ან ტერორისტული ორგანიზაციის მიერ ან/და ამ კოდექსის 144-ე, 227-ე, 227[1]-ე, 230-ე, 231-ე, 231[1]-ე, 232-ე-230-ე და 230[1]-ე მუხლებით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ჩასადენად, მიუხედავად იმისა, ჩადენილია თუ არა ამ მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული“. ტერორიზმის დაფინანსება, ობიექტური მხრივ, გულისხმობს ტერორისტის ან ტერორისტული ორგანიზაციის დაფინანსებას, ე. ი. მათთვის ფინანსური სახსრების ან ქონების შეგროვებას ან მიწოდებას. რაც შეეხება სუბიექტურ მხარეს, დამნაშავეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მის მიერ შეგროვებული ან გადაცემული ფინანსური სახსრები ან ქონება გამოყენებული იქნება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს განსაზღვრულ დანაშაულებრივ ქმედებათა განსახორციელებლად, მაგრამ რეალურად განხორციელდება თუ არა აღნიშნული ფინანსების გამოყენებით გარკვეული დანაშაულებრივი ქმედებები, ამას 331[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის განსახორციელებლად არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია. ამდენად, აღნიშნული დანაშაული შედეგგარეშეა და იგი დამთავრებულია აკრძალული ქმედების განხორციელებისას (ფინანსური სახსრების შეგროვება ან გადაცემა). შესაბამისად, განზრახვის ფორმაც ამ დანაშაულში უნდა დადგინდეს ქმედების შემადგენლობით მოცული ქმედების განხორციელებისადმი დამოკიდებულებით და არა იმ შედეგებისადმი დამოკიდებულებით, რომელიც აღნიშნული დანაშაულის განხორციელებას შეიძლება მოჰყვეს, მაგრამ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის მიღმა დგას. ქმედების ობიექტური შემადგენლობის მიღმა მდგომი შედეგისადმი სუბიექტური დამოკიდებულების მიხედვით განისაზღვრება განზრახვის შინაარსი მიზნით დაფუძნებულ დელიქტებში, სადაც ქმედების სუბიექტური შემადგენლობა სჭარბობს ობიექტურს, მაგრამ 331[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არ არის მიზნით დაფუძნებული დელიქტი, ამდენად განზრახვის შინაარსი ამ დანაშაულთან მიმართებით მხოლოდ იმ ნიშნებისადმი დამოკიდებულებით უნდა განისაზღვროს, რომელიც ქმედების ობიექტური შემადგენლობის ფარგლებშია და მას არ სცდება. ვინაიდან ტერორიზმის დაფინანსების შემადგენლობის განსახორციელებლად აუცილებელი არ არის, რომ დაფინანსებულმა ტერორისტმა ან ტერორისტულმა ორგანიზაციამ რეალურად რაიმე დანაშაული განახორციელონ და მავნე შედეგი გამოიწვიონ, ამ დანაშაულში განზრახვის

[400] იხ. *მამულაშვილი გ.,* წიგნში: *მამულაშვილი გ,* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მე-4 გამოცემა, თბ., 2012, გვ. 182.

ფორმაც არ უნდა დადგინდეს ტერორიზმის დამფინანსებელი პირის იმ შედეგისადმი დამოკიდებულებით, რომლის განხორციელება შესაბამისი ქმედების ობიექტური შემადგენლობის განსახორციელებლად აუცილებელი არ არის. განზრახვის ფორმა დგინდება მხოლოდ იმ შედეგისადმი დამოკიდებულებით, რომელიც ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის ნიშანია. მართალია, ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობას ჰქვია „ტერორიზმის დაფინანსება“, მაგრამ ეს არ გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული ქმედების შემადგენლობა აუცილებლად მოითხოვდეს ტერორისტული აქტის განხორციელებას დაფინანსებული ტერორისტის თუ ტერორისტული ორგანიზაციის მხრიდან. თუ სსკ-ის 331[1]-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი იქნებოდა დაფინანსებული ტერორისტის/ტერორისტული ორგანიზაციის მიერ მათთვის შეგროვებული ან გადაცემული ფინანსების გამოყენებით კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებათა განხორციელება, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა აღნიშნული ქმედების შემადგენლობის განხორციელებისას ევენტუალური განზრახვით პირის მოქმედებაზე საუბარი.

საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა შეხედულება, რომ აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში პირდაპირი და ევენტუალური განზრხვის გამიჯვნა შეუძლებელი და ზედმეტია. *გ. ზლობინის* და *ბ. ნიკიფოროვის* შეხედულებით, ფორმალურ დელიქტებში საკმარისია იმის გაცნობიერება, რომ განხორციელებული ქმედება ნებადართული არ არის. მათი აზრით, საჭირო არ არის იმის დადგენაც, სურდა თუ არა მოქმედ პირს ის, რაც განახორციელა. წარმოდგენილი თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევებში სურვილის დადგენა მიუთითებს ფორმალურ დელიქტებში ევენტუალური განზრახვის უსიცოცხლო და გამოუსადეგარი კონსტრუქციის აგებაზე.[401] აღნიშნული მოსაზრება სწორად გააკრიტიკა *მ. უგრეხელიძემ.* ვინაიდან არ შეიძლება არსებობდეს დელიქტის ისეთი ტიპი, „რომლის სუბიექტური მხარე არც პირდაპირ და არც ევენტუალურ განზრახვაში არ გამოიხატება“.[402]

როდესაც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ევენტუალური განზრახვის შესაძლებლობის საკითხზე ვმსჯელობთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთი მომენტი: აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედებისგან აბსტრაქტული საფრთხის დროით და სივრცით გამიჯვნა რამდენადაა შესაძლებელი? თუ ჩვენ მხარს დავუჭერთ გაბატონებულ აზრს, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედებისგან აბსტრაქტული საფრთხის გამოყოფა შეუძლებელია და აბსტრაქტული საფრთხე მხოლოდ ქმედების თვისებაა, იმ დასკვნამდე მივალთ აუცილებლად, რომ ირიბი განზრახვა აბსტრაქტული საფრთხის მიმართ შეუძლებელია არსებობდეს და თუ პირს ქმედების განხორციელება სურს, აბსტრაქტული საფრთხის შექმნაც სურს და ქმედების ჩამდენი არ შეიძლება იმას უშვებდეს, რომ ქმედება დაკარგავს საშიშ ხასიათს.

თუ მხარს დავუჭერთ გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედების და აბსტრაქტული საფრთხის დროით და სივრცით გამი-

---

401 იხ. *Злобин Г.А., Никифоров Б.С.*, Умысел и его формы, М., 1972, с. 215-216.

402 იხ. *უგრეხელიძე მ.,*იქვე,გვ. 14.

ჯვნა შეიძლება,[403] კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება დებულება, რომლის მიხედვითაც ირიბი განზრახვით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განხორციელება შეუძლებელია. რამდენადაც აბსტრაქტული საფრთხე შეიძლება დროით და სივრცით გაიმიჯნოს ქმედებისგან, დამნაშავეც შეიძლება უშვებდეს იმას, რომ გარკვეული დროის შემდეგ, გარკვეულ ადგილას განსაზღვრულ ძალთა წინააღმდეგობის შედეგად ქმედებას შეიძლება არ მოჰყვეს აბსტრაქტული საფრთხის შექმნა.

3. ალტერნატიული განზრახვა და საფრთხის დელიქტები

სისხლის სამართლის მეცნიერებაში მეტად საკამათოდ ითვლება ალტერნატიული განზრახვით განხორციელებული ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები. ალტერნატიული განზრახვა გულისხმობს ისეთ განზრახვას, რომელიც ერთდროულად სხვადასხვა ქმედების შემადგენლობის განხორციელებას მოიცავს, რომელთაგანაც მხოლოდ ერთ-ერთი შეიძლება განხორციელდეს. ორივე ქმედების შემადგენლობის ერთად განხორციელებას დამნაშავე შესაძლებლად არ მიიჩნევს. ასეთ შემთხვევაში ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთის მიმართ დამნაშავის დამოკიდებულება განზრახია.[404]

ალტერნატიული განზრახვის სამი სახე არსებობს: 1) როცა დამნაშავე უშვებს სხვადასხვა სამართლებრივი სიკეთიდან (ჯანმრთელობა ან სიცოცხლე) ერთ-ერთის ხელყოფას და სამართლებრივი სიკეთის მატარებელი ერთიდაიგივე პირია. დამნაშავე ისვრის ადამიანის მიმართულებით და მისთვის სულ ერთია ეს ადამიანი მოკვდება თუ ჯანმრთელობა დაუზიანდება; 2) დამნაშავე უშვებს ერთსადაიმავე იერარქიულ საფეხურზე მყოფი სამართლებრივი სიკეთის (მაგალითად, სიცოცხლე) მატარებელი ორი ან მეტი მატარებლიდან ერთ-ერთის დაზიანებას. დამნაშავეს სამართლებრივი სიკეთის მხოლოდ ერთი მატარებლის ხელყოფა შეუძლია და დამნაშავისთვის სულ ერთია, რომელს დააზიანებს. კერძოდ, დამნაშავე ისვრის ორი ადამიანის მიმართულებით და მისთვის სულ ერთია, რომელი მოკვდება; 3) დამნაშავე უშვებს ორი ან მეტი სხვადასხვა იერარქიულ საფეხურზე მყოფი სამართლებრივი სიკეთის დაზიანების შესაძლებლობას, მაგრამ ქმედების ობიექტი არ არის ერთიდაიგივე. ქმედებას მხოლოდ ერთი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა შეუძლია. მაგალითად, დამნაშავე ისვრის ცხენზე ამხედრებული კაცის მიმართულებით და უშვებს იმას, რომ ტყვია ან ცხენს მოხვდება ან ცხენზე ამხედრებულ მამაკაცს.[405]

იურიდიულ ლიტერატურაში დავას იწვევს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ალტერნატიული განზრახვის დროს ქმედება არა ხელყოფილი, არამედ გადარჩენილი სიკეთის მიმართ, რო-

---

[403] იხ. *Heinrich B.,* Der Erfolgsort beim abstrakten Gefährdungsdelikt, GA 1999, S. 79; *Martin J.,* Strafbarkeit grenzüberschreitender Umweltbeeinträchtigungen, Zugleich ein Beitrag zur Gefährdungsdogmatik und zum Umweltvölkerrecht, Freiburg, 1989, S. 85.

[404] იხ. *Heinrich B.,* Strafrecht, AT, 3. Aufl., S. 117, Rn. 292.

[405] იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი I, დანაშაული, თბ., 2014, გვ. 104.

მელიც არ დაზიანებულა, მაგრამ, რომელსაც დაზიანების საფრთხე შეექმნა?

მაგალითად, „ა“-მ ცეცხლი გახსნა „ბ“-ს საცხოვრებელი სახლის მიმართულებით. „ა“-მ იცის, რომ „ბ“-ს სახლში იმყოფება როგორც „ბ“, ასევე მისი ცოლი „გ“. დამნაშავე უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ მის მოქმედებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ერთ-ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, მას არ სურს ორივეს მოკვლა, დამნაშავეს სურს მხოლოდ ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

თუ დამნაშავის მოქმედებას შედეგად მოჰყვება ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ხოლო მეორე ადამიანი სიკვდილს შემთხვევით გადაურჩება და დამნაშავეს გაცნობიერებული ჰქონდა გადარჩენილი ადამიანის გარდაცვალების რეალური შესაძლებლობა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მეორე ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნასთან ერთობლიობაში (ვინაიდან სახეზეა ევენტუალური განზრახვა). თუ ჩვენ ვიტყოდით, რომ ამ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ დამთავრებული მკვლელობის მუხლით საფრთხის დელიქტთან ერთობლიობის გარეშე, შეცდომას დავუშვებდით, ვინაიდან, დამნაშავის მოქმედებით რეალური საფრთხე შეექმნა იმ ადამიანის სიცოცხლესაც, რომელიც სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა. დამნაშავე ისევე უშვებდა გადარჩენილი ადამიანის სიკვდილის შესაძლებლობას, როგორც იმ ადამიანისას, რომელიც გარდაიცვალა. განსხვავება ამ შემთხვევაში სურვილშია. დამნაშავეს სურს ერთი კონკრეტული ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ხოლო მეორის სიცოცხლის მოსპობას მხოლოდ შესაძლებლად მიიჩნევს, მაგრამ იგი არ სურს. ე. ი. ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობასთან მიმართებით დამნაშავე პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, ხოლო მეორესთან დაკავშირებით ევენტუალური განზრახვით.

მაშინ, როცა ალტერნატიული განზრახვით განხორციელებულ ქმედებას მხოლოდ ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვება, ქმედების მხოლოდ დამთავრებული მკვლელობის მუხლით კვალიფიკაციით დაირღვეოდა თანასწორუფლებიანობის ფუძემდებლური პრინციპი. აღნიშნული პრინციპით ერთნაირადაა დაცული ყველა ადამიანის სიცოცხლე, როგორც გარდაცვლილი, ისე სიკვდილს შემთხვევით გადარჩენილი ადამიანის სიცოცხლე. ასევე გასათვალისწინებელია კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის დამცველი ნორმის მიზანი. თუ ჩვენ გავიზიარებდით ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის იდეას, საფრთხის შემქმნელი დელიქტის მუხლით ქმედების კვალიფიკაციის ნაცვლად, ქმედება გადარჩენილ ადამიანთან მიმართებით შეგვეძლო მკვლელობის მცდელობითაც დაგვეკვალიფიცირებინა.

რამდენადაც ალტერნატიული განზრახვის დროს შესაძლებელია ერთდროულად წარმოდგენილი იყოს როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვა[406], თუ ქმედებას მხოლოდ ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, ქმედების სწორად შესაფასებლად საჭიროა იმის გათვალისწინება, თუ რომელი ადამიანის სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებით გააჩნდა დამნაშავეს პირდაპირი განზრახვა და რომელთან

[406] იხ. *Jescheck H.H, Weigend T.,* Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 304; *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 479, § 12 Rn. 92, 94.

დაკავშირებით ევენტუალური განზრახვა. თუ ის ადამიანი გარდაიცვალა, რომლის მიმართაც დამნაშავეს ევენტუალური განზრახვა ჰქონდა, ხოლო ის ადამიანი, რომელთან დაკავშირებითაც პირდაპირი განზრახვა გააჩნდა, გადარჩა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ევენტუალური განზრახვით ჩადენილი განზრახ მკვლელობა მკვლელობის მცდელობასთან ერთად.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ალტერნატიული განზრახვა ევენტუალური განზრახვის სფეროა, ვინაიდან დამნაშავეს სურს ერთ-ერთი ადამიანის მოკვლა, მაგრამ არ არის დარწმუნებული კონკრეტული ადამიანის მოკვლაში და ის ორი ადამიანიდან ნებისმიერი ერთის სიცოცხლის მოსპობას მისაღებად მიიჩნევს.[407] მართალია ალტერნატიული განზრახვის დროს წარმოდგენილი შეიძლება იყოს ევენტუალური განზრახვა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს პირდაპირი განზრახვის არსებობას.[408] ალტერნატიული განზრახვა გულისხმობს ალტერნატივას „ან“-„ან“. ეს იმას ნიშნავს, რომ დამნაშავე უშვებს ერთ-ერთი შედეგის და არა ორივე შედეგის ერთდროულად დადგომას.[409] მაგრამ, პირდაპირი განზრახვა შესაძლებელია არსებობდეს მაშინ, როცა გარკვეული შედეგის დადგომის გარდაუვალობას არ აცნობიერებს დამნაშავე, თუმცა სურს, რომ შედეგი დადგეს და ამ შედეგის დადგომას არ გამორიცხავს (უშვებს). თუ პირდაპირი განზრახვისთვის შედეგის დადგომისადმი ნებელობით დამოკიდებულებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა და ყოველთვის საჭირო იქნებოდა შედეგის დადგომის გარდაუვალობის გაცნობიერება, ალტერნატიული განზრახვა ყოველთვის არაპირდაპირ განზრახვას გაუტოლდებოდა. მაგრამ, რაკი პირდაპირი განზრახვა გარკვეული შედეგის დადგომის გარდაუვალობის გაცნობიერების გარეშეც შედეგის გამოწვევის სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია, ალტერნატიული განზრახვა ტოვებს ადგილს პირდაპირი განზრახვისთვის და მას არ გამორიცხავს.

როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს დამნაშავის მიერ ალტერნატიული განზრახვით განხორციელებული ქმედება, მაშინ, როცა ქმედებას შედეგად ორი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვება? თუ დამნაშავე მოქმედებს ალტერნატიული განზრახვით, ვარაუდობს, რომ მის მოქმედებას-ტყვიის სროლას, შედეგად მოჰყვება „ა“-ს ან „ბ“-ს გარდაცვალება და სინამდვილეში კი დამნაშავის მოქმედებას ნაცვლად ერთისა (მაგ. ა-ს ან ბ-ს) შედეგად ორივე ადამიანის გარდაცვალება მოჰყვება, ქმედება ორივე შედეგთან მიმართებაში განზრახია.[410]

---

[407] ალტერნატიული განზრახვის დროს გადარჩენილი სამართლებრივი სიკეთის მიმართ დამნაშავე ევენტუალური განზრახვით მოქმედებს *ო. გამყრელიძის* თვალსაზრისით. იხ. *გამყრელიძე ო.,* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამოცემა, თბ., 2008, გვ. 106, 26-ე სქოლიო. ანალოგიური პოზიცია ასევე იხ. *ტყეშელიაძე გ.,* წიგნში: *ნაჭყებია გ., დვალიძე ი.* (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 134-135.

[408] ალტერნატიული განზრახვის დაყოფას პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვად შესაძლებლად თვლის ასევე *თ. ებრალიძე.* იხ. *ებრალიძე თ.,* წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002, გვ. 107.

[409] იხ. *Rengier R.,* Strafrecht, AT, 3. Aufl., München, 2011, S. 110.

[410] ალტერნატიული განზრახვით განხორციელებული ქმედებით ორი ან მეტი შედეგის გამოწვევასთან დაკავშირებით ანალოგიურ მოსაზრებას ავითარებს *კ. როქსინიც,* მაგრამ მას სხვა მაგალითი მოჰყავს. მაგალითად, ბოროტმოქმედმა განიზრახა თავისი მეზობლის

საკამათოდ შეიძლება ჩაითვალოს ის შეხედულება, რომელიც ქმედებას აკვალიფიცირებს ასეთ შემთხვევაში განზრახ მკვლელობისა და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ერთობლიობით.[411] როგორ შეიძლება რომ მოქმედება ერთ-ერთი შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობით განხორციელებულ მოქმედებად დაკვალიფიცირდეს? გაუფრთხილებლობა ხომ იმას გულისხმობს, რომ დამნაშავეს შედეგის დადგომა არ სურს და დარწმუნებულია კიდეც ამ შედეგის თავიდან აცილებაში. თუ ერთ-ერთი ადამიანის გარდაცვალებას დამნაშავე უშვებს, შეუძლებელია, რომ იგი ამავდროულად დარწმუნებულიც იყოს ამ შედეგის თავიდან აცილებაში? მართალია, დამნაშავის სურვილი მხოლოდ ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობას მოიცავს, თუმცა **არ არის დარწმუნებული, რომელი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა დადგება შედეგად,** რაც გაუფრთხილებლობისთვის, კერძოდ კი, თვითმედოვნებისთვის არის დამახასიათებელი. რამდენადაც არაპირდაპირი განზრახვისთვის არ არის საჭირო შედეგის დადგომის სურვილი და საკმარისია შედეგის დადგომის შესაძლებლობის გაცნობიერება, ქმედება, ზემოთ წარმოდგენილი კაზუსის მიხედვით, შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ევენტუალური განზრახვით განხორციელებული მკვლელობა.

ევენტუალური განზრახვით ქმედების განხორციელებისას თუ ქმედებას ორი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, ქმედების კვალიფიკაცია განზრახ მკვლელობის და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ერთობლიობით იმიტომ არის გაუმართლებელი, რომ თუ ჩვენ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, ქმედება მხოლოდ ერთი ადამიანის მკვლელობის მუხლით უნდა დავაკვალიფიციროთ მაშინ, როცა ალტერნატიული განზრახვით განხორციელებულ ქმედებას მხოლოდ ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, რაც არ იქნებოდა სწორი.

თუ ორი შედეგის დადგომის შემთხვევაში დავუშვებთ ერთი შედეგის მიმართ განზრახვას, ხოლო მეორის მიმართ გაუფრთხილებლობას, ანალოგიურად უნდა გადავწყვიტოთ საკითხი მაშინაც, როცა დამნაშავის მოქმედებას მხოლოდ ერთი შედეგი მოჰყვება და განხორციელებული ქმედება უნდა დავაკვალიფიციროთ მხოლოდ როგორც დამთავრებული განზრახი დანაშაული. ხოლო გადარჩენილი სიკეთის მიმართ უნდა გავათავისუფლოთ დამნაშავე მცდელობისთვის პასუხისმგებლობისაგან, ვინაიდან გაუფრთხილებლობით მცდელობა შეუძლებელია. მაგრამ, მაშინ, როცა საკითხი თანაბარი ღირებულების სიკეთეებს ეხება, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მიუღებელია. გადარჩენილი სამართლებრივი სიკეთის მიმართ ქმედება, მოსალოდნელი შედეგისადმი სუბიექტური დამოკიდებულების გათვალისწინებით, საფრთხის შემქმნელ დელიქტად ან დანაშაულის მცდელობად უნდა დაკვალიფიცირდეს. მოყვანილი მსჯ-

---

სახლის ფანჯრის შუშის ჩამტვრევა და იგი სერიოზულად უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ მისი მეზობელი შეიძლება იმ დროს იმ ოთახში იყოს. თუმცა, მას მეზობლის მოკვლის ან ჯანმრთელობის დაზიანების მიზანი არ ამოძრავებს. თუ შუშის ჩამტვრევას მეზობლის ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობის წესით, როგორც სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება ჯანმრთელობის (ევენტუალური) განზრახ დაზიანებასთან ერთად. იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 479, §12 Rn. 92.

[411] იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 147; *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 313.

ელობის შემდეგ ჩნდება კითხვა: თუ ორი შედეგის დადგომისას ერთი შედეგის მიმართ გვაქვს განზრახვა, ხოლო მეორის მიმართ გაუფრთხილებლობა, როგორ შეიძლება ეს გაუფრთხილებლობა განზრახვად გადაიქცეს მხოლოდ ერთი შედეგის დადგომისას? ან როგორ შეიძლება გაუფრთხილებლობად გადაიქცეს შედეგის დადგომის მერე ის, რაც შედეგის დადგომამდე განზრახვას წარმოადგენდა?

იმ შემთხვევაში, როცა სამართლებრივი სიკეთეები არ არიან თანაბარი ღირებულების და ალტერნატიული განზრახვით განხორციელებულ ქმედებას მხოლოდ ერთი ქმედების შემადგენლობის განხორციელება მოჰყვება, უპირატესობა ენიჭება უფრო მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს. თუ დამნაშავის მოქმედებას შედეგად მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ხოლო ნაკლები ღირებულების სამართლებრივი სიკეთე (ცხენი), რომლის ხელყოფის საფრთხეც არსებობდა, გადარჩა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, მხოლოდ როგორც ადამიანის მკვლელობა.[412] ხოლო, მაშინ, როცა საწინააღმდეგო სურათს მივიღებთ (ცხენის სიკვდილი და ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა) წარმოდგენილი მოსაზრებით, ქმედება უნდა შეფასდეს როგორც სხვისი ნივთის განადგურება ან დაზიანება ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნის შემადგენლობასთან ან მკვლელობის მცდელობასთან ერთად. თუმცა, აქ მნიშვნელოვანია გადარჩენილი სიკეთის ხელყოფის შესაძლებლობისადმი დამნაშავის დამოკიდებულების გათვალისწინება, ვინაიდან ალტერნატიული განზრახვა განზრახვის ორივე სახით არის შესაძლებელი. გადარჩენილი უფრო მნიშვნელოვანი სიკეთის – სიცოცხლის მიმართ პირდაპირი განზრახვით თუ მოქმედებდა დამნაშავე, ქმედება მკვლელობის მცდელობადაც დაკვალიფიცირდება, ხოლო ევენტუალური განზრახვით მოქმედებისას, სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელ დელიქტად. მაგრამ, ის ავტორები, რომლებიც ევენტუალური განზრახვით მცდელობას შესაძლებლად მიიჩნევენ, უკანასკნელ შემთხვევაში, ქმედებას სხვისი ნივთის დაზიანებასთან ერთად მკვლელობის მცდელობად აფასებენ[413].

4. თვითიმედოვნება საფრთხის დელიქტებში

მას შემდეგ, რაც გავარკვიეთ განზრახვის საკითხი, მიზანშეწონილია განხილულ იქნეს გაუფრთხილებლობის პრობლემა საფრთხის დელიქტებთან მიმართებით. საფრთხის შემქმნელი დელიქტები შეიძლება განხორციელდეს როგორც განზრახ, ისე განუზრახველად. საქართველოს სსკ-ი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს განუზრახველად საფრთხის დელიქტების განხორციელებისთვის. თუმცა, საინტერესო ისაა, არის თუ არა შესაძლებელი განუზრახველობის ორივე სახით კონკრეტული და აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების განხორციელება.

გაუფრთხილებლობის ორი სახე არსებობს: თვითიმედოვნება და დაუდევრობა. სსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა

---

[412] საკითხისადმი ანალოგიური მიდგომა ასევე იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 480, §12 Rn. 94; *Heinrich B.,* Strafrecht, AT I, 2. Aufl., S. 111-112.

[413] იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილის მიმოხილვა,მე-9 გამოცემა,თბ., 2013,გვ. 147.

წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო *შედეგის* დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ *შედეგს* თავიდან აიცილებდა". თვითიმედოვნების დროს დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ ქმედება, რომელსაც ჩადის აკრძალულია, თუმცა იმედოვნებს *შედეგის* თავიდან აცილებას. ამიტომ მას „შეგნებულ ანუ გაცნობიერებულ გაუფრთხილებლობასაც" უწოდებენ.[414]

თვითიმედოვნების დროს დამნაშავე დარწმუნებულია, რომ დანაშაულებრივ შედეგს თავიდან აიცილებს, რაც კონკრეტული საფრთხის დელიქტებში გულისხმობს იმას, რომ დამნაშავე დარწმუნებულია კონკრეტული საფრთხის, როგორც გარკვეული შედეგის, თავიდან აცილებაში. როგორც *მ. უგრეხელიძე* აღნიშნავს „სუბიექტი შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ რეალურ საფრთხეს ქმნის თავისი ქმედებით, მაგრამ ქარაფშუტულად იყოს დარწმუნებული, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს მოპირისპირე, გამანეიტრალებელი ძალები, რომლებიც ხელს შეუშლიან საფრთხის წარმოშობას".[415] საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში უხვად მოიპოვება კონკრეტული საფრთხის დელიქტები, რომლებიც გაუფრთხილებლობით შეიძლება განხორციელდეს. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 131-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კონკრეტული საფრთხის დელიქტი (სხვისთვის შიდსის გაუფრთხილებლობით შეყრა პროფესიული მოვალეობის შესრულებისას).

მ. უგრეხელიძე სწორად აღნიშნავს, რომ გაუფრთხილებლობის შინაარსი ყველაზე სრულად შედეგიან დელიქტებშია წარმოდგენილი, ხოლო შედეგგარეშე ანუ ფორმალურ დელიქტებში, პირიქით, ვიწროდ. ერთი შეხედვით, გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო განსაზღვრების გათვალისწინებით, ფორმალურ შემადგენლობებში გაუფრთხილებლობის კონსტრუქციის აგების შესაძლებლობა საეჭვოა, ვინაიდან ფორმალურ დელიქტებში არც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა და არც კონკრეტული საფრთხის შექმნა საჭირო არ არის, ხოლო გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო დეფინიციაში აქცენტი სწორედ შედეგისადმი დამოკიდებულებაზეა გაკეთებული.[416] თუმცა, უნდა ითქვას, რომ არსებობს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები, რომელთა განხორციელება განუზრახველად ხდება. ამიტომ, სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოითქვა შეხედულება, რომ გაუფრთხილებლობის ცნების ჩამოყალიბების დროს მხოლოდ შედეგისადმი დამოკიდებულების ხაზგასმა, კანონის ხარვეზია. აღნიშნული შეხედულება არ არის გასაზიარებელი, ვინაიდან დანაშაულის ყველაზე სრულყოფილი ფორმა შედეგიანი დელიქტია და ამიტომ მიუთითა კანონმდებელმა დანაშაულებრივი შედეგისადმი დამოკიდებულებაზე გაუფრთხილებლობის დეფინიციის ჩამოყალიბებისას. გაუფრთხილებლობით არა მხოლოდ შედეგიანი, არამედ უშედეგო დანაშაულის განხორციელებაც რომ შესაძლებელია, ამაზე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი მიუთითებს, რომელშიც, მართალია, ბევრი არა, მაგრამ მცირე მოცულობით მაინც, ვხვდებით

---

[414] იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 554.

[415] იხ. *უგრეხელიძე მ.*, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 24.

[416] იხ. *Угрехелидзе М.*, Проблема неосторожной вины в уголовном праве, Тб., 1976, с. 99-100.

ისეთ ფორმალურ დელიქტებს, რომლებიც მხოლოდ განუზრახველად შეიძლება განხორციელდეს. დელიქტების სხვადასხვა სახე არსებობს და კანონმდებელი გაუფრთხილებლობის დეფინიციის ჩამოყალიბებისას ყველა ტიპის დელიქტზე ვერ მიუთითებდა და საკანონმდებლო განსაზღვრებას თითოეულ მათგანს ვერ მოარგებდა. ამიტომ, კანონმდებელმა გაუფრთხილებლობის ცნების ჩამოყალიბებისას მიუთითა დელიქტებიდან ყველაზე სრულყოფილ სახეზე.

თანამედროვე სისხლის სამართლის ლიტერატურაში დავას არ იწვევს ის, შეიძლება თუ არა გაუფრთხილებლობას ადგილი ჰქონდეს შედეგგარეშე დელიქტებში. უფრო მეტად აზრთა სხვაობა სუფევს იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა შესაძლებელი ფორმალური დელიქტების განხორციელება როგორც დაუდევრობით, ისე თვითიმედოვნებით.

მ. უგრეხელიძის თვალსაზრისით, კონკრეტული საფრთხის დელიქტებისაგან განსხვავებით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში თვითიმედოვნება არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი. მისი შეხედულებით, ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში გვევლინება მის იმანენტურ თვისებად და ამიტომ მისი შეგნება არ ტოვებს ადგილს რაიმე ვარაუდისთვის, რომ გარკვეულ გარემოებათა არსებობისას (რომლებზედაც შეიძლებოდა იმედის დამყარება შედეგიან შემადგენლობებში), ქმედების ფაქტობრივი მხარე, რაღაც მომენტში, დაჰკარგავს თავის სოციალურ თვისებას.[417] მაგრამ, აღნიშნული დებულება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ევენტუალური განზრახვის შეუძლებლობის იდეის მსგავსად შეიძლება საკამათოდაც მივიჩნიოთ, თუ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედების და აბსტრაქტული საფრთხის დროით და სივრცით გამიჯვნა შესაძლებელია. გარდა ამისა, არსებობს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების გამორჩეული ტიპი, რომელიც აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტების სახელწოდებითაა ცნობილი და ამ სახის აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში, მათი თავისებურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია თვითიმედოვნებაზე საუბარი. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 242-ე მუხლით გათვალისწინებულ აბსტრაქტულ-კონკრეტულ საფრთხის დელიქტში. აღნიშნული მუხლით ისჯება „აფეთქებასაშიშ საწარმოში ან საამქროში საწარმოოტექნიკური უსაფრთხოების წესის დარღვევა, რასაც გაუფრთხილებლობით შეეძლო გამოეწვია მძიმე შედეგი“. შეიძლება დამნაშავე აცნობიერებდეს, რომ არღვევს საწარმოოტექნიკური უსაფრთხოების წესებს და თან უსაფუძვლოდ იმედოვნებდეს, რომ განხორციელებული ქმედება არ შექმნის მძიმე შედეგის გამოწვევის შესაძლებლობას. ვინაიდან, მძიმე შედეგის დადგომა ქმედების შემადგენლობის მიღმა დგას და ქმედების შემადგენლობის ნიშანს მხოლოდ მძიმე შედეგის დადგომის შესაძლებლობის შექმნა წარმოადგენს, თვითიმედოვნება სწორედ შედეგის დადგომის შესაძლებლობისადმი დამოკიდებულებით დგინდება. გაუფრთხილებლობა, ისევე როგორც განზრახვა, როგორც წესი, ქმედების შემადგენლობის ნიშნებისადმი დამოკიდებულებით განისაზღვრება, ამიტომ გაუფრთხილებლობა იმ შედეგისადმი დამოკიდებულებით ვერ დადგინდება, რომელიც ქმედების შემადგენლობის მიღმაა.

---

[417] იხ. *Угрехелидзе М.*, იქვე,გვ. 102; *უგრეხელიძე მ.,* იქვე,გვ. 25.

სსკ-ის 242-ე მუხლით გათვალისწინებულ დელიქტში თვითიმედოვნებას შესაძლებლად მიიჩნევს *გ. მამულაშვილიც,*[418] მაგრამ, იგი, ჩვენგან განსხვავებით, აღნიშნულ შემადგენლობას კონკრეტული საფრთხის დელიქტებს მიაკუთვნებს.[419]

კლასიკურისგან განსხვავებით, აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტებში თვითიმედოვნების შესაძლებლობის დასაბუთება გაცილებით ნაკლებ სიროულეს ქმნის, ვინაიდან ამ სახის დელიქტები შეიცავენ კონკრეტული საფრთხის დელიქტებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. კერძოდ, ქმედების შემადგენლობაში მოცემულია მძიმე შედეგის დადგომის შესაძლებლობაზე მითითება.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისით, მაშინ, როცა საუბარია გაუფრთხილებლობაზე არა შედეგიან, არამედ ფორმალურ (აბსტრაქტული საფრთხის) დელიქტებში, უნდა გამოვიყენოთ ტერმინი „გაუცნობიერებლობა“ და არა „გაუთვალისწინებლობა“. ვინაიდან, ტერმინი „გათვალისწინება“ გამოიყენება მოსალოდნელთან, მომავალთან დაკავშირებით, ხოლო „გაცნობიერება“ უკვე ამჟამინდელთან მიმართებით. გაუფრთხილებლობით ფორმალურ დელიქტებში ადგილი აქვს არა იმ შედეგის გაუთვალისწინებლობას, რომელიც ქმედების განხორციელებას მოჰყვება, რაც ქმედების განხორციელებისას ჯერ კიდევ არ არსებობს და, ამ გაგებით, ქმედების განხორციელებისას მომავლის კუთვნილებაა, არამედ ქმედების სოციალური საშიშროების გაუცნობიერებლობას, რომლის გაცნობიერებაც შეიძლებოდა.[420] თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზოგჯერ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებშიც არის შესაძლებელი ქმედების და ქმედებით შექმნილი საფრთხის ერთმანეთისგან გამიჯვნა როგორც დროით, ისე სივრცით,[421] შეიძლება საეჭვოც გახდეს, თუ რამდენად მართებულია ფორმალურ დელიქტებთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება და არის თუ არა ყოველთვის ტერმინ „გათვალიწინებაზე“ უარის თქმა მიზანშეწონილი იმ აბსტრაქტულ საფრთხესთან მიმართებით, რომლის შექმნასაც შესაბამისი ქმედების განხორციელება დროით წინ უსწრებს.

5. დაუდევრობა საფრთხის დელიქტებში

გაუფრთხილებლობის მეორე სახეს წარმოადგენს დაუდევრობა, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტში შემდეგნაირადაა განმარტებული: „ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც“. დაუდევრობას სხვანაირად „გაუცნობიერებელ გაუფრთხილებლობასაც“ უწოდებენ, რამდენადაც, დაუდევრობის დროს არ არის წარმოდგენილი ინტელექტუალური მომენტი-ქმედების

---

[418] იხ. *მამულაშვილი გ.*, წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 691.

[419] იხ. *მამულაშვილი გ.*, იქვე, გვ. 690.

[420] იხ. *Угрехелидзе М.*, იქვე, გვ. 102-103.

[421] იხ. II თავი.

მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება, რომელიც თვითიმედოვნებისა და განზრახვისთვისაა დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე არ არის ასევე ნებელობითი მომენტიც-სურვილი შედეგის დადგომისა ან საფრთხის შექმნისა. შეუძლებელია გსურდეს ის, რაც არ იცი.

არავითარ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს იმის დასაბუთება, რომ დაუდევრობა კონკრეტული საფრთხის დელიქტებში თეორიულადაც და პრაქტიკულადაც შესაძლებელია. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტთა ისეთ შემადგენლობებს, რომელთა განხორციელება შესაძლებელია გაუფრთხილებლობის ორივე ფორმით, როგორც თვითიმედოვნების, ისე დაუდევრობის (მაგალითად, სსკ-ის 131-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დელიქტი).

რაც შეეხება დაუდევრობას აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების მხოლოდ განზრახ განხორციელებაა შესაძლებელი და გამორიცხულია დაუდევრობით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ჩადენის შესაძლებლობა.[422]

საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში არაერთმა ავტორმა მართებულად დაუჭირა მხარი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში დაუდევრობის არსებობის საკითხს.[423]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების შემადგენლობები, რომელთა განხორციელება დაუდევრობითაც შეიძლება. კერძოდ, 241-ე (ატომური ენერგეტიკის ობიექტზე უსაფრთხოების წესის დარღვევა), 242-ე (აფეთქებასაშიშ საწარმოში ან საამქროში უსაფრთხოების წესის დარღვევა), 245-ე (ბირთვული მასალის, რადიაქტიური ნარჩენის, რადიაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროსადმი მოპყრობის წესის დარღვევა) მუხლებით გათვალისწინებული დელიქტები.

6. შეჯამება

კონკრეტული და აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები შეიძლება განხორციელდეს განზრახვის და განუზრახველობის ორივე სახით. იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვაობა გამოიწვია აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში არაპირდაპირი განზრახვისა და თვითიმედოვნების შესაძლებლობამ, მაგრამ წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი დებულების მიხედვით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები შეიძლება განხორციელდეს როგორც ირიბი განზრახვით, ისე თვითიმედოვნებით.

ნაკლებად პრობლემატურია არაპირდაპირი განზრახვით და თვითიმედოვნებით აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტების განხორციელების შესაძლებლობის დასაბუთება. რაც შეეხება კლასიკურ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს, აქ ევენტუალური განზრახვის და

---

[422] იხ. *თოდუა ნ.,* საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, "მართლმსაჯულება და კანონი", 2007, №2/3, გვ. 154; *მამულაშვილი გ.,* წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 149.

[423] იხ. *უგრეხელიძე მ.,* იქვე, გვ. 33-34.

თვითიმედოვნების დადგენის შესაძლებლობას იძლევა ის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ქმედება და აბსტრაქტული საფრთხე დროით და სივრცით ერთმანეთისგან გაიმიჯნოს. თუ არ გავიზიარებდით ამ უკანასკნელ მოსაზრებას, იმის დასაბუთებაც გაგვიჭირდებოდა, რომ ირიბი განზრახვით და თვითიმედოვნებით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების განხორციელება შეიძლება.

V. თავი

სამართლებრივი სიკეთის დაცვა, როგორც საფრთხის შემქმნელი დელიქტების დასჯადობის ლეგიტიმაციის საფუძველი

1. სამართლებრივი სიკეთის ცნება

სამართლებრივი სიკეთის არსებობის საკითხი პირველად მე-19 საუკუნეში დაისვა. მანამდე დანაშაული უფლების ხელყოფად მიიჩნეოდა.[424] ცნობილი გერმანელი მეცნიერი *ფოიერბახი* თავის „უფლების ხელყოფის თეორიაში“ (Rechtsverletzungstheorie) დანაშაულს განმარტავს, როგორც სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი, სისხლის სამართლის კანონით გარანტირებულ თავისუფლების ხელყოფას და სხვათა უფლებების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას, რომელსაც სისხლის სამართლის კანონი ემუქრება. სახელმწიფოს მიზანია ინდივიდუალური უფლებების დაცვა და, შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დასჯადობის წანამძღვარია ამ უფლებათა ხელყოფა.[425] მორალისა და ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დელიქტები ინდივიდუალური უფლების ხელყოფას არ გულისხმობენ და ამიტომ, *ფოიერბახისეული* გაგებით, შეუძლებელია დანაშაულად მათი შეფასება. ასეთი დელიქტები უნდა დასჯილიყო, როგორც პოლიციური სამართალდარღვევა (Polizeiübertretungen).[426]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ისეთ დანაშაულს, როგორიცაა „დანაშაული საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ“ (ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა, პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემა, მიცვალებულისადმი უპატივცემულობა). დანაშაულის *ფოიერბახისეული* განმარტებით, აღნიშნული სამართალდარღვევა ვერ მიიჩნევა დანაშაულად, ვინაიდან, როგორც დანაშაულებრივი ქმედების სახელწოდებაც მიგვითითებს, ხელყოფისგან დასაცავი სიკეთეა საზოგადოებრივი ზნეობა, მორალი, რაც, ბუნებრივია, არ არის ინდივიდუალური სიკეთე. აქ საუბარია საზოგადოებაზე და არა ცალკეულ პიროვნებაზე, როგორც საზოგადოების წევრზე. გარდა „საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა“, სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სხვა სახის დანაშაულებსაც, რომლებიც ასევე არ არის მიმართული ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ. მაგალითად, დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

მე-19 საუკუნის ოცდაათიან წლებში *ბირნბაუმმა* ჩამოაყალიბა სამართლებრივი სიკეთის დაცვის მოძღვრება, რომლის თანახმად, დანაშაული ხელყოფს სიკეთეს, რომელიც ადამიანს ბუნებისგან, საზოგადოებისგან და, უპირველეს ყოვლისა, პოზიტიურსამართლებრივი ნორმებით აქვს მინიჭებული.[427] იგი დაცულ სიკეთეს ორ კატეგორიად ჰყოფდა: „ნატურალურ“ და „სოციალურ“ სიკეთედ. პირველს იგი მიაკუთვნებდა „ბუნებისგან ბოძებულ ადამიანებს“, ხოლო მეორეს „ადამიანებს, როგორც მათი საზოგადოებრივი განვითარებისა და სამოქალაქო საზოგადოების რე-

---

424 იხ. *Haft F.,* Strafrecht, AT, 8. Aufl., München, 1998, S. 73.

425 იხ. *Swoboda S.*, Die Lehre Rechtsgut und ihre Alternativen, ZStW 2010, S. 26.

426 იხ. *Swoboda S.*, იქვე, გვ. 26.

427 იხ. *Haft F.,* იქვე, გვ. 73.

ზულტატს“. დაცული სამართლებრივი სიკეთის ორსახოვანი დაყოფის საფუძველზე, *ბირნბაუმი* ახდენდა დანაშაულის კლასიფიკაციას, „ბუნებრივ“ და „სოციალურ“ დანაშაულებად, რომელიც მიმართულია კოლექტივის და ინდივიდების წინააღმდეგ. იგი არ გამორიცხავდა ამორალური და ანტირელიგიური ქმედების დასჯადობის შესაძლებლობას.[428]

მე-19 საუკუნის მიწურულს და მე-20 საუკუნის დასაწყისში *ბირნბაუმის* მოძღვრებამ განვითარება ჰპოვა. *ლისტმა* დანაშაული განმარტა როგორც სამართლებრივად დაცული ინტერესების ხელყოფა.[429] *ლისტის* შეხედულება ეფუძნებოდა *რუდოლფ ფონ იერინგის* სწავლებას, რომლის მიხედვით მიზანი არის ყველა სამართლის „შემქმნელი“ (შემოქმედი).[430] ნებისმიერმა სამართლებრივმა ნორმამ უნდა დაადასტუროს მისი მიზანშეწონილობა განსაზღვრული სუბიექტებისთვის, სუბიექტური ინტერესების მატარებლებისთვის. ამ ინტერესების, სამართლებრივი სიკეთის მატარებელში *იერინგი* გულისხმობს არა მხოლოდ ინდივიდებს, არამედ კოლექტიურ საზოგადოებას და სახელმწიფოსაც. სახელმწიფო და ინდივიდი არ უპირისპირდებიან ერთმანეთს და არ არიან გაუცხოებული, არამედ არსებობს ასეთი გამონათქვამიც: „სახელმწიფო თავად არის ცალკეულ ადამიანთა ერთობა“.[431] ამ შემთხვევაში იგულისხმება ის, რომ სახელმწიფო სამართლებრივ საზოგადოებაში თითოეული მოქალაქის, და არა საზოგადოების გარკვეული ფენის, ინტერესების დამცველად გვევლინება.

ჰასემერი სამართლებრივ სიკეთედ მიიჩნევს იმ ადამიანურ ინტერესებს, რომლებიც სისხლისსამართლებრივ დაცვას საჭიროებს.[432] მისი თვალსაზრისით, სისხლის სამართლის ლეგიტიმაციისთვის საკმარისი არ არის ინტერესის მხოლოდ სოციალურად დასაბუთებული, მაშასადამე, არაინდივიდუალური მნიშვნელობა.[433] ამავე თვალთახედვით, უნივერსალური სამართლებრივი სიკეთის სისხლისსამართლებრივი დაცვა მოითხოვს, ინდივიდუალური ინტერესებიდან გამომდინარეობდეს, რომ ქმედება დასჯის ღირსია. გარემოს დაზიანების, გარემოსთვის საფრთხის შექმნის დასჯადობა ეფუძნება არა გარემოს, როგორც საზოგადოებრივი სიკეთის დაცვის აუცილებლობას, არამედ იმ იდეას, რომ ჯანსაღი გარემო, როგორც „ადამიანური ცხოვრების პირობების ანსამბლი“ („Ensemble der menschlichen Lebensbedingungen“) ინდივიდუალური-ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი ინტერესების განხორციელებას ემსახურება.[434]

ჰასემერი ინდივიდუალურ ინტერესებს წინა პლანზე აყენებს, ვიდრე საზოგადოებრივ ან სახელმწიფო ინტერესებს. სამართლებრივ სიკეთეზე მისი მოძღვრების მთავარი ქვაკუთხედი სწორედ ადამიანი, ადამიანური ინტერესებია. ამ მხრივ საყურადღებოა ქართული სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის კერძო ნაწილი, განსხვავებით 1960 წლის ქართული საბჭოური სისხლის სამართლის კოდექსისგან, სწორედ ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებით იწყება. ამით ყველაფერია ნათქ-

---

428 იხ. *Swoboda S.*, იქვე, გვ. 27.

429 იხ. *Haft F.,* იქვე, გვ. 73.

430 იხ. *Röhl K., Röhl H.*, Allgemeine Rechtslehre, Ein Lehrbuch, 3. Aufl., Köln. München, 2008, S. 357.

431 იხ. *Swoboda S.*,იქვე , გვ. 31.

432 იხ. *Hassemer,Neumann.*, in: NK, Band 1, 2. Aufl., 2005, S. 107, §1. Rn. 144.

433 იხ. *Hassemer,Neumann.*, იქვე,გვ. 106,§1. Rn. 137.

434 იხ. *Hassemer,Neumann.*, იქვე,გვ. 106,§1. Rn. 135.

ვამი. ქართველმა კანონმდებელმა წინა პლანზე დააყენა ადამიანის ინტერესები. მაგრამ, ამასთან ერთად, ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ზოგჯერ წინა პლანზე სახელმწიფო ინტერესები დგება. შეიძლება ეს ქართული სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილიდან მკაფიოდ არ იკვეთება, მაგრამ ამაზე მეტყველებს შემდეგი გარემოებები: ადამიანს, მართალია, გმირობა და სხვისთვის თავის გაწირვა არ მოეთხოვება, მაგრამ შეიძლება პროფესიიდან ან სხვა ფაქტორიდან გამომდინარე, ევალებოდეს საფრთხის თავის თავზე მიღება. ჯარისკაცი, როცა ბრძოლის ველზე მტრის თავდასხმას იგერიებს და ამით სახელმწიფო ინტერესებს იცავს, არ არის უფლებამოსილი უარი თქვას იმ საფრთხის მიღებაზე, რომელიც მას პირადად ემუქრება. იგივე ითქმის პოლიციელზეც, როცა იგი წესრიგს, მაშასადამე, საზოგადოებრივ ინტერესებს იცავს. პოლიციელი არა მხოლოდ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიც არის, დაიცვას წესრიგი და საჭიროების შემთხვევაში შეებას მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენს. პოლიციელს და ჯარისკაცს მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულება საკუთარი სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნის ფასად უჯდებათ, რაც არც თუ იშვიათად სიცოცხლის მოსპობითაც სრულდება. ამიტომ, ზოგჯერ რთულიც შეიძლება იყოს გადაჭრით პასუხის გაცემა კითხვაზე, რა უფრო პრიორიტეტულია: ადამიანური (ინდივიდუალური), საზოგადოებრივი თუ საეხელმწიფო ინტერესები?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა *ბ. ზოიძის* შეხედულება, რომელიც აღნიშნავს, რომ „სამართალი ინდივიდუალური ინტერესების გარშემო ტრიალებს. ეს, ცხადია, ჩემი და შენი ინტერესია. რაც შეეხება საზოგადოდ ჩვენს ინტერესს, ესეც ჩემი ინტერესის გამოვლენის საშუალებაა. ის არსებობს დამოუკიდებლად, მაგრამ არსებობს არა თავისთავად, არამედ ჩემთვის".[435]

სისხლის სამართლის ლიტერატურაში სადავოა საკითხი იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთე. იგი სხვადასხვანაირად არის განმარტებული: როგორც „თავისუფლების და მისი არსებობის პირობების შესახებ სამართლებრივი ქცევის წესის განსაკუთრებული გამოხატულება", „მდგომარეობა, რომლის ხელყოფა და დაცვაც შესაძლებელია", „სამართლებრივად, მინიმუმ, დაცვის ღირსი სიკეთე", „სისხლისსამართლებრივად დაცული ინტერესები", „გასუფლიერებული იდეალური ღირებულება", „სოციალური წესრიგის სამართლებრივად დაცული აბსტრაქტული ღირებულება",[436] „იდეალური სოციალური ღირებულება"[437] და ა.შ. მიუხედავად სამართლებრივ სიკეთეზე არსებულ აზრთა სხვაობისა, ერთსულოვანი დამოკიდებულება არსებობს იმაზე, რომ ქმედების შემადგენლობა სამართლებრივი სიკეთის მიხედვით უნდა განიმარტოს.[438]

---

[435] იხ. *ზოიძე ბ.*, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, თბ., 2013, გვ. 116.

[436] იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, 4. Aufl., München, 2006, S. 14.

[437] იხ. *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Auflage, Heidelberg, 2010, S. 3, § 1, Rn.8.

[438] იხ. *Roxin C.*, იქვე, გვ. 14.

2. „დანაშაულის ობიექტი“ თუ „სამართლებრივი დაცვის სიკეთე“?

ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში სამართლებრივი სიკეთის აღსანიშნავად დღემდე გამოიყენება ტერმინი „დანაშაულის ობიექტი“.[439] განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება მიჩნეულ იქნეს „დანაშაულის ობიექტად“. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ მასში იგულისხმება ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელიც ზიანს განიცდის დანაშაულის შედეგად.[440]

ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში „დანაშაულის ობიექტს“ ყოფენ ზოგად, გვარეობით, სახეობით და უშუალო ობიექტად.[441] „დანაშაულის ზოგად ობიექტად“ *გ. ტყეშელიაძე* მიიჩნევს „სისხლის სამართლის კანონით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომელთაც ხელყოფს დანაშაულებრივი ქმედება“.[442] იგი „დანაშაულის ზოგადი ობიექტის“ შემადგენელ ნაწილად სთვლიდა არა მხოლოდ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, არამედ სისხლის სამართლის კანონსაც.[443] მისი თვალსაზრისით, „დანაშაულის ობიექტის“ მატერიალური მხარეა საზოგადოებრივი ურთიერთობები, ხოლო ფორმალური კი, სისხლის სამართლის კანონი. როდესაც დამნაშავე ჩადის დანაშაულს, არა მხოლოდ აზიანებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, არამედ არღვევს ნორმის ავტორიტეტს და პრესტიჟს.[444]

გ. ტყეშელიაძე აკრიტიკებდა იმ ავტორებს, რომლებიც „დანაშაულის ობიექტად“ მხოლოდ საზოგადოებრივ ურთიერთობებს განიხილავდნენ. მაგრამ, მისი კრიტიკა არ იყო სათანადოდ არგუმენტირებული და არ გააჩნდა მყარი საფუძველი. თუ სისხლის სამართლის ნორმა იცავს საზოგადოებრივ ურთიერთობებს და ამ მიზანს ემსახურება, როგორ შეიძლება, რომ იგი (სისხლის სამართლის ნორმა) თავად იყოს დაცვის ობიექტი? სისხლის სამართლის ნორმა არის საშუალება (და არა მიზანი), რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სამართლებრივი სიკეთის დაცვა, მაგრამ, თუ ჩვენ სისხლის სამართლის ნორმას გამოვაცხადებთ დაცვის ობიექტად, ერთმანეთში ავურევთ მიზანს და საშუალებას. სისხლის სამართლის ნორმასა და ამ ნორმით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს შორის ისეთი ურთიერთდამოკიდებულებაა, როგორც მიზანსა და საშუალებას შორის.

დანაშაულის გვარეობითი ობიექტი, ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, არის „სისხლის სამართლის კანონით დაცული ის ეროგვაროვანი ან იგივეობითი საზოგა-

---

[439] იხ. *წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ.,* მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969, გვ. 138; *სურგულაძე ლ.,* სისხლის სამართალი, დანაშაული, თბ., 2005, გვ. 81; *ხუროშვილი გ.,* წიგნში: *ნაჭყებია გ., დვალიძე ი.,* (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 110; *ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ.,* წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 9.

[440] იხ. *წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ.,* მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969, გვ. 138; *სურგულაძე ლ.,* სისხლის სამართალი, დანაშაული, თბ., 2005, გვ. 81.

[441] იხ. *წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ.,* იქვე, გვ. 138-157; *ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ.,* სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 9.

[442] იხ. *წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ.,* იქვე, გვ. 149.

[443] იხ. *წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ.,* იქვე, გვ. 142-143.

[444] იხ. *წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ.,* იქვე, გვ. 144-145.

დებრივი ურთიერთობები, რომელთა წინააღმდეგაც მიმართულია დანაშაულებრივი ხელყოფა".[445] გამოთქმული შეხედულების შესაბამისად, გვარეობითი ობიექტი უდევს საფუძვლად სისხლის სამართლის კერძო ნაწილის დაყოფას კარებად. რაც შეეხება სახეობით ობიექტს, იგი წარმოადგენს მონათესავე ურთიერთობათა ერთობლიობას და სახეობითი ობიექტის მიხედვით იყოფა კერძო ნაწილი თავებად.[446] ხოლო „დანაშაულის უშუალო ობიექტს წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონით დაცული კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობა".[447]

იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ზოგიერთი დანაშაულის განხორციელებისას გვარეობითი და უშუალო ობიექტი ემთხვევა ერთმანეთს. კერძოდ, ისეთ დანაშაულებში, როგორიცაა: ქურდობა, ძარცვა, თაღლითობა. ქონება არ შეიძლება იყოს ხელყოფის ობიექტი იმიტომ, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობა შეიძლება არსებობდეს არა ადამიანებსა და ნივთებს შორის, არამედ ადამიანებს შორის.[448]

მ. ლეკვეიშვილი აღნიშნავს, რომ დანაშაულის უშუალო ობიექტის გამოვლენას ხშირად აძნელებს ის, რომ დანაშაული, როგორც წესი, ახიანებს არა ერთ, არამედ ორ ან მეტ ობიექტს ერთდროულად. მაგალითად, ყაჩაღობის, გაუპატიურების, სატრანსპორტო და სხვა დანაშაულთა განხორციელებისას. აღნიშნული კი არც თუ იშვიათად სასამართლო პრაქტიკაში ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ შეცდომებს განაპირობებს.[449] აღნიშნულ დანაშაულებს „ორობიექტიან დანაშაულსაც" უწოდებენ, ვინაიდან დანაშაულებრივი ქმედება დასახელებულ შემთხვევებში ხელყოფს არა ერთ, არამედ ორ ან მეტ სიკეთეს. თუმცა, ამ ორი ან მეტი სამართლებრივი სიკეთიდან წინა პლანზე არის დაყენებული ერთი კონკრეტული სამართლებრივი სიკეთე. ამის გათვალისწინებით ხდება შესაბამისი ქმედების ასახვა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ამა თუ იმ თავში. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში თავები სამართლებრივი დაცვის სიკეთის მიხედვითაა განლაგებული. ყაჩაღობა იმიტომ არის საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში გათვალისწინებული, რომ საკუთრება, როგორც სიკეთე, წინა პლანზეა წამოწეული. ყაჩაღობა ასევე საფრთხის შემქმნელი დელიქტია, რამდენადაც იგი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, მაგრამ ყაჩაღობა იმიტომ კი არ არის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რომ საკუთრება უფრო მნიშვნელოვანი სიკეთეა, ვიდრე სიცოცხლე ან ჯანმრთელობა, არამედ იმიტომ, რომ ყაჩაღობის დროს დამნაშავის ქმედება სხვისი ნივთის მისაკუთრების მიზნითაა წარმართული. დამნაშავეს სხვისი ნივთის მისაკუთრების მიზანი ამოძრავებს, რაც განაპირობებს ყაჩაღობის კვალიფიკაციას საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად.

გ. ხუროშვილმა გააკრიტიკა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „და-

---

[445] იხ. *წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ.,* იქვე, გვ. 150.

[446] იხ. *ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ.,* სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 9.

[447] იხ. *წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ.,* იქვე, გვ. 153.

[448] იხ. *Леквеишвили М.,* Объект уголовно-прававой охраны и его значение для квалификации преступлений, уголовно-правовые исследования, Тб., 1987, с. 96.

[449] იხ. *Леквеишвили М.,* იქვე, გვ. 96.

ნაშაულის ობიექტია“ საზოგადოებრივი ურთიერთობანი და აღინიშნა, რომ „დანაშაულის ობიექტია“ არა საზოგადოებრივი ურთიერთობა, არამედ ის სიკეთე ან ინტერესი, რომლითაც პირი მონაწილეობს ამ ურთიერთობაში.[450] აღნიშნული შეხედულება მართებულად უნდა მივიჩნიოთ. დანაშაული ყოველთვის ხელყოფს კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეს. მართალია, დანაშაული ანტისოციალური ქმედებაცაა და მას ვნება მოაქვს საზოგადოებისთვის, მაგრამ ტერმინი „საზოგადოებრივი ურთიერთობები“ არ არის კონკრეტული შინაარსის მატარებელი და მას არავითარი პრაქტიკული დანიშნულება არ გააჩნია.

გ. ნაჭყებიას თვალსაზრისით, „დანაშაულის ობიექტის“ ნაცვლად უნდა გამოვიყენოთ ტერმინი „სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი“.[451] მისი შეხედულებით, დანაშაული ხელყოფს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომელსაც სისხლის სამართალი იცავს, მაგრამ „დანაშაულის ობიექტის“ და „სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის“ ცნებები ერთმანეთს გამორიცხავენ, რამდენადაც ერთმანეთს გამორიცხავს გარკვეული სამართლებრივი სიკეთის სისხლისსამართლებრივი დაცვა და მისი დანაშაულებრივი ხელყოფა.[452] აღნიშნული დებულება არ არის დაუსაბუთებელი. დანაშაული მართლაც უარყოფაა იმისა, რაც სისხლის სამართლით არის დაცული. თუ სისხლის სამართლის ნორმა იცავს გარკვეულ სამართლებრივ სიკეთეს, დანაშაული, პირიქით, ამ სიკეთის ხელყოფას იწვევს. ამიტომ, თუ რომელი ტერმინია სწორი – „დანაშაულის ობიექტი“ თუ „სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი“, დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი პოზიციიდან შევხედავთ სამართლებრივ სიკეთეს: დანაშაულის განხორციელების შემდეგ, თუ დანაშაულის განხორციელებამდე. დანაშაულის განხორციელების შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ „დანაშაულის ობიექტზე“, ხოლო დანაშაულის განხორციელებამდე „სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტზე“.[453] მაგრამ, დანაშაულის განხორციელების შემდეგაც შეიძლება საუბარი „სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტზე“, თუმცა ამ შემთხვევაში მხედველობაში შეიძლება გვქონდეს არა სამართლებრივი სიკეთე კონკრეტულად, არამედ ზოგადად, რამეთუ დანაშაულის (დასრულებული ფორმით) განხორციელების შემდეგ აღარ არსებობს დასაცავი სამართლებრივი სიკეთე კონკრეტული სახით და ის უკვე ხელყოფილია ანუ დასაცავიც არაფერი დარჩა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, უნდა ითქვას, რომ ტერმინი „დანაშაულის ობიექტი“ და „სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი“ არ არის ზუსტი (კონკრეტული) შინაარსის მომცველი. დანაშაულის განხორციელების შედეგად შეიძლება ხელყოფილი იქნეს როგორც კონკრეტული სამართლებრივი სიკეთე, ისე მისი მატარებელიც. მაგალითად, მკვლელობის დროს. დანაშაული ისეც შეიძლება განხორციელდეს, რომ მხოლოდ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა მივიღოთ შედეგად,

---

[450] იხ. *ხუროშვილი გ.,* წიგნში: *ნაჭყებია გ., დვალიძე ი.,* (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 110.

[451] იხ. *ნაჭყებია გ.,* “სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის” ცნება,“სამართალი”, 1999, №6-7, გვ. 84.

[452] იხ. *ნაჭყებია გ.,* იქვე, გვ. 84.

[453] იხ. *ნაჭყებია გ.,* ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი, სისხლის სამართლის მეცნიერების ცნებათა სისტემის ასპექტით, თბ., 2000, გვ. 111-112.

რაც ყოველთვის არ გულისხმობს ამ სიკეთის მატარებლის ხელყოფასაც. კერძოდ, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის განხორციელებისას (ნივთის დაზიანება-სსკ-ის 187-ე მუხ.). სისხლის-სამართლებრივად დაცულია როგორც კონკრეტული სიკეთე (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება და ა. შ.), ისე მისი მატარებელიც. სამართლებრივი სიკეთის დაცვა სწორედ მისი მატარებელის დაცვის მიზანს ემსახურება. მაგრამ, ერთმანეთთან არ უნდა გავაიგივოთ სამართლებრივი სიკეთე და მისი მატარებელი (ქმედების ობიექტი).[454] მაშინ, როცა ვსარგებლობთ ტერმინით „დანაშაულის ობიექტი“ მკაფიო არ არის თუ რა იგულისხმება კონკრეტულად. აღნიშნული ტერმინი არ იძლევა სამართლებრივი სიკეთისა და ქმედების ობიექტის დიფერენციაციის საშუალებას. უფრო მეტიც, ის მეცნიერები, რომლებიც „დანაშაულის ობიექტად“ საზოგადოებრივ ურთიერთობებს თვლიან, იმასაც აღნიშნავენ, რომ იგი ერთიანობაა სხვადასხვა ნაწილისა. „მისი ერთი ნაწილია ურთიერთობის მონაწილენი, ხოლო მეორე – ამ ურთიერთობის მონაწილეთა საქმიანობა“.[455] საზოგადოებრივი ურთიერთობის შემადგენელ ნიშნებად განიხილავენ ასევე ამ ურთიერთობის მონაწილეთა განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს.[456]

თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის კოდექსი, როგორც ჩანს, უპირატესობას ტერმინ „სამართლებრივ სიკეთეს“ ანიჭებს. ამაზე მიუთითებს კოდექსის 28-ე, 30-ე და 31-ე მუხლების შინაარსი. 28-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, აუცილებელი მოგერიება გულისხმობს მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას ხელმყოფის დაზიანებას თავისი ან სხვისი **სამართლებრივი სიკეთის** დასაცავად.[457] ხოლო, 31-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად გამართლებული რისკის პირობებში დააზიანებს **სამართლებრივ სიკეთეს**“.

სამართლებრივი სიკეთის დაცვა ქმედების კრიმინალიზაციის საფუძველია. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება სამართლებრივი სიკეთე მატერიალური გაგებით, სამართლებრივი სიკეთე, რომელიც სამართლის ნორმამდე არსებობს და ნორმის შექმნას განაპირობებს. გარდა სამართლებრივი სიკეთის მატერიალური გაგებისა, არსებობს ფორმალური გაგებაც, რომლის მიხედვით სამართლებრივი სიკეთეა ის, რაც ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს. სამართლებრივი სიკეთე ფორმალური გაგებით სამართლის ნორმის გარეშე არ არსებობს.[458] ქმედების კრიმინალიზაციის ლეგიტიმურობა შეიძლება განსაზღვროს სამართლებრივმა სიკეთემ მატერიალური და არა ფორმალური გაგებით. თუკი სამართლებრივი სიკეთის ფორმალურ გაგებას დავეყრდნობით, ნებისმიერი ნორმა ლეგიტიმურად უნდა ჩავთვალოთ და ნორმის ლეგიტიმურობა ვერას-

---

[454] იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 22.

[455] იხ. *წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ.*, მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969, გვ. 138.

[456] იხ. *Лекveишвили М.,* Объект уголовно-прававой охраны и его значение для квалификации преступлений, уголовно-правовые исследования, Тб., 1987, с. 95.

[457] წინამორბედი საბჭოური სისხლის სამართლის კოდექსი, აუცილებელ მოგერიებასთან დაკავშირებით, „სამართლებრივი სიკეთის“ ნაცვლად, იყენებდა ტერმინებს: „სახელმწიფოს ინტერესი“,,,საზოგადოებრივი ინტერესი“.

[458] იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი I, დანაშაული, თბ., 2014, გვ. 8.

დროს ვერ დადგება ეჭვქვეშ.

სამართლებრივი სიკეთის ღირებულება სასჯელის ზომაზე ახდენს ზეგავლენას. კანონმდებელი სასჯელის ზომას იმის გათვალისწინებით განსაზღვრავს თუ რა სახის სიკეთეს ხელყოფს იგი. უფრო მეტიც, რაც უფრო მნიშვნელოვანია დასაცავი სიკეთე, მით უფრო ადრინდელ სტადიაზეა დანაშაულის დამთავრების მომენტი გადმოტანილი. მაგალითად, ის რომ დასჯადია სიცოცხლის, ჯანმრთელობის, სახელმწიფო ინტერესების არა მხოლოდ ხელმყოფი, არამედ ამ სიკეთეებისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტებიც, განპირობებულია სწორედ დასაცავ სიკეთეთა მნიშვნელობით. *მ. ლეკვეიშვილი* მართებულად მიუთითებს, რომ სოციალური ნორმის დარღვევის აღიარება დანაშაულად, განისაზღვრება საზოგადოებრივი ურთიერთობის ღირებულებით. რაც უფრო მეტია საზოგადოებრივი ურთიერთობის ღირებულება, მით უფრო მეტია საფუძველი იმისა, რომ ამ ურთიერთობის ხელყოფა დანაშაულად იქნეს მიჩნეული.[459]

3. სამართლებრივ სიკეთეთა კლასიფიკაცია

3.1. ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე

სამართლებრივი სიკეთე იყოფა ინდივიდუალურ და ზეინდივიდუალურ ანუ უნივერსალურ სიკეთეებად. ინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთეს მიეკუთვნება სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ადამიანთა პიროვნული თავისუფლება, პატივი, საკუთრება. მათ იმიტომ ეწოდება ინდივიუალური სიკეთე, რომ შეიძლება მისი მატარებელი კონკრეტული პიროვნება, ინდივიდი იყოს. ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთეც იყოფა ორ ჯგუფად. პირველს მიეკუთვნება ისეთი სიკეთე, რომელიც განსხეულებულია და სხეულთან არის დაკავშირებული. მაგალითად, სიცოცხლე, ჯანმრთელობა. ამასთან ერთად, არსებობს ინდივიდუალურ სიკეთეთა მეორე ჯგუფი, რომლებიც განუყოფლადაა დაკავშირებული სხეულებრივ მდგომარეობასთან და აბსტრაქტულ ხასიათს ატარებენ. ასეთია, პატივი, ღირსება, ნების თავისუფლება. მათი ხელყოფის დადგენა საბუნებისმეტყველო მეცნიერების მონაცემებით არ ხდება. მაშინ, როცა სიცოცხლის, ჯანმრთელობის და მსგავსი ინდივიდუალური სიკეთის ხელყოფა საბუნებისმეტყველო მეცნიერების მონაცემებით შეიძლება დადგინდეს.[460]

[3]ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთეები მათი მატერიალური აღწერილობის მიხედვით იყოფა კონკრეტულ-ინდივიდუალურ და აბსტრაქტულ-ინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთეებად. კონკრეტულ-ინდივიდუალურია მატერიალიზებული (სიცოცხლე, ჯანმრთელობა), ხოლო აბსტრაქტულ-კონკრეტულია არამატერიალიზებული სიკეთე (პატივი, ღირსება).[461]

ისეთი ინდივიდუალური სიკეთე, როგორიცაა სიცოცხლე, სხეულის ხელშეუხებლობა, მატერიალური ქონება, შეიძლება ჩვენს მიერ აღ-

---

[459] იხ. *Леквеишвили М.,* იქვე.

[460] იხ. *Martin J*, Strafbarkeit grenzüberschreitender Umweltbeeinträchtigungen, Freiburg, 1989, S. 30.

[461] იხ. *Martin J*, იქვე,გვ. 30.

ქმული იქნეს გრძნობის ორგანოთი. ასეთი სიკეთე, მაშინაც, როცა იგი ზოგადად არის ფორმულირებული (როგორიცაა „სიცოცხლე“, „თავისუფლება“ და არა „ა“-ს სიცოცხლე ან თავისუფლება), მიუთითებს კონკრეტულ სამართლებრივ პოზიციაზე, ინტერესზე, რომლის დანახვაც შესაძლებელია. მისი ხელყოფა ემპირიულად შეიძლება გადამოწმდეს: ადამიანი მკვდარია, მას არ შეუძლია გადაადგილება და წასვლა იქ, სადაც მას სურს და ა.შ.[462]

3.2. ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე

ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთისგან განასხვავებენ ზეინდივიდუალურ ანუ უნივერსალურ სამართლებრივ სიკეთეს, რომელიც ინდივიდს, კონკრეტულ პიროვნებას არ ეკუთვნის, არამედ მთლიანად საზოგადოებას, სახელმწიფოს. ასეთი სიკეთეებია: მოსახლეობის ჯანმრთელობა, სახელმწიფო წყობილება და უსაფრთხოება, მართლმსაჯულება.

ზეინდივიდუალური სიკეთისთვის დამახიასიათებელია შუალობითი კავშირი ცალკეულ პირთა სიკეთესთან. უნივერსალური სამართლებრივი სიკეთე საჭიროა საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის და, აქედან გამომდინარე, ისინი ემსახურებიან ინდივიდებსაც,[463] როგორც საზოგადოების წევრებს. თუმცა, ისინი მაინც არ იწოდებიან ინდივიდუალურ სიკეთეებად, ვინაიდან მათი მატარებელი ცალკეული პიროვნება ვერ იქნება.

უნივერსალურ სამართლებრივ სიკეთეს სხვაგვარად აბსტრაქტულ-ზეინდივიდუალურ სიკეთეს უწოდებენ, რამდენადაც იგი არც განსხეულებული სახით არსებობს და არც ცალკეულ პირებს შეიძლება ეკუთვნოდეს. მას ორმაგად აბსტრაქტული ხასიათი გააჩნია.[464] გარდა აბსტრაქტულ-ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთისა, გამოჰყოფენ კონკრეტულ-ზეინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთესაც.

ი. მარტინი აღნიშნავს, რომ უნივერსალურ სამართლებრივ სიკეთეთა კატაგორიას მიეკუთვნება ეკოლოგიური სიკეთეები: წყალი, ჰაერი, მიწა, მცენარე და ცხოველები, მაგრამ ასეთი უნივერსალური სამართლებრივი სიკეთეები სხვა სახის (მაგალითად, სახელმწიფო წყობილება, საზოგადოებრივი წესრიგი, მართლსაჯულება) უნივერსალური სიკეთისგან იმით განსხვავდებიან, რომ განსხეულებული (verkörpert) არიან და ფიზიკური, მატერიალური სახით არსებობენ. *ი. მარტინი* ეკოლოგიურ სიკეთეს ადარებს ისეთ ინდივიდუალურ სიკეთეს, როგორიცაა სიცოცხლე და ჯანმრთელობა. მისი თვალსაზრისით, ეკოლოგიურ სამართლებრივ სიკეთეს (Umweltrechtsgüter), მისი თავისებურებიდან გამომდინარე, შეიძლება კონკრეტულ-ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე ვუწოდოთ.[465] მაშასადამე, *მარტინის* თვალსაზრისით, ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე თავის მხრივ იყოფა ორ ჯგუფად: აბსტრაქტულ და კონკრეტულ ზეინდივიდუალურ სიკეთედ. თუმცა, ამგვარი დაყოფა

---

[462] იხ. *Hassemer W.*, Theorie und Soziologie des Verbrechens, Athenäum Verlag, Frankfurt/M, 973, S. 232.

[463] იხ. *Martin J*, იქვე,გვ. 31.

[464] იხ. *Martin J*, იქვე,გვ. 31.

[465] იხ. *Martin J*, იქვე,გვ. 33.

მაინც პირობით ხასიათს შეიძლება ატარებდეს იმის გამო, რომ ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე კონკრეტულ ინდივიდს არ ეკუთვნის, რაც ამ სიკეთის კონკრეტულობას სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. გარდა ამისა, ცხოველი და მცენარე კი არ არის სიკეთე, არამედ ჯანმრთელი გარემო. ცხოველი, ფრინველი თუ მცენარე ამ გარემოს, როგორც სამართლით დაცული ზეინდივიდუალური სიკეთის კომპონენტებია. სისხლის სამართალი ცხოველს, გარეულ ფრინველს, თუ მცენარეს იმდენად იცავს, რამდენადაც ისინი აუცილებელია ჯანსაღი გარემოს არსებობისთვის. ჯანსაღი გარემო ადამიანთა ჯანმრთელი ცხოვრებისთვის აუცილებელი პირობაა. სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთ თავს სწორედ ამის გამო ჰქვია „დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ“ (და არა ცხოველთა, ფრინველთა და მცენარეთა წინააღმდეგ).

4. ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის დაცვა და საფრთხის შემქმნელი დელიქტები

უნივერსალური სამართლებრივი სიკეთის დაცვა გულისხმობს განსაზღვრული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინსტიტუციების, შესაბამისად, განსაზღვრული ფუნქციების დაცვას. უნივერსალურ სამართლებრივ სიკეთეს სხვაგვარად კოლექტიურ სამართლებრივ სიკეთესაც უწოდებენ.

ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთისგან განსხვავებით, უნივერსალური სამართლებრივი სიკეთის დაზიანების დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან მისი მატარებელი კონკრეტული პიროვნება არ არის და განსხეულებული სახით არ არსებობს. ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული ქმედების განხორციელების შემდეგ შეუძლებელია იმის თქმა რამდენად და როგორ დაზიანდა სამართლებრივი სიკეთე. ამგვარ სამართლებრივ სიკეთეთა დაზიანება პრაქტიკულად შეუძლებელია.[466]

ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე შეუძლებელია ნორმით ისე იყოს განსაზღვრული როგორც ქმედების ობიექტი, რომელმაც საბუნებისმეტყველო მეცნიერების გაგებით ცვლილება შეიძლება განიცადოს. ისინი სუბსტანციურ მონაცემებად არ შეიძლება გაგებულ იქნენ.[467]

როდესაც საუბარია კონკრეტულ საფრთხეზე, იგულისხმება განსხეულებული ობიექტი (მაგალითად, ადამიანი), რომელიც საფრთხის წყაროს ზემოქმედების ზონაში მოხვდა. კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტი იმით ხასიათდება, რომ ქმედების ობიექტს ფაქტობრივად საფრთხე ექმნება. მაგრამ, ქმედების ასეთი ობიექტი არ არსებობს ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია იმის დადგენა, თუ როდის დაიწყო კონკრეტული საფრთხის შექმნა ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთისთვის. შესაბამისად, ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის დასაცავად შესატყვისი არ არის ის ნორმა, რომელიც კონკრეტული საფრთხის

---

466 იხ. *Anastasopoulou I,* Deliktstypen zum Schutz kollektiver Rechtsgüter, München, 2005, S. 59.

467 იხ. *Anastasopoulou I,* იქვე, გვ. 57.

შემქმნელი დელიქტის დასჯადობას ითვალისწინებს.[468]

სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში გვხვდება დელიქტები, რომლებიც, ერთი მხრივ, მიზნად ისახავენ ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის დაცვას, ხოლო მეორეს მხრივ, მოითხოვენ დაცული სიკეთისთვის საფრთხის არსებობას (საქართველოს სსკ-ის 309-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა, სადაც საუბარია საქართველოს მშვიდობიანი თანაარსებობისთვის საფრთხის შექმნაზე). ჩნდება კითხვა, შეიძლება, თუ არა ეს დელიქტები გავაიგივოთ კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებთან? *ბერცი* აღნიშნულ დელიქტებს კონკრეტული საფრთხის დელიქტებს მიაკუთვნებს.[469] თუმცა, საკამათო შეიძლება იყოს საკითხი იმის თაობაზე, რამდენად შეიძლება მხარდაჭერას იმსახურებდეს *ბერცის* შეხედულება, ვინაიდან, კონკრეტული საფრთხე მაშინ არსებობს, როცა ქმედების ობიექტი საფრთხის ზემოქმედების ზონაშია შესული, მაგრამ ასეთი რამ ზეინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთესთან მიმართებით შეუძლებელია, ქმედების შესაბამისი ობიექტის არარსებობის გამო.

ქინდჰოიზერიც მიუთითებს, რომ შეუძლებელია კონკრეტული საფრთხის შექმნა ქვეყნის მშვიდობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის საფრთხის იმ გაგებით, რაც კონკრეტული საფრთხის შექმნაშია ჩადებული. მაშასადამე, ქვეყნის მშვიდობისთვის და საჯარო უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნა არის აბსტრაქტული საფრთხის შექმნა,[470] მიუხედავად იმისა, თუ როგორ არის ქმედების შემადგენლობა კანონმდებლის მიერ აღწერილი.

ზემოთ განვითარებული მსჯელობიდან არ შეიძლება ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი მხოლოდ ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ იყოს მიმართული. იგი შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგაც. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საქართველოს სსკ-ის 128-ე (განსაცდელში მიტოვება) და 129-ე (დაუხმარებლობა) მუხლებით გათვალისწინებული დელიქტები. მაგრამ, აქ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ განსაცდელში მიტოვების და დაუხმარებლობის დროს მსხვერპლი კონკრეტული საფრთხის მდგომარეობაშია, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დელიქტები აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებია. ამ საკითხზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. მაშასადამე, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: ინდივიდუალური და ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები.

---

[468] იხ. *Otto H.*, Konzeption und Grundsätze des Wirtschaftsstrafrechts (einschließlich Verbraucherschutz), ZStW 1984, S. 362-363.

[469] იხ. *Berz U.,* Formelle Tatbestandsverwirklichung und materialer Rechtsgueterschutz, Muenchen, 1986, S. 84.

[470] იხ. *Kindhäuser U.,* Gefährdung als Straftat, Rechtstheoretische Untersuchungen zur Dogmatik der abstrakten und konkreten Gefährdungsdelikte, Frankfurt/M, 1989, S. 214.

5. სამართლებრივი სიკეთე, როგორც ნორმით დაცული რეალური მდგომარეობა

სამართლებრივი სიკეთე *ბინდინგის* და *ველცელის* მიერ იქნა განხილული როგორც ნორმით დაცული რეალური მდგომარეობა. *ბინდინგის* თვალსაზრისით, დამნაშავე არ არღვევს სისხლის სამართლის კანონს. სისხლის სამართლის კანონით ისჯება დამნაშავე, მაგრამ ის არღვევს ნორმას, რომელიც სისხლის სამართლის კანონს გარეთაა.[471] *ბინდინგის* შეხედულებით, სისხლის სამართლის კანონს მიღმა მყოფი ნორმების მიზანია სამართლებრივი სიკეთეების დაცვა დაზიანებისგან. აღნიშნული ნორმები პრევენციული ხასიათისაა. იმ ნორმებით დაცული სიკეთეები, რომლებიც სისხლის სამართლის კანონს საფუძვლად უდევს, წარმოადგენენ რეალურ ობიექტს, რომელთა ხელყოფა, შეცვლა დანაშაულის მეშვეობით კაუზალურად შესაძლებელია.[472]

როგორც აღნიშნული მსჯელობიდან ირკვევა, *ბინდინგის* შეხედულებით, სამართლებრივი სიკეთის დაცვა იმ ნორმების ამოცანას წარმოადგენს, რომლებიც სისხლის სამართლის კანონს საფუძვლად უდევს. ხოლო, სისხლის სამართლის კანონის დანიშნულება დამნაშავის დასჯაში მდგომარეობს[473], მაგრამ, ეს სისხლის სამართლის დაცვით ფუნქციას არ გამორიცხავს.

ბინდინგის თვალსაზრისით, სამართლებრივი სიკეთე, როგორც ნორმით დაცული რეალური მდგომარეობა, არის როგორც სხეულებრივი, ისე არასხეულებრივი (მაგალითად, თავისუფლება), რომლებიც რეალურად შეიძლება დაზიანდეს ან დაირღვეს. ამგვარად, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა არის რეალურ სამართლებრივ სიკეთეზე ასახული ხელყოფის შედეგი, რომელიც შედეგის უმართლობად იწოდება.[474]

როდესაც ვსაუბრობთ სამართლებრივ სიკეთეზე, როგორც ნორმით დაცულ რეალურ მდგომარეობაზე, უნდა განიმარტოს, რა იგულისხმება რეალობის ცნების ქვეშ. *ჰაიდეგერის* მიხედვით, რეალობა სამყაროსშინა ყოფიერზეა დამოკიდებული. სამყაროსშინა ყოფიერი კი სამყაროულობას, მაშასადამე, სამყაროში ყოფნის ფენომენს ეფუძნება.[475]

რეალობის ცნების ქვეშ მოიაზრება რეალური არსის ცნება, რომელიც არსის ცნებაზე შედარებით შეზღუდული მოცულობისაა. რეალური არსი არსის ერთ-ერთი სფეროა, მაგრამ „იგი მეტი კონკრეტულობით ხასიათდება და მოიცავს მხოლოდ იმას, რაც დროში იმყოფება, რაც მოძრაობს, იცვლება. არსის ცნება კი მასთან შედარებით უფრო ფართოცაა და აბსტრაქტულიც“.[476] რეალური არსის ასეთი განსაზღვრება საშუალებას გვაძლევს ერთმანეთისგან განვასხვაოთ იდეალური და რეალური. არსის

---

[471] იხ. *Graul E.,* Abstrakte Gefährdungsdelikte und Präsumtionen im Strafrecht, Berlin, 1991, S. 41-42.

[472] იხ. *Graul E.,* იქვე,გვ. 42.

[473] აღნიშნულ საკითხზე ასევე იხ. *გამყრელიძე ო.,* სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი,თბ.,2011.

[474] იხ. *Graul E.,* იქვე,გვ. 43.

[475] იხ. *ჰაიდეგერი მ.,*ყოფიერება და დრო,გერმანულიდან თარგმნა გ. თევზაძემ,თბ.,1989, გვ. 321.

[476] იხ. *ავალიანი ს.,* მეცნიერული ონტოლოგია და ფილოსოფიური თეოლოგია,თბ.,2012, გვ. 42.

ორი ძირითადი სფერო არსებობს. ესენია – რეალური და იდეალური არსი.[477]

შ. ნუცუბიძე ერთმანეთისგან განასხვავებს არსს და ამგვარად-ყოფნას. თუმცა, მისი თვალსაზრისით, არავითარი არსი არ არსებობს ამგვარად ყოფნის გარეშე.[478] მისი შეხედულებით, ამგვარად-ყოფნაში განამდვილდება არსის რომელიმე მხარე. ამგვარად-ყოფნაში ვლინდება ის, რაც არსით არის მოცული. არსი ამგვარად-ყოფნის შეფასებაა.[479] ამგვარად არსი არის „არსზე მეტი". ყოველი არსებული შეიცავს „არსზე მეტს".[480] ამგვარად-ყოფნა არსს კონკრეტულობით აღემატება.

ნ. ჰარტმანი რეალური არსის კრიტერიუმად დროში არსებობას თვლის. მისი თვალსაზრისით, რეალურია ის, რაც გარკვეული დროის მონაკვეთში არსებობს, იცვლება, მოძრაობს და წარმავალია. რეალური მოიცავს ყოველივეს, რაც ინდივიდუალურობისა და დროულობის ძირითად მომენტებს ამჟღავნებენ. ყოველი რეალური დროშია მოქცეული.[481] ხოლო, იდეალური დროში არ არსებობს. იგი საყოველთაო და აუცილებელი ბუნებისაა.[482] იდეალური, ისე როგორც რეალური, ყოფიერების სახეა. მაგრამ, რეალური გრძნობადი აღქმის, ხოლო იდეალური გონებით მოაზრების ობიექტია.[483]

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იდეალური არსიც იცვლება, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის დროში არსებობს. მაგრამ, იდეალური არსის ცვალებადობა არ ნიშნავს იმას, რომ ის დროში არსებობს. თუ რეალური მოძრაობა და ცვალებადობა დროში სრულდება, იდეალური მოძრაობა და ცვალებადობა დროში არ სრულდება ანუ ზედროულია.[484]

ჰარტმანი ფიქრობს, რომ ვინაიდან იდეალური მხოლოდ ცნების სფეროში მოძრაობს, იქმნება ილუზია, თითქოს ცნება თვით იყოს საგანი. ცნება კი საგანთან იდენტური მაშინაც კი არაა, როცა ზუსტად ასახავს მას.[485]

იდეალურში *ჰარტმანი* უშვებს ღირებულების სფეროებს. რაც შეეხება რეალობასთან ღირებულების მიმართებას, რეალობა შეიძლება შეესაბამებოდეს მას, და, შეიძლება არა. რეალობა შეიძლება იყოს ღირებული ან, პირიქით, ღირებულების საწინააღმდეგო („Wertwidrig").[486] უნდა აღინიშნოს, რომ ღირებულება ყოველთვის იდეალურს მიეკუთვნება და საზომის („ღირებული"-ს განმსაზღვრელი) ფუნქციას ასრულებს. მაგალითად, არსებული რეალობის შეფასება შეიძლება მოხდეს ისეთი ღირებულებით,

---

[477] იხ. *ავალიანი ს.,* მეცნიერული ონტოლოგია, თბ., 1994, გვ. 41.

[478] იხ. *ნუცუბიძე შ.,* ჭეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა, შრომები, II, თბ., 1979, გვ. 91.

[479] იხ. *ნუცუბიძე შ.,* იქვე, გვ. 92.

[480] იხ. *ნუცუბიძე შ.,* იქვე, გვ. 96.

[481] იხ. *Hartmann N.,* Der Aufbau der realen Welt, Grundriss einer allgemeinen kategorologie, II Auflage, Meisenheim am Glan, 1949, S. 64. მითითებულია: *თევზაძე გ.,* ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგიის კრიტიკა, თბ., 1967, გვ. 90; *ჰარტმანი ნ.,* ონტოლოგიის ახალი გზები, გერმანულიდან თარგმნა გ. თევზაძემ, თბ., 1997, გვ. 34; *ავალიანი ს.,* იქვე, გვ. 41.

[482] იხ. *Hartmann N.,* Zur Grundlegung der Ontologie, I Auflage, Berlin und Leipzig, 1935, S. 244, 268. მითითებულია: თევზაძე გ., ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგიის კრიტიკა, თბ., 1967, გვ. 98.

[483] იხ. *ერქომაიშვილი გ.,* ფილოსოფია, თბ., 1998, გვ. 75-77.

[484] იხ. *ავალიანი ს.,* მეცნიერული ონტოლოგია, თბ., 1994, გვ. 42.

[485] იხ. *თევზაძე გ.,* ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგიის კრიტიკა, თბ., 1967, გვ. 101.

[486] იხ. *თევზაძე გ.,* იქვე, გვ. 106-108.

როგორიცაა ზნეობა, რის საფუძველსაც ზნეობის ნომატიული ხასიათი იძლევა.

სისხლის სამართლით დაცულ ისეთ სიკეთეს, რომელიც რეალურ მდგომარეობას გამოხატავს და რეალურ არსს ეკუთვნის, მიეკუთვნება მაგალითად სიცოცხლე, ჯანმრთელობა. როდესაც ვსაუბრობთ სიცოცხლეზე და ჯანმრთელობაზე, როგორც რეალური არსის გამოხატულებაზე, მხედველობაში გვაქვს კონკრეტული ადამიანის სიცოცხლე, რომლის არსებობა გარკვეული დროით არის განსაზღვრული და, რომელმაც გარკვეული ზემოქმედება შეიძლება განიცადოს, რაც გარესამყაროში ცვლილების სახით ვლინდება.

რეალურად არსებული მოვლენებია ის მოვლენები, რომლებიც რეალური ყოფიერების სფეროს მიეკუთვნება და აუცილებელი სახით ემორჩილება კაუზალური სფეროს კანონებს.[487] როდესაც საქმე ეხება ისეთი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას, როგორიც სიცოცხლეა, შესაძლებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ხელყოფას და ხელყოფის გამომწვევ ქმედებას შორის, ვინაიდან სიცოცხლის მოსპობა წარმოადგენს ცვლილებას გარე სამყაროში. გარესამყაროში მომხდარი ცვლილება კი მიზეზ-შედეგობრიობის კანონზომიერებას ემორჩილება.

ველცელიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სამართლებრივი სიკეთე დანაშაულებრივი ქმედებისგან დამოუკიდებელი, ნორმით დაცული ობიექტური მდგომარეობა ანუ დაცვის ობიექტია, რომლის წინააღმდეგაც დანაშაულებრივი ქმედებაა მიმართული. მან ყურადღება ქმედებაზე გადაიტანა და ერთმანეთისგან გამიჯნა ქმედების და შედეგის უმართლობა, ნორმის და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა.[488] მისი თვალსაზრისით, შედეგის უმართლობა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაში ან მისთვის საფრთხის შექმნაში, ხოლო ქმედების უმართლობა მართლსაწინააღმდეგო, სოციალურად არაეთიკურ ქმედებაში მდგომარეობს. ქმედების უმართლობა შედგება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისკენ ან მისთვის საფრთხის შექმნისკენ მიმართული მართლსაწინააღმდეგო ან წინდახედულების (ობიექტურად) დამრღვევი ქმედებისგან. ქმედების უმართლობა არ არის დამოკიდებული იმაზე, დადგება თუ არა შედეგი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის ან მისთვის საფრთხის შექმნის სახით.

ველცელის შეხედულებით, ქმედების უმართლობის წინაპირობას არ წარმოადგენს და ქმედების უმართლობისთვის საჭირო არ არის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ან მისთვის საფრთხის შექმნა, რამდენადაც, მისი მოსაზრებით, არსებობენ დელიქტები სამართლებრივი სიკეთის გარეშეც (rechtsgutslose Delikte). ასეთი დელიქტის მაგალითად *ველცელს* მოჰყავს გერმანული სსკ-ის 173-ე პარაგრაფით გათვალისწინებული დანაშაული. დასახელებული პარაგრაფით ისჯება სექსუალური ურთიერთობა ნათესავებს შორის.[489]

---

[487] იხ. *სურგულაძე ირ.*, ხელისუფლება და სამართალი, გერმანულიდან თარგმნა ო. გამყრელიძემ, თბ., 2002, გვ. 71.

[488] იხ. *Welzel H.*, Studien zum System des Strafrechts, ZStW 1939, S. 491.

[489] საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს მსგავს შემადგენლობას. ჯერ კიდევ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიღებისას დაისვა საკითხი იმის შესახებ, სისხლის სამართლის კოდექსში შეეტანათ თუ არა აღნიშნული შემადგენლობა, მაგრამ მაშინ ახლო ნათესავებს შორის სექსუალური ურთიერთობის კანონმდებლობით დასჯადად გამოცხადებაზე უარი ითქვა. არგუმენტი იყო ის, რომ აღნიშნულ

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებაც გამოითქვა. გერმანელი მეცნიერის *რუდოლფის* შეხედულებით, არ არსებობს ქმედების უმართლობა შედეგის უმართლობაზე მიმართული შინაგანი ტენდენციის, მიზანდასახულობის გარეშე. მისი თვალსაზრისით, ნათესავებს შორის სექსუალური ურთიერთობის დროს სამართლებრივ სიკეთეს კონკრეტულ ოჯახთა ურთიერთობის სიწმინდე წარმოადგენს.[490] არ შეიძლება არ დაეთანხმო *რუდოლფის* ამ მოსაზრებას. მართლაც არ შეიძლება არსებობდეს დანაშაული, რომელიც სამართლებრივ სიკეთეს აბსტრაქტულ საფრთხეს მაინც არ უქმნიდეს. სამართლებრივი სიკეთის გარეშე დელიქტის არსებობა შეუძლებელია.

ველცელის თვალსაზრისით, სისხლის სამართლის პირველადი, ძირითადი ამოცანა არ არის სამართლებრივი სიკეთის დაცვა, მაშასადამე, არც ინდივიდუალურ პირთა დაცვა.[491] თუ ჩვენ გავიზიარებთ *ველცელის* მოსაზრებას, მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ის ნორმა, რომელიც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს კრძალავს, შეიძლება სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანს არ ემსახურებოდეს. აკრძალვა სამართლებრივი სიკეთის დაცვითი მიზნის გარეშე წარმოუდგენელია. კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების აკრძალვა სწორედ განსაზღვრული სამართლებრივი სიკეთის დაცვას უნდა ემსახურებოდეს.

ველცელი მიზანშეწონილად თვლის სისხლისსამართლებრივი სანქციით დაცული მდგომარეობის და ნორმით დაცული ობიექტის გამიჯვნას. იგი სწორედ ამ უკანასკნელს მიიჩნევს სამართლებრივ სიკეთედ.[492] უნდა აღინიშნოს, რომ თუ *ბინდინგი* სისხლის სამართლის დაცვით ფუნქციას უარყოფს, ველცელი მას არ გამორიცხავს. *ველცელის* თვალსაზრისით, სისხლის სამართალი იცავს არა ცალკეულ სამართლებრივ სიკეთეს, არამედ პრინციპულ ღირებულებებს. მისი მოსაზრებით, სისხლის სამართალს გააჩნია გაორმაგებული, ზესაფეხუროვანი დაცვის ფუნქცია. სისხლის სამართლის კანონს გარეთ მყოფი ნორმები იცავენ ცალკეულ კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეებს, ხოლო სასჯელის მუქარას და სასჯელს აქვს უფრო ღრმა ამოცანა (ვიდრე ცალკეულ სამართლებრივ სიკეთეთა დაცვა): ისინი ემსახურებიან სოციალურ-ეთიკურ ღირებულებათა უზრუნველყოფას. აქედან შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: სისხლის სამართლის კანონს მიღმა მყოფი ნორმები უშუალოდ იცავენ კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი სანქციებით სამართლებრივ სიკეთეზე დამოკიდებული, სამართლებრივი სიკეთიდან გამომდინარე სოციალურ-ეთიკური ღირებულებების უზრუნველყოფით, ამ სიკეთეთა დაცვა გაშუალებული გზით ხდება. *ველცელის* შეხედულება მიმართულია იმ ავტორთა თვალსაზრისის წინააღმდეგ, რომლებიც სამართლებრივ სიკეთეს განმარტავენ არა როგორც რეალობას, არამედ როგორც აბსტრაქციას, იდეალურ ღირებულებას.

საკითხს ზნეობრივი ქცევის წესი უკეთესად არეგულირებს,ვიდრე პოზიტიური სამართალი.

[490] იხ. *Rudolphi H-J.*, Inhalt und Funktion des Handlungsunwertes im Rahmen der personalen Unrechtslehre, Maurach-FS, Karlsruhe, 1972, 56. მითითებულია: *Graul E.,* Abstrakte Gefährdungsdelikte und Präsumtionen im Strafrecht, Berlin, 1991, 47.

[491] იხ. *Welzel H.*, Das Deutsche Strafrecht, 11. Aufl., Berlin, 1969, 3.

[492] იხ. *Welzel H.*, Studien zum System des Strafrechts, ZStW 1939, S. 491.

თუ ჩვენ *ველცელის* შეხედულებას გავიზიარებთ, რომლის მიხედვითაც არსებობენ დელიქტები სამართლებრივი სიკეთის გარეშე, მაშინ უნდა უარვყოთ დებულება, რომლის თანახმადაც ყველა დანაშაული მსხვერპლს იწვევს და არ არსებობს დანაშაული მსხვერპლის, დაზარალებულის გარეშე.[493] იქ სადაც არ არსებობს სამართლებრივი სიკეთე, ბუნებრივია, არ გვყავს მისი მატარებელიც.

სამართლებრივი სიკეთის უკან ყოველთვის დგას მისი მატარებელი. ეს შეიძლება იყოს ინდივიდი, საზოგადოება ან სახელმწიფო. აქედან გამომდინარეობს სამართლებრივ სიკეთეთა დაყოფა ინდივიდუალურ და არაინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთედ. მარგრამ, რამდენად შეიძლება ერთმანეთს გავუთანაბროთ მსხვერპლი და სამართლებრივი სიკეთის მატარებელი? ემთხვევა კი ეს ორი ცნება ყოველთვის ერთმანეთს?

მეცნიერთა ნაწილის აზრით, სამართლებრივი სიკეთის მატარებელი და მსხვერპლი ერთი და იგივე მნიშვნელობის სიტყვები არ არის. მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული არ არსებობს სამართლებრივი სიკეთის გარეშე, იგი შეიძლება არსებობდეს მსხვერპლის გარეშე.[494] ამ შემთხვევაში იგულისხმება ისეთი დანაშაულები, რომლებიც ინდივიდის წინააღმდეგ არ არის მიმართული. მაგალითად, დოკუმენტების გაყალბება.[495] წარმოდგენილი დებულების თანახმად, მსხვერპლი გვყავს მაშინ, როცა ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ხდება.

მსხვერპლი, უფრო მეტად ინდივიდს, კონკრეტულ ადრესატს უნდა ნიშნავდეს, რომელიც დაზარალდა ან რომელსაც საფრთხე შეექმნა დანაშაულის შედეგად. თუმცა, შეიძლება მსხვერპლის ცნება ორი-ფაროთ და ვიწრო მნიშვნელობით გამოვიყენოთ. ვიწრო გაგებით, მსხვერპლი უნდა გულისხმობდეს მხოლოდ ინდივიდს, მაშინ, როცა მსხვერპლში ფართო გაგებით შეიძლება საზოგადოება და სახელმწიფოც მოვიაზროთ.

ისეთ დანაშაულად, როცა ქმედება მიმართულია განსაზღვრული სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ, მაგრამ სახეზე არ არის მსხვერპლი ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, შეიძლება დასახელდეს სსკ-ის 254-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემაში გამოიხატება. თუ ყველა დანაშაული მსხვერპლს გულისხმობს, ჩნდება კითხვა, ვინ შეიძლება იყოს დასახელებული დანაშაულის მსხვერპლი? ის ვინც ადგილის დათმობის სანაცვლოდ ფულს იხდის (ფართის დამქირავებელი), ის ვინც პროსტიტუციას ნებაყოფლობით ეწევა და სექსუალური მომსახურებისთვის ფულს იღებს, თუ ის კლიენტი, ვინც სექსუალური მომსახურებისთვის გარკვეულ თანხას იხდის? ოპონენტის მხრიდან პასუხი შეიძლება ასეთიც გაიცეს: დანაშაულის მსხვერპლი ამ შემთხვევაში არის საზოგადოება. მაგრამ, თუ ჩვენ ამ შეხედულებას გავიზიარებდით, მსხვერპლს მეტად ფართოდ განვმარტავდით.

ჰ. შნაიდერის შეხედულებით მსხვერპლი არ უნდა გავიგოთ პერ-

---

493 იხ. *შალიკაშვილი მ.,* ვიქტიმოლოგია – მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბ., 2011, გვ. 15.

494 იხ. *Kiefl/Lamnek*, Soziologie des Opfers, München, 1986, S. 32; *Röhl K., Röhl H.*, Allgemeine Rechtslehre, Einl Lehrbuch, 3. Auflage, Köln. München, 2008, S. 269.

495 იხ. *Röhl K., Röhl H.*, იქვე, გვ. 269.

სონიფიცირებულად და მსხვერპლის ცნებაში არ უნდა მოვიაზროთ მხოლოდ ინდივიდი, ადამიანი. მისი აზრით შესაძლებელია კოლექტიური, აბსტრაქტული მსხვერპლის არსებობა. მაგალითად, სოციალური ჯგუფები, საზოგადოება და მისი წესრიგი, სახელმწიფო, მართლმსაჯულება.[496] აღნიშნული მოსაზრება არ მიგვაჩნია მართებულად. მსხვერპლი ყოველთვის კონკრეტულია და არ შეიძლება მსხვერპლი აბსტრაქტულად გავიგოთ. ისევე როგორც არ არსებობს დანაშაულის ჩადენა ზოგადად და დანაშაული ყოველთვის კონკრეტულ ვითარებაში, კონკრეტულ გარემოებაში ხორციელდება, ასევე არ შეიძლება არსებობდეს „აბსტრაქტული მსხვერპლიც“. დანაშაულს შეიძლება ჰყავდეს არა ერთი და ორი, არამედ ბევრი მსხვერპლი, დანაშაულის მსხვერპლი შეიძლება იყოს თუნდაც გარკვეული ჯგუფი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეიძლება არსებობდეს „აბსტრაქტული მსხვერლი“. „აბსტრაქტული მსხვერპლის“ არსებობა წინააღმდეგობაში მოდის მსხვერპლის ბუნებასთან და გაგებასთან. გარდა ამისა, მსხვერპლად არ შეიძლება მივიჩნიოთ მართლმსაჯულება და საზოგადოების წესრიგი. მსხვერპლის ასეთი გაგებით ერთმანეთში ავურევდით სამართლებრივ სიკეთეს და მის მატარებელს. მსხვერპლი შეიძლება იყოს არა სამართლებრივი სიკეთე, არამედ მისი მატარებელი. მართლმსაჯულება და საზოგადოების წესრიგი კი სამართლებრივი სიკეთეებია.

საქართველოს სსკ-ში პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული ისეთი ქმედებებისთვის, როგორიცაა ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა, მიცვალებულისადმი უპატივცემულობა. ჩნდება კითხვა: გულისხმობს თუ არა აღნიშნული დელიქტები სამართლებრივ სიკეთეს და რა შეიძლება იყოს ასეთ დელიქტებში სამართლებრივი სიკეთე? *ჰ. იეშეკის* შეხედულებით, ასეთ დელიქტებში სამართლებრივი სიკეთეა საზოგადოებაში დამკვიდრებული ღირებულებითი დამოკიდებულება. *იეშეკი* აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი, მართალია, მიიჩნევა სამართლებრივ სიკეთედ, მაგრამ დასჯადობის საფუძველია არა ქმედებით გამოწვეული ზიანი, არამედ დაცვა სოციალური მორალისადმი განსაზღვრული დამოკიდებულებისა, რომელიც სისხლისსამართლებრივი სანქციით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.[497]

6. სამართლებრივი სიკეთე, როგორც იდეალური ღირებულება

ფართო გავრცელება ჰპოვა თვალსაზრისმა, რომლის თანახმადაც, სამართლებრივი სიკეთე არა რეალური, პოზიტიურად შეფასებადი სიკეთეა, არამედ იდეალური ღირებულება. *ჰ. იეშეკი* სამართლებრივ სიკეთეს იდეალურ, სოციალური წესრიგის სამართლებრივად დაცულ, აბსტრაქტულ ღირებულებად მიიჩნევდა, რომლის დაცვის ინტერესი საზოგადოებას გააჩნია და რომლის მატარებელი ცალკეული პიროვნება ან პირთა ერთობა შეიძლება იყოს.[498] მისი მოძღვრების მიხედვით, სამართლებრივი

[496] იხ. *Schneider H.J.*, Viktimologie, Wissenschaft vom Verbrechensopfer, Tübingen, 1975, S. 10-11.

[497] იხ. *Jescheck H.H, Weigend T.,* Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 258-259.

[498] იხ. *Jescheck H.H, Weigend T.,* იქვე, გვ. 257.

სიკეთე არ არის ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის იდენტური. შედეგის უმართლობა გულისხმობს ქმედების რეალური ობიექტის ხელყოფას ან მისთვის საფრთხის შექმნას.[499] *იეშეკი* სამართლებრივ სიკეთეს და ქმედების ობიექტს მიჯნავს ერთმანეთისგან. თუ სამართლებრივი სიკეთე იდეალური ღირებულებაა, ქმედების ობიექტი რეალური არსის სფეროს განეკუთვნება.

იეშეკის თვალსაზრისს, სამართლებრივ სიკეთეზე, საფუძვლად დაედო *პლატონის* მოძღვრება იდეალებზე.[500] აღნიშნული დებულების თანახმად, სამართლებრივი სიკეთე არის მარადიული, მაშასადამე უცვლელი იდეა. იდეა არაგრძნობადია, რომელსაც ადამიანი თვალით ვერ ხედავს.[501] *პლატონის* თვალსაზრისით, თუ გრძნობადი საგნები ცვალებადია, იდეები, როგორც არაგრძნობადი, უცვლელი.[502]

იეშეკის მსგავსად, სამართლებრივ სიკეთეს იდეალურ ღირებულებად მიიჩნევენ სხვა ავტორებიც, რომლებიც აღნიშნავენ, რომ სამართლებრივი სიკეთე იდეალური საგანია, რომელთა ხელყოფა ან გადაფასება ცალკეულ დანაშაულებრივ ქმედებათა მეშვეობით შეუძლებელია. შესაძლებელია მხოლოდ მათი მნიშვნელობის უგულებელყოფა და, აქედან გამომდინარე, საფრთხის შექმნა.[503] წარმოდგენილი თვალსაზრისი არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. როდესაც საუბარია სამართლებრივი სიკეთის არა ხელყოფის, არამედ მისთვის მხოლოდ საფრთხის შექმნის შესაძლებლობაზე, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რამდენად შესაძლებელია საფრთხე შეექმნას იმ სამართლებრივ სიკეთეს, რომლის ხელყოფაც შეუძლებელია? საფრთხის შექმნა ხომ ხელყოფის შესაძლებლობის შექმნას გულისხმობს და, თუ სიკეთის ხელყოფა შეუძლებელია, აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მისთვის საფრთხის შექმნაც შეუძლებელი იქნება. საფრთხე შეიძლება იმას შეექმნას, რისი ხელყოფაც შესაძლებელია.

იეშეკის დებულების საწინააღმდეგოდ გამოითქვა მოსაზრება, რომ, სისხლის სამართლის ამოცანა არ არის ცნებების დაცვა. კანონი გამოიცემა არა ცნების, არამედ რეალობის დასაცავად.[504] აღნიშნული თვალსაზრისით, თუ სამართლებრივ სიკეთეს განვმარტავთ როგორც იდეალურ, არარეალურ ღირებულებას, მაშინ იგი სისხლისსამართლებრივ დაცვას არ საჭიროებს, რამდენადაც მისი, როგორც მარადიულის და წარუვალის კაუზალური ხელყოფა შეუძლებელია.[505] შეიძლება კაუზალური ხელყოფა იმის, რაც რეალურია. მაგალითად, თუ ჩვენს სამართლებრივ სიკეთეს – სიცოცხლეს გავიგებთ როგორც იდეალურ ღირებულებას, მისი ხელყოფა ან მისთვის საფრთხის შექმნა შეუძლებელი იქნება. შეუძლებელია ცნების კაუზალური ხელყოფა ან მისთვის საფრთხის შექმნა. შეუძლებელია სიცოცხლე, როგორც ცნება მოკვდეს ან ჯანმრთელობა, როგორც

---

499 იხ. *Jescheck H.H, Weigend T.,* იქვე, გვ. 257.

500 პლატონის იდეებზე იხ. *ბაქრაძე კ., წერეთელი ს., გუჯაბიძე პ., კილაძე ვ., ჭელიძე მ., ნემსაძე მ.,* ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1962, გვ. 49-56.

501 იხ. *წერეთელი ს.,* ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, პირველი ტომი, ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1973, გვ. 315.

502 იხ. *წერეთელი ს.,* იქვე, გვ. 318.

503 იხ. *Sax W.*, „Tatbestand" und Rechtsgustverletzung, JZ 1976, S. 432.

504 იხ. *Kargl W.,* Friedenssicherung durch Strafrecht, Teleologische Strafrechtfertigung am Beispiel der Tötungsdelikte, Archiv für Rechts- und Sozialphilosophi, 1996, S. 492.

505 იხ. *Hefendel R.*, Kollektive Rechtsgüter im Strafrecht, Köln, Berlin, Bonn, München, 2002, S. 29.

ცნება დაზიანდეს. ყველაფერი, რაც არამატერიალურად ანუ იდეალურად არსებობს, არ წარმოადგენს ფიზიკურ მდგომარეობას, ისინი იდეალურ სფეროს მიეკუთვნებიან. მიზეზობრიობა კიდევ არ მიეკუთვნება მეტა-ფიზიკურ-იდეალურ სამყაროს.[506] მიზეზობრიობა რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესს ასახავს. „სიცოცხლეს იდეალური საწყისები აქვს და მჭიდროდ დაკავშირებულია იდეალურ არსთან, მაგრამ იგი მაინც ბიოლოგიური ფენომენია და რეალობის სფეროს მიეკუთვნება“.[507]

მართალია, სიცოცხლე, როგორც სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე, განსხეულებული სახით არსებობს და რეალურ მდგომარეობას გამოხატავს, მაგრამ სისხლის სამართლით დაცული ყველა სიკეთე როდი წარმოადგენს ასეთს. სისხლის სამართალი იცავს ისეთ სიკეთეებსაც, რომლებიც იდეალურ ღირებულებას შეადგენენ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია თავი – „დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ“. ამ თავში გათვალისწინებულია სასჯელი ისეთი ქმედებებისთვის, როგორიცაა: პროსტიტუციისათვის ადგილის დათმობა, ცხოველისადმი უპატივცემულობა. აღნიშნული ქმედებები მიმართულია საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ. საზოგადოებრივი ზნეობა კი არის ის სამართლებრივი სიკეთე, რომელიც განსხეულებული სახით არ არსებობს. აქ საქმე ეხება იდეალურ ღირებულებას.

„იდეალურის“ ალტერნატივა არის არა „მატერიალური“, არამედ „რეალური“. მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, რეალობა შედგება არა მხოლოდ სხეულებრივი საგნებისგან, არამედ სულიერი ფენომენებისგანაც. ეს ფენომენები არ არის იდეალური აზრობრივი წარმონაქმნი, რომელზეც კაუზალური ზემოქმედება შეუძლებელია. ეს ფენომენები არის საგნები, რომელთა ხელყოფა შესაძლებელია.[508]

კანტს იდეალიზმი და იდეალური გაგებული ჰქონდა სუბიექტური იდეალიზმის თვალსაზრისით, მხოლოდ იმის არსებობის დაშვების აზრით, რაც ჩვენი წარმოდგენები და იდეებია. იგი ობიექტურსა და რეალურს უპირისპირებს სუბიექტურს და იდეალურს, როგორც ჩვენი შემეცნების ბუნებიდან გამომდინარეს.[509] მაშასადამე, იდეალური, *კანტის* მიხედვით, არის არა ობიექტური, არამედ სუბიექტური.

როდესაც ვსაუბრობთ სამართლებრივ სიკეთეზე, როგორც იდეალურ ღირებულებაზე, შემდეგი რამ უნდა გავითვალისწინოთ. იდეალური და რეალური ორივე არსის სფეროს ეკუთვნის, მაგრამ თუ რეალური დროში არსებობს, მოძრაობს და იცვლება, იდეალური, პირიქით, უცვლელია. შესაბამისად, როცა საუბარია იდეალური ღირებულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებაზე, შეუძლებელია იგულისხმებოდეს ისეთი ქმედება, რომელიც რეალურ სამყაროში ცვლილებებს იწვევს. მაგალითად, თუ მკვლელობა იწვევს ცვლილებას გარესამყაროში სიცოცხლის მოსპობის სახით, პროსტიტუციისთვის ადგილის დათმობით ან სხვა მსგავსი ქმედებით გარესამყაროში ცვლილების გამოწვევა შეუძლებელია. როცა ხორციელდება ქმედება საზოგადოებრივი ზნეობის

---

[506] იხ. *Graul E.,* Abstrakte Gefährdungsdelikte und Präsumtionen im Strafrecht, Berlin, 1991, S. 56-57.

[507] იხ. *ავალიანი ს.*, მეცნიერული ონტოლოგია, თბ., 1994, გვ. 71.

[508] იხ. *Hefendel R.*, იქვე, გვ. 28.

[509] იხ. *თევზაძე გ.*, იმანუელ კანტი, თბ., 1974, გვ. 227-228.

წინააღმდეგ, ამით საზოგადოებრივი ზნეობა კი არ იცვლება, ის უცვლელი სახით რჩება.

ხშირად იცვლება ამა თუ იმ საკითხისადმი დამოკიდებულება. რაც ადრე ამორალურად ითვლებოდა და გაკიცხვას იმსახურებდა, ახლა შეიძლება გასაკიცხი არ იყოს, მაგრამ „ღირებულების იდეალური არსი მისი ისტორიული გაგებისაგან განსხვავებული უნდა იქნეს. ის, რაც ისტორიულად ღირებულებად ითვლებოდა, არაა აუცილებელი ღირებულება იყოს. ეს ცვლილება ღირებულებაზე არ მოქმედებს“.[510]

კ. როქსინის შეხედულებით, იმისათვის, რომ სამართლებრივი სიკეთე ხელყოფილ იქნეს ან საფრთხე შეექმნას, აუცილებელი არ არის იგი სხეულებრივი სუბტრაქტი იყოს, არამედ შეიძლება ისეთ სინამდვილეს წარმოადგენდეს, რომ მისი დაზიანება შესაძლებელი იყოს. მისი თქმით, პატივი და ღირსება არის არამატერიალური, თუმცა სოციალური რეალობა და შეურაცხყოფისა და ცილისწამების გზით მისი ეფექტური ხელყოფა შესაძლებელია.[511] *როქსინის* თვალსაზრისი მართებულია იმასთან დაკავშირებით, რომ პატივისა და ღირსების ხელყოფაზე საუბარი სრულიად შესაძლებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში სიტყვა „ხელყოფა“ არ ატარებს იმ მნიშვნელობას, როგორც შედეგიანი დელიქტების – მკვლელობის, ჯანმრთელობის დაზიანების – განხორციელებისას. შედეგიან დელიქტებში „ხელყოფა“ გულისხმობს გარესამყაროში ცვლილების გამოწვევას. მაგალითად, მკვლელობის დროს სიცოცხლის ხელყოფა. ტერმინი „ხელყოფა“ ორი გაგებით (მატერიალური და ფორმალური) გამოიყენება. მატერიალური გაგებით სამართლებრივი სიკეთის „ხელყოფა“ იწვევს ცვლილებას გარესამყაროში და მას შეიძლება მხოლოდ შედეგიან ანუ ე.წ. მატერიალურ დელიქტებში ჰქონდეს ადგილი. ხოლო, სამართლებრივი სიკეთის „ხელყოფა“ ფორმალური მნიშვნელობით, უშედეგო, ე.წ. ფორმალურ დელიქტებშიც შესაძლებელია.

7. ზნეობა, როგორც სისხლის სამართლით დაცული სიკეთე

ზნეობა, ისე, როგორც იდეალი, ჯერარსულია. ისინი გამოხატავენ არა იმას რაც არსებობს, არამედ იმას, რაც უნდა იყოს. ამიტომ, კანონები არ განისაზღვრება იმის მიხედვით, რაც კეთდება. „ზნეობრივი კანონების მიმართ გამოცდილება (სამწუხაროდ!) მოჩვენების დედაა“.[512] ის რაც არის (ან იყო), სრულყოფილად (ან საეროდ) ვერ გამოხატავს იმას, რაც უნდა იყოს (ან უდა ყოფილიყო).

ზნეობა ანუ მორალი, ისე როგორც სამართალი, ნორმატიული ხასიათისაა. ზნეობა ზნეობრივი ნორმების ერთობლიობაა. ზნეობრივ ნორმას ადგენს საზოგადოება, რომლის შესრულებაც სავალდებულოა. მისი შეუსრულებლობა სათანადო შედეგებს იწვევს საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის სახით. ზნეობრივი ნორმა ხშირად სამართალშიც არის ასახული. სწორედ ამაზე მიუთითებს სისხლის სამართლის კოდექსში საზოგა-

---

[510] იხ. *თევზაძე გ.*, ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგიის კრიტიკა, თბ., 1967, გვ. 110.

[511] იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, 4. Aufl., München, 2006, S. 34, § 2, Rn. 66.

[512] იხ. *კანტი*, წმინდა გონების კრიტიკა, გერმანულიდან თარგმნა შ. პაპუაშვილმა, თბ., 1979, გვ. 229.

დებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებათა გამო სასჯელის გათვალისწინება. სამართალი მორალის მინიმალურ მოთხოვნებს ითვალისწინებს იმისთვის, რომ მოიპოვოს ლეგიტიმაცია საზოგადოების მხრიდან. თავისუფალი საზოგადოება ცდილობს ისეთი ნორმები შეიმუშავოს, რომელიც მოქალაქეთა მიერ იქნება მოწონებული. თავისუფალი საზოგადოების ცალკეული წევრის უმაღლეს ინსტანციას კიდევ სინდისი წარმოადგენს.[513]

სამართალმა არ უნდა უბიძგოს ადამიანს ამორალური ქმედებისკენ.[514] თუმცა, ყველა ზნეობრივი ნორმის ინტეგრაცია სამართალში შეუძლებელია. სამართალი ყოველგვარ ამორალურ ქმედებას ვერ დასჯის. უფრო მეტიც, ზოგჯერ ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმები უპირისპირდებიან ერთმანეთს.[515] სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში შეიძლება ცალკეულ პირთა შინაგანი (სინდისიდან გამომდინარე) მოვალეობა და სამართლებრივი მოთხოვნა ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიოდნენ.[516] ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმების სრული თანხვედრა მხოლოდ ტოტალიტარულ სახელმწიფოშია შესაძლებელი.[517]

მორალურ და სამართლებრივ ნორმას ერთმანეთისგან მიჯნავდა *კანტი*. იგი ხაზს უსვამდა იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, პოზიტიური სამართლის ნორმით გათვალისწინებული მოთხოვნა მორალური ნორმიდან გამომდინარეობდეს, მაგრამ იგი იმასაც მიუთითებს, რომ ეს ყოველთვის ვერ იქნება უზრუნველყოფილი.[518] *კანტი* იმ მოვალეობას, რომელიც პოზიტიური სამართლიდან, კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, გარეგან მოვალეობას უწოდებს და აღნიშნავს, რომ კანონმდებლობა არ მოითხოვს ამ მოვალეობის იდეა მიზანი იყოს თვით მოქმედი პირისთვისაც.[519]

როდესაც ვსაუბრობთ ამორალურ, უზნეო ქმედებაზე, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულზე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქმედების ამორალურობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფს. მორალის, ზნეობის საწინააღმდეგო ქმედება მაშინ არის მიმართული სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ, როდესაც იგი ხელყოფს ან საფრთხეს უქმნის მშვიდობიან თანაცხოვრებას. მაშასადამე, საზოგადოებაში გაბატონებული მორალური ნორმების დაცვა საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინაპირობაა. საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა კიდევ შეუძლებელია ზოგჯერ, თუ სისხლის სამართალმა არ უზრუნველყო სათანადო ზნეობრივი ნორმების დაცვა. როდესაც სისხლის სამართალი იცავს საზოგადოებრივ ზნეობას, ამით უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის, უსაფრთხოების სტაბილობას.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში გამოთქმულია შეხედულება, რომ სისხლის სამართლის კოდექსი მაქსიმალურად უნდა გათავისუფლდეს იმ ნორმებისგან, რომლებიც ზნეობის წინააღმდეგ მიმართული ქმედების

---

513 იხ. *Zippelius R.*, Rechtsphilosophie, 5. Aufl., München, 2007, S. 27.

514 იხ. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 63. ველის ნომერი 173.

515 იხ. *ხუბუა გ.*, იქვე, გვ. 64. ველის ნომერი 177.

516 იხ. *Zippelius R.*, ebenda, S. 27.

517 იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი I, დანაშაული, თბ., 2014, გვ. 10.

518 იხ. *Zippelius R.*, ebenda, S. 143.

519 იხ. *Zippelius R.*, ebenda.

კრიმინალიზაციას ახდენენ.[520] მართალია, სისხლის სამართლის ამოცანა არ არის ამორალობის წინააღმდეგ ბრძოლა, თუ იგი სოციალური საშიშროებით არ ხასიათდება,[521] მაშასადამე, სისხლის სამართალი ვერ დასჯის ყველანაირ ამორალურ ქმედებას და ეს მიზანშეუწონელიც იქნებოდა, ვინაიდან სისხლის სამართალი სოციალური წესრიგის დაცვის უკანასკნელი და ყველაზე მკაცრი ინსტრუმენტია (ultima ratio), მაგრამ სისხლის სამართალი ვერ იტყვის სრულ უარს ზნეობის წინააღმდეგ მიმართული ქმედების დასჯადობაზე, რამდენადაც სახელმწიფოში სოციალური წესრიგი აუცილებლად უნდა იყოს დაცული და ეს ზოგჯერ მხოლოდ მორალურ ნორმას არ ძალუძს. ასეთ შემთხვევაში აღმართავს სახელმწიფო თავის მახვილს სისხლის სამართლის სახით. მაგალითად, ზოგადად, ტყუილის თქმა, როგორც ამორალური ქმედება, სისხლის სამართლით არ ისჯება, მაგრამ ცრუ ჩვენება (სსკ-ის 370-ე მუხ.) და ცრუ დასმენა (სსკ-ის 373-ე მუხ.), როგორც მისი კონკრეტული გამოვლინება, დასჯადია, ვინაიდან იგი საფრთხეს უქმნის, ხელს უშლის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას და მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებას.

ადრე დასჯადი იყო მამათმავლობა და ლესბიანობა. შემდგომში მოხდა ამ ქმედების დეკრიმინალიზაცია და ახლა მხოლოდ მაშინ ისჯება, როცა იგი იძულებით ხორციელდება. ქმედების დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებები გამოითქვა. ავტორთა ერთი ნაწილი ქმედების დასჯადობის გაუქმებას უკავშირებს იმას, რომ შეიცვალა საზოგადოების სოციალური მორალი. ხოლო, მეცნიერთა მეორე ნაწილის შეხედულებით, ქმედების დეკრიმინალიზაცია გამართლებულია იმიტომ, რომ აღნიშნული ქმედებები არ ხელყოფდნენ სამართლებრივ სიკეთეს, რამდენადაც დასახელებული ქმედება ხელს არ უშლის მშვიდობიან თანაცხოვრებას.[522]

საზოგადოებრივი ზნეობა იდეალური ღირებულებაა და მის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედება არ იწვევს ცვლილებას გარესამყაროში, მაგრამ მაინც დგება გარკვეული „შედეგი“ მორალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით.[523] ამ შემთხვევაში „შედეგი“ ჩვენ არ უნდა გავიგოთ ვიწროდ, არამედ ფართოდ. თუ შედეგი ვიწრო გაგებით მხოლოდ მატერიალურ დანაშაულებში გვაქვს, „შედეგი“ ფართო გაგებით ნებისმიერი, მათ შორის ფორმალური, დანაშაულის განხორციელებას მოჰყვება.

ეთიკური, ზნეობრივი ღირებულება ადამიანის ნებისა და ფსიქიკური პროცესების, შემეცნებითი შესაძლებლობებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. ადამიანი ამ ღირებულებებს ემოციურად განიცდის. „ეთიკური ღირებულება არც მატერიალურია და არც სულიერი“.[524]

ზნეობა, მორალი[525] არის თუ არა სამართლებრივი სიკეთე შეიძლება

---

[520] იხ. *ტურავა მ.*,სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილის მიმოხილვა,მე-9 გამოცემა,თბ., 2013,გვ. 17.

[521] იხ. *Ebert U.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., Heidelberg, 2001, S. 1.

[522] იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, 4. Aufl., München, 2006, S. 19, §2, Rn. 17-18.

[523] მორალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით გაგებულ „შედეგზე“ იხ. *ნაჭყებია გ.*, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება (ლექციების კურსი), თბ., 2002, გვ. 76.

[524] იხ. *ხუბუა გ.*, იქვე,გვ. 92.

[525] “ზნეობა” წარმოდგება სიტყვიდან “ზნე”. “ზნეობის” ლათინური სინონიმია “მორა-

საკამათოც იყოს. მორალი, ისე როგორც სამართალი, არის ადამიანთა ქცევის წესების სისტემა. მორალი სამართლის მსგავსად ადამიანის ქცევას არეგულირებს.[526]

ავტორთა ერთი ნაწილი სამართალს ფასეულობად მიიჩნევს,[527] მაგრამ გამოთქმულია საწინააღმდეგო შეხედულებაც, რომლის თანახმად, სამართალი არ არის ღირებულება, არამედ იგი ამა თუ იმ ღირებულებას მხოლოდ იურიდიულად განამტკიცებს.[528] ყოველივე ამის შემდეგ ჩნდება კითხვა: თუ სამართალი, როგორც ნორმატიული სისტემა[529] და ადამიანთა ქცევის მომწესრიგებელ ნორმათა ერთიანობა არ არის ღირებულება, რამდენად შეიძლება ღირებულებას წარმოადგენდეს მორალი, ზნეობა?

მორალს, ისე როგორც ჩვეულებას და ტრადიციას, ფასეულობად[530] განიხილავს *ბ. ზოიძე.*[531] ანალოგიურ შეხედულებას გამოხატავს *გ. ნაჭყებია*, როცა აღნიშნავს, რომ სამართალი იცავს საზოგადოების ნორმატიულ სისტემას და მის კულტურულ ღირებულებებს. ზნეობა კი საზოგადოების ნორმატიული სისტემის ნაწილია.[532] ზნეობას სამართლებრივ სიკეთედ მიიჩნევს ქართული სისხლის სამართლის კოდექსი. ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება ისეთი ქმედებანი, რომლებიც საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგაა მიმართული.

გ. შუშანაშვილის თვალსაზრისით, მაშინ, როცა ზნეობა ერთსა და იმავე დროს მიზანიც არის და საშუალებაც, „სამართალი არის საშუალება სამართალდარღვევათა აღსაკვეთად ან დარღვეული სამართლიანობის აღსადგენად. სამართალს არც ერთ ნორმალურ სახელმწიფოში თავისი თავი არ აქვს მიზნად“.[533] *გ. შუშანაშვილის* შეხედულებით, სამართალი, ერთი მხრივ, მხოლოდ საშუალებაა სამართალდარღვევის აღსაკვეთად,

---

ლი“,რომელიც წარმოდგება სიტყვიდან “mos”,რაც “ზნეს” ნიშნავს. იხ. *ბანძელაძე გ.*„რა არის ზნეობა,თბ.,1979,გვ. 6.

[526] იხ. *ხუბუა გ.,* იქვე,გვ. 60.

[527] იხ. *Алексеев С.С.,* Социальная ценность права в советском обществе, М., 1974, с. 217-218; *ზოიძე ბ.,* პოზიტიური სამართლის მოქმედების ფარგლების ანუ მოწესრიგებული ადამიანისა და მიმტევებელი სახელმწიფოს შესახებ,“სამართლის ჟურნალი“,2011,№2,გვ. 274.

[528] იხ. *ხუბუა გ.,* სამართლის თეორია,თბ.,2004,გვ. 91.

[529] არის თუ არა სამართალი ნორმატიული სისტემა,საკამათოდ მიიჩნევენ. მეცნიერებაში საწინააღმდეგო მოსაზრებაც არის გამოთქმული,რომლის თანახმად,სამართალი არის არა ნორმატიული,არამედ სოციალური სისტემა. იხ. *Teubner G.*, Recht als autopoietisches System, Frankfurt am Main, 1989, S. 36; *ბრეგვაძე ლ.*,აუტოპოიეტური სამართალი და სამართლებრივი კულტურა გლობალურ საზოგადოებაში: “პოსტმოდერნისტული სამართლის სოციოლოგია”, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის “მაცნე”,სამართლის სერია,2005,№1,გვ. 45; *Bregvadze L.*, Legal Culture of the World-Society: Local Law and Social Change from the Autopoietic Perspektive, Teubner-FS, 2009.

[530] “ღირებულება” და “ფასეულობა” იდენტური მნიშვნელობის ტერმინებს წარმოადგენენ. იხ. *ნაჭყებია გ.*„სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი,თბ.,2006, გვ. 64.

[531] იხ. *ზოიძე ბ.,* საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში,თბ.,2007,გვ. 38.

[532] იხ. *ნაჭყებია გ.*„სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი,სახელმძღვანელო,თბ.,2011,გვ. 66.

[533] იხ. *შუშანაშვილი გ.,* ღირებულება და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები,თბ., 1990,გვ. 39.

ხოლო მეორე მხრივ, იგი სამართალს ფასეულობადაც მიიჩნევს.[534] თუ სამართალი ღირებულებაა, მაშინ იგი არა მხოლოდ საშუალება, არამედ მიზანიცაა. მაშასადამე, *გ. შუშანაშვილი* საკუთარ თავთან მოდის წინააღმდეგობაში. თუმცა, დასახელებული ავტორი უდაოდ მართალია იმაში, რომ ცივილიზებულ სახელმწიფოში სამართალს საკუთარი თავი არ უნდა ჰქონდეს მიზნად. იგი საკუთარ თავს კი არ უნდა იცავდეს, არამედ საშუალება უნდა იყოს სამართლებრივი სიკეთის დასაცავად.

კანტის თვალსაზრისით, სამართალი არის მიზანი სამოქალაქო მდგომარეობაში არსებული საზოგადოებისთვის.[535] ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, სამართლებრივი მოწესრიგება არ შეიძლება აღიარებულ იქნას განსაზღვრული წესის და საზოგადოებრივი ურთიერთობების მხოლოდ განმტკიცების საშუალებად, არამედ სამართალს თავისთავადი ღირებულება აქვს. „სამართლის ნორმა მიუთითებს იმაზე, რაც უნდა შესრულდეს, სწორედ ეს „უნდა" გამოხატავს სამართლის თავისთავად ღირებულებას, სწორედ ის არის სამართალში განხორციელებული ღირებულებითი მომენტი, რომელიც ჯერარსობას გამოხატავს".[536]აღნიშნულ დებულებას იზიარებს *გ. ნაჭყებია* და აღნიშნავს, რომ სამართალი დანაშაულთა თავიდან აცილების და მართლწესრიგის დაცვის არა მხოლოდ საშუალებაა, არამედ თავადაც წარმოადგენს მიზანს და სხვაგვარად ქმედების სამართლებრივი შეფასება შეუძლებელია.[537]

სამართალი მიზანია არა იმიტომ, რომ სამართალი ღირებულება იყოს, არამედ იმ თვალსაზრისით, რომ სამართლის ნორმა მის ადრესატს მოთხოვნას უყენებს, განხორციელებას მოითხოვს. მაგრამ აქვე ჩნდება კითხვა: არის კი ყველა ის მოთხოვნა, რომელსაც მოქმედი სამართლის ნორმა მის ადრესატს უყენებს, განხორციელების ღირსი? რამდენად „უნდა" იქნეს გათვალისწინებული და განხორციელებული ის მოთხოვნა, რომელიც მეტად უსამართლოა[538] და სამართლიანობის იდეას ოდნავადაც ვერ გამოხატავს? რასაკვირველია, ასეთი მოთხოვნა არ არის განხორციელების ღირსი. თუ სამართალს ღირებულებად მივიჩნევდით,

---

[534] *შუშანაშვილი გ.*,იქვე,გვ. 38-39.

[535] იხ. *Алексеев С.С.*, Собрание сочинений в десяти томах, Том 9, М., 2010, С. 13.

[536] იხ. *ფხალაძე ბ.*, სამართლის შეფარდებითი დამოუკიდებლობის შესახებ,"საბჭოთა სამართალი", 1973, №4, გვ. 59-60.

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლის ჯერარსობასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებაცაა გამოთქმული, რომლის თანახმადაც, "იურიდიული ნორმის ობიექტის ჯერარსობრივი ხასიათი შორეულადაც არ ამტკიცებს თვითონ ამ ნორმის ჯერარსობრივობას". ამავე თვალსაზრისით, ნორმის ობიექტი, როგორც განსახორციელებლად ჯერ არსი, შესაძლებელია არ არსებობდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თვით ნორმაც არარსებულის კატეგორიას ეკუთვნოდეს. იხ. *სურგულაძე ირ.*, ხელისუფლება და სამართალი, გერმანულიდან თარგმნა ო. გამყრელიძემ, თბ., 2002, გვ. 220.

[537] იხ. *ნაჭყებია გ.*, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბ., 2006, გვ. 74-75.

[538] *ჰანს კელზენის* სამართლის წმინდა თეორიის მიხედვით, რომელიც პოზიტიური სამართლის თეორიაა, პოზიტიური სამართალი მოქმედებს არა მხოლოდ მაშინ, როცა იგი სამართლიანია, არამედ მაშინაც, როცა უსამართლოა. მაშასადამე, პოზიტიური სამართლის მოქმედება არ არის დამოკიდებული იმაზე, იგი სამართლიანია, თუ უსამართლო. იხ. *კელზენი ჰ.*, რა არის სამართლის წმინდა თეორია?, ქართულად თარგმნა *ლ. ბრეგვაძემ*, "სამართლის ჟურნალი", 2011, №2, გვ. 302.

ვერც დავსვამდით კითხვას: ყოველთვის „უნდა“ შესრულდეს თუ არა მოქმედი სამართლის მოთხოვნა. *გ. რადბრუხის* მართებული თვალსაზრისით, როცა პოზიტიური სამართლის[539] შემუშავებისას სამართლიანობა შეგნებულად უარყოფილია, კანონი არათუ „მართალ სამართალს“ არ წარმოადგენს, უფრო მეტი, საერთოდ აკლია სამართლის ბუნება.[540] *გ. რადბრუხი* არ ივიწყებს ისეთი ღირებულების მნიშვნელობას, როგორიც სამართლებრივი უსაფრთხოებაა, რაც სწორედ პოზიტიური სამართლის მოთხოვნების შესრულებას მოითხოვს მაშინაც, როცა აღნიშნული მოთხოვნა უსამართლოა, მაგრამ როცა კანონი იმდენად არ წარმოადგენს მართალ სამართალს, რომ უსამართლობა მოუთმენელ მასშტაბებს აღწევს, უპირატესობას სამართლიანობას ანიჭებს, რომელიც მაინც უფრო მაღალი ღირებულებაა, ვიდრე სამართლებრივი უსაფრთხოება.

ფილოსოფიურ ლიტერატურაში ერთმანეთისგან განასხვავებენ „ღირებულებას“ და „ღირებულს“. „ღირებულებასა“ და „ღირებულს“ შორის ტოლობის ნიშანი არ დაისმის. „ღირებული“ გულისხმობს ღირებულებასთან საგნის მიმართებას ანუ ღირებულებით მიმართებას. ღირებულებითი მიმართებისთვის აუცილებელია ღირებული საგანი. საგანი (მაგალითად, მხატვრის ტილო) შეიძლება იყოს ღირებული, მაგრამ იგი არ არის ღირებულება. მხატვარმა შეიძლება შექმნას ღირებული საგანი და არა ღირებულება.[541] საგნის ღირებულება ანუ ის, თუ რამდენად ღირებულია იგი, განისაზღვრება ღირებულებისადმი მისი მიმართებით.

როდესაც ვსვამთ კითხვას, არის თუ არა სამართალი ღირებულება, უნდა გავარკვიოთ, არის თუ არა ყველა ჯერარსობა ღირებულება და, პირიქით, არის თუ არა ღირებულება მხოლოდ ის, რაც უნდა იყოს. მაშასადამე, არსებობს თუ არა მათ შორის სრული იგივეობა? ფილოსოფიურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ „ღირებულება ის არის, რაც უნდა იყოს, მაგრამ ღირებულება არის აგრეთვე ის, რაც არის; არსებობს განხორციელებული ღირებულება“.[542] *გ. შუშანაშვილის* თვალსაზრისით, თუ განსახორციელებელი ღირებულება ჯერარსია, განხორციელებული ღირებულება ჯერარსად ყოფნას წყვეტს.[543]

ღირებულება ჯერარსულია,[544] მაგრამ ჯერარსი ყოველთვის ღირებულებაა? თუ ყველა ჯერარსი ღირებულებაა, გამოდის, რომ სამართალიც მისი ჯერარსობიდან გამომდინარე ღირებულებაა. უნდა ითქვას, რომ ასეთი დასკვნის გაკეთება არასწორია. არ შეიძლება სამართალი ღირებულებად გამოვაცხადოთ და ჯერარსსა და ღირებულებას შორის ტოლო-

---

[539] სამართლის პოზიტივიზმს თავის დროზე სერიოზული კრიტიკოსები გამოუჩნდენ. მათ შორის აღსანიშნავია ფრიდრიხ კარლ ფონ სავინი, რომელიც აღნიშნავდა, რომ კოდიფიცირებულ სამართალს არ ძალუძს ბოლომდე ასახოს საზოგადოებაში მოქმედი “ნამდვილი” სამართალი. იხ. *ბრეგვაძე ლ.*, სამართლებრივი კულტურა გლობალიზმსა და ლოკალიზმს შორის: სამართლის ტრანსფერების ფუნქციონალური განმარტებისთვის, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის “მაცნე”, 2006, №1, გვ. 5; *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 179.

[540] იხ. *Radbruch G.*, Rechtsphilosophie, 2. Aufl., Heidelberg, 2003, S. 216.

[541] იხ. *ბუაჩიძე თ.*, ჰეგელი და ფილოსოფიის არსების პრობლემა, თბ., 1976, გვ. 115-116.

[542] იხ. *შუშანაშვილი გ.*, ზნეობრივი ღირებულების სპეციფიკა, თბ., 1980, გვ. 42.

[543] იხ. *შუშანაშვილი გ.*, იქვე, გვ. 65.

[544] იხ. *ნაჭყებია გ.*, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბ., 2006, გვ. 66.

ბის ნიშანი დავსვათ.[545] „ღირებულება არის ჯერარსი, მაგრამ ყოველი ჯერარსი ღირებულება არ არის. ეს ნიშნავს, რომ ჯერარსობა ღირებულების სპეციფიკას არ წარმოადგენს“.[546] როდესაც ღირებულების ჯერარსობაზე საუბრობენ, იდეალის ჯერარსობას გულისხმობენ, რომელიც ღირებულებითი ცნობიერების საფუძველია.[547]

ფილოსოფიურ ლიტერატურაში მართებულად აღნიშნავენ, რომ ღირებულება საწყისია, პრინციპია, რომლის წყალობით ჯერარსი თავის საზრისს და გამართლებას იღებს. რაიმე შეიძლება იყოს ღირებული (არა საკუთარ თავთან, არამედ) ღირებულებასთან თავისი მიმართების მეშვეობით.[548] ღირებულებებს არა აქვთ თავდაპირველად კანონისა და მოთხოვნის ხასიათი. ყოველი ჯერარსი ღირებულების ცნობიერებაზეა დამყარებული და ამით არის გაპირობებული.[549] ყველა ჯერარსი, სამართლებრივი ნორმა, ღირებულებაში უნდა იყოს დაფუძნებული. „მაშასადამე, სამართლებრივი და ზნეობრივი ღირებულება ისეთი საზრისია, რომელიც საფუძვლად უდევს ყოველ სამართლებრივ ნორმას“.[550]

სამართალი კი არ არის ღირებულება, არამედ ღირებულება არის ის, რაც სამართლის ნორმას განაპირობებს და რომლისადმი მიმართებით სამართლის სამართლიანობა გაიზომება. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა *ბ. ზოიძის* მსჯელობა, როცა აღნიშნავს, რომ „საკმარისია მართლწესრიგი დავსვათ ღირებულებათა სათავეში, რომ ნებისმიერი ადამიანის არსებობა საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება. ღირებულებათა სათავეში ადამიანი დგას, მაგრამ იგი დგას მართლწესრიგზე, რომელიც მისთვის საშუალებაა და არა მიზანი“.[551] აღნიშნული მსჯელობით *ბ. ზოიძე* თითქოს წინააღმდეგობაში მოდის მის მიერ სხვაგან განვითარებულ მსჯელობასთან, რომლის მიხედვითაც „სამართალი ფასეულობაა“.[552] თუ სამართალს თავად გამოვაცხადებთ ფასეულობად, გამოდის, რომ იგი ფასეულობათა დაცვის არა მხოლოდ საშუალებაა, არამედ მიზანიც, ვინაიდან ღირებულება (ფასეულობა) მიზანია. მაგრამ თავად *ბ. ზოიძის* მსჯელობა კარგად მიუთითებს იმ საფრთხეებზე, რომელსაც სამართლის ფასეულობად გამოცხადება შეიცავს. ღირებულება არის არა სამართალი, არამედ სამართლის იდეა, სამართლიანობა. სწორად მიუთითებს *გ. რადბრუხი*, რომ სამართლის იდეა არის სამართლებრივი სინამდვილის

---

[545] ჯერარსობის და ღირებულების გაიგივების მომხრე არ არის ასევე *გ. შუშანაშვილი*, რაც სწორია. იხ. *შუშანაშვილი გ.*, იქვე, გვ. 42.

[546] იხ. *ავალიანი ს.*, ონტოლოგია და აქსიოლოგია, კრებულში: ფილოსოფიური ძიებანი, კრებული მეორე, თბ., 1998, გვ. 15.

[547] ღირებულებითი ცნობიერების საფუძვლად იდეალის არსებობა, თავის მხრივ, ღირებულებათა იერარქიული კიბის უსასრულობას განაპირობებს. ღირებულებებს არ აქვს დასასრული. არსებობს „მშვენიერი“ და „კეთილი“, მაგრამ შეიძლება არსებობდეს უფრო „მშვენიერი“ და უფრო „კეთილი“ და ა. შ. არ არსებობს აბსოლუტური მშვენიერება ან სიკეთე. იხ. *ავალიანი ს.*, იქვე, გვ. 15-16.

[548] იხ. *შუშანაშვილი გ.*, ღირებულების იდეალისტური გაგების კრიტიკა, თბ., 1987, გვ. 59.

[549] იხ. *შუშანაშვილი გ.*, იქვე, გვ. 58.

[550] იხ. *ბურჯალიანი ა.*, სამართლის ფილოსოფია, თბ., 2012, გვ. 137.

[551] იხ. *ზოიძე ბ.*, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, თბ., 2013, გვ. 16.

[552] იხ. *ზოიძე ბ.*, პოზიტიური სამართლის მოქმედების ფარგლების ანუ მოწესრიგებული ადამიანისა და მიმტევებელი სახელმწიფოს შესახებ, "სამართლის ჟურნალი", 2011, №2, გვ. 274.

ღირებულებითი მასშტაბი.[553] სწორედ ამ ღირებულების მიხედვით, მასთან სამართლის მიმართებით ვადგენთ, რამდენად „მართალია“ ანუ სამართლიანია სამართალი.

ს. ავალიანი აღნიშნავს, რომ ნებისმიერი ნორმა, კრიტერიუმი, საზომი ერთეული თუ ათვლის სისტემა აფასებს სხვას თავისი თვალსაზრისის მიხედვით, მაგრამ თვითონ კი არასოდეს არ არის შეფასების ობიექტი. ნორმის, საზომი ერთეულის, კრიტერიუმის შეფასება კვლავ სხვა ნორმას, კრიტერიუმს, საზომ ერთეულს მოითხოვდა. იდეალი, როგორც შეფასების ნორმა, კრიტერიუმი, შეფასების გარეშე დგას და ამდენად აბსოლუტურია.[554]

ს. ავალიანი სწორად მიუთითებს, რომ ნორმის შეფასება სხვა ნორმას, კრიტერიუმს მოითხოვდა. თუმცა, არ არის გასაზიარებელი მისი შეხედულება, რომ ნებისმიერი ნორმა აფასებს სხვას, მაგრამ თვითონ არასოდეს არ არის შეფასების ობიექტი. მოქმედი სამართლის (მათ შორის სისხლის სამართლის) ნორმა შეიძლება შეფასების ობიექტი გახდეს და ნორმის სამართლიანობა გაიზომოს სამართლიანობისადმი მისი მიმართების გათვალისწინებით და დადგინდეს, არის თუ არა ნორმა სამართლიანი. მოქმედი ანუ პოზიტიური სამართალი, როგორც წესი, სამართლის იდეაზე დაყრდნობით იქმნება.[555] როგორც *გ. რადბრუხი* აღნიშნავს, სამართალი შეუძლებელია სხვაგვარად განისაზღვროს, ვიდრე მოცემულობა, რომელსაც აქვს მნიშვნელობა სამართლის იდეის განსახორციელებლად,[556] მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოქმედი სამართალი ყოველთვის სამართლის იდეის გამომხატველი ანუ სამართლიანი იყოს. მაშასადამე, მაშინ, როცა პოზიტიური სამართლის ნორმა შეფასების ობიექტი შეიძლება იყოს, ზნეობრივი ნორმა, პირიქით, არასოდეს არ არის შეფასების ობიექტი და ამიტომაც არის იგი აბსოლუტური, იმპერატიული, რასაც ვერ ვიტყვით სამართლის ნორმაზე.

8. ღირებულების, სამართლებრივი სიკეთის და უფლების ურთიერთმიმართება

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში სწორად აღნიშნავენ, რომ ღირებულება წარმოადგენს მიზანს.[557]ღირებულება უმაღლესი მიზანია, იდეალია,[558] რომელიც ტელეოლოგიურ კანონზომიერებას ექვემდებარება.[559] ღირებულება არის ის, რაც უნდა იყოს, როგორც იდეალი, რომელიც რეალურში ყოფნის ღირსია.[560] მაშასადამე, ჯერარსი ღირებუ-

---

[553] იხ. *Radbruch G.*, Rechtsphilosophie, 2. Aufl., Heidelberg, 2003, S. 12.

[554] იხ. *ავალიანი ს.*, ონტოლოგია და აქსიოლოგია, კრებულში: ფილოსოფიური ძიებანი, კრებული მეორე, თბ., 1998, გვ. 17.

[555] იხ. *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 62.

[556] იხ. *Radbruch G.*, იქვე, გვ. 11-12.

[557] იხ. *Röhl K., Röhl H.*, Allgemeine Rechtslehre, Ein Lehrbuch, 3. Aufl., Köln. München, 2008, S. 272.

[558] იხ. *შუშანაშვილი გ.*,ღირებულების იდეალისტური გაგების კრიტიკა, თბ., 1987, გვ. 50.

[559] იხ. *შუშანაშვილი გ.*, ზნეობრივი ღირებულების სპეციფიკა, თბ., 1980, გვ. 9.

[560] იხ. *ნაჭყებია გ.*, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბ., 2006, გვ. 67.

ლების, იდეალის არსებობის ფორმაა.[561] მართალია, ღირებულება მიზანია, მაგრამ სხვა ღირებულებებთან მიმართებით შეიძლება საშუალებად მოგვევლინოს.[562] ღირებულებანი ქმნიან ღირებულებათა წესრიგს, სადაც ერთი ღირებულება „მაღალია“, ხოლო მეორე „დაბალი“.[563]

ღირებულება სამართლის ნორმის მიზანია. თუ სამართლის ნორმის მიზანია სიცოცხლის, ჯანმრთელობის, გარემოს დაცვა, ღირებულებაც მათ (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, გარემო) ემთხვევა.[564] სისხლის-სამართლებრივი ნორმა განსაზღვრავს ქცევის წესს, რომელიც შესაბამისი მიზნის მიღწევას ემსახურება. ამდენად, სისხლისსამართლებრივი ნორმა ღირებულებით მსჯელობას გულისხმობს.[565]

სამართლის ნორმის მიზანია როგორც ღირებულება, ისე სამართლებრივი სიკეთის დაცვა, მაგრამ, გარკვეული სხვაობა არსებობს სამართლებრივ სიკეთესა და ღირებულებას შორის. სიტყვათხმარებაში სამართლებრივ სიკეთესა და ღირებულებას შორის მკაფიო ზღვარის გავლება არ ხდება და ცნებების დონეზე ხშირად ხდება მათი გამოყენება იდენტური მნიშვნელობით. თუ სამართლებრივი სიკეთე კონკრეტულია, ღირებულება უფრო აბსტრაქტული ხასიათისაა.[566] ღირებულების იდეა კონკრეტულობას მთლიანად მოკლებულია.[567] თუმცა, სიკეთეზე ფილოსოფიურ ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებაც არსებობს.

სიკეთე *ჰეგელის* „გონის ფილოსოფია“-ში დახასიათებულია როგორც „აბსტრაქტულად ზოგადი“.[568] *ჰეგელი* აღნიშნავს, რომ „სიკეთის განსაზღვრა თვითონ განუსაზღვრელია“.[569] სიკეთეზე ჰეგელის შეხედულებას თუ გავიზიარებთ, კონკრეტული ადამიანის სიცოცხლე, როგორც სამართლებრივი სიკეთე, უნდა მივიჩნიოთ „აბსტრაქტულად ზოგადად“, მაგრამ ეს არ იქნება სწორი, მაშინ, როცა საუბარია არა ზოგადად სიცოცხლის იდეაზე, არამედ კონკრეტული ადამიანის სიცოცხლეზე.

ღირებულება არ არის დროით და სივრცით შემოფარგლული,[570] რასაც სამართალსა და სამართლებრივ სიკეთეზე ვერ ვიტყვით. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ სამართალს ისტორიად ქცევის ტენდენცია გააჩნია.[571] სამართლის ნორმის (სსკ-ის 108-ე მუხ.) მიზანია, მაგალითად სიცოცხლის დაცვა და აქედან გამომდინარე იგი სიკეთე არის. მაგრამ როდესაც ვსაუბრობთ ღირებულებაზე, რომელიც ასევე სამართლის ნორმის მიზანია, იგულისხმება სიცოცხლის იდეა, რომელიც აბსტრაქტულია. სიცოცხლეში, როგორც სამართლებრივ სიკეთეში, ვგულისხმობთ კონკრე-

---

561 იხ. *Джиоев О.И.*, Природа исторической необходимости, Тб., 1967, с. 121.

562 იხ. *შუშანაშვილი გ.*„ღირებულების იდეალისტური გაგების კრიტიკა,თბ.,1987,გვ. 43.

563 იხ. *შუშანაშვილი გ.*„იქვე,გვ. 41.

564 იხ. *Röhl K., Röhl H.*, იქვე.

565 იხ. *ტყეშელიაძე გ.*„ღირებულების პრობლემა და სამართალი,“საბჭოთა სამართალი“, 1981,№2,გვ. 19.

566 იხ. *Röhl K., Röhl H.*, იქვე.

567 იხ. *ავალიანი ს.*,ონტოლოგია და აქსიოლოგია,კრებულში: ფილოსოფიური ძიებანი, კრებული მეორე,თბ.,1998,გვ. 21.

568 იხ. *ჰეგელი*,გონის ფილოსოფია,გერმანულიდან თარგმნა ნ. ნათაძემ,თბ.,1984,გვ. 296.

569 იხ. იქვე,გვ. 294.

570 იხ. *შუშანაშვილი გ.*„იქვე,გვ. 49.

571 იხ. *სავანელი გ.*„სამართლის აზრის წვდომის პრობლემა„„სახელმწიფო და სამართალი“,1990,№8,გვ. 17.

ტულ ადამიანთა სიცოცხლეს, რომლის დანაშაულებრივი ხელყოფაც არის შესაძლებელი.

ღირებულება, როგორც იდეა, არ არის ხილული. ღირებულებაზე რომ ვსაუბრობთ, იგულისხმება არა ის ქმედება, რომელსაც ვხედავთ, არამედ ის პრინციპი, რომელიც ჩვენთვის უხილავია.[572] ღირებულება ზეფსიქიკურია, მაშასადამე, ზეინდივიდუალურია, ზეადამიანურია. ღირებულება არაა ჩვენს წინაშე არსებული რაიმე ობიექტი. ობიექტი არის სიკეთე[573] ანუ ღირებული სინამდვილე.[574] ღირებულების ცნება მოიცავს ყველაფერს რაც არ არსებობს, მაგრამ მაინც არაა არარა.[575]

რიკერტი ერთმანეთისგან განარჩევს ღირებულებას და ღირებულებასთან დაკავშირებულ რეალობას, რომელსაც სიკეთეს ("Gut~) უწოდებს. მაგალითად, სიკეთე რეალურია, ხოლო ღირებულება რეალური ობიექტების სფეროში არ მოინახება. იგი სინამდვილის სფეროს იქითა მხრიდან მოქმედებს.[576] ღირებულება სინამდვილეში არ არსებობს, ხოლო სიკეთე, როგორც ღირებული საგანი, სინამდვილეში არსებობს.[577] *რიკერტის* თვალსაზრისით, ღირებულება სინამდვილეში არ არსებობს, არამედ „მნიშვნელობს", მნიშვნელობა აქვს. ნეოკანტიანელთა შეხედულებით არსებობს ღირებულებათა განსაკუთრებული სამეფო, რომელიც რეალობაზე მაღლა დგას.[578] აღნიშნულიდან გამომდინარე, სიკეთე წარმოადგენს ღირებულების და სინამდვილის კავშირს.[579]

რიკერტის შეხედულების თანახმად, იმისთვის, რომ რაიმე მნიშვნელობდეს ანუ მნიშვნელობა ჰქონდეს, აუცილებელი არ არის, რომ ის სინამდვილეში არსებობდეს, მაგრამ ამასთან დაკავშირებით კრიტიკული აზრი გამოითქვა და აღინიშნა, რომ „არ შეიძლება რაიმე მნიშვნელობდეს, თუ იგი საერთოდ არ არსებობს ანუ თუ მას არავითარი ობიექტური საფუძველი არა აქვს".[580]

ღირებულების ობიექტუროზაზე დღემდე სხვადასხვა, ურთიერთგამომრიცხავი შეხედულება გამოითქვა, რომლებიც შემდეგნაირად შეიძლება დავაჯგუფოთ: *პირველი*, ღირებულება არც ობიექტურია და არც სუბიექტური. იგი კი არ არსებობს, არამედ მხოლოდ მნიშვნელობს; *მეორე*, ღირებულება არსებობს ობიექტურად ადამიანის გარეშე; *მესამე*, ღირებულება სუბიექტურია,[581] მას არ გააჩნია ობიექტური საფუძველი, იგი

---

[572] იხ. *კანტი*, ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება, ქართულად თარგმნა ლ. რამიშვილმა, თბ., 2013, გვ. 97.

[573] *გ. თევზაძეს* „სიკეთე" ("Gut") ნათარგმნი აქვს როგორც „ქონება", რაც არ არის სწორი. იხ. *თევზაძე გ.*, გერმანული ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია, თბ., 1963, გვ. 209, 220. გერმანული "Gut" ქართულად უნდა თარგმნილიყო როგორც "სიკეთე".

[574] იხ. *თევზაძე გ.*, გერმანული ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია, თბ., 1963, გვ. 220; *ბურჯალიანი ა.*, სამართლის ფილოსოფია, თბ., 2012, გვ. 136.

[575] იხ. *თევზაძე გ.*, იქვე, გვ. 217.

[576] იხ. *Rickert H.*, Der Gegenstand der Erkenntnis, Tübingen, 1915. მითითებულია შემდეგი ნაშრომის მიხედვით: *თევზაძე გ.*, გერმანული ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია, თბ., 1963, გვ. 209.

[577] იხ. *თევზაძე გ.*, იქვე, გვ. 242.

[578] იხ. *ტყეშელიაძე გ.*, ღირებულების პრობლემა და სამართალი, "საბჭოთა სამართალი", 1981, №2, გვ. 17.

[579] იხ. *თევზაძე გ.*, იქვე, გვ. 243.

[580] იხ. *ავალიანი ს.*, ონტოლოგია და აქსიოლოგია, კრებულში: ფილოსოფიური ძიებანი, კრებული მეორე, თბ., 1998, გვ. 9.

[581] ყველა ღირებულება სუბიექტურია *გ. ხუბუას* თვალსაზრისით. იხ. *ხუბუა გ.*, სამარ-

მხოლოდ ემოციებს გამოხატავს; *მეოთხე*, ღირებულება არ არსებობს ადამიანისგან დამოუკიდებლად, მაგრამ იგი არ არის მხოლოდ სუბიექტური ფენომენიც. მაშასადამე, ღირებულება ობიექტურის და სუბიექტურის ეროგვარი სინთეზია.[582]

არსებობს ღირებულების ისეთი გაგებაც, რომლის მიხედვით ზოგიერთი ღირებულება სპეციფიურ მატარებელს გულისხმობს პიროვნების სახით.[583]

თუ ღირებულება ზეინდივიდუალურია, მაშინ შეუძლებელია მისი მატარებელი პიროვნება იყოს, და, თუ ღირებულების მატარებელი პიროვნება შეიძლება იყოს, ყველანაირი ღირებულება ვერ იქნება ზეადამიანური. ადამიანი შეიძლება იყოს არა ღირებულების, არამედ სამართლებრივი სიკეთის მატარებელი. მართებულად უნდა ჩაითვალოს ის შეხედულება, რომლის მიხედვით, ღირებულება ადამიანის გარეშე არსებობს, მაშასადამე იგი არ არის სუბიექტური. ღირებულებას, როგორც ღირებულს, ადამიანი ადიქვამს და ეს აღქმა არის სუბიექტური, მაგრამ აქედან შეუძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ ღირებულება სუბიექტურია. სუბიექტურია არა ღირებულება, არამედ ღირებულების აღქმა, განცდა. ღირებულება სუბიექტური არ არის, იგი ობიექტურია, არა რეალურად არსებული. თუმცა, იგი არსის სფეროს ეკუთვნის, რამეთუ არსებობს არა მხოლოდ რეალური, არამედ იდეალური არსიც. ღირებულება რომ რეალური არსის სფეროს არ ეკუთვნის, ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ობიექტური არ იყოს. ღირებულება რომ სუბიექტური იყოს, უარყოფითად ვერ შევაფასებდით იმას, რაც კონკრეტულ ადამიანს ღირებულად მიაჩნია. ის, რომ ვინმე რაღაცას ღირებულად თვლის, იმას არ ნიშნავს, რომ ის მართლაც ღირებულია, ვინაიდან ღირებულება ობიექტური საზომია. თუ ღირებულება იქნებოდა არა ობიექტური, არამედ სუბიექტური, იარსებებდა იმდენნაირი ღირებულება (მაგალითად ჭეშმარიტება), რამდენი ადამიანიც არსებობს და ღირებულად ჩაითვლებოდა ყოველივე, რასაც ადამიანი ღირებულად მიიჩნევდა.

ღირებულება, როგორც უკვე ითქვა, არის ეროგვარი საზომი, შეფასების მასშტაბი, ის რაც ჩვენთვის მნიშვნელობს, ე. ი. ღირებულება ღირებულია. „უღირებულობა არასგზით არ შეიძლება იყოს ღირებულება“.[584] ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ ღირებულების ღირებულებას არა კონკრეტული პირისთვის, არამედ საზოგადოდ.

როგორც ზემოთ ითქვა, სამართლებრივი სიკეთე, ღირებულებისგან განსხვავებით, კონკრეტულია, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამართლებრივი სიკეთე ყოველთვის არ ატარებს კონკრეტულ (არააბსტრაქტულ) ხასიათს. მაგალითად, საზოგადოებრივი ზნეობა, როგორც სისხლის სამართლით დაცული სიკეთე. აქ სამართლებრივი სიკეთე და ღირებულება სრულ თანხვედრაშია. სიკეთის და ღირებულების სრული გაიგივება, ალბათ, არ იქნებოდა სწორი, მაგრამ ცალკეულ სიკეთესთან დაკავშირებით შეიძლება ამასაც ვერ ავცდეთ.

როდესაც ვსაუბრობთ სამართლებრივ სიკეთეზე, მაგალითად სიცოცხ-

თლის თეორია, თბ., 2004, გვ. 38.

582 იხ. *ავალიანი ს.*, იქვე, გვ. 9-11.

583 იხ. *შუშანაშვილი გ.*, იქვე, გვ. 44.

584 იხ. *ნუცუბიძე შ.*, ჭეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა, შრომები, II, თბ., 1979, გვ. 73.

ლეზე, ჩნდება კითხვა: არის თუ არა სამართლებრივი სიკეთე უფლება, კერძოდ, სიცოცხლის, ჯანმრთელობის უფლება? იმის გარკვევას, არის თუ არა უფლება სიკეთე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

თუ უფლებას სამართლებრივ სიკეთედ გამოვაცხადებთ, იძულებული ვიქნებით, რომ სამართლებრივი სიკეთე იდეალურ ღირებულებად ვაღიაროთ, რამდენადაც უფლება იდეალური სამყაროს კანონზომიერებას ემორჩილება და მისი ახსნა რეალური ცხოვრების კანონზომიერებით შეუძლებელია. უფლება, ისევე როგორც მოვალეობა, რეალური ცხოვრების კანონზომიერებას არ ემორჩილება და მას თავისი კანონზომიერება გააჩნია, რომელიც იდეალური კანონზომიერებაა.[585] თუ უფლებას მხოლოდ რეალური ცხოვრების კანონზომიერებით ავხსნიდით, ვერ დავასაბუთებდით იმას, თუ რატომ გააჩნია მემკვიდრეობის უფლება ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვს.

უფლებას სიკეთედ მიიჩნევენ *ბ. ზოიძე*[586] და *ლ. ჭანტურიაც.*[587] თუმცა, საკითხი ცალსახა არ არის და საკამათოა, შეიძლება თუ არა უფლება და სისხლის სამართლით დაცული სიკეთე იდენტურ ცნებებად მივიჩნიოთ.

თუ სამართლებრივი სიკეთეა სიცოცხლე, შეიძლება, სამართლებრივ სიკეთეს შეადგენდეს სიცოცხლის უფლება? რასაკვირველია არა. დაუშვებელია ერთმანეთთან გავაიგივოთ სიცოცხლე და სიცოცხლის უფლება. სიცოცხლე, როგორც სამართლებრივი სიკეთე, (სიცოცხლის) უფლების ობიექტია. ამაზე მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 თავის სათაური – „დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ“ (და არა დანაშაული სიცოცხლის უფლების წინააღმდეგ). მკვლელობის დროს სამართლებრივ სიკეთეს სიცოცხლე რომ წარმოადგენს, იმიტომ არის, რომ ამ სიკეთის ხელმყოფ ქმედებასა და ხელყოფას შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა შესაძლებელია, ვინაიდან სიცოცხლე ის სამართლებრივი სიკეთეა, რომელიც განსხეულებული სახით არსებობს.

თუ სიცოცხლის უფლების ობიექტია სიცოცხლე, „საავტორო უფლების ობიექტებს წარმოადგენს მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებები“.[588] არამატერიალურ ქონებრივ სიკეთედ უნდა მივიჩნიოთ არა საავტორო ან მომიჯნავე უფლებები, არამედ ამ უფლებათა ობიექტი, მაშასადამე, მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოები.

მართებულად შენიშნავს *ბ. სავანელი*, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტთა უფლების ობიექტია შესაბამისი ინტერესები (პირადი, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური), ე. ი. ყველაფერი ის, რისკენაც არის მიმართული სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების ნება და რის გამოც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა შორის საზოგადოებრივი ურთიერთობა მყარდება.[589]

---

[585] იხ. *სურგულაძე ირ.,* ხელისუფლება და სამართალი, შესავალი სიტყვა დაურთო და გერმანულიდან ქართულად თარგმნა ო. გამყრელიძემ, თბ., 2002, გვ. 23.

[586] იხ. *ზოიძე ბ.,* პოზიტიური სამართლის მოქმედების ფარგლების ანუ მოწესრიგებული ადამიანისა და მიმტევებელი სახელმწიფოს შესახებ,“სამართლის ჟურნალი”, 2011, №2, გვ. 282.

[587] იხ. *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 155.

[588] იხ. *ჭანტურია ლ.,* იქვე, გვ. 155.

[589] იხ. *სავანელი ბ.,* სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2005, გვ. 130-131.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ როგორც უფლება და სამართლებრივი სიკეთე, რომელიც ზოგჯერ შეიძლება უფლების ობიექტადაც მოგვევლინოს, ისე სამართლებრივი სიკეთე და ღირებულება. უფლება არ არის სიკეთე, მაგრამ რამდენად შეიძლება იგი იყოს ღირებულება? ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ტერმინი „უფლებრივი ღირებულება“, რომელსაც იყენებს *გ. ნანეიშვილი* თავის ცნობილ ნაშრომში.[590] მაშასადამე, არსებობს უფლებრივი და არაუფლებრივი ღირებულება. მაგრამ, რამდენად დასაშვებია, რომ თავად უფლება იყოს უფლებრივი ღირებულება?

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისით, უფლება ღირებულებაა.[591] თუმცა, ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ ჩნდება შემდეგი კითხვები: თუ ღირებულება ზეადამიანურია, ზეპიროვნულია, რამდენად გამართლებულია უფლება ღირებულებად მივიჩნიოთ? უფლებას ხომ თავისი სუბიექტი ჰყავს და ხშირად ეს არის კონკრეტული ინდივიდი. გარდა ამისა, ღირებულება, როგორც იდეა, მარადიულია, ზედროულია მაგრამ რამდენად ემორჩილება უფლება ამ კანონზომიერებას? თუ უფლება კონკრეტულ ინდივიდს ეკუთვნის ეს იმას ნიშნავს, რომ უფლება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში არსებობს. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ უფლება შეიძლება მოისპოს და სწორედ ეს მიუთითებს მის არამარადიულ, არაზედროულ ბუნებაზე, რაც იმაზე ხომ არ მეტყველებს, რომ უფლება შეიძლება არ იყოს ღირებულება? აღნიშნული საკითხის სიღრმისეული შესწავლა სცდება წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს და დამატებით კვლევას მოითხოვს.

ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს როგორც უფლება და უფლების ობიექტი, ისე უფლების ობიექტი და დანაშაულებრივი ქმედების ობიექტი. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა სამართლებრივი დაცვის სიკეთეს დანაშაულებრივი ქმედების ობიექტად განიხილავენ, ხოლო ამ უკანასკნელი ცნების ქვეშ კონკრეტული უფლება მოიაზრება. მაგალითად, *გ. მამულაშვილის* თვალსაზრისით, კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელის შეშლის (სსკ-ის 190-ე მუხ.) დროს „დანაშაულის ობიექტია თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის უფლება, ასევე სახელმწიფო ორგანოთა ავტორიტეტი“.[592] აღნიშნული დანაშაულისგან სისხლის სამართლით დაცული სიკეთეა არა „თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის უფლება“, არამედ თავისუფალი სამეწარმეო გარემო ანუ რეალური მდგომარეობა, სადაც მეწარმეებს თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა ეძლევათ. სსკ-ის 190-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის განხორციელება არ გამორიცხავს კერძო მეწარმის თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის უფლების დარღვევას, მაგრამ აღნიშნული დანაშაულისგან დასაცავი სიკეთე არ შეიძლება მე-

---

[590] იხ. *ნანეიშვილი გ.*,სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა,მისივე წიგნში: სამართლის ფილოსოფიის საკითხები,თბ.,1992,გვ. 70.

[591] უფლებას ღირებულებად მიიჩნევს *ბ. ზოიძე.* იხ. *ზოიძე ბ.,* საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში,თბ.,2007,გვ. 45. “ძირითადი უფლებები, არსებითად, თანაბარღირებულია”-აღნიშნავს *გ. ხუბუა.* იხ. *ხუბუა გ.,* სამართლის თეორია, თბ.,2004, გვ. 92. სიცოცხლის უფლებას უზენაეს სამართლებრივ ღირებულებად თვლის *კ. კუბლაშვილი.* იხ. *კუბლაშვილი კ.,*ძირითადი უფლებები,იურიდიული სახელმძღვანელო,მე-3 გამოცემა,თბ.,2014,გვ. 124.

[592] იხ. *მამულაშვილი გ.,* წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი,წიგნი I,მე-5 გამოცემა,თბ.,2014,გვ. 464.

წარმის უფლებასთან გავაიგივოთ.

არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისაგან დასაცავ სამართლებრივ სიკეთედ განიხილავენ როგორც საკუთრებას, ისე საკუთრების უფლებას. მაგალითად, *გ. ხუროშვილი* მიიჩნევს, რომ ყაჩაღობისას სისხლისსამართლებრივი დაცვის სიკეთეა საკუთრება[593] და ასევე საკუთრების უფლებაც.[594] იურიდიულ მეცნიერებაში ხშირად ადგილი აქვს საკუთრების და საკუთრების უფლების გაიგივებას,[595] რაც არ არის გამართლებული. დაუშვებელია საკუთრების და საკუთრების უფლების იდენტურ ცნებებად მიჩნევა, ვინაიდან საკუთრება ეკონომიკურ-სამართლებრივი მოვლენაა, ხოლო უფლება იურიდიული კატეგორია.[596] სამართლებრივი სიკეთეა არა საკუთრების უფლება, არამედ საკუთრება. საკუთრება არის ის ქონებრივი სიკეთე, რომელიც ადამიანს სამართლით აქვს მიკუთვნებული. ხოლო საკუთრების უფლება, ამ სიკეთის დაცვის გარანტიაა. იმდენად არ შეიძლება საკუთრების და საკუთრების უფლების გაიგივება, რამდენადაც ფაქტის (მდგომარეობის) და უფლების. შემთხვევითი არ არის ის გარემოებაც, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის მიხედვით საკუთრების უფლების შინაარსის ელემენტად მფლობელობის მიჩნევას საკამათოდ მიიჩნევენ, ვინაიდან მფლობელობა მდგომარეობას (ფაქტი) გულისხმობს.[597]

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ხშირად აღნიშნავენ, რომ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ობიექტია სიცოცხლე, რაც არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. სიცოცხლე დანაშაულის ობიექტი კი არ არის, არამედ უფლების ობიექტი, ხოლო დანაშაულის ობიექტია ადამიანი, ის ვინც სიცოცხლის (სამართლებრივი სიკეთის) მატარებელია.

როგორც უკვე აღინიშნა, სამართლებრივი სიკეთეა არა უფლება, არამედ უფლების ობიექტი, მაგრამ ჩნდება კითხვა, აქვს თუ არა ყველა უფლებას ობიექტი?

იერინგი მიიჩნევდა, რომ უფლება და ინტერესი ერთმანეთს ემთხვევა[598] და უფლება სამართლის მიერ დაცული ინტერესია.[599] *იერინგის* თვალსაზრისით ყოველი ინტერესი არ არის უფლებად ქცევის ანუ იურიდიულად დაცვის ღირსი, არამედ ისეთი, რომელიც კანონმდებელმა დაცვის ღირსად ჩათვალა ანუ საშუალო ინტერესი.[600] აღნიშნული მოსაზრება არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ.

---

[593] იხ. *ხუროშვილი გ.,* წიგნში: *ნაჭყებია გ., დვალიძე ი.*, (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 112.

[594] იხ. *ხუროშვილი გ.,* იქვე, გვ. 113.

[595] საკუთრებაზე იურისტ მეცნიერთა განსხვავებულ შეხედულებებზე, სადაც საკუთრება და საკუთრების უფლება გაიგივებულია იხ. *ქოჩაშვილი ქ.*, მფლობელობა და საკუთრება – ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., 2013, გვ. 130-131.

[596] იხ. *ჯორბენაძე ს.,* საკუთრება და საკუთრების უფლება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, იურიდიულ მეცნიერებათა სერია, ტ. 89, 1960, გვ. 97, 107.

[597] იხ. *ქოჩაშვილი ქ.*, იქვე, გვ. 134-139; *ზოიძე ბ.*, დასკვნა ქ. ქოჩაშვილის სადისერტაციო ნაშრომზე, წიგნში: ქოჩაშვილი ქ., მფლობელობა და საკუთრება – ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., 2013, გვ. 299.

[598] იხ. *სურგულაძე ირ.,* იქვე, გვ. 104.

[599] იხ. *ვაჩეიშვილი ალ.*, სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2010, გვ. 74; *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, გვ. 78.

[600] იხ. *გოკიელი ფ.*, უფლება, „სამართალი", 1992, №8-9, გვ. 66.

უფლების რაობაზე მეტად საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა *ტონიმ*, რომელიც თვლის, რომ უფლება და დაცული ინტერესი ერთი და იგივე არ არის. უფლება დაცული ინტერესი კი არ არის, არამედ ინტერესის დაცვის საშუალება. „უფლება დაცვაა და არა დაცული“.[601] ანალოგიურ შეხედულებას გამოხატავენ *ლ. იზორია* და *ე. გოცირიძე*. „ძირითადი უფლების დაცვის სფერო ორი ელემენტისგან შედგება. პირველი ელემენტი განსაზღვრავს **იმ სამართლებრივ სიკეთეს, რომელსაც უფლება იცავს**, ხოლო მეორე ელემენტი განსაზღვრავს ამ უფლების სუბიექტს“[602]-წერს *ლ. იზორია*. *ე. გოცირიძე* კი აღნიშნავს: „**სიცოცხლის უფლება** ადამიანის ბუნებრივ არსებობას **იცავს** და ამით ქმნის წინაპირობას სხვა ადამიანური სიკეთეებით სარგებლობისა“.[603] „სიცოცხლის უფლება დამცავი უფლებაა“ – დასძენს იგი.[604] ანალოგიურ აზრს გამოთქვამს *კ. კუბლაშვილიც*.[605]

ალ. ვაჩეიშვილი სწორად აღნიშნავს, რომ ყოველივე უფლებას აქვს თავისი ობიექტი. მაგრამ, უფლების ობიექტად იგი მიიჩნევს იმას, რის საშუალებითაც ინტერესი თავის განხორციელებას ჰპოულობს. ხოლო, უფლებას განმარტავს როგორც ინტერესის განხორციელების შესაძლებლობას.[606] მაშასადამე, თუ უფლება ინტერესის განხორციელების შესაძლებლობაა, უფლების ობიექტი ინტერესის განხორციელების საშუალება ყოფილა, რაც ასევე არ შეიძლება გავიზიაროთ. უფლების ობიექტია არა ინტერესის განხორციელების საშუალება, არამედ თავად ინტერესი, ის სიკეთე, რაც სამართლითაა დაცული და რაზეც უფლება ვრცელდება. მაგალითად, სიცოცხლის უფლების ობიექტი, როგორც ზემოთ აღინიშნა, სიცოცხლეა. სიცოცხლის უფლების განხორციელება კი შეუძლებელია სიცოცხლის გარეშე, ისე, როგორც სიცოცხლეა შეუძლებელი სიცოცხლის უფლების გარეშე. სიცოცხლის ხელყოფით თავისთავად ირღვევა სიცოცხლის უფლება, მაგრამ ეს ორი ცნება არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავაიგივოთ.

უფლების ობიექტად *ალ. ვაჩეიშვილი* მიიჩნევს ნივთებს და მოქმედებებს და იგი ასევე ერთმანეთთან აიგივებს უფლების ობიექტს და უფლების საგანს,[607] რაც მიუღებელია. მოქმედება შეიძლება იყოს ინტერესის დაკმაყოფილების საშუალება, მაგრამ არა უფლების ობიექტი.

პიროვნულ თავისუფლებას საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით დაცულ სამართლებრივ სიკეთედ მიიჩნევს *კ. კუბლაშვილი*.[608] თუმ-

---

[601] იხ. *გოკიელი ფ.*,იქვე,გვ. 66.

[602] იხ. *იზორია ლ.*, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი,ავტორთა კოლექტივი,სამეცნიერო რედაქტორი პ. ტურავა,თბ.,2013,გვ. 20.

[603] იხ. *გოცირიძე ე.*,წიგნში: *ტურავა პ.* (რედ.),საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბ.,2013,გვ. 72.

[604] იხ. *გოცირიძე ე.*,იქვე,გვ. 73.

[605] იხ. *კუბლაშვილი კ.*,სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, კრებულში: *კორკელია კ.* (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე,თბ.,2006,გვ. 189.

[606] იხ. *ვაჩეიშვილი ალ.*,იქვე,გვ. 196.

[607] იხ. *ვაჩეიშვილი ალ.*,იქვე,გვ. 197.

[608] იხ. *კუბლაშვილი კ.*,წიგნში: იზორია ლ.,კორკელია კ.,კუბლაშვილი კ.,ხუბუა გ.,საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები,ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი,თბ.,2005,გვ. 101. ანალოგიური მოსაზრება იხ. *პატაშური ზ.*,სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის,თბ.,2005,გვ. 16.

ცა, მისი თვალსაზრისით ადამიანის თავისუფლება ძირითადი უფლებაა და ნიშნავს პირის დაუბრკოლებელ ფიზიკურ გადაადგილებას.[609] *კანტის* მიხედვითაც უფლება პირის გარეგანი თავისუფლებაა.[610] გამოდის, რომ თავისუფლება ადამიანის უფლებაც არის და სამართლებრივი სიკეთე ანუ უფლების ობიექტი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უფლება და უფლების ობიექტი ერთი და იგივეა, რაც არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. თავისუფლებას, ერთი მხრივ, სიკეთედ, ხოლო, მეორე მხრივ, უფლებად თვლიდა *იერინგიც*.[611]

არსებობს ტერმინი „თავისუფლების უფლება“. აქედან გამომდინარე უფლებათა კლასიფიკაციაში გამოყოფენ „თავისუფლების უფლებებს“.[612] თუ თავისუფლება უფლებაა, მაშინ თავისუფლების უფლება „უფლების უფლება“ ყოფილა. გარდა ამისა, თავისუფლება პირის დაუბრკოლებელ ფიზიკურ გადაადგილებას კი არ ნიშნავს, არამედ მდგომარეობას, როცა პირს ეძლევა თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა. უფლების ობიექტი შეიძლება იყოს არა გადაადგილება ანუ მოქმედება, არამედ რეალურად არსებული მდგომარეობა, რომელიც განსაზღვრულ შესაძლებლობასაც გულისხმობს, თუმცა ამ შესაძლებლობამდე ან მოქმედებამდე არ დაიყვანება.

როდესაც ვსაუბრობთ უფლების ობიექტზე, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ერთმანეთისგან განასხვავებენ უფლების და სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს.[613] არ შეიძლება ისინი ჩვენ გავაიგივოთ. უფლება, ისევე როგორც მოვალეობა, სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს შეადგენს. უფლება და მოვალეობა შეიძლება გარკვეული მოქმედების შესრულებას ან მოქმედებისაგან თავის შეკავებას შეეხებოდეს. *გ. ინწკირველი* როგორც აღნიშნავს, სწორედ ეს მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს.[614] მაშასადამე, ქმედება არა უფლების, არამედ სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია. უფლება, რომელიც გარკვეული მოქმედების შესაძლებლობას გულისხმობს, არსებობს შესაბამისი მოქმედების გარეშეც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უფლება შეიძლება ადამიანს გააჩნდეს, მაგრამ იგი არ გამოიყენოს.

გ. ინწკირველი მიიჩნევდა, რომ მაშინ, როცა მოქმედება სამართლებრივი ურთიერთობის, და არა უფლების, ობიექტია, ნივთი შეიძლება იყოს უფლების ობიექტი.[615] თუმცა, ეს საკითხი სადაოა. თუ უფლების ობიექტად მივიჩნევთ სამართლებრივ სიკეთეს, ნივთი უფლების ობიექტი ვერ იქნება. მაგალითად, ყაჩაღობისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის სიკეთეა საკუთრება, მაგრამ ნივთი საკუთრების საგანია და არა საკუთრება. ნივთი ამ შემთხვევაში შეიძლება მივიჩნიოთ ქმედების ობიექტად ანუ იმ ობიექტად, რომლის დაუფლების მიზნითაც ყაჩაღობა ხორციელდება.

---

609 იხ. *კუბლაშვილი კ.*, იქვე, გვ. 97-98, 105.

610 იხ. *გოკიელი ფ.*, იქვე, გვ. 64.

611 იხ. *ვაჩეიშვილი ალ.*, იქვე, გვ. 74.

612 იხ. *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, იურიდიული სახელმძღვანელო, მე-3 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 41.

613 იხ. *ბიჭია მ.*, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, „სამართლის ჟურნალი“, 2012, №1, გვ. 53.

614 იხ. *ინწკირველი გ.*, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1997, გვ. 170.

615 იხ. *ინწკირველი გ.*, იქვე, გვ. 170.

ყაჩაღობა მიმართულია საკუთრების წინააღმდეგ და ამიტომაც ჰქვია მას საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, მაგრამ საკუთრება არ შეიძლება ნივთამდე დავიყვანოთ, ვინაიდან არსებობს არამატერიალური საკუთრებაც (სულიერი შემოქმედების პროდუქტი).

უფლებისა და სამართლებრივი სიკეთის (უფლების ობიექტის) ურთიერთმიმართების თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ტერმინი „უფლებრივი სიკეთე“, რომელსაც *თ. წერეთელი* იყენებდა.[616] აღნიშნული ტერმინი მიუთითებს იმაზე, რომ უფლება და სიკეთე არ არიან იდენტური ცნებები, მაგრამ უფლება არ არსებობს სამართლებრივი სიკეთის გარეშეც. თუ სიკეთე მატერიალური ხასიათისაა, უფლება წმინდა ფორმალურ ცნებას წარმოადგენს.

უფლება არ არსებობს უფლების ობიექტის ანუ სამართლებრივი სიკეთის გარეშე, მაგრამ იბადება კითხვა, შეიძლება თუ არა სიკეთე არსებობდეს უფლების გარეშე? *პეტრაჟიცკი* ნორმებს ორ ჯგუფად ჰყოფს: ზნეობრივი და იურიდიული. მისი თვალსაზრისით ზნეობრივ ნორმებს ცალმხრივი სავალდებულო ხასიათი აქვს, ხოლო იურიდიული ნორმები ამყარებენ ერთი მხრივ, მოვალეობას და, მეორე მხრივ, სათანადო უფლებას.[617] თუ იურიდიულ ნორმებს ორმხრივობა ახასიათებს, ზნეობრივი ნორმები ცალმხრივი ხასიათისაა.[618] მაგალითად, ძირითადი უფლება ინდივიდისთვის რომ უფლებაა, სახელმწიფოსთვის ვალდებულებაა.[619]

პეტრაჟიცკის თვალსაზრისით, სამართლებრივ განცდაში სუბიექტი განიცდის, რომ მოვალეა შეასრულოს გარკვეული მოქმედება, ხოლო მეორეს აწერს უფლებას, მოსთხოვოს მას ამ მოქმედების შესრულება. ზნეობრივ ემოციებს კი წმინდა იმპერატიული ბუნება ახასიათებს.[620] *პეტრაჟიცკიმ* სამართლისა და მორალის გამიჯვნის საფუძვლად სამართლის „იმპერატიულ-ატრიბუტული“ და მორალის წმინდა იმპერატიული ბუნება მიიჩნია.[621]

იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ არსებობენ მოვალეობების ისეთი სახეები, რომლებიც სამართლებრივი ურთიერთობის გარეთ იმყოფებიან, როდესაც ერთი პირის ვალდებულებას მეორის უფლება არ შეესაბამება. მაშასადამე, დასაშვებია ვალდებულების არსებობა უფლების გარეშე.[622]

ზნეობა უფლებას არ გამორიცხავს (მაგალითად, არსებობს მორალური არა მხოლოდ მოვალეობა, არამედ უფლებაც), მაგრამ ზნეობა უშვებს მოვალეობას უფლების გარეშეც. ყოველივე ამის შემდეგ ჩნდება

---

[616] იხ. *წერეთელი თ.*,რეალური შესაძლებლობის კატეგორიის გამოყენება დანაშაულის მცდელობის ცნების აგებისათვის,თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,XXIV, 1942,გვ. 23.

[617] ანალოგიური შეხედულება ჯერ კიდევ *ჰეგელმა* გამოთქვა. იხ. *ჰეგელი*,გონის ფილოსოფია,გერმანულიდან თარგმნა ნ. ნათაძემ,თბ.,1984,გვ. 284-285.

[618] იხ. *ვაჩეიშვილი ალ.*,იქვე,გვ. 98.

[619] იხ. *ხუბუა გ.*,წიგნში: იზორია ლ.,კორკელია კ.,კუბლაშვილი კ.,ხუბუა გ.,საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები,ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი,თბ., 2005,გვ. 5.

[620] იხ. *ნანეიშვილი გ.*, სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის აპრიორულ-ემოციური საფუძვლები,მისივე წიგნში: სამართლის ფილოსოფიის საკითხები,თბ.,1992,გვ. 208.

[621] იხ. *Radbruch G.*, Rechtsphilosophie, 2. Aufl., Heidelberg, 2003, S. 43.

[622] იხ. *ფხალაძე ბ.*, სამართალსუბიექტობა და მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა, „საბჭოთა სამართალი“,1966,№6,გვ. 16.

კითხვა: მართალია, საქართველოს სსკ-ის მიხედვით საზოგადოებრივი ზნეობა სამართლებრივი სიკეთეა, მაგრამ რამდენად შეიძლება იგი უფლების ობიექტად განვიხილოთ? რომელი უფლება ირღვევა საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებით?

თუ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას გავიზიარებთ, რომლის თანახმად, უფლება ყოველთვის გულისხმობს მოვალეობას, მაგრამ ზოგჯერ მოვალეობა უფლების გარეშე არსებობს,[623] იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ყველა დანაშაული არ არღვევს უფლებას, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული ყოველთვის გულისხმობს მოვალეობის (მართლზომიერი ქმედების), აკრძალვის დარღვევას. ეს შეიძლება ითქვას სწორედ იმ დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომლებიც საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სახელწოდებითაა ცნობილი. საზოგადოებრივი ზნეობა სისხლის სამართლით დაცული სიკეთე შეიძლება იყოს, მაგრამ, თუ საზოგადოებრივი ზნეობის დამრღვევი დანაშაული უფლების დარღვევას არ გულისხმობს, იგი ვერც კონკრეტული უფლების ობიექტად ვერ განიხილება. იგი არის ის სიკეთე, რომელიც შესაბამისი უფლების გარეშე არსებობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებობს როგორც უფლებრივი, ისე არაუფლებრივი სიკეთე.

სამართლებრივი სიკეთის და უფლების ურთიერთმიმართების გასარკვევად მეტად მნიშვნელოვანია ტერმინები – „უფლებრივი და ზნეობრივი „ღირებულება“.[624] ჩვენი აზრით, უფლებრივია ის ღირებულება, რომელიც როგორც მოვალეობას, ისე შესაბამის უფლებას გულისხმობს, მაგალითად სიცოცხლე, ხოლო ზნეობრივი ღირებულება (მაგალითად, საზოგადოებრივი ზნეობა) მხოლოდ მოვალეობას შესაბამისი უფლების გარეშე.

საზოგადოებრივი ზნეობის დამრღვევი დანაშაული უფლების დარღვევას რომ არ გულისხმობს, ამიტომ არის, რომ ასეთ დანაშაულებში არ გვყავს მსხვერპლი. მსხვერპლი (ვიწრო გაგებით) ის არის, ვისი უფლებაც ირღვევა.

9. სამართლებრივი სიკეთისა და ქმედების ობიექტის ურთიერთგამიჯვნა საფრთხის დელიქტებში

მეცნიერებაში გამოთქმული ოვალსაზრისით, ერთმანეთისაგან მკაცრად უნდა გაიმიჯნოს ქმედების ობიექტი და სამართლებრივი სიკეთე. ქმედების ობიექტია ის საგანი რომელზეც ხორციელდება ქმედების შემადგენლობა, ხოლო სამართლებრივი სიკეთეა ის, რაც სამართლითაა დაცული.[625] მაგალითად, მაშინ, როცა ქმედების ობიექტია შენობა, ადამი-

---

[623] *პეტრაჟიცკის* მიერ გამოთქმულ აღნიშნულ შეხედულებაზე იხ. *ვაჩეიშვილი ალ.*, სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2010, გვ. 103.

[624] იხ. *ნანეიშვილი გ.*, იქვე, გვ. 210.

[625] იხ. *Radtke H.,* Die Dogmatik der Brandstiftungsdelikte, Zugleich ein Beitrag zur Lehre von den gemeingefährlichen Delikten, Berlin, 1998, S. 68.

ანი, ნივთი, სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს სიცოცხლე, საკუთრება.[626]

ქინდჰოიზერის მიხედვით, სამართლებრივი სიკეთე არის პირთა, ნივთების, ინსტიტუციების ისეთი თვისებები, რომლებიც სამართლებრივ, სოციალურ დემოკრატიულ სახელმწიფოში თითოეულის განვითარებას ხელს უწყობს. სამართლებრივი სიკეთე არის სამართლებრივად პოზიტიურად შეფასებული თვისება, მდგომარეობა, მაგალითად ადამიანის ცოცხალი და ჯანმრთელი არსებობა, ადმინისტრაციის ფუნქციონირების უნარი.[627]

ქმედების ობიექტისა და სამართლებრივი სიკეთის ურთიერთგამიჯვნის მრავალი ფუნქციიდან ორი შეიძლება განსაკუთრებით გამოვყოთ: დელიქტების კლასიფიკაცია და სისხლის სამართლის კერძო ნაწილში მოცემული ქმედების შემადგენლობათა განმარტება. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების განსაზღვრება და მათი გამიჯვნა ხელყოფის და კონკრეტული საფრთხის დელიქტებისგან გამომდინარეობს სამართლებრივი სიკეთიდან და არა ქმედების ობიექტიდან. მაშინ, როცა ხელყოფის და კონკრეტული საფრთხის დელიქტების გამიჯვნა ქმედების ობიექტს უკავშირდება. მაგალითად, გერმანული სსკ-ის 306-ე პარაგრაფის I ნაწილის I პუნქტით ისჯება ცეცხლის წაკიდება, როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი. აღნიშნული დელიქტი განხორციელებულია ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის დადგომისას, კერძოდ, ქმედების ობიექტის ხელყოფისას – ადამიანთა საცხოვრებელ შენობაში ბინისთვის ცეცხლის წაკიდებისას. აღნიშნულ შემთხვევაში მხოლოდ ხელყოფის და კონკრეტული საფრთხის შექმნის შედეგი არ არის დამოკიდებული დაცულ სამართლებრივ სიკეთეზე. აქედან გამომდინარე, ქმედების ობიექტთან მიმართებით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები შესაძლოა შედეგიან დელიქტებს წარმოადგენდნენ. მართალია, არსებობს ისეთი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები, რომლებიც არავითარი შედეგის დადგომას არ უკავშირდება (განსაცდელში მიტოვება, დაუხმარებლობა), მაგრამ არსებობს ისეთი ტიპის აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებიც, რომლებიც გარკვეული შედეგის გამოწვევას გულისხმობენ. კერძოდ, ცეცხლის წაკიდება გერმანული სსკ-ის მიხედვით დასჯადია როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი, მაგრამ შენობისთვის, სადაც მრავალი ადამიანი ცხოვრობს, ცეცხლის წაკიდება თავისთავად გულისხმობს სხვისი ქონების ხელყოფას, რაც უკვე შედეგს წარმოადგენს. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ცეცხლის წაკიდებისას უნდა დადგინდეს, გამოიწვია თუ არა ხანძრის გაჩენა კონკრეტული პირის ქმედებამ, რაც მიზეზობრიობის დადგენის პროცესია, თუმცა ამ შემთხვევაში მიზეზობრიობის დადგენა გვჭირდება კონკრეტულ ქმედებასა და ხანძრის გამოწვევას შორის და არა კონკრეტულ ქმედებასა და აბსტრაქტულ საფრთხეს შორის. იმ შენობისთვის ცეცხლის წაკიდება, სადაც ათასობით ადამიანი ცხოვრობს, უკვე აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განხორციელებისთვის საკმარისი პირობაა. ე. ი. საქმე შეეხება ხანძრის გამომწვევი მიზეზების დადგენას და არა

626 იხ. *Haft F.,* Strafrecht, იქვე, გვ. 75.

627 იხ. *Kindhäuser U.,* Strafrecht, AT, 5. Aufl., Baden-Baden, 2011, S. 36, § 2 Rn. 6-7.

იმის გარკვევას, ცეცხლის წაკიდებით შეიქმნა თუ არა აბსტრაქტული საფრთხე.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ სამართლებრივი სიკეთე და ქმედების ობიექტი ზოგიერთ შემთხვევაში ემთხვევა ერთმანეთს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, პირიქით, ერთმანეთისგან განსხვავდება და ეს განსხვავება თვალსაჩინოდ ვლინდება აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში.[628] თუმცა, ეს მოსაზრება მეტად საკამათოდ შეიძლება ჩაითვალოს. მაგალითად, როდესაც ხდება შენობის აფეთქება და შენობის ადგილმდებარეობიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე იქმნება აბსტრაქტული საფრთხე სხვა ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფისა. მოცემულ სიტუაციაში ქმედების ობიექტი (შენობა) და დაცული სამართლებრივი სიკეთე (სხვა ადამიანთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა) ერთმანეთს არ ემთხვევა.[629]

კ. როქსინი აღნიშნავს, რომ ქმედების ობიექტის და სამართლებრივი სიკეთის ურთიერთდამოკიდებულება განსხვავებული შეიძლება იყოს. იგი ამ თვალსაზრისით სამ შესაძლებლობას უშვებს: პირველი, როცა ქმედების ობიექტი და სამართლებრივი სიკეთე ემთხვევა ერთმანეთს. ამის მაგალითად ასახელებს თაღლითობას. მისი თვალსაზრისით, თაღლითობის დროს ქმედების ობიექტი და სამართლებრივი სიკეთე ფორმალურად და შინაარსობრივადაც ემთხვევა ერთმანეთს.Ემეორე, როცა ქმედების ობიექტი და სამართლებრივი სიკეთე შინაარსობრივად ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ არა ფორმალურად. მაგალითად, მკვლელობის დროს (სსკ-ის 108-ე მუხლი). ქმედების ობიექტია „ადამიანი“, ხოლო სამართლებრივი სიკეთე „სიცოცხლე“. მესამე შესაძლებლობად იგი განიხილავს ისეთ შემთხვევას, როცა ქმედების ობიექტი და სამართლებრივი სიკეთე მკვეთრად შეიძლება გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. მაგალითად, ქურდობის დროს ქმედების ობიექტია „სხვისი მოძრავი ნივთი“, ხოლო დაცული სამართლებრივი სიკეთე საკუთრება.[630]

10. სამართლებრივი სიკეთის დაცვა, როგორც საფრთხის დელიქტების დასჯადობის ლეგიტიმაციის საფუძველი

როგორც ზემოთ აღინიშნა, *ჰ. ველცელმა* გამოთქვა მოსაზრება, რომ არსებობს დელიქტები, რომლებიც სამართლებრივ სიკეთეს არ გულისხმობენ (rechtsgutslose Delikte)[631] და, შესაბამისად, ამ მოსაზრების მიხედვით, ის ნორმაც, რომელიც კონკრეტულ ქმედებას კრძალავს, ვერ იქნება სამართლებრივი სიკეთის დამცველი. ზოგიერთი მეცნიერის შეხედულებით, სწორედ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები შეიძლება მიეკუთვნოს იმ დელიქტთა წრეს, რომლის დასჯა არ ემსახურება სამართლებრივი სიკეთის დაცვას, ვინაიდან აღნიშნული დელიქტები სამართლებრივ სიკეთეს არ ხელყოფენ.[632]

---

[628] იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 23.

[629] იხ. *Graul E.,* Abstrakte Gefährdungsdelikte und Präsumtionen im Strafrecht, Berlin, 1991, S. 108.

[630] იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, 4. Aufl., München, 2006, S. 33, § 2, Rn. 65.

[631] იხ. *Welzel H.*, Studien zum System des Strafrechts, ZStW 1939, S. 491.

[632] იხ. *Frister H.,* Strafrecht, AT, 5. Aufl., München, 2011, S. 36, §3 Rn. 25.

გ. იაკობსის მოძღვრების მიხედვით, უმართლობის განხორციელება განისაზღვრება არა როგორც სიკეთის ხელყოფა, არამედ როგორც ნორმის დარღვევა, ვინაიდან ადგილი აქვს არანებადართული რისკის შემცველი ქმედების განხორციელებას.[633]

აღნიშნული თვალსაზრისი სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული, ვინაიდან ნორმა, რომელიც სამართლებრივი სიკეთის დაცვას არ ემსახურება და მხოლოდ სასჯელს ითვალისწინებს, არ შეიძლება ლეგიტიმურად ჩაითვალოს, რაც სისხლის სამართლის ლეგიტიმურობასაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, სისხლის სამართლის ნორმები სამართლებრივი სიკეთის დაცვას ემსახურება.[634]იმაზე, რომ სისხლისსამართლებრივი ნორმა სამართლებრივი სიკეთის დაცვას ემსახურება, შემდეგი არგუმენტები მეტყველებენ: 1. არსებობს სოციალური საშიშროების პრინციპი, რომლის თანახმადაც დანაშაული სოციალურად საშიში ქმედებაა. 2. სისხლისსამართლებრივი დასჯის მიზანს გენერალური პრევენცია წარმოადგენს, რაც სამართლებრივი სიკეთის დაცვასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის ამოცანაზე მიუთითებს.[635]

ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ მაშინ, როცა ადმინისტრაციული სამართლის ფუნქცია საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგებაა,[636] სისხლის სამართლის ფუნქცია ამ ურთიერთობათა დაცვაში მდგომარეობს.[637] სისხლის სამართლის დაცვით ფუნქციაზე მიუთითებს ასევე *გ. ტყეშელიაძეც.*[638]

ბ. შუნემანი აღნიშნავს, რომ „სისხლის სამართლის ამოცანაა სამართლებრივი სიკეთის დაცვა და ამიტომ, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ან მისთვის საფრთხის შექმნა სისხლისსამართლებრივი უმართლობის პირველ სვეტს, როგორც პირველ სისტემურ საფეხურს შეადგენს“.[639]

სამართლებრივი სიკეთის დამცველად არ შეიძლება ჩაითვალოს ის სისხლის სამართლის კანონი, რომელიც იდეოლოგიურადაა მოტივირებული და არღვევს ადამიანის ისეთ ძირითად უფლებებს, როგორიცაა თანასწორობა, აზრის და რწმენის თავისუფლება და ა. შ.[640]

კ. როქსინის თვალსაზრისით, სისხლის სამართლის დაკავშირება სამართლებრივი სიკეთის დაცვასთან არ მოითხოვს, რომ მხოლოდ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა იყოს დასჯადი. სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნაც საკმარისია, რომელიც კონკრეტული საფრთხის დელიქტების ქმედების შემადგენლობაში დასჯადობის წინაპირობადაა გათვალისწინებული, მაშინ, როცა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში

---

633 იხ. *Jakobs G.*, Rücktritt als Tatänderung versus allgemeines Nachtatverhalten, ZStW 1992, S. 83.

634 იხ. *Kindhäuser U.,* Strafrecht, AT, 5. Aufl., Baden-Baden, 2011, S. 36, § 2 R. 6.

635 იხ. *Schünemann B.,* Aufgabe und Grenzen der Strafrechtswissenschaft im 21. Jahrhundert, Herzberg-FS, 2008, S. 41-42.

636 იხ. *გამყრელიძე ო.,* სისხლის სამართლის პრობლემები,I ტომი,თბ.,2011,გვ. 124.

637 იხ. *გამყრელიძე ო.,*იქვე,გვ. 117.

638 იხ. *ტყეშელიაძე გ.,* წიგნში: *ნაჭყებია გ,დვალიძე ი.* (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სახელმძღვანელო,თბ.,2007,გვ. 77.

639 იხ. *Schünemann B.,* Strafrechtswissenschaft in einem zusammenwachsenden Europa, კრებულში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბ., 2013,გვ. 438.

640 იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, 4. Aufl., München, 2006, S. 18, § 2, Rn. 13.

დაცული სამართლებრივი სიკეთე ქმედების შემადგენლობაში კი არ არის დასახელებული, არამედ მხოლოდ სისხლის სამართლის ნორმის შექმნის მოტივია.[641] ხელყოფის და კონკრეტული საფრთხის დელიქტთა შემადგენლობებში ჩვენ ვხვდებით მითითებას იმ სამართლებრივ სიკეთეზე, რომლის დაცვასაც შესაბამისი ნორმა ემსახურება. მაგალითად, სსკ-ის 117-ე მუხლი იცავს ჯანმრთელობას და აღნიშნული ნორმის სათაურში და დისპოზიციაშიც ეს ასახულია. 117-ე მუხლს ჰქვია „**ჯანმრთელობის** განზრახ მძიმე დაზიანება“. სსკ-ის 127-ე მუხლით გათვალისწინებულია კონკრეტული საფრთხის დელიქტი და დასახელებული ნორმა იცავს სიცოცხლეს, რაც ასევე მუხლის სათაურიდანაც ჩანს – „**სიცოცხლისათვის** საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება“. მაგრამ, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების შემადგენლობაში ასეთი მითითება არ არის. ამის მაგალითია სსკ-ის 133-ე მუხლით გათვალისწინებული აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი – „უკანონო აბორტი“. ზოგჯერ, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის შემადგენლობაში გამონაკლისის სახით სამართლებრივ სიკეთეზე მითითებას ვხვდებით, მაგრამ ეს არ არის ზოგადი წესი. მაგალითად, სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებულია ისეთი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი, როგორიცაა „განსაცდელში მიტოვება“, რომლის დისპოზიცია შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „დაუხმარებლად იმის მიტოვება, ვინც **სიცოცხლისათვის** საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა და შესაძლებლობა არ ჰქონდა მიეღო ზომები თავის დასაცავად, თუ მიმტოვებელს ევალებოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება“. ხელყოფის და კონკრეტული საფრთხის დელიქტებში კი არა მხოლოდ ზოგჯერ, არამედ უმეტეს შემთხვევაში მითითებულია, თუ რომელი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაში ან მისთვის საფრთხის შექმნაში ვლინდება შესაბამისი დანაშაულებრივი ქმედება. ხელყოფის დელიქტებში ქმედების მნიშვნელოვანი ელემენტია შედეგი, რომელიც კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას გულისხმობს. ამიტომ, როდესაც კანონმდებელი ხელყოფის/შედეგიანი დელიქტის შემადგენლობას აყალიბებს, უნდა მიუთითოს, თუ რომელი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაში გამოიხატება დანაშაულებრივი შედეგი. თუმცა, კანონმდებელმა ქმედების შემადგენლობა ისეც შეიძლება ჩამოაყალიბოს, რომ ასეთ შედეგზე, შესაბამისად, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაზე არ მიუთითოს. მაგრამ, ასეთ დროს შედეგი გარკვეული სახით აუცილებლად იგულისხმება. კანონმდებელი სამართლებრივი სიკეთის მითითებაზე უარს ამბობს მაშინ, როცა აყალიბებს ქმედების მარტივ შემადგენლობას, სადაც მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედებაა დასახელებული, მაგრამ არ არის იგი აღწერილი. ამის მაგალითად გამოგვადგება მკვლელობის შემადგენლობა (სსკ-ის 108-ე მუხლი). მკვლელობის შემადგენლობაში არ არის მოცემული მითითება სიცოცხლეზე, როგორც ქმედების შემადგენლობით დაცულ სიკეთეზე.

ბ. შუნემანი აღნიშნავს, რომ სამართლებრივი სიკეთის დაცვის უზრუნველსაყოფად საჭიროა სისხლისსამართლებრივი ნორმა იმ პირზე ან პირებზე იყოს მიმართული, ვისაც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის თაობაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება შეუძლია. ხოლო სხვა პირებს მკაფიოდ უნდა აეკრძალოთ მათთვის დახმარების აღმოჩე-

[641] იხ. *Roxin C.*, იქვე, S. 34, §2, Rn. 68.

ნა.[642]

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი სიკეთის დაცვის სისხლისსამართლებრივ ფუნქციას მჭიდროდ უკავშირდება კანონიერების პრინციპის მოთხოვნა კანონის მკაფიოდ ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანი რომ მიიღწეს, საჭიროა, სისხლის სამართლის ნორმის ადრესატმა შეძლოს მისთვის წაყენებული მოთხოვნის გაგება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლის სამართლის ნორმის ამოცანის ეფექტურად განხორციელება შეუძლებელია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა. დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება სხვა არაფერია თუ არა სამართლებრივი სიკეთის დაცვა. სწორედ დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილებით მიიღწევა სამართლებრივი სიკეთის დაცვა.

თუ ჩვენ სისხლის სამართალს ჩამოვართმევთ მის მნიშვნელოვან ფუნქციას სამართლებრივი სიკეთის დაცვასთან დაკავშირებით და ვიტყვით, რომ სისხლის სამართალი მხოლოდ დამნაშავის დასჯას ემსახურება და არა სამართლებრივი სიკეთის დაცვას, მას ჩამოვართმევთ იმ საფუძველს, რომლის მიხედვითაც, სავსებით სამართლიანად, სისხლის სამართალი ადამიანის უფლებათა ქარტიად იწოდება.

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები არა მხოლოდ მიმართულია სამართლებრივი სიკეთის დაცვისკენ, არამედ ისინი ემსახურებიან სამართლებრივი სიკეთის დაცვის ამაღლებასაც კი.[643] აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების მეშვეობით სამართლებრივი სიკეთის სისხლისსამართლებრივი დაცვის წინა პლანზე გადმოწევის მატერიალურ საფუძველს დამნაშავისთვის საფრთხის პოტენციალზე ბატონობის შესაძლებლობის წართმევა წარმოადგენს.[644] აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები შეიცავენ კონკრეტული საფრთხის შექმნის უნარს, პოტენციას და აღნიშნული ქმედების დასჯადობით კანონმდებელი დამნაშავეს სწორედ კონკრეტული საფრთხის გამოწვევის პოტენციაზე ბატონობის შესაძლებლობას ართმევს. კანონმდებელი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დასჯადობას მაშინ მიმართავს, როცა საფრთხის შექმნის პოტენცია და მოვლენათა სხვადასხვაგვარად განვითარების შესაძლებლობა იმდენად დიდია, რომ მათი უროიეროქმედებიდან გამომდინარე მისი ცალკეულ შემთხვევებში წინასწარ განჭვრეტა რთულია. ამის მაგალითად გერმანელ მეცნიერებს მოჰყავთ საცხოვრებელი სახლისთვის ცეცხლის წაკიდების და სიმთვრალეში მანქანით მოძრაობის შემთხვევა, რამდენადაც დასახელებულ ვითარებაში შეუძლებელია იმის განჭვრეტა, თუ რა შედეგი მოჰყვება ქმედებას. კანონმდებელი ასეთ დროს შემთხვევაზე ბატონობის საშუალებით სამართლებრივი სიკეთის დაცვას გვთავაზობს, რაც აღნიშნულ ქმედებათა დასჯადობის ლეგიტიმაციის საკმარის საფუძველს შეადგენს.[645]

---

642 იხ. *Schünemann B.,* იქვე,გვ. 42.

643 იხ. *Anastasopoulou I,* Deliktstypen zum Schutz kollektiver Rechtsgüter, München, 2005, S. 64.

644 იხ. *Anastasopoulou I,* იქვე,გვ. 64.

645 იხ. *Anastasopoulou I,* იქვე,გვ. 64; *Wohlers W.*, Deliktstypen des Präventionsstrafrechts-zur Dogmatik „moderner Gefährdungsdelikte", Berlin, 2000, S. 315.

როდესაც დამნაშავის მიერ განხორციელებულ საშიშ ქმედებაზე თვითონ დამნაშავე რთულად ბატონობს და მატულობს მესამე პირის მიერ ამ ქმედების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა, ქმედების პენალიზაცია ლეგიტიმურია. ის, რომ მესამე პირს გააჩნია შექმნილი ვითარების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა, ქმედების გაზრდილ საშიშროებაზე მიუთითებს.[646]

კანონმდებელი მთელ რიგ შემადგენლობათა ჩამოყალიბებისას, პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, ამბობს უარს ხელყოფის ან საფრთხის შექმნის დადგენაზე, რამდენადაც იგი ხშირად სირთულეებთანაა დაკავშირებული. აღნიშნული შეეხება სექსუალურ დელიქტებს, რომლებიც მიმართულია მცირეწლოვანის ხელშეუხებელი სექსუალური განვითარების წინააღმდეგ, როგორიცაა მაგალითად მცირეწლოვანის გაუპატიურება ან მცირეწლოვანისთვის პორნოგრაფიული ნაწარმოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ცალკეულ შემთხვევებში რთულია იმის დადგენა, აღნიშნულმა ქმედებებმა თუ როგორ და რამდენად მოახდინეს უარყოფითი ზეგავლენა მცირეწლოვანის სექსუალურ განვითარებაზე.[647]

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები ისეთ ქმედებებს მოიცავენ, რომლებიც ხშირად სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფენ ან კონკრეტულ საფრთხესაც ქმნიან, მაგრამ ისინი კონსტრუქციულად ისე არიან ჩამოყალიბებული, რომ კანონმდებელი მოსამართლეს ამ ხელყოფის თუ კონკრეტული საფრთხის დადგენას კი არ სთხოვს, არამედ მხოლოდ აკრძალული ქმედების განხორციელების დადგენას. მაგალითად გაუპატიურების დროს მოსამართლეს ევალება აკრძალული ქმედების განხორციელების დადგენა და არა იმის, რომ აკრძალული ქმედების განხორციელებით მოხდა სამართლებრივი სიკეთის სქესობრივი თავისუფლების (სრულწლოვანის გაუპატიურებისას) ან სქესობრივი ხელშეუხებლობის (16 წლის ასაკს მიუღწეველის გაუპატიურებისას) – ხელყოფა. გაუპატიურება[648] თავისთავად გულისხმობს სქესობრივი თავისუფლების ან სქესობრივი ხელშეუხებლობის ხელყოფას. წარმოუდგენელია გაუპატიურების განხორციელება ამ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გარეშე, მაგრამ გაუპატიურება, მიუხედავად ამისა, მაინც არ მიეკუთვნება ხელყოფის ან კონკრეტული საფრთხის დელიქტს. მიზეზი, თუ რატომაც მიეკუთვნება გაუპატიურება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს, არის არა ის, რომ იგი სამართლებრივ სიკეთეს არ ხელყოფს, არამედ ის, რომ კანონმდებელმა მოსამართლე გაათავისუფლა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის დადგენის მოვალეობისგან.

---

646 იხ. *Anastasopoulou I,* იქვე,გვ. 65.

647 იხ. *Anastasopoulou I,* იქვე,გვ. 65.

648 გაუპატიურებას ე. წ. მატერიალურ შემადგენლობათა რიცხვს მიაკუთვნებს *ნ. ოდუა*. იხ. წიგნში: *მამულაშვილი გ.,* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 196. მართებულად უთითებს ზოგიერთი მეცნიერი, რომ გაუპატიურება ე. წ. ფორმალურ შემადგენლობას მიეკუთვნება. იხ. *წულაია ზ.,* სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, პირველი ტომი, თბ., 2000, გვ. 179; *გოთუა ზ.,* პასუხისმგებლობა გაუპატიურებისათვის, თბ., 1994, გვ. 7; Уголовное право, Общая и Особенная части, 2-е издание, Под общей редакцией *Журавлева М.П.,* и *Никулина С.И.*, М., 2008, с. 382. სქესობრივ დელიქტებს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ნაირსახეობად მიიჩნევენ გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში. იხ. *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, Strafrecht, BT, Lehrbuch, 2. Aufl., Bielefeld, 2009, S. 297, §10 Rn. 4.

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს კანონმდებელი ქმნის ასევე მაშინ, როცა ხელყოფა განხორციელდება და შედეგი სახეზეა, მაგრამ მისი შერაცხვა შეუძლებელია, ვინაიდან განსახილველი დელიქტის ობიექტური ან სუბიექტური ნიშანი ვერ დგინდება.[649] ამის მაგალითად გერმანელი მეცნიერები გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის 231-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ დანაშაულს განიხილავენ.[650] აღნიშნული პარაგრაფით ისჯება ცემაში მონაწილეობა, თუ მას ადამიანის სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება მოჰყვა. გერმანული სსკ-ის 231-ე პარაგრაფით ქმედება მაშინ კვალიფიცირდება, როცა დამდგარი შედეგის შერაცხვა ვერ ხერხდება. დამდგარი შედეგი, ადამიანის სიკვდილის ან ჯანმრთელობის დაზიანების სახით, ქმედების დასჯადობის ობიექტური პირობაა. დამნაშავის დასჯა ასეთ დროს ხდება არა დამდგარი შედეგისთვის, არამედ მხოლოდ ქმედებისთვის, რომელმაც ადამიანის სიკვდილი ან ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია. ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ასეთ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად უნდა ჩაითვალოს 225-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. აღნიშნული მუხლით ისჯება „ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ანდა მათზე თავდასხმა“. მიუხედავად იმისა, რომ სხვისი ნივთის დაზიანება 225-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს შეიძლება მოჰყვეს, დანაშაული მაინც არ ითვლება შედეგიან დანაშაულად. მოსამართლეს აღარ მოეთხოვება იმის დადგენა, კონკრეტულად რომელი დამნაშავის ქმედებას მოჰყვა სხვისი ნივთის დაზიანება და როგორი სუბიექტური დამოკიდებულება ჰქონდა დამნაშავეს შედეგის მიმართ. დანაშაულის ბუნებიდან, მასში მონაწილე პირთა სიმრავლიდან გამომდინარე მართლაც შეუძლებელია იმის დადგენა, თუ ვის შეიძლება შეერაცხოს დამდგარი შედეგი. მართალია, შედეგი სახეზეა და იგი ქმედების დასჯადობის ობიექტური წინაპირობაც არის, მაგრამ მისი შერაცხვა კონკრეტული დამნაშავისთვის, ობიექტურ და სუბიექტურ ნიშანთა დადგენის სირთულის გამო, არ ხდება.

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს წარმოადგენს ასევე საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (გენოციდი). გენოციდი მიმართულია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის წინააღმდეგ, მაგრამ აღნიშნული მიზნის მიღწევა არ არის აუცილებელი გენოციდის დასრულებული ფორმით განსახორციელებლად. გენოციდი შეიძლება გამოიხატოს ჯგუფის წევრთა მკვლელობით, ჯანმრთელობის დაზიანებით და ა. შ. მკვლელობა ცალკე აღებული, შედეგიანი შემადგენლობაა. იგი გულისხმობს დანაშაულებრივი შედეგის დადგომას სიცოცხლის მოსპობის სახით, თუმცა, გენოციდთან მიმართებით ჯგუფის წევრის მკვლელობა გენოციდის განხორციელების ხერხად განიხილება და არა ცალკე აღებულ შემადგენლობად. ჯგუფის წევრის სიცოცხლის

649 იხ. *Anastasopoulou I,* იქვე,გვ. 65.

650 იხ. *Rengier R.,* Strafrecht, BT II, Delikte gegen die Person und die Allgemeinheit, 13. Aufl., München, 2012, § 18. Rn. 1; *Anastasopoulou I,* იქვე,გვ. 65.

მოსპობა ქმედების დასჯადობის ობიექტური პირობაა და არა გენოციდის ობიექტური შემადგენლობის ნიშანი. ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ შედეგი, როგორც ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშანი და შედეგი, როგორც ქმედების დასჯადობის ობიექტური პირობა. როცა, შედეგი ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშანია, მიზეზობრივი კავშირის დადგენა და ობიექტური შერაცხვა აუცილებელია. ხოლო, როცა ამას კანონმდებელი აუცილებლად არ მიიჩნევს, ქმედებით გამოწვეული შედეგი, რომელიც ქმედების შემადგენლობაშია მითითებული, მხოლოდ ქმედების დასჯადობის ობიექტურ პირობას წარმოადგენს.

დანაშაულებრივი ქმედებით გამოწვეული და ქმედების შემადგენლობაში მითითებული შედეგის დამნაშავისთვის ობიექტური შერაცხვის შეუძლებლობის მიუხედავად დამნაშავის დასჯა ხომ არ ეწინააღმდეგება ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს? დასმულ შეკითხვაზე შეიძლება შემდეგი პასუხი გაეცეს: მაშინ, როცა მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული, ქმედების შემადგენლობაში მითითებული შედეგის ობიექტური შერაცხვა ამსრულებლისთვის ვერ ხერხდება, ამსრულებლის დასჯა არა დამდგარი შედეგისთვის, არამედ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განხორციელებისთვის, არათუ არ არღვევს, პირიქით, განამტკიცებს კიდეც არაბრალეული პასუხისმგებლობის კონსტიტუციურსამართლებრივ პრინციპს. აღნიშნულ შემთხვევაში დამნაშავის დასჯა იმიტომ ხდება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განხორციელებისთვის, რომ დასახელებული პრინციპი არ დაირღვეს.

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების შექმნას კანონმდებელი მაშინაც მიმართავს, როდესაც ქმედების განხორციელება ხდება ინდივიდუალური ადამიანთაშორისი კონტაქტის არარსებობის ან შეზღუდულობის პირობებში, რის გამოც ქმედება ანონიმურ სახეს ატარებს.[651] ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს საქართველოს სსკ-ის 198-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც გულისხმობს ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციის დამზადებას, შემოტანას ან რეალიზაციას. როდესაც სიცოცხლისთვის საშიში პროდუქციის მწარმოებელი (დამნაშავე) და მომხმარებელი (დაზარალებული) მეზობლურ, ახლო ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან, შეიძლება მწარმოებლის ქმედება გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების მუხლით დაკვალიფიცირდეს დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, მაგრამ როცა მწარმოებელი უცნობია, რომელიც მის მიერ წარმოებულ პროდუქციას მრავალრიცხოვანი დისტრიბუტორების მეშვეობით ანონიმურ მომხმარებლებზე ყიდის, მდგომარეობაც იცვლება. *მრავალრიცხოვანი საზოგადოების ანონიმურობაში განჭვრეტადი მიზეზობრიობის ჯაჭვი ქრება.* მსგავს ვითარებაში სამართლებრივი სიკეთის ეფექტური დაცვა კონკრეტული საფრთხის ან ხელყოფის დელიქტების მეშვეობით შეუძლებელია და ამიტომაც ქმნის კანონმდებელი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების შემადგენლობებს.[652]

---

651 იხ. *Anastasopoulou I,* იქვე,გვ. 65.

652 იხ. *Anastasopoulou I,* იქვე,გვ. 66.

11. შეჯამება

საფრთხის შემქმნელი დელიქტების დასჯადობის და სისხლის სამართლის ლეგიტიმაციის საფუძველია სამართლებრივი სიკეთის დაცვა. საფრთხის შემქმნელ ქმედებათა კრიმინალიზაცია იმდენადაა მიზანშეწონილი და აუცილებელი, რამდენადაც იგი ხელს უწყობს სამართლებრივი სიკეთის დაცვას. არ შეიძლება არსებობდეს სისხლისსამართლებრივი ნორმა, რომლის მიზანი იქნება მხოლოდ ადამიანის დასჯა სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნის გარეშე. ასეთი ნორმის არსებობა ეწინააღმდეგება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს სულისკვეთებას.

სამართლებრივი სიკეთე არის სამართლის ნორმით დაცული რეალური მდგომარეობა ან იდეალური ღირებულება. სამართლებრივი სიკეთე და ღირებულება უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. თუ სამართლებრივი სიკეთე უფრო კონკრეტულია, ღირებულება აბსტრაქტულია. თუმცა, ზოგჯერ სამართლებრივი სიკეთე და ღირებულება ერთმანეთს ემთხვევა, როცა სამართლებრივი სიკეთე იდეალური ღირებულების სახით არსებობს.

სამართლებრივი სიკეთე თავის მხრივ იყოფა ინდივიდუალურ და ზეინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთედ. თუ კონკრეტული საფრთხის დელიქტები ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგაა მიმართული, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები საფრთხეს უქმნიან როგორც ინდივიდუალურ, ისე ზეინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთეს.

სამართლებრივი სიკეთე უნდა გაიმიჯნოს დანაშაულებრივი ქმედების ობიექტისგან. საფრთხის შემქმნელი დელიქტი საფრთხეს უქმნის სამართლებრივ სიკეთეს, რაც არ გამორიცხავს ქმედების ობიექტის ხელყოფას. თუმცა, რიგ შემთხვევებში საფრთხის შემქმნელი დელიქტები სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასაც გულისხმობენ. თუმცა, ხელყოფილი სიკეთე არის სხვა და არა ის სიკეთე, რომლის დაცვასაც ისახავს მიზნად შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ნორმა.

სამართლებრივი სიკეთე არ არის უფლების იდენტური, ეს ორი ცნება არ შეიძლება ერთმანეთთან გავაიგივოთ. სამართლებრივი სიკეთე უფლების ობიექტია. მაგრამ, ზოგიერთი სიკეთე შეუძლებელია ასეთად განვიხილოთ. მაშასადამე, არსებობს უფლებრივი (სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ა.შ.) და არაუფლებრივი სამართლებრივი სიკეთე (მაგალითად, საზოგადოებრივი ზნეობა). მაშინ, როცა უფლება ყოველთვის გულისხმობს უფლების ობიექტს სამართლებრივი სიკეთის სახით, სამართლებრივი სიკეთე შეიძლება არსებობდეს შესაბამისი უფლების გარეშე.

VI. თავი

დანაშაულის მცდელობისა და საფრთხის შემქმნელი დელიქტების ურთიერთმიმართება

1. დანაშაულის მცდელობისა და საფრთხის შემქმნელი დელიქტების თანაფარდობა ობიექტური მხარის მიხედვით

დანაშაულის მცდელობისა და საფრთხის შემქმნელი დელიქტების ურთიერთმიმართების პრობლემა მეტად საკამათოა როგორც ქართულ, ისე უცხოურ სისხლის სამართლის მეცნიერებაში. დანაშაულის მცდელობა და საფრთხის შემქმნელი დელიქტები ხასიათდებიან საეროო ნიშნებით და უპირატესად ეს შეეხება ობიექტურ ნიშნებს. მაგალითად, დანაშაულის მცდელობის დროსაც, ისე როგორც საფრთხის შემქმნელი დელიქტების განხორციელებისას, საფრთხე ექმნება სამართლებრივ სიკეთეს. საფრთხის შემქმნელი დელიქტებიც დანაშაულის მცდელობას მოგვაგონებს თავისი ბუნებით, რამდენადაც კანონმდებელს დანაშაულის დამთავრების ეტაპი ადრეულ სტადიაზე აქვს გადმოტანილი და არ მოითხოვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას. რაც შეეხება სუბიექტურ ნიშნებს, სწორედ სუბიექტურ ნიშნებთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვაობა არა მხოლოდ ქართულ, არამედ უცხოურ სისხლის სამართლის მეცნიერებაშიც. დანაშაულის მცდელობის სუბიექტურ მხარეზე მეცნიერთა მოსაზრება ორად იყოფა. არავინ დაობს იმაზე, რომ დანაშაულის მცდელობა გაუფრთხილებლობით შეუძლებელია და იგი მხოლოდ განზრახ მოქმედებას მოიცავს. თუმცა, მეცნიერებაში არსებული აზრთა სხვაობა განზრახვის ფორმას უკავშირდება. ნაწილი მეცნიერებისა მიიჩნევს, რომ დანაშაულის მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება[653] და იმ ხარვეზს, რომელიც ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდ-

---

[653] იხ. *გამყრელიძე ო.*,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება,მე-2 გამოცემა,თბ.,2008,გვ. 162; *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები,I ტომი,თბ.,2007, გვ. 350,488; *უგრეხელიძე მ.,* ბრალი საფრთხის დელიქტებში,თბ.,1982,გვ. 15; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.,* სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი,დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები,თბ.,2011,გვ. 71; *მამულაშვილი გ.*,წიგნში: *ლეკვეიშვილი მ.,თოდუა ნ.,მამულაშვილი გ.*,სისხლის სამართლის კერძო ნაწილი,წიგნი I,მე-5 გამოცემა,თბ.,2014,გვ. 151-152; *თოდუა ნ.*, საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით,ჟურნ. "მართლმსაჯულება და კანონი",2007,№2/3,გვ. 155; *დვალიძე ი.*,წიგნში: *ნაჭყებია გ.,დვალიძე ი.*,(რედ.),სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სახელმძღვანელო,თბ.,2007,გვ. 169; *დვალიძე ი.,* მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე,თბ.,2008,გვ. 89; *სულაქველიძე დ.*, დანაშაულის მცდელობა და ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე, "სამართალი", 1991, №3-4, გვ. 11; *სურგულაძე ლ.,* წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ,თბ.,2002,გვ. 52; მისივე,სისხლის სამართალი,დანაშაული, თბ.,2005,გვ. 327; *ცქიტიშვილი თ.,* მცდელობა შედეგით კვალიფიცირებულ საფრთხის დელიქტებში, "სამართლის ჟურნალი", 2012, №1, გვ. 196. ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობას გამორიცხავს ასევე ზოგიერთი გერმანელი და შვეიცარიელი მეცნიერიც. იხ. *Puppe I,* Der halbherzige Rücktritt, NStZ, 1984, S. 491; *Streng F.,* Rücktritt und dolus eventualis, JZ, 1990, S. 219; *Kölz-Ott M.,* Eventualvorsatz und Versuch, Zürich, 1974, S. 39, 98; *Stooss C.,* Dolus eventualis und Gefährdung, ZStW 1895 (15), S. 200; *Lampe E.,* Genügt für den Entschluß des Täter in §43 StGB sein bedingter Vorsatz?, NJW 1958, S. 333; *Bauer W.,* Die Abgrenzung des dolus eventualis – ein Problem der Versuchsdogmatik, Wistra 1991, S. 171.

ელობის შეუძლებლობით წარმოიშობა, საფრთხის შემქმნელ დელიქტთა შემადგენლობანი ავსებენ. საწინააღმდეგო მოსაზრების თანახმად კი, დანაშაულის მცდელობა არა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, არამედ ევენტუალური განზრახვითაც შეიძლება.[654] ამ უკანასკნელი დებულების მიხედვით, დანაშაულის მცდელობა ევენტუალური განზრახვით იმ დელიქტებშია შესაძლებელი, რომლის სრულად განხორციელება ევენტუალური განზრახვითაც არ არის გამორიცხული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლში დანაშაულის მცდელობის დეფინიცია შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“. წარმოდგენილი დეფინიციის მიხედვით, დანაშაულის მცდელობა სუბიექტური მხრივ განზრახი ქმედებაა. თუმცა, პირდაპირ არ არის დაკონკრეტებული, განზრახვის რომელი სახითაა მცდელობა შესაძლებელი. რაც შეეხება მცდელობის ობიექტურ მხარეს, ის არის აღნიშნული, რომ დანაშაული ბოლომდე არ უნდა იქნეს მიყვანილი ანუ ქმედების განხორციელებას არ უნდა მოჰყვეს შედეგის განხორციელება.

დანაშაულის მცდელობა, დანაშაულის მომზადებისგან განსხვავებით, ობიექტურად სამართლებრივი სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნას გულისხმობს.

როდესაც ვსაუბრობთ საფრთხის შემქმნელ დელიქტებზე, საფრთხის ცნების განსაზღვრის მიზნით უნდა გამოვიყენოთ შესაძლებლობის კატეგორია. მაგრამ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ საფრთხე ყოველთვის არ გულისხმობს ერთნაირ შესაძლებლობას. თუ აბსტრაქტული საფრთხე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის აბსტრაქტულ შესაძლებლობას მოიცავს, კონკრეტული საფრთხის დროს რეალური შესაძლებლობა არსებობს. კონკრეტული საფრთხის დელიქტებში და დანაშაულის მცდელობის დროს საფრთხე უნდა არსებობდეს რეალურად და არა მხოლოდ დაზარალებულის წარმოდგენაში. არ შეიძლება საფრთხის შემქმნელად დავაკვალიფიციროთ ისეთი ქმედება, რომელიც ობიექტურად არ არის საშიში და იგი ასეთს მხოლოდ დაზარალებულის თვალსაზრისით წარმოადგენდეს, როგორც ამას საფრთხის სუბიექტური თეორიის წარმომადგენლები აკეთებდნენ. აბსტრაქტული საფრთხის დროს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის აბსტრაქტული შესაძლებლობა არსებობს, მაგრამ არც აბსტრაქტული საფრთხეა რეალურ საფუძველს მოკლებული.

მართალია, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის საფრთხის არსებობის დასადგენად უნდა ვიხელმძღვანელოთ ობიექტური და არა სუბიექტური მომენტით, მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს ისეთ შემადგენლობასაც, რომელიც დამნაშავისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად მოითხოვს საფრთხის აღქმას იმ პირის მიერ, რომლის სამართლებრივ სიკეთესაც საფრთხე ექმნება. სსკ-ის 151-ე მუხლის მიხედვით ისჯება „სიცოცხლის მოსპობის

---

[654] იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 298; *Heinrich B.,* Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 292, Rn. 658; *Jescheck H-H/Weigend T,* Lehrbuch des Strafrechts, AT, Berlin, 1996, S. 515; *Roxin C.,* Strafrecht, AT, Band II, München, 2003, S. 353, §29 Rn. 71.

ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა, რომელსაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში". აღნიშნული მუხლით ქმედების კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ იმას ვისაც ემუქრებიან გაუჩნდეს საფუძვლიანი შიში. მუქარა შეიძლება რეალურიც იყოს და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის საფრთხე მართლაც არსებობდეს, თუმცა ეს არ არის საკმარისი და აუცილებელია, რომ საფრთხე უნდა აღიქვას დაზარალებულმა.[655] მაშასადამე, საკითხი აღნიშნულ შემთხვევაში არ შეიძლება გადაწყდეს ობიექტური მომენტის გაუთვალისწინებლად, მხოლოდ სუბიექტური წარმოდგენის მიხედვით. თუ სასამართლო იხელმძღვანელებს მხოლოდ სუბიექტური კრიტერიუმით, მაშინ მუქარად უნდა დაკვალიფიცირდეს მშიშარა ადამიანის მიმართ შემთხვევით წამოცდენილი, არასერიოზული მუქარა.[656]ამგვარად, სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის განხორციელების საკითხი წყდება არა მხოლოდ ობიექტური, არამედ სუბიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებითაც.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ისეთი საფრთხის დელიქტისთვის, როგორიცაა ყაჩაღობა. ყაჩაღობა გულისხმობს სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მიზნით თავდასხმის განხორციელებას, რომელსაც თან ახლავს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა. იბადება კითხვა: სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა როგორ უნდა გავიგოთ? იქნება თუ არა სახეზე ასეთი ძალადობა ან მუქარა სახეზე თუ თავდასხმა განხორციელდა სათამაშო იარაღის გამოყენებით და დაზარალებულს იარაღი ნამდვილი ეგონა, რითაც შეძლო დამნაშავემ დაზარალებულის ნების პარალიზება? დასმულ კითხვაზე უნდა გაეცეს შემდეგი პასუხი: ყაჩაღობის დროს უნდა არსებობდეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის რეალურად საშიში ძალადობა ან ასეთი მუქარა[657] და, შესაბამისად, არასწორი იქნება თუ ქმედებას დავაკვალიფიცირებთ სსკ-ის 179-ე მუხლით მაშინ, როცა თავდასხმისას დამნაშავე იყენებს არა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ იარაღს, არამედ იარაღის მაკეტს. აღნიშნულ პოზიციას მხარს უჭერს ქართული სასამართლო პრაქტიკაც.[658] უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში საწინააღმდეგო მოსაზრებაცაა გამოთქმული, რომლის მიხედვით, ყაჩაღობად კვალიფიცირდება ქმედება მაშინაც, როცა თავდასხმა სათამაშო იარაღის გამოყენებითაა განხორციელებული.[659]

---

[655] იხ. *ლეკვეიშვილი მ.,* წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 317.

[656] იხ. *ლეკვეიშვილი მ.,* იქვე, გვ. 317.

[657] იხ. *გამყრელიძე ო.,* უვარგისი იარაღით თავდასხმა სხვისი ქონების დაუფლებისათვის, წიგნში: ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბ., 1998, გვ. 209-212; *ებრალიძე თ.,* წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 86.

[658] იხ. *გამყრელიძე ო.,* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამოცემა, თბ., 2008, გვ. 112.

[659] იხ. *ლეკვეიშვილი მ.,* წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 422; *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 351.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 თებერვლის განაჩენი, რომელმაც საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლით (ძარცვა) დააკვალიფიცირა ი. ტ-შვილის ქმედება, რომელიც შემდეგში გამოიხატა: ი. ტ-შვილმა ქვეითად მოძრავ დაზარალებულს – დ. ფ-შვილს გამოგლიჯა ხელჩანთა და შეეცადა გაქცევას, რა დროსაც მას დაედევნა ამ უკანასკნელის თანმხლები ლ. ფ.-შვილი. მდევრისგან თავის დასაღწევად და დანაშაულებრივი განზრახვის განსახორციელებლად ი. ტ-შვილი ლ.ფ-შვილს სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა არა ნამდვილი ცეცხლსასროლი იარაღით, არამედ მისი მსგავსი საგნით, რის შემდეგაც ლ. ფ-შვილმა შეწყვიტა დევნა, ხოლო ი. ტ-შვილმა მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა დაზარალებულ დ.ფ-შვილის კუთვნილი თანხა – 200 ლარი, ხოლო ხელჩანთა მასში არსებული დოკუმენტებითა და სხვა ნივთებით იქვე დატოვა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.[660] აღნიშნული საქმე სააპელაციო წესით განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ და სწორად მოიქცა, როცა არ დააკმაყოფილა აპელანტების თხოვნა, რომლებიც მოითხოვდნენ ქმედების გადაკვალიფიცირებას ყაჩაღობის მუხლით. თუმცა, საკითხთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაშიც შეინიშნება არაერთგვაროვანი მიდგომა და ამაზე მეტყველებს ის, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ზემოაღნიშნული ქმედება ყაჩაღობის მუხლით გადააკვალიფიცირა, რაც არ შეიძლება სწორ კვალიფიკაციად ჩაითვალოს, ვინაიდან, დაუფლებული ნივთის შესანარჩუნებლად ბოროტმოქმედმა გამოიყენა ისეთი მუქარა, რომელიც არ იყო სიცოცხლისთვის რეალურად საშიში. შეუძლებელი იყო დაზარალებულის სიცოცხლისთვის რეალური საფრთხე შექმნილიყო ისეთი საგნით, რომელიც ნამდვილი იარაღი კი არ იყო, არამედ მხოლოდ მისი მსგავსი. უზენაესმა სასამართლომ ქმედების კვალიფიკაციის შეცვლის მიზანშეწონილობის დასაბუთებისას მიუთითა, რომ ი.ტ-შვილის ქმედება დაიწყო ძარცვით, მაგრამ იგი გადაიზარდა ყაჩაღობაში მას შემდეგ, როცა ი. ტ-შვილმა მდევრისგან თავის დაღწევის მიზნით „მიმართა სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარას, რითაც ჩამოიცილა დაზარალებული ლ. ფ-შვილი“. უზენაესი სასამართლოს ეს პოზიცია არ არის გასაზიარებელი, ვინაიდან სიცოცხლისათვის რეალურად საშიში ძალადობის მუქარას ადგილი არ ჰქონია. ქმედება ყაჩაღობის მუხლით რომ დაკვალიფიცირდეს, ბოროტმოქმედმა უნდა გამოიყენოს ისეთი მუქარა, რომელიც სიცოცხლისთვის რეალური საფრთხის არსებობას გულისხმობს. ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევაში მუქარას კი ჰქონდა ადგილი, მაგრამ სიცოცხლისთვის რეალური საფრთხე არ არსებობდა. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დაზარალებული მარტო არ იმყოფებოდა, მას თან ახლდა ახლობელი. ერთი თავდამსხმელი ორ ადამიანს ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი საგნით რეალურ საფრთხეს ვერ შეუქმნიდა. ყაჩაღობის მუხლით ქმედების კვალიფიკაცია მაშინ იქნებოდა გამართლებული, თუ ბოროტმოქმედი ნამდვილი იარაღის გამოყენებით დაემუქრებოდა დაზარალებულს და საფრთხე დაზარალებულის წარმოდგენაში კი არ იარსებებდა, არამედ რეალურად.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში ხშირად მიუთითებენ საფრთხის არსებობის თუ არარსებობის დასადგენად ობიექტური დამკვირვებლის,

[660] იხ. სუსგ,2009,№8,გვ. 121.

საშუალო ადამიანის ცოდნისა და გამოცდილების გამოყენების მნიშვნელობაზე. საფრთხეში მყოფი ადამიანი შეიძლება არ აკმაყოფილებდეს იმ კრიტერიუმებს, რა კრიტერიუმითაც უნდა მოხდეს საფრთხის არსებობის საკითხის გადაწყვეტა. ხშირ შემთხვევაში საფრთხეში მყოფი ადამიანი ან ვერ აღიქვამს იმ საფრთხეს, რომელშიც იგი იმყოფება ან კიდევ შეიძლება გადაჭარბებული იყოს მისი შეხედულება საშიში ვითარების არსებობაზე და ეს ყოველივე დამოკიდებულია ადამიანის ასაკზე, ფსიქიკურ მდგომარეობაზე, გამოცდილებაზე. ასევე მეტად მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რამდენად განჭვრეტადი იყო ობიექტური შემფასებლისთვის ის საფრთხე, რაც კონკრეტულმა ქმედებამ გამოიწვია. ობიექტურ (კეთილგონიერ) შემფასებელზე ამახვილებს თავის ყურადღებას გერმანელი მეცნიერი *ჰ. ველცელიც* მის მიერ მოყვანილ მაგალითში, რომელშიც აღნიშნავს: „როდესაც მძღოლი „ა“ მოსახვევში, სადაც მხედველობის არე შეზღუდულია, მოუხვევს, ახორციელებს საშიშ ქმედებას, ვინაიდან მოსახვევის გადაკვეთის მომენტში საშუალო (კეთილგონიერ) დამკვირვებელს ისევე არ შეეძლო საპირისპირო მიმართულებით მომავალი ავტომანქანის დანახვა, როგორც (მძღოლ) „ა“-ს“.[661]

საფრთხის არსებობის დასადგენად სისხლის სამართლის მეცნიერებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გათვალისწინებას, თუ როდის ხდება ქმედების საშიშროების შეფასება: ქმედების განხორციელებისას (ex-ante), თუ ქმედების განხორციელების შემდგომ (ex-post). საფრთხის დელიქტებში და დანაშაულის მცდელობის მიმართ ქმედების საშიშროების დასადგენად გამოყენებული უნდა იქნეს ობიექტური ex ante შეფასება. ქმედების განხორციელებისას საფრთხის შეფასება ხდება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში რეალური ფაქტორების გათვალისწინებით. როდესაც ქმედების განხორციელების შემდგომ პირობები თვალსაჩინო ხდება, ხელყოფა ან ნამდვილად არსებობს ან გამორიცხულია,[662] შესაბამისად საფრთხეც არ არსებობს. საფრთხეზე, როგორც ხელყოფის მოლოდინზე, საუბარი შესაძლებელია მხოლოდ ქმედების განხორციელების მომენტში, როდესაც ძნელია იმის განჭვრეტა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ქმედებას. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდება, რომ ქმედების განხორციელებას არავითარი შედეგი არ მოჰყვა, საფრთხეც არ არსებობს, ვინაიდან არ არსებობს შედეგის დადგომის მოლოდინი. საფრთხის არსებობისას, მართალია, არსებობს მავნე შედეგის დადგომის მოლოდინი, მაგრამ საფრთხე არ შეიძლება მავნე შედეგის დადგომის მოლოდინამდეც დავიყვანოთ, ვინაიდან „მოლოდინი“ სუბიექტური შინაარსით დატვირთული ცნებაა და საფრთხე კი რეალური შესაძლებლობის კატეგორიას ეკუთვნის. საფრთხე იმისგან დამოუკიდებლად არსებობს, თუ რა მოლოდინი აქვს საფრთხეში მყოფს. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ქმედების განხორციელებას არავითარი შედეგი არ მოჰყვა, ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ ქმედების განხორციელებისას არავითარი საფრთხე არ არსებობდა. მაგრამ, ვინაიდან ქმედება უკვე განხორციელდა და არავითარი შედეგი არ მოჰყვა, იმას ნიშნავს, რომ საფრთხემ გაიარა.

რამდენადაც დანაშაულის მცდელობა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის კონკრეტული საფრთხის შემცველი ქმედებაა, აუცილებელია

---

661 იხ. *Welzel H.,* Das Deutsche Strafrecht, 11. Aufl., Berlin, 1969, S. 137.

662 იხ. *Welzel H.,* იქვე,S. 137.

სამართლებრივი სიკეთე კონკრეტული ქმედებით შექმნილი საშიშროების ზონაში მოხვდეს, რაც ასევე კონკრეტული საფრთხის დელიქტების დასჯადობისთვისაც მთავარი პირობაა.

მართალია, დანაშაულის მცდელობასა და საფრთხის შემქმნელ დელიქტებს შორის არსებობს გარკვეული თანაფარდობა და ეს შეეხება ისეთ ობიექტურ ნიშანს, როგორიც საფრთხის არსებობაა, მაგრამ თუ დანაშაულის მცდელობის დროს საფრთხე ყოველთვის კონკრეტულია, საფრთხის შემქმნელი ყველა დელიქტი როდი გულისხმობს ასეთი საფრთხის შექმნას. კონკრეტული საფრთხის შექმნა დამახასიათებელია მაგალითად, კონკრეტული საფრთხის დელიქტებისთვის. არსებობს საფრთხის შემქმნელი დელიქტების მეორე ჯგუფიც, რომელსაც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები ეწოდება. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები კონკრეტული საფრთხის დელიქტებისგან განსხვავებით, გულისხმობენ ისეთი ქმედების განხორციელებას, რომელიც კონკრეტულ საფრთხეს კი არ ქმნის, არამედ საქმე ეხება ისეთ ქმედებას, რომელიც ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე საშიში თვისებების მქონეა.

კონკრეტული საფრთხის არსებობის შესახებ გადაწყვეტილებას მოსამართლე იღებს და კანონმდებელი უარს ამბობს იმაზე, რომ საშიშროების ინდიციები თვითონ შეაფასოს. მაგრამ, იბადება კითხვა, მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს თუ არა საქმის ყველა კონკრეტულ დეტალს? აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ განმარტა, რომ აუცილებელია არა სიცოცხლისთვის რეალური საფრთხის არსებობა ცალკეულ შემთხვევაში, არამედ, საკმარისია, რომ ქმედება ზოგადად იყოს ვარგისი საფრთხის შესაქმნელად. ესე იგი, საკმარისია საფრთხის არსებობა ზოგადად. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, ჯანმრთელობის ყველა მნიშვნელოვან დაზიანებას შეუძლია სხვა გარემოებებთან ერთად სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნა. თუ ზემოქმედება ძლიერი და საშიშია, საკმარისია, სიცოცხლისთვის საფრთხის არსებობაზე დაისვას საკითხი.[663] თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს საპირისპირო პოზიციაც, რომლის მიხედვითაც, სასამართლომ საფრთხის განსაზღვრისას ცალკეულ შემთხვევათა ყველა გარემოება უნდა გაითვალისწინოს, ვინაიდან მთელ რიგ შემთხვევებში საფრთხის არსებობა დამოკიდებულია იმაზე, დამნაშავის მიერ განხორციელებული ქმედება ვარგისია თუ არა სიცოცხლისთვის საფრთხის შესაქმნელად.[664] წარმოდგენილი შეხედულების თანახმად, სამართლით დაცული სიკეთისათვის საფრთხის შექმნის დასადგენად კანონზომიერია დამნაშავისა და დაზარალებულის ფიზიკური სიძლიერის ან სისუსტის, დარტყმის სიმძლავრისა და რაოდენობის, დაზიანებული სხეულის მდებარეობის (მაგ. თავი, გულ-მკერდის არე და ა. შ.) და სხვათა გათვალისწინება.[665] გერმანიის იმპერიის სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების შესაბამისად, მოქმედება არა

---

[663] იხ. BGHSt, 2. Band, 1952, S. 163.

[664] იხ. *Schröder H.,* Abstrakt-Konkrete Gefährdungsdelikte?, JZ 1967, S. 523.

[665] იხ. *Schröder H.,* იქვე, გვ. 523. კონკრეტული საფრთხის დასადგენად ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გერმანელი მეცნიერი *კ. როქსინიც* კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებას. იხ. *Roxin C.,* Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 423.

მხოლოდ ვარგისი უნდა იყოს სიცოცხლისთვის საფრთხის შესაქმნელად, არამედ, კონკრეტულ შემთხვევაში სიცოცხლეს უნდა შეექმნას რეალური საფრთხე. ობიექტურად სხეულის მსუბუქი დაზიანებაც შეიძლება სიცოცხლისათვის საფრთხის შემქმნელ ქმედებად ვაღიაროთ მაშინ, როცა დაზარალებულის ასაკი და სხეულის ინდივიდუალური თავისებურება მავნე შედეგის დადგომას ხელს უწყობს.[666] ერთი და იგივე სახის დაზიანება ყოველთვის არ შეიძლება დაზარალებულის სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელად შეფასდეს. შეიძლება ერთი და იგივე სახის დაზიანება ერთ ადამიანთან მიმართებით სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელად შეფასდეს, ხოლო მეორე ადამიანის მიმართ იგივე სახის დაზიანება არ იქნეს საშიშად მიჩნეული. თუმცა, ზოგიერთი სახის დაზიანება ყოველთვის საშიშად უნდა ჩავთვალოთ, ვისაც არ უნდა ეხებოდეს საქმე, ფიზიკურად მანამდე ჯანმრთელს, თუ ჯანმრთელობის პრობლემის მქონეს, ახალგაზრდას, თუ ხანდაზმულს. ამ შემთხვევაში იგულისხმება გარკვეული სახის ორგანოს დაზიანება, რაც ყველა ადამიანის სიცოცხლისთვის ყოველთვის სახიფათოა. მაგალითად, გულმკერდის ან თავის არეში დაჭრა და ა.შ.

გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, საფრთხის არსებობის დასადგენად კონკრეტულ გარემოებებს კი არ ითვალისწინებენ, არამედ საფრთხის არსებობას ზოგადად, დაეყრდნო შეხედულებას, რომ კონკრეტული საფრთხის მასშტაბი ადეკვატური თეორიის მიხედვით დგინდება, რომლის თანახმადაც, საფრთხის არსებობის დასადგენად მხედველობაში არ მიიღება ისეთი გარემოებები, რომელთა გათვალისწინება ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე საშიშროების შესაფასებლად გაუმართლებელია.[667] აღნიშნული თეორიის მიხედვით არ დგინდება საფრთხის არსებობა მაშინაც, როცა საფრთხე ეფექტურად არსებობს, თუ საფრთხე არაადეკვატურმა ქმედებამ გამოიწვია. ამავე თეორიით საფრთხის არსებობა საბუთდება მაშინ, როცა კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით საფრთხე ეფექტურად არ დამდგარა. აღნიშნულის ნათელსაყოფად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: მაგ. "ა"-მ „ბ"-ს, რომელიც არის ნარკოტიკების მომხმარებელი, მოუტანა ნარკოტიკული ნივთიერება, ნარკოტიკული შიმშილის დასაკმაყოფილებლად. ზოგადად, ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება შეიცავს საფრთხეს სიცოცხლისთვის, თუმცა ამ კონკრეტულ ვითარებაში ქმედებას არ გამოუწვევია ეფექტური საფრთხე, რის მიზეზსაც წარმოადგენს დაზარალებულის (ნარკოტიკების მომხამრებლის) პიროვნული მდგომარეობა, ის, რომ იგი ნარკოტიკების მომხმარებელია და შეჩვეულია ასეთი ნივთიერების მოხმარებას.

დანაშაულის მცდელობასა და კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებს შორის არსებობს ერთგვარი თანაფარდობა იმ თვალსაზრისით, რომ როგორც დანაშაულის მცდელობა, ისე კონკრეტული საფრთხის დელიქტები ხელყოფის კონკრეტულ საფრთხეს გულისხმობენ, მაგრამ, კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტებისგან განსხვავებით, დანაშაულის მცდელობის დროს არ ხდება მიზეზობრივი კავშირის

---

[666] იხ. *Schröder H.*, Abstrakt-Konkrete Gefährdungsdelikte?, JZ 1967, S. 523.

[667] იხ. *Schröder H.*, იქვე,გვ. 523.

დადგენა ქმედებასა და ქმედებით გამოწვეულ კონკრეტულ საფრთხეს შორის. თუ კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტი დამთავრებულია კონკრეტული საფრთხის შექმნის დროს, იგივე საშიშროების შემცველი ქმედება დანაშაულის მცდელობის დროს დაუმთავრებელ დანაშაულს გამოხატავს. მაშინ, როცა კონკრეტული საფრთხის შემქმნელ განზრახ დელიქტებში ქმედების ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობას შორის თანაფარდობა დაცულია, დანაშაულის მცდელობის დროს ეს თანაფარდობა ქმედების სუბიექტური შემადგენლობის სასარგებლოდაა დარღვეული.

2. დანაშაულის მცდელობისა და საფრთხის შემქმნელი დელიქტების ურთიერთმიმართება სუბიექტური მხარის მიხედვით

2.1. საკითხის გადაწყვეტა ქართული კანონმდებლობისა და დოგმატიკის მიხედვით

თუკი დანაშაულის მცდელობა სამართლებრივი სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნას გულისხმობს, რა აუცილებლობით შეიძლება იყოს გამოწვეული კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების შემადგენლობათა შემოტანა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში?

თ. წერეთელი აღნიშნავდა, რომ საფრთხის შემქმნელ დელიქტთა შეტანა სისხლის სამართლის კოდექსში ზოგჯერ განპირობებულია იმით, რომ ევენტუალური განზრახვით ჩადენილი მცდელობა, არ შეიძლება იწვევდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას: ამავე დროს კანონმდებელს არ სურს დაუსჯელად დატოვოს ისეთი შემთხვევები, როდესაც ადამიანი საფრთხეს ქმნის რაიმე სიკეთისათვის, მაგ. უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანის სიცოცხლისათვის, ითვალისწინებს და შეგნებულად უშვებს ასეთ შედეგს, მაგრამ შედეგი არ განხორციელდება.[668]

არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობას გამორიცხავს ასევე *ო. გამყრელიძე*. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება. მართალია, ნორმის ტექსტში პირდაპირ არ არის მითითებული, რომ არაპირდაპირი განზრახვით მცდელობა შეუძლებელია, მაგრამ, როგორც *ო. გამყრელიძე* აღნიშნავს, სიტყვები „უშუალოდ“ და „მიმართული“ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს.“[669] მისი თვალსაზრისით, არაპირდაპირი განზრახვით და გაუფრთხილებლობით დანაშაულის მცდელობა რომ შეუძლებელია იმან აიძულა კანონმდებელი, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში შემოეტანა 127-ე და 128-ე მუხლები. *ო. გამყრელიძის* მოსაზრებით, საფრთხის შემქმნელი დელიქტები ავსე-

---

[668] იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები,I ტომი,თბ.,2007,გვ. 350. *თ. წერეთლის* პოზიცია ასევე იხ. წიგნში: *მაყაშვილი ვ.,მაჭავარიანი მ.,წერეთელი თ., შავგულიძე თ.,* დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ,თბ.,1980,გვ. 14.

[669] იხ. *გამყრელიძე ო.,* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება,მე-2 გამოცემა,თბ.,2008,გვ. 162.

ბენ იმ ხარვეზს, რომელიც არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობით წარმოიშობა.[670] არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობას გამორიცხავენ აგრეთვე სხვა ქართველი მეცნიერებიც.[671]

არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით დანაშაულის მცდელობის განხორციელებას შესაძლებლად მიიჩნევს *მ. ტურავა*.[672] მისი შეხედულებით, საქართველოს სსკ-ის 127-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის დანიშნულებას არ წარმოადგენს ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობით გამოწვეული ხარვეზის შევსება და აღნიშნული მუხლი მაშინ უნდა იქნეს გამოყენებული, როცა დამნაშავეს ადამიანის სიცოცხლის მოსპობის მიმართ გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება გააჩნია, კერძოდ, როცა იგი თვითმედოვნებით მოქმედებს.[673] მაშასადამე, *მ. ტურავას* თვალსაზრისით, სიცოცხლისთვის კონკრეტული საფრთხის შემქმნელი ქმედების განზრახ განხორციელებისას, დამნაშავეს შესაძლოა სამართლებრივი სიკეთის მიმართ გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება ჰქონდეს. უფრო მეტიც, მისი შეხედულებით, საქართველოს სსკ-ის 117-ე და 127-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების განხორციელებისას დამნაშავე, მართალია, განზრახ მოქმედებს, მაგრამ სიცოცხლის ხელყოფის მიმართ დამნაშავეს ევენტუალური განზრახვაც არ გააჩნია და სასიკვდილო შედეგის მიმართ დამოკიდებულება მხოლოდ გაუფრთხილებლობითია (კერძოდ, თვითმედოვნება).[674]

მ. ტურავა არათანმიმდევრულობას საყვედურობს იმ ავტორებს, რომლებიც ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობას გამორიცხავენ და აღნიშნავს, რომ მაშინ, როცა არსებობს მხოლოდ ვარაუდი, რომ დამნაშავე ქმედების განხორციელებისას შეიძლება უშვებდა სასიკვდილო შედეგის დადგომას, ქმედება დამდგარი შედეგის მიხედვით უნდა დაკვალიფიცირდეს.[675] მისი შეხედულებით, მაშინ, როცა მსხვერპლისთვის ჭრილობა მიყენებულია სიცოცხლისთვის საშიშ ადგილას და იგი ცოცხალი გადარჩება, ხოლო ბრალდებული დუმილის უფლებით სარგებლობს, რთულია სასამართლოსა და პროკურატურისთვის იმის დადგენა, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა დამნაშავეს მსხვერპლის შესაძლო სიკვდილთან მიმართებით, ვინაიდან ასეთ ჭრილობას, მისი საშიშროების მიუხედავად, ყოველთვის არ მოსდევს სასიკვდილო შედეგი. შესაბამისად, არ არის გამორიცხული სასიკვდილო შედეგის მიმართ როგორც პირდაპირი, ისე ირიბი განზრახვით დამოკიდებულება. ამიტომ, ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის აღიარე-

---

[670] იხ. *გამყრელიძე ო.*, იქვე,გვ. 162.

[671] იხ. 447-ე სქოლიო.

[672] იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი,დანაშაულის მოძღვრება,თბ., 2011,გვ. 298.

[673] იხ. *ტურავა მ.*,იქვე, გვ. 302.

[674] იხ. *ტურავა მ.*, იქვე, გვ. 304; *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 137-138. *მ. ტურავას* ამ მოსაზრებას იზიარებს ასევე *ლ. ხარანაული*ც. იხ. *ხარანაული ლ.*, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., 2014, გვ. 150-151.

[675] იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 298-299.

ბა საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს უმარტივებს პრობლემის გადაწყვეტას.[676] აღნიშნული თვალსაზრისის თანახმად, თუ გამოირიცხა სასიკვდილო შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება და შედეგი არ არის დამდგარი, შესაძლებელია ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულის მცდელობად, მიუხედავად იმისა, თუ როგორი განზრახვით მოქმედებდა დამნაშავე.

თ. ებრალიძის თვალსაზრისით, არაკონკრეტიზირებული ევენტუალური განზრახვის დროს ქმედება დამდგარი შედეგის მიხედვით უნდა დაკვალიფიცირდეს, მაგრამ დანაშაულის მცდელობა შესაძლებელია კონკრეტიზირებული არაპირდაპირი განზრახვით.[677] საკითხის ასეთი გადაწყვეტა მეტად საკამათოა, ვინაიდან მნიშვნელოვანია არა იმდენად განზრახვის კონკრეტიზაციის საკითხი, არამედ ის, დამნაშავე მოქმედებდა პირდაპირი, თუ არაპირდაპირი განზრახვით.

არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას უშვებს ასევე *ლ. ხარანაული* და აღნიშნავს: „სსკ-ის მე-19 მუხლის შინაარსზე დაკვირვება აჩვენებს, რომ კანონმდებელი ჯერ მცდელობის სუბიექტურ ელემენტს ასახელებს ტერმინით „განზრახი“, ხოლო შემდეგ მცდელობის ობიექტურ ელემენტს გამოყოფს ფრაზით „ქმედება, რომელიც უშაულოდ მიმართულია“. ეს უკანასკნელი სუბიექტური მნიშვნელობით არ უნდა იქნეს გაგებული, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ მცდელობის ცნებაში (სსკ-ის მე-19 მუხლი) სუბიექტურ ელემენტი ორჯერ გამეორდება, (დაუშვებელია ცნებაში ტავტოლოგია), რაც, რა თქმა უნდა, ნორმის არასწორი ინტერპრეტაციით აიხსნება. უკანასკნელი ფრაზის შემოღების მიზანი გახლავთ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის კრიტერიუმის განსაზღვრა და არა ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის უარყოფა“.[678] აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი. სიტყვები „უშუალოდ მიმართული“ დანაშაულის მცდელობის ობიექტურ მხარეს კი არ გამოხატავს, არამედ აკონკრეტებს განზრახვის სახეს, რომლითაც მცდელობაა შესაძლებელი. შესაბამისად, უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლში დასახელებული სიტყვების გამოყენება არავითარ ტავტოლოგიას არ იწვევს მცდელობის სუბიექტურ მხარესთან დაკავშირებით.

ლ. ხარანაული აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით მკვლელობის მცდელობას შეუძლებლად თვლის, მიუხედავად იმისა, რომ მისი შეფასებით, „სისხლის სამართლის ლიტერატურაში ერთხმად არის აღიარებული, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით მკვლელობის დროს პიროვნება მოქმედებს მაქსიმუმ ევენტუალური განზრახვით“.[679]

ქართველ იურისტ მეცნიერთა უმრავლესობა მართლაც თვლის, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილების დროს დაზარალე-

---

[676] იხ. *ტურავა მ.*, იქვე, გვ. 300.

[677] იხ. *ებრალიძე თ.*, წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002, გვ. 106-107.

[678] იხ. *ხარანაული ლ.*, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., 2014, გვ. 148.

[679] იხ. *ხარანაული ლ.*, იქვე, გვ. 154-155.

ბულის სიცოცხლის მოსპობის მიმართ დამნაშავე ევენტუალური განზრახვით მოქმედებს.[680] ამის გამო, ზოგიერთი მეცნიერი, რომელიც თვლის, რომ ევენტუალური განზრახვით ჩადენილ დანაშაულებს არ გააჩნია მცდელობის სტადია, გამორიცხავს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით მკვლელობის მცდელობის შესაძლებლობას.[681]

ო. გამყრელიძის მართებული შეხედულებით, აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით მკვლელობის მცდელობა თეორიულად დასაშვებია,[682] ვინაიდან აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილების დროს მკვლელობა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვითაც.[683]

აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებას ადგილი ჰქონდა თუ არა, დგინდება არა იმის მიხედვით, დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობისთან დაკავშირებით დამნაშავე პირდაპირი განზრახვით მოქმედებდა, თუ არაპირდაპირი განზრახვით, არამედ იმის გათვალისწინებით, დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოსაგერიებლად გამოყენებული თავდაცვითი საშუალებები იყო თუ არა განხორციელებული თავდასხმის საშიშროების შესატყვისი და რამდენად დარწმუნებული იყო დამნაშავე ასეთი საშუალებების გამოყენების აუცილებლობაში. აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილების დროს დამნაშავე შეიძლება დარწმუნებული იყოს იმაში, რომ მისი თავდაცვითი ქმედებით თავდამსხმელს მოკლავს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მკვლელობის პრივილეგირებულ (სსკ-ის 113-ე მუხლით გათვალისწინებულ) შემადგენლობასთან გვექნება საქმე, თუ მას ამავდროულად სჯეროდა, რომ გამოყენებული თავდაცვითი საშუალებები აუცილებელი იყო იმ საფრთხისგან თავის დასაცავად, რომელიც მას ემუქრებოდა. აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით განხორციელებული მკვლელობის შემადგენლობას გამორიცხავს დამნაშავის რწმენა არა იმასთან დაკავშირებით, რომ თავდაცვით ქმედებას თავდამსხმელის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვება (პირდაპირი განზრახვა), არამედ რწმენა იმისა, რომ აუცილებელი არ იყო იმ ზომების (საშუალებების) გამოყენება, რომელსაც თავდაცვის მიზნით მიმართა. აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებისას დამნაშავეს, პირიქით, სწამს, რომ თავდაცვის მიზნით აუცილებელია ის უკიდურესი ზომები, რომელიც გამოიყენა, რეალურად კი, არსებულ საფრთხეს ადეკვატურად ვერ აფასებს და იყენებს ისეთ საშუალებას, რომელიც სცდება არსებულ საფრთხესთან თანაფარდობის ფარგლებს. თუ აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილების დროს დამნაშავე დარწმუნებული უნდა იყოს თავდაცვის მიზნით გამოყენებული საშუალებების არსებულ საფრთხესთან ადეკვატურობაში (თანაფარდობა-

---

[680] იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 231-232; *შავგულიძე თ.,* წიგნში: *მაყაშვილი გ., მაჭავარიანი მ., წერეთელი თ., შავგულიძე თ.,* დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980, გვ. 52; *წულაია ზ.,* სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, პირველი ტომი, თბ., 2000, გვ. 98; *ლეკვეიშვილი მ.,* წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 64; *ხერხეულიძე ი.,* აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში, თბ., 2010, გვ. 174.

[681] იხ. *შავგულიძე თ.,* იქვე, გვ. 53; *წულაია ზ.,* იქვე, გვ. 98; *ხერხეულიძე ი.,* იქვე, გვ. 174.

[682] იხ. *გამყრელიძე ო.,* წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002, გვ. 84.

[683] იხ. *გამყრელიძე ო.,* იქვე, გვ. 83-84.

ში), მაშინ, არათუ გამორიცხული, არამედ სავსებით შესაძლებელია, რომ თავდამცველი (დამნაშავე) თავდამსხმელის (დაზარალებულის) სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებით პირდაპირი განზრახვით მოქმედებდეს. ამ შემთხვევაში თავდამცველი დამნაშავეა არა იმიტომ, რომ თავის დაცვის საფუძველი (რეალური საფრთხე, რომელიც მართლსაწინააღმდეგო თავდასხმით იქმნება) არ არსებობდა ან დამნაშავე დარწმუნებული იყო მისი ქმედებით თავდამსხმელის სიცოცხლის მოსპობაში, არამედ იმის გამო, რომ მან რეალურად არსებული საფრთხე სათანადოდ ვერ (და არა „არ“) შეაფასა და გამოიყენა იმაზე მეტი, რაც საჭირო იყო სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით მკვლელობის დროს სიცოცხლის მოსპობისადმი პირდაპირი განზრახვა გამორიცხული რომ არ არის ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტიც, რომ ის, ვინც აუცილებელი მოგერიების ფარგლებს აცილებს (დამნაშავე), თავდაცვის მიზნით ხშირად იყენებს ცეცხლსასროლ იარაღს და ცეცხლს უხსნის დაზარალებულს (თავდამსხმელს).[684] ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების და ადამიანის მიმართ ტყვიის დამიზნებით სროლის დროს რთული წარმოსადგენია, რომ სიცოცხლის მოსპობის მიმართ მოქმედ პირს პირდაპირი განზრახვა არ გააჩნდეს. თუ ადამიანს დამიზნებით ტყვიას ესვრი, იმას ნიშნავს, რომ პირდაპირი განზრახვით მოქმედებ. არაპირდაპირი განზრახვა უფრო მეტად მაშინ არის დასაშვები, როცა თავდაცვის მიზნით ადგილი აქვს ცივი იარაღის ან ფიზიკური ძალის გამოყენებას (ცემას). აღნიშნულის დასასაბუთებლად შეიძლება მოვიშველიოთ ერთი საქმე, რომელიც განიხილა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საკასაციო წესით და ქმედება დააკვალიფიცირა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით მკვლელობად. საქმე ეხებოდა შემდეგ შემთხვევას: ა.-მ დაუწყო ჩხუბი ო.-ს. კონფლიქტი ისე გამწვავდა, რომ ა.-მ დახრჩობა დაუწყო ო.-ს. ო.-ს სურდა თავიდან მოეცილებინა ა. და ამ მიზნით რამდენჯერმე ჰაერში ისროლა. ა. ისევ განაგრძობდა ო.-ს ფიზიკურ ხელყოფას, რის გამოც **ო.-მ პისტოლეტის ახლო მანძილიდან გასროლით ა.-ს გულ-მკერდის არეში მიაყენა სასიკვდილო დაზიანება.** საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ მიიჩნია, რომ ო. მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით, ვინაიდან დასაცავად ო.-ს მიერ გამოყენებული საშუალება შეუსაბამო იყო განხორციელებული ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებასთან.[685] თუ უზენაესი სასამართლო ჩათვლიდა, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით მკვლელობის დროს დამნაშავეს გარდაცვლილის სიცოცხლის მოსპობის მიმართ პირდაპირი განზრახვა არ უნდა ჰქონდეს, ზემოაღნიშნულ

---

[684] იხ. სუსგ, 2004, №1, გვ. 105-106.

[685] იხ. სუსგ, 2005, №1, გვ. 56-58. უზენაესი სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება *ი. ხერხეულიძე*, ვინაიდან თვლის რომ მომგერიებელს შეექმნა ის რეალური საფრთხე, რომელიც აძლევდა მას თავდამსხმელის სიცოცხლის მოსპობის უფლებას. მაშასადამე, *ი. ხერხეულიძის* შეხედულებით თავდამცველს არ გადაუცილებია აუცილებელი მოგერიების ფარგლებისთვის. იხ. *ხერხეულიძე ი.*, იქვე, გვ. 168-169. უზენაესი სასამართლოს მიერ ქმედების შეფასების საკითხი მართლაც საკამათო შეიძლება იყოს, მაგრამ ამ გადაწყვეტილებაში უფრო მეტად ის არის საინტერესო, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით მკვლელობისას ფაქტობრივად შესაძლებლადაა მიჩნეული თავდამსხმელის სიცოცხლის მოსპობისადმი თავდამცველის დამოკიდებულება პირდაპირი განზრახვის სახით.

ო.-ს ქმედებას 113-ე მუხლით ვერ დააკვალიფიცირებდა, ვინაიდან ო.მ ა.-ს გულ-მკერდის არეში სასიკვდილო დაზიანება ახლო მანძილიდან გასროლით მიაყენა, რაც იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ ო. ა.-ს სიცოცხლის მოსპობის მიმართ არა ევენტუალური, არამედ პირდაპირი განზრახვით მოქმედებდა.

არა მხოლოდ ქართულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში, არამედ რუს ავტორთა შორისაც მოიპოვა მხარდაჭერა მართებულმა თვალსაზრისმა, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით მკვლელობისას სიცოცხლის მოსპობის მიმართ შესაძლებელია დამნაშავე მოქმედებდეს როგორც ევენტუალური, ისე პირდაპირი განზრახვით.[686]

ბოლო დროს ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც ჰპოვა ასახვა იმ შეხედულებამ, რომლის თანახმადაც, დანაშაულის მცდელობა არაპირდაპირი განზრახვით შესაძლებელია.[687] საქართველოს უზენაესი სასამართლო მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებით მკვლელობის მცდელობას შესაძლებლად თვლის მაშინ, როცა დამნაშავეს არ გააჩნია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობის სურვილი და მიზანი, მაგრამ ითვალისწინებს სასიკვდილო შედეგის დადგომის შესაძლებლობას მიყენებული დაზიანების სიმძიმიდან და ლოკალიზაციიდან (დაზიანება სიცოცხლისთვის სახიფათო მიდამოში) გამომდინარე და შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება შედეგის დადგომას.[688]

ევენტუალური განზრახვა სიტყვა „მცდელობის“ ბუნებას არ შეესაბამება.[689]სიტყვა მცდელობა თავისთავად გულისხმობს იმას, რომ დამნაშავეს გააჩნია განსაკუთრებული მისწრაფება შედეგის დადგომისა. ის ვინც ცდილობს რაღაცას, მიისწრაფის კიდეც იმ შედეგის მისაღწევად. მისწრაფება კი გულისხმობს მიზანდასახულობას. იმას, ვინც მიზანდასახულად მოქმედებს, ყოველთვის ამოძრავებს გარკვეული შედეგის გამოწვევის მიზანი და სურვილი. შეუძლებელია არ გსურდეს ის, რის მიღწევასაც ცდილობ. შესაბამისად, მკვლელობის მცდელობის დროს დამნაშავე სხვისი სიცოცხლის მოსპობის მიზნით, პირდაპირი განზრახვით მოქმედებს. სიცოცხლის მოსპობის მიზანი არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობას გამორიცხავს, იგი მხოლოდ პირდაპირი განზრახვით მკვლელობისთვისაა დამახასიათებელი.

არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლად მიჩნევის შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით მთელი რიგი პრობლემები წარმოიშობა. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის

---

[686] იხ. Уголовное право, Общая и особенная части, 2-е издание, Под общей редакцией *Журавлева М.П.,* и *Никулина С.И.*, М., 2008, с. 331; Комментарий к уголовному кодексу Российской Федерации, Под ред. *Радченко В.И., Михлина А.С.*, Санкт-Петербург, 2008, с. 197.

[687] იხ. სუსგ,2008,№8,გვ. 43; *ებრალიძე ო.,* წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი,დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ,ობ.,2002,გვ. 120.

[688] იხ. სუსგ,2008,№8,გვ. 42-43; ასევე,უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინება №987.

[689] იხ. *სურგულაძე ლ.,* წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი,დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ,ობ.,2002,გვ. 52; *თოდუა ნ.,* საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ჟურნალი "მართლმსაჯულება და კანონი", 2007, №2/3, გვ. 155; *Wächter C.,* Deutsches Strafrecht, Leipzig, 1881. დასახელებული ნაშრომი მითითებულია შემდეგი ნაშრომის მიხედვით: *Kölz-Ott M.,* Eventualvorsatz und Versuch, Zürich, 1974, S. 40.

109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტით ისჯება განზრახ მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. თუ ადამიანი განახორციელებდა განზრახ მკვლელობის მცდელობას ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვა ადამიანის სიცოცხლეს, გვექნებოდა მეორე ადამიანის მკვლელობის მცდელობაც ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლად მიჩნევის შემთხვევაში. როდესაც ბოროტმოქმედი განახორციელებს „ა“-ს მკვლელობის მცდელობას ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს, მას ყოველთვის აქვს წარმოდგენილი სხვა ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფის შესაძლებლობა, მაგრამ, რამდენადაც არ გააჩნია სხვათა სიცოცხლის მოსპობის სურვილი, ქმედება კვალიფიცირდება როგორც ერთი და არა როგორც ორი ან მეტი ადამიანის მკვლელობის მცდელობა.

ასევე შეიძლება შემდეგი მაგალითის მოყვანა იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად გაუმართლებელია ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის აღიარება. მაგალითად, როდესაც მძღოლი არღვევს მოძრაობის უსაფრთხოების წესებს და მოძრაობს გადაჭარბებული სიჩქარით პოლიციელებისგან თავის დაღწევის მიზნით, იგი შეიძლება უშვებდეს ქვეითად მოსიარულის სიცოცხლის მოსპობის შესაძლებლობას, ასეთ დროს, თუ შედეგი არ დადგა, ქმედება მკვლელობის მცდელობად უნდა შევაფასოთ, მიუხედავად იმისა, რომ მძღოლს ქვეითად მოსიარულის სიცოცხლის მოსპობა არ სურდა. თუ გზაზე ორი ან მეტი ადამიანი აღმოჩნდება, მსგავს შემთხვევაში, მივიღებთ ორი ან მეტი ადამიანის მკვლელობის მცდელობას, რაც არ უნდა ჩაითვალოს საკითხის მართებულ გადაწყვეტად.

ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის უარსაყოფად მორიგ მაგალითსაც მოვიშველიებთ: მშენებლები ცხრასართულიანი შენობის სახურავზე სარემონტო სამუშაოს ასრულებდნენ. სამუშაოს დასრულების შემდეგ მუშებს დაეზარათ ნაგავით სავსე ტომრების ჩამოტანა, ვინაიდან შენობაში ლიფტი არ მუშაობდა და ტომრები შენობის სახურავიდან გადმოყარეს. შენობასთან ახლოს, ეზოში ბავშვები თამაშობდნენ და მუშები ითვალისწინებდნენ იმის შესაძლებლობას, რომ ტომრების გადმოყრისას, შეიძლებოდა ბავშვები შენობასთან უფრო ახლოს მოსულიყვნენ ან სადარბაზოდან იქ მცხოვრები გამოსულიყო და სახურავიდან გადმოყრილი ტომრები შემთხვევით ვინმეს მოხვედროდა, რაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობას გამოიწვევდა. მიუხედავად იმისა, რომ მუშების ქმედება რისკის შემცველი იყო, მათ მაინც არ თქვეს უარი რისკის შემცველი ქმედების განხორციელებაზე და მათ მიერ გადმოყრილი ტომრები მართლაც შემთხვევითობის წყალობით ასცდა სადარბაზოდან გამოსულ ადამიანს, რის შედეგადაც საფრთხე შეექმნა მის სიცოცხლეს. მუშებს ქმედების განხორციელებისას არ ჰქონიათ რომელიმე ადამიანის სიცოცხლის მოსპობის სურვილი, თუმცა ითვალისწინებდნენ ამის შესაძლებლობას. ისინი დარწმუნებულიც არ იყვნენ იმაში, რომ მათ მიერ განხორციელებულ ქმედებას არავითარი შედეგი არ მოჰყვებოდა, მაგრამ გულგრილად ეკიდებოდნენ მოსალოდნელი შედეგის დადგომას. თუ ევენტუალური განზრახვით მცდელობის იდეას მხარს დავუჭერთ, მოცემულ შემთხვევაში ქმედება უნდა დავაკვალიფიციროთ როგორც მკვლელობის მცდელობა, მაგრამ საკითხის ასეთი

გადაწყვეტილება გაუმართლებელია.

2.2. საკითხის გადაწყვეტა უცხოური კანონმდებლობისა და დოგმატიკის მიხედვით

გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში არაპირდაპირი განზრახვით მცდელობას არ გამორიცხავს მეცნიერთა უმრავლესობა და მას შესაძლებლად მიიჩნევენ არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი განზრახვითაც. გერმანიის იმპერიის სასამართლომ ჯერ კიდევ 1884 წელს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ევენტუალური განზრახვით მცდელობა დასჯადია.[690] სასამართლოს დასაბუთება იყო შემდეგი სახის: განზრახვის არცერთი ფორმა არ გამორიცხავს მცდელობის შესაძლებლობას. კანონმდებელი მცდელობასთან დაკავშირებით მოითხოვს დანაშაულის ჩადენაზე გადაწყვეტილებას. თუმცა, მნიშვნელობა არა აქვს იმას, „გადაწყვეტილება პირდაპირ, ალტერნატიულად თუ ევენტუალურად იყო მიმართული ერთი ან რამდენიმე დანაშაულებრივი მიზნის განხორციელებისკენ, თუ გამიზნული დანაშაულებრივი შედეგისკენ“.[691] აქ საკამათო ის არის, თუ რამდენად შეიძლება ევენტუალური განზრახვა რაიმე სახის გადაწყვეტილებას გულისხმობდეს და რამდენად თავსებადია „გადაწყვეტილების“ შინაარსი ევენტუალური განზრახვის ცნებასთან. გარდა ამისა, სასამართლომ, როგორც ჩანს, სიტყვებს „პირდაპირ, ალტერნატიულად და ევენტუალურად მიმართულს“ ობიექტური მნიშვნელობა მიანიჭა, რომლისგან სუბიექტური შინაარსი გამოშიგნულია. ობიექტურად ქმედება გარკვეული შედეგისკენ შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ იყოს მიმართული, მაგრამ სუბიექტური თვალსაზრისით, გამიზნული შედეგისკენ ქმედება არ შეიძლება არაპირდაპირ იყოს მიმართული. ევენტუალური განზრახვა გამოხატავს ქმედების არა ობიექტურ, არამედ სუბიექტურ მხარეს.

გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, დანაშაულის მცდელობისთვის საკმარისია განზრახვის ის ფორმა, რომელიც დასრულებული დანაშაულისთვის იქნებოდა საკმარისი. რამდენადაც დელიქტების უმეტესობისთვის საკმარისია არაპირდაპირი განზრახვა, იგი საკმარისად უნდა ჩაითვალოს ასევე დანაშაულის მცდელობისთვისაც.[692] აღნიშნული მოსაზრება ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის დასასაბუთებლად არ გამოდგება, ვინაიდან დანაშაულის განხორციელება გაუფრთხილებლობითაც არის შესაძლებელი, მაგრამ, გაუფრთხილებლობით დანაშაულის მცდელობის განხორციელება ყოვლად წარმოუდგენელია.

გ. იაკობსი აღნიშნავს, რომ დანაშაულის მცდელობა განზრახვის

---

690 იხ. *Pahlke B.*, Rücktritt bei dolus eventualis, Berlin, 1993, S. 22.

691 იხ. *Pahlke B.*, იქვე,გვ. 23.

692 იხ. *Jescheck H-H/Weigend T,* Lehrbuch des Strafrechts, AT, Berlin, 1996, S. 515; *Roxin C.,* Strafrecht, AT, Band II, München, 2003, S. 353, Rn. 71; *Heinrich B.,* Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 292, Rn. 658; *Kühl K.,* Strafrecht, AT, 6. Aufl., München, 2008, S. 438, §15 Rn. 25; *Baumann/Weber/Mitsch,* Strafrecht, AT, Lehrbuch, 11. Aufl., Biefeld, 2003, S. 603, § 26 Rn. 25.

ფორმაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ არანებადართული რისკის ცოდნაზე, რაც შეიძლება ევენტუალური განზრახვის დროსაც გააჩნდეს ადამიანს.[693]

გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე პარაგრაფის ძველი რედაქციით დანაშაულის მცდელობისთვის უნდა დასჯილიყო ის, ვინც დანაშაულის განხორციელების გადაწყვეტილებას ქმედებით გამოხატავდა, რაც შესაბამისი დანაშაულის განხორციელების დაწყებას წარმოადგენდა.[694]

გერმანული სსკ-ის 22-ე პარაგრაფის მოქმედი რედაქციის თანახმად კი, დანაშაულის მცდელობას ახორციელებს ის, ვინც საკუთარი წარმოდგენით შესაბამისი ქმედების შემადგენლობის განხორციელებას უშუალოდ იწყებს. ამავე კოდექსის 23-ე პარაგრაფის მიხედვით, დანაშაულის მცდელობა ყოველთვის დასჯადია, ხოლო გადაცდომა მაშინაა დასჯადი, როცა ამის შესახებ სპეციალურადაა მითითებული შესაბამის მუხლში. გერმანული სსკ-ის 22-ე მუხლში, სადაც დანაშაულის მცდელობის დეფინიციაა მოცემული, ხაზგასმა არის ისეთ ობიექტურ ნიშანზე, როგორიცაა ქმედების შემადგენლობის უშუალოდ დაწყება, ხოლო რაც შეეხება მის წარმოდგენას, იგი მცდელობის სუბიექტურ ნიშანს წარმოადგენს. ის, რომ დანაშაულის მცდელობის დროს ქმედების შემადგენლობის განხორციელების უშუალოდ დაწყება ქმედების განმახორციელებელ პირს წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს, გამორიცხავს მცდელობის გაუფრთხილებლობით განხორციელების შესაძლებლობას. გაუფრთხილებლობის დროს დამნაშავეს არ შეიძლება წარმოდგენილი ჰქონდეს უშუალოდ იწყებს თუ არა ქმედების შემადგენლობის განხორციელებას.

„უშუალოდ დაწყება“ განსხვავდება „უშუალოდ მიმართულისგან“, რომელიც დანაშაულის მცდელობის ცნების შემადგენელი ნაწილია ქართული სსკ-ის მიხედვით. ის, რომ დანაშაულის განხორციელება იწყება, ობიექტურ პროცესს გულისხმობს, რასაც ვერ ვიტყვით „უშუალოდ მიმართულზე“. „უშუალოდ მიმართული“ უფრო მეტად ნიშნავს დამნაშავის სუბიექტურ დამოკიდებულებას იმ შედეგისადმი, რომელიც მის მიერ განხორციელებულ ქმედებას მოჰყვება.

უნდა აღინიშნოს, რომ არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობაზე აზრი არ არის უალტერნატივო და ამ შეხედულებას არა მხოლოდ ქართველ, არამედ გერმანელ მეცნიერებშიც ჰყავს მოწინააღმდეგეები.[695]

ჰ. ალვარტი აღნიშნავს, რომ დანაშაულის მცდელობის სუბიექტური ელემენტი (intentionales Element des Versuchsbegriffs) გულისხმობს მიზანს ანუ პირდაპირ განზრახვას. მცდელობის დროს ადამიანი მოქმედებს იმ მიზნით, რომელსაც სურს მიაღწიოს იმ ქმედების განხორციელებისას, რომელიც მცდელობას წარმოადგენს.[696] იმას, ვინც მცდელობას ახორციელებს, სურს მიზნის განხორციელება. ვინც ცდილობს რაღაც შედეგის

---

693 იხ. *Jakobs G.*, Rücktritt als Tatänderung versus allgemeines Nachtatverhalten, ZStW 1992, S. 96.

694 იხ. *Roxin C.,* Strafrecht, AT, Band II, München, 2003, S. 350.

695 იხ. *Puppe I,* Der halbherzige Rücktritt, NStZ, 1984, S. 491; *Streng F.,* Rücktritt und dolus eventualis, JZ, 1990, S. 219; *Kölz-Ott M.,* Eventualvorsatz und Versuch, Zürich, 1974, S. 39, 98.

696 იხ. *Alwart H.,* Strafwürdiges Versuch, Eine Analyse zum Begriff der Strafwürdigkeit und zur Struktur des Versuchsdelikts, Berlin, 1982, S. 142-143.

(მაგალითად ადამიანის მკვლელობა) გამოწვევას, ის მიისწრაფვის კიდეც იმ მიზნისკენ, რისი განხორციელებაც სურს.[697]

გერმანელი მეცნიერი *ი. პუპე* უარყოფს ევენტუალური განზრახვით მცდელობის განხორციელებას უმოქმედობის დროს.[698] *ი. პუპე* ხაზს უსვამს ასევე იმ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობს შედეგის თავიდან აცილებით დანაშაულის განხორციელებაზე ხელის აღების შესაძლებლობასა და ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის დასჯადობას შორის.[699]

როდესაც ვსაუბრობთ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო დამნაშავის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების და ევენტუალური განზრახვით მცდელობის დასჯადობის ურთიერთმიმართებაზე, უპრიანი იქნება ამ საკითხის განხილვა შემდეგი მაგალითის მოშველიებით: მაგალითად, „ა“-მ განზრახ ძლიერ სცემა თავისი ცოლი „ბ“ და ამავდროულად უშვებდა სასიკვდილო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ „ა“-ს არ სურდა „ბ“-ს სიკვდილი. ცემის შედეგად „ბ“-მ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო, კერძოდ, თავის არეში მრავლობითი ჭრილობა. „ა“-მ შემდგომ, სასიკვდილო შედეგის თავიდან აცილების მიზნით „ბ“ წაიყვანა და საავადმყოფოს მახლობლად დატოვა იმ იმედით, რომ ვინმე დაინახავდა და საავადმყოფოში სამედიცინო დახმარების გასაწევად შეიყვანდა. ცოტა ხნის შემდეგ, ქვეითად მოსიარულეებმა შეამჩნიეს „ბ“ უგონო მდგომარეობაში და შეიყვანეს იგი საავადმყოფოში სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად. სამედიცინო დახმარების შედეგად „ბ“ გადარჩა. შემდგომ როგორც გაირკვა, რომ არ აღმოეჩინათ „ბ“ ქვეითად მოსიარულეებს და არ მიეყვანათ საავადმყოფოში სამედიცინო დახმარებისთვის, „ბ“ გარდაიცვლებოდა.[700] იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა „ა“ გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო? ამ მაგალითის მიხედვით „ა“-ს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება დანაშაულზე ხელის აღების გამო შეიძლება საკამათო იყოს, რამდენადაც „ა“-მ, მართალია, „ბ“ საავადმყოფოსთან ახლოს დატოვა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა უგონო მდგომარეობაში მყოფი „ბ“ ქვეითად მოსიარულეებს არც აღმოეჩინათ. მოყვანილ მაგალითში „ა“-ს არ მიუღია მის ხელთ არსებული ყველა საშუალება შედეგის თავიდან ასაცილებლად და შედეგის თავიდან აცილება შემთხვევითობის ნაყოფს წარმოადგენდა. ასეთ შემთხვევაში მართებულია დამნაშავისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის და არა მკვლელობის მცდელობისთვის.

თუკი დანაშაულის მცდელობა შესაძლებელი იქნება არაპირდაპირი განზრახვით, მაშინ უნდა ვაღიაროთ განზრახვის ამავე სახით დანაშაულის ბოლომდე განხორციელებისგან ხელის აღების შესაძლებლობაც. იქ, სადაც დანაშაულის მცდელობა შეიძლება, არ უნდა გამოირიცხოს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობაც. თუმცა, ერთ-ერთი თეორიის (Bestleistungstheorie) მიხედვით დანაშაულზე ხელის აღებას მაშინ აქვს ადგილი, როცა დამნაშავემ მისი პერსპექტივიდან

---

697 იხ. *Alwart H.,* იქვე,გვ. 143.

698 იხ. *Puppe I,* Der halbherzige Rücktritt, NStZ 1984, S. 491.

699 იხ. *Puppe I,* იქვე,გვ. 491.

700 ანალოგიური მაგალითი იხ. *Puppe I,* იქვე,გვ. 488.

შედეგის ასაცილებლად ოპტიმალური ქმედება განახორციელა, რაც ევენტუალური განზრახვით შეუძლებელია. მაშასადამე, შეუძლებელია დანაშაულზე ხელის აღება უგულოდ (halbherzig) განხორციელებული ქმედებით.[701] შანსის მიცემის თეორია (Chanceneröffnungstheorie), პირიქით, დანაშაულზე ხელის აღებისთვის საკმარისად მიიჩნევს ისეთ ქმედებას, რომელიც მიზეზობრივად დანაშაულის თავიდან აცილებას გამოიწვევს. აღნიშნული თეორიის მომხრეთა თვალსაზრისით კანონმდებელმა აირჩია პრინციპი: კარგად დასრულებისას ყველაფერი კარგადაა („Ende gut, alles gut“).[702] აღნიშნული თეორიის მიხედვით არ არის აუცილებელი, რომ დამნაშავემ ამოწუროს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რომელიც დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებას შეუწყობს ხელს. ასეთი მიდგომით დანაშაულისგან ხელის აღება ირიბი განზრახვითაც შეიძლება.

მართალია, გერმანელ მეცნიერთა უმრავლესობა დანაშაულის მცდელობას შესაძლებლად მიიჩნევს ევენტუალური განზრახვითაც, მაგრამ ქართული სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში არ არის მოცემული განზრახვის და გაუფრთხილებლობის ამომწურავი და ნათელი განსაზღვრება და ის კრიტერიუმები, რომლებიც დაგვეხმარება განზრახვის და გაუფრთხილებლობის სახეების ერთმანეთისაგან გამიჯვნაში. მაგალითად, გერმანული სსკ-ის მე-16 პარაგრაფში აღნიშნულია, რომ ის ვინც კანონით გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობას მიკუთვნებული გარემოება არ იცის, განზრახ არ მოქმედებს. არაფერი არ არის მითითებული იმაზე, თუ როგორ უნდა განისაზღვროს პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვა და რა როლი ენიჭება ნებელობით ელემენტს (დანაშაულებრივი შედეგის დადგომის სურვილი) მათი ურთიერთგამიჯვნის თვალსაზრისით. არადა, მეტად მნიშვნელოვანია, თუ რა კრიტერიუმებით გავმიჯნავთ პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვას, არაპირდაპირ განზრახვას და თვითიმედოვნებას, ვინაიდან, არაპირდაპირი განზრახვიდან თვითიმედოვნებამდე ერთი ნაბიჯია.

გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში აღნიშნავენ, რომ ევენტუალური განზრახვის დროს პირი „იწონებს“ იმ შედეგს, რომლის მიმართაც დამოკიდებულება ევენტუალური განზრახვის ფორმით გააჩნია. მაგრამ *ვ. მაყაშვილის* სწორი შეფასებით „მოწონება“ შეფასებითი მსჯელობის გამომხატველი ტერმინია და იგი გამოხატავს სუბიექტის დადებით ემოციურ განცდას ამა თუ იმ გარემოების მიმართ. თუმცა, ასეთი დამოკიდებულება ევენტუალური განზრახვის დროს თანამდევი შედეგის მიმართ არ არსებობს, პირიქით, ევენტუალური განზრახვით მოქმედი სუბიექტი ნასიამოვნებიც კი დარჩებოდა, თუ თანამდევი შედეგი არ დადგებოდა.[703]

ცნობილი გერმანელი მეცნიერი *კ. ბინდინგი* არაპირდაპირი განზ-

---

[701] იხ. *Puppe I,* იქვე,გვ. 489.

[702] იხ. *Kühl K.,* Strafrecht, AT, 6. Aufl., München, 2008, S. 498-499, §16 Rn. 70; *Wessels/Beulke*., Strafrecht, AT, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 244, Rn. 644; *Jescheck H-H/Weigend T,* Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 546, §51 IV 2. შანსის მიცემის და სხვა თეორიის ანალიზი იხ. *Heinrich B.,* Strafrecht, AT , 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 378-380, Rn.849-851.

[703] იხ. *მაყაშვილი ვ.,* ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1965, №4, გვ. 26.

რახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას გამორიცხავდა. მისი თვალსაზრისით, თუ დამნაშავე იოვალისწინებს შედეგის დადგომის შესაძლებლობას და შედეგი დადგება, სახეზეა განზრახი დანაშაული, მაგრამ თუ შედეგი არ დადგა, პირიქით, იგი არ არის სახეზე. აქედან გამოდის დასკვნა, რომ *ბინდინგი* ევენტუალური განზრახვით განხორციელებული დანაშაულის განზრახ დანაშაულად მიჩნევისთვის აუცილებელ პირობად თვლიდა შედეგის დადგომას. ე.ი. თუ დამნაშავე მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას იოვალისწინებს და შედეგი მართლაც დადგება, სახეზეა განზრახი დანაშაული, მაგრამ თუ შედეგი არ დადგა, სახეზე არ არის განზრახვა და, შესაბამისად, მცდელობაც. *ბინდინგის* თვალსაზრისით, მაშინ, როცა შედეგი არ არის დამდგარი, ქმედება მხოლოდ მაშინ იქნება განხორციელებული განზრახ, თუ დამნაშავეს განზრახული ჰქონდა შედეგის გამოწვევა.[704] *ბინდინგის* მსჯელობა მართლაც საინტერესოა. მართალია, საქართველოს სსკ-ის მიხედვით, ევენტუალური განზრახვაც განზრახვის სახეა, მაგრამ ევენტუალური განზრახვით ქმედების განხორციელებისას მაინც ვერ ვიტყვით, რომ დამნაშავემ მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევა *განიზრახაო*. სიტყვა *„განიზრახა“* პირდაპირ განზრახვას გულისხმობს, როცა დამნაშავეს მიზნად აქვს დასახული მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევა და სურს მისი დადგომა. როცა დამნაშავეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის მხოლოდ შესაძლებლობა აქვს გაცნობიერებული და არ გააჩნია შედეგის დადგომის სურვილი, ვერ ვიტყვით, რომ მან *განიზრახა* მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევაო. მიუხედავად იმისა, რომ *ბინდინგის* პოზიცია დანაშაულის მცდელობასთან დაკავშირებით სავსებით მისაღებია, საკამათო შეიძლება იყოს შემდეგი მომენტი: კერძოდ, დანაშაულებრივი ქმედების შეფასება განზრახ დანაშაულად ან კიდევ პირიქით, დამოკიდებულია შედეგის დადგომაზე, რაც არ უნდა ჩაითვალოს მართებულად. ქმედება განზრახაა განხორციელებული თუ არა, ამის განსაზღვრა არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, მოჰყვება თუ არა მას რაიმე შედეგი.

არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობას გამორიცხავდა შვეიცარიელი მეცნიერი *კ. შტოსი. შტოსის* თვალსაზრისით, მაშინ, როცა მკვლევარს ნივთიერება არა ჯანმრთელობის ხელმყოფი, არამედ ჯანმრთელობისთვის საშიში ჰგონია და განახორციელებს მის ექსპერიმენტს ადამიანზე, თუ შედეგი არ დადგა, ქმედება არ უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობა.[705] ასეთ დროს *შტოსი* ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დამნაშავეს ჯანმრთელობის ხელყოფის ან კიდევ სიცოცხლის მოსპობის სურვილი არ გააჩნია, რითაც ასაბუთებს მსგავსი ქმედების დანაშაულის მცდელობად კვალიფიკაციის უმართებულობას. მაშინ, როცა შედეგის დადგომის სურვილი დამნაშავეს არ გააჩნია, მაგრამ მისი ქმედებით საფრთხე ექმნება სამართლებრივ სიკეთეს, *შტოსის* თვალსაზრისით, განხორციელებულია საფრთხის შემქმნელი დელიქტის შემადგენლობა.

ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობას გამორიცხავს *ე. ლამპეც* და ევენტუალური განზრახვით განხორციელებული ქმედები-

---

704 იხ. *Kölz-Ott M.,* Eventualvorsatz und Versuch, Zürich, 1974, S. 40.

705 იხ. *Stooss C.,* Dolus eventualis und Gefährdung, ZStW 1895 (15), S. 200.

სთვის პასუხისმგებლობას დამდგარი შედეგის მიხედვით წყვეტს.[706] ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობაზე საუბრის დროს *ლამპე* ხაზს უსვამს იმ სიახლოვეზე, რომელიც არსებობს ევენტუალური განზრახვისა და გაუფრთხილებლობის საზღვრებს შორის. იგი ევენტუალური განზრახვით და გაუფრთხილებლობით მოქმედ დამნაშავეს გვერდიგვერდ აყენებს, თუმცა ასევე ხაზს უსვამს ევენტუალური განზრახვისა და გაუფრთხილებლობის დროს შედეგისადმი განსხვავებული დამოკიდებულების არსებობაზე.[707] *ლამპეს* მოჰყავს შემდეგი მაგალითი, რომელიც ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობის დასასაბუთებლად მეტად საინტერესოა: მაგალითად ვინმე ცეცხლს წაუკიდებს სახლს და უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ შეიძლება სახლში ადამიანი იყოს და დაიწვას. თუ ადამიანი მართლაც აღმოჩნდება ცეცხლმოკიდებულ სახლში და გარდაიცვლება, *ლამპეს* შეფასებით, სახეზე იქნება ევენტუალური განზრახვით მკვლელობა, მაგრამ, თუ სახლში ადამიანი არ აღმოჩნდება, დამნაშავემ პასუხი მხოლოდ ცეცხლის წაკიდებისთვის, შესაბამისად, სხვისი ნივთის დაზიანებისთვის უნდა აგოს.[708] არ შეიძლება *ლამპეს* ამ შეფასებას არ დაეთანხმო. საინტერესოა ქმედება როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ამ მაგალითის მიხედვით მაშინ, როცა სახლში ადამიანი მართლაც აღმოჩნდება და მართალია იგი არ გარდაიცვლება, მაგრამ მიიღებს მძიმე დამწვრობას? რამდენადაც დამნაშავეს არ სურდა დაზარალებულის სიკვდილი და იგი ითვალისწინებდა ცეცხლმოკიდებულ სახლში ადამიანის ყოფნის შესაძლებლობას, ქმედებაც დამდგარი შედეგის მიხედვით უნდა დაკვალიფიცირდეს და დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებისთვის. მართალია, *ლამპეს* არ უმსჯელია იმაზე, თუ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება თუ მას ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვა, მაგრამ მისი პოზიცია ამ საკითხზე სრულიად გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ მის ნათქვამს იმაზე, რომ ევენტუალური განზრახვით ქმედების განხორციელებისას ქმედება დამდგარი შედეგის მიხედვით უნდა დაკვალიფიცირდეს.

ვ. ბაუერი გერმანიის სასამართლო პრაქტიკის გამოკვლევის შემდეგ მიდის იმ დასკვნამდე, რომ სასამართლო პრაქტიკაში უმეტეს შემთხვევაში უარს ამბობენ ევენტუალური განზრახვით მკვლელობის მცდელობის კვალიფიკაციაზე და საფრთხის შემქმნელი დელიქტების შემადგენლობებს იყენებენ. *ვ. ბაუერი* ასეთი საფრთხის შემქმნელი დელიქტის მაგალითად ასახელებს გერმანული სსკ-ის 316 a პარაგრაფით გათვალისწინებულ შემადგენლობას.[709] აღნიშნული პარაგრაფით ისჯება მძღოლზე ყაჩაღური თავდასხმა. ყაჩაღური თავდასხმა ზოგადად, საფრთხის შემქმნელ დელიქტს წარმოადგენს და იგი გულისხმობს ისეთ მოქმედებას, რომელიც ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხეს ქმნის.

დ. კრაუსის თვალსაზრისით, გერმანულ სისხლის სამართლის კოდ-

---

[706] იხ. *Lampe E.,* Genügt für den Entschluß des Täter in §43 StGB sein bedingter Vorsatz?, NJW, 1958, S. 333.

[707] იხ. *Lampe E.,* იქვე,გვ. 333.

[708] იხ. *Lampe E.,* იქვე,გვ. 333.

[709] იხ. *Bauer W.,* Die Abgrenzung des dolus eventualis – ein Problem der Versuchsdogmatik, Wistra 1991, S. 171.

ექსში საფრთხის შემქმნელი დელიქტების შემადგენლობათა შემოტანა იმით არის განპირობებული, რომ ზოგჯერ შეუძლებელია დამნაშავისთვის სიცოცხლის მოსპობის განზრახვის დამტკიცება. თუ დამნაშავეს ვერ დაუმტკიცდა სიცოცხლის მოსპობის განზრახვა, მაგრამ მისმა ქმედებამ ობიექტურად შეუქმნა საფრთხე სხვა ადამიანის სიცოცხლეს, დამნაშავეს პასუხისმგებლობა არა მკვლელობის მცდელობისთვის, არამედ საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელებისთვის დაეკისრება. სამართლებრივი სახელმწიფოსთვის მიუღებელია პასუხისმგებლობის დაკისრება ვარაუდის საფუძველზე და აქედან გამოსავალი საფრთხის შექმნისთვის დასჯადობის დაწესებაა.[710]

ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის იდეას უარყოფენ ამერიკულ, ფრანგულ, იტალიურ და რუსულ სისხლის სამართლის მეცნიერებაშიც. ამერიკული სისხლის სამართლის მიხედვით, დანაშაულის მცდელობისთვის ადამიანი მხოლოდ მაშინ ისჯება, როდესაც იგი მიზნად ისახავს გარკვეული შედეგის დადგომას ან დარწმუნებულია, რომ მის მოქმედებას განსაზღვრული შედეგი მოჰყვება.[711] აღნიშნულიდან გამომდინარე, ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა, ამერიკული სისხლის სამართლის მიხედვით, შეუძლებელია. ის, რომ დამნაშავე დარწმუნებულია შედეგის დადგომაში და მიზნად ისახავს მას, იმას ნიშნავს, რომ იგი პირდაპირი განზრახვით მოქმედებს. ევენტუალური განზრახვის დროს, როგორც ვიცით, დამნაშავე დარწმუნებული კი არ არის კონკრეტული შედეგის დადგომაში, არამედ უშვებს შედეგის დადგომის შესაძლებლობას და რაც მთავარია, არ მოქმედებს შედეგის გამოწვევის მიზნით. მიზნით დეტერმინირებული შეიძლება იყოს არა ევენტუალური განზრახვით, არამედ პირდაპირი განზრახვით განხორციელებული ქმედება. ამერიკულ სისხლის სამართალში პირდაპირი განზრახვით განხორციელებულ მკვლელობას აღნიშნავენ სხვა ტერმინით (Mord), ხოლო არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებულ მკვლელობას სხვა ტერმინით (გერმანულად Totschlag).[712] როგორც *მ. დუბერი* აღნიშნავს, როდესაც საუბარია მკვლელობის მცდელობაზე, იგულისხმება მკვლელობის არა იმ შემადგენლობის მცდელობა, რომლის განხორციელება არაპირდაპირი განზრახვითაც შეიძლება (Totschlag), არამედ ის, რომელიც მხოლოდ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს (Mord), შესაბამისად, მკვლელობის მცდელობის აღსანიშნავად გამოიყენება სპეციალური ტერმინი (გერმანულად Mordversuch).[713] ევენტუალური განზრახვა ამერიკულ სისხლის სამართალში არ განიხილება განზრახვის ფორმად და იგი განზრახვასა და გაუფრთხილებლობას შორის მდებარეობს[714].

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლის თანახმად, „ის ვინც ჩადის ქმედებებს, რომლებიც ვარგისია (აქვთ უნარი), რათა უშუა-

---

[710] *დ. კრაუსის* შეხედულებაზე იხ. *მამულაშვილი გ.*, წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 160; *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 306.

[711] იხ. *Dubber M.,* Einführung in das US-amerikanische Strafrecht, München, 2005, S. 125-126.

[712] იხ. *Dubber M.,* იქვე, გვ. 69.

[713] იხ. *Dubber M.,* იქვე, გვ. 126.

[714] იხ. *წიქარიშვილი კ.*, ევენტუალური განზრახვა თანამედროვე დასავლეთ ევროპულ და ამერიკულ სისხლის სამართალში,,,მართლმსაჯულება", 2008, №3, გვ. 34.

ლოდ, ერთმნიშვნელოვნად გადაიზარდონ დამთავრებულ დანაშაულში, პასუხს აგებს დანაშაულის მცდელობისათვის, იმ შემთხვევაში თუ ქმედება არ დასრულდა ან შედეგი არ დადგა".[715] აღნიშნული დეფინიციაში არ არის ცალსახად გამოკვეთილი დანაშაულის მცდელობის სუბიექტური შემადგენლობის ნიშნები და იძლევა დანაშაულის მცდელობის არაპირდაპირი განზრახვით შესაძლებლობის საკითხზე განსხვავებული მოსაზრების გამოთქმის საშუალებას. იტალიის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა დაშვებული იქნა 1983 წლის სასამართლო გადაწყვეტილებით, მაგრამ შემდგომ მასზე უარი ითქვა 1995 წლის გადაწყვეტილებით.[716]

ფრანგულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში განზრახვის ელემენტებად მიიჩნევენ შედეგის გათვალისწინებას, შედეგის სურვილს და ქმედების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის შეცნობას. ფრანგებს არაპირდაპირი განზრახვა გადააქვთ გაუფრთხილებლობაში.[717] იბადება კითხვა, არაპირდაპირი განზრახვის გაუფრთხილებლობის სფეროში გადატანით ხომ არ იქმნება არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებული ისეთი ქმედების დასჯადობის პრობლემა, რომელსაც შედეგი არ მოჰყოლია? ამ პრობლემას ფრანგი იურისტები წყვეტენ სისხლის სამართლის კოდექსში საფრთხის დელიქტის შემადგენლობის (223-ე მუხლი) შემოტანით.

ფრანგულ, ამერიკულ და ინგლისურ სისხლის სამართალში არაპირდაპირი განზრახვა გააქვთ განზრახვის სფეროდან და მას განიხილავენ თვითიმედოვნების გვერდით. არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობით გამოწვეულ ვაკუუმს კი ავსებენ საფრთხის დელიქტის შემადგენლობით.

რუსულ სისხლის სამართლის მეცნიერებაშიც უარყოფენ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას და დანაშაულის მცდელობისათვის აუცილებლად მიიჩნევენ დანაშაულებრივი შედეგის დადგომის სურვილის არსებობას.[718] ევენტუალური განზრახვით მცდელობას უარყოფდა ცნობილი რუსი მეცნიერი *ნ. ტაგანცევიც.*[719] თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის იდეას მომხრეები საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაშიც ჰყავდა.[720]

ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მსგავსად, საფრთხის შემქმნელ დელიქტთა შემადგენლობებს ითვალისწინებს შვეიცარიული სისხლის სამართლის კოდექსიც. შვეიცარიულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ისეთი საფრთხის შემქმნელი დელიქტი, როგორიცაა სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყ-

---

[715] იხ. *წიქარიშვილი კ.,* ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის ჩადენის საკითხი იტალიურ, ფრანგულ და ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში, „მართლმსაჯულება და კანონი", 2009, №1, გვ. 40.

[716] იხ. *წიქარიშვილი კ.,* იქვე, გვ. 41-42.

[717] იხ. *წიქარიშვილი კ.,* იქვე, გვ. 42-43.

[718] იხ. Уголовное право, Общая и особенная части, 2-е издание, Под общей редакцией *Журавлева М.П.,* и *Никулина С.И.*, М., 2008, с. 132; Комментарий к уголовному кодексу Российской Федерации, Под ред. *Радченко В.И., Михлина А.С.*, Санкт-Петербург, 2008, с. 50; *Горелик И.,* Квалификация преступлений, опасных для жизни и здоровья, Минск, 1973, с. 49.

[719] იხ. *Таганцев Н.С,* Русское уголовное Право, Часть общая, Том I, 2001, с. 548.

[720] იხ. *Лившиц В.Я.*, К Вопросу о понятии эвентуального умысла, «Советское государство и право», 1947, №7, с. 43.

ენება, სუბიექტური მხრივ მოითხოვს საფრთხის შექმნის განზრახვას. ხოლო, თუ დამნაშავეს სხვისი სიცოცხლის მოსპობა სურს, არ გამოიყენება საფრთხის შემქმნელი დელიქტის შემადგენლობა[721], ვინაიდან სახეზე იქნება მკვლელობის მცდელობა. აღნიშნული დებულების მიხედვით, მკვლელობის განზრახვასა და საფრთხის შექმნის განზრახვას შორის განსხვავება სიცოცხლის მოსპობის სურვილშია.

3. ევენტუალური განზრახვის რაობა და მისი მნიშვნელობა არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობის დასასაბუთებლად

ევენტუალურ განზრახვის საკითხი სისხლის სამართლის მეცნიერებაში მეტად საკამათოა. კერძოდ, კამათის საგანს წარმოადგენს საკითხი იმის თაობაზე, ევენტუალური განზრახვის დროს არსებობს თუ არა ვოლუნტატური ელემენტი და დამნაშავე ეთანხმება („billigen“) თუ არა შედეგის დადგომას. ამასთან ერთად, საკამათოდ მიიჩნევენ იმასაც, არსებობს თუ არა „შეგნებული გაუფრთხილებლობითი“ ქმედება.[722] მეცნიერთა ერთი ნაწილი ევენტუალური განზრახვის დროს ვოლუნტატური ელემენტის არსებობას გამორიცხავს, ხოლო მეორე ნაწილი უშვებს ვოლუნტატურ კავშირს დანაშაულებრივ შედეგთან. ავტორთა ნაწილი კი, დამნაშავის ემოციურ დამოკიდებულებას შედეგის დადგომასთან მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ანიჭებს მნიშვნელობას.

ჰ. ოტო თვლის, რომ განზრახვა გულისხმობს სამართლებრივი სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნის ცოდნას (კოგნიტური ელემენტი) და ამ საფრთხის განხორციელების ნებელობას („Wille“) (ნებელობითი ელემენტი).[723] განზრახვის აღნიშნული დეფინიციის მიხედვით, *ჰ. ოტო* ქმედების ნებელობის ვოლუნტატურ ელემენტს საფრთხის შექმნაში ხედავს. მაშასადამე, აღნიშნული კონცეფციის თანახმად, ევენტუალური განზრახვით მოქმედს გააჩნია იმ ქმედების ნებელობა, რომელიც კონკრეტულ საფრთხეს ქმნის. თუმცა, საკამათო ის არის, რამდენად შეიძლება ეს ნებელობა ამ კონკრეტული საფრთხის საზიანო შედეგში რეალიზაციაზე გავრცელდეს. რამდენადაც საფრთხის შექმნა და საზიანო შედეგის გამოწვევა სხვადასხვა სისხლისსამართლებრივ უმართლობას აფუძნებს, დამნაშავის ნებელობა და ემოციური დამოკიდებულება კონკრეტული საფრთხის შექმნის და საზიანო შედეგის გამოწვევის მიმართ უნდა გაიმიჯნოს. უფრო მეტიც, ქმედების ნებელობა არ შეიძლება ქმედებით შექმნილ კონკრეტულ საფრთხეზეც გავრცელდეს, ვინაიდან კონკრეტული საფრთხე ქმედებისგან შეიძლება გამოიყოს და განხილულ იქნეს როგორც დანაშაულებრივი შედეგი.

შესაძლებლობის თეორიის (Möglichkeitstheorie)[724] სახელწოდებით

---

[721] იხ. *Stratenwerth G, Jenny G.*, Schweizerisches Strafrecht, BT I, Bern, 2003, S. 89.

[722] იხ. *Joecks W*, MüKo, Band 1, 2. Aufl., München, 2011, S. 766, §16 Rn. 30.

[723] იხ. *Otto H.*, Grundkurs, Strafrecht, Allgemeine Strafrechtslehre, 6. Aufl., Berlin, New York, 2000, S. 85, §7 Rn. 44. ევენტუალური განზრახვის ანალოგიურ დეფინიციას გვთავაზობს ქინდჰოიზერიც. იხ. *Kindhäuser U.*, Strafrecht, AT, 6. Aufl., Baden-Baden, 2013, S. 134, §14 Rn. 30-31.

[724] აღნიშნული თეორიის ანალიზი იხ. *Joecks W*, MüKo, Band 1, 2. Aufl., München, 2011, S. 767, §16 Rn. 33.

ცნობილი მოძღვრების წარმომადგენლები თვლიან, რომ, თუ ქმედების განხორციელების დროს მოქმედს გაცნობიერებული ჰქონდა ქმედების შემადგენლობის განხორციელების შესაძლებლობა, ქმედებით გამოწვეული შედეგი არის სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების პროდუქტი.[725] ქართულ სისხლის სამართალის მეცნიერებაში შესაძლებლობის თეორიას მხარს უჭერს *ლ. მაღლაკელიძე*, რომელიც აღნიშნავს, რომ ევენტუალური განზრახვის დროს დამნაშავეს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა გადაწყვეტილი აქვს.[726] ევენტუალური განზრახვის დროს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გადაწყვეტილების არსებობის დასასაბუთებლად *ლ. მაღლაკელიძე* შემდეგს აღნიშნავს: „თუ პირი ვაზნებით დატენილ იარაღს ამოიღებს, მაგრამ გადაწყვეტილი არა აქვს მოპირდაპირე მხარეს მდგომ პიროვნებას ესროლოს თუ მხოლოდ დაემუქროს, ასეთი ქმედება განზრახვას არ აფუძნებს. ამ შემთხვევაში არც მცდელობის კვალიფიკაცია შეიძლება, რადგან მას სამართლებრივი სიკეთის დაზიანება ან განადგურება შინაგანად გადაწყვეტილი ჯერ კიდევ არა აქვს".[727] აქ პირველ რიგში ის უნდა აღინიშნოს, რომ **ქმედება არ აფუძნებს განზრახვას, არამედ ქმედებაში განზრახვა გამოხატულებას პოულობს**. განზრახვის ჩამოყალიბების პროცესი ქმედების განხორციელებას წინ უსწრებს. ქმედება არა თუ არ აფუძნებს განზრახვას, არამედ თავად განზრახვა აფუძნებს (განსაზღვრავს) ქმედების მართლსაწინააღმდეგო ან მართლზომიერ ხასიათს. რაც შეეხება *ლ. მაღლაკელიძის* მიერ მოტანილ მაგალითს, აღნიშნული მაგალითის მიხედვით ქმედება მართლაც არ შეიძლება შევაფასოთ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის მცდელობად, მაგრამ არა მხოლოდ იმიტომ, რომ მოქმედ პირს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გადაწყვეტილება მიღებული არ ჰქონდა (სუბიექტური მხარე), არამედ იმიტომაც, რომ ქმედებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ისეთი საფრთხე შექმნილი (ობიექტური მხარე), რომელიც მცდელობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი წინაპირობაა.

გ. ნაჭყებიას მართებული მოსაზრებით, გადაწყვეტილება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით მიიღება. ევენტუალური განზრახვით გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია.[728]

დ. უზნაძის შეხედულების მიხედვით, გადაწყვეტის მომენტში სუბიექტს უჩნდება სპეციფიკური განცდა, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად გამოითქვას: „მე მინდა"-„ეხლა მე ნამდვილად მინდა". ეს განცდა არ უნდა გავიგოთ როგორც უბრალო დადასტურება, შემეცნება თუ გაგება, უბრალო დამოწმება იმისა, რომ სუბიექტს მანამდე რაღაც არ უნდოდა

---

[725] იხ. *Morkel D.*, Abgrenzung zwischen vorsätzlicher und fahrlässiger Straftat, NStZ 1981, S. 178; *Hassemer W.*, Kennzeichen des Vorsatzes, Kaufman-FS, 1989, S. 295.

[726] იხ. *მაღლაკელიძე ლ.*, განზრახვის ცნების ზოგიერთი პრობლემისათვის თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში, კრებულში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბ., 2013, გვ. 314; *მაღლაკელიძე ლ.*, განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2013, გვ. 58.

[727] იხ. *მაღლაკელიძე ლ.*, სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 58.

[728] იხ. *ნაჭყებია გ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, გვ. 383.

და ეხლა უკვე უნდა.[729] **„ეს „მე მინდა“ ის აქტუალური ფაქტორია, რომელიც წარმართავს მომავალ მოქმედებას: მასში განიცდება, რომ სწორედ ეს უნდა მოხდეს და არა სხვა რამ, რომ ყოველი სხვაგვარი შესაძლებლობა გამორიცხულია“.**[730] თუ გადაწყვეტის აქტამდე ადამიანი ყოყმანობს და აღგზნებულობას განიცდის, გადაწყვეტის აქტის დროს იგი ქრება და მის ნაცვლად საბოლოოდ გარკვეულობის, სიმყარის და დამშვიდებულობის განცდა ჩნდება.[731]

როცა ადამიანი გადაწყვეტილებას იღებს, განიცდის, რომ სწორედ ის უნდა მოხდეს, რასთან დაკავშირებითაც მიიღო გადაწყვეტილება. მაგრამ, ეს არ ეხება მხოლოდ ქმედებას ცალკე აღებულს, არამედ კონკრეტული შედეგის განხორციელებასაც. გადაწყვეტილება, ამ გაგებით, შეუძლებელია მიღებული იქნეს იმ შედეგის განხორციელებაზე, რომლის გამოწვევისკენაც ქმედება მიმართული არ არის და რომელიც განიხილება თანამდევ შედეგად. გადაწყვეტილება მიიღება იმ შედეგის გამოწვევასთან დაკავშირებით, რომლის დადგომის მიზნით დამნაშავე მოქმედებს ან რომლის განხორციელების გარდუვალობაც მას გაცნობიერებული აქვს. ამიტომ, არასწორად მსჯელობს *დ. ოელერი*, როცა აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება სამართლებრივად სხვა არაფერია, ვიდრე განზრახვა.[732] სავსებით მართებულად მიუთითებს *ე. მეცგერი*, რომ გადაწყვეტილება და განზრახვა არ არის იდენტური.[733] განზრახვა და გადაწყვეტილების მიღება ერთმანეთისგან განსხვავდება და მათი გაიგივება ყოვლად დაუშვებელია. განზრახვა (მაშინ როცა განზრახვის სახეა არაპირდაპირი განზრახვა) უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე გადაწყვეტილების მიღება, რამდენადაც განზრახი ქმედება არა მხოლოდ მიზანდასახულ, არამედ ისეთ ქმედებასაც მოიცავს, რომელიც გამიზნული არ არის. მეცნიერთა ნაწილი სწორად აღნიშნავს, რომ ქურდობის განხორციელების გადაწყვეტილება მოითხოვს არა მხოლოდ სხვისი ნივთის დაუფლების განზრახვას, არამედ ამ ნივთის მისაკუთრების მიზანსაც.[734] მაშასადამე, დანაშაულის განხორციელების გადაწყვეტილების მნიშვნელოვან კომპონენტს მიზანი წარმოადგენს. თანმიმდევრული არ იქნება მსჯელობა, თუ ერთი მხრივ, დანაშაულის განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას და განზრახვას ერთმანეთისგან გავმიჯნავთ, გადაწყვეტილების აუცილებელ კომპონენტად მიზანს განვიხილავთ და, მეორე მხრივ, შესაძლებლად ჩავთვლით დანაშაულის მცდელობას არაპირდაპირი განზრახვით. დანაშაულის მცდელობა შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე შეუძლებელია, ხოლო გადაწყვეტილება, როგორც უკვე ითქვა, არა მხოლოდ განზრახვას, არამედ მიზანსაც მოითხოვს, რაც არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობას მკვლელობის დელიქტში თავისთავად გამორიცხავს, ვინაიდან სიცოცხლის მოსპობის მიზანი მხოლოდ მკვლელობით შეიძლება მიიღწეს, განსხვავებით სხ-

---

729 იხ. *უზნაძე დ.,* ზოგადი ფსიქოლოგია,თბ.,2006,გვ. 191.

730 იხ. *უზნაძე დ.,* იქვე,გვ. 191.

731 იხ. *უზნაძე დ.,*იქვე,გვ. 193.

732 იხ. *Oehler D.*, Das objektive Zweckmoment in der rechtswidrigen Handlung, Berlin, 1959, S. 119.

733 იხ. *Mezger E.*, Moderne Wege der Strafrechtsdogmatik, Berlin-München, 1950, S. 28.

734 იხ. *Roxin C.,* Strafrecht, AT, Band II, München, 2003, S. 350, §29 Rn. 61.

ვისი ნივთის მისაკუთრების მიზნისგან, რომლის მიღწევა ქურდობის[735] გარდა სხვა დანაშაულითაც არის შესაძლებელი. ვინც მკვლელობის განხორციელებას ცდილობს, მას გადაწყვეტილი უნდა ჰქონდეს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მკვლელობის მცდელობისას დამნაშავე მიზნად უნდა ისახავდეს ადამიანის სიცოცხლის მოსპობას, ე. ი. უნდა სურდეს იგი ან უნდა აცნობიერებდეს ასეთი შედეგის დადგომის გარდაუვალობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მკვლელობის მცდელობისას დამნაშავე სხვისი სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებით პირდაპირი განზრახვით მოქმედებს.

თუ შესაძლებლობის თეორიას დავუჭერთ მხარს, გაუგებარია, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება მაშინ, როცა დამნაშავე ჯანმრთელობას მძიმედ დაუზიანებს სხვა ადამიანს და აცნობიერებს იმის შესაძლებლობას, რომ მის ქმედებას შეიძლება მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვეს, თუმცა, დამნაშავე არ მოქმედებდა სხვისი სიცოცხლის მოსპობის სურვილით. თუ ქმედებას მკვლელობის მცდელობით დავაკვალიფიცირებთ, მაშინ რა საჭიროა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლი, რომელიც პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის?!

შესაძლებლობის თეორიის ნაკლი ის არის, რომ იგი არ იძლევა იმის საშუალებას, პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვას შორის ზღვარი გაივლოს. ამ თეორიის მიხედვით, განზრახვის არსებობა ქმედების შემადგენლობის განხორციელების შესაძლებლობის გაცნობიერებაზეა დამოკიდებული, მაგრამ დამნაშავეს ქმედების შემადგენლობის განხორციელების შესაძლებლობა მაშინაც აქვს გაცნობიერებული, როცა პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, და მაშინაც, როცა ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა განხორციელებული. უფრო მეტიც, დამნაშავე სახიანო შედეგის დადგომის შესაძლებლობას მართალია, არა კონკრეტულად, მაგრამ აბსტრაქტულად, თვითიმედოვნების დროსაც აცნობიერებს, რომელსაც გერმანულ ლიტერატურაში „შეგნებულ გაუფრთხილებლობასაც“ („bewusste Fahrlässigkeit“) უწოდებენ.[736]

დაინახა რა, განსახილველი თეორიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა იმის საშიშროება, რომ მათი კონცეფციის მიხედვით, არა მხოლოდ პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვას, არამედ განზრახვას და გაუფრთხილებლობას (თვითიმედოვნება) შორისაც შეიძლება ზღვარი წაშლილიყო, უარყო „შეგნებული გაუფრთხილებლობის“ ფიგურა და მივიდა იმ დასკვ-

---

[735] გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ ქურდობის განსახორციელებლად ევენტუალური განზრახვაც საკმარისია, მიუხედავად იმისა,რომ ქურდობა მიზნით დაფუძნებული დელიქტია. იხ. *Fischer T.*, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Aufl., München, 2010, S. 1627, §242 Rn. 31; *Roxin C.,* Strafrecht, AT, Band II, München, 2003, S. 354, §29 Rn. 76. გამოთქმული შეხედულებით, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი ქურდობის განზრახვის შემადგენელი კომპონენტი არ არის და იგი განზრახვის მიღმაა. აღნიშნული თვალსაზრისის მართებულობის დასასაბუთებლად იშველიებენ იმ არგუმენტსაც,რომ სხვისი ნივთის დაუფლება და მისაკუთრების მიზანი შეიძლება ქურდობის გარდა სხვა დანაშაულის განხორციელების გზითაც მიიღწეს. ქმედება რომ გერმანული სსკ-ის 242-ე პარაგრაფით დაკვალიფიცირდეს,აუცილებელია დამნაშავე სხვისი ნივთის მისაკუთრების მიზნით მოქმედებდეს,მაგრამ აღნიშნული სუბიექტური ნიშანი შეიძლება გააჩნდეს ქურდობის (როგორც სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ერთ-ერთი ხერხის) განხორციელებასთან (და არა სხვისი ნივთის მისაკუთრებასთან) დაკავშირებით ევენტუალური განზრახვით მოქმედ პირსაც.

[736] იხ. *Schmidhäuser E.*, Zum Begriff der bewußten Fahrlässigkeit, GA 1957, S. 305-314.

ნამდე, რომ გაუფრთხილებლობა არასდროს არ შეიძლება „შეგნებული“ იყოს.[737]

როგორც ჩანს, *ლ. მაღლაკელიძეც* გრძნობს ამ საფრთხეს და აღნიშნავს, რომ თუ ევენტუალური განზრახვის არსებობის დადგენისთვის საკმარის პირობად სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაზე გადაწყვეტილების მიღებას მივიჩნევდით, გამორიცხული არ იქნებოდა ევენტუალური განზრახვის აღრევა პირდაპირ განზრახვაში.[738] თუმცა, თვითიმედოვნების და ევენტუალური განზრახვის გამიჯვნასთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ მეტად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, დამნაშავეს შედეგის დადგომის საფრთხე თუ როგორ წარმოედგინა. ევენტუალური განზრახვის დროს დამნაშავეს ჰგონია, რომ მისი ქმედება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის კონკრეტულ საფრთხეს ქმნის, ხოლო თვითიმედოვნების დროს დამნაშავის მიერ წარმოდგენილი ქმედების საშიშროება აბსტრაქტულია.[739]

დ. ცილინსკი ერთმანეთთან აიგივებს არაპირდაპირ განზრახვას და „შეგნებულ გაუფრთხილებლობას“ და აღნიშნავს, რომ „შეგნებული გაუფრთხილებლობა“ არის არაპირდაპირი განზრახვა („Bewußte Fahrlässigkeit ist bedingter Vorsatz“).[740] *დ. ზაუერის* მოსაზრებით კი განზრახვის ცნება უნდა შეიზღუდოს და ევენტუალური განზრახვა განზრახვის ფორმებიდან გამოირიცხოს.[741] მისი მოსაზრებით, დასჯადობასთან დაკავშირებული ის ხარვეზი, რომელიც ევენტუალური განზრახვის, როგორც განზრახვის ფორმის, უარყოფის შედეგად წარმოიშობა, შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობათა არსებობით უნდა შეივსოს.[742]

მართებულად არ შეიძლება ჩაითვალოს მოსაზრება, რომ ევენტუალური განზრახვის დროს დამნაშავე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გადაწყვეტილებით მოქმედებს. ევენტუალური განზრახვის დროს, როცა მოქმედი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის თავიდან აცილების შესაძლებლობის გაცნობიერებით მოქმედებს, ვერ ვიტყვით, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა ამ სიკეთის ხელყოფა. ხშირად ადამიანი არასასურველ გადაწყვეტილებასაც იღებს, მაგრამ განსახორციელებელი ქმედების და, შესაბამისად, მოსალოდნელი შედეგის აუცილებლობის შეგნებით. ასეთ დროს მოქმედ პირს არ გააჩნია გამოკვეთილი სურვილი გარკვეული ქმედების განხორციელების და შედეგის დადგომის, მაგრამ ამ ქმედებას მაინც ახორციელებს და შედეგის დადგომის გარდუვალობასაც აცნობიერებს, რამდენადაც იგი გარკვეული გარემოებიდან გამომდინარე აუცილებლად და საჭიროდ მიაჩნია. ეს მდგომარეობა არ გამოხატავს იმ ვითარებას, როცა ადამიანი ევენტუალური განზრახვით მოქმედებს. იგი უფრო მეტად განზრახვის იმ ფორმას შეესატყვისება, რომელსაც სისხლის სამართლის მეცნიერებაში მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის სახელწოდებით მოიხსენიებენ.

სწორად აღნიშნავს *გ. კუპერი*, რომ შესაძლებლობის თეორიის გა-

---

[737] იხ. *Schröder H.,* Aufbau und Grenzen des Vorsatzbegriffs, Sauer-FS, Berlin, 1949, S. 245.

[738] იხ. *მაღლაკელიძე ლ.,* სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 58-59.

[739] იხ. *Schmidhäuser E.*, Zum Begriff der bewußten Fahrlässigkeit, GA 1957, S. 312.

[740] იხ. *Zielinski D.*, Handlungs- und Erfolgsunwert im Unrechtsbegriff, Berlin, 1973, S. 168.

[741] იხ. *Sauer D.*, Die Fahrlässigkeitsdogmatik der Strafrechtslehre und der Strafrechtsprechung, Hamburg, 2003, S. 246.

[742] იხ. *Sauer D.*, იქვე, სქოლიო 733.

ზიარება იქამდე მიგვიყვანდა, რომ სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნისას ყოველთვის უნდა გვეღიარებინა მკვლელობის მცდელობის განხორციელება.[743]

ალბათობის თეორიის („Wahrscheinlichkeitstheorie“) მიხედვით, არაპირდაპირი განზრახვით მოქმედი დამნაშავე შედეგის დადგომის ალბათობას უშვებს.[744] შეიძლება დაისვას კითხვა: რა განსხვავებაა შედეგის დადგომის შესაძლებლობას და ალბათობას შორის და რით განსხვავდება ალბათობის თეორია შესაძლებლობის თეორიისგან? დასმულ კითხვაზე ავტორთა მხრიდან პასუხი შემდეგია: „საალბათო“ („Wahrscheinlich“) უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ შესაძლო.[745] *კორიატი* აღნიშნავს, რომ თუ შესაძლებლობის თეორიას გავიზიარებდით მკვლელად უნდა ჩაგვეთვალა ის, ვინც თავის ცოლს მანქანას ჩუქნის იმ იმედით, რომ ცოლი შეიძლება ავტოავარიაში მოჰყვეს და მოკლან.[746] *კორიატის* კრიტიკა შესაძლებლობის თეორიის მიმართ არ არის სათანადოდ დასაბუთებული. ალბათობის თეორია თითქმის არაფრით არ განსხვავდება შესაძლებლობის თეორიისგან, მიუხედავად იმისა, რომ ალბათობას და შესაძლებლობას შორის გარკვეული სხვაობა არსებობს. იმის ალბათობა შეიძლება არსებობდეს, რაც შესაძლებელია, მაგრამ ალბათობა უფრო სუბიექტური შინაარსის[747] მქონეა, მაშინ, როცა შესაძლებლობა ობიექტური ხასიათისაა. რაც შეეხება ალბათობის კვანტიფიკაციის უარყოფას, ესეც მიუღებელი და არაარგუმენტირებული მოსაზრებაა. ალბათობას ხარისხები გააჩნია და შესაძლებელია ალბათობის მეტ ან ნაკლებ ხარისხზე საუბარი. ხოლო, რაც შეეხება კორიატის მიერ მოყვანილ მაგალითს, იგი ვერ გამოგვადგება შესაძლებლობის თეორიის უარყოფის მართებულობის დასასაბუთებლად და იმის ნათელსაყოფად, თუ რატომ არ უნდა ვცნოთ მოყვანილი მაგალითის მიხედვით ქმარი ცოლის მკვლელად. ქმედება არ სცდება სოციალური ადექვატურობის ფარგლებს, რაც შედეგის ობიექტური შერაცხვის და ქმრის მკვლელად შეფასების შესაძლებლობას გამორიცხავს. მანქანის ჩუქება ნებადართული და სოციალურად ადექვატური ქმედებაა.

ალბათობის თეორიის მიხედვით მნიშვნელოვანია ასევე იმის გარკვევა, დამნაშავე თუ რამდენად უშვებს იმის ალბათობას, რომ შედეგის თავიდან აცილება მისი ბედისწერიდან გამომდინარე შესაძლებელია, თუ რამდენად ენდობა იგი საკუთარ ბედისწერას. თუ დამნაშავეს აქვს ღრმა ეჭვი შედეგის დადგომაზე, განზრახვა უნდა გამოირიცხოს.[748] აღნიშნული შეხედულებით, განზრახვის და გაუფრთხილებლობის ზღვარგამყოფი საზიანო შედეგის არდადგომის რწმენა კი არ არის, არამედ ღმა ეჭვი. თუმცა, შედეგის არდადგომის ღრმა ეჭვი მცირე ხარისხით, მაგრამ მაინც შეიცავს იმის ალბათობას, რომ შედეგი შეიძლება დადგეს. რაც შეეხება რწმენას, თუ ადამიანი დარწმუნებულია საზიანო შედეგის თავიდან

---

[743] იხ. *Küpper G.*, Zum Verhältnis von dolus eventualis, Gefährdungsvorsatz und bewußter Fahrlässigkeit, ZStW 1988, S. 758-759.

[744] იხ. *Koriath H.*, Grundlagen Strafrechtlicher Zurechnung, Berlin, 1994, S. 651.

[745] იხ. *Joecks W*, MüKo, Band 1, 2. Aufl., München, 2011, S. 767, §16 Rn. 37.

[746] იხ. *Koriath H.*, იქვე, გვ. 651.

[747] ალბათობას სუბიექტურ ეგებისობას უწოდებს *თ. წერეთელი*. იხ. *წერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 198.

[748] იხ. *Joecks W*, MüKo, Band 1, 2. Aufl., München, 2011, S. 767-768, §16 Rn. 37.

აცილებაში, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მცირე ხარისხითაც არ უშვებს შედეგის დადგომის ალბათობას. შედეგის თავიდან აცილების რწმენა შედეგის დადგომის ალბათობისთვის ადგილს არ ტოვებს. აქედან გამომდინარე შედეგის დადგომის თუ თავიდან აცილების „ღრმა ეჭვის“ ქონა არ არის მყარი და ნათელი კრიტერიუმი განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გასამიჯნად.

ქინდჰოიზერის თვალსაზრისით, განზრახვა მაშინ არსებობს, როცა ქმედების განხორციელების წინ დამნაშავე არ გადათქვამს ქმედების განხორციელებას, მიუხედავად იმისა, რომ მან იცის მისი ქმედება სავარაუდოდ ქმედების შემადგენლობის განხორციელებას გამოიწვევს.[749]

შესაძლებლობის თეორიის ანალოგიურად წყვეტს განზრახვის პრობლემას *ვ. ფრიშის* მიერ ჩამოყალიბებული რისკის თეორიაც (Risikotheorie), რომლის მიხედვით, განზრახვა უპირატესად არის დამნაშავის გადაწყვეტილება სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ.[750] რისკის თეორიის თანახმად, განზრახვის საყრდენი ნიშანია არა ქმედების ობიექტური შემადგენლობა, არამედ ქმედება, რაც იმას ნიშნავს, რომ შედეგი არ არის განზრახვის საყრდენი მომენტი, განზრახვის საგანი (Vorsatzgegenstand).[751] ის ვისაც გაცნობიერებული აქვს მის ქმედებასთან დაკავშირებული, საალბათო და არანებადართული რისკი და, მიუხედავად ამისა, იღებს მოქმედების გადაწყვეტილებას, მოქმედებს ევენტუალური განზრახვით. *ფრიშის* შეხედულება არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს, რამდენადაც თავად შედეგის გამოწვევის საფრთხე ქმედების ნიშანი ვერ იქნება. კონკრეტული საფრთხე იგივე შედეგია და ქმედებისგან მისი გამიჯვნა შესაძლებელია. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ *ფრიშის* კონცეფციით, განზრახვის არსებობისთვის კონკრეტული და არა აბსტრაქტული საფრთხის არსებობის გაცნობიერებაა აუცილებელი.[752] როდესაც ვსაუბრობთ საფრთხეზე, მხედველობაში გვაქვს საზიანო შედეგის გამოწვევის საფრთხე. რამდენადაც საფრთხე შედეგის გამოწვევის საფრთხეა, შედეგისადმი ქმედების მიმართებას განზრახვის დასადგენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მართალია, რისკის თეორია, განზრახვის საყრდენ და განმსაზღვრელ ნიშნად არა შედეგს, არამედ ქმედებას მიიჩნევს, მაგრამ ქმედებასთან დაკავშირებული რისკის შეგნების მნიშვნელობის აღიარება სხვა არაფერია, თუ არა განზრახვის დასადგენად მოსალოდნელი შედეგისადმი დამოკიდებულების გათვალისწინება.

ჰერცბერგის შეხედულებით, არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებს ის, ვინც არა მხოლოდ არანებადართულ, არამედ ასევე ისეთ საფრთხეს შექმნის, რომლისგან თავის დაცვა მსხვერპლს არ შეუძლია. მაშასადამე, ევენტუალური განზრახვით მოქმედების დროს ისეთი საფთხე უნდა შეიქმნას, რომ მსხვერპლს არ შეეძლოს შედეგის თავიდან აცილება. შედეგი დადგება თუ არა, ქმედების შემადგენლობა განხორციელდება თუ არა, ამაში გარკვეული როლი შემთხვევითობამ და ბედისწერამ უნდა შეასრულოს.[753] გამოდის, რომ წარმოდგენილი კონცეფციით, ევენტუალურ განზ-

---

749 იხ. *Kindhäuser U.*,Eser-FS., 2005, S. 354.

750 იხ. *Frisch W.*, Vorsatz und Risiko, Köln, Berlin, Bonn, München, 1983, S. 111.

751 იხ. *Frisch W.*, იქვე,გვ. 68.

752 იხ. *Frisch W.*, იქვე,გვ. 159-160.

753 იხ. *Herzberg D.*, Das Wollen beim Vorsatzdelikt und dessen Unterscheidung vom bewußt fahrläs-

რახვად არის გამოცხადებული ის, რაც პირდაპირ განზრახვას წარმოადგენს. თუ დამნაშავის წარმოდგენით მსხვერპლს არ შეუძლია საფრთხისგან თავის დაცვა, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელყოფის თავიდან აცილების შესაძლებლობაც თითქმის გამორიცხულია და არსებობს შედეგის დადგომის, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გარდაუვალობა. თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ შედეგი მაინც არ დადგეს შემთხვევით გარემოებათა გამო. დამნაშავის წარმოდგენით მსხვერპლის მიერ თავის დაცვის შესაძლებლობის არქონა შედეგის დადგომის გარდაუვალობის გაცნობიერებას უტოლდება, რაც პირდაპირი განზრახვისთვისაა დამახასიათებელი და არაპირდაპირ განზრახვას გამორიცხავს.

ჰერცბერგი აღნიშნავს, რომ განზრახვის და გაუფრთხილებლობის გამიჯვნა ქმედების ობიექტური შემადგენლობის პრობლემა არისო. მისი შეხედულებით, განზრახვის არსებობა ქმედების ობიექტური შემადგენლობის ეტაპზე მოითხოვს, რომ დამნაშავემ კვალიფიციური სარისკო ქმედებით განახორციელოს დელიქტისთვის სპეციფიური უღირსობა (deliktspezifische Unwert). მისი თვალსაზრისით, თუ გაუფრთხილებლობის დროს სამართლებრივად მისატევებელი (rechtlich tolerierte) ქმედება ხორციელდება, განზრახვის დროს საშიში და არანებადართული (unerlaubt gefährich). *ჰერცბერგის* შეხედულებით, განზრახვის არსებობა იმაზე კი არ არის დამოკიდებული, გარკვეული საფრთხე დამნაშავემ სერიოზულად აღიქვა თუ არა, არამედ იმაზე, სერიოზულად აღსაქმელი საფრთხე მან შეიცნო თუ არა.[754]

ჰერცბერგმა ფაქტობრივად განზრახვის ობიექტივაცია მოახდინა და პრობლემის გადაჭრა ქმედების ობიექტური შემადგენლობის სიბრტყეზე სცადა, რაც არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ. განზრახვის ასეთი გაგებით, შეუძლებელია ადამიანი მკვლელობის განზრახვით მოქმედებდეს უვარგისი მცდელობის დროს, ვინაიდან ან ვარგისი ობიექტი ან დანაშაულის ჩასადენად ვარგისი საშუალება არ არსებობს, რაც ავტომატურად გამორიცხავს ქმედების საშიშროების იმ ხარისხს, რომელსაც *ჰერცბერგი* განზრახვის არსებობის დასასაბუთებლად ითხოვს. რასაკვირველია, ობიექტური მომენტიც მეტად მნიშვნელოვანია ევენტუალური განზრახვისა და გაუფრთხილებლობის, და ზოგადად, განზრახვის და განუზრახველობის გასამიჯნად, მაგრამ ობიექტური მომენტისთვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება და განზრახვის და განუზრახველობის გამიჯვნის საკითხის ქმედების ობიექტური შემადგენლობის პრობლემად გამოცხადება მიუღებელია.

ზემოთ განხილული წარმოსახვის თეორიებისგან განსხვავებით, ვოლუნტატური თეორიების წარმომადგენლები განზრახვის დეფინიციის ჩამოყალიბებისას ითვალისწინებენ როგორც კოგნიტურ, ისე ვოლუნტატურ ელემენტებს. ვოლუნტატური ნიშანი განზრახვის ფორმების დასადგენად მეტად მნიშვნელოვანია. იგი განსაკუთრებულ როლს ასევე იძენს განზრახვის და განუზრახველობის გასამიჯნად.

ვოლუნტატური თეორიის ზოგიერთი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ

---

sigen Verhalten, JZ 1988, S. 639; *Herzberg D.*, Aids: Herausforderung und Prüfstein des Strafrechts, JZ 1989, S. 476.

[754] იხ. *Herzberg D.*, Die Abgrenzung von Vorsatz und bewußter Fahrlässigkeit-ein Problem des objektiven Tatbestandes, Jus 1986, S. 262; *Herzberg D.*, Bedingter Vorsatz und objektive Zurechnung beim Geschlechtsverkehr des Aidsinfizierten-AG München, NJW 1987, 2314, S. 780-781.

ევენტუალური განზრახვით მოქმედების დროს მოქმედი არა მხოლოდ შესაძლებლად უნდა თვლიდეს შედეგის დადგომას, არამედ შინაგანადაც უნდა ეგუებოდეს მას (billigend in Kauf nehmen). ხოლო ის, ვინც შინაგანად არ ეგუება შედეგის დადგომას და იმედოვნებს, რომ შედეგი არ დადგება, მოქმედებს განზრახვის გარეშე. აღნიშნული დებულების მიხედვით არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებს ის, ვინც 4 მეტრის სიმაღლიდან ფანჯრიდან 70 წლის ადამიანს გადააგდებს.[755]

შროტის თვალსაზრისით, შეფასება, რომელიც პასუხს იძლევა კითხვაზე, პიროვნება მოქმედებდა ევენტუალური განზრახვით, თუ გაუფრთხილებლობით, არის არა თეორიული, არამედ პრაქტიკული შეფასება. იგი ეხება საკითხს არა იმის თაობაზე, თუ როგორი ადექვატურია სინამდვილე, არამედ საკითხს იმის შესახებ, ჩვენ თუ როგორ სწორად განვმარტავთ ქმედებას. ევენტუალური განზრახვა არსებობს არა სპეციფიკური რეალობისთვის, არამედ იგი არის შერაცხვის ფორმა, რომლის დახმარებითაც პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება.[756]

შროტის შეხედულებით, ევენტუალური განზრახვის დადგენა ხდება რეალობისგან მოწყვეტით, რაც მიუღებელია. არ შეიძლება განზრახვა და გაუფრთხილებლობა რეალობისგან მოწყვეტილად იქნეს დადგენილი. მართალია, რეალობა და ადამიანის აღქმა არსებული რეალობისა შეიძლება არ იყოს ადექვატური, მაგრამ იმის მიხედვით ვადგენთ განზრახ განხორციელდა ქმედება თუ განუზრახველად, თუ რამდენად სწორად ჰქონდა მოქმედს არსებული რეალობა აღქმული. თუ ერთმანეთს არ ემთხვევა არსებული რეალობა და მისი აღქმა, ადგილი აქვს ან გაუფრთხილებლობას ან უვარგის მცდელობას. უვარგისი მცდელობის დროს ადამიანი სწორად ვერ აფასებს რეალობას და მოქმედი ცდება ან იარაღში ან ობიექტთან დაკავშირებით (ჰგონია ცოცხალს ესვრის, მაშინ, როცა იგი მკვდარია), ხოლო მაშინ, როცა განუზრახველად ხორციელდება ქმედება, შეცდომის დაშვება ხდება ქმედების საშიშროებასთან (საფრთხე აბსტრაქტული ჰგონია) ან ობიექტთან დაკავშირებით (ჰგონია დათვს ესვრის, მაგრამ ესროლა ადამიანს). რაც შეეხება პირდაპირ და ევენტუალურ განზრახვას, იგი გულისხმობს რეალობის ისე აღქმას, როგორც იგი არსებობს, თუ უვარგის მცდელობას არ აქვს ადგილი.

4. სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისა და სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნის განზრახვის ურთიერთმიმართება

დანაშაულის მცდელობისა და საფრთხის შემქმნელი დელიქტების ურთიერთმიმართების გასარკვევად მეტად მნიშვნელოვანია სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისა და საფრთხის შექმნის განზრახვის ურთიერთმიმართების გარკვევა და იმის გამოკვლევა არის თუ არა ხელყოფი-

---

[755] იხ. *Tröndle/Fischer,* Strafgesetzbuch und Nebengesetze, 50. Aufl., München, 2001, §15 Rn. 11 a; *Baumann/Weber/Mitsch*, Strafrecht, AT, Lehrbuch, 11. Aufl., Bielefeld, 2003, S. 488, §20 Rn.53.

[756] იხ. *Schroth U.*, Die Rechtsprechung des BGH zum Tötungsvorsatz in der Form des „dolus eventualis", NStZ 1990, S. 324.

სა და საფრთხის შექმნის განზრახვის თანადროული არსებობა შესაძლებელი.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული საფრთხის შემქმნელი დელიქტისა და დანაშაულის მცდელობის განზრახვის თანადროულობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, საფრთხის შექმნის განზრახვა და ხელყოფის არაპირდაპირი განზრახვა იდენტურია. გადამწყვეტი არგუმენტი იმის დასასაბუთებლად, რომ საფრთხის შექმნის განზრახვის დროს არსებობს ხელყოფის არაპირდაპირი განზრახვა, არის შემდეგი: გარკვეული ობიექტისთვის საფრთხის შექმნა არის სხვა არაფერი თუ არა ამავე ობიექტის ხელყოფის შესაძლებლობა, ამდენად საფრთხის შექმნის შეგნება მოიცავს ხელყოფის გამოწვევასაც. დამნაშავეს არ შეიძლება ჰქონდეს იმის წარმოდგენა, რომ საფრთხის შექმნის მიუხედავად შედეგი არ დადგება.[757]

ე. ჰორნის შეხედულებით, მტკიცება იმისა, რომ მსხვერპლს საფრთხე შეექმნება, მაგრამ მას არაფერი მოუვა, იქნებოდა წინააღმდეგობრივი პროგნოზი.[758] იმას, ვისაც ხელყოფა სურს, ლოგიკურად აუცილებლად გააჩნია საფრთხის შექმნის განზრახვაც. ყველა ხელყოფას წინ უსწრებს საშიში ვითარება, შესაბამისად, არავითარი ხელყოფა არის მოსალოდნელი, თუ სამართლებრივი სიკეთე ერთხელ, ოდესღაც, ჯერ ხელყოფის საფრთხეში არ მოხვდა.[759] მაშასადამე, საფრთხის შექმნის განზრახვა მხოლოდ მას გააჩნია, ვისაც ხელყოფის შესაბამისი განზრახვა აქვს.[760]

ზოგიერთი გერმანელი მეცნიერი საფრთხის შექმნის განზრახვას და ხელყოფის არაპირდაპირ განზრახვას იდენტურად არ მიიჩნევს, მაგრამ შესაძლებლად თვლის იმას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული საფრთხის შექმნის განზრახვა დამთავრებული დანაშაულის მცდელობის განზრახვას უტოლდებოდეს.[761] ამის მაგალითად მოჰყავთ სატრანსპორტო დანაშაული (გერმანული სსკ-ის 315c პარაგრაფი აბზ. 1. პუნქტი 1) და მკვლელობის მცდელობა (გერმანული სსკ-ის 212, 22, 23 პარაგრაფები).[762]

ფ. ციშანგი აღნიშნავს, რომ შესაძლებელია ისეთი ვითარება, როდესაც, ერთი მხრივ, დამნაშავეს სწამს, მესამე პირის მეშვეობით, რომელსაც შეუძლია მოვლენათა განვითარებაზე ზემოქმედების მოხდენა, თავიდან აიცილებს ზიანის დადგომას. თუმცა, კონკრეტული საფრთხე ობიექტურად არსებობს და *დამნაშავე მოქმედებს კონკრეტული საფრთხის შექმნის განზრახვით;* მეორე მხრივ, დაზიანების თავიდან აცილების რწმენა გამორიცხავს ხელყოფის განზრახვას. რამდენადაც დამნაშავეს იმედი აქვს, რომ სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის მიზეზთა შემდგომ განვითარებაში ზეგავლენის მოხდენა შესაძლებელია, მას არ გააჩნია ხელყოფის განზრახვა, მიუხედავად კონკრეტული საფრთხის შექმნის განზ-

---

[757] იხ. *Küpper G.*, Zum Verhältnis von dolus eventualis, Gefährdungsvorsatz und bewußter Fahrlässigkeit, ZStW 1988, S. 768.

[758] იხ. *Horn E.,* Konkrete Gefährdungsdelikte, Köln, 1973, S. 199.

[759] იხ. *Horn E.,* იქვე, გვ. 204.

[760] იხ. *Küpper G.*, იქვე,გვ. 768.

[761] იხ. *Schaffstein F.,* Handlungsunwert, Erfolgsunwert und Rechtfertigung bei den Fahrlässigkeitsdelikten, Welzel-FS., 1974, S. 577; *Zieschang F.,* Die Gefährdungsdelikte, Berlin, 1998, S. 122-123.

[762] იხ. *Zieschang F.,* Die Gefährdungsdelikte, Berlin, 1998, S. 122-123.

რახვის არსებობისა.[763] წარმოდგენილი მსჯელობის მერე იბადება კითხვა: როგორ შეიძლება, რომ დამნაშავეს ჰქონდეს კონკრეტული საფრთხის თავიდან აცილების რწმენა, მაშინ, როცა მისი განზრახვა სამართლებრივი სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნას მოიცავს?

ფ. ციშანგის თვალსაზრისით, შესაძლებელია საფრთხის შექმნის და ხელყოფის განზრახვა ერთდროულად იყოს წარმოდგენილი, თუმცა აუცილებლობას არ წარმოადგენს საფრთხის და ხელყოფის განზრახვის თანადროული არსებობა.[764]

ენგიშმა გამოხატა თვალსაზრისი, რომ ხელყოფის არაპირდაპირი განზრახვა საფრთხის შექმნის განზრახვა არის, მაგრამ, პირიქით, საფრთხის შექმნის განზრახვა არ შეიძლება იყოს არაპირდაპირი განზრახვა.[765]

ავტორთა ერთი ნაწილი ერთმანეთთან აიგივებს საფრთხის შექმნის განზრახვას და ხელყოფის მიმართ თვითმედოვნებას.[766] მაგალითად, *რ. ჰიპელი* აღნიშნავს, რომ საფრთხის შექმნის განზრახვა, როგორც წესი, უკავშირდება იმის რწმენას, რომ ხელყოფის თავიდან აცილება მოსახერხებელია. ხელყოფის შესაძლებლობის განჭვრეტა არ გამორიცხავს იმის მოლოდინს, რომ საზიანო შედეგის თავიდან აცილება შესაძლებელია. მისი დებულება ეფუძნება ე. წ. თანხმობის თეორიას („Einwilligungstheorie"), რომლის წარმომადგენლები არიან *შტიუბელი, ექსნერი, ბინდინგი, მიტერმაიერი, მირუიჩკა, კოლრაუში, კრაუზი და ენგიში.* აღნიშნული თეორიის მიხედვით, საფრთხის შექმნის განზრახვა ხელყოფის მიმართ თვითმედოვნებას გულისხმობს.[767]

თანხმობის თეორიის წარმომადგენლების აზრით, საფრთხის შექმნის და ხელყოფის განზრახვის გაიგივება ეფუძნება ფიქციას, რომლის მიხედვითაც დამნაშავის ნება საშიში მდგომარეობის შექმნის გარდა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაზეც ვრცელდება.[768] *ი. ვებერი* აღნიშნავს, რომ რამდენადაც ობიექტურად საფრთხის შექმნა ხელყოფის გარეშე არსებობს, საფრთხის შექმნის ცოდნა და ნებელობაც ხელყოფის ცოდნის და ნებელობის გარეშე უნდა არსებობდეს.[769] საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს, რამდენადაც იგი თავად საფრთხის ბუნებასთან მოდის წინააღმდეგობაში. როცა ვსაუბრობთ საფრთხის შექმნის და ხელყოფის განზრახვის თანადროულ არსებობაზე, მხედველობაშია კონკრეტული საფრთხის შექმნის პირდაპირი და ხელყოფის არაპირდაპირი განზრახვა. კონკრეტული საფრთხის შექმნის პირდაპირ განზრახვას ხელყოფის არაპირდაპირი განზრახვა იმდენად შეესატყვისება, რამდენადაც კონკრეტული საფრთხე ხელყოფის შესაძლებლობას გულისხმობს. ის ვინც აცნობიერებს საკუთარი ქმედებით კონკრეტული საფრთხის შექმნას, შეუძლებელია დარწმუნებული იყოს შედეგის თავიდან აცილებაში, ვინაიდან, საფრთხე იმდენადაა კონკრე-

---

763 იხ. *Zieschang F.*, იქვე, გვ. 123-124.

764 იხ. *Zieschang F,* იქვე, გვ. 125.

765 *ენგიშის* შეხედულებაზე იხ. *Vogel J.*, L K, 12. Aufl., Erste Band, 2007, §15 Rn. 130.

766 იხ. *Brehm W.*, Zur Dogmatik des abstrakten Gefährdungsdelikts, Tübingen, 1973, S. 134-135.

767 იხ. *Hippel R.*, Vorsatzprobleme der Straßenverkehrsgefährdung de lege ferenda, ZStW 1963, S. 449.

768 იხ. *Küpper G.*, იქვე, გვ. 769.

769 იხ. წიგნში: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, Strafrecht, B T, Lehrbuch, 2. Aufl., Bielefeld, S. 943, §35 Rn. 102.

ტული, რამდენადაც ხელყოფა არაა შორეული. შეიძლება ითქვას, რომ კონკრეტული საფრთხიდან ხელყოფამდე ერთი ნაბიჯია. მაშასადამე, კონკრეტული საფრთხის განზრახვისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ იმის წარმოდგენა, რომ საზიანო შედეგის გამოწვევა შესაძლებელია, არამედ აუცილებელია დამნაშავეს გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ ხელყოფა არ არის შორეული და შედეგის დადგომა ახლოს მდებარეობს.

როდესაც საუბარია საფრთხის შექმნის განზრახვის და ხელყოფის მიმართ თვითმედოვნების იდენტურობაზე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ აქ მხოლოდ აბსტრაქტული საფრთხე შეიძლება გვქონდეს მხედველობაში. თვითმედოვნების დროს შეიძლება დამნაშავე მართლაც აცნობიერებდეს იმას, რომ მისი ქმედება საფრთხის შემცველია, მაგრამ ეს საფრთხე უნდა იყოს არა კონკრეტული, არამედ აბსტრაქტული. თუ დამნაშავე აცნობიერებს იმას, რომ მისი ქმედება არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულად ქმნის საფრთხეს, თვითმედოვნება გამოირიცხება. ამ მსჯელობიდან ის გამომდინარეობს, რომ თვითმედოვნების დროს მართლაც შეიძლება არსებობდეს საფრთხის განზრახვა. უფრო მეტიც, დამნაშავის ქმედება თვითმედოვნებით განხორციელებულად არ ჩაითვლება, თუ იგი არ აცნობიერებს ქმედების საშიშროებას, მაგრამ ის საფრთხე, რომელიც დამნაშავის წარმოდგენაში არსებობს, არის აბსტრაქტული და არა კონკრეტული. მაშასადამე, კონკრეტული საფრთხის შექმნის განზრახვა და ხელყოფის მიმართ თვითმედოვნება ერთმანეთთან შეუთავსებელი ცნებებია.

საფრთხის შექმნის განზრახვა ინტელექტუალური მხრივ, როგორც ზემოთ აღინიშნა, გულისხმობს სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნის შესაძლებლობის წარმოდგენას, რაც ამავდროულად ნიშნავს ხელყოფის განხორციელების შესაძლებლობის წარმოდგენასაც. დამნაშავის მიერ იმის წარმოდგენა, რომ ხელყოფა შესაძლებელია, საკმარის ინტელექტუალურ პირობას წარმოადგენს როგორც საფრთხის შექმნისთვის, ისე ევენტუალური განზრახვით ხელყოფისთვის.[770] რამდენადაც საფრთხის შექმნის განზრახვა ამავდროულად სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შესაძლებლობის წარმოდგენასაც შეიძლება გულისხმობდეს, შეუძლებელი გახდება დანაშაულის მცდელობისა და საფრთხის შემქმნელი დელიქტის გამიჯვნა თუ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობას შესაძლებლად ჩავთვლიდით. თუ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობას შესაძლებლად ჩავთვლიდით, მკვლელობის მცდელობისთვის უნდა დაგვესაჯა ის მძღოლი, რომელიც უსაფრთხოების წესების დარღვევით და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შესაძლებლობის წარმოდგენით მოძრაობს, რათა თავი დააღწიოს პოლიციელს, რომელიც მას დასაკავებლად მოსდევს. მაშინ, როცა მძღოლი ქალაქის ქუჩებში გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობს, როგორც წესი, იმასაც უნდა აცნობიერებდეს, რომ შეიძლება ვინმეს დაეჯახოს, მაგრამ, თუ მძღოლს მხოლოდ გათვალისწინებული აქვს, რომ მის მოქმედებას შეიძლება მავნე შედეგი, ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვეს და არ გააჩნია ასეთი შედეგის დადგომის სურვილი, მისი ქმედება შეფასდება არა როგორც მკვლელობის ან ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობა, არამედ, როგორც უსაფრთხოების წესების დარღვევა.

---

[770] იხ. *Horn E.*, იქვე,გვ. 204-205.

საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა“. სსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილში საუბარია მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევის შესაძლებლობის გათვალისწინებაზე. საზიანო შედეგის გამოწვევის შესაძლებლობის გაცნობიერება სხვა არაფერია, თუ არა საფრთხის შექმნის განზრახვის არსებობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აქ კანონმდებელს მხედველობაში აქვს შედეგის გამოწვევის აბსტრაქტული საფრთხე. თუ დამნაშავე მოქმედებს იმის შეგნებით, რომ მისი ქმედება ხელყოფის კონკრეტულ საფრთხეს ქმნის, ე. ი. შედეგის გამოწვევის შესაძლებლობას შეიცავს, იგი ხელყოფის მიმართ მოქმედებს არა თვითიმედოვნებით, არამედ ევენტუალური განზრახვით.

საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, დაუდევრობა გულისხმობს იმას, რომ პირს გაცნობიერებული არა აქვს, რომ ჩადის წინდახედულების ნორმით აკრძალულ ქმედებას და არ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც. ის, რომ დამნაშავე აცნობიერებს მისი ქმედების საშიშროებას, ეს უკვე გამორიცხავს ხელყოფის მიმართ დაუდევრობით დამოკიდებულებას. საფრთხის შემქმნელი დელიქტის განზრახ განხორციელებისას დამნაშავე აცნობიერებს მისი ქმედების საშიშროებას, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი აცნობიერებს წინდახედულების ნორმის დარღვევას.

ჰ. შროდერის განმარტებით, ევენტუალური განზრახვა გულისხმობს უფლების ხელყოფის შესაძლებლობის წარმოდგენით განხორციელებულ მოქმედებას. მისი თვალსაზრისით, ვარაუდის მთელი სფერო ეკუთვნის განზრახვას. მისი (განზრახვის) საზღვარი მდებარეობს იქ, სადაც ვარაუდი ქრება და იწყება იმის შეგნება, რომ არასასურველი შედეგის დადგომა შეუძლებელია.[771] შეუძლებელია არ დაეთანხმო *ჰ. შროდერის* ამ დებულებას. ევენტუალურ განზრახვასა და თვითიმედოვნებას შორის განსხვავება, ერთი მხრივ, მართლაც მოსალოდნელი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობის აღქმას უკავშირდება. დამნაშავე იმდენად მოქმედებს ევენტუალური განზრახვით, რამდენადაც მას მავნე შედეგის დადგომა შესაძლებლად მიაჩნია და არ არის დარწმუნებული მის თავიდან აცილებაში, ხოლო, მაშინ, როცა დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილების რწმენით მოქმედებს დამნაშავე, მისი მოქმედება ფასდება როგორც თვითიმედოვნებით ჩადენილი. შეიძლება ადამიანს ერთი მხრივ გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ მისი მოქმედებით ქმნის საფრთხეს, და ამავდროულად დარწმუნებულიც იყოს, რომ ხელყოფას თავიდან აიცილებს. მაგალითად, როდესაც გამოცდილი მძღოლი არღვევს მოძრაობის უსაფრთხოების წესებს და ითვალისწინებს ქმედების მართლწინააღმდეგობას და თან დარწმუნებულიც არის, რომ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას თავიდან აიცილებს.

ჰ. შროდერი და *გ. გრუნვალდი* ხელყოფის განზრახვას უშვებენ მაშინ, როდესაც დამნაშავე შედეგის დადგომის კონკრეტულ შესაძლებლობას

[771] იხ. *Schröder H.,* Aufbau und Grenzen des Vorsatzbegriffs, Sauer-FS, Berlin, 1949, S. 243.

ითვალისწინებს. კონკრეტული საფრთხის შეგნების ყველა შემთხვევა, დასახელებულ მეცნიერთა პოზიციით, ხელყოფის (ევენტუალურ) განზრახვას წარმოადგენს.[772] *ჰ. შროდერი,* რომელიც უარყოფს „შეგნებული გაუფრთხილებლობის“ არსებობას, განზრახვის ვოლუნტატურ ელემენტს არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს.[773] აღნიშნული კონცეფცია განზრახვის დეფინიციასთან დაკავშირებით უდავოდ შეიცავს ნაკლოვანებას, რაც განზრახვის დეფინიციისთვის ნებელობითი მომენტის მნიშვნელობის დაკნინებაში მდგომარეობს. ასეთი მიდგომით კი კიდევ უფრო გართულდება დანაშაულის მცდელობისა და საფრთხის დელიქტების ურთიერთგამიჯვნა, ვინაიდან სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის კონკრეტული საფრთხე არსებობს როგორც მცდელობის, ისე კონკრეტული საფრთხის დროსაც და დამნაშავე ამ საფრთხის არსებობას ითვალისწინებს, მაგრამ მთავარი განსხვავება სწორედ ნებელობით მომენტშია.

ე. ჰორნის თვალსაზრისით, თუ სწორია ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულება, რომლის თანახმადაც, საფრთხის შექმნის სურვილი ყოველთვის არ მოითხოვს ხელყოფის სურვილს, მაშინ ხელყოფის და საფრთხის განზრახვა უნდა იქნას ერთმანეთისგან გამიჯნული, ისევე როგორც ხელყოფის მიმართ არსებული „შეგნებული გაუფრთხილებლობა“ და ხელყოფის განზრახვა. საფრთხის შექმნის განზრახვის დროს ხელყოფა შესაძლებლად მიიჩნევა, რომლის განხორციელების სურვილი არ არსებობს (ნეგატიური ასპექტი), არამედ დამნაშავეს ეძლევა ხელყოფის თავიდან აცილების რეალური შანსი (პოზიტიური ასპექტი).[774]

ე. ჰორნის შეხედულებით, ვოლუნტატიურ კომპონენტს „ნდომა“ საკმარისად ვერ აღწერს. „ნდომა“ (“Wollen“) და „მიზანდასახულობა“ (“bezwecken“) არ არის იდენტური. მაშინაც, როცა დამნაშავეს მიზნად არ დაუსახავს ხელყოფა, მიუხედავად ამისა, შეიძლება უნდოდა იგი.[775] *ე. მეცგერის* მოსაზრებით, თუ დამნაშავე ხელყოფის შედეგს შესაძლებლად თვლის, მაშინ მას უნდა მისი დადგომა. როდესაც მოქმედი პირი ხელყოფის შედეგს სავარაუდოდ მიიჩნევს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მის განხორციელებას შესაძლებლად აღიარებას.[776] აღნიშნული დებულების მიხედვით, დამნაშავეს ევენტუალური განზრახვის დროსაც შეიძლება უნდოდეს დანაშაულებრივი შედეგის დადგომა, ვინაიდან ევენტუალური განზრახვის დროსაც დამნაშავე მიზნად არ ისახავს დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევას, მაგრამ არსებობს მავნე შედეგის გამოწვევის შესაძლებლობის აღქმა.

მეტად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, არის თუ არა „ნდომა“ და „სურვილი“ იდენტური? როგორც ცნობილია, პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვას ერთმანეთისგან ხელყოფის შედეგის გამოწვევის სურვილის არსებობა-არარსებობით ვმიჯნავთ. სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, „ნდომა“ და „სურვილი“ არ არის ერთიდაიგივე შინაარსის გამომხატველი ტერმინები. შეიძლება დამნაშავეს

---

[772] იხ. *Schröder H.,* იქვე,239; *Grünwald G.,* Der Vorsatz des Unterlassungsdelikts, Mayer-FS, Berlin, 1966, S. 288.

[773] იხ. *Schröder H.,* იქვე,გვ. 245.

[774] იხ. *Horn E.,* Konkrete Gefährdungsdelikte, Köln, 1973, S. 206.

[775] იხ. *Horn E.,* იქვე,გვ. 207.

[776] იხ. *Mezger E.,* Strafrecht, Ein Lehrbuch, 2. Aufl., München, 1933, S. 346.

არ სურდეს ხელყოფის შედეგის გამოწვევა, მაგრამ უნდოდეს იგი.[777] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ *ო. გამყრელიძე* ხელყოფის შედეგის გამოწვევის სურვილის არარსებობის მიუხედავად, შედეგის განხორციელების ნდომას შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს, როცა სურვილი პირდაპირ არ არის გამოხატული, მაგრამ დამნაშავე შედეგის განხორციელების გარდაუვალობას ითვალისწინებს. მაგალითად, თვითმფრინავს ააფეთქებს დამნაშავე იმ დროს, როცა თვითმფრინავი რამდენიმე კილომეტრით არის დაცილებული დედამიწას. მოქმედს არა აქვს სხვა მგზავრების და ეკიპაჟის წევრების მოკვლის სურვილი, თუმცა წარმოდგენილი აქვს მათი დაღუპვის გარდაუვალობა. ამ შემთხვევაში ამფეთქებელი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით ყველას მიმართ. *ო. გამყრელიძის* თვალსაზრისით, ეს შემთხვევა განსხვავდება არაპირდაპირი განზრახვისგან. არაპირდაპირი განზრახვის დროსაც დამნაშავეს არ სურს შედეგის დადგომა, მაგრამ იგი ითვალისწინებს იმას, რომ შედეგი შეიძლება არ განხორციელდეს. ხოლო პირდაპირი განზრახვის დროს, პირიქით, დამნაშავე შედეგის განუხორციელებლობას გამორიცხავს და დარწმუნებულია იმაში, რომ იგი აუცილებლად დადგება.[778]

"სურვილისა" და „ნდომის" ურთიერთმიმართებაზე არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, დამნაშავეს ხელყოფის შედეგის განხორციელების „ნდომა" გააჩნია ევენტუალური განზრახვის დროსაც,[779] მაშინ, როცა დამნაშავე ითვალისწინებს დანაშაულებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არ სურს ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას. *მ. ტურავა* ერთმანეთისგან მიჯნავს „სურვილს" ფსიქოლოგიური და ნორმატიული გაგებით. მისი თვალსაზრისით, ევენტუალური განზრახვის დროს დამნაშავე მოქმედებდეს „ნორმატიული სურვილით".[780] სურვილის ნორმატივიზაცია მეტად საკამათო და ხელოვნურია. სურვილის ნორმატიულობაზე საუბრისას, ძალაუნებურად ჩნდება კითხვა: რა აუცილებლობითაა განპირობებული, რომ სურვილი გავიგოთ ნორმატიულად და სურვილის არსებობა დავადასტუროთ მაშინ, როცა სურვილი მისი ბუნებრივი სახით, ფსიქოლოგიურად არ არსებობს? დასმულ კითხვაზე მხოლოდ ერთადერთი პასუხი შეიძლება არსებობდეს. სურვილის ნორმატივიზაცია ამყარებს იმ ავტორთა არგუმენტებს, რომლებიც არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის იდეას უჭერენ მხარს, ვინაიდან, მათი თვალსაზრისით, არაპირდაპირი განზრახვის დროს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის სურვილი ფსიქოლოგიური გაგებით არ არსებობს, მაგრამ არსებობს ნორმატიულად.

კითხვაზე, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება, მაშინ, როცა

---

[777] იხ. *გამყრელიძე ო.,* სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 188; *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 272; *მაღლაკელიძე ლ.,* განზრახვის ცნების ზოგიერთი პრობლემისათვის თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში, კრებულში: *ტურავა მ.* (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბ., 2013, გვ. 318-319.

[778] იხ. *გამყრელიძე ო.,* სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 188.

[779] იხ. *მაღლაკელიძე ლ.,* განზრახვის ცნების ზოგიერთი პრობლემისათვის თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში, კრებულში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბ., 2013, გვ. 318.

[780] იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 274.

დამნაშავე აცნობიერებს საშიში სიტუაციის არსებობას, მაგრამ იმედოვნებს, რომ თავიდან აიცილებს ხელყოფას და შეიძლება კი ასეთ ვითარებაში ვადიაროთ დამნაშავის მხრიდან კონკრეტული საფრთხის გამოწვევის სურვილის არსებობა, *ე. ჰორნი* შემდეგნაირად პასუხობს: „ხელყოფის საფრთხეზე მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, როცა დამნაშავეს ხელყოფის აცილება ობიექტურად შეეძლო, თუმცა სუბიექტურად თავიდან აცილება არ სურდა, ან მიუხედავად თავიდან აცილების სურვილისა, ხელყოფის თავიდან აცილება ობიექტურად შეუძლებლად მიიჩნევა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია უკანასკნელი შემთხვევა. აღნიშნულ შემთხვევაში შესაძლებელია ხელყოფის განხორციელება და საფრთხე ობიექტურად არსებობს. დამნაშავე ცდილობს თუ არა მის (ხელყოფის) თავიდან აცილებას, უმნიშვნელოა: ხელყოფა არსებობს მისი ნებისგან დამოუკიდებლად“.[781] აღნიშნული დებულება მართებულია, რამდენადაც საფრთხე ობიექტური კატეგორიაა და იგი არსებობს იმისგან დამოუკიდებლად, სურს თუ არა დამნაშავეს მისი თავიდან აცილება.

ე. ჰორნის თვალსაზრისით, განზრახვა გულისხმობს ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნების საეროო (საზოგადო) აღწერილობის ცოდნას, რაც იმას ნიშნავს, რომ დამნაშავეს მხოლოდ მაშინ გააჩნია საფრთხის შექმნის ნამდვილი განზრახვა (richtige Gefährdungsvorsatz), როდესაც ის საფრთხისგან ხელყოფის დადგომაზე ფიქრობს, თუმცა არ გააჩნია ამის სურვილი და ითვალისწინებს იმას, რომ ხელყოფის განხორციელება შესაძლებელია.[782]

ე. ფოგელი აღნიშნავს, რომ გერმანული სსკ-ის თანახმად ხელყოფის ევენტუალური განზრახვა და კონკრეტული საფრთხის შექმნის განზრახვა უნდა გაიმიჯნოს. იგი მიუთითებს გერმანული სსკ-ის 221-ე პარაგრაფის არსებობაზე, რომლითაც ისჯება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება. იგი მიუთითებს, რომ თუ ხელყოფის ევენტუალური განზრახვა და კონკრეტული საფრთხის შექმნის განზრახვა ერთი და იგივე იქნებოდა, სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება მკვლელობის ან ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობად უნდა დაგვეკვალიფიცირებინა.[783] *ფოგელის* თვალსაზრისით, ხელყოფის და საფრთხის შექმნის განზრახვას შორის სხვაობა ნაწილობრივ კოგნიტურ ელემენტს ეფუძნება: საფრთხე გულისხმობს შედეგის გამოწვევის ალბათობას ან სიახლოვეს, რაც მეტია, ვიდრე მხოლოდ შესაძლებლად მიჩნევა ევენტუალური განზრახვის დროს.[784] გაბატონებული მოსაზრებით, ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია ვოლუნტატური ელემენტის გათვალისწინება.

---

[781] იხ. *Horn E.,* იქვე,გვ. 208.

[782] იხ. *Horn E.,* იქვე,გვ. 208. აღნიშნულ შემთხვევაში,ე. ი. როდესაც დამნაშავეს არ სურს შედეგის დადგომა,თუმცა დარწმუნებულია შედეგის დადგომის გარდუვალობაში,დამნაშავეს გააჩნია მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა.

[783] იხ. *Vogel J.*, LK, 12. Aufl., Erste Band, 2007, §15 Rn. 129.

[784] იხ. *Vogel J.*, იქვე.

5. შეჯამება

კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებსა და დანაშაულის მცდელობას შორის ობიექტური თვალსაზრისით ეროგვარი თანაფარდობა არსებობს. როგორც კონკრეტული საფრთხის დელიქტების, ისე დანაშაულის მცდელობის დასჯადობის მნიშვნელოვანი საფუძველი სამართლით დაცული სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნაა. თუმცა, კონკრეტული საფრთხის დელიქტებისა და დანაშაულის მცდელობის ობიექტურ შემადგენლობას შორის სრული იგივეობა მაინც არ არსებობს. თუ კონკრეტული საფრთხის დელიქტებში ქმედებასა და კონკრეტულ საფრთხეს შორის მიზეზობრივი კავშირი დგინდება, დანაშაულის მცდელობის დროს მიზეზობრივი კავშირის დადგენა არ ხდება, ვინაიდან დანაშაულის მცდელობა არ არის დანაშაულის დასრულებული ფორმა, ხოლო კონკრეტული საფრთხე შესაბამისი ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი. მაშინ, როცა კონკრეტული საფრთხის დელიქტებში კონკრეტული საფრთხე დანაშაულებრივი შედეგის სახეს ატარებს. რაც შეეხება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების და დანაშაულის მცდელობის ურთიერთმიმართებას, აქ ობიექტური თვალსაზრისით რაიმე მსგავსებაზე საუბარი პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში, გამონაკლისის გარდა, სამართლებრივ სიკეთეს აბსტრაქტული საფრთხე ექმნება, რაც დანაშაულის მცდელობის დასჯადობისთვის საკმარისი პირობა არ არის. თუ დანაშაულის მცდელობისა და კონკრეტული საფრთხის დელიქტების განხორციელებისას დაცული სამართლებრივი სიკეთე ქმედებით გამოწვეული საშიშროების ზონაში ექცევა, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ასეთი რამ, ზოგადი წესისამებრ, გამორიცხულია.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში იმდენად საკამათო არ არის საფრთხის დელიქტების და დანაშაულის მცდელობის ურთიერთმიმართების საკითხი ობიექტური მხრივ, რამდენადაც მათი სუბიექტური მიმართება. აღნიშნულ საკითხზე არა მხოლოდ ქართულ, არამედ უცხოურ სისხლის სამართალშიცაა გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებები. საკითხისადმი არაერთგვაროვანი მიდგომა ასახულია ასევე სასამართლო პრაქტიკაშიც. უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის მართებულ გადაწყვეტად უნდა ჩაითვალოს ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობაზე უარის თქმა და მაშინ, როცა დამნაშავეს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის სურვილი არ გააჩნია და შედეგის დადგომას მხოლოდ შესაძლებლად მიიჩნევს, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს იმ მუხლით, რომელიც საფრთხის შემქმნელი დელიქტის დასჯადობას ითვალისწინებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მკვლელობის მცდელობისთვის უნდა დავსაჯოთ მძღოლი, როცა იგი მოძრაობის უსაფრთხოების წესებს შეგნებულად არღვევს და ქმნის ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის კონკრეტულ საფრთხეს. საკითხისადმი ასეთი მიდგომით აზრს დაკარგავდა საფრთხის შემქმნელ შემადგენლობათა არსებობა. გარდა ამისა, არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ ის მოსაზრება, რომ სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტის განზრახ განხორციელებისას, დამნაშავეს სიცოცხლის მოსპობის მიმართ დამოკიდებულება თვითიმედოვნებით გააჩნია. საკითხის ასე დაყენება ეწინააღმდეგება როგორც კონკრეტული საფრთხის ბუნე-

ბას, ისე თვითიმედოვნების შინაარსს. თვითიმედოვნების დროს მოქმედი პირი დარწმუნებულია, რომ საზიანო შედეგი არ დადგება, მაგრამ ასეთი რამ შეუძლებელია კონკრეტული საფრთხის შემცველი ქმედების და ზოგიერთი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განზრახ განხორციელებისას. უფრო მეტიც, თვითიმედოვნების დროს დამნაშავე უნდა გამორიცხავდეს კონკრეტული საფრთხის არსებობას და ის საფრთხე, რომელიც დამნაშავის წარმოდგენით არსებობს, არა კონკრეტული, არამედ აბსტრაქტული უნდა იყოს. თუ დამნაშავე კონკრეტული საფრთხის არსებობის შეგნებით მოქმედებს, ქმედება არა თვითიმედოვნებით, არამედ ევენტუალური განზრახვითაა განხორციელებული. შეუძლებელია დამნაშავე კონკრეტული საფრთხის შემქმნელ ქმედებას შეგნებულად ახორციელებდეს და სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებით თვითიმედოვნებით მოქმედებდეს, მაშასადამე, დარწმუნებული იყოს შედეგის თავიდან აცილებაში. ასეთი რწმენით მოქმედება კონკრეტული საფრთხის არსებობის შეგნებით მოქმედებას გამორიცხავს. იგი მაშინაა შესაძლებელი, როცა დამნაშავის წარმოდგენით აბსტრაქტული საფრთხე არსებობს. სიცოცხლისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნის შეგნებით მოქმედება და სიცოცხლის მოსპობისადმი თვითიმედოვნების ფორმით დამოკიდებულების არსებობა იმდენადაა ურთიერთგამომრიცხავი, რამდენადაც ერთდროულად, ერთიდაიგივე ქმედებით, ერთიდაიმავე სიკეთისთვის როგორც აბსტრაქტული, ისე კონკრეტული საფრთხის შექმნის შეგნებით მოქმედება. ქმედება ან კონკრეტულ საფრთხეს ქმნის ან კიდევ აბსტრაქტულს. არ შეიძლება ერთიდაიგივე ქმედება ერთსადაიმავე პირობებში, ერთსადაიმავე დროს აბსტრაქტულ საფრთხესაც ქმნიდეს და კონკრეტულსაც.

VII. თავი

მცდელობა შედეგით კვალიფიცირებულ საფრთხის დელიქტებში

1. შედეგით კვალიფიცირებული საფრთხის შემქმნელი დელიქტების ზოგადი მიმოხილვა

თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებაში ერთ-ერთ საკამათო პრობლემას წარმოადგენს მცდელობა შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში. დანაშაულის მცდელობა განზრახი მოქმედებაა, კერძოდ, მცდელობა გულისხმობს ისეთ მოქმედებას, რომელიც უშუალოდაა მიმართული დანაშაულებრივი შედეგისკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე შეუძლებელია გაუფრთხილებლობითი დანაშაულის მცდელობა, ვინაიდან გაუფრთხილებლობის დროს არ შეიძლება ქმედება შედეგისკენ უშუალოდ იყოს მიმართული. უფრო მეტიც, სიტყვები „უშუალოდ მიმართული“ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს და გამორიცხავს ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას. შეუძლებელია ქმედება უშუალოდ მიმართული იყოს იმ შედეგისკენ, რომლის დადგომაც დამნაშავეს არ სურს. სიტყვები „უშუალოდ მიმართული“ გამოხატავენ დამნაშავის მოქმედების შინაგან მხარეს, მის მისწრაფებას დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევისკენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დანაშაულის მცდელობა მიზნით დეტერმინებული მოქმედებაა. სწორედ დამნაშავის მიზანი გვეხმარება დამთავრებული დანაშაულის (მაგ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნა) გამიჯვნაში დანაშაულის (მაგ. განზრახ მკვლელობის) მცდელობისაგან.

თუკი დანაშაულის მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ხორციელდება, რამდენად შესაძლებელია თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულის მცდელობა? (ნამდვილი) თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული დანაშაული განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციას წარმოადგენს. კერძოდ, ძირითადი შემადგენლობა განზრახაა განხორციელებული, ხოლო მაკვალიფიცირებელი შედეგი არ არის განზრახვით მოცული.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში, გარდა საფრთხის შემქმნელი დელიქტების ძირითადი შემადგენლობისა, შეიძლება გამოიყოს შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობანიც. შედეგით კვალიფიცირებულია საფრთხის დელიქტების ის შემადგენლობა, რომელშიც შედეგი გვევლინება არა როგორც ძირითადი შემადგენლობის, არამედ, როგორც კვალიფიციური შემადგენლობის ნიშანი.

შედეგით კვალიფიცირებული დელიქტების სამ ჯგუფს განასხვავებენ: პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ის დელიქტები, რომლის ძირითადი შემადგენლობა და მაკვალიფიცირებელი შედეგიც გაუფრთხილებლობითაა განხორციელებული (საქართველოს სსკ-ის 242-ე მუხ. მე-2 ნაწილი), მეორეს ის დელიქტები, რომლის ძირითადი შემადგენლობაც და მაკვალიფიცირებელი შედეგიც განზრახაა განხორციელებული (სსკ-ის 131-ე მუხ. მე-4 ნაწილი), ხოლო მესამეს მიეკუთვნება ის დელიქტები, რომლის ძირითადი შემადგენლობა განზრახ, ხოლო მაკვალიფიცირებელი შედე-

გი გაუფრთხილებლობითაა განხორციელებული (სსკ-ის 130-ე მუხ. მე-2 ნაწილი, სსკ-ის 133-ე მუხ. მე-3 ნაწილი).[785]

სისხლის სამართლის ლიტერატურაში ერთმანეთისგან განასხვავებენ შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებს ფორმალური და მატერიალური გაგებით. ფორმალური გაგებით შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებს მიეკუთვნება ის ^დელიქტებიც, რომელთა ძირითადი შემადგენლობაც განზრახია და მაკვალიფიცირებელი შედეგიც განზრახვითაა მოცული ან როგორც ქმედების, ისე შედეგისადმი არსებობს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება, ხოლო შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მატერიალური გაგებით იგულისხმება განზრახი ძირითადი დელიქტისა და გაუფრთხილებლობით გამოწვეული მაკვალიფიცირებელი შედეგის კომბინაცია.[786]

შედეგით კვალიფიცირებულ არანამდვილ საფრთხის დელიქტთა შემადგენლობას მიეკუთვნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 131-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა, ხოლო შედეგით კვალიფიცირებულ ნამდვილ საფრთხის დელიქტთა შემადგენლობას წარმოადგენს 130-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 133-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობანი.

რ. ლანგე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტს მიიჩნევს საფრთხის შექმნისთვის პასუხისმგებლობის გამოხატულებად. იგი აღნიშნავს, რომ შედეგით კვალიფიცირებული დელიქტების დროს მკაცრი სასჯელი გამართლებულია, ვინაიდან, მძიმე შედეგი აჩვენებს, რომ წინარე მოქმედებამ სხვა ინტერესების ხელყოფის საფრთხეც შექმნა.[787]

შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის დროს ძირითადი შემადგენლობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ხელყოფის დელიქტი, საფრთხის შემქმნელ დელიქტად შეიძლება შეფასდეს შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობათან მიმართებით, ოღონდ მაშინ, როცა მაკვალიფიცირებელი შედეგი გულისხმობს სხვა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას და არა იმ სიკეთის, რომლის დაცვის მიზანსაც ემსახურება ძირითადი შემადგენლობა. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით დასჯადია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილით იგივე ქმედება, თუ მას გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ხელყოფის დელიქტია და ჯანმრთელობის დაზიანებას გულისხმობს, იგივე ქმედება საფრთხის შემქმნელი დელიქტიცაა, მაგრამ არა ჯანმრთელობისთვის, არამედ სიცოცხლისთვის. არასწორი იქნებოდა ძირითადი შემადგენლობა ყველა შემთხვევაში გვეღიარებინა საფრთხის დელიქტად კვალიფიციური შემადგენლობის მიმართ. მაგალითად, თუ ძირითადი შემადგენლობით დასჯადი იქნებოდა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ხოლო კვალიფიციური შემადგენლობით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

საინტერესოა შედეგით კვალიფიცირებულ საფრთხის დელიქტთა განხილვა და მათი გამიჯვნა სხვა მონათესავე დელიქტებისგან. მაგალითად, რა განსხვავებაა გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპო-

---

[785] იხ. *Gössel K.,* Dogmatische Überlegungen zur Teilnahme am erfolgsqualifizierten Delikt nach § 18 StGB, Lange-FS, Berlin, 1976, S. 222-223, 238-239.

[786] იხ. *Hirsch H.*, Zur Problematik des erfolgsqualifizierten Delikts, GA 1972, S. 65.

[787] იხ. *Lange R.,* Der gemeingefaehrliche Rausch, ZStW Bd. 59, S. 574, 583.

ბასა და საფრთხის შექმნით გამოწვეულ სიცოცხლის მოსპობას შორის. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, არის თუ არა შესაძლებელი მცდელობა შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში ზოგადად და მათ შორის შედეგით კვალიფიცირებულ საფრთხის შემქმნელ დელიქტებში.

სანამ პასუხი გაეცემოდეს კითხვას, თუ სად გადის ზღვარი გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობასა და საფრთხის შექმნით გამოწვეულ სიცოცხლის მოსპობას შორის, დასმული პრობლემის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიშველიოთ შემდეგი მაგალითი: „ა“-ს სურს „ბ“-ს შეშინება. მანქანიდან „ა“ გახსნის ცეცხლს „ბ“-ს შეშინების მიზნით და ტყვია მოხვდება „ბ“-ს. „ბ“-ს არა თუ შეექმნება საფრთხე, არამედ გარდაიცვლება კიდეც მიყენებული ჭრილობის შედეგად.[788] „ა“ აცნობიერებდა საკუთარი ქმედებით „ბ“-სთვის საფრთხის შექმნას, მაგრამ არ სურდა „ბ“-ს სიცოცხლის მოსპობა. როგორ უნდა დავაკვალიფიციროთ ქმედება?

საინტერესოა მოყვანილი კაზუსის განხილვა გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, ვინაიდან გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი დასჯადად აცხადებს საფრთხის შექმნას, რამაც მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. ხოლო ამავე კოდექსის 222-ე პარაგრაფით ისჯება გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა.

გერმანელი მეცნიერი *რ. რენგირი* აღნიშნავს, რომ თუ „ბ“ არ გადარჩებოდა, ვეღარ მივიღებდით საფრთხის შექმნის ძირითად შემადგენლობას (გერმანული სსკ-ის 221-ე პარაგრაფი, პირველი ნაწილი). მისი მოსაზრებით, იმისათვის, რომ მივიღოთ შედეგით კვალიფიცირებული საფრთხის დელიქტის შემადგენლობა, აუცილებელია, რომ შედეგი (სიცოცხლის მოსპობა) გამომდინარეობდეს საფრთხის შემქმნელი ძირითადი შემადგენლობის განხორციელებიდან.[789] *რენგირის* მსჯელობა იმაზე მიუთითებს, რომ იგი ითვალისწინებს დროის ინტერვალს,[790] რაც იმას ნიშნავს, რომ შედეგით კვალიფიცირებული საფრთხის შემქმნელი დელიქტი დასახელებული მეცნიერის თვალსაზრისით, შეიძლება მივიღოთ იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდება ჯერ საფრთხის შემქმნელი მოქმედება და მას შემდგომ მოჰყვება კონკრეტული შედეგი სიცოცხლის მოსპობის თუ ჯანმრთელობის დაზიანების სახით. თუკი განხორციელებულ მოქმედებას იმთავითვე მოჰყვება მავნე შედეგი, ბუნებრივია საქმე არ გვექნება არც საფრთხის შემქმნელ ძირითად და არც კვალიფიცირებულ შემადგენლობასთან, რამეთუ, იქ, სადაც საუბარია შედეგზე სიცოცხლის მოსპობის ან კიდევ ჯანმრთელობის დაზიანების სახით, შეუძლებელია გვქონდეს საფრთხის შემქმნელი დელიქტის ძირითადი შემადგენლობა, რამდენადაც, ასეთი შედეგი საფრთხის შემქმნელი ძირითადი დელიქტის შემადგენლობის მიღმა დგას. ხოლო, რაც შეეხება შედეგით კვალიფიცი-

---

[788] ანალოგიური მაგალითი იხ. *Rengier R*, Erfolgsqualifizierte Delikte und verwandte Erscheinungsformen, Tübingen, 1986, S. 240.

[789] იხ. *Rengier R*, Erfolgsqualifizierte Delikte und verwandte Erscheinungsformen, Tübingen, 1986, S. 240.

[790] დროის ინტერვალის მნიშვნელობას ქმედების საფრთხის შემქმნელ დელიქტად კვალიფიკაციისთვის ხაზს უსვამს აგრეთვე *მ. ტურავა*, თუმცა არა შედეგით კვალიფიცირებული, არამედ საფრთხის ძირითადი შემადგენლობისა და დანაშაულის მცდელობის ურთიერთმიმართების გასარკვევად. იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 140-141.

რებულ საფრთხის დელიქტს, მართალია, შედეგი ამ შემადგენლობის ნიშანია, მაგრამ იგი უნდა მოჰყვეს არა იმთავითვე ქმედების განხორციელებას, არამედ გარკვეული დროის ინტერვალით საფრთხის შემქმნელი ძირითადი დელიქტის შესრულებას. ე. ი. შედეგის დადგომას წინ უნდა უსწრებდეს საფრთხის შექმნა. ანალოგიური პოზიცია გამომდინარეობს *რ. რენგირის* შემდგომი მსჯელობიდანაც, როდესაც იგი ხაზს უსვამს ტერმინოლოგიურ საკითხს და აღნიშნავს, რომ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილში საუბარია „საფრთხეში მყოფი პირის“ ხელყოფაზე.[791]

როდესაც ვსაუბრობთ შედეგით კვალიფიცირებულ საფრთხის დელიქტის შემადგენლობაზე, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას ერთ გარემოებას. კერძოდ, იმას, რომ კონკრეტული საფრთხის დელიქტებში გაუმართლებელია გაუფრთხილებლობითი მძიმე შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის შექმნა, თუ ძირითადი შემადგენლობა განზრახია. როცა კონკრეტული საფრთხის დელიქტს დამნაშავე განზრახ ახორციელებს, შეუძლებელია იგი დარწმუნებული იყოს, რომ ქმედებას მავნე შედეგი არ მოჰყვება და ყველაფერი კარგად წარიმართება. მაშასადამე, თუ კონკრეტული საფრთხის შემქმნელ ქმედებას სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, დამდგარი შედეგისადმი (სიცოცხლის მოსპობა) დამოკიდებულება სულ მცირე ირიბი განზრახვით შეიძლება იყოს, ხოლო გაუფრთხილებლობა გამორიცხულია. და თუ დამნაშავე დარწმუნებულია ქმედებით სასიკვდილო შედეგის თავიდან აცილებაში, გამოდის, რომ დამნაშავე არა კონკრეტული, არამედ აბსტრაქტული საფრთხის განზრახვით მოქმედებდა. განა შემთხვევითია ის, რომ საქართველოს სსკ-ის 127-ე მუხლი (სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება) შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობას არ შეიცავს. თუ 127-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას ადამიანის სიკვდილი მოჰყვა, ქმედება ყოველთვის 108-ე ან 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) უნდა დაკვალიფიცირდეს, ხოლო 116-ე მუხლით (გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა) ქმედების კვალიფიკაცია უნდა გამოირიცხოს. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ გამართლებული არ არის გერმანული სსკ-ის 221-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილში მძიმე გაუფრთხილებლობითი შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის არსებობა. კონკრეტული საფრთხის დელიქტებში მძიმე გაუფრთხილებლობითი შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის არსებობა მაშინ შეიძლება გამართლდეს, როცა ძირითადი შემადგენლობაც გაუფრთხილებლობას გულისხმობს.

საქართველოს სსკ-ის 130-ე მუხლის მე-2 ნაწილი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ავადმყოფის განსაცდელში მიტოვებისთვის, რასაც სასიკვდილო შედეგი მოჰყვება, ხოლო 116-ე მუხლით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისთვის. ორივე შემადგენლობა სიცოცხლის მოსპობის მიმართ გაუფრთხილებლობას გულისხმობს, მაგრამ განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ 130-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა წინმსწრები მოქმედების სახით ავადმყოფის განსაცდელში მი-

[791] იხ. *Rengier R.*, Erfolgsqualifizierte Delikte und verwandte Erscheinungsformen, Tübingen, 1986, S. 241.

ტოვებას გულისხმობს. რაც შეეხება 116-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობას, ამ შემთხვევაში სიცოცხლის მოსპობა სხვადასხვა მოქმედებით შეიძლება იქნეს გამოწვეული. 130-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ადამიანის სიცოცხლის მოსპობას წინ დაზარალებულის განსაცდელში მიტოვება უნდა უსწრებდეს. 130-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობაში სიცოცხლის მოსპობა განსაცდელში მიტოვების მაკვალიფიცირებელი გარემოებაა. 116-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობაში კი დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ძირითადი შემადგენლობის დამაფუძნებელი გარემოებაა და შედეგის გამომწვევი ქმედება გაუფრთხილებლობითაა განხორციელებული. 130-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში კი ქმედება (განსაცდელში მიტოვება) განზრახაა განხორციელებული და გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება მხოლოდ შედეგის-ადამიანის სიცოცხლის მოსპობის მიმართ არსებობს.

მას შემდეგ, რაც კონკრეტული საფრთხის დელიქტებში გაუფრთხილებლობითი შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის (როცა ძირითადი შემადგენლობა განზრახვას გულისხმობს) არსებობა გაუმართლებლად მივიჩნიეთ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რამდენად მიზანშეწონილია ასეთი შემადგენლობის არსებობა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში? უნდა ითქვას, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში გაუფრთხილებლობითი შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის არსებობა, აბსტრაქტული საფრთხის და გაუფრთხილებლობის ბუნებიდან გამომდინარე, პრობლემას არ ქმნის, მაგრამ აქ ერთი საკითხი შეიძლება იყოს საკამათო. ეს არის კონკრეტული საფრთხის არსებობა. განსაცდელში მიტოვება და ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია, მაგრამ კონკრეტული საფრთხეც არსებობს, რაც მსხვერპლის განსაცდელში ყოფნაში გამოიხატება.

ყველა ძირითად შემადგენლობაში დამნაშავეს განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება გააჩნია შედეგის მიმართ. ძირითად შემადგენლობებში შეუძლებელია, რომ დამნაშავე განზრახ მოქმედებდეს და შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება გააჩნდეს. განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ასეთი კომბინაცია მხოლოდ თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობებშია შესაძლებელი,[792] ვინაიდან ცალკე აღებული ქმედება მაკვალიფიცირებელი შედეგის გარეშეც დასჯადია და ძირითად შემადგენლობას წარმოადგენს.

საქართველოს სსკ-ის 133-ე მუხლის მე-3 ნაწილით ისჯება უკანონო აბორტი, რასაც სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, რომელიც მძიმე (თანამდევი) შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში შედეგის მიმართ არსებობს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება, ხოლო ქმედება – უკანონო აბორტი – განზრახია და იგი დასჯადია 133-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მაშინაც, როცა ქმედებას, გარდა ორსული ქალის მუცლის მოშლისა, არავითარი სხვა შედეგი ორსული ქალის მიმართ არ მოჰყვება. იგივე შეიძლება ითქვას სსკ-ის 130-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობაზეც.

---

[792] იხ. *უგრეხელიძე მ.*, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 42; *გამყრელიძე ო.*, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., 1989, გვ. 106-107; *ბაბილაშვილი ჯ.*, სატრანსპორტო დანაშაულის პრობლემები და სასამართლო პრაქტიკა, თბ., 2004, გვ. 151-152.

თ. წერეთლის მართებული პოზიციით, შედეგიან ანუ ე. წ. მატერიალურ დანაშაულებში არ შეიძლება ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ცალკე დადგენა ქმედების მიმართ და ცალკე შედეგის მიმართ.[793] წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი გახდებოდა განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გამიჯვნა. ქმედება განზრახაა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით, შედეგიან დელიქტებში, სწორედ ძირითადი შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგისადმი დამოკიდებულებით განისაზღვრება.

საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლის თანახმად, ქმედება განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო *შედეგის* დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს *შედეგი,* ანდა ითვალისწინებდა ასეთი *შედეგის* განხორციელების გარდაუვალობას (პირდაპირი განზრახვა) ან კიდევ არ სურდა ეს *შედეგი,* მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას (არაპირდაპირი განზრახვა). როგორც აღნიშნული დეფინიციიდან ირკვევა, იმის დასადგენად, დანაშაული არის თუ არა განზრახ ჩადენილი, სათვალავში იღებენ მოქმედი პირის შედეგისადმი დამოკიდებულებას.

მ. ტურავა განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციას შესაძლებლად თვლის ძირითად შემადგენლობებშიც.[794] იგი განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციას ორ სახედ ჰყოფს: „ქმედების შემადგენლობის დამაფუძნებელი და ქმედების შემადგენლობის დამამძიმებელი განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაცია“.[795] იგი აღნიშნავს, რომ ქმედების შემადგენლობის დამაფუძნებელია განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაცია, როცა ქმედება ცალკე აღებული დასჯადი არ არის. ხოლო მაშინ, როცა ქმედება, ცალკე აღებული, დასჯადია, განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაცია ქმედების შემადგენლობას ამძიმებს.[796]

მ. ტურავას თვალსაზრისი განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციაზე შეიძლება საკამათოდ ჩაითვალოს. გაუფრთხილებლობით ძირითად შემადგენლობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შეგნებული და არა განზრახი ქმედება. განზრახი ქმედება შედეგიან დელიქტებში გულისხმობს არა მხოლოდ შეგნებულ ქმედებას, არამედ შედეგისაკენ ქმედების შეგნებულ წარმართვასაც. ერთმანეთთან არ უნდა გავაიგივოთ შეგნებული და განზრახი ქმედება. განზრახი ქმედება ყოველთვის გულისხმობს შეგნებულ ქმედებას, მაგრამ შეგნებული ქმედება არ უდრის განზრახ ქმედებას.[797]

საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით ისჯება ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა იმის მიერ ვინც სატრანსპორტო საშუალებას მართავს, თუ მან ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია. აღნიშნული დანაშაული გაუფრთხილებლობით დანაშაულს წარმოადგენს, ვინაიდან შედეგის მიმართ დამნაშავეს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება

---

[793] იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები,II ტომი,თბ.,2007,გვ. 44.

[794] იხ. *ტურავა მ.*,სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი,დანაშაულის მოძღვრება,თბ., 2011,გვ. 603.

[795] იხ. *ტურავა მ.*,იქვე,გვ. 602.

[796] იხ. *ტურავა მ.*,იქვე,გვ. 603.

[797] იხ. *ნაჭყებია გ.,* დანაშაული ბრალის ორი ფორმით,,,სამართლის ჟურნალი“,2009,№1, გვ. 29.

უნდა გააჩნდეს ქმედება სსკ-ის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით რომ დაკვალიფიცირდეს. სატრანსპორტო დანაშაული, ზოგადადაც, თავისი ბუნებით, გაუფრთხილებლობითი დელიქტია.[798] მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული გაუფრთხილებლობითაა ჩადენილი, იგი მოიცავს შეგნებულ ქმედებასაც. კერძოდ, ავტომანქანის მართვა შეგნებული ქმედებაა, მაგრამ რამდენადაც, ეს შეგნებული ქმედება შედეგისკენ-ჯანმრთელობის დაზიანებისკენ-შეგნებულად არ არის მიმართული, ქმედება არ ითვლება განზრახ განხორციელებულად. უფრო მეტიც, ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესი შეიძლება დაირღვეს შეგნებულადაც და შეუგნებლადაც, მაგრამ ეს გარემოება ვერ აქცევს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობას ისეთ შემადგენლობად, სადაც წარმოდგენილი იქნება როგორც განზრახვა, ისე გაუფრთხილებლობაც.

ჯერ კიდევ საბჭოურ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა განსხვავდება სხვა შემადგენლობებისაგან იმით, რომ ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებისა და შედეგისადმი განსხვავებულია და აღნიშნულ დანაშაულს გააჩნია რთული სუბიექტური მხარე, ეგრეთ წოდებული ბრალის ორმაგი ანუ შერეული ფორმა.[799] აღნიშნული დებულება სავსებით სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული.[800] განზრახვისა და გაუფრთხილებლობის კომბინაცია იქ უნდა ვეძიოთ, სადაც ერთზე მეტი შედეგი დადგა.[801] განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციისას შეიძლება მხოლოდ ერთი შედეგიც გვქონდეს, მაგრამ ცალკე აღებული ქმედება, დამოუკიდებელ, ძირითად შემადგენლობას უნდა ქმნიდეს. თუ ჩვენ განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციას შესაძლებლად ჩავთვლით საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობაში, მაშინ განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციით განხორციელებულად უნდა ვცნოთ თვითმედოვნებისა და დაუდევრობის ყველა ის შემთხვევა, როდესაც მოქმედება შეგნებულადაა ჩადენილი, მაგრამ შედეგისკენ არ არის შეგნებულად წარმართული. ეს კი გაუფრთხილებლობის ბუნებას ეწინააღმდეგება.[802]

---

[798] იხ. *ბაბილაშვილი ჯ.,* სატრანსპორტო დანაშაულის პრობლემები და სასამართლო პრაქტიკა, თბ., 2004, გვ. 156.

[799] იხ. *ტყეშელიაძე გ.,* პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, თბ., 1965, გვ. 21; *ცუცქირიძე გ.,* სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის, თბ., 1971, გვ. 135-136.

[800] იხ. *გამყრელიძე ო.,* პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, „საბჭოთა სამართალი", 1966, №6, გვ. 85-86; *უგრეხელიძე მ.,* შერეული ანუ ორმაგი ბრალი სისხლის სამართალში, „მაცნე", ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1971, №1, გვ. 160-161; *უგრეხელიძე მ.,* ბრალის შერეული ანუ ორმაგი ფორმის შესახებ, „საბჭოთა სამართალი", 1980, №1, გვ. 33-34; *უგრეხელიძე მ.,* ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 42; *კობიაშვილი უ.,* ორმაგი ანუ შერეული ბრალის საკითხისათვის, „საბჭოთა სამართალი", 1969, №3, გვ. 14-15; *ბაბილაშვილი ჯ.,* სატრანსპორტო დანაშაულის პრობლემები და სასამართლო პრაქტიკა, თბ., 2004, გვ. 152.

[801] იხ. *გამყრელიძე ო.,* პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, „საბჭოთა სამართალი", 1966, №6, გვ. 86.

[802] იხ. *უგრეხელიძე მ.,* შერეული ანუ ორმაგი ბრალი სისხლის სამართალში, „მაცნე", ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1971, №1, გვ. 160-161; *გამყრელიძე ო.,* პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, „საბჭოთა სამართალი", 1966, №6, გვ. 85-86.

მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევის მსგავსად უნდა გადაწყდეს საქმე მაშინაც, როცა ტყეში ცეცხლის დანთების შემდეგ უსაფრთხოების წესების დარღვევას ტყეში ხანძრის გაჩენა მოჰყვება. ცეცხლის დანთება, მართალია, შეგნებული ქმედებაა, მაგრამ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს განზრახ ქმედებად, რამდენადაც ცეცხლის დანთება მოხდა არა ტყეში ხანძრის გაჩენის, არამედ გათბობის მიზნით. ტყეში ცეცხლის დანთება იმ შემთხვევაში ჩაითვლებოდა განზრახ ქმედებად, თუ მოქმედი პირის მიზანი მიმართული იქნებოდა მავნე შედეგის (ხანძრის გაჩენა და ტყის მასივის გადაწვა) გამოწვევისკენ[803] ან იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ ქმედება (ტყეში ცეცხლის დანთება) იქნებოდა დასჯადი და ქმედების სისხლისსამართლებრივი დასჯადობა არ დაუკავშირდებოდა კონკრეტული შედეგის დადგომას. თუკი შედეგიან დელიქტებში შედეგისადმი დამოკიდებულებით განისაზღვრება ქმედება განზრახაა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით, უშედეგო შემადგენლობებში ქმედების სუბიექტური შემადგენლობის განსაზღვრისას სათვალავში იღებენ მხოლოდ იმას, ჰქონდა თუ არა დამნაშავეს შეგნებული, რომ ახორციელებდა საშიშ და აკრძალულ ქმედებას.

2. შედეგით კვალიფიცირებული საფრთხის დელიქტების მცდელობა

საინტერესოა, შესაძლებელია თუ არა შედეგით კვალიფიცირებული საფრთხის შემქმნელი დელიქტის მცდელობა? როგორც ვიცით, მცდელობა შესაძლებელია განზრახი მოქმედებით, შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის დროსაც სახეზეა განზრახი მოქმედება, თუმცა, შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობათა მთელ რიგ შემთხვევებში აღნიშნული განზრახვით არ არის მოცული ქმედებით გამოწვეული შედეგი.

გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ე. წ. შედეგით კვალიფიცირებულ მცდელობას (der erfolgsqualifizierte Versuch) და შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის მცდელობას (der Versuch einer Erfolgsqualifikation).[804]

შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის მცდელობა (der Versuch einer Erfolgsqualifikation) სახეზეა, როდესაც ძირითად (განზრახ განხორციელებულ ან მცდელობის სტადიაზე შეწყვეტილ) დელიქტთან ერთად დამნაშავის განზრახვით იყო მოცული მძიმე შედეგიც, რომელიც არ განხორციელდა.[805] შედეგით კვალიფიცირებულ მთელ რიგ შემადგენ-

[803] ანალოგიური მაგალითი იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 45.

[804] იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band II, München, 2003, S. 437-439; *Baumann/Weber/Mitsch,* Strafrecht, AT, Lehrbuch, 11. Aufl., Biefeld, 2003, S. 612, Rn. 41, 42; *Heinrich B.,* Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 305, Rn. 686; *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 231-232, Rn. 617.

[805] იხ. *Baumann/Weber/Mitsch,* Strafrecht, AT, Lehrbuch, 11. Aufl., Biefeld, 2003, S. 612, Rn. 42; *Heinrich B.,* Strafrecht, AT I, 2. Aufl., Stuttgart, 2010, S. 288, Rn. 688; *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 231-232, Rn. 617.

ლობებში[806] შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობა საკმარისია, მაგრამ ეს არ ეხება შედეგით კვალიფიცირებულ ყველა შემადგენლობას და ზოგიერთ შემთხვევაში შედეგის მიმართ განზრახი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს. შედეგით კვალიფიცირებული განზრახი (ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ განზრახვის არსებობას არა მხოლოდ ქმედების, არამედ შედეგის მიმართაც) დანაშაულის შემადგენლობის მაგალითს წარმოადგენს სსკ-ის 131-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემადგენლობა, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შიდსის შეყრისთვის ორი ან მეტი პირის მიმართ, ხოლო, თუ ადგილი აქვს ერთი ადამიანის მიმართ შიდსის შეყრას, იგი ისჯება ამავე მუხლის მე-2 ნაწილით.[807] სსკ-ის 131-ე მუხლის როგორც მე-2, ისე მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემადგენლობა შედეგის მიმართ განზრახვას გულისხმობს.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის მცდელობის ორ შემთხვევას გამოჰყოფენ:

1. როდესაც განხორციელებულია განზრახი ძირითადი შემადგენლობა და არ დადგა ის შედეგი, რომელიც მაკვალიფიცირებელ შემადგენლობას ჰქმნის და რისკენაც მიმართული იყო დამნაშავის განზრახვა. მაგალითად, დამნაშავეს უნდოდა, რომ შიდსით დაინფიცირებულიყო ორი ან მეტი ადამიანი, თუმცა მისმა ქმედებამ გამოიწვია მხოლოდ ერთი ადამიანის დაინფიცირება, ხოლო სხვები დაინფიცირებას გადაურჩნენ. საქართველოს სსკ-ის 131-ე მუხლის მე-2 ნაწილით არის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ადამიანის შიდსით დაინფიცირებისთვის. ხოლო, მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტით ისჯება ორი ან მეტი ადამიანის შიდსით დაინფიცირება[808]. როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება, როდესაც სახეზეა ძირითადი შემადგენლობა – ერთი ადამიანის შიდსით განზრახ დაინფიცირება, ხოლო მაკვალიფიცირებელი შემადგენლობა არ არის განხორციელებული? ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 131-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მე-4 ნაწილის მცდელობით, თუ მხოლოდ 131-ე მუხლის მე-4 ნაწილის მცდელობისთვის? ალბათ უფრო მართებული იქნება თუ ქმედებას დავაკვალიფიცირებთ მხოლოდ სსკ-ის 131-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობის მცდელობით, ვინაიდან დამნაშავის განზრახვით მოცული იყო ორი ან მეტი ადამიანის შიდსით დაინფიცირება.[809] თუ ქმედე-

---

[806] მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 133-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა: უკანონო აბორტი, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

[807] საქართველოს სსკ-ის 131-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა ძირითად შემადგენლობად უნდა ჩაითვალოს, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი შემადგენლობა, უმეტესად შესაბამისი მუხლის პირველი ნაწილითაა გათვალისწინებული, რამდენადაც, 131-ე მუხლით ისჯება შიდსის შეყრა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილით სწორედ შიდსის შეყრისთვისაა სასჯელი გათვალისწინებული, მაშინ, როცა პირველი ნაწილით ისჯება შიდსის შეყრის საფრთხის შექმნა. ე. ი. 131-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შემადგენლობანი 2 დამოუკიდებელ ძირითად შემადგენლობას წარმოადგენს, ხოლო მე-3 და მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობანი კვალიფიცირებულ შემადგენლობებს.

[808] სსკ-ის 131-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა შედეგის მიმართ გულისხმობს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით დამოკიდებულებას, თუმცა ჩვენ ამ შემთხვევაში შედეგისადმი განზრახი დამოკიდებულება გვაინტერესებს.

[809] საკითხი ანალოგიურად წყდება სასამართლო პრაქტიკაშიც. საკითხის ასეთი გადაწყვეტა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის (მკვ-

ბას დავაკვალიფიცირებთ დანაშაულთა ერთობლიობით, კერძოდ, 131-ე მუხლის მე-2 ნაწილით და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მცდელობით, საქმე გვექნება არასწორ კვალიფიკაციასთან.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია საწინააღმდეგო მოსაზრებაც. მაგალითად, *მ. ლეკვეიშვილი* მიიჩნევს, რომ, მაშინ, როცა არანამდვილი შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის განხორციელების (მაგ. ორი ან მეტი ადამიანის განზრახ მკვლელობის) მცდელობას მოჰყვება მხოლოდ ძირითადი შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი (ერთი ადამიანის სიკვდილი), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით (კერძოდ, განზრახ მკვლელობა და ორი ან მეტი ადამიანის მკვლელობის მცდელობა-სსკ-ის 108-ე, მე-19, 109-ე მუხ.).[810]

2. შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულის მცდელობად მიიჩნევენ ასევე იმ შემთხვევას, როდესაც მაკვალიფიცირებელი შედეგისკენ მიმართულ დამნაშავის განზრახ მოქმედებას არ მოჰყვება არა თუ მაკვალიფიცირებელი, არამედ ის შედეგიც, რომელიც ძირითადი შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია. მაგალითად, ზემოთ მოყვანილი მაგალითის მიხედვით, ორი ან მეტი ადამიანის შიდსით დაინფიცირებისკენ მიმართულ ქმედებას არ მოჰყვება არცეროთის დაინფიცირება. ამ შემთხვევაშიც ქმედება საქართველოს სსკ-ის 131-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობის მცდელობისთვის უნდა დაისაჯოს, მაგრამ ზემოთ მოყვანილი შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის მცდელობის შემთხვევისგან განსხვავებით, მოსამართლემ ამ უკანასკნელ შემთხვევაში დამნაშავეს კოდექსით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში უფრო მსუბუქი სასჯელი უნდა დაუნიშნოს, ვინაიდან სახეზე არ არის არა თუ მაკვალიფიცირებელი, არამედ ძირითადი შემადგენლობის დამაფუძნებელი შედეგიც.

შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის მცდელობის ამ მეორე შემთხვევის დასჯადობას ზოგიერთი გერმანელი მეცნიერი ძირითადი შემადგენლობის მცდელობის დასჯადობის შესაძლებლობას უკავშირებს,[811] რაც არ უნდა იყოს საკითხისადმი მართებული მიდგომა, ვინაიდან, თუ ჩვენ ქმედებას განვიხილავთ როგორც შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის მცდელობას და არა როგორც ძირითადი შემადგენლობის მცდელობას, ქმედების დასჯადობის განმსაზღვრელ ფაქტორს არ უნდა წარმოადგენდეს ის მომენტი, არის თუ არა ძირითადი შემადგენლობის მცდელობა დასჯადი, რამდენადაც, შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობა სოციალური საშიშროების ხარისხით ყოველთვის აღემატება ძირითადი შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედების საშიშროებას და, როგორც წესი, შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის განხორციელებისთვის უფრო მკაცრი სასჯელიცაა გათვალისწინებული. მაშასადამე, შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის მცდელობის დასჯადობის საკითხი ძირითადი შემადგენლობის

ლელობა ორი ან მეტი პირისა) მაგალითზე იხ. სუსგ,2004,№2,გვ. 217-219; 2004,№4,გვ. 870-873; 2004,№5,გვ. 1070-1073.

[810] იხ. *ლეკვეიშვილი მ.,* წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.),სისხლის სამართლის კერძო ნაწილი,წიგნი I,მე-5 გამოცემა,თბ.,2014,გვ. 45.

[811] იხ. *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 232, Rn. 617.

მცდელობის დასჯადობისგან დამოუკიდებლად უნდა გადაწყდეს.

ზემოთ მოყვანილ მაგალითში მაკვალიფიცირებელი შემადგენლობის მცდელობა იმიტომ არის შესაძლებელი მაშინ, როცა ძირითადი შედეგი არ არის სრულად განხორციელებული, რომ მაკვალიფიცირებელი შედეგი დამნაშავის განზრახვითაა მოცული და ძირითად და მაკვალიფიცირებელ შემადგენლობას შორის განსხვავება მსხვერპლის რაოდენობაშია. კვალიფიციური შემადგენლობის მცდელობა შეუძლებელი იქნებოდა, თუკი მაკვალიფიცირებელი შედეგის მიმართ კანონმდებლის მიერ გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება იქნებოდა ნაგულისხმევი (მაგ. შედეგით კვალიფიცირებულ ნამდვილ დელიქტებში).

3. „შედეგით კვალიფიცირებული მცდელობა“ საფრთხის შემქმნელ დელიქტებში

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის მცდელობისაგან განსხვავებით, „შედეგით კვალიფიცირებულ მცდელობას“ (der erfolgsqualifizierte Versuch) განმარტავენ როგორც ისეთ შემთხვევას, როდესაც ძირითადი შემადგენლობის განხორციელების მცდელობას გაუფრთხილებლობით მოჰყვება მძიმე შედეგი, რომლის გათვალისწინებაც დამნაშავეს შეეძლო.[812] შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის მცდელობა და ე.წ. შედეგით კვალიფიცირებულ მცდელობას ერთმანეთისაგან განასხვავებენ როგორც მაკვალიფიცირებელი შედეგისადმი დამოკიდებულებით, ისე იმითაც, რომ შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის მცდელობისას არ არის დამდგარი მაკვალიფიცირებელი შედეგი, ხოლო „შედეგით კვალიფიცირებული მცდელობის“ დროს, პირიქით, ძირითადი შემადგენლობა არ არის სრულად განხორციელებული, მაგრამ მაკვალიფიცირებელი შედეგი სახეზეა. მაგალითად, უკანონო აბორტის მცდელობა, რასაც შედეგად ორსული ქალის სიკვდილი მოჰყვა.

იმის გასარკვევად, არის თუ არა „შედეგით კვალიფიცირებული მცდელობა“ საფრთხის დელიქტებში შესაძლებელი, აუცილებელია პასუხი გაეცეს კითხვას: არის თუ არა ზოგადად შესაძლებელი მცდელობა თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობებში და თუ ეს შესაძლებელია, რამდენად შეიძლება იგი საფრთხის დელიქტებზე გავრცელდეს. დასმული საკითხის გადასაჭრელად, საჭიროა იმის დადგენა, თუ რამდენად არის არათუ შედეგით კვალიფიცირებული, არამედ საფრთხის ძირითადი დელიქტების მცდელობა შესაძლებელი, ვინაიდან შედეგით კვალიფიცირებული მცდელობის დასჯადობის აუცილებელ პირობად ის მეცნიერები, რომლებიც ე.წ. „შედეგით კვალიფიცირებული მცდელობის“ დასჯადობას უჭერენ მხარს, ძირითადი შემადგენლობის მცდელობის დასჯადობას მიიჩნევენ.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ „შედე-

---

[812] იხ. *Baumann/Weber/Mitsch,* Strafrecht, AT, Lehrbuch, 11. Aufl., Bielefeld, 2003, S. 612, Rn. 41; *Heinrich B.,* Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 305, Rn. 692; *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 232, Rn. 617.

გით კვალიფიცირებული მცდელობისთვის“ პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს, თუ ძირითადი შემადგენლობის მცდელობისთვისაც არ არის დაწესებული პასუხისმგებლობა, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში მაკვალიფიცირებელი შედეგი შეიძენდა არა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი, არამედ დასჯადობის დამაფუძნებელი გარემოების მნიშვნელობას, რაც საკანონმდებლო დეფინიციის საწინააღმდეგო იქნებოდა.[813]

ᵓგერმანული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (§ 12), ქართული სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, მცდელობის დასჯადობაზე არსებობს დიფერენცირებული მიდგომა. გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი, ერთმანეთისაგან განასხვავებს სისხლისსამართალდარღვევის ორ სახეს: დანაშაულს (Verbrechen) და გადაცდომას (Vergehen). დანაშაულად მიიჩნევა ის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა მინიმუმ ერთი წლით მაინც. ხოლო, გადაცდომაა ის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წელზე ნაკლები ვადით ან ჯარიმით. თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის სასჯელის სახით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის ვადის მინიმუმი ერთ წელზე დაბლაა, ქმედება გადაცდომად მიიჩნევა და არა დანაშაულად. მართალია, დანაშაულისთვის მინიმუმ ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა იყოს გათვალისწინებული, მაგრამ ეს არ გულისხმობს იმას, რომ გადაცდომისთვის სასჯელის მაქსიმუმი თავისუფლების ერთი წლით აღკვეთას არ უნდა აღემატებოდეს. გადაცდომისთვის შეიძლება თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე მეტი ვადითაც იყოს გათვალისწინებული, მაგრამ შესაბამისი ქმედება მაინც გადაცდომად ითვლება, ვინაიდან გადაცდომისთვის გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მინიმუმი ერთ წელზე დაბლაა. მაშასადამე, გადაცდომასა და დანაშაულს შორის ზღვარი გადის არა სასჯელის მაქსიმუმზე, არამედ მინიმუმზე. დანაშაულის მცდელობა ყოველთვის დასჯადია, ხოლო გადაცდომის მცდელობის დასჯადობაზე საგანგებოდ უნდა იყოს მითითებული შესაბამის მუხლში. თუ გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტულ მუხლში არ არის აღნიშნული სათანადო გადაცდომის მცდელობის დასჯადობაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ დასჯადია ამ გადაცდომის სრულად განხორციელება და არა მცდელობა.

გერმანიის სსკ-ის 221-ე პარაგრაფის პირველი ნაწილით ისჯება სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში სხვა ადამიანის ჩაყენება (გადაცდომა), ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილით დასჯადია იგივე ქმედება თუ მას შედეგად მოჰყვა მსხვერპლის სიკვდილი. გერმანიის სსკ-ის 221-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობას წარმოადგენს, მაგრამ აღნიშნულ შემადგენლობასთან მიმართებით „შედეგით კვალიფიცირებული მცდელობის“ დასჯადობის შესაძლებლობას გამორიცხავენ, ვინაიდან დასჯადი არ არის 221-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ძირითადი შემადგენლო-

[813] იხ. *Kühl K.*, Der Versuch des Erfolgsqualifizierten Delikts, Gössel-FS, Heidelberg, 2002, S. 205; *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band II, München, 2003, S. 439.

ბის მცდელობა.[814] *კ. როქსინი* მსგავს შემთხვევებში ქმედების იმ მუხლით კვალიფიკაციას უჭერს მხარს, რომელშიც გაუფრთხილებლობითი დანაშაულის დამოუკიდებელი შემადგენლობაა გათვალისწინებული. მაგალითად, გერმანული სსკ-ის 222-ე პარაგრაფი, რომელიც პასუხისმგებლობას აწესებს სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისთვის.[815]

როგორც ცნობილია, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით ისჯება არა მხოლოდ დამთავრებული დანაშაული, არამედ დანაშაულის მომზადება და მცდელობაც. მაგრამ, საინტერესოა, არის კი შესაძლებელი საფრთხის დელიქტების მცდელობა? საფრთხის შემქმნელი დელიქტები ხომ მცდელობის მსგავს სტადიაზეა დამთავრებული და რამდენად არის აქედან გამომდინარე ამ დელიქტების მომზადებასა და მცდელობაზე საუბარი საფუძვლიანი?

კითხვაზე, არის თუ არა საფრთხის დელიქტების მომზადება და მცდელობა შესაძლებელი, *თ. წერეთელი* პასუხობს, რომ საფრთხის დელიქტების მცდელობა შესაძლებელია, მაგრამ იგი იმდენად მცირე საშიშროებას შეიცავს, რომ მისი დასჯადობა გაუმართლებელი იქნებოდა. მისი აზრით საფრთხის დელიქტების მცდელობის დასჯადობა იმიტომ არის გაუმართლებელი, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავეს წაერთმეოდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა.[816]

თ. წერეთლის მოსაზრება საფრთხის დელიქტების მცდელობის დასჯადობაზე უარის თქმასთან დაკავშირებით არ შეიძლება გაზიარებული იქნეს, ვინაიდან ზოგადად დანაშაულზე ხელის აღება დაუმთავრებელი დანაშაულის სტადიაზე ხორციელდება და ამ მოტივით მაშინ უარი უნდა გვეთქვა დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობაზეც.

საფრთხის დელიქტების და, მათ შორის, იმ საფრთხის დელიქტების მცდელობაც შეიძლება, რომლებიც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს, შესაბამისად, ე. წ. ფორმალურ ანუ შედეგგარეშე დანაშაულებს მიეკუთვნებიან. შესაძლებელია ისეთი საფრთხის შემქმნელი დელიქტის მცდელობა, როგორიცაა უკანონო აბორტი (სსკ-ის 133-ე მუხ.). გერმანული სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მთელ რიგ შემადგენლობებში[817] პირდაპირ არის მითითებული ზოგიერთი საფრთხის დელიქტის (როგორც გადაცდომის) მცდელობის დასჯადობაზე.[818] მთავარი ის კი არ არის, ქმედება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია თუ კონკრეტული, არამედ მთავარია დასჯადი ქმედების ბუნება და ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო აღწერილობა.

საფრთხის შემქმნელ დელიქტთა მცდელობა მაშინ არის შესაძლებელი, როცა დამნაშავეს არა მხოლოდ ქმედების განხორციელება, არამედ სხ-

---

[814] იხ. *Jähnke B.*, LK, 11. Aufl., 2005, S. 28-29; *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band II, München, 2003, S. 439; *Rengier R.*, Erfolgsqualifizierte Delikte und verwandte Erscheinungsformen, Tübingen, 1986, S. 245.

[815] იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band II, München, 2003, S. 439.

[816] იხ. *წერეთელი თ.,* საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ., 2006, გვ. 219-220; მისივე, სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010, გვ. 231.

[817] 311-ე (2), 312-ე (2), 315-ე (2), 316-ე b (2), 317-ე (2), 324-ე (2), 325-ე (1), 326-ე (4) პარაგრაფები.

[818] იხ. *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, Strafrecht, BT, Lehrbuch, 2. Aufl., § 35. Rn. 118; იხ. ასევე: *Zaczyk R.*, Das Unrecht der versuchten Tat, Berlin, 1989, S. 322-325; *Fischer T.*, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Aufl., München, 2010, S. 2175, 2176, 2186, 2234, 2277, 2285, 2298.

ვისთვის საფრთხის შექმნაც სურს.[819] საფრთხის შემქმნელი დელიქტების მცდელობა გულისხმობს სამართლით დაცული სიკეთისთვის საფრთხის შექმნის განზრახვას. *ე. ჰორნის* თვალსაზრისით, საფრთხის შექმნის განზრახვა, ინტელექტუალური მხრივ, გულისხმობს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის საფრთხის შექმნის შესაძლებლობის წარმოდგენას, რაც ამავდროულად ნიშნავს ხელყოფის განხორციელების შესაძლებლობის წარმოდგენას. დამნაშავის მიერ იმის წარმოდგენა, რომ ხელყოფა შესაძლებელია, საკმარის ინტელექტუალურ პირობას წარმოადგენს როგორც საფრთხის შექმნის განზრახვისთვისთვის, ისე ხელყოფის ევენტუალური განზრახვისთვის.[820] მართალია, სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნის და მისი ხელყოფის განზრახვის ინტელექტუალური მხარე შეიძლება ემთხვეოდეს ერთმანეთს, მაგრამ, განზრახვა (პირდაპირი) გულისხმობს ნებელობით ელემენტსაც და საფრთხის შექმნის და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის განზრახვა ნებელობით სფეროში (სურვილი) განსხვავდება ერთმანეთისაგან. საფრთხის შექმნის სურვილი არ გულისხმობს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის სურვილს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი გახდებოდა საფრთხის შექმნის და დანაშაულის მცდელობის გამიჯვნა.[821] აღნიშნულ საფრთხეს შეიცავს ასევე ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლად მიჩნევა. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტით ისჯება განზრახ მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. თუ ადამიანი განახორციელებდა განზრახ მკვლელობის მცდელობას ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვა ადამიანის სიცოცხლეს, გვექნებოდა მეორე ადამიანის მკვლელობის მცდელობაც ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლად მიჩნევის შემთხვევაში. როდესაც ბოროტმოქმედი განახორციელებს „ა“-ს მკვლელობის მცდელობას ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს, მას ყოველთვის აქვს წარმოდგენილი სხვა ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფის შესაძლებლობა, მაგრამ რამდენადაც არ გააჩნია სხვათა სიცოცხლის მოსპობის სურვილი, ქმედება კვალიფიცირდება როგორც ერთი და არა როგორც ორი ან მეტი ადამიანის მკვლელობის მცდელობა.

მართალია, მცდელობა შესაძლებელია საფრთხის დელიქტებში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია ყველა საფრთხის დელიქტის მცდელობა. მაგალითად, მცდელობა შეუძლებელია ისეთ საფრთხის დელიქტში, როგორიცაა განსაცდელში მიტოვება (სსკ-ის 128-ე მუხლი), დაუხმარებლობა (სსკ-ის 129-ე მუხ.). და ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება (სსკ-ის 130-ე მუხ.)[822] მანამ, სანამ ადამიანი არ აღმოჩნდე-

---

[819] იხ. *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf,* Strafrecht, BT, Lehrbuch, 2. Aufl., § 35. Rn. 119.

[820] იხ. *Horn E.,* Konkrete Gefährdungsdelikte, Köln, 1973, S. 204-205.

[821] სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის მცდელობისა და სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნის გამიჯვნა შეუძლებელია ე. წ. წარმოსახვის ანუ შემეცნების თეორიის მიხედვით. აღნიშნულ თეორიაზე იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ.,2011, გვ. 293.

[822] იხ. *გამყრელიძე ო.,*წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ.,2002, გვ. 213; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ.,2011, გვ. 61-62.

ბა განსაცდელში, არავითარი სტადია დანაშაულის განხორციელების დაწყებისა თუ განვითარებისა არ შეიძლება არსებობდეს, ხოლო მას შემდეგ, როცა ადამიანი აღმოჩნდება განსაცდელში და შესაბამისად, წარმოიშობა განსაცდელში მყოფი ადამიანისათვის დახმარების აღმოჩენის ვალდებულება, თუ არ შესრულდა ეს ვალდებულება, დანაშაული დამთავრებულად ითვლება.[823] ეს შეიძლება ითქვას ყველა იმ დელიქტზე, რომლებსაც წმინდა უმოქმედობის დელიქტებს უწოდებენ და რომელთა შემადგენლობის ნიშანს შედეგი არ წარმოადგენს.[824]

თ. წერეთელი გამორიცხავს წმინდა უმოქმედობის დელიქტების მცდელობის შესაძლებლობას, მაშინ, როცა მომზადებას ასეთ დელიქტებში შესაძლებლად მიიჩნევს.[825] წმინდა უმოქმედობის დელიქტებში მხოლოდ უვარგისი მცდელობაა შესაძლებელი.[826] მაგალითად, „ა“-ს ჰგონია, რომ საცურაო ბალიშზე წევს მისი შვილი და ფიქრობს, რომ ის შეიძლება დაიხრჩოს, თუმცა იგი არაფერს არ აკეთებს შვილის გადასარჩენად. მოგვიანებით გაირკვა, რომ „ა“ შეცდა და საცურაო ბალიშზე არ იმყოფებოდა მისი შვილი. ასეთ დროს საქმე გვაქვს განსაცდელში მიტოვების უვარგის მცდელობასთან, ვინაიდან საცურაო ბალიშზე არ აღმოჩნდა „ა“, არამედ სათამაშო თოჯინა.[827]

ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი აღნიშნავს, რომ ფორმალურ დანაშაულებში მხოლოდ დანაშაულის დაუმთავრებელი მცდელობაა შესაძლებელი,[828] ვინაიდან კანონმდებელი ფორმალურ დანაშაულებში დანაშაულის დასრულებულ ქმედებად აცხადებს იმას, რაც დანაშაულის დამთავრებულ მცდელობას შეიძლება წარმოადგენდეს.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა განსხვავებული შეხედულებაც და ითქვა, რომ დანაშაულის დამთავრებული მცდელობა არა მხ-

---

[823] იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band II, München, 2003, S. 429; *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 497.

[824] *კლაუს როქსინის* პოზიციით, წმინდა უმოქმედობის დელიქტებში შეიძლება გამოიყოს ისეთი შემადგენლობანიც, რომლებშიც მცდელობის განხორციელება შესაძლებელია, თუმცა, იგი ასევე აღნიშნავს, რომ წმინდა უმოქმედობის დელიქტებში მცდელობა უმეტესწილად შეუძლებელია. იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band II, München, 2003, S. 428-429. *როქსინის* მსჯელობა არ არის ამ შემთხვევაში გასაზიარებელი, ვინაიდან, მას წმინდა უმოქმედობის მაგალითად მოჰყავს უკანონო განაჩენის გამოტანის შემთხვევა (§ 339). უკანონო განაჩენის გამოტანა არ შეიძლება წმინდა უმოქმედობის დელიქტებს მივაკუთვნოთ. პირიქით, იგი მოქმედებით ჩასადენი დელიქტია. ის, რომ მოსამართლე კანონის მოთხოვნას არ ემორჩილება, სრულიად არ მიუთითებს უმოქმედობაზე. ამ ლოგიკით, ყველა დანაშაული უნდა ჩაითვალოს უმოქმედობის დელიქტად, რამდენადაც დანაშაულის ჩადენას ყოველთვის წინ უსწრებს აკრძალვა, სამართლებრივი მოთხოვნა, რასაც არ ითვალისწინებს დამნაშავე და არ *ასრულებს* მას.

[825] იხ. *წერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 497.

[826] იხ. *Welzel H.,* Das Deutsche Strafrecht, 11. Aufl., Berlin, 1969, S. 206; *Jescheck H-H., Weigend T.,* Lehrbuch des Strafrechts, AT, Berlin, 1996, S. 637; *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band II, München, 2003, S. 429, Rn. 293; *Maurach R., Gössel K., Zipf H.,* Strafrecht, AT, Band 2, Heidelberg, 1989, S. 33, Rn. 99. უვარგისი მცდელობაც ისჯება, თუმცა მცდელობისგან განსხვავებით უვარგისი მცდელობის დროს მოსამართლემ უფრო მსუბუქი სასჯელი უნდა გამოიყენოს. იხ. *გამყრელიძე ო.,* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მეორე გამოცემა, თბ., 2008, გვ. 169; *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 314.

[827] უვარგისი მცდელობის მსგავს შემთხვევაში გაუმართლებელია ადამიანის დასჯა, ვინაიდან მოყვანილ მაგალითში უმოქმედობას არ შეუქმნია ის საფრთხე, რომელიც შესაძლებელს გახდიდა უმოქმედობის დასჯადობას.

[828] იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 92.

ოლოდ შედეგიან, არამედ ე.წ. ფორმალურ შემადგენლობებშიც არის შესაძლებელი. აღნიშნული დებულების საილუსტრაციოდ მოყვანილი იქნა შემდეგი მაგალითი: „მაგალითად „ა“ დაჰპირდა „ბ“-ს, რომ მის მიერ მოცემულ ქრთამს მიუტანდა თანამდებობის პირს, მაგრამ „ა“-მ ქრთამის სახით მისაცემი თანხა მიითვისა“.[829] თუ ჩვენ გავიზიარებთ შემოთავაზებულ წინადადებას, მოგვიწევს ქმედების კვალიფიკაცია საქართველოს სსკ-ის მე-19 და 339-ე მუხლებით (ქრთამის მიცემის მცდელობა), რაც არასწორი იქნება. საქართველოს მოქმედი სსკ-ის მიხედვით „ბ“-ს ქმედება ასეთ შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს 339[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით (ზეგავლენით ვაჭრობა), როგორც დამთავრებული დანაშაული, ხოლო „ა“-ს ქმედება ამავე მუხლის მე-2 ნაწილით. ქმედების კვალიფიკაციისთვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, შუამავალმა (ზეგავლენით მოვაჭრემ) გადასცა თუ არა თანხა მოხელეს ან მასთან გათანაბრებულ პირს ან გამოიწვია თუ არა განხორციელებულმა ქმედებამ იმ პირისთვის სასურველი შედეგი, ვინც თანხა გადასცა ზეგავლენით მოვაჭრეს (შუამავალს).

მას შემდეგ, როდესაც გავარკვიეთ საფრთხის დელიქტებში მცდელობის შესაძლებლობის საკითხი, შეგვიძლია განვიხილოთ საფრთხის დელიქტებში „შედეგით კვალიფიცირებული მცდელობის“ საკითხი ანუ ის შემთხვევა, როდესაც საფრთხის დელიქტის ძირითადი შემადგენლობის მცდელობას გაუფრთხილებლობით მძიმე შედეგი მოჰყვება. მაგრამ, ვიდრე უშუალოდ საფრთხის დელიქტებში ე. წ. შედეგით კვალიფიცირებული მცდელობის საკითხს განვიხილავდეთ, მიზანშეწონილია მოკლეთ შევეხოთ ე. წ. შედეგით კვალიფიცირებული მცდელობის საკითხს ზოგადად.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 პარაგრაფის მე-2 ნაწილის თანახმად, განზრახ მოქმედებს ის, ვინც სსკ-ით გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობას განახორციელებს, რომელიც ქმედებასთან დაკავშირებით განზრახვას გულისხმობს, ხოლო, შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობაც საკმარისია. მაშასადამე, აღნიშნული ნორმის თანახმად, როგორც გერმანელი მეცნიერები აღნიშნავენ, შედეგით კვალიფიცირებული დელიქტიც, მიუხედავად შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულებისა, განზრახი დანაშაულია და შესაბამისად, „შედეგით კვალიფიცირებული მცდელობაც“ შესაძლებელია.[830]

გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 პარაგრაფის ანალოგიურ ნორმას შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიც, რომლის მე-11 მუხლის[831] პირველი ნაწილის მიხედვით, „თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ თანამდევი შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშავის განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში,

---

[829] იხ. *დვალიძე ი.*,წიგნში: *ნაჭყებია გ.,დვალიძე ი.,* (რედ.) სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სახელმძღვანელო,თბ.,2007,გვ. 165.

[830] იხ. *Baumann/Weber/Mitsch*, Strafrecht, AT, Lehrbuch, 11. Aufl., Bielefeld, 2003, S. 126, Rn. 72, 73.

[831] აღნიშნული ნორმა პირველად საქართველოს 1960 წლის სისხლს სამართლის კოდექსში იქნა შემოტანილი. იხ. *გამყრელიძე ო.,* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება,მე-2 გამოცემა,თბ.,2008,გვ. 124.

როდესაც პირმა ეს შედეგი გაუფრთხილებლობით განახორციელა. *ასეთი დანაშაული განზრახ დანაშაულად ჩაითვლება.“* როგორ უნდა გავიგოთ სიტყვები *„ასეთი დანაშაული განზრახ დანაშაულად ჩაითვლება“? „ასეთ დანაშაულში“* იგულისხმება მთლიანად შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობა თუ მხოლოდ ძირითადი შემადგენლობა?

მ. ტურავას შეხედულებით, საქართველოს სსკ-ის მე-11 მუხლიდან გამომდინარე შედეგით კვალიფიცირებული დანაშაული განზრახი დანაშაულია, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ქმედებაა განზრახი, ხოლო შედეგის მიმართ არსებობს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება. *მ. ტურავას* პოზიციით, სსკ-ის მე-11 მუხლით კანონმდებელმა შექმნა თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის და არა მარტო ძირითადი განზრახი ქმედების მცდელობის დასჯადობის შესაძლებლობა.[832]

გ. ნაჭყებიას თვალსაზრისით, „ბრალის ორი ფორმის[833] დროს ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდება არა როგორც განზრახი და გაუფრთხილებელი დანაშაული, არამედ იგი საბოლოოდ განეკუთვნება განზრახი დანაშაულის კატეგორიას, ხოლო გაუფრთხილებლობით გამოწვეული უფრო მძიმე შედეგი სასჯელის დანიშვნის დროს მიიღება მხედველობაში“.[834] *გ. ნაჭყებია*, როგორც მოყვანილი დებულებიდან ირკვევა, შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობას განზრახ დელიქტად მიიჩნევს. მაგრამ, იბადება კითხვა: როგორ შეიძლება განზრახ განხორციელებულად ჩაითვალოს დანაშაული, როცა დამდგარი შედეგის მიმართ დამნაშავეს გააჩნია არა განზრახი, არამედ გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება? როგორ შეიძლება განზრახი დელიქტი მივიღოთ, თუკი განზრახვით არ არის მოცული ქმედებით გამოწვეული შედეგი? როცა შედეგით კვალიფიცირებული მატერიალური დელიქტი (განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაცია) არის განხორციელებული დამნაშავეს განზრახი დამოკიდებულება გააჩნია მხოლოდ იმ შედეგისადმი, რომელიც ძირითად შემადგენლობას აფუძნებს. შესაბამისად, განზრახ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს არა (გაუფრთხილებლობით გამოწვეული) შედეგით კვალიფიცირებული დელიქტი, არამედ

---

[832] იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 605.

[833] განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციით განხორციელებულ შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობას „რთული, შერეული ბრალის“ ან კიდევ „ბრალის ორი ფორმით“ განხორციელებული დანაშაულის გამოხატულებად მიიჩნევდნენ (იხ. *უგრეხელიძე მ.,* შერეული ანუ ორმაგი ბრალი სისხლის სამართალში,„მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1971, №1, გვ. 59-174; *უგრეხელიძე მ.*, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 41.). აღნიშნულ დებულებას დღესაც ჰყავს მომხრეები ქართულ სისხლის სამართალში (იხ. *ნაჭყებია გ.,* სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 423; *ტყეშელიაძე გ.,* წიგნში: *ნაჭყებია გ., დვალიძე ი.* (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 140-141; *დვალიძე ი.*, წიგნში: *ნაჭყებია გ., დვალიძე ი.* (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 173). „ორმაგი ბრალის” დებულება არ შეესაბამება ბრალის თანამედროვე, ნორმატივისტულ განსაზღვრებას.

[834] იხ. *ნაჭყებია გ.,* სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 426. განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციით განხორციელებულ დანაშაულს განზრახ დანაშაულად მიიჩნევენ *გ. ტყეშელიაძე* და *ნ. თოდუაც.* იხ. *ტყეშელიაძე გ.,* წიგნში: *ნაჭყებია გ., დვალიძე ი.* (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 140-141; *თოდუა ნ.,* წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 95.

ძირითადი შემადგენლობა. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილი იმავე ქმედებისთვის თუ მას შედეგად სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა მოჰყვა. მოყვანილ შემთხვევაში განზრახ დანაშაულად ჩაითვლება სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით და არა მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა.[835] საქართველოს სსკ-ის 108-ე (განზრახ მკვლელობა) და 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობებს შორის განსხვავება სწორედ სიცოცხლის მოსპობისადმი სუბიექტურ დამოკიდებულებაშია. რამდენადაც 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობაში ქმედებით გამოწვეული შედეგისადმი დამნაშავეს არა განზრახი, არამედ გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება გააჩნია, აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული შედეგით კვალიფიცირებული დელიქტიც გაუფრთხილებლობით დელიქტად უნდა მივიჩნიოთ. დანაშაული განზრახაა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით, შედეგიან ანუ ე. წ მატერიალურ დელიქტებთან მიმართებით, სწორედ შედეგისადმი დამოკიდებულებით დგინდება.

საქართველოს სსკ-ის 133-ე მუხლით პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული ისეთი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტისთვის, როგორიცაა უკანონო აბორტი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით კი ისჯება იგივე ქმედება თუ მას შედეგად სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა. მართალია, უკანონო აბორტი განზრახი ქმედებაა, მაგრამ ამ შემთხვევაში მძიმე შედეგის – ქალის სიკვდილის მიმართ გაუფრთხილებლობა უნდა დადგინდეს.[836] როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება თუ უკანონო აბორტის მცდელობას, მაგალითად მუცლის მოშლის განზრახვით ქალისთვის ნემსის გაკეთებას ორსული ქალის სიკვდილი მოჰყვება? რამდენადაც სსკ-ის 133-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობას გულისხმობს და შედეგი არ არის დამნაშავის განზრახვით მოცული მცდელობის დებულებას სსკ-ის 133-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობის მიმართ ვერ გავავრცელებთ, მიუხედავად იმისა, რომ შედეგის გამოწვევას საფუძვლად განზრახი მოქმედება უდევს და ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, კერძოდ, სსკ-ის მე-19 მუხლით და 133-ე მუხლის პირველი ნაწილით (უკანონო აბორტის მცდელობა) და 116-ე მუხლით (გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა). ქმედების კვალიფიკაცია არა სსკ-ის 133-ე მუხლის მე-3 ნაწილით, არამედ დანაშაულთა ერთობლიობით, გამართლებულია ასევე იმიტომაც, რომ 133-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შედეგი მოჰყვა არა უკანონო აბორტის განხორციელებას, არამედ მის მცდელობას.

საქართველოს სსკ-ის მე-11 მუხლში ასახული საკანონმდებლო დებულების მიუხედავად, *ქ. მჭედლიშვილი* და *ი. დვალიძე* მართებულად უარყოფენ ნამდვილი შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის მცდელო-

---

[835] საწინააღმდეგო მოსაზრებაზე იხ. *თოდუა ნ.,* წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 95.

[836] იხ. *გამყრელიძე ო.,* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამოცემა, თბ., 2008, გვ. 125.

ბის იდეას.[837] ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ სსკ-ის მე-11 მუხლის ანალოგიური ნორმას იცნობდა ჯერ კიდევ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რაც *თ. წერეთლის* დამსახურებად მიიჩნევა.[838] თუმცა, *თ. წერეთელი* მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მცდელობის შესაძლებლობას გამორიცხავდა, რის საფუძვლადაც იგი მიიჩნევდა მაკვალიფიცირებელი შედეგის მიმართ დამნაშავის გაუფრთხილებლობით დამოკიდებულებას.[839]

ო. გამყრელიძე საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლში ასახული ნორმის შემოტანას გერმანული აზროვნების ზეგავლენის შედეგად მიიჩნევს, რაც ქართული სისხლის სამართლის თავისებურებად იქნა თავის დროზე მიჩნეული და რუსი მეცნიერების მოწონებაც დაიმსახურა, მაგრამ იგი აღნიშნული მუხლის არსებობის უპირატესობად თვლის იმას, რომ იგი გამორიცხავს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას და ბრალეულ პასუხისმგებლობას განამტკიცებს, ვინაიდან აუცილებელია მაკვალიფიცირებელი მძიმე შედეგის მიმართ დამნაშავეს სულ მცირე გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება მაინც გააჩნდეს.[840] ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამდა ასევე *ვ. მაყაშვილი.*[841]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს 1960 წლის სსკ-ის მე-11 მუხლი და დღეს მოქმედი სსკ-ის მე-11 მუხლი შინაარსობრივად არ არის იდენტური. 1960 წლის სსკ-ის მე-11 მუხლი შემდეგი რედაქციით იყო ჩამოყალიბებული: „თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ მძიმე შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშავის განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირს უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდეც გაეთვალისწინებინა ამ შედეგის დადგომა“. როგორც ვხედავთ, მე-11 მუხლის აღნიშნული რედაქცია არ იძლეოდა არავითარ შესაძლებლობას ისეთი ინტერპრეტაციისთვის, რომ განუზრახველი მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დანაშაული, მიუხედავად მძიმე შედეგისადმი დამოკიდებულებისა, განზრახი დანაშაული ყოფილიყო.

---

[837] იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 84; *დვალიძე ი.,* წიგნში: *ნაჭყებია გ.,დვალიძე ი.,*(რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 173.

[838] იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 599.

[839] იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 502.

[840] იხ. *გამყრელიძე ო.,* გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართალზე, მისივე წიგნში: ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბ., 1998, გვ. 255. ასევე იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 437-438.

[841] იხ. *მაყაშვილი ვ.,* წიგნში: *წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ.,* (რედ.), საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 76.

4. შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის მცდელობაზე არსებული თეორიები

4.1. ლეტალურობის თეორია

შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის მცდელობაზე გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ჩამოყალიბდა სამი ძირითადი თეორია: შედეგის საშიშროების, ქმედების საშიშროების და გამიჯვნის თეორიები, რომლებიც განსხვავებულად არეგულირებენ საკითხს. აღნიშნული თეორიები ვრცლად ქვემოთ იქნება განხილული.

შედეგის საშიშროების ანუ ლეტალურობის თეორიის (die Theorie der Erfolgsgefährlichkeit) მიხედვით, შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის გამოყენების წანამძღვარია ძირითადი შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედების დასრულება.[842] ძირითადი შემადგენლობის განხორციელების მცდელობისას შედეგი არ არის განხორციელებული, შესაბამისად, არ არსებობს „წინმსწრები შედეგი".[843]შედეგის საშიშროების თეორიის მიხედვით კი, აუცილებლად უნდა განხორციელდეს ძირითადი შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი, რომელიც საშიშროებას[844] აფუძნებს. აგრეთვე, შედეგით კვალიფიცირებული დელიქტი გაუფრთხილებლობით გამოწვეული შედეგით ხასიათდება და რამდენადაც აქ გაუფრთხილებლობის ელემენტი ფიგურირებს, შედეგის საშიშროების თეორიის მიხედვით, მცდელობისთვის პასუხისმგებლობის დასაბუთება შეუძლებელია.[845]

შედეგის საშიშროების თეორია სწორად წყვეტს საკითხს დანაშაულის მცდელობის საკანონმდებლო განსაზღვრების გათვალისწინებით. საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის თანახმად, დანაშაულის მცდელობა გულისხმობს დანაშაულის განხორციელებისკენ უშუალოდ მიმართულ ქმედებას. მაშინ, როცა დამნაშავის მოქმედება სხვა (ძირითადი შემადგენლობის) შედეგის გამოწვევისკენაა მიმართული და დამნაშავე ვერ აღწევს მიზანს, სანაცვლოდ კი, ძირითადი შემადგენლობის განხორციელების

---

[842] იხ. *Hirsch H.*, Zur Problematik des erfolgsqualifizierten Delikts, GA 1972, S. 75; *Altenhein K.*, Der Zusammenhang zwischen Grunddelikt und schwerer Folge bei den erfolgsqualifizierten Delikten, GA, 1996, S. 30. შედეგის საშიშროების თეორიის ანალიზი იხ. *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 308, Rn. 695; *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 610.

[843] „წინმსწრებ შედეგში" იგულისხმება ის შედეგი, რომელიც მოჰყვება ძირითადი შემადგენლობის განხორციელებას და წინ უსწრებს კვალიფიცირებული შემადგენლობით გათვალისწინებულ შედეგს. მაგ., საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის, რომელმაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობას წარმოადგენს, ხოლო სიცოცხლის მოსპობა-მაკვალიფიცირებელ შედეგს. სანამ სიცოცხლის მოსპობა დადგებოდეს თანამდევი შედეგის სახით, მანამდე მას წინ უსწრებს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელიც უნდა იქნეს განხილული „წინმსწრებ შედეგად", ვინაიდან, სწორედ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას მოსდევს სიცოცხლის მოსპობა, როგორც თანამდევი, მაკვალიფიცირებელი შედეგი.

[844] როგორც ვიცით, ყველა დანაშაული გულისხმობს საშიშროებას. არცერთი დანაშაული არ წარმოადგენს არასაშიშს და საზოგადოებისთვის სასარგებლოს. დანაშაულის საშიშროება შეიძლება კონკრეტულ შემთხვევაში ან თავად ქმედებიდან გამომდინარეობდეს, ან კიდევ შედეგიდან.

[845] იხ. *Maurach R., Gössel K., Zipf H.,* Strafrecht, AT , Band 2, Heidelberg, 1989, S. 140-141, Rn. 117.

მცდელობას გაუფრთხილებლობით შედეგად მოჰყვება ის შედეგი, რომელიც მაკვალიფიცირებელი შემადგენლობის ელემენტია, ვერ ვიტყვით, რომ დამნაშავის ქმედება დამდგარი (მაკვალიფიცირებელი) შედეგისკენ უშუალოდ იყო მიმართულიო, ვინაიდან, დამნაშავეს არათუ სურვილი არ ჰქონია შედეგის დადგომის, არამედ საერთოდ არ ითვალისწინებდა მას.

გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით კი, დანაშაულის მცდელობა იმას გულისხმობს, რომ დამნაშავე თავისი წარმოდგენით უშუალოდ იწყებს დანაშაულის განხორციელებას. აქ კი დამნაშავეს არა აქვს წარმოდგენა მთლიან დანაშაულზე (მაგალითად შედეგის გამოწვევაზე).

შედეგის საშიშროების თეორიას აკრიტიკებს გერმანელი მეცნიერი *ბ. ჰაინრიხი,* რომელიც აღნიშნავს, რომ ძირითადი შემადგენლობის მცდელობით მაკვალიფიცირებელი შედეგის გამოწვევისას ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა დანაშაულთა ერთობლიობით, არამედ როგორც მაკვალიფიცირებელი შემადგენლობის მცდელობა. მისი შეხედულებით, საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა ეწინააღმდეგება პრობლემის საკანონმდებლო გადაწყვეტას, რომლის მიხედვითაც შედეგით კვალიფიცირებული დელიქტი (გერმანული სსკ-ის მე-11 პარაგრაფის მე-2 პუნქტის თანახმად) ზოგადად განზრახ დანაშაულად მიიჩნევა, რაც არ გამორიცხავს მცდელობის შესაძლებლობას.[846] დასახელებული მეცნიერი „შედეგით კვალიფიცირებული მცდელობის“ იდეას ამართლებს იმითაც, რომ იგი დამნაშავის მიმართ მკაცრი სასჯელის შეფარდების შესაძლებლობას იძლევა.[847] მაგალითად, თუ უკანონო აბორტის მცდელობას სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, საქართველოს სსკ-ის 133-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, შეიძლება დამნაშავეს შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა სამიდან ხუთ წლამდე, ხოლო თუ ქმედებას დანაშაულთა ერთობლიობის წესით სსკ-ის 133-ე მუხლის პირველი ნაწილის მცდელობით და 116-ე მუხლით (გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა) დავაკვალიფიცირებთ, დამნაშავეს შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ ორიდან ოთხ წლამდე, ვინაიდან აღნიშნული სასჯელია გათვალისწინებული 116-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო 133-ე მუხლის პირველი ნაწილი საერთოდ არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას როგორც სასჯელის ზომას.

არ შეიძლება სასჯელის გამკაცრება თვითმიზნად ვაქციოთ და ამ მოტივით სტრუქტურულად გაუფრთხილებლობითი დანაშაული ხელოვნურად განზრახ დანაშაულად გამოვაცხადოთ. თუ კონკრეტული ქმედებისთვის სასჯელის გადიდებაა საჭირო, ეს შეიძლება გაკეთდეს აზროვნების ლოგიკური კანონების უარყოფისა და ხელოვნური კონსტრუქციების გარეშეც.

---

[846] იხ. *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 308, Rn. 695.

[847] იქვე,გვ. 308-309, ველის ნომერი 695.

4.2. ქმედების საშიშროების თეორია

ქმედების საშიშროების თეორიის (die Theorie der Handlungsgefährlichkeit) მიხედვით, შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის გამოყენება მაშინაც შეიძლება, როცა ძირითადი შემადგენლობის მცდელობას შედეგად მძიმე შედეგი მოჰყვება.[848] ამასთან არა აქვს მნიშვნელობა რომელ ძირითად დელიქტს ეხება საქმე. ამის გამართლება იმით ხდება, რომ საფრთხე, რომელიც ქმედებას ტიპიურად ახასიათებს, უკვე მძიმე შედეგში ხორციელდება, რაც იმაზე არ არის დამოკიდებული, ძირითადი დელიქტი დასრულდება თუ არა. გარდა ამისა, კანონიც მძიმე შედეგზე ზოგადად მიუთითებს როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებაზე, რომლის გარეშეც დანაშაულის მცდელობის და დასრულების გამიჯვნა შესაძლებელია.[849]

მართალია, ძირითადი დელიქტით გათვალისწინებული შედეგისგან განსხვავებით, მაკვალიფიცირებელ შედეგს არ გააჩნია დანაშაულის მცდელობისა და დასრულების ურთიერთგამიჯვნის ფუნქცია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი არგუმენტი იმ კითხვაზე პასუხის გასაცემად თუ რატომ უნდა დავუჭიროთ მხარი ქმედების საშიშროების თეორიას, რომლის წარმომადგენლებიც შესაძლებლად მიიჩნევენ თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის მცდელობას, მაშინ, როცა მაკვალიფიცირებელი შედეგი გამოწვეულია ძირითადი შემადგენლობის არა სრულად განხორციელებით, არამედ მცდელობით.

თუ სრულად არ განხორციელდა ძირითადი შემადგენლობა, ე. ი. არ დადგა ძირითადი შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი, გაუგებარია, როგორ გადავდივართ მაკვალიფიცირებელ შემადგენლობაზე? მაკვალიფიცირებელი შემადგენლობის ბაზისს ხომ ძირითადი შემადგენლობა წარმოადგენს და თუ ბაზისი სრულად არ არის წარმოდგენილი, რამდენად გამართლებულია ძირითადი შემადგენლობის მცდელობით მომდევნო საფეხურზე – მაკვალიფიცირებელ შემადგენლობაზე გადასვლა?

ქმედების საშიშროების თეორიის წარმომადგენლებს მთავარი აქცენტი გადააქვთ საშიშროებაზე, რომელიც ახასიათებს ქმედებას, რომლითაც მცდელობა ხორციელდება. საშიშროება კი ქმედებას ახასიათებს ძირითადი შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის დადგომამდეც. ის, რომ მძიმე შედეგი დადგა, წარმოდგენილი თეორიის წარმომადგენელთა თვალსაზრისით, სწორედ იმ ქმედების საშიშროებაზე მიუთითებს, რომლითაც ძირითადი შემადგენლობის მცდელობა განხორციელდა.[850]

ქმედების საშიშროების თეორიის წარმომადგენლები არ უარყოფენ იმას, რომ შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობათა მცდელობის საკითხი ყოველთვის ერთნაირად მარტივად არ წყდება. კერძოდ, უნდა შემოწმდეს ობიექტური შერაცხვის საკითხი და თუ შედეგი არ წარმოადგენს დამნაშავის „ქმნილებას“, შედეგის შერაცხვა პრობლემური იქნება.[851]

უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელსაც

---

[848] იქვე, გვ. 309, ველის ნომერი 696. აღნიშნულ დებულებას ქართულ სისხლის სამართალში მხარს უჭერს *მ. ტურავა*. იხ. მისი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 605-606.

[849] იხ. *Heinrich B.* , Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 309, Rn. 696.

[850] იქვე, ველის ნომერი 696.

[851] იქვე, ველის ნომერი 696.

ქმედების საშიშროების თეორიის წარმომადგენლები აწყდებიან, არის სწორედ შედეგის ობიექტური შერაცხვის საკითხი. აღნიშნული თეორიის წარმომადგენლები ერთმანეთში ურევენ დამნაშავის ქმედებით და დაზარალებულის პირადი პასუხისმგებლობით განხორციელებული ქმედებით გამოწვეულ შედეგს და დამნაშავეს პასუხისმგებლობას აკისრებენ იმ შედეგისთვისაც, რომელიც მოჰყვა არა დამნაშავის ქმედებას, არამედ დაზარალებულის პირადი პასუხისმგებლობით განხორციელებულ ქმედებას. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ მართალია, წარმოდგენილი თეორიის მიმდევრები, ერთი მხრივ, უთითებენ განზრახ განხორციელებული ქმედების ფარგლებში მცდელობის შესაძლებლობაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, მძიმე შედეგის დადგომისას არ კმაყოფილდებიან დანაშაულთა ერთობლიობის ანალოგიით და ქმედებას აკვალიფიცირებენ იმ მუხლით, რომელიც პასუხისმგებლობას ითვალისწინებს თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულისთვის და ამავდროულად უთითებენ მცდელობის მუხლზეც, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს საკითხის ლოგიკურ გადაწყვეტად.[852]

4.3. გამიჯვნის თეორია

გამიჯვნის თეორიის (die differenzierende Theorie) წარმომადგენლები შედეგით კვალიფიცირებული მცდელობის დიფერენციაციას ახდენენ ქმედების შემადგენლობის სტრუქტურის მიხედვით. როდესაც მაკვალიფიცირებელი შედეგი ძირითადი შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედებიდან გამომდინარეობს, რჩება ადგილი შედეგით კვალიფიცირებული მცდელობისთვის, რის მაგალითად მოჰყავთ 178-ე (სექსუალური ქმედების იძულება ან გაუპატიურება, რამაც დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია) და 251-ე (ყაჩაღობა, რამაც დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია) პარაგრაფებით გათვალისწინებული შემადგენლობანი.[853] ხოლო, თუკი მძიმე შედეგი, პირიქით, ძირითადი შემადგენლობის განხორციელებით გამოწვეული შედეგიდან გამომდინარეობს, მცდელობის საკითხი იხსნება დღის წესრიგიდან,[854] რის მაგალითადაც მოჰყავთ გერმანიის სსკ-ის 226-ე პარაგრაფის პირველი აბზაცით (ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება) და 306c-ე პარაგრაფით გათვალისწინებული შემადგენლობანი. ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების დროს გამიჯვნის თეორიის წარმომადგენლები იმიტომ გამორიცხავენ შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის (მაგალითად, ჯანმრთელობის დაზიანება, რასაც სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა–გერმანული სსკ-ის 227-ე პარაგრაფი) მცდელობას, რომ მაკვალიფიცირებელი შედეგი გამომდინარეობს ჯანმრთელობის დაზიანებიდან, რაც კონკრეტული ქმედების (სისტემატიური ცემის, დაჭრის და ა.შ) შედეგია. მაშინ, როცა ჯანმრთელობის დაზიანებას შედეგად სიცოცხლის მოსპობა მოჰყვება ადგილი აქვს ნაკლებად მძიმე

---

[852] იქვე,ველის ნომერი 696.

[853] იხ. *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 232, Rn. 617; *Fischer T.*, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Aufl., München, 2010, S. 129. § 18. Rn. 7.

[854] იხ. *Fischer T.*, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Aufl., München, 2010, S. 129. §18. Rn. 7; *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 232-233. Rn. 617.

შედეგის უფრო მძიმე შედეგში გადაზრდას. აღნიშნული იმდენად არ ეხება გაუპატიურებას, რამდენადაც გაუპატიურება ქმედების აღმნიშვნელი ტერმინია და არა შედეგის. გაუპატიურების შედეგად სიცოცხლის მოსპობისას იმიტომ არის ნაკლებად მძიმე შედეგის უფრო მძიმე შედეგში გადაზრდა შეუძლებელი, რომ გაუპატიურება შედეგგარეშე ანუ ფორმალური დანაშაულია და დამთავრებულია გაუპატიურების დამთავრების მომენტში ანუ გაუპატიურების შემადგენლობის ნიშანი არ არის კონკრეტული შედეგი.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულების მიხედვით, მაშინ, როცა ჯანმრთელობის დაზიანებას სიცოცხლის მოსპობა მოჰყვება (გერმანული სსკ-ის 227-ე პარაგრაფი), როულია იმის თქმა, სასჯელის გამკაცრება ქმედების საშიშროებიდან გამომდინარეობს თუ შედეგის საშიშროებიდან.[855]

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის დროს სასჯელის გამკაცრებას კანონმდებელი ყოველთვის შედეგს უკავშირებს და სწორედ ამიტომაც უწოდებენ ასეთ შემადგენლობას შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობას. მართალია, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გვხვდება ისეთი შემადგენლობანიც, რომლებშიც სასჯელის გამკაცრებას მოტივად კანონმდებელი სუბიექტური ნიშნების-მოტივი, მიზანი-გასაკიცხაობას და დანაშაულის განხორციელებისას გამოყენებული საშუალების საშიშროებას უდევს, მაგრამ მათ არ შეიძლება ეწოდოთ შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობანი, რამეთუ მაკვალიფიცირებელ ნიშანს მთელ რიგ შემთხვევებში წარმოადგენს არა შედეგი, არამედ სუბიექტური ნიშანი (მკვლელობა ანგარებით, მკვლელობა სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით) ან კიდევ ისეთი ობიექტური ნიშანი, როგორიცაა დანაშაულის ჩადენის საშუალება (მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას). თუკი, კანონმდებელმა სასჯელი გაამკაცრა ქმედების საშიშროებიდან გამომდინარე, საქმე გვექნება არა შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობასთან, არამედ სხვა სახის უმართლობასთან. მაგალითად, ყაჩაღობა უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე ძარცვა ან კიდევ ქურდობა, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს, მართალია, სხვადასხვა ხარისხის საშიშროების შემცველ ქმედებასთან, თუმცა დასახელებული შემადგენლობანი უნდა განვიხილოთ არა როგორც შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობა, არამედ როგორც (მართლწინააღმდეგობასთან ერთად) სხვადასხვა სახის სისხლისსამართლებრივი უმართლობის მომცემი შემადგენლობა. თავად ტერმინი „შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობა“-ც იმას ნიშნავს, რომ სასჯელის გამკაცრების საფუძველს, მაკვალიფიცირებელ ნიშანს შედეგი უნდა წარმოადგენდეს და არა სხვა ნიშანი. იმ შემადგენლობებს, რომლის მაკვალიფიცირებელ ნიშანს მიზანი და მოტივი წარმოადგენს, შეიძლება ვუწოდოთ მიზნით და მოტივით კვალიფიცირებული შემადგენლობანი.

ისევე დაუშვებელი და გაუმართლებელია მცდელობის აღიარება დამნაშავის განზრახვის მიღმა მყოფი შედეგით კვალიფიცირებული შემად-

---

[855] იხ. *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 232, Rn. 617.

გენლობის განხორციელებისას, როგორც გაუფრთხილებლობით ძირითად შემადგენლობებში. დამნაშავის განზრახვის მიღმა მყოფი შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობებში მცდელობის შესაძლებლობის დასასაბუთებლად იმ არგუმენტის მოშველიება, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, დანაშაული განზრახ განხორციელებულად ითვლება მაშინაც, როდესაც განზრახ განხორციელებულ ქმედებას გაუფრთხილებლობითი შედეგი მოჰყვება, არ არის საკმარისი და წარმოადგენს პრობლემის გადაწყვეტის ხელოვნურ გზას, რომელიც არ ეფუძნება მყარ არგუმენტებს. ყველა განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაცია (თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული დელიქტები), საქართველოს სსკ-ის მე-11 მუხლის 1-ლი და გერმანული სსკ-ის მე-11 პარაგრაფის მე-2 პუნქტის მიუხედავად, სტრუქტურულად გაუფრთხილებლობით დანაშაულს წარმოადგენს.[856]

როცა შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობაში შედეგის მიმართ კანონმდებელი გაუფრთხილებლობის არსებობით კმაყოფილდება და დამნაშავის განზრახ მოქმედებას აღნიშნული (მაკვალიფიცირებელი) შედეგი არ მოჰყვება, დამნაშავე უნდა დაისაჯოს არა შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის, არამედ ძირითადი შემადგენლობის მცდელობისთვის, ვინაიდან მცდელობა განზრახვის გარეშე წინააღმდეგობაში მოდის მცდელობის საკანონმდებლო დეფინიციასთან.[857] შედეგით კვალიფიცირებულ საფრთხის დელიქტს ვერ მივიღებთ მაშინაც, როცა საფრთხის შემქმნელი ძირითადი დელიქტის მცდელობას მოჰყვება მაკვალიფიცირებელი შედეგი.

შედეგით კვალიფიცირებული საფრთხის დელიქტის ბაზისად საფრთხის შემქმნელი ძირითადი შემადგენლობის არა მცდელობას, არამედ დასრულებულ შემადგენლობას განიხილავს *ბ. ჰარდტუნგიც* და აღნიშნავს, რომ როდესაც კანონმდებელი მაკვალიფიცირებელი შედეგის გამომწვევ ქმედებაზე მიუთითებს, მხედველობაში კანონმდებელს საფრთხის დასრულებული ძირითადი დელიქტი აქვს და არა მისი მცდელობა.[858]

5. შეჯამება

სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადია საფრთხის შემქმნელი დელიქტების არა მხოლოდ სრულად განხორციელება, არამედ მცდელობაც. აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის დელიქტების მცდელობა შესაძლებელია. მაგრამ, ეს არ ეხება ყველა საფრთხის დელიქტს. თუ შეიძლება მოქმედებით ჩასადენი საფრთხის დელიქტების მცდელობა, იგი შეუძლებელია წმინდა უმოქმედობის საფრთხის დელიქტებში (დაუხმარებლობა, განსაცდელში მიტოვება). ასეთ დელიქტებში მხოლოდ უვარგისი მცდელობაა შესაძლებელი.

---

[856] ანალოგიურ შეხედულებაზე იხ. *Maurach R., Gössel K., Zipf H.,* Strafrecht, AT, Band 2, Heidelberg, 1989, S. 140-141, Rn. 117; *Gössel K.*, Dogmatische Überlegungen zur Teilnahme am erfolgsqualifizierten Delikt nach § 18 StGB, Lange-FS, Berlin, 1976, S. 235.

[857] იხ. *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 232, Rn. 617.

[858] იხ. *Hardtung B.*, Versuch und Rücktritt bei den Teilvorsatzdelikten des § 11 Abs. 2 StGB, Köln, 2002, S. 80-81.

გაუფრთხილებლობითი შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის მცდელობა შეუძლებელია. „შედეგით კვალიფიცირებული მცდელობის“ იდეა წინააღმდეგობაში მოდის ზოგადად მცდელობის საკანონმდებლო განსაზღვრებასთან, რამდენადაც მცდელობა განზრახი მოქმედებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ დამნაშავის განზრახვით უნდა იყოს მოცული არა მხოლოდ ქმედება, არამედ შედეგიც. შედეგით კვალიფიცირებულ ნამდვილ დელიქტებში (განზრახი მოქმედებისა და გაუფრთხილებლობითი შედეგის კომბინაცია) კი, განსხვავებით შედეგით კვალიფიცირებული არანამდვილი, ფორმალური დელიქტებისაგან (სადაც როგორც ქმედება, ისე შედეგიც დამნაშავის განზრახვითაა მოცული), დამნაშავის განზრახვა ვერ ფარავს მაკვალიფიცირებელ შედეგს.

ტერმინი „შედეგით კვალიფიცირებული მცდელობა“ (der erfolgsqualifizierte Versuch), განსხვავებით შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის მცდელობისაგან (der Versuch einer Erfolgsqualifikation), წინააღმდეგობრივია, რამდენადაც, მცდელობა გულისხმობს ისეთ მოქმედებას, რომელსაც შედეგი არ მოჰყოლია. თუკი შედეგი დადგა, მაშინ, საქმე გვაქვს არა მცდელობასთან, არამედ დამთავრებულ დანაშაულთან. ხოლო, თუ შედეგი არ დადგა, არ გვექნება არა თუ შედეგით კვალიფიცირებული, არამედ ძირითადი შემადგენლობაც.

მაშინ, როცა ძირითადი შემადგენლობის განხორციელების მცდელობას მოჰყვება ის შედეგი, რომელიც სსკ-ის კონკრეტულ მუხლში მაკვალიფიცირებელ გარემოებადაა მითითებული, უფრო მართებული იქნებოდა ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით, თუ მაკვალიფიცირებელი შედეგის მიმართ დამნაშავეს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება გააჩნია, ხოლო, მაშინ, როცა დამნაშავის განზრახვა არა მხოლოდ ძირითადი შემადგენლობის, არამედ მაკვალიფიცირებელ შედეგსაც მოიცავს, ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც კვალიფიცირებული შემადგენლობის მცდელობა, მაშინაც, როცა სახეზეა მხოლოდ ძირითადი შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი და არა მაკვალიფიცირებელი შედეგი, და მაშინაც, როცა არცერთი შედეგი არ არის დამდგარი. პირველ შემთხვევაში, როცა მხოლოდ ძირითადი შედეგია დამდგარი, მოსამართლემ დამნაშავეს უფრო მკაცრი სასჯელი უნდა დაუნიშნოს, ხოლო მეორე შემთხვევაში, როცა არც ძირითადი და არც მაკვალიფიცირებელი შედეგი არ არის განხორციელებული, უფრო მსუბუქი სასჯელი უნდა იქნეს გამოყენებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ წარმოდგენილ საკამათო საკითხს მართებულად წყვეტს „შედეგის საშიშროების თეორია“, რომლის წარმომადგენლებიც ნამდვილი შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობისთვის დამნაშავის დასჯის აუცილებელ პირობად ძირითადი შემადგენლობის სრულად განხორციელებას მიიჩნევენ და გამორიცხავენ კვალიფიცირებული შემადგენლობის მცდელობას, როცა მაკვალიფიცირებელი შედეგის მიმართ დამნაშავეს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება გააჩნია.

VIII. თავი

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, ქმედითი მონანიება და საფრთხის შემქმნელი დელიქტები

1. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა საფრთხის დელიქტებში

ვინაიდან საფრთხის შემქმნელი დელიქტები სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნის ეტაპზეა დამთავრებული, საკამათოა, არის თუ არა დანაშაულზე ხელის აღება საფრთხის დელიქტებში შესაძლებელი. როგორც წესი, დანაშაულზე ხელის აღება შესაძლებელია დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე, მაგრამ საფრთხის შემქმნელი დელიქტი ხომ დანაშაულის მცდელობის სტადიაზე უკვე დამთავრებულია.

ე. ჰილგენდორფი საფრთხის შემქმნელი დელიქტების ბუნებიდან გამომდინარე შეუძლებლად მიიჩნევს საფრთხის დელიქტებში დანაშაულის ბოლომდე განხორციელებისაგან ხელის აღებას.[859] თუმცა, იგი მიზანშეუწონლად თვლის დამნაშავისთვის სასჯელისაგან განთავისუფლების ყველანაირი შესაძლებლობის ჩამორთმევას, თუ დამნაშავე დანაშაულის ფორმალურად დასრულების მერე ხელს უწყობს შემდგომი უფრო დიდი ზიანის დადგომის თავიდან აცილებას. *ჰილგენდორფის* მოსაზრებით, დანაშაულის ფორმალური დასრულების შემდგომ დამნაშავე შეიძლება განთავისუფლდეს ქმედითი მონანიების საფუძველზე.[860]

საფრთხის შემქმნელ დელიქტებში ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის უარყოფა არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. საფრთხის შემქმნელი ზოგიერთი დელიქტის მომზადება და მცდელობა შესაძლებელია. შესაბამისად, ამ დელიქტებში ნებაყოფლობით ხელის აღებაც შესაძლებლად უნდა ვცნოთ. იმ დელიქტებში, სადაც მომზადება და მცდელობა შეიძლება, ნებაყოფლობით ხელის აღებაც არ უნდა გამოირიცხოს.[861] ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მაგალითად, უკანონო აბორტის შემთხვევაში, ვინაიდან აღნიშნული დანაშაულის მცდელობა შეიძლება და იგი ე. წ. შუალედურ შედეგსაც გულისხმობს მუცლის მოშლის სახით. მაგალითად, თუ ექიმმა დაიწყო გარკვეული მოქმედებები ორსული ქალისთვის მუცლის მოსაშლელად, მაგრამ დაწყებული ქმედება ბოლომდე არ მიიყვანა და ორსული ქალისთვის მუცლის მოშლამდე ხელი აიღო დანაშაულის ბოლომდე განხორციელებაზე, თუმცა ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ დანაშაულებრივი ქმედება ბოლომდე განეხორციელებინა. ასეთ დროს ექიმი უნდა განთავისუფლდეს სასჯელისაგან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო.[862]

---

[859] იხ. წიგნში: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, Strafrecht, BT, Lehrbuch, 2. Aufl., § 35. Rn. 122.

[860] იხ. იქვე, § 37. Rn. 54.

[861] იხ. *Maurach, Gössel, Zipf*, Strafrecht, AT, Teilband 2, Heidelberg, 1989, S. 87, §41. Rn. 124, 125.

[862] ნებაყოფლობით დანაშაულის განხორციელებისგან ხელის აღების შინაარსთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული იურიდიულ ლიტერატურაში. ავტორთა ნაწილი თვლის, რომ ნებაყოფლობით დანაშაულზე ხელის აღების დროს ქმედება კარგავს მართლსაწინააღმდეგო და სოციალურად საშიშ ხასიათს. იხ. *წერეთელი თ.,*

საფრთხის დელიქტებიდან ზოგიერთი ე. წ. შეკვეცილ დელიქტებს მიეკუთვნება. შეკვეცილი დელიქტები თავის მხრივ, ნამდვილ და არანამდვილ შეკვეცილ დელიქტებად იყოფა. ნებაყოფლობით ხელის აღება მცდელობის სტადიაზე გამოირიცხება წმინდა შეკვეცილ დელიქტებში,[863] მაშინ, როცა არანამდვილ შეკვეცილ დელიქტებში ამის შესაძლებლობა არსებობს.[864] მაგალითად, ყაჩაღობის, როგორც შეკვეცილი საფრთხის დელიქტის მცდელობა შეუძლებელია, რის გამოც ამ დელიქტში ნებაყოფლობით დანაშაულისგან ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ მომზადების (და არა მცდელობის) ეტაპზე.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება საფრთხის შემქმნელ დელიქტებში შესაძლებელია შემადგენლობის ფორმალურად დამთავრების შემდგომაც მატერიალური გაგებით დანაშაულის დასრულებამდე ანუ შედეგის განხორციელებამდე.[865] წარმოდგენილი მოსაზრება სამართლიანად გააკრიტიკა

სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 533; *დვალიძე ი.,* წიგნში: *ნაჭყებია გ., დვალიძე ი.* (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 175. აღნიშნული შეხედულება არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. ქმედება თავიდანვეა მართლზომიერი, ან მართლსაწინააღმდეგო და სოციალურად საშიში. თუ ქმედება თავიდან მართლსაწინააღმდეგო და სოციალურად საშიშია, მერე არ შეიძლება განხორციელებული ქმედება ნებაყოფლობით ხელის აღების გამო მართლზომიერი და საზოგადოებრივად სასარგებლო გახდეს, ვინაიდან მართლწინააღმდეგობა, ისევე როგორც მართლზომიერება, ობიექტური ხასიათისაა. თუ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება განხორციელებულ ქმედებას მართლზომიერად და საზოგადოებისთვის სასარგებლოდ აქცევს, გამოდის, რომ ის რაც განხორციელდა დანაშაულის მომზადებად ან მცდელობად არ შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან დანაშაულის მომზადების და მცდელობის დასჯადობის ერთ-ერთ საფუძველს ქმედების მართლწინააღმდეგობა წარმოადგენს. მაგრამ, საკითხის ასეთი გადაწყვეტა არასწორია. დანაშაულებრივი ქმედების ნებაყოფლობით შეწყვეტის დროს დანაშაული (მომზადება ან მცდელობა) ჩადენილია, მაგრამ მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება სისხლის სამართლის პოლიტიკის საფუძველზე ხდება. იხ. *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 253; *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 322; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 86. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების პერსონალური საფუძველია. იხ. *Jescheck/Weigend,* Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 548, §51 VI 1; *Kühl K.,* Strafrecht, AT, 6. Aufl., München, 2008, S. 475, §16 Rn. 8.

[863] იხ. *Kindhäuser U.*, Strafrecht, AT, 6. Aufl., Baden-Baden, 2013, S. 269, §32. Rn. 36; *Maurach/ Gössel/Zipf*, იქვე, §41. Rn. 124, 126; *Lackner, Kühl*, Strafgesetzbuch, Kommentar, 27. Aufl., München, 2011, 195, §24. Rn. 29; *Eser/Hecker*, in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., München, 2010, S. 121, §11.Rn. 41; *Rudolphi,Stein*, SK, Band I, 8. Aufl., 2012, §11, Rn.40; *Jescheck/Weigend,* Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 526.

[864] იხ. *Kindhäuser U.*, იქვე, §32. Rn. 36; *Jescheck/Weigend,* იქვე, გვ. 526.

[865] იხ. *Мокринский С.П.*, Покушение и приготовление в советском праве, «Советское право», 1927, №1, с. 67; *Слуцкий ИИ.*, Обстоятельства, исключающие уголовную ответственность, 1956, с. 29-30; *ხარანაული ლ.*, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი, კრებულში: *ტურავა მ.* (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბ., 2013, გვ. 395-396. *ლ. ხარანაული* დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას დამნაშავის აბსოლუტურ უფლებად მიიჩნევს, რაც არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს (იხ. იქვე, გვ. 396). თუ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას დამნაშავის აბსოლუტურ უფლებად ვცნობდით, დამნაშავე უფლებამოსილი იქნებოდა არ შეეწყვიტა დანაშაულებრივი ქმედება და ბოლომდე მიეყვანა იგი. ის, რომ ნებაყოფლობით ხელის აღების გამო კანონმდებელი დამნაშავეს პასუხისმგებლობისგან ანთავისუფლებს, იმაზე როდი მიუთითებს, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დამნაშავის უფლებაა. კანონმდებელი აღნიშნულ შემთხვევაში დამნაშავეს სასჯელისგან იმიტომ ანთავისუფლებს, რომ ამით

თ. წერეთელმა, რომელიც აღნიშნავდა, რომ მოსამართლეს დანაშაულის დამთავრების საკითხის გადასაჭრელად არ შეიძლება ჰქონდეს სხვა კრიტერიუმი, გარდა საკანონმდებლო მითითებისა, ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო აღწერილობისა.[866] მისი თვალსაზრისით, თუ შეკვეცილ შემადგენლობებში დანაშაულის ფორმალურად დამთავრების შემთხვევაში მოსამართლე დანაშაულს არ ჩათვლიდა დამთავრებულად, ეს იქნებოდა მოსამართლის თავისუფალი მიხედულების მეტისმეტი გაფართოება. ვინაიდან საფრთხის შემქმნელ დელიქტებში დანაშაული იმ მომენტშია დამთავრებული, როცა სამართლით დაცულ სიკეთეს საფრთხე შეექმნა, აქ ნებაყოფლობით ხელის აღებას დანაშაულზე არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს.[867]

თუ დანაშაულს შედეგის დადგომამდე არ ვცნობდით დამთავრებულად, მიუხედავად ქმედების საკანონმდებლო აღწერილობისა, ამით ყველა დანაშაულს შედეგიან დანაშაულად გამოვაცხადებდით და შეუძლებელი გახდებოდა დანაშაულთა დაყოფა შედეგიან და შედეგგარეშე დანაშაულად. საფრთხის შემქმნელი დელიქტების არსებობა კი აზრს დაკარგავდა. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ხელს ვერ შეუწყობდა სამართლებრივი სიკეთის სათანადოდ დაცვას. კანონმდებელს დანაშაულის დამთავრების მომენტი ადრეულ სტადიაზე ხშირად იმიტომ გადმოაქვს, რომ ქმედება მეტად საშიშია და საქმე ეხება განსაკუთრებული მნიშვნელობის სამართლებრივი სიკეთის დაცვას. ყოველივე აღნიშნულის იგნორირება დამნაშავის ინტერესების დაცვა უფრო იქნებოდა, ვიდრე დაზარალებულის. გარდა ამისა, ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო აღწერილობის გაუთვალისწინებლობით და დანაშაულის დამთავრების მომენტად ყოველთვის შედეგის დადგომის მიჩნევით ირღვევა კანონიერების პრინციპი, რომელიც სისხლის სამართლის ქვაკუთხედია.

დანაშაულის იურიდიული დამთავრების მერე, მართალია, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლებელია, მაგრამ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, მაინც შესაძლებელია დამნაშავის გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ქმედითი მონანიების გამო ან სასჯელის შემსუბუქება. საქართველოს სსკ-ის 68-ე მუხლის თანახმად, ვინც პირველად ჩაიდენს დანაშაულს, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხ-

---

უნდა დამნაშავის ფსიქიკაზე ზემოქმედება მოახდინოს და უარი ათქმევინოს მას დანაშაულებრივი ქმედების ბოლომდე განხორციელებაზე. დამნაშავე არა უფლებამოსილი, არამედ ვალდებულია ხელი აიღოს დაწყებული დანაშაულებრივი ქმედების ბოლომდე განხორციელებისგან. **დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დამნაშავისთვის შესაძლებლობაა იმისა, რომ თავი გაინთავისუფლოს სასჯელისაგან უკვე განხორციელებული ქმედების გამო. მაგრამ, ყოველგვარი შესაძლებლობა როდია უფლება.** სწორად აღნიშნავს *გ. ნაჭყებია,* რომ საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლში მოცემული წამახალისებელი ნორმა არც ვალდებულებას ადგენს და არც უფლებამოსილებას. აღნიშნული ნორმა სუბიექტს მოუწოდებს, რომ ისარგებლოს მისთვის მიცემული შესაძლებლობით და ხელი აიღოს დაწყებული დანაშაულებრივი ქმედების დასრულებაზე (იხ. *ნაჭყებია გ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, გვ. 37). სსკ-ის 21-ე მუხლი სუბიექტს არც უფლებას ანიჭებს და არც ვალდებულებას აკისრებს, მაგრამ ის, რომ იგი ვალდებულია არ ჩაიდინოს დანაშაულებრივი ქმედება, გამომდინარეობს არა სსკ-ის 21-ე მუხლიდან, არამედ იმ ნორმიდან, რომელიც შესაბამისი ქმედებისთვის სასჯელს ითვალისწინებს.

[866] იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 553.

[867] იხ. *წერეთელი თ.,* იქვე, გვ. 553.

ისმგებლობისაგან, თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადდა ბრალის აღიარებით, ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას და აანაზღაურა ზიანი. უფრო მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი შეიძლება მაშინ გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, თუ ეს გათვალისწინებულია სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით. დანაშაულის განხორციელების შემდეგ ქმედითი მონანიების გამო პასუხისმგებლობისგან დამნაშავის გათავისუფლებას ითვალისწინებს სსკ-ის კერძო ნაწილის 203-ე, 221-ე, 223-ე, 339-ე, 339[1]-ე, მუხლები.

სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება ქმედების განხორციელების სახე, ხერხი, მართლსაწინააღმდეგო შედეგი, ყოფაქცევა ქმედების განხორციელების შემდეგ და სხვ. აღნიშნული ნორმის თანახმად, სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოება შეიძლება გახდეს ის, რომ დამნაშავემ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების შემდგომ ხელი შეუშალა დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას.

2. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საფრთხის შემქმნელი დელიქტის გამო

როდესაც განვიხილავთ ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხს, ჩნდება კითხვა, თუ რა მიმართება არსებობს მკვლელობისგან ნებაყოფლობით ხელის აღებასა და სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელ დელიქტებს შორის. როგორც ცნობილია, ნებაყოფლობით ხელის აღება პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას იწვევს მაშინ, როცა განხორციელებული ქმედება არ შეიცავს სხვა დამთავრებული დანაშაულის ნიშნებს. ჩნდება კითხვა, მკვლელობისგან ნებაყოფლობით ხელის აღება გამოიწვევს თუ არა დამნაშავის სრულად განთავისუფლებას პასუხისმგებლობისგან?ე

მკვლელობისგან ნებაყოფლობით ხელის აღება როგორც მკვლელობის მომზადების, ისე მცდელობის სტადიაზე შეიძლება განხორციელდეს. მკვლელობის მცდელობა ისეთ ქმედებას გულისხმობს, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს კონკრეტულ საფრთხეს უქმნის. საქართველოს სსკ-ში მოცემულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტების შემადგენლობანი. აქედან გამომდინარე, შეიძლება დაისვას კითხვა, ის ვინც ნებაყოფლობით აიღებს ხელს მკვლელობისგან, პასუხს ხომ არ აგებს საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელებისთვის?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. ავტორთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ხელყოფის დელიქტის ბოლომდე განხორციელებისგან ხელის აღება ყოველთვის არ იწვევს დამნაშავის სრულად განთავისუფლებას პასუხისმგებლობისგან. დამნაშავე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო შეიძლება არ დაისაჯოს ხელყოფის დელიქტის მცდელობისთვის, მაგრამ, თუ განხორციელებული ქმედება წარმოადგენს სსკ-ით გათვალისწინებულ საფრთხის შემქმნელ დელიქტს, დამნაშავე საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელები-

სთვის დაისჯება.[868] აღნიშნული დებულების მიხედვით, მკვლელობისგან ნებაყოფლობით ხელის აღება არ იწვევს დამნაშავის სრულ განთავისუფლებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. ის ვინც ხელს აიღებს მკვლელობისგან, უნდა განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან მკვლელობის მცდელობისთვის, მაგრამ დაისჯება საფრთხის შემქმნელი დელიქტის გამო.[869]

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, მეტად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ როგორი საფრთხის შემქმნელი დელიქტის შემადგენლობას ქმნის ის ქმედება, რომელიც განხორციელდა.[870] თუ კონკრეტული საფრთხის დელიქტს, მაშინ ავტორთა ნაწილის აზრით, ნებაყოფლობით ხელის აღების გამო დამნაშავე სრულად შეიძლება განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან, მაგრამ, თუ ქმედებით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის შემადგენლობა განხორციელდა, დამნაშავე პასუხს აგებს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განხორციელებისთვის, ვინაიდან, ქმედება გენერალურ საშიშროებას ქმნის, რაც კონკრეტული საფრთხის საზღვრებს სცდება. მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება მოიცავდეს კონკრეტული საფრთხის შექმნას, მაგრამ არა აბსტრაქტულ საფრთხეს, რამდენადაც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედების საშიშროების, და შესაბამისად, დასჯადობის ფარგლები უფრო წინარე ეტაპზეა გადმოტანილი.[871]

ბ. იენკე განსხვავებულ შეხედულებას აყალიბებს. მისი მოსაზრებით, მკვლელობისგან ნებაყოფლობით ხელის აღების დროს დამნაშავე მკვლელობის მცდელობისთვის პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, მაგრამ იგი უნდა დაისაჯოს სხვისი სიცოცხლის საფრთხეში ჩაყენებისთვის. *იენკეს* თვალსაზრისით, მნიშვნელობა არა აქვს იმას, დამნაშავის მიერ უკვე განხორციელებული ქმედება კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის შემადგენლობას ქმნის, თუ აბსტრაქტული საფრთხის.[872] *იენკეს* მოსაზრება მართებულად შეიძლება ჩაითვალოს. მკვლელობისგან ნებაყოფლობით ხელის აღების გამო პასუხისმგებლობისგან დამნაშავის სრულად გასათავისუფლებად გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა იმას, უკვე განხორციელებული ქმედებით კონკრეტული საფრთხე შეექმნა დაცულ სიკეთეს, თუ აბსტრაქტული საფრთხე, არამედ იმას, დამნაშავის მიერ უკვე განხორციელებული ქმედება ქმნის თუ არა სხვა დამოთავრებული ქმედების შემადგენლობას. მიუხედავად იმისა, ეს საფრთხე იმავე სიკეთეს შეექმნა, თუ სხვა სიკეთეს.

ისეთ შემთხვევას, როცა დანაშაულის მცდელობა სხვა დანაშაულის დასრულებულ ქმედების შემადგენლობას შეიცავს, ლიტერატურაში

---

[868] იხ. *Geppert K.*, Anmerkung Entscheidungen, JR 1994, S. 72; *Otto H.*, Rücktritt und tätige Reue (Rücktritt nach §310 StGB) bei der Brandstiftung, Jura 1986, S. 53.

[869] იხ. *Eser A.*, in: Schönke, Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Auflage, München, Beck, 2010, S. 462, §24. Rn. 110; *გამყრელიძე* ო., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 255.

[870] იხ. *Tröndle H.*, Dei Rechtsprechung des Bundesgerichtshofs in Strafsachen Materielles Recht, GA 1962, S. 231.

[871] იხ. *Jescheck/Weigend,* Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 549; *Eser A.*, in: Schönke, Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., München, 2010, S. 462, §24. Rn. 110; *Rudolphi H.*, in: SK, I Band, 2012, §24. Rn. 44.

[872] იხ. *Jähnke B.*, in: LK, 11. Aufl., Berlin, 2005, 5. Band, §222. Rn. 42.

კვალიფიცირებულ მცდელობას უწოდებენ.[873]

გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ნებაყოფლობით ხელის აღების შედეგებთან და ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით ზემოთ განხილული შეხედულებებისგან განსხვავებული თვალსაზრისი-ცაა გამოთქმული, რომლის მიხედით, ხელყოფის დანაშაულისგან ნებაყოფლობით ხელის აღებისას მოქმედი პირი საერთოდ თავისუფლდება სასჯელისგან და მას პასუხისმგებლობა საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელებისთვისაც არ ეკისრება. მაშასადამე, ნებაყოფლობით ხელის აღებისას იმავე ქმედებით არ ვიღებთ ფორმალურად დამთავრებული დელიქტის სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას.[874] აღნიშნული მოსაზრების ავტორთა შეხედულებით, საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა წინააღმდეგობაში მოდის სსკ-ის იმ ნორმასთან, რომელიც ნებაყოფლობით დანაშაულის ბოლომდე განხორციელებისგან ხელის აღების ინსტიტუტს ითვალისწინებს. დასახელებული ნორმის გამოყენება საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელებისთვის დამნაშავის დასასჯელად ადგილს არ ტოვებს. მნიშვნელობა არა აქვს იმას, განხორციელებული ქმედება წარმოადგენს თუ არა იმ დანაშაულის მომზადებას ან მცდელობას, რომლისგანაც მოხდა ხელის აღება. მათი აზრით, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა უნდა მოხდეს იმისგან დამოუკიდებლად, სისხლის სამართლის კოდექსით აღნიშნული ქმედება როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი ისე ისჯება, თუ როგორც კონკრეტული საფრთხის დელიქტი.[875]

არ შეიძლება გაზიარებული იქნეს იმ ავტორთა შეხედულება, რომლებიც თვლიან, რომ ნებაყოფლობით ხელის აღებისას დამნაშავე სრულად უნდა განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან და არ უნდა დაისაჯოს მოქმედი პირი როგორც ხელყოფის დანაშაულის მცდელობის, ისე საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელებისთვის. ნებაყოფლობით ხელის აღების დროს დამნაშავეს პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების გარანტია კანონმდებელმა მხოლოდ იმ ქმედებასთან დაკავშირებით მისცა, რომლის ბოლომდე განხორციელებისგანაც აიღო ხელი. მაგრამ, თუ განხორციელებული ქმედება სხვა დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას ქმნის დამნაშავეს პასუხისმგებლობა სწორედ ამ უკანასკნელი ქმედებისთვის უნდა დაეკისროს, ვინაიდან იგი დასრულებული ფორმით უკვე განხორციელებულია და მისგან ნებაყოფლობით ხელის აღებაც შეუძლებელია.

საკითხის სწორად გადასაწყვეტად მეტად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორ შევაფასებთ განხორციელებულ ქმედებას. კერძოდ, შევაფასებთ მას მხოლოდ როგორც ხელყოფის დანაშაულის მომზადებას ან მცდელობას, თუ როგორც ქმედებას, რომელსაც საფრთხის შემქმნელი დამოუკიდებელი შემადგენლობის მოცემა შეუძლია. თუ ჩვენ შესაბამის ქმედებას მხოლოდ ხელყოფის დანაშაულის მომზადებად ან მცდელობად დავაკვალიფიცირებთ, მოგვიწევდა დამნაშავის სრულად განთავისუფლება პასუხისმგებლობისგან, მაგრამ, თუ ქმედებას ამავდროულად საფრთხის შემქმნელ დელიქტად შევაფასებთ, დამნაშავის სასჯელისგან სრულად განთავისუფლება შეუძლებელი გახდება. ავტორთა ნაწილი ასეთ

---

[873] იხ. *Eser A.*,იქვე, S. 462, §24. Rn. 109; *Kühl K.*, Strafrecht, AT, 7. Aufl., München, 2012, S. 569, §16. Rn. 88.

[874] იხ. *Lilie H./Albrecht D.*, in: LK, 11. Aufl., Erste Band, Berlin, 2003, §24. Rn. 333.

[875] იხ. *Lilie H./Albrecht D.*, იქვე.

დროს დამნაშავის სასჯელისგან სრულად განთავისუფლებაზე უარის თქმის მიზანშეწონილობას იმით ასაბუთებს, რომ იმავე დაცულ სიკეთეს კონკრეტული საფრთხე ექმნება. საფრთხის შექმნა ხელყოფის წინარე საფეხურია. შეუძლებელია სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, თუ იგი ჯერ საფრთხის ზონაში არ მოხვდა. კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის შემადგენლობის განსახორციელებლად სამართლებრივი სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნაც საკმარისია და საჭირო არ არის სიკეთის ხელყოფა. მიუხედავად ხელყოფის დელიქტის ბოლომდე განხორციელებისგან ხელის აღებისა, სისხლისსამართლებრივი უმართლობა მაინც განხორციელებულია. ნებაყოფლობით ხელის აღებას არ შეუძლია იმ საფრთხის განეიტრალება, რომელიც უკვე შეიქმნა. ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებისთვის საჭიროა განხორციელებული უმართლობის გამოსწორება, კომპენსირება (wiedergutmachen),[876] რასაც ადგილი არ აქვს მაშინ, როცა განხორციელებული ქმედებით საფრთხე ექმნება იმავე სიკეთეს, რომლის ხელყოფისკენ მიმართული ქმედების ბოლომდე მიყვანისგანაც აიღო ხელი დამნაშავემ.[877]

საკითხის გადაწყვეტისას გასათვალისწინებელია ასევე კანონმდებლის პოზიცია. საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ნებაყოფლობით დანაშაულის განხორციელებისგან ხელის აღების გამო სასჯელისგან სრულად განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა განხორციელებული ქმედება არ შეიცავს სხვა დამთავრებული დანაშაულის ნიშნებს.

3. შეჯამება

აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის დელიქტებში დანაშაულის განხორციელებისგან ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია, ვინაიდან ამ დელიქტების მომზადება და მცდელობაა შესაძლებელი. იქ, სადაც დანაშაულის მომზადება და მცდელობა შეიძლება, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობაც გამორიცხული არ არის. საფრთხის დელიქტებში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება რომ შეიძლება ეს ყველა სახის საფრთხის დელიქტს არ ეხება. წმინდა უმოქმედობის საფრთხის დელიქტებში დანაშაულის მომზადება და მცდელობა შეუძლებელია, რაც ამ დელიქტებში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობასაც გამორიცხავს. რაც შეეხება შეკვეცილი შემადგენლობის საფრთხის დელიქტებს (მაგალითად, ყაჩაღობა), მათი მომზადება შეიძლება, მაგრამ არა მცდელობა, რამდენადაც დანაშაული მცდელობის სტადიაზე უკვე იურიდიულად დამთავრებულია. შესაბამისად, ამ დელიქტებში მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის

---

[876] იხ. *Geppert K.*, იქვე.

[877] დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაზე არსებობს ასევე სხვა თეორიებიც, რომელთა განხილვა მოცემულ შემთხვევაში მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ. აღნიშნულ თეორიებზე იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 87-88; *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 342-343; *Rengier R.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., München, 2011, S. 315.

აღება შეუძლებელია.

ზოგიერთი ხელყოფის დანაშაულის მცდელობა საფრთხის შემქმნელი დელიქტის დამთავრებულ შემადგენლობას შეიცავს. აქედან გამომდინარე, ცალკეული ხელყოფის დელიქტის მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღება ამ დანაშაულის მცდელობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას იწვევს, მაგრამ დამნაშავე სრულად არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან და საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელებისთვის ისჯება.

IX. თავი

თანამონაწილეობა საფრთხის დელიქტებში

1. თანამონაწილეობის დასჯადობის ობიექტური საფუძველი

თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველს ერთიანი სისხლის სამართლებრივი უმართლობა წარმოადგენს. ეს ერთიანობა შეეხება სისხლისსამართლებრივი უმართლობის როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ მხარეს. ობიექტური თვალსაზრისით თანამონაწილენი მონაწილეობენ ერთი და იმავე სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელებაში. არ შეიძლება, რომ თანამონაწილეებს პასუხისმგებლობა სხვადასხვა უმართლობის განხორციელებისთვის დაეკისროთ.

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ობიექტურ საფუძველთან დაკავშირებით სისხლის სამართლის მეცნიერებაში სხვადასხვა თეორიები ჩამოყალიბდა: მიზეზობრიობის თეორია, კომუნიკაციის თეორია, დახმარების თეორია, საფრთხის ამაღლების თეორია, აბსტრაქტული საფრთხის თეორია.[878] აღნიშნული თეორიები შეეხება თანამონაწილის, სახელდობრ, დამხმარის და წამქეზებლის ქმედების, ძირითად დანაშაულებრივ ქმედებასთან თანამიზეზობრიობის პრობლემას, იმას, თუ რამდენად აუცილებელია წამქეზებლის და დამხმარის ქმედება მიზეზობრივ კავშირში იყოს ამსრულებლის მიერ განხორციელებულ ძირითად ქმედებასთან.

ყველა თანამონაწილის მოქმედება, ქართულ სისხლის სამართალში დღემდე გაბატონებული მოსაზრების თანახმად, მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს დამდგარ შედეგთან.[879] მაგრამ, მიზეზობრივი კავშირი თანამონაწილის ქმედებასა და ამსრულებლის ძირითადი დანაშაულებრივი ქმედებით გამოწვეულ შედეგს შორის, თანამონაწილეობის დასჯადობის არასაკმარისი პირობაა.

თანამონაწილეობა აქცესორული ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამონაწილეს პასუხისმგებლობა ამსრულებლის მიერ განხორციელებული დანაშაულში მონაწილეობისთვის ეკისრება. მართალია, თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველს ერთიანი სისხლისსამართლებრივი უმართლობა წარმოადგენს, მაგრამ, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია მაშინ, როცა სისხლისსამართლებრივ უმართლობას შეურაცხი აღასრულებს.

გერმანული სსკ-ის მიხედვით თანამონაწილეობა შესაძლებელია მაშინ, როცა სისხლისსამართლებრივი უმართლობის ამსრულებელი არაბრალეულად მოქმედებს. ამავე კოდექსის 26-ე პარაგრაფის მიხედვით წამქეზებელია ის, ვინც განზრახ წააქეზებს სხვას **განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების** ჩასადენად. ხოლო 27-ე პარაგრაფის თანახმად, დამხმარეა ის, ვინც განზრახ დაეხმარება სხვას განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებაში. წამქეზებლისა და დამხმარის წარმოდგენილ დეფინიციებში ხაზგასმა მოცემულია განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებაში წაქეზებასა და დახმარე-

[878] იხ. *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 629-631, Rn. 1326-1329.

[879] იხ. *Церетели Т.,* Причинная Связь в уголовном праве, 1963, с. 341.

ბაზე, რაც იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი აღიარებს თანამონაწილეობის ლიმიტირებულ აქცესორულ თეორიას. აღნიშნული თეორია, რომელმაც გერმანულ სსკ-ში ასახვა 1943 წელს ჰპოვა, არ მოითხოვს ამსრულებლისაგან ბრალეულ ქმედებას.[880] ლიმიტირებული აქცესორული თეორიის მიხედვით, მაშინ, როდესაც საქმე ეხება სპეციალური ამსრულებლის მიერ ჩასადენ დელიქტს და ამსრულებელი არაბრალეულად მოქმედებს, წამქეზებელს და დამხმარეს პასუხისმგებლობა ეკისრებათ არა როგორც შუალობით ამსრულებელს, არამედ როგორც თანამონაწილეს. შუალობითი ამსრულებლობისთვის წამქეზებელს პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება, რამდენადაც იგი არ არის სპეციალური ნიშნების მატარებელი პირი და ვერ გამოდგება ამსრულებლად. თუმცა, მისი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებაც დაუშვებელია. აღნიშნულ შემთხვევაში წამქეზებლის დასჯადობა, ლიმიტირებული აქცესორული თეორიის მიხედვით, შესაძლებელია. ლიმიტირებული აქცესორული თეორია გულისხმობს აქცესორობას არა ამსრულებლის ბრალეულ ქმედებასთან, არამედ უმართლობასთან.

საქართველოს სსკ-ის 23-ე მუხლის მიხედვით „დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას **განზრახი დანაშაულის** ჩადენაში“. როგორც აღნიშნულიდან ჩანს, აქ საუბარია არა მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში, არამედ დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობაზე. დანაშაული კი გულისხმობს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების განხორციელებას. ბრალი დანაშაულის აუცილებელი ნიშანია და შესაბამისად, როცა დანაშაულის განხორციელებაში მონაწილეობაზე ვსაუბრობთ, მხედველობაშია ბრალეული ქმედების განხორციელებაში მონაწილეობა. დანაშაულში თანამონაწილეობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ ამსრულებელი ბრალეულად მოქმედებდეს. არაბრალეული პირი დანაშაულს ვერ განახორციელებს და აქედან გამომდინარე ვერც დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობაზე ვისაუბრებთ თუ ამსრულებელს ჩადენილი უმართლობა ბრალად არ შეერაცხება. დანაშაულში თანამონაწილეობასა და დანაშაულის შუალობით ამსრულებლობას შორის ის განსხვავებაა, რომ ერთ შემთხვევაში ამსრულებელი ბრალეულია, ხოლო მეორე შემთხვევაში არაბრალეული.

მ. ტურავა თანამონაწილეობის დასჯადობის საკითხს ლიმიტირებული აქცესორული თეორიის მიხედვით წყვეტს.[881] მაგრამ საკამათოა შეიძლება იყოს, საკითხის ასეთი გადაწყვეტა თუ რამდენად შეესაბამება თანამონაწილეობაზე ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში ასახულ დებულებებს. *მ. ტურავას* თვალსაზრისით, ქართული სსკ-ის 23-ე მუხლის ტექსტი შეზღუდულად უნდა განვმარტოთ და „დანაშაულში თანამონაწილეობა“ უნდა გავიგოთ ვიწროდ, კერძოდ, როგორც მართლსაწი-

---

[880] იხ. *Rengier R.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., München, 2011, S. 409; *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 598, Rn. 1279; *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band II, 2003, S. 128, §26 Rn. 4, 5; *Kühl K.,* Strafrecht, AT, 6. Aufl., München, 2008, S. 703; *Jescheck H-H., Weigend T.,* Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 655; *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., 2010, S. 204, Rn. 553.

[881] იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 333.

ნააღმდეგო ქმედებაში თანამონაწილეობა.[882]

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, **დანაშაულში თანამონაწილეობა** გულისხმობს ამსრულებლის ბრალეულ ქმედებას, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს თანამონაწილეთა თანაბრალეულობა წარმოადგენდეს[883], ვინაიდან ბრალი სისხლისსამართლებრივი უმართლობისაგან განსხვავებით პერსონალური ხასიათისაა. საქართველოს სსკ-ის 25-ე მუხლის თანახმად, თანამონაწილენი პასუხს აგებენ ერთიანი სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელების გამო საკუთარი ბრალისთვის.

2. თანამონაწილეობა საფრთხის დელიქტებში

როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამონაწილეთა მოქმედება, ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში დღემდე გაბატონებული მოსაზრების თანახმად, მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს დამდგარ შედეგთან, რაც იმას გულისხმობს, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია დანაშაულის დამთავრებამდე. მას შემდეგ, როცა დანაშაული განხორციელდება, თანამონაწილეობაც ამ დანაშაულში გამორიცხულია.

დანაშაულის დამთავრების ორ ეტაპს გამოჰყოფენ: დანაშაულის დამთავრება ფორმალური გაგებით და დანაშაულის დამთავრება მატერიალური გაგებით. დანაშაულის დამთავრება ფორმალური და მატერიალური გაგებით ხშირად (ხელყოფის დელიქტებში, კერძოდ, მკვლელობის დროს) ემთხვევა ერთმანეთს. მაშინ, როცა საქმე ეხება ე.წ. შედეგგარეშე დანაშაულს, დანაშაული ფორმალური გაგებით მაშინაა დამთავრებული, როცა სსკ-ის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა სრულად განხორციელდება, ხოლო დანაშაული მატერიალური გაგებით დამთავრებულია, როცა სსკ-ის კონკრეტული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას მოჰყვება გარკვეული შედეგი, რომელიც შეიძლება საკანონმდებლო შემადგენლობის მიღმა იყოს და არ წარმოადგენდეს ქმედების შემადგენლობის ნიშანს.[884]

კანონმდებელი ხშირად დანაშაულს დამთავრებულად აცხადებს გარკვეული შედეგის დადგომამდე და დანაშაულის დამთავრების მომენტს უკავშირებს განსაზღვრული ქმედების განხორციელებას, რომელიც დანაშაულის მომზადებას ან მცდელობას მოგვაგონებს. აღნიშნული შეეხება მიზნით დაფუძნებულ, შეკვეცილ და ასევე საფრთხის შემქმნელ დელიქტებსაც, რომელიც დამთავრებულად ითვლება სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნის მომენტიდან და მისი დამთავრებისთვის აუცილებელი არაა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. ვინაიდან საფრთხის შემქმნელი დელიქტები დამთავრებულია კანონით აღწერილი ქმედების განხორციელების ან კიდევ სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნის

---

[882] იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 328, სქოლიო.

[883] საწინააღმდეგო მოსაზრება იხ. *ნაჭყებია გ.,* წიგნში: *ნაჭყებია გ., დვალიძე ი.,* (რედ), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 30.

[884] იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 194.

მომენტში, ამ დელიქტებში თანამონაწილეობაც სწორედ სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნამდე ანუ დანაშაულის ფორმალური გაგებით დამთავრებამდეა შესაძლებელი. შესაბამისად, საფრთხის შემქმნელ დელიქტებში დახმარება შეიძლება მოიცავდეს დანაშაულის ფორმალურად დამთავრებამდე დახმარებაში წინასწარ შეპირებას, რომელიც დანაშაულის ფორმალურად დამთავრების მერე უნდა განხორციელდეს. მაგალითად, ყაჩაღობა გულისხმობს სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით თავდასხმას, რომელიც ჩადენილია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით. ყაჩაღობა ე. წ. ფორმალურ შემადგენლობას წარმოადგენს და დამთავრებულია თავდასხმის მომენტში და დანაშაულის ფორმალურად დამთავრება არ მოითხოვს ნივთის დაუფლებას დამ ის განკარგვას. ყაჩაღობაში დახმარებად უნდა მივიჩნიოთ თავდასხმის განხორციელებამდე დანაშაულის ამსრულებლისთვის წინასწარი შეპირება, რომ დაეხმარება ამსრულებელს დაუფლებული ნივთის გადამალვაში ან რეალიზაციაში.[885] თუკი ადგილი არ ექნება წინასწარ შეპირებას და წინასწარი შეპირების გარეშე მოხდება თავდასხმის განხორციელების შედეგად დაუფლებული ნივთის რეალიზაცია, ქმედება დაკვალიფიცირდება არა როგორც ყაჩაღობაში დახმარება, არამედ როგორც საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა ან გასაღება).[886]

სწორად აღნიშნავს *თ. წერეთელი,* რომ თუ საფრთხის შემქმნელ დელიქტებში თანამონაწილეობას შესაძლებლად ვცნობთ კანონმდებლის მიერ აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების სრულად შესრულების შემდეგ, მაშინ დანაშაულის მომზადებად ან მცდელობად უნდა მივიჩნიოთ ის, რაც კანონშია აღწერილი.[887]

თ. წერეთლისგან განსხვავებულ თვალსაზრისს გამოთქვამს *ო. გამყრელიძე* და აღნიშნავს, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა დანაშაულის ფორმალურად დამთავრების შემდეგ ფორმალურ დელიქტშიც შესაძლებელია. კერძოდ, ყაჩაღობაში თანამონაწილეობა ყაჩაღობის ფაქტიურად დამთავრების ანუ თავდასხმის მერეც არის შესაძლებელი. ის, ვინც ყაჩაღს თავდასხმის განხორციელების შემდეგ ქონების დაუფლებამდე დაეხმარება, იქნება თანამონაწილე.[888]

ო. გამყრელიძის თვალსაზრისით, დანაშაულის ფორმალური დამთავრების შემდგომ თანამონაწილეობასთან დაკავშირებით არავითარი განსხვავება არ არსებობს შეკვეცილ, დენად და ხელყოფის დანაშაულებს შორის.[889] თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი შეხედულებით, ის, ვინც ყაჩაღს თავდასხმის შემდეგ დაეხმარება ქონების დაუფლებაში თანამონაწილე იქნება, მაგრამ პასუხს აგებს ქურდობაში ან ძარცვაში თანა-

---

[885] იხ. *წერეთელი თ.,* იქვე, გვ. 198.

[886] ანალოგიური შეხედულება იხ. *წერეთელი თ.,* იქვე, გვ. 198. იმისათვის, რომ ქმედება საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლით დაკვალიფიცირდეს, მართალია, დამნაშავე იმას, ვინც სხვის ნივთს დანაშაულებრივი გზით ეუფლება ნივთის დაუფლებამდე არ ჰპირდება, რომ იგი გაყიდის დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ნივთს, მაგრამ, საჭიროა, ნივთის რეალიზაციამდე იცოდეს, რომ ნივთი დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული.

[887] იხ. *წერეთელი თ.,* იქვე, გვ. 196.

[888] იხ. *გამყრელიძე ო.,* სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2011, გვ. 270.

[889] იხ. *გამყრელიძე ო.,* იქვე, გვ. 271.

მონაწილეობისათვის. ხოლო ის, ვინც უშუალოდ მონაწილეობს ქონების დაუფლებაში, დაისჯება როგორც ქურდობის ან ძარცვის ამსრულებელი.[890] საკითხის ასეთი გადაწყვეტა შეიძლება საკამათო იყოს, ვინაიდან თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველს ერთიანი უმართლობის განხორციელებაში მონაწილეობა წარმოადგენს. ძარცვა და ყაჩაღობა კი სხვადასხვა უმართლობაა. თუ ყაჩაღობაში თანამონაწილეობა ყაჩაღობის ფორმალურად განხორციელების ანუ თავდასხმის მერეც შესაძლებელია, თანამონაწილემაც პასუხი უნდა აგოს ყაჩაღობაში მონაწილეობისთვის და თუ ეს შეუძლებელია, სწორედ იგი არის არგუმენტი იმისთვის, რომ ყაჩაღობაში თანამონაწილეობა ამ დანაშაულის ფორმალურად განხორციელების შემდეგ გამორიცხულია.

დანაშაულში დახმარებას დანაშაულის შემადგენლობის ფორმალური გაგებით განხორციელების შემდეგ შესაძლებლად მიიჩნევს ზოგიერთი გერმანელი მეცნიერი.[891] *რუდოლფი* აღნიშნავს, რომ აქცესორული თეორიის მიხედვით, დახმარება გულისხმობს ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში წვლილის შეტანას, რაც ამსრულებლის მიერ ქმედების შემადგენლობის განხორციელების მერე დახმარების შესაძლებლობას გამორიცხავს.[892] ოუმცა, *რუდოლფის* შეხედულებით, დანაშაული დასრულებულია ქმედების შემადგენლობის არა ფორმალურად, არამედ მატერიალურად დამთავრებისას.[893] აღნიშნულიდან გამომდინარე იგი დახმარებას შესაძლებლად მიიჩნევს დანაშაულის არა მხოლოდ ფორმალურ დამთავრებამდე, არამედ ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის დადგომის მერეც დანაშაულის მატერიალურ დამთავრებამდე.[894]*რუდოლფს* თავისი დებულების ნათელსაყოფად შემდეგი მაგალითები მოჰყავს: 1.) „ა“ ცეცხლს წაუკიდებს სხვის საკარმიდამოს, ხოლო დამხმარე, დანაშაულის ფორმალურად დამთავრების (ცეცხლის წაკიდების) შემდეგ ნავთს მოასხამს ცეცხლმოკიდებულ სახლს, რათა დააჩქაროს სახლის ბოლომდე დაწვის პროცესი; 2.) სხვისი ნივთის დაუფლების შემდეგ, ანუ ქურდობის ფორმალურად დამთავრების მერე, დამხმარე ქურდს დაეხმარება ნაქურდალის ტრანსპორტირებაში.[895]

მაშინ, როცა დანაშაულის ფორმალურად და მატერიალურად დამთავრება ერთმანეთისგან შეიძლება გაიმიჯნოს, დანაშაულის ფორმალურად დამთავრების შემდეგ დანაშაულში თანამონაწილეობას, კერძოდ, დახმარებას დანაშაულის მატერიალურად დამთავრებამდე შესაძლებლად მიიჩნევს *იეშეკიც*.[896] გარდა ამისა, *იეშეკი* დანაშაულის ფორმალურად და მატერიალურად დამთავრების მომენტის გამიჯვნის შედეგს იმაშიც ხედავს, რომ მისი თვალსაზრისით, მაკვალიფიცირებელი ნიშანი

---

[890] იხ. *გამყრელიძე ო.*,იქვე,გვ. 271.

[891] იხ. *Baumann/Weber/Mitsch*, Strafrecht, AT, Lehrbuch, 11. Aufl., Bielefeld, 2003, S. 745, § 31 Rn. 25; *Lackner/Kühl,* Strafgesetzbuch Kommentar, 26. Aufl., München, 2007, S. 207-208, § 27 Rn. 3.

[892] იხ. *Rudolphi H-J.*, Die zeitlichen Grenzen der sukzessiven Beihilfe, Jescheck-FS, Berlin, 1985, S. 559.

[893] იხ. *Rudolphi H-J.*, იქვე, გვ. 559.

[894] იხ. *Rudolphi H-J.*, Die zeitlichen Grenzen der sukzessiven Beihilfe, Jescheck-FS, Berlin, 1985, S. 559.

[895] იხ. *Rudolphi H-J.*, იქვე,გვ. 559-560.

[896] იხ. *Jescheck H.*, Wesen und rechtliche Bedeutung der Beendigung der Straftat, Welzel-FS, 1974, S. 697.

დანაშაულის ფორმალურად დამთავრების მერეც არის შესაძლებელი დანაშაულის მატერიალურ დამთავრებამდე.[897] ამის მაგალითად ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, შეიძლება დასახელდეს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული. კერძოდ, თავისუფლების უკანონო აღკვეთა დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით. ადამიანისთვის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის და მისი დაკავების მომენტიდან დანაშაული ფორმალურად დამთავრებულია, მაგრამ იგი მატერიალურად ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანის იდეა შეიძლება დამნაშავეს დანაშაულის ფორმალურად დამთავრებამდე არც ჰქონდეს და მას ეს აზრი სსკ-ის 143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფორმალურად დამთავრების მერე გაუჩნდეს. თანამონაწილეც შეიძლება დანაშაულის ფორმალურად დამთავრების მერე ჩაერთოს დანაშაულებრივ საქმიანობაში და ამსრულებელს დაეხმაროს უკვე უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილი ადამიანის საზღვარგარეთ გაყვანაში. შეიძლება თუ არა მაკვალიფიცირებელი ნიშნის განხორციელება დანაშაულის ფორმალურად დამთავრების შემდეგ, ეს მაკვალიფიცირებელი ნიშნის თავისებურებაზეა დამოკიდებული. მაგალითად ისეთმა მაკვალიფიცირებელმა ნიშანმა, როგორიცაა არაეროგზისობა, შეუძლებელია დანაშაულის ფორმალურად განხორციელების შემდგომ შეიძინოს მაკვალიფიცირებელი ნიშნის ფუნქცია. ეს ნიშანი, როგორც მაკვალიფიცირებელი ნიშანი, დანაშაულის ფორმალური განხორციელების მომენტშივე არსებობს ან არ არსებობს. იგივე ითქმის მიზანზე და მოტივზე, როცა იგი პასუხისმგებლობას ამძიმებს. ამსრულებელი თავიდანვე მოქმედებს განსაზღვრული მიზნით და მოტივით. გარდა ამისა, ისეთი ნიშანი, როგორიც არაეროგზისობაა, მისი პერსონალური ხასიათის გამო ისედაც ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს თანამონაწილის პასუხისმგებლობაზე. მაშასადამე, მაკვალიფიცირებელი ნიშნები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: 1) ნიშნები, რომლებიც დანაშაულის ფორმალურად განხორციელების მომენტში არსებობენ და ესენი ძირითადად პერსონალური ხასიათის ნიშნებია, და 2) ნიშნები, რომლებიც დანაშაულის ფორმალურად განხორციელების მერეც შეიძლება წარმოიშვას დანაშაულის მატერიალურად დამთავრებამდე და ასეთი ნიშნის განხორციელებაში შეიძლება იმ თანამონაწილემაც შეიტანოს საკუთარი წვლილი, რომელიც დანაშაულის განხორციელებაში დანაშაულის ფორმალურად განხორციელების მერე ჩაერთო.

დანაშაულის ფორმალურად დამთავრების შემდეგ თანამონაწილეობა დანაშაულის განხორციელებაში შესაძლებელია ე. წ. ორაქტიან დელიქტებშიც, რომლებშიც პირველი აქტის განხორციელება დანაშაულის ფორმალურად დამთავრებისთვის საკმარისია, ხოლო მეორე აქტი პირველ აქტთან მიმართებით დანაშაულის მატერიალურ დამთავრებად განიხილება.[898] ასეთ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოს სსკ-ის მე-200 პრიმა მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – ყალბი აქციზური მარკების დამზადება, გასაღება ან გამოყენება.[899] ყალბი აქცი-

---

[897] იხ. *Jescheck H.*, იქვე, გვ. 698.

[898] იხ. *Jescheck H.*, იქვე, გვ. 687.

[899] იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლით (ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყ-

ზური მარკის დამზადება ანუ პირველი აქტის განხორციელება საკმარისია დანაშაულის ფორმალურად დამთავრებისთვის, ხოლო მეორე აქტის განხორციელება – ყალბი აქციზური მარკის გასაღება დანაშაულის მატერიალურ დამთავრებას წარმოადგენს. თანამონაწილე დანაშაულის განხორციელებაში შეიძლება პირველი აქტის განხორციელების შემდეგ, მეორე აქტის განხორციელებამდე ჩაერთოს.

ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი აღნიშნავს, რომ თანამონაწილეობა დანაშაულში დანაშაულის იურიდიული დამთავრების შემდეგაცაა შესაძლებელი.[900] თუმცა, იგი ამას ზოგად წესად არ აღიარებს და თანამონაწილეობას, კერძოდ, დახმარების შესაძლებლობას გამორიცხავს დანაშაულის ფორმალური დამთავრების შემდეგ ე. წ. შეკვეცილ შემადგენლობებში.[901]

არის თუ არა დანაშაულის ფორმალური დამთავრების მერე დახმარება შესაძლებელი, ამაზე ცალსახა პასუხის გაცემა შეუძლებელია. იგი დამოკიდებულია დელიქტის ტიპზე. მაშინ, როცა ყაჩაღობაში დახმარება ამ დანაშაულის მხოლოდ ფორმალურ დამთავრებამდეა შესაძლებელი, თანამონაწილეობა სავსებით შესაძლებელია თავისუფლების აღკვეთაში მისი ფორმალური დამთავრების შემდეგაც, მატერიალურ დამთავრებამდე.

უშედეგო ანუ ე. წ. ფორმალური დანაშაულები ორად უნდა გავყოთ: ესენია, უშედეგო დენადი და უშედეგო არადენადი დანაშაულები. როცა საქმე უშედეგო დენად დანაშაულს (თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა) ეხება, უნდა ითქვას, რომ ასეთ დანაშაულებში დახმარება დანაშაულის ფორმალური დამთავრების მერეც არის შესაძლებელი მის მატერიალურად დასრულებამდე. მაგრამ, თუ საქმე უშედეგო არადენად დანაშაულს (ყაჩაღობა) ეხება, დახმარება დანაშაულის ფორმალურად დასრულების მერე შეუძლებელია.

3. თანამონაწილეობა საკუთარი ხელით ჩასადენ საფრთხის დელიქტებში

მართალია, თანამონაწილეობით საფრთხის დელიქტების განხორციელება შესაძლებელია, მაგრამ რამდენადაა იგი შესაძლებელი ისეთ საფრთხის დელიქტებში, რომლებიც საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტებს მიეკუთვნებიან? ასეთი საფრთხის დელიქტებს წარმოადგენს მაგალითად განსაცდელში მიტოვება (საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლი) და ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება (სსკ-ის 130-ე მუხ.). აღნიშნული დელიქტები წმინდა უმოქმედობის დელიქტებია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ჩადენა მხოლოდ უმოქმედობითაა შესაძლებელი. წმინდა უმოქმედო-

---

ენება), 212-ე მუხლით (ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება), 260-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) და ზოგიერთი სხვა მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე.

[900] იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 14. ველის ნომერი 24; 241, ველის ნომერი 473.

[901] იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.,* იქვე, გვ. 245, ველის ნომერი 485-486.

ბის დელიქტები მოქმედების მოვალეობის შეუსრულებლობას უკავშირდება. მოქმედების მოვალეობა კონკრეტულ პირს ეკისრება, რომელიც სხვას არ გადაეცემა, შეუძლებელია მისი გადაკისრება სხვა პირისათვის და ამიტომ უწოდებენ წმინდა უმოქმედობის დელიქტს საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტს. განსაცდელში მიტოვების და ავადმყოფის განსაცდელში მიტოვების ამსრულებელია მხოლოდ ის პირი, რომელსაც განსაცდელში მყოფის მიმართ ზრუნვის ვალდებულება აკისრია. ასეთ სპეციალურ ამსრულებელს ავადმყოფის განსაცდელში მიტოვებისას მხოლოდ მედიცინის მუშაკი წარმოადგენს. აღნიშნული ტიპის დელიქტებში სავსებით შესაძლებელია როგორც წაქეზება ისე დახმარება (თანამონაწილეობა ვიწრო გაგებით),[902] მაგრამ შეუძლებელია თანაამსრულებლობა (თანამონაწილეობა ფართო გაგებით) და შუალობითი ამსრულებლობა.[903] იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა განსხვავებული შეხედულებაც, რომლის მიხედვით თანაამსრულებლობა შესაძლებელია წმინდა უმოქმედობის დელიქტებში.[904] ამ მოსაზრებას თუ გავიზიარებთ, თანაამსრულებლობა შესაძლებელი იქნება განსაცდელში მიტოვების დროსაც, მაგრამ ეს თვალსაზრისი არ არის გასაზიარებელი. მოვალეობის პერსონალური ბუნებიდან გამომდინარე შეუძლებელია თანაამსრულებლად ვცნოთ სხვა, თუნდაც ის პირი, რომელსაც ასევე ეკისრება მოვალეობა განახორციელოს აქტიური ქმედება და დაეხმაროს განსაცდელში მყოფს. თუ ადამიანი განსაცდელში იმყოფება და არსებობს ორი ან მეტი ადამიანი, რომლებსაც განსაცდელზე მყოფ პირზე ზრუნვის სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა ეკისრებათ, მოვალეობის შეუსრულებლობის დროს, ისინი პასუხს აგებენ არა როგორც თანაამსრულებლები, არამედ როგორც ერთპიროვნული ამსრულებლები.

4. უშედეგო დახმარება და წაქეზება, როგორც საფრთხის შემქმნელი დელიქტი

ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, თანამონაწილის ქმედება მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედებით გამოწვეულ შედეგთან. აღნიშნული თვალსაზრისით, მიზეზობრივი კავშირი არის ის აუცილებელი ობიექტური ნიშანი, რომლის გარეშეც თანამონაწილის პასუხისმგებლობის დასაბუთება შეუძლებელია.[905] მაგრამ, მიზეზობრივ კავშირზე მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვისაუბროთ, როცა დანაშაულებრივი შედეგი სახეზეა. ამიტომაც, ქართული[906] და ასევე გერმანული[907] სისხლის სამართლის

---

[902] იხ. *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf,* Strafrecht, BT, Lehrbuch, 2. Aufl., § 35. Rn. 124.

[903] იხ. *გამყრელიძე ო.,* სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2011, 200, 279-280; *გამყრელიძე ო.,* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამოცემა, თბ., 2008, გვ. 184, 186; *Arzt/ Weber/ Heinrich/ Hilgendorf,* Strafrecht, BT, Lehrbuch, 2. Aufl., § 35. Rn. 124.

[904] იხ. სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 141.

[905] იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.,* იქვე, გვ. 241, ველის ნომერი 473.

[906] იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 341; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.,* იქვე, გვ. 238-239, ველის ნომერი 469-470.

[907] იხ. იხ. *Jakobs G.,* Strafrecht, AT, 2. Aufl., New York, 1991; *Gropp,* Strafrecht, AT, 3. Aufl., Heidelberg, 2005, S. 392, § 10. Rn. 146.

მიხედვით, უშედეგო დახმარება[908] არადასჯად ქმედებად გამოცხადდა.

გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში გამოითქვა მოსაზრება, რომ უშედეგო დახმარება ისე უნდა დაისაჯოს, როგორც დასრულებული დახმარება, ვინაიდან უშედეგო დახმარების დროს სამართლით დაცულ სიკეთეს აბსტრაქტული (**აბსტრაქტული საფრთხის შექმნის თეორია**) ან კონკრეტული საფრთხე ექმნება (**საფრთხის ამაღლების თეორია**), რაც დამხმარის დასჯადობისთვის საკმარის პირობას წარმოადგენს.[909]

უშედეგო დახმარების დასჯა დასრულებული ფორმით განხორციელებულ დანაშაულში დახმარების მსგავსად, წინააღმდეგობაში მოდის თანამონაწილეობის აქცესორულ თეორიასთან, რომლის მიხედვითაც, დამხმარის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის ქმედებასთან. დანაშაულის განხორციელებაში დახმარებისთვის უშედეგო დახმარების დასჯა შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ იმ თეორიიდან, რომელიც ცნობს თანამონაწილის პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ ხასიათს.[910]

ფ. შაფშტაინმა საფუძველი დაუდო მოძღვრებას უშედეგო დახმარების, როგორც საფრთხის შემქმნელი დელიქტის დასჯის თაობაზე და გამოთქვა მოსაზრება, რომ უშედეგო დახმარება მაშინ უნდა დაისაჯოს „დამთავრებულ დახმარებასავით“, როცა „დამხმარის“ მოქმედება ამსრულებლის მიერ ქმედების შემადგენლობის განხორციელების შესაძლებლობას გაზრდის, აამაღლებს (ე. წ. საფრთხის ამაღლების თეორია).[911] მისი თვალსაზრისით, არადასჯად უშედეგო დახმარებასთან გვექნება საქმე მაშინ, როცა „დამხმარის“ მოქმედება არ გაზრდის ასეთ საფრთხეს.[912]

კ. როქსინის შეხედულებით, დამხმარის დასჯადობისთვის აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობას წარმოადგენს დამხმარის მოქმედების თანამიზეზობრიობა ამსრულებლის მიერ განხორციელებულ ქმედების შემადგენლობასთან. კაუზალური ქმედება მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს დახმარებად, როცა იგი აამაღლებს საფრთხეს მსხვერპლისთვის და გაზრდის შედეგის დადგომის შესაძლებლობას.[913] *როქსინი* არ უარყოფს მიზეზობრიობის მნიშვნელობას დამხმარის პასუხისმგე-

---

[908] „უშედეგო დახმარების“ ნაცვლად ზოგიერთი ავტორი იყენებს ტერმინ „დახმარების მცდელობას“ („versuchte Beihilfe“). იხ. *Schünemann B.*, in: LK, 12. Auf., Berlin, 2007, §27 Rn. 33. გაუმართლებელია, რომ „უშედეგო დახმარებას“ ვუწოდოთ „დახმარების მცდელობა“, ვინაიდან დახმარება თანამონაწილეობის სახეა. მცდელობა შეიძლება დანაშაულის, მაგრამ არა დანაშაულის განხორციელების ფორმის. თანამონაწილეობა დანაშაულის განხორციელების ფორმაა და არა ცალკე აღებული დანაშაული.

[909] იხ. *Schünemann B.*, in: LK, 12. Aufl., Berlin, 2007, § 27 Rn. 33.

[910] თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ ხასიათზე იხ. *კობიაშვილი უ.*, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ, „საბჭოთა სამართალი“, 1968, №3, გვ. 31; *Шаргородский М. Д.*, Некоторые вопросы общего учения о соучастии, «Правоведение», 1960, №1, с. 91-94. *შარგოროდსკი* უშვებდა თანამონაწილეობას გაუფრთხილებლობის დროს, მაგრამ იგი თანამონაწილეობას გაუფრთხილებლობის მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში აღიარებდა.

[911] იხ. *Schaffstein F.,* Die Risikoerhöhung als objektives Zurechnungsprinzip im Strafrecht, insbesondere bei der Beihilfe, Honig-FS, Göttingen, 1970, S. 173-174; *Stratenwert, Kuhlen,* Strafrecht, AT, Die Straftat, 6. Aufl., München, 2011, S. 257-258, §12 Rn. 158; *Geppert K.,* Zum Begriff der «Hilfeleistung» im Rahmen von Beihilfe (§ 27 StGB) und sachlicher Begünstigung (§ 257 StGB), Jura 2007, S. 590.

[912] იხ. *Schaffstein F.,* იქვე, გვ. 174.

[913] იხ. *Roxin C.,* Strafrecht, AT, Band II, Besondere Erscheinungsformen der Straftat, München, 2003, S. 203, § 26 Rn. 210. ასევე იხ. *Ambos Kai.*, Beihilfe durch Alltagshandlungen, JA 2000, S. 721.

ბლობისთვის, მაგრამ მისი მოსაზრებით, ამასთან ერთად საჭიროა ობიექტური შერაცხვის არსებობა. მიზეზობრიობა *როქსინის* მოძღვრების თანახმად, ობიექტური შერაცხვის საფუძველია. იმისთვის, რომ დამხმარეს შედეგი ობიექტურად შეერაცხოს, საკმარისი არ არის, რომ დამხმარის ქმედება მიზეზობრივ კავშირში იყოს დამდგარ შედეგთან. ასევე აუცილებელია, რომ არ არსებობდეს ობიექტური შერაცხვის გამომრიცხველი გარემოება.

უშედეგო დახმარება აბსტრაქტულ[914] თუ აბსტრაქტულ-კონკრეტულ საფრთხის დელიქტს[915] წარმოადგენს, გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში სადავოდ ითვლება.

ციშანგი დახმარებას არ მიაკუთვნებს კონკრეტული საფრთხის დელიქტებს, რამდენადაც იგი თვლის რომ დახმარების დასჯადობისთვის აუცილებელ პირობას მიზეზობრიობა არ წარმოადგენს და კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებში კიდევ მიზეზობრივი კავშირი უნდა დადგინდეს[916] ანუ, თუ დახმარებას კონკრეტული საფრთხის დელიქტებს მივაკუთვნებდით, დამხმარის პასუხისმგებლობისთვის მიზეზობრივი კავშირის დადგენის მოთხოვნა მოგვიწევდა.

გ. იაკობსი აკრიტიკებს იმ თეორიას, რომლის მიხედვითაც უშედეგო დახმარება უნდა დაისაჯოს როგორც საფრთხის დელიქტი. მისი აზრით, ამსრულებლის ქმედების გარეშე უშედეგო დახმარების დასჯადობით დაირღვეოდა თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის მოთხოვნები,[917] რომლის მიხედვითაც თანამონაწილის დასჯადობა ამსრულებლის ქმედებაზეა დამოკიდებული. დამხმარეს წვლილი შეაქვს კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში, თუმცა, უშედეგო დახმარების დროს სახეზეა არა წვლილის შეტანა ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში, არამედ განუხორციელებელ ქმედების შემადგენლობაში,[918] რომელიც მოქმედი პირის ვარაუდით უნდა განხორციელებულიყო. მაშასადამე, *იაკობსი* დახმარების დასჯადობისთვის აუცილებელ პირობად ამსრულებლის ქმედებით გამოწვეულ შედეგსა და დამხმარის ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობას მიიჩნევს.[919]

დახმარების მცდელობასთან დაკავშირებით *იაკობსი* ასევე აღნიშნავს, რომ აბსტრაქტული საშიშროება შეიძლება ემყარებოდეს კანონით დეტალურად აღწერილ ქმედებას, ვითარების აღწერას. რამდენადაც დამხმარესთან დაკავშირებით კონკრეტული ქმედების ან მდგომარეობის აღწერა გვაკლია, მისი ინტერპრეტაცია როგორც აბსტრაქტულად საშიში დახმარებისა შეუძლებელია.[920]

უშედეგო დახმარების დასჯადობა ნამდვილი დახმარების მსგავსად შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს, სიტყვა „დამხმარის“ მნიშვნელობასთანაც. „დამხმარე“ გულისხმობს იმას, რომ ადამიანი ვიღაცას ეხმარება, მაგრამ დანაშაულის განხორციელებაში დახმარებას როგორ

---

914 იხ. *Herzberg R.*, Anstiftung und Beihilfe als Straftatbestände, GA 1971, S. 7.

915 იხ. *Vogler T.,* Zur Frage der Ursächlichkeit der Beihilfe für die Haupttat, Heinitz-FS, 1972, S. 311.

916 იხ. *Zieschang F.,* Der Begriff «Hilfeleisten» in § 27 StGB, Küper-FS, 2007, S. 744-745.

917 იხ. *Jakobs G.,* Strafrecht, AT, 2. Aufl., New York, 1991, S. 672, § 22 Rn. 34.

918 იხ. *Jakobs G.,* იქვე, S. 672, § 22 Rn. 34.

919 იხ. *Jakobs G.,* იქვე, S. 672, § 22 Rn. 34.

920 იხ. *Jakobs G.,* იქვე, S. 672, § 22 Rn. 35.

შეიძლება ჰქონდეს ადგილი მაშინ, როცა რეალურად ადამიანი არავის არ/ვერ ეხმარება. უშედეგო დახმარება უნდა დაისაჯოს,[921] მაგრამ არა ისე, როგორც ნამდვილი დახმარება, რომელსაც გარკვეული შედეგიც მოჰყვა, არამედ, როგორც დანაშაულის მომზადება.

მართებულად მიუთითებს *ი. დვალიძე,* რომ უშედეგო დახმარება უნდა დაისაჯოს როგორც დანაშაულის მომზადება, ვინაიდან ქმედების შემადგენლობას ამსრულებელი ახორციელებს და უშედეგო დახმარებაც ქმედების შემადგენლობის მიღმაა, იგი მხოლოდ დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნის ფარგლებს არ სცდება.[922]

საქართველოს სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, უშედეგო წაქეზება ისჯება როგორც დანაშაულის მომზადება. აქედან გამომდინარე ჩნდება კითხვა: თუ დასჯადია უშედეგო წაქეზება, რატომ არ უნდა დაისაჯოს უშედეგო დახმარება? უშედეგო დახმარების დასჯადობაზე ქართულ სსკ-ში არაფერია მითითებული, რაც იმას ნიშნავს, რომ უშედეგო დახმარებას დაუსჯელს ტოვებს. სწორი იქნებოდა, რომ კანონმდებელს უშედეგო დახმარებაც დასჯად ქმედებად გამოეცხადებინა და ისიც იგივენაირად დაესაჯა, როგორც უშედეგო წაქეზება.

უშედეგო წაქეზება, როგორც ჩანს, ქართველმა კანონმდებელმა აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ ქმედებად მიიჩნია. ამაზე უნდა მიუთითებდეს ის გარემოება, რომ ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობით უშედეგო წაქეზება ისჯება, როგორც დანაშაულის მომზადება. დანაშაულის მომზადება ხომ აბსტრაქტულ საფრთხეს ქმნის. თუ კანონმდებელი უშედეგო წაქეზებას კონკრეტული საფრთხის შემქმნელ ქმედებად მიიჩნევდა, აღნიშნულ ქმედებას დასჯიდა არა როგორც დანაშაულის მომზადებას, არამედ როგორც დანაშაულის მცდელობას.[923] უშედეგო წაქეზება ისეთსავე საფრთხეს ქმნის, როგორც უშედეგო დახმარება.

უშედეგო წაქეზების და დახმარების, როგორც დაუმთავრებელი დანაშაულის, დასჯა არ ნიშნავს იმას, რომ იგი ინარჩუნებს თანამონაწილეობის სახეს. აღნიშნული ქმედებები იმიტომ უნდა დაისაჯოს როგორც დაუმთავრებელი დანაშაული, რომ უშედეგო წაქეზების და დახმარების დროს არ გვყავს ამსრულებელი და, შესაბამისად, შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს თანამონაწილეობას. თანამონაწილეობა ამსრულებლის გარეშე არ არსებობს.

---

[921] თავის დროზე უშედეგო დახმარების დასჯის მომხრე იყო *თ. წერეთელი.* იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები,II ტომი,თბ.,2007,გვ. 216.

[922] იხ. *დვალიძე ი.,*წიგნში: *ნაჭყებია გ.,დვალიძე ი.* (რედ.),სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სახელმძღვანელო,თბ.,2007,გვ. 158.

[923] გერმანული სსკ-ის 30-ე პარაგრაფის მიხედვით,წაქეზების მცდელობა ისჯება როგორც დანაშაულის მცდელობა, ვინაიდან გერმანულ სსკ-ში არ არსებობს დანაშაულის მომზადების დასჯადობის ზოგადი ნორმა და მომზადება მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ისჯება.

5. თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე და თანამონაწილეთა დასჯადობა თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ საფრთხის დელიქტებში

დანაშაულში თანამონაწილეობა გულისხმობს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა თანამონაწილე განზრახ უნდა მოქმედებდეს და შეგნებული უნდა ჰქონდეს იმ ქმედების უმართლობა, რომლის განხორციელებაშიც იღებს მონაწილეობას. საფრთხის შემქმნელი დელიქტების განხორციელებისას, თანამონაწილე უნდა აცნობიერებდეს, რომ იგი მონაწილეობას იღებს ისეთი ქმედების განხორციელებაში, რომელიც საფრთხეს უქმნის სამართლით დაცულ სიკეთეს.

თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი ერთიანი მიზნით (პირდაპირი განზრახვით) განხორციელებული უმართლობაა.[924] საფრთხის დელიქტების თანამონაწილეობით განხორციელებისას ყველა თანამონაწილეს ერთიანი მიზანი – დაცული სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნა – უნდა ამოძრავებდეს.

თანამონაწილეობის სუბიექტურ მხარეზე მეცნიერებაში გამოთქმულია ასევე განსხვავებული შეხედულება, რომლის თანახმადაც, თანამონაწილეობის დასჯადობისთვის საკმარისად მიიჩნევა არაპირდაპირი, მაგრამ ერთიანი განზრახვით განხორციელებული სისხლისსამართლებრივი უმართლობა.[925] თუმცა, საკამათოა, რამდენად შეიძლება საუბარი „ერთიან განზრახვაზე“ ევენტუალური განზრახვის დროს. „განზრახვის ერთიანობა“ დამახასიათებელია პირდაპირი განზრახვისთვის. ის შედეგი, რომლის მიმართ დამნაშავეს ევენტუალური განზრახვა გააჩნია, ძირითადად, თანამდევ შედეგად განიხილება. თანამდევი შედეგის მიმართ არ შეიძლება ერთიანი განზრახვა არსებობდეს. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თანამონაწილეს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ შედეგისთვის რომლის მიმართ ევენტუალური განზრახვით მოქმედებდა. ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე და იმ შედეგისადმი სუბიექტური დამოკიდებულება, რომელიც თანამონაწილის ქმედებას მოჰყვა თანამდევი შედეგის სახით, ისევე როგორც, აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის დროს ერთმანეთისგან იმიჯნება აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებისადმი და თავდამსხმელის სიცოცხლის მოსპობისადმი თავდამცველის სუბიექტური დამოკიდებულება.

სწორად აღნიშნავს *ო. გამყრელიძე*, რომ „ბუნებრივი სახით წაქეზება მაშინ გვაქვს, როცა ერთი ადამიანი მეორეს პირდაპირ დაიყოლიებს დანაშაულის ჩასადენად, როცა წამქეზებლის მიზანი პირდაპირ არის

---

[924] იხ. *გამყრელიძე ო.,* სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., 1989, გვ. 173-174; *გამყრელიძე ო.,* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამოცემა, თბ., 2008, გვ. 193; *მახარაძე ა.,* სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისათვის, თბ., 2006, გვ. 115-116.

[925] იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 152, 164; *ტურავა მ.,* სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 334; *ნაჭყებია გ.,* წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 198; *Jescheck H-H., Weigend T.,* Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 687.

მიმართული წაქეზებულის მიერ შესაბამისი დანაშაულის ჩადენისკენ – ამიტომ წაქეზება შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. არაპირდაპირი განზრახვის ხარჯზე წაქეზების ცნების გაფართოება ხელოვნურია და, მაშასადამე, მიუღებელიც“.[926] აღნიშნული დებულების საილუსტრაციოდ შეიძლება შემდეგი მაგალითი მოვიშველიოთ: ა.-მ დაიყოლია ბ. რომ სადაზღვეო კომპანიისაგან თანხის მიღების მიზნით ცეცხლი წაუკიდოს საკუთარ სახლს, რის შედეგადაც სადაზღვეო კომპანიისაგან დანაშაულებრივი გზით მიღებულ ფულს გაიყოფენ. ბ. დათანხმდა ა.-ს, ვინაიდან მისი სახლი ავარიულ მდგომარეობაში იყო და ერჩივნა სახლის დაწვის გზით სადაზღვეო კომპანიისგან ფული მიეღო. ა. და ბ. აცნობიერებდნენ იმას, რომ ბ.-ს სახლისთვის ცეცხლის წაკიდებით საფრთხე შეექმნებოდა ბ.-ს მეზობლად მცხოვრებ მოხუც ქალბატონს, რომელიც ლოგინად იყო ჩავარდნილი და მომვლელიც არავინ ჰყავდა, თუმცა ისინი გულგრილად ეკიდებოდნენ მეზობლის სიცოცხლის მოსპობის შესაძლებლობას. თუ ა.-ს და ბ.-ს ქმედებას შედეგად მოჰყვა მეზობლის სიცოცხლის მოსპობა, რომლის მიმართ მათ ევენტუალური განზრახვა გააჩნდათ, ჩნდება კითხვა, უნდა განვიხილოთ თუ არა ა. ბ.-ს მიმართ მკვლელობაში წამქეზებლად? რასაკვირველია, არა. ა.-მ ბ. მკვლელობაზე კი არ დაიყოლია, არამედ სადაზღვეო კომპანიისაგან თანხის მიღების მიზნით ბ.-ს სახლისთვის ცეცხლის წაკიდებაზე. როგორ შეიძლება ა. განვიხილოთ მკვლელობაში წამქეზებლად ანუ მკვლელობაზე დამყოლიებლად, როცა იგი მიზნად არ ისახავდა და არ სურდა გარდაცვლილის სიცოცხლის მოსპობა. მაგრამ, ეს არ გვიშლის ხელს იმაში, რომ ა.-ს პასუხი ვაგებინოთ ევენტუალური განზრახვით ადამიანის სიცოცხლის მოსპობისთვისაც, ოღონდ არა როგორც მკვლელობის წამქეზებელს. წამქეზებლის და ამსრულებლის ქმედებას ხშირად მოჰყვება ისეთი შედეგიც, რომლის მიმართ წამქეზებელს და ამსრულებელს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება გააჩნიათ. ასეთ დროს, გაუფრთხილებლობით გამოწვეული მაკვალიფიცირებელი შედეგისთვის პასუხისმგებლობა ორივეს შეიძლება დაეკისროს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თანამონაწილეობა გაუფრთხილებლობით იყოს შესაძლებელი. დანაშაულის ჩასადენად ადამიანის „დაყოლიება“ ნიშნავს იმას, რომ „დამყოლიებელს“ უნდა გააჩნდეს შესაბამისი შედეგის დადგომის სურვილი და მიზანი ან უნდა აცნობიერებდეს მისი განხორციელების გარდაუვალობას. თუკი წაქეზებას ევენტუალური განზრახვით შესაძლებლად ჩავთვლით, ქურდობაში წაქეზებისთვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა იმას, ვინც თავის მეზობელს, რომელიც კრიმინალური წარსულის მქონეა, უყვება, რომ თავისი მდიდარი მეზობელი დასასვენებლად ოჯახთან ერთად სოფელში წავიდა და ბინა მარტო დატოვა, ამავე დროს, უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ მისი ეს მონაყოლი ბოროტად იქნეს გამოყენებული და მართლაც, ასე მოხდება.

როგორც უკვე ითქვა, თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი ერთიანი მიზნით განხორციელებული უმართლობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამონაწილეობა შეუძლებელი უნდა იყოს თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ საფრთხის შემქმნელ დელიქტებში, მაგრამ დასმულ საკითხთან დაკავშირებით სისხლის სამართლის დოგმატიკაში ერთიანი პოზიცია არ არსებობს და მეცნიერთა აზრი იყოფა.

---

[926] იხ. *გამყრელიძე ო.,* სისხლის სამართლის პრობლემები,II ტომი,თბ.,2013,გვ. 52.

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში თანამონაწილეობა შესაძლებელია, ვინაიდან, მათი შეხედულებით, თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულიც განზრახი დანაშაულია.[927] ამ თვალსაზრისით, იმისათვის, რომ თანამონაწილეს პასუხისმგებლობა მაკვალიფიცირებელი შედეგისთვის დაეკისროს, საკმარისია, ამსრულებელმა ძირითადი შემადგენლობა განზრახ განახორციელოს, თანამონაწილემ იცოდეს და სურდეს იგი, ხოლო მძიმე შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობა გააჩნდეს.[928] ეს მეცნიერები, მართალია, თანამონაწილეობას შესაძლებლად მიიჩნევენ მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში, მაგრამ, გამორიცხავენ გაუფრთხილებლობითი ძირითადი შემადგენლობის თანამონაწილეობით განხორციელების შესაძლებლობას.

შედეგით კვალიფიცირებულ დანაშაულს საქართველოს სსკ-ის მე-11 მუხლის შინაარსის მიხედვით განზრახ დანაშაულად მიიჩნევს *გ. ტყეშელიაძე,* რომლის პრაქტიკულ მნიშვნელობას თანამონაწილეობის საკითხის გადაწყვეტაში ხედავს.[929]

იმ მეცნიერთა რიცხვს, რომლებიც შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში თანამონაწილეობას შესაძლებლად მიიჩნევენ, მიეკუთვნება ცნობილი გერმანელი მეცნიერი *კ. როქსინი.* დასახელებული მეცნიერის თვალსაზრისით, წაქეზება შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში შესაძლებელია, როცა წამქეზებელი წააქეზებს ამსრულებელს განზრახი ძირითადი დელიქტის ჩასადენად, ხოლო მძიმე შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება გააჩნია. *როქსინს* თავისი დებულების საილუსტრაციოდ მოჰყავს შემდეგი მაგალითი. „ა“-მ მოუწოდა „ბ“-ს „ც“-სთვის ლუდის კათხა ჩაერტყა. ორივე არ ფიქრობდა იმაზე, რომ „ც“-ს გარდაცვალება შესაძლებელი იყო, რაც რეალურად განხორციელდა კიდეც. *როქსინის* შეფასებით, „ბ“ უნდა დაისაჯოს ჯანმრთელობის დაზიანებისთვის, რასაც სიკვდილი მოჰყვა (გერმანული სსკ-ის 227-ე პარაგრაფი), ხოლო „ა“ იგივე დანაშაულის წაქეზებისთვის.[930] *როქსინი* აღნიშნავს, რომ წამქეზებელს იგივენაირად ეკისრება პასუხისმგებლობა მიუხედავად იმისა ამსრულებელიც გაუფრთხილებლობით მოქმედებს თუ არა. მაშინ, როცა ამსრულებელს სასიკვდილო შედეგის მიმართ განზრახი (ევენტუალური) დამოკიდებულება გააჩნია, ამსრულებელს პასუხისმგებლობა მკვლელობისთვის ეკისრება, ხოლო წამქეზებელი მხოლოდ სასიკვდილო შედეგის გამომწვევი ჯანმრთელობის დაზიანების წაქეზე-

---

[927] იხ. *Baumann/Weber/Mitsch*, Strafrecht, AT, Lehrbuch, 11. Aufl., Bielefeld, 2003, S. 126, Rn. 74; *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf,* Strafrecht, BT, Lehrbuch, 2. Aufl., § 35. Rn. 126; *Heinrich B.,* Strafrecht, AT, 3. Aufl., 2012, S. 600, Rn. 1282; *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., 2010, S. 205, Rn. 554. იხ. ასევე *იოჰანეს ვესელსი/ვერნერ ბოილკე,* სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, 38-ე გადამუშავებული გამოცემა, გერმანულიდან თარგმნა *ზ. არსენიშვილმა*, სამეცნიერო რედაქტორი *ი. დვალიძე*, თბ., 2010, გვ. 317, ველის ნომერი 554; ანალოგიურ პოზიციაზე ქართულ სისხლის სამართალში იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები,II ტომი,თბ.,2007,გვ. 210; *ტურავა მ.*,სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი,დანაშაულის მოძღვრება,თბ.,2011,გვ. 607.

[928] იხ. *Arzt/ Weber/ Heinrich/ Hilgendorf,* Strafrecht, BT, Lehrbuch, 2. Aufl., § 35. Rn. 127.

[929] იხ. *ტყეშელიაძე გ.,* წიგნში: *ნაჭყებია გ.,დვალიძე ი.*,(რედ.),სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სახელმძღვანელო,თბ.,2007,გვ. 141.

[930] იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band II, München, 2003, S. 186, Rn. 167.

ბისთვის ისჯება.[931]

თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთიანი სისხლისსამართლებრივი უმართლობა წარმოადგენს. მაშინ, როცა შედეგის მიმართ თუნდაც ერთ-ერთ თანამონაწილეს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება გააჩნია, შედეგის ერთიანი ქმედებით გამოწვევაზე საუბარიც შეუძლებელია. მთავარი ის კი არ არის, რომ დამდგარი შედეგისთვის პასუხისმგებლობა ამსრულებელსაც და თანამონაწილესაც ეკისრება, არამედ ის, თუ როგორი დამოკიდებულება არსებობს ამ შედეგის მიმართ და არის თუ არა ეს შედეგი თანამონაწილეთა ერთიანი მოქმედების შედეგი. ერთიანობა განისაზღვრება არა დამდგარი შედეგის მიხედვით, არამედ შედეგისადმი შინაგანი დამოკიდებულებით. ერთიანი ქმედება გულისხმობს მიზანდასახულ, შეგნებულ ქმედებას. მაშინ, როცა შედეგიან დელიქტებს ეხება საქმე, იგულისხმება არა მხოლოდ შეგნებული ქმედება, არამედ შედეგისაკენ ქმედების შეგნებული წარმართვა. ჯანმრთელობის დაზიანება შეგნებულ ქმედებას გულისხმობს, მაგრამ თუ მას შედეგად გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, ქმედება არ ჩაითვლება სიცოცხლის მოსპობისკენ შეგნებულად წარმართულად და, შესაბამისად, გამოირიცხება თანამონაწილეთა მოქმედების ერთიანობა.

მეცნიერთა მეორე ნაწილი კი განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციით თანამონაწილეობას გამორიცხავს.[932]

მართებულად უნდა ჩაითვალოს იმ მეცნიერთა პოზიცია, რომლებიც განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციით თანამონაწილეობის დასჯადობას გამორიცხავენ, რამდენადაც საქართველოს სსკ-ის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შინაარსის მიუხედავად, განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციით განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება გაუფრთხილებლობით დანაშაულად უნდა იქნეს მიჩნეული. გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობა კი შეუძლებელია. საქართველოს სსკ-ის 23-ე მუხლის მიხედვით, „დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში“.

როგორც *ო. გამყრელიძე* აღნიშნავს: „განზრახი თანამონაწილეობა გულისხმობს განზრახვას არა მოქმედებისადმი, არამედ თანამონაწილის განზრახ ფსიქიკურ დამოკიდებულებას შედეგის მიმართ“.[933] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლში ხაზგასმულია, რომ თანამონაწილენი განზრახ დანაშაულში უნდა იღებდნენ მონაწილეობას, რომ მათი მოქმედება თანამონაწილეობად შეფასდეს და ამასთან ერთად ეს მონაწილეობა უნდა იყოს განზრახი ერთობლივი მონაწილეობა. მაშინ, როცა შედეგიან დელიქტს ეხება საქმე, თანამონაწილენი შედეგის მისაღწევად ერთობლივად უნდა მოქმედებდნენ, მაგრამ „პირები დამდგარი შედეგის მისაღწევად ერთობლივად ვერ იმოქმედებენ, თუ მათ ამ შედეგის დადგომა არ აქვთ გათვალისწინებული და არც სურთ იგი.“[934]

---

[931] იხ. *Roxin C.*, იქვე, გვ. 186, Rn. 167.

[932] იხ. *Maurach R., Gössel K., Zipf H.,* Strafrecht, AT, Band 2, 1989, S. 140-141, Rn. 117.

[933] იხ. *გამყრელიძე ო.,* სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., 1989, გვ. 107.

[934] იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 197.

თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ დანაშაულს განზრახ დანაშაულად მიიჩნევს *გ. ნაჭყებია,*[935] მაგრამ, მეორე მხრივ, გამორიცხავს ასეთ დანაშაულში თანამონაწილეობას. მართალია, განზრახი მოქმედებით გამოწვეული თანამდევი შედეგისთვის პასუხისმგებლობას როგორც ამსრულებელს ისე წამქეზებელსაც აკისრებს, მაგრამ, მისი შეხედულებით, დამდგარი მძიმე შედეგისთვის ამსრულებელს და წამქეზებელს პასუხისმგებლობა დამოუკიდებლად უნდა დაეკისროთ.[936] მაგრამ, *გ. ნაჭყებია* ზემოთ მოყვანილი მისი მსჯელობის საპირისპირო შეხედულებასაც გამოთქვამს სხვაგან და აღნიშნავს, რომ თუ ქმედებამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია უფრო მძიმე შედეგი, რომელსაც არ მოიცავდა თანამონაწილეთა განზრახვა, მაშინ უფრო მძიმე შედეგისთვის პასუხისმგებლობა დაეკისრება არა თანამონაწილეს, არამედ ამსრულებელს ან იმ თანაამსრულებელს, რომლის ქმედებასაც ეს მძიმე შედეგი მოჰყვა.[937]

მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში თანამონაწილის პასუხისმგებლობაზე არათანმიმდევრულად მსჯელობს *თ. წერეთელი.* იგი უშვებდა თანამონაწილის პასუხისმგებლობას ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედებით გამოწვეული მძიმე შედეგისთვის, თუ წამქეზებელს შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა ეს მძიმე შედეგი.[938] თუმცა, ამავდროულად იგი აღნიშნავდა, რომ თანამონაწილეობა არის რამოდენიმე პირის მონაწილეობა ერთი საერთო დანაშაულის ჩადენაში. თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის ერთიანობისთვის საკმარისად არ მიიჩნევდა დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირთა ქმედების მიზეზობრივ კავშირს დამდგარ შედეგთან. დანაშაულის ერთიანობისთვის სუბიექტური მხარის ერთიანობას თვლიდა საჭიროდ. მისი თვალსაზრისით „ეს ერთიანობა შეიძლება მხოლოდ მაშინ არსებობდეს, როდესაც ყველა პირის საქმიანობა შეგნებულადაა მიმართული ერთი და იმავე დანაშაულებრივი შედეგისაკენ".[939]

უნდა აღინიშნოს, რომ *თ. წერეთელის* მიერ ჩამოყალიბებული დებულება ურთიერთგამომრიცხავია, ვინაიდან იგი ერთის მხრივ უშვებდა თანამონაწილის პასუხისმგებლობას ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედებით გამოწვეული მძიმე შედეგისთვის და როგორც ამსრულებლის, ისე თანამონაწილის ქმედებას აკვალიფიცირებდა იმ მუხლით, რომელიც პასუხისმგებლობას მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის განხორციელებისთვის აწესებდა, ხოლო მეორეს მხრივ აღნიშნავდა, რომ თანამონაწილეთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ერთიანობა არსებობს მაშინ, როცა ყველა პირის საქმიანობა შეგნებულად მიმართულია ერთი და იმავე დანაშაულებრივი შედეგისაკენ და სწორედ ამას თვლიდა თანამონაწილეობის დასჯადობისთვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად.

გაუფრთხილებლობითი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში

---

[935] იხ. *ნაჭყებია გ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, გვ. 426.

[936] იხ. *ნაჭყებია გ.,*წიგნში: *ნაჭყებია გ.,დვალიძე ი.* (რედ.),სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 220-221.

[937] იხ. *ნაჭყებია გ.,*იქვე, გვ. 197.

[938] იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 210. ანალოგიურ მოსაზრებაზე იხ. ასევე: *მახარაძე ა.,* სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისათვის, თბ., 2006, გვ. 206-207.

[939] იხ. *წერეთელი თ.,* იქვე, გვ. 38.

შეუძლებელია, რომ თანამონაწილეთა მოქმედება მაკვალიფიცირებელი შედეგისკენ შეგნებულად იყოს მიმართული, ვინაიდან მაკვალიფიცირებელი შედეგი არ არის განზრახვით მოცული და მის მიმართ დამნაშავეს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება გააჩნია. ხოლო იქ, სადაც გაუფრთხილებლობაზეა საუბარი, შედეგისადმი ქმედების შეგნებულ წარმართვაზე საუბარი შეუძლებელია. გაუფრთხილებლობა თავისთავად გამორიცხავს შედეგისაკენ შეგნებულ მოქმედებას. ქმედება შედეგისკენ შეგნებულად მიმართული არის მხოლოდ განზრახ დანაშაულში. გაუფრთხილებლობით დანშაულის ჩადენისას არ არის გამორიცხული შეგნებული ქმედება, მაგრამ გამორიცხულია შედეგისაკენ ქმედების შეგნებული წარმართვა.[940] მაგალითად, როდესაც გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობას შედეგად გაუფრთხილებლობით მოჰყვება ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. ავტომანქანის მართვა შეგნებული ქმედებაა, მაგრამ ეს შეგნებული ქმედება მიმართული არ არის მართლსაწინააღმდეგო შედეგისკენ. შეგნებული ქმედება, შედეგიან დელიქტებში, ჯერ კიდევ არ არის განზრახი ქმედება სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით.

თ. წერეთლის მსჯელობა იმ მხრივაც არ არის თანმიმდევრული, რომ იგი გამორიცხავს მცდელობის შესაძლებლობას მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში, ხოლო მეორეს მხრივ ასეთ დელიქტებში თანამონაწილეობას უშვებს. როგორც მცდელობა, ისე თანამონაწილეობაც მოითხოვს დანაშაულებრივი შედეგისკენ მოქმედების შეგნებულ წარმართვას ანუ განზრახ მოქმედებას. როგორც მცდელობა, ისე თანამონაწილეობაც გაუფრთხილებლობით გამორიცხულია. თუ ჩვენ გამოვრიცხავთ მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობათა მცდელობის შესაძლებლობას, იმ საფუძვლით, რომ ასეთ დელიქტებში მძიმე შედეგის მიმართ დამნაშავეს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება გააჩნია, მაშინ, იგივენაირად უნდა გამოვრიცხოთ მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტთა თანამონაწილეობის ფორმით განხორციელების შესაძლებლობაც, რამდენადაც თანამონაწილეობა განზრახ დელიქტებშია შესაძლებელი, რაც გულისხმობს თანამონაწილეთა განზრახ დამოკიდებულებას ამსრულებლის ქმედებით გამოწვეული შედეგისადმი.

როგორც უკვე აღინიშნა, თანამონაწილეობა გულისხმობს განზრახ მოქმედებას. თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი ერთიანი განზრახვით მოცული უმართლობაა. თანამონაწილის განზრახვით უნდა იყოს მოცული ამსრულებლის მოქმედებით გამოწვეული შედეგი. თუმცა, შესაძლებელია ამსრულებელმა გადააჭარბოს თანამონაწილეთა ერთიან გეგმას და ჩაიდინოს ისეთი ქმედება, რომელიც თანამონაწილეთა ერთიანი გეგმით არაა გათვალისწინებული ან კიდევ ამსრულებლის მოქმედებას მოჰყვეს ისეთი შედეგი, რომლის დადგომას არა მხოლოდ თანამონაწილე, არამედ ამსრულებელიც არ ითვალისწინებდა. სისხლის სამართლის თეორიაში ისეთ შემთხვევას, როცა ამსრულებელი გადააჭარბებს თანამონაწილეთა ჩანაფიქრს და გააკეთებს იმაზე მეტს, რაც წინასწარ იყო თანამონაწილეთა მიერ ჩაფიქრებული, ამსრულებლის ექსცესს უწოდებენ. საქართველოს სსკ-ის 26-ე მუხლშია მოცემული ამსრულებლის ექსცესის განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც „ამსრულებ-

[940] ანალოგიური შეხედულება იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები,II ტომი,თბ.,2007,გვ. 45.

ლის ექსცესი ნიშნავს ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანაამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა“. იბადება კითხვა, ამსრულებლის ექსცესი ნიშნავს თანამონაწილეთა გეგმიდან ამსრულებლის განზრახ თუ გაუფრთხილებლობით გადახრას? დასმული საკითხის გარკვევას აქვს არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც, ვინაიდან ამსრულებლის ექსცესისთვის თანამონაწილეს პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

კითხვაზე, უნდა ჩაითვალოს თუ არა ამსრულებლის ექსცესად თანამონაწილეთა გეგმიდან ამსრულებლის ყოველგვარი გადახრა, *ო. გამყრელიძე* პასუხობს, რომ „შეუძლებელია სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით ექსცესად მივიჩნიოთ თანამონაწილეთა ჩანაფიქრიდან ამსრულებლის მოქმედების ყოველგვარი გადახრა“.[941] *ო. გამყრელიძის* თვალსაზრისით, ამსრულებლის ექსცესი გულისხმობს თანამონაწილეთა გეგმიდან ამსრულებლის ისეთ გადახრას, რომელიც მოულოდნელია თანამონაწილისათვის და არა თავად ამსრულებლისათვის, ე. ი. თანამონაწილეთა გეგმიდან ამსრულებლის განზრახ გადახრას. მაშინ, როცა ამსრულებლის განზრახ მოქმედებას გაუფრთხილებლობითი შედეგი მოჰყვება საქმე გვაქვს არა ამსრულებლის ექსცესთან, არამედ გაუფრთხილებლობით დანაშაულთან, ვინაიდან დამდგარი შედეგი არა მხოლოდ თანამონაწილეთათვის, არამედ ამსრულებლისთვისაც მოულოდნელი იყო. ასეთ შემთხვევებში *ო. გამყრელიძე* დამდგარი შედეგისთვის პასუხისმგებლობას ამსრულებელთან ერთად თანამონაწილესაც აკისრებს.[942] ავტორი ამ შემთხვევაში, მართალია, ამსრულებლის მოქმედებით გამოწვეული გაუფრთხილებლობითი შედეგისთვის პასუხისმგებლობას წამქეზებელს და დამხმარესაც აკისრებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს მის მიერ გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის აღიარებას. *ო. გამყრელიძე* სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ვერ დავასაბუთებთ თანამონაწილეობას იმ შემთხვევაში, როცა შედეგის მიმართ ყველა მათგანს, ვისმა მოქმედებამაც ეს შედეგი გამოიწვია, გაუფრთხილებლობითი ფსიქიკური დამოკიდებულება ჰქონდა“.[943] ავტორი ასეთ შემთხვევაში თითოეულ მათგანს პასუხისმგებლობას აკისრებს როგორც ერთპიროვნულ ამსრულებელს.[944]

მაშინ, როცა თანამონაწილეობით განხორციელებულ საფრთხის შემქმნელ განზრახ ქმედებას მძიმე შედეგი მოჰყვება, რომელიც მაკვალიფიცირებელ შემადგენლობას აფუძნებს და არაა მოცული დამნაშავის განზრახვით, თანამონაწილეებს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ საფრთხის შემქმნელი ძირითადი განზრახი დელიქტის თანამონაწილეობით განხორციელებისთვის, ხოლო გაუფრთხილებლობით გამოწვეული მაკვალიფიცირებელი შედეგისთვის სასჯელი, როგორც ერთპიროვნულ ამსრულებლებს, დამოუკიდებლად უნდა შეეფარდოთ. მაგალითად, თანამონაწილეობით შეიძლება განხორციელდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალის-

---

941 იხ. *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2011, გვ. 325.

942 იხ. *გამყრელიძე ო.*, იქვე, გვ. 326.

943 იხ. *გამყრელიძე ო.*, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., 1989, გვ. 112.

944 იხ. *გამყრელიძე ო.*, იქვე, გვ. 112.

წინებული საფრთხის დელიქტის (უკანონო აბორტი) ძირითადი შემადგენლობა. თუ უკანონო აბორტს შედეგად მოჰყვა ორსული ქალის სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის 133-ე მუხლის მე-3 ნაწილი), დამდგარი შედეგისთვის თანამონაწილეებს პასუხისმგებლობა დაეკისრებათ როგორც ერთპიროვნულ ამსრულებლებს. აუცილებელია თანამონაწილის მოქმედების მიზეზობრივი კავშირის არსებობა ამსრულებლის მოქმედებით გამოწვეულ გაუფრთხილებლობით შედეგთან, იმისთვის რომ მას როგორც ერთპიროვნულ ამსრულებელს პასუხისმგებლობა დაეკისროს.

გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხს შემდეგნაირად წყვეტს ზოგიერთი მეცნიერი: თამამონაწილეებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ განზრახ განხორციელებული ძირითადი დელიქტისთვის, ხოლო მძიმე შედეგისთვის, რომლის მიმართაც გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება არსებობს, პასუხისმგებლობა ეკისრებათ როგორც პარალელურ ამსრულებლებს (Nebentäterschaft).[945] რამდენადაც, თანამონაწილე ძირითად განზრახ დანაშაულებრივ ქმედებასთან აქცესორულია, (გაუფრთხილებლობითი) შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში თანამონაწილის ფიგურის შენარჩუნება ხდება დელიქტის გაყოფის და განზრახი ძირითადი დელიქტის გაუფრთხილებლობითი მაკვალიფიცირებელი შედეგისგან გამოყოფის შედეგად.[946] წარმოდგენილი თვალსაზრისის თანახმად, შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობის განხორციელებისას არ გამოირიცხება თანამონაწილეობა და, შესაბამისად, თანამონაწილის პასუხისმგებლობაც, მაგრამ თანამონაწილეს თანამონაწილეობისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება ძირითადი განზრახი დელიქტის განხორციელებაში მონაწილეობისთვის, ხოლო იმ შედეგისთვის, რომლის მიმართაც არსებობს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება, როგორც ამსრულებელი, ისე თანამონაწილე, ე.წ. პარალელური ამსრულებლობისთვის ისჯება.

კ. გოსსელი თანამონაწილეობას მაშინ მიიჩნევს შესაძლებლად, როცა შედეგისადმი განზრახი დამოკიდებულება არსებობს[947]. იგი მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის განხორციელებისას ძირითადი შემადგენლობის თანამონაწილეობით, ხოლო მაკვალიფიცირებელი შედეგის პარალელური ამსრულებლობით განხორციელებას შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ მაშინ, როცა შედეგით კვალიფიცირებული დელიქტი ფაქტობრივად წარმოადგენს „ნამდვილ შინაგან ერთიანობას“ (echte innerliche Einheit)[948]. თუმცა, იბადება კითხვა, როგორ შეიძლება შინაგან ერთიანობაზე საუბარი მაშინ, როცა შედეგისადმი გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება არსებობს. ასეთი შინაგანი ერთიანობა შეიძლება არსებობდეს მაშინ, როცა შედეგისადმი განზრახი დამოკიდებულება არსებობს.

პარალელური ამსრულებლობა სახეზეა იმ შემთხვევაში, როცა ორი

---

945 იხ. *Jescheck H-H., Weigend T.,* Lehrbuch des Strafrechts, AT, 1996, S. 690; *Hirsch H.*, Zur Problematik des erfolgsqualifizierten Delikts, GA 1972, S. 76.

946 იხ. *Gössel K.,* Dogmatische Überlegungen zur Teilnahme am erfolgsqualifizierten Delikt nach §18 StGB, Lange-FS, 1976, 228.

947 იხ. *Gössel K.,* იქვე, გვ. 239.

948 იხ. *Gössel K.,* იქვე, გვ. 229.

ან მეტი პირის მოქმედებას ერთდროულად მოჰყვება გაუფრთხილებლობითი შედეგი. პარალელურ ამსრულებლებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ ისე როგორც ერთპიროვნულ ამსრულებლებს.[949]

თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში თანამონაწილის დასჯა პარალელური ამსრულებლის სახით შეიძლება საკამათო იყოს, ვინაიდან იგი უშუალოდ არ მონაწილეობს დანაშაულის განხორციელებაში.

ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის შესახებ სისხლის სამართალში ჩამოყალიბდა ე.წ. ქმედებაზე ბატონობის თეორია. დასახელებული თეორიის მიხედვით, „ქმედებაზე ბატონობა" მოვლენათა განვითარებაზე ბატონობას, სადავეების ხელში პყრობას ნიშნავს[950] და რაც მთავარია, აღნიშნული მოძღვრება მხოლოდ განზრახ მოქმედებას მოიცავს, რამდენადაც შეუძლებელია ბატონობდე ქმედებაზე თუ მას მოჰყვება ის შედეგი, რომელიც დამნაშავეს არც ჰქონდა გათვალისწინებული ან კიდევ უბრალოდ არ სურდა. შესაბამისად, ამ თეორიის მიხედვითაც შეუძლებელი ხდება წამქეზებლისთვის თანამდევი შედეგის გამო პასუხისმგებლობის დაკისრება ერთპიროვნული ამსრულებლის სახით, იმიტომ რომ თანამდევი შედეგი არ არის მოცული დამნაშავის განზრახვით და ამდენად, განხორციელებული ქმედებაც ვერ ჩაითვლება ქმედებად, რომელზეც დამნაშავე ბატონობს.

კ. გოსსელი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში თანამონაწილეობის შესაძლებლობის გასარკვევად მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმის დადგენას, მაკვალიფიცირებელი შედეგისადმი გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება წარმოადგენს თუ არა ბრალის ნიშანს[951], რამდენადაც, ყველა თანამონაწილე პასუხს აგებს საკუთარი ბრალისთვის (გერმანიის სსკ-ის 29-ე პარაგრაფი და საქართველოს სსკ-ის 25-ე მუხლის პირველი ნაწილი). *კ. გოსსელი* „გაუფრთხილებლობას" არ მიიჩნევს ბრალის ნიშნად. ბრალის ნიშნად იგი მიიჩნევს ინდივიდუალურ გასაკიცხაობას[952]. იგი აღნიშნავს, რომ, მაშინ, როცა უთითებენ შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის უმართლობის ნიშნად გაუფრთხილებლობით გამოწვეულ შედეგზე, ასეთ დელიქტში თანამონაწილეობა გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას წარმოადგენს[953]. მისი თვალსაზრისით, გაუფრთხილებლობით გამოწვეულ მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში თანამონაწილეობის დაშვება ეწინააღმდეგება კანონმდებლობის იმ დებულებებს, რომელიც თანამონაწილეთა სახეებს ეხება (გერმანული სსკ-ის 26-ე და 27-ე პარაგრაფები)[954], რამდენადაც აღნიშნული დებულების თანახმად, თანამონაწილეობა გულისხმობს განზრახ დანაშაულში განზრახ მონაწილეობას.

---

[949] იხ. *მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 196.

[950] იხ. *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 512.

[951] იხ. *Gössel K.,* Dogmatische Überlegungen zur Teilnahme am erfolgsqualifizierten Delikt nach § 18 StGB, Lange-FS, 1976, 225.

[952] იხ. *Gössel K.,* იქვე, გვ. 225-226.

[953] იხ. *Gössel K.,* იქვე, გვ. 226.

[954] იხ. *Gössel K.,* იქვე, გვ. 228.

6. შეჯამება

საფრთხის შემქმნელ დელიქტებში თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი ერთიანი სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელებაა. სისხლისსამართლებრივი უმართლობის ერთიანობა განისაზღვრება თანამონაწილის ქმედების არა მხოლოდ მიზეზობრივი კავშირით დამდგარ შედეგთან, არამედ სუბიექტური ნიშნის ერთიანობითაც. ასეთი ერთიანობა გულისხმობს ქმედების შეგნებულ წარმართვას ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგისადმი. ქმედების შეგნებული წარმართვა გაუფრთხილებლობითი შედეგისადმი შეუძლებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ საფრთხის დელიქტებში თანამონაწილეობა შეუძლებელია. თანამონაწილე პასუხს აგებს განზრახ ძირითადი შემადგენლობის განხორციელებაში მონაწილეობისთვის. დამდგარი უფრო მძიმე შედეგისთვის პასუხისმგებლობა თანამონაწილეს შეიძლება დაეკისროს არა როგორც თანამონაწილეს, არამედ როგორც ერთპიროვნულ ამსრულებელს.

შეკვეცილი შემადგენლობის საფრთხის შემქმნელ დელიქტებში თანამონაწილეობა შესაძლებელია დანაშაულის იურიდიულად ანუ ფორმალურად დამთავრებამდე, ხოლო დენად დელიქტებში იგი შეიძლება დანაშაულის ფორმალურად დამთავრების მერეც დანაშაულებრივი ქმედების შეწყვეტამდე.

X. თავი

მართლწინააღმდეგობა საფრთხის დელიქტებში

1. მართლწინააღმდეგობის ცნება

მართლწინააღმდეგობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია. არ შეიძლება ვინმეს პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის წესით დაეკისროს, თუ მისი ქმედება მართლსაწინააღმდეგო არ არის. შესაბამისად, ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენას სისხლის სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ქმედების მართლწინააღმდეგობის გამორიცხვა იწვევს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვას. იმისათვის, რომ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს, მის მიერ განხორციელებული ქმედება არა მხოლოდ სსკ-ით უნდა იყოს გათვალისწინებული, არამედ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულიც.

მართლწინააღმდეგობა გულისხმობს სამართლისადმი წინააღმდეგობას („Widerspruch gegen das Recht“). კანონმდებელი საზოგადოებაში ადამიანთა თანაცხოვრების დასაცავად ადგენს ქცევის წესებს, რომლებიც სამართლის ნორმებად იწოდებიან. აღნიშნული ნორმები ადამიანებისგან მოითხოვენ პოზიტიურ მოქმედებას (განსაცდელში მყოფისთვის დახმარების აღმოჩენა) ან კრძალავენ გარკვეული ქმედების განხორციელებას (სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ადამიანის ჩაყენება),[955] სწორედ ამ აკრძალვებისა და მოთხოვნისადმი ქმედების შეუსაბამობას ეწოდება მართლწინააღმდეგობა.

მართლწინააღმდეგობა ან არსებობს ან არ არსებობს. მართლწინააღმდეგობას არ გააჩნია ხარისხი და, შესაბამისად, ქმედება არ შეიძლება იყოს მეტად ან ნაკლებად მართლსაწინააღმდეგო. ქმედება ან მართლსაწინააღმდეგოა ან მართლზომიერი[956].

მართლწინააღმდეგობა მაშინ არსებობს, როცა ქმედება მოქმედების ან უმოქმედობის ვალდებულებას არღვევს. თუმცა, მართლწინააღმდეგობის დადგენა ამით არ ამოიწურება. ეს ყოველივე, ე. ი. მოქმედების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების ვალდებულების დარღვევა, მართლწინააღმდეგობის მხოლოდ ფორმალურ მხარეს წარმოადგენს.[957] მართლწინააღმდეგობას გარდა ფორმალური მხარისა, მატერიალური მხარეც გააჩნია. მართლწინააღმდეგობის ასეთ დაყოფას (ფორმალურ და მატერიალურ მართლწინააღმდეგობად) საფუძველი გერმანელმა მეცნიერმა *ლისტმა* დაუდო.[958] რა შეიძლება წარმოადგენდეს მართლწინააღმდეგობის მატერიალურ მხარეს?

ლისტის თვალსაზრისით, დანაშაული, როგორც უმართლობა და მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ფორმალურად წარმოადგენს სახელმწიფოს

---

[955] იხ. *Jescheck H-H., Weigend T.,* Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 233; *გამყრელიძე ო.,* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მეორე გამოცემა, თბ., 2008, გვ. 215.

[956] იხ. *Ebert U.,* Strafrecht, AT, 3. Aufl., Heidelberg, 2001, S. 29; *გამყრელიძე ო.,* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მეორე გამოცემა, თბ., 2008, გვ. 86.

[957] იხ. *Jescheck H-H., Weigend T.,* Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 233.

[958] იხ. *Kühl K.,* Die Beendigung des vorsätzlichen Begehungsdelikts, Berlin, 1974, S. 47.

მიერ დადგენილი ნორმის, მართლწესრიგის მოთხოვნისა და აკრძალვის დარღვევას, ხოლო მატერიალურად – სახელმწოფოს მიერ დადგენილი ნორმებით სამართლებრივად დაცულ ინტერესებზე თავდასხმას.[959] მაშასადამე, მისი შეხედულებით, მართლწინააღმდეგობის მატერიალური მხარე გამოიხატება სამართლებრივ სიკეთეზე თავდასხმაში. იგი სამართლებრივი სიკეთის გვერდით იყენებდა სამართლებრივად დაცული ინტერესის ცნებასაც. თუ სამართლებრივი სიკეთის მართლსაწინააღმდეგოდ ხელყოფას ან მისთვის საფრთხის შექმნას აქვს ადგილი, ქმედება სოციალურად საშიშიც არის.

ჰ. იეშეკიც „მატერიალურ მართლწინააღმდეგობაზე“ ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს და აღნიშნავს, რომ ქმედება მატერიალურად მართლსაწინააღმდეგო მაშინაა, როცა ქმედება ხელყოფს ნორმით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს. *კ. როქსინის* თვალსაზრისით კი, ქმედების მატერიალური მართლწინააღმდეგობა სამართლებრივი სიკეთის სოციალურად საზიანო ხელყოფას (sozialschädliche Rechtsgüterverletzung) გულისხმობს.[960] *ჰ. იეშეკის* თვალსაზრისით, „ხელყოფა“ გულისხმობს არა განსაზღვრული ქმედების ობიექტის ნატურალისტურ დაზიანებას (მაგალითად, ადამიანის მკვლელობა, ნივთის დაზიანება), არამედ იმ იდეალური ღირებულების საწინააღმდეგო მოქმედებას, რომელიც სამართლებრივი ნორმის მეშვეობით უნდა იყოს დაცული. სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა კი გულისხმობს საზოგადოებისთვის ზიანის მიყენებას, რის გამოც სამართლიანია დანაშაულის მიკუთვნება „საზოგადოებრივად საშიში ქმედებისადმი“.[961] აღნიშნული დებულების მიხედვით, მართლწინააღმდეგობის მატერიალური მხარე ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებაში გამოიხატება.[962]

შეიძლება ქმედება სსკ-ით გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობასაც შეესაბამებოდეს და სახეზე არ იყოს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არცერთი გარემოება, მაგრამ ქმედება მაინც არ იყოს მატერიალურად მართლსაწინააღმდეგო. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების გამორიცხვით დგინდება ქმედების არა მატერიალური, არამედ ფორმალური მართლწინააღმდეგობა.

მ. ტურავა განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს და მართლწინააღმდეგობას მატერიალური გაგებით დადგენილად მიიჩნევს, თუ დადგინდა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არარსებობა.[963]

მართლწინააღმდეგობაზე იურიდიულ ლიტერატურაში დღემდე არაერთი თეორია ჩამოყალიბდა, რომელთაგან აღსანიშნავია *კ. ბინდინგის, მ. მაიერის,* ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების და საერთო მართლწინააღმდეგობის თეორიები.

---

[959] იხ. *Лист Ф.Ф.*, Учебникъ уголовного права, Общая часть, М., 1903, С. 145-146.

[960] იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 601, § 14 B, Rn. 4.

[961] იხ. *Jescheck H-H., Weigend T.,* Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 234.

[962] საზოგადოებრივ საშიშროებაზე, როგორც მართლწინააღმდეგობის მატერიალურ მხარეზე იხ. ასევე *ფუტკარაძე ე.,* მართლწინააღმდეგობის საკითხისათვის, *გამყრელიძე ო.* (რედ),სისხლის სამართლის პრობლემები,*თ. წერეთლის* 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კრებული,თბ.,2006,გვ. 124,129.

[963] იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი,დანაშაულის მოძღვრება,თბ., 2011,გვ. 325.

კ. ბინდინგის თეორიის მიხედვით, მართლწინააღმდეგობა გულისხმობს ქმედების წინააღმდეგობას იმ ნორმისადმი, რომელიც სისხლის სამართლის კანონს გარეთაა.[964] აღნიშნული თეორიის თანახმად, დამნაშავე ასრულებს სისხლის სამართლის კანონს და არღვევს მის ფარგლებს გარეთ მყოფ ნორმას. სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღნიშნული თეორია არაერთმა ავტორმა გააკრიტიკა.[965] მათი თვალთახედვით, ის, რომ ქურდი ქურდობის შემადგენლობას ასრულებს ანუ ახორციელებს, როდი ნიშნავს იმას, რომ ქურდი სისხლისსამართლებრივ აკრძალვას არ არღვევს. სასჯელი სწორედ რომ აკრძალვაა იმ ქმედებისა, რომლისთვისაც იგი არის დაწესებული. ის, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის სანქციაში წერია სიტყვა „ისჯება“ და არა „აკრძალულია“, საკანონმდებლო ტექნიკის საკითხია და არა ის, რომ სისხლის სამართალი არაფერს არ კრძალავს.[966]

გ. ტყემალაძე, მართებულად აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის ის ნორმა, რომელიც დასჯადი ქმედების შემადგენლობას მოიცავს, გულისხმობს აღნიშნული ქმედების აკრძალვასაც.[967] *თ. შავგულიძის* შეხედულებით, საზოგადოებრივად საშიში ქმედების დანაშაულად გამოცხადებით ხდება ამ ქმედების აკრძალვა სისხლის სამართლის კანონით.[968]

სისხლის სამართლის ნორმის აკრძალვით ხასიათზე მიუთითებენ *მ. ტურავა* და ნ. გვენეტაძეც და აღნიშნავენ, რომ „დანაშაული არის მხოლოდ ისეთი ქმედება, რომლის ჩადენაც მისი ჩადენის დროს სისხლის სამართლის კანონით სასჯელის მუქარით არის აკრძალული“.[969] *მ. ტურავას* თვასაზრისით, სისხლის სამართლის ნორმა არის ამკრძალავი ან მავალებელი.[970]

თ. წერეთელმა კ. ბინდინგის თეორიის ნაკლად მიიჩნია ის, რომ ქმედების მართლწინააღმდეგობის დასადგენად დასაშვებად სცნო კანონგარეშე კრიტერიუმების გამოყენება და ამით აღიარა იმ ნორმების ნორმატიული ძალა, რომლებიც პოზიტიურ სამართალში არ არსებობენ და წინ უსწრებენ სისხლის სამართლის კანონს.[971]

ო. გამყრელიძე ემხრობა *კ. ბინდინგის* თეორიას და *თ. წერეთლის* შეხედულების საწინააღმდეგოდ *გ. ნანეიშვილის* ნაშრომზე[972] დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ფაქტს სახელმწიფოებრივი აკრძალვის გარეშე შეი-

---

[964] ანალოგიურად განმარტავს მართლწინააღმდეგობას *ო. გამყრელიძეც.* იხ. *გამყრელიძე ო.,* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მეორე გამოცემა, თბ., 2008, 83-84, გვ. 253-254.

[965] იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010, გვ. 100-109; *ნაჭყებია გ.,* ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენის საკითხისათვის, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006, №1, გვ. 72; *Ткешелиадзе Г.,* Судебная практика и уголовный Закон, Тб., 1975, с. 48, 53.

[966] იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010, გვ. 103.

[967] იხ. *Ткешелиадзе Г.,* Судебная практика и уголовный Закон, Тб., 1975, с. 51.

[968] იხ. *შავგულიძე თ.,* წიგნში: *შავგულიძე თ, სურგულაძე ლ,* საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბ., 1988, გვ. 7.

[969] იხ. *გვენეტაძე ნ., ტურავა მ.,* სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2005, გვ. 16.

[970] იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 324.

[971] იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010, გვ. 102-103.

[972] იხ. *ნანეიშვილი გ.,* სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბ., 1992, გვ. 107.

ძლება ჰქონდეს სავალდებულო ძალა და ამ ძალას მას საზოგადოებრივი ცხოვრება ანიჭებს. მისი თვალსაზრისით, სამართალი უფრო ფართოდ უნდა გავიგოთ და არა ვიწროდ, როგორც ეს სამართლის პოზიტივიზმის მიმდევრებს ესმით.[973]

ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ სამართლის ნორმა შეიძლება დაუწერელი ნორმაც იყოს. მაგალითად, „სისხლის აღრევა“ ისჯებოდა 1928 წლის ქართული სისხლის სამართლის კოდექსით. შემდგომში მოხდა მისი დეკრიმინალიზაცია, მაგრამ მისი თვალსაზრისით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ქმედება აკრძალული არ იყოს. *ო. გამყრელიძის* შეხედულებით, „სისხლის აღრევის“ დეკრიმინალიზაციით მოხდა ქმედების დასჯადობის გაუქმება, თორემ იგი ისევე აკრძალული და საზიანოა საზოგადოებისთვის, როგორც ადრე.[974]

ფაქტს მართლაც შეიძლება გააჩნდეს ნორმატიული ძალა, რომელსაც შეუძლია ჩვენ უფლებამოსილად ან ვალდებულად გვაქციოს, მაგრამ თავად *გ. ნანეიშვილი*, რომელმაც საქართველოში ნორმატიული ფაქტების თეორია განავითარა, აღნიშნავს, რომ ნორმატიული ფაქტების არსებობის აღიარების შემთხვევაში არ შეიძლება ნორმატიული ფაქტები პოზიტიური სამართლის წყაროდ ჩაითვალოს, ვინაიდან პოზიტიური სამართლის ნორმას თავისი წყარო აქვს.[975]

თუ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც საზოგადოებაში მოქმედი ბევრი დაუწერელი ნორმა სამართლის ნორმაა,[976] წინააღმდეგობაში მოვალთ *ნანეიშვილის* შეხედულებასთან. *გ. ნანეიშვილი* მართებულად მიუთითებს: „თუ პოზიტიურ სამართალს ათასი წყარო აქვს, ნორმატიული ფაქტების პრობლემა გულისხმობს შესაძლებლობას, რომ არსებობს ათასპირველი ფაქტი, რომელიც არ არის არც სამართალი, არც სამართლის წყარო, მაგრამ რომელსაც აქვს ზემოაღნიშნული თვისებები“.[977] მაშასადამე, არსებობს ნორმატიული ფაქტები, რომლებსაც სამართლის მსგავსი თვისებები გააჩნია, მაგრამ არ არის არც სამართალი და არც სამართლის წყარო.

რაც შეეხება *მ. მაიერის* თეორიას, იგიც მართლწინააღმდეგობას სისხლის სამართლის მიღმა ეძებს და მართლწინააღმდეგობაზე მსჯელობას საფუძვლად უდებს სისხლის სამართლის კანონს მიღმა მყოფ კულტურის ნორმებს.[978]

ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების თეორიის[979] მიხედვით კი, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება ქმედების შემადგენლობასაც გამორიცხავს. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არარსებობა ქმედების შემადგენლობის ნიშანია. ამ თეორიის

---

[973] იხ. *გამყრელიძე ო.*„მართლწინააღმდეგობის ცნება და სისხლის სამართლის კანონი, „ცხოვრება და კანონი“,2013,№2 (17),ნოემბერ-დეკემბერი,გვ. 5.

[974] იხ. *გამყრელიძე ო.*„იქვე,გვ. 5-7.

[975] იხ. *ნანეიშვილი გ.*„იქვე,გვ. 108.

[976] იხ. *გამყრელიძე ო.*„იქვე,გვ. 5.

[977] იხ. *ნანეიშვილი გ.*„იქვე,გვ. 113.

[978] მაიერის თეორიის ანალიზი იხ. *წერეთელი თ.*,სისხლის სამართლის პრობლემები,IV ტომი,თბ.,2010,გვ. 109-115.

[979] ნეგატიური ნიშნების თეორიაზე გერმანულად იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 630, §14 H Rn. 72; *Jescheck H-H., Weigend T.,* Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 248-251.

მიხედვით, თუ სახეზეა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, ქმედების შემადგენლობაც გამოირიცხება. მართლწინააღმდეგობის ასეთი გაგებით ვღებულობთ დანაშაულის არა სამნიშნოვან, არამედ ორნიშნოვან ცნებას, რაც გაუმართლებელია. არ შეიძლება ქმედების შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა გავაიგივოთ, მართლწინააღმდეგობა ქმედების შემადგენლობის ნიშნად ვაქციოთ.

ქმედების შემადგენლობა აღწერილობითი ანუ დესკრიფციული მსჯელობაა,[980] მაშინ, როცა ქმედების მართლწინააღმდეგობა შეფასებით მსჯელობას გამოხატავს.[981] ქმედების შემადგენლობა არ არის დაცლილი შეფასებითი ნიშნებისგან,[982] მაგრამ ეს არ ცვლის ქმედების შემადგენლობის, როგორც აღწერილობითი მსჯელობის ბუნებას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თვით აღწერილობითი ნიშანიც შეიძლება გახდეს შეფასების საგანი,[983] ვინაიდან იგი, მართალია, შეიძლება გრძნობის ორგანოთი ადამიანმა აღიქვას და დაინახოს, მაგრამ არ არის ერთმნიშვნელოვანი. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, შეფასებითი შეიძლება იყოს თითქმის ყველა საკანონმდებლო ცნება, გარდა ციფრებისა და თარიღებისა.[984]

ერთიანი მართლწინააღმდეგობის თეორიის თანახმად, არსებობს ერთიანი მართლწინააღმდეგობის ცნება. მართლწინააღმდეგობა არ იყოფა დარგებად და შესაბამისად, არ არსებობს „სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობაც“. ის რაც მართლსაწინააღმდეგოა სამართლის ერთ დარგში, მართლსაწინააღმდეგოა სხვაგანაც. მაგალითად, რაც ადმინისტრაციულ ან სამოქალაქო სამართალშია მართლსაწინააღმდეგო, სისხლის სამართალშიც მართლსაწინააღმდეგოა, ე.ი არ შეიძლება სისხლისსამართლებრივად აკრძალული იყოს ის, რაც სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სამართალში ნებადართულია.[985] კითხვაზე, უნდა განისაზღვროს თუ არა ქმედების მართლზომიერება და მართლწინააღმდეგობა მთელი მართლწესრიგისათვის, ე.ი. სამართლის ყველა დარგისთვის ერთნაირად, გერმანელი მეცნიერი *კ. როქსინი* დადებითად პასუხობს, რის საფუძველსაც მართლწესრიგის ერთიანობაში ხედავს.[986] ერთიანი მართლწესრიგი-

---

[980] სისხლის სამართლის ნორმის დისპოზიციაში აღწერილი ქმედების შემადგენლობა სისხლის სამართლის ნორმის,როგორც შეფასებითი მსჯელობის დესკრიფციული ასპექტია. ე.ი. მაშინ,როცა სისხლის სამართალი შეფასებით მსჯელობას გამოხატავს,ქმედების შემადგენლობა აღწერილობით მსჯელობას გულისხმობს. იხ. *Ткешелиадзе Г.,* Судебная практика и уголовный Закон, Тб., 1975, с. 51. ქმედების შემადგენლობის აღწერილობით („დესკრიფციულ“) ნიშნებზე იხ. *გვენეტაძე ნ.,ტურავა მ.*,სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა,თბ.,2005,გვ. 28.

[981] იხ. *Ткешелиадзе Г.,* Судебная практика и уголовный Закон, Тб., 1975, с. 54.

[982] ქმედების შემადგენლობის შეფასებით ნიშნებზე იხ. *გვენეტაძე ნ.,ტურავა მ.*,იქვე,გვ. 30-32.

[983] იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*,სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი I,დანაშაული, თბ.,2014,გვ. 42.

[984] იხ. *გვენეტაძე ნ., ტურავა მ.*, იქვე, გვ. 14. განსხვავებული შეხედულებები შეიძლება გამოითქვას იმასთან დაკავშირებით,თუ რა იგულისხმება “ტყის”,“ადამიანის”,“ნივთის” ცნების ქვეშ და ა. შ.

[985] იხ. *Baumann/Weber/Mitsch,* Strafrecht, AT, Lehrbuch, 11. Aufl., Bielefeld, 2003, S. 302, § 16 Rn. 7; *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S.101, Rn. 274; *Rengier R.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., München, 2011, S. 134. ანალოგიურ თვალსაზრისს გამოხატავს *უ. ებერტიც*,რომელიც აღნიშნავს,რომ თავდასხმა მართლსაწინააღმდეგოა,როცა იგი ეწინააღმდეგება მთელ სამართალს. იხ. *Ebert U.,* Strafrecht, AT, 3. Aufl., Heidelberg, 2001, S. 74.

[986] იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 613, § 14 E, Rn. 31, 32.

დან გამომდინარე, ერთიანი მართლწინააღმდეგობის თეორიის მიხედვით, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი არა მხოლოდ სისხლის სამართლიდან, არამედ სამართლის სხვა დარგებიდან – სამოქალაქო, საჯარო სამართლიდანაც გამომდინარეობენ.[987] უნდა აღინიშნოს, რომ ერთიანი მართლწინააღმდეგობის დებულება სათანადოდ ვერ ასაბუთებს „მართლწინააღმდეგობის ერთიანობის“ იდეას. მაგალითად, *ლ. მაღლაკელიძე,* რომელმაც მართლწინააღმდეგობის შეგნების საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა, ერთი მხრივ, იზიარებს ერთიანი მართლწინააღმდეგობის იდეას, და მეორე მხრივ, აღნიშნავს, რომ სამოქალაქოსამართლებრივად ან ადმინისტრაციულსამართლებრივად მართლსაწინააღმდეგო ყველა ქმედება როდია სისხლისსამართლებრივად მართლსაწინააღმდეგო.[988]

სწორად აღნიშნავს *ბ. ჰაინრიხი,* რომ სისხლისსამართლებრივი უმართლობა არ ემთხვევა სამოქალაქოსამართლებრივ მართლწინააღმდეგობას. არის შემთხვევები, როცა ქმედება სამოქალაქოსამართლებრივად მართლსაწინააღმდეგოა, მაგრამ სისხლისსამართლებრივად მართლსაწინააღმდეგო არ არის.[989] არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის დასასაბუთებლად, რომ ერთიანი მართლწინააღმდეგობის იდეის დასაბუთება შეუძლებელია. მაგალითად, აგრესიული ანუ თავდასხმითი უკიდურესი აუცილებლობა სისხლის სამართალში მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებად მიიჩნევა, მაშინ, როცა აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის ვითარებში მოქმედი სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან არ თავისუფლდება. ის რაც სისხლის სამართალში მართლზომიერ ქმედებად მიიჩნევა, სამოქალაქოსამართლებრივი წესით პასუხისმგებლობას იწვევს. თუ ქმედება სამართლის ყველა დარგისთვის ან მართლზომიერია ან მართლსაწინააღმდეგო, მაშინ სამართლის ყველა დარგისთვის უნდა მოქმედებდეს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა ერთიანი სისტემა.

სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელება ქმედების მართლწინააღმდეგობის სამხილია, ინდიციაა.[990] ქმედების შემადგენლობის განხორციელებისას ივარაუდება, რომ ქმედება შეიძლება მართლსაწინააღმდეგო იყოს. ქმედების მართლწინააღმდეგობას წინ უსწრებს ქმედების შემადგენლობა და არა პირიქით. თუ ჩვენ ქმედების მართლწინააღმდეგობას სისხლის სამართლის კანონს გარეთ მყოფი ნორმის საფუძველზე დავადგენდით, შემდეგ დასკვნამდე მივიდოდით:

---

[987] იხ. *Rengier R.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., München, 2011, S. 134.

[988] იხ. *მაღლაკელიძე ლ.,* მართლწინააღმდეგობის შეგნების მნიშვნელობა განზრახი და გაუფრთხილებლობითი დელიქტების დროს (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), „სამართლის ჟურნალი“, 2010, №1-2, გვ. 218-219. ერთიანი მართლწინააღმდეგობის იდეას იზიარებენ *მ. ტურავა* და *ი. დვალიძეც.* იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 333, 339; *დვალიძე ი.,* მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებანი სისხლის სამართალში, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2007, №1, გვ. 151.

[989] იხ. *Heinrich B.*, Strafrecht, AT I, 2. Aufl., Stuttgart, 2010, S. 118, Rn. 308.

[990] იხ. *Welzel H.,* Das Deutsche Strafrecht, 11. Aufl., 1969, S. 80; *Kühl K.,* Strafrecht, AT, 6. Aufl., München, 2008, S. 108; *Haft F.,* Strafrecht, AT, 8. Aufl., München, 1998, S. 71; *Baumann/Weber/Mitsch,* Strafrecht, AT, Lehrbuch, 11. Aufl., Bielefeld, 2003, S. 194, § 12 Rn.11; *Ebert U.,* Strafrecht, AT, 3. Aufl., Heidelberg, 2001, S. 64; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 339.

მართლწინააღმდეგობა წინ უსწრებს ქმედების შემადგენლობას და ქმედების შემადგენლობა კი არ არის მართლწინააღმდეგობის ინდიცია, არამედ, პირიქით, მართლწინააღმდეგობაა ქმედების შემადგენლობის ინდიცია, რაც არასწორია. მართლწინააღმდეგობა არ შეიძლება არსებობდეს ქმედების შემადგენლობის გარეშე და იგი არ შეიძლება ქმედების შემადგენლობას წინ უსწრებდეს. ქმედების შემადგენლობის და მართლწინააღმდეგობის ურთიერთმიმართების საკითხზე მეტად საინტერესოა გერმანული სსკ-ის მე-11 პარაგრაფის მე-5 აბზაცის ტექსტის შინაარსი, რომლის მიხედვითაც, მართლსაწინააღმდეგო ქმედება არის მხოლოდ ისეთი, რომლითაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა ხორციელდება.

ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენა ხდება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არსებობის გამორიცხვით. თუ სახეზეა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება, ქმედება მართლზომიერია. *გ. ნაჭყებიას* მოსაზრების თანახმად, თუ ქმედების შემადგენლობა განხორციელდა და სახეზეა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, ქმედება მართალია, მართლსაწინააღმდეგო არ არის, მაგრამ, არც მართლზომიერია.[991] ამავე შეხედულებით, ქმედების შემადგენლობის განხორციელება ნიშნავს იმას, რომ მართლზომიერი მოქმედების ვალდებულება დარღვეულია. აღნიშნული მოსაზრება არ შეიძლება გაზიარებული იქნეს, ვინაიდან, იმას, ვინც აუცილებელი მოგერიების ვითარებაში ქმედების შემადგენლობა, კერძოდ, მკვლელობა განახორციელა, შეუძლებელია მართლზომიერად მოქმედების ვალდებულების დარღვევა ვუსაყვედუროთ. აუცილებელი მოგერიება ადამიანის უფლებაა და არ შეიძლება ადამიანს ერთის მხრივ რაღაც მოქმედების უფლება მიანიჭო და ამავდროულად უსაყვედურო კიდეც, რომ მან რაღაც ვალდებულება დაარღვია და არამართლზომიერად მოიქცა. უფლების განხორციელება ქმედების არამართლზომიერებას თავისთავად გამორიცხავს. ქმედების განხორციელების უფლება და მართლწინააღმდეგობა ერთმანეთთან შეუთავსებელი ცნებებია. როგორც გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებით გამართლებული ქმედება ქმედების შემადგენლობის შესაბამისად რჩება, მაგრამ სამართლებრივი ვალდებულების არავითარ დარღვევას არ შეიცავს.[992]

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, კლასიკურ და ბლანკეტურ დელიქტებში მართლწინააღმდეგობა განსხვავებულად დგინდება. აღნიშნული შეხედულებით, კლასიკურ დელიქტებში მართლწინააღმდეგობის დადგენა ხდება ნეგატიურად ანუ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არარსებობის დადგენით, ხოლო ბლანკეტურ დელიქტებში, პირიქით, მართლწინააღმდეგობის დადგენა

---

[991] იხ. *ნაჭყებია გ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, გვ. 316-317; *ნაჭყებია გ.,* დეონტური ლოგიკა და სამართლებრივად თავისუფალი სივრცის პრობლემა სისხლის სამართალში,,,ფილოსოფიური ძიებანი", ტ. XIV, თბ., 2010, გვ. 154.

[992] იხ. *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 271, Rn. 101.

ხდება პოზიტიურად, განსაზღვრული წესების დარღვევის დადგენით.[993] აღნიშნული დებულების სიზუსტე დამოკიდებულია იმაზე, დანაშაულის თუ რომელ ნიშანს, ქმედების შემადგენლობას თუ მართლწინააღმდეგობას მივაკუთვნებთ ქმედების შემადგენლობაში ქმედების მართლწინააღმდეგობაზე მოცემულ მითითებას.

2. მართლწინააღმდეგობაზე მითითება, როგორც ქმედების შემადგენლობის ნიშანი საფრთხის დელიქტებში

იმის გარკვევას, დანაშაულის თუ რომელ ნიშანს მიეკუთვნება საფრთხის დელიქტების ბლანკეტურ შემადგენლობაში მოცემული მითითება მართლწინააღმდეგობაზე, არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია, ვინაიდან, აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქმედების შემადგენლობასა და აკრძალვაში შეცდომის საკითხის სწორად გადაწყვეტაში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არც თუ ისე იშვიათად გვხვდება ისეთი შემადგენლობანი, რომლებიც შეიცავენ მითითებას მართლწინააღმდეგობაზე. ზოგჯერ ეს მითითება ქმედების შემადგენლობის ცალკეულ ნიშანს ეხება, მაგალითად მიზანს, ხოლო ზოგჯერ მთლიანად ქმედებას. ასე მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის თანახმად, ყაჩაღობა არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის *მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით*, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით. საქართველოს სსკ-ის 133-ე მუხლით კი გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა *უკანონო აბორტისთვის*.

მაშინ, როცა მართლწინააღმდეგობა ქმედების შემადგენლობის ნიშანია, იგი დამნაშავის განზრახვით უნდა იყოს მოცული.[994] მართლწინააღმდეგობაზე, როგორც ქმედების შემადგენლობის ნიშანზე შეცდომა განზრახვას გამორიცხავს და ქმედების შემადგენლობაში დაშვებულ შეცდომას წარმოადგენს, ხოლო მაშინ, როცა მართლწინააღმდეგობა ქმედების შემადგენლობის ნიშანი არ არის, მართლწინააღმდეგობაზე დაშვებული შეცდომა აკრძალვაში შეცდომად მიიჩნევა[995].

მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი ქმედების შემადგენლობის ნიშანია და თუ აღნიშნული ნიშანი დამნაშავეს არა აქვს და ისე მოქმედებს, მისი მოქმედება ვერ ჩაითვლება განზრახ ჩადენილად, რამეთუ მას არ ჰქონდა შეცნობილი ქმედების შემადგენლობის ნიშანი. შესაბამისად, მისი მოქმედება გაუფრთხილებლობითი დანაშაულის შემადგენლობას მოგვცემს და დამნაშავე გაუფრთხილებლობისთვის დაისჯება თუ მსგავსი ქმედების გაუფრთხილებლობით განხორციელებისთვის სსკ-ი სასჯელს აწესებს. მაგალითად, ადამიანი არ

---

[993] იხ. *გამყრელიძე ო.,* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მეორე გამოცემა, თბ., 2008, გვ. 84-85; *დვალიძე ი.,* წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 243-244.

[994] იხ. *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 50, Rn. 135.

[995] იხ. *Ebert U.,* Strafrecht, AT, 3. Aufl., Heidelberg, 2001, S. 45.

მოქმედებს ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით თუ სხვის ნივთს ეუფლება და ჰგონია, რომ ნივთი, რომელსაც ეუფლება, თავისია და არა სხვისი.

როგორ უნდა შევაფასოთ ქმედება თუ დამნაშავეს შეგნებული არ ჰქონდა არა ქმედების ცალკეული ნიშნის (მიზნის), არამედ მთელი ქმედების მართლწინააღმდეგობა, რომელიც ქმედების შემადგენლობაშია მითითებული? იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, მაშინ, როცა ქმედების შემადგენლობაში მოცემული მართლწინააღმდეგობაზე მითითება ეხება არა მიზანს, არამედ მთლიანად ქმედებას, იგი მიიჩნევა არა ქმედების შემადგენლობის, არამედ იმ მართლწინააღმდეგობის ნიშნად, რომელიც დანაშაულის ერთ-ერთი დამოუკიდებელი ნიშანია და, შესაბამისად, მასთან დაკავშირებით დაშვებული შეცდომა განიხილება არა როგორც ქმედების შემადგენლობაში დაშვებული შეცდომა, არამედ როგორც აკრძალვაში შეცდომა.[996]

საკითხის ასე უპირობოდ და ცალსახად გადაჭრა არ იქნებოდა მართებული. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 133-ე მუხლით ისჯება აბორტი არა ზოგადად, არამედ „უკანონო აბორტი“. აბორტი უკანონოა, თუ აბორტი გაკეთდა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნების დარღვევით. აღნიშნული კანონის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ აბორტი გაკეთდეს სპეციალიზირებულ დაწესებულებაში. თუ აბორტი ამ მოთხოვნის დარღვევით გაკეთდა, აბორტი უკანონოდ ჩაითვლება. თუმცა, მხოლოდ იმის დადგენა, რომ აბორტი არასპეციალიზირებულ დაწესებულებაში გაკეთდა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენას. შეიძლება აბორტი არასპეციალიზირებულ დაწესებულებაში გაკეთდეს, მაგრამ თუ სპეციალიზირებული დაწესებულება შორს იყო და სპეციალიზირებულ დაწესებულებაში ორსული ქალის გადაყვანა ქმნიდა მისი სიცოცხლის ხელყოფის საფრთხეს, მიუხედავად ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნის დარღვევისა, ქმედების მართლწინააღმდეგობა უკიდურესი აუცილებლობის საფუძველზე გამოირიცხება და იგი მართლზომიერად ჩაითვლება. ე. ი. აბორტის უკანონობა, სსკ-ის 133-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ნორმატიული ნიშანია და არა ქმედების მართლწინააღმდეგობის ნიშანი.[997] აბორტის უკანონობა მაშინ ჩაითვლებოდა მართლწინააღმდეგობის ნიშნად, თუ აკრძალული იქნებოდა აბორტი ზოგადად, ისე როგორც მკვლელობაა აკრძალული, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა (მაგ. აუცილებელი მოგერიების დროს). თითქოსდა პარადოქსია, რომ შეიძლება დადგინდეს იმ ქმედების მართლზომიერება, რომლის ნიშანიც უკანონობაა და რომელიც გარკვეული ნორმატიული აქტის მოთხოვნებს არ შეესაბამება. მაგრამ, კანონმდებელი რიგ შემთხვევებში ვერც ჩამოაყალიბებს ქმედების შემადგენლობას ისე, რომ ქმედების შემადგენლობაშივე არ მიუთითოს ქმედების უკანონობაზე, როგორც ქმედების შემადგენლობის ნიშანზე. ასეთი მითითება კანონმდებელს არ სჭირდება მაშინ, როცა ხდება იმ

---

[996] იხ. *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 50, Rn. 135.

[997] ანალოგიურ თვალსაზრისზე იხ. *Haft F.,* Strafrecht, AT, 8. Aufl., München, 1998, S. 45-46; *წერეთელი თ.,* საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ., 2006, გვ. 37; *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 401.

ქმედების დასჯადად გამოცხადება, რომელიც გამონაკლისის გარდა ყოველთვის აკრძალულია (მკვლელობა). მართებულად აღნიშნავს *მ. ტურავა*, რომ „ზოგჯერ შეიძლება პირმა დაარღვიოს კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი და, მიუხედავად ამისა, მისი მოქმედება მაინც ჩაითვალოს მართლზომიერად“.[998]

კანონმდებელს შეუძლია უარი თქვას ბლანკეტური ნორმის შექმნაზე, არ მიუთითოს ქმედების შემადგენლობაში შემადგენლობის ნიშნად გარკვეული წესების დარღვევაზე (ან ქმედების უკანონობაზე), რომელიც სისხლის სამართლის კანონს გარეთ მყოფი ნორმებით განისაზღვრება, მაგრამ მაშინ შესაბამის სისხლის სამართლის ნორმაში უნდა ჩამოთვალოს ის გარემოებები, რომელთა არსებობისას ქმედების შემადგენლობა გამოირიცხება. მაგალითად, გერმანული სსკ-ის 218-ე(ა) პარაგრაფში ჩამოთვლილია ის გარემოებები, რომელთა არსებობისას, გამოირიცხება დასჯადი აბორტის ქმედების შემადგენლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა დასჯადი აბორტის შემადგენლობას უწოდა არა „უკანონო აბორტი“, არამედ აბორტი (Schwangerschaftsabbruch), მიუხედავად იმისა, რომ აბორტი ყოველთვის არც გერმანული სსკ-ით არის დასჯადი.

სისხლის სამართლის კოდექსში ამა თუ იმ ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველ გარემოებათა ჩამოთვლაზე კანონმდებელი შეგნებულად ამბობს უარს, რამდენადაც ამით უზრუნველყოფს სისხლის სამართლის კანონის ლაკონურობას. სსკ-ში ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველ გარემოებათა ჩამოთვლა ხელს უწყობს სსკ-ის მუხლების მოცულობის გაზრდას. თუმცა, მას თავისი დადებითი მხარეც გააჩნია, ვინაიდან კონკრეტული საკითხის მარეგულირებელი ყველა ნორმა ერთ ნორმატიულ აქტშია თავმოყრილი, რაც აიოლებს ნორმაშეფარდებით საქმიანობას.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში გამოითქვა შეხედულება, რომ ბლანკეტურ დელიქტებში მართლწინააღმდეგობა ორ ეტაპად უნდა შემოწმდეს: პირველ ეტაპზე ქმედების წინააღმდეგობა იმ ნორმისადმი, რომელიც სისხლის სამართლის კანონს გარეთ არის. მაგალითად, ქმედების წინააღმდეგობა იმ ნორმისადმი, რომელიც აბორტის კანონიერებას ადგენს, მოძრაობის უსაფრთხოების წესებს განსაზღვრავს და ა.შ (მართლწინააღმდეგობის პოზიტიური დადგენა), ხოლო მეორე ეტაპზე, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არარსებობა (მართლწინააღმდეგობის ნეგატიური დადგენა).[999] აღნიშნული დებულების მიხედვით, მართლწინააღმდეგობის დადგენის პირველ ეტაპადაა მიჩნეული ქმედების ბლანკეტური შემადგენლობის ნორმატიული ნიშნის დადგენა, რაც არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენას წინ უსწრებს სსკ-ით გათვალისწინებული შემადგენლობის განხორციელების დადგენა, მაგრამ ეს არ ნიშნავს მართლწინააღმდეგობის ორ ეტაპატ დადგენას. მართლწინააღმდეგობის დადგენა მხოლოდ

---

[998] იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი,დანაშაულის მოძღვრება,თბ., 2011, გვ. 326.

[999] იხ. *მაღლაკელიძე ლ.,* განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით,შედარებით-სამართლებრივი ანალიზი,თბ.,2013, გვ. 73-74.

ერთეტაპიანია როგორც კლასიკურ, ისე ბლანკეტურ დელიქტებში. კლასიკურ და ბლანკეტურ დელიქტებში განსხვავება არა მართლწინააღმდეგობის დადგენის საკითხს, არამედ ქმედების შემადგენლობის აგებულებას, შინაარსს უკავშირდება.

რამდენადაც ქმედების შემადგენლობაში მოცემული მითითება მართლწინააღმდეგობაზე ქმედების შემადგენლობის ნიშანია, იგი დამნაშავის განზრახვით უნდა იყოს მოცული.[1000] წინააღმდეგ შემთხვევაში განზრახვა გამოირიცხება. ხოლო, როცა შეცდომა ეხება არა ქმედების შემადგენლობის ნიშანს, არამედ მართლწინააღმდეგობას, მართლწინააღმდეგობაზე დაშვებული შეცდომა აკრძალვაში შეცდომად მიიჩნევა და იგი განიხილება ბრალის ეტაპზე.

თუ (ბლანკეტური დელიქტების) ქმედების შემადგენლობაში კანონმდებლის მიერ გაკეთებულ მითითებას გარკვეული წესების დარღვევაზე ან ქმედების უკანონობაზე ქმედების შემადგენლობის ნორმატიულ ნიშნად ჩავთვლით, მოგვიწევს იმ დასკვნის გაკეთება, რომ არა მხოლოდ კლასიკურ, არამედ ბლანკეტურ დელიქტებშიც მართლწინააღმდეგობა ნეგატიურად (და არა პოზიტიურად) ანუ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების გამორიცხვით დგინდება.

აღნიშნულის სისწორეში კიდევ უფრო დავრწმუნდებით, თუ დასმულ საკითხს გერმანული სსკ-ის 315c-ე პარაგრაფით გათვალისწინებული შემადგენლობის მაგალითზე განვიხილავთ. დასახელებული პარაგრაფით ისჯება მთვრალ მდგომარეობაში მყოფი პირის მიერ ავტომანქანის ტარება, მიუხედავად იმისა, მოჰყვა თუ არა მას რაიმე შედეგი. მთვრალ მდგომარეობაში მანქანის ტარება თავისთავად წარმოადგენს მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევას. მძღოლი ასეთი ქმედებით საფრთხეს უქმნის საზოგადოებას. თუ ვიტყოდით, რომ უსაფრთხოების წესების დარღვევა მართლწინააღმდეგობის ნიშანია და არა ქმედების შემადგენლობის ნიშანი, მაშინ გერმანული სსკ-ის 315c-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა განხორციელებულად უნდა მიგვეჩნია იმ დროსაც, როცა მძღოლი უსაფრთხოების წესების სრული დაცვით გადაადგილდება, რაც არასწორი იქნებოდა.

3. მართლწინააღმდეგობა საფრთხის შემქმნელ დელიქტებში

როდესაც ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენაზე ვსაუბრობთ, იბადება კითხვა: ხომ არ ხდება მართლწინააღმდეგობის დადგენა დელიქტის თავისებურების მიხედვით? კერძოდ, მართლწინააღმდეგობის დადგენა საფრთხის შემქმნელ დელიქტებში რაიმე თავისებურებით ხომ არ გამოირჩევა?

თ. წერეთელი მიიჩნევდა, რომ საფრთხის შემქმნელ დელიქტებსა და გაუფრთხილებლობით დელიქტებში მართლწინააღმდეგობის დადგენა ერთნაირად ხდება. მისი თვალსაზრისით, აღნიშნულ დელიქტებში მართლწინააღმდეგობა ეფუძნება იმ ქმედებას, რომელიც საეროო ცხოვ-

[1000] იხ. *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 50, Rn. 135.

რების წესებზე დამყარებული წინდახედულების ნორმის დარღვევას გულისხმობს.[1001] როდესაც საფრთხის შემქმნელ და გაუფრთხილებლობით განხორციელებულ დელიქტებში მართლწინააღმდეგობის დადგენის ერთნაირ წესზე საუბრობს *თ. წერეთელი*, მხედველობაში აქვს კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტები. კონკრეტულ საფრთხის დელიქტებში მართლწინააღმდეგობის დადგენა, *თ. წერეთლის* თვალსაზრისით, არ მთავრდება იმის დადგენით, რომ ადამიანმა არ დაიცვა წინდახედულების დაწერილი თუ დაუწერელი ნორმა. „აუცილებელია კიდევ გამოვიკვლიოთ, აღწევს თუ არა ადამიანის მიერ შექმნილი საფრთხე იმ ხარისხს, რომელიც საკმარისია საშიში მდგომარეობის, საზოგადოებრივ საშიშროებად (ე.ი მატერიალურ მართლწინააღმდეგობად) და დასჯადად აღიარებისთვის".[1002] როგორც მოცემული დებულებიდან ირკვევა, *თ. წერეთელი* გარდა ქმედების შემადგენლობის განხორციელებისა და წინდახედულების ნორმის დარღვევისა, აუცილებლად თვლიდა საფრთხის შემქმნელ დელიქტებში შექმნილი საფრთხის ხარისხის განსაზღვრას, რაც მისი შეფასებით, მატერიალური მართლწინააღმდეგობის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვითაც, იმისათვის, რომ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს ქმედება უნდა ქმნიდეს ისეთ საფრთხეს ან იწვევდეს ისეთ ზიანს, რომ მისი ჩამდენისთვის აუცილებელი გახდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. თუმცა, იბადება კითხვა: ქმედების საშიშროება ქმედების შემადგენლობის ნიშანია თუ მართლწინააღმდეგობის და დანაშაულის რომელი ნიშნის დასადგენად გვჭირდება ქმედებით გამოწვეული საფრთხის ხარისხის განსაზღვრა?

ქმედების მცირე მნიშვნელობას ქმედების შემადგენლობის ნიშნად მიიჩნევს *მ. ტურავა*.[1003] მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ უნდა გაიგივდეს იმ ნიშანთან, რომელიც მართლწინააღმდეგობის მატერიალურ მხარეს წარმოადგენს. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება.[1004] ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ქმედების სისხლისსამართლებრივი რელევანტობა, რაც ქმედების მცირე მნიშვნელობას გამორიცხავს და ქმედების შემადგენლობის ნიშანია, და

[1001] იხ. *წერეთელი თ.,* საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ., 2006, გვ. 201-202.

[1002] იხ. *წერეთელი თ.,* იქვე, გვ. 202.

[1003] იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 62. ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად მიიჩნევდა *ა. პიონტკოვსკიც,* რომელიც აღნიშნავდა, რომ დანაშაულის შემადგენლობა არ არის ქმედების მხოლოდ ფაქტობრივი ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთიანობა და თუ დანაშაულის შემადგენლობა განისაზღვრება როგორც მხოლოდ ფაქტობრივი ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთიანობა, იგი იქცევა ცარიელ განსაზღვრებად, რომელსაც არ შეუძლია გამოხატოს დანაშაულის, როგორც საშიში ქმედების არსი. იხ. Курс советского уголовного права, Часть обшая, Т. II, «Преступление», М., 1970., с. 139-140.

[1004] ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას და მართლწინააღმდეგობას დანაშაულის დამოუკიდებელ ნიშნად მიიჩნევდა *თ. წერეთელი.* იხ. *Церетели Т, Макашвили В,* Состав преступления как основание уголовной ответственности, «Советское государство и право», 1954, №5, с. 73. ანალოგიურ თვალსაზრისს გამოხატავს ასევე ო. გამყრელიძე. იხ. *Гамкрелидзе О.,* Взгляд Т. В. Церетели на основание уголовной ответственности, თ. წერეთლის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კრებული, Уголовно-Правовые исследования, Тб., 1987, с. 64, 67; *გამყრელიძე ო.,* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მეორე გამოცემა, თბ., 2008, გვ. 86.

ქმედების სოციალური საშიშროება, როგორც მატერიალური მართლწინააღმდეგობის ნიშანი.

საქართველოს სსკ-ის 280-ე მუხლის მე-2 ნაწილით ისჯება ფრენის საერთაშორისო წესის დარღვევა, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა დასახლებულ უბანს. ფრენის საერთაშორისო წესის დარღვევა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია,[1005] რომლისთვისაც პასუხისმგებლობა ამავე მუხლის პირველი ნაწილითაა გათვალისწინებული, ხოლო, თუ ფრენის საერთაშორისო წესის დარღვევამ დასახლებულ უბანს სერიოზული საფრთხე შეუქმნა, სახეზე იქნება კონკრეტული საფრთხე. აღნიშნულ შემთხვევაში საფრთხის ხარისხი სსკ-ის 280-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ნიშანია. იმისათვის, რომ ქმედება 280-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაკვალიფიცირდეს, მოსამართლემ საფრთხის ხარისხი უნდა დაადგინოს. კერძოდ, მოსახლეობისთვის შექმნილი საფრთხე „სერიოზული“ უნდა იყოს.

ქმედების საშიშროების ხარისხის განსაზღვრა საერთოდ არ დგება დღის წესრიგში მართლწინააღმდეგობის დასადგენად ისეთი დელიქტის განხორციელებისას, როგორიცაა მკვლელობა. ქმედების საშიშროებისა და საფრთხის ხარისხის განსაზღვრა მნიშვნელობას იძენს საფრთხის შემქმნელ და ეკონომიკურ სფეროში ჩადენილ დელიქტებში. მაშინ, როცა საქმე ეხება ისეთი დელიქტის განხორციელებას, როგორიც მკვლელობაა, ქმედების საშიშროების ან კიდევ მისი ხარისხის განსაზღვრის საკითხი არც დაისმის. ასეთ შემთხვევაში ქმედების შემადგენლობის განხორციელების დადგენის შემდეგ დგინდება ქმედების მართლწინააღმდეგობა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების გამორიცხვით. მართლწინააღმდეგობის დადგენით ასეთ დელიქტებში ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებაც დგინდება. ერთი მხრივ, ქმედების სოციალური საშიშროება ქმედების კრიმინალიზაციის საფუძველია, ხოლო მეორე მხრივ, მართლწინააღმდეგობის დადგენა წინ უძღვის საზოგადოებრივი საშიშროების დადგენას. თუ ვერ დადგინდა ქმედების მართლწინააღმდეგობა, ქმედება არ შეიძლება საზოგადოებრივად საშიშად ჩაითვალოს.[1006]

როგორც ზემოთ აღინიშნა, *თ. წერეთელი* საფრთხის ხარისხის განსაზღვრას მხოლოდ კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების მართლწინააღმდეგობის დასადგენად მიიჩნევდა მნიშვნელოვნად. რაც შეეხება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს, აქ ქმედების მართლწინააღმდეგობა უკვე დადგენილია თუ ადამიანმა დაარღვია სიფრთხილის ნორმა, რომელიც დადგენილი იყო იმ სახის საფრთხის აღსაკვეთად, სისხლის სამართლის კანონს რომ ჰქონდა მხედველობაში. *თ. წერეთლის* თვალსაზრისით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში მართლწინააღმდეგობის დასადგენად არ გვჭირდება საფრთხის ხარისხის განსაზღვრა.[1007]

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ, როცა *თ. წერეთელი* სიფრთხ-

[1005] იხ. *ბაბილაშვილი ჯ.,* სატრანსპორტო დანაშაულის პრობლემები და სასამართლო პრაქტიკა, თბ., 2004, გვ. 174; *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 94.

[1006] იხ. *გამყრელიძე ო.,* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მეორე გამოცემა, თბ., 2008, გვ. 87.

[1007] იხ. *წერეთელი თ.,* საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ., 2006, გვ. 198.

ილის ნორმის დარღვევაზე საუბრობს, მხედველობაში აქვს ისეთი ნორმა, რომელიც უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ემსახურება, მაგრამ ყველა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი როდი გულისხმობს ასეთი ნორმის დარღვევას. მაგალითად, ის აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები, რომლებიც ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში გვხვდება, არ გულისხმობენ უსაფრთხოების ნორმის დარღვევას. კერძოდ, ის ვინც უკანონო აბორტს, დაუხმარებლობას ან განსაცდელში მიტოვებას ჩადის, უსაფრთხოების ნორმას არ არღვევს, არამედ ვალდებულებას, შეასრულოს გარკვეული მოქმედება (განსაცდელში მიტოვების და დაუხმარებლობის დროს) ან თავი შეიკავოს განსაზღვრული მოქმედებისაგან (უკანონო აბორტის შემთხვევაში). სიფრთხილის ნორმის დარღვევა შეიძლება ვუსაყვედუროთ მაგალითად იმას, ვინც ფრენის საერთაშორისო წესს, მოძრაობის უსაფრთხოების წესს არღვევს.

როდესაც ვსაუბრობთ საფრთხის შემქმნელ დელიქტებში მართლწინააღმდეგობის დადგენის საკითხზე, უნდა გაირკვეს, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ რომელ გარემოებას შეუძლია ასეთ დელიქტებში ქმედების მართლწინააღმდეგობის გამორიცხვა. აღნიშნული საკითხის გარკვევას, არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭება, ვინაიდან, მართლწინააღმდეგობა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების გამორიცხვით დგინდება.

4. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები საფრთხის დელიქტებში

4.1. აუცილებელი მოგერიება

საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის თანახმად, „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას **დააზიანებს** ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად“. ამ დებულების მიხედვით, აუცილებელი მოგერიება გულისხმობს მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას ხელმყოფის **დაზიანებას** საკუთარი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. სსკ-ის 28-ე მუხლში ხაზგასმაა სხვისი სამართლებრივი სიკეთის **ხელყოფაზე (დაზიანებაზე)**, რაც იმას ნიშნავს, რომ აუცილებელი მოგერიება უმეტესად ხელყოფის დელიქტებში გამორიცხავს მართლწინააღმდეგობას. მაგრამ, აუცილებელი მოგერიება მხოლოდ ხელყოფის დელიქტებში არ უნდა განვიხილოთ ქმედების გამამართლებელ გარემოებად. აუცილებელი მოგერიება ყოველთვის როდი მთავრდება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფით. ზოგჯერ გარკვეული ქმედება კონკრეტული სახის ზიანს იწვევს, მაგრამ იგი ამავდროულად საფრთხის შემქმნელ ქმედებადაც შეიძლება განვიხილოთ სხვა სიკეთის მიმართ, რომელიც არ დაზიანებულა და რომელსაც საფრთხე შეექმნა. მაგალითად, ამა თუ იმ ქმედებამ შეიძლება დააზიანოს ჯანმრთელობა და საფრთხე შეუქმნას სიცოცხლეს. ასეთ შემთხვევაში ქმედება ჯანმრ-

თელობის ხელმყოფად, ხოლო სიცოცხლის მიმართ საფრთხის შემქმნელად შეიძლება შევაფასოთ.

თავდამცველმა თავდასხმა შეიძლება მოიგერიოს ისეთი ქმედებით, რომელიც იწვევს ჯანმრთელობის დაზიანებას და საფრთხეს უქმნის თავდამსხმელის სიცოცხლეს, მაგრამ თუ დაცულია თავდასხმის საშიშროების და თავდაცვის თანაფარდობა, ქმედების მართლწინააღმდეგობა გამოირიცხება.

იმისთვის, რომ საფრთხის დელიქტებში აუცილებელმა მოგერიებამ მართლწინააღმდეგობა გამორიცხოს, სახეზე უნდა იყოს აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების ყველა ობიექტური და სუბიექტური პირობა. კერძოდ, თავდაცვა უნდა განხორციელდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით შექმნილი რეალური და იმწუთიერი საფრთხისგან სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით, სურვილით, რაც ასევე გულისხმობს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის არსებობის ცოდნას.

ვინაიდან აუცილებელი მოგერიება გულისხმობს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით შექმნილი იმწუთიერი და რეალური თავდასხმისგან თავდაცვას, აუცილებელი მოგერიების უფლება პირს აქვს საფრთხის შემქმნელი დელიქტის იურიდიულად დამთავრების შემდეგაც, განსხვავებით ხელყოფის დელიქტისგან. სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა სპობს აუცილებელი მოგერიების უფლებას, ვინაიდან საფრთხე რეალიზებულია, მაგრამ აუცილებელი მოგერიების უფლების წარმოშობისთვის აუცილებელია სამართლებრივი სიკეთისთვის რეალური და იმწუთიერი საფრთხის შექმნა, რაც საფრთხის შემქმნელი დელიქტის შემადგენლობის იურიდიულად (ფორმალურად) განხორციელებისთვის საკმარისი პირობაა. მაგალითად, ყაჩაღობის დროს აუცილებელი მოგერიების უფლება დაზარალებულს წარმოეშობა დამნაშავის მხრიდან თავდასხმის განხორციელებისთანავე, რაც ყაჩაღობის ფორმალური აგებით განხორციელებას ნიშნავს. თავდასხმისთანავე ყაჩაღობა განხორციელებულად ითვლება, მაგრამ დაზარალებულს, მიუხედავად ამისა, აუცილებელი მოგერიების უფლება არ ესპობა.

4.2. უკიდურესი აუცილებლობა

საფრთხის შემქმნელ დელიქტებთან მიმართებით გამამართლებელ ერთ-ერთ გარემოებად შეიძლება ასევე განვიხილოთ უკიდურესი აუცილებლობა. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ეს გარემოება შეგვიძლია განვიხილოთ ისეთი (აბსტრაქტული) საფრთხის დელიქტის მაგალითზე, როგორიცაა უკანონო აბორტი (საქართველოს სსკ-ის 133-ე მუხ.). მაგალითად, ორსული ქალისთვის მუცლის მოშლა არასპეციალიზირებულ დაწესებულებაში, თუ ორსული ქალის სპეციალიზირებულ დაწესებულებაში გადაყვანა საფრთხეს უქმნიდა ორსული ქალის სიცოცხლეს. არასპეციალიზირებულ დაწესებულებაში მუცლის მოშლა ანუ აბორტი კანონით აკრძალულია და იგი ქმნის უკანონო აბორტის შემადგენლობას, მაგრამ თუ იგი გაკეთდა ორსული ქალის სიცოცხლის გადასარჩენად, ქმედების მართლწინააღმდეგობა გამოირიცხება. აღნიშნულ შემთხვევაში ქმედების გამართლებას საფუძვლად უდევს ის, რომ ადგილი აქვს უფრო

მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის (ორსული ქალის სიცოცხლის) გადარჩენას. მოყვანილ მაგალითში ადგილი აქვს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის ერთ-ერთი მოთხოვნის დარღვევას, რაც არასპეციალიზირებულ დაწესებულებაში ორსული ქალისთვის მუცლის მოშლაში გამოიხატება, მაგრამ დასახელებული მოთხოვნის დარღვევის გამართლება ხდება იმით, რომ ეს დარღვევა ორსული ქალის სიცოცხლის გადარჩენის მიზნით იქნა განხორციელებული. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ არასპეციალიზირებულ დაწესებულებაში ორსულობის შეწყვეტის აკრძალვის მიზანი ასევე ორსულთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვაა. მაგრამ, ორსული ქალის სიცოცხლის გადარჩენის მიზნის მიღწევა ყოველთვის შეუძლებელია ჯანმრთელობის დაცვის კანონში ჩამოთვლილ პირობათა განუხრელი დაცვით. კანონმდებელს არ შეუძლია კანონში ზუსტად მოგვცეს ქმედების იმგვარი აღწერა, რომლის განხორციელებაც გამართლებული იქნება. ამიტომ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი. მიუხედავად იმისა, რომ ქმედება არ შეესაბამება ნორმაში აღწერილ კონკრეტულ პირობებს, კანონი, მისი სულიკვეთების გათვალისწინებით (ორსულთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვა), საერთო ჯამში დარღვეულად არ ითვლება და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება ქმედებას მართლზომიერად აქცევს.

4.3. საკუთარი თავის საფრთხეში ჩაყენება

მეტად საინტერესოა საფრთხის შექმნაზე თანხმობის საკითხის განხილვა, რომელსაც გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ერთ-ერთ გარემოებად მიიჩნევენ. ერთმანეთისაგან განასხვავებენ საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნას და საფრთხის შექმნას სხვისთვის მისივე თანხმობით. იმის დადგენას, თუ ვის მიმართ საფრთხის შექმნას აქვს ადგილი, დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სისხლის სამართალი იცავს სხვის სამართლებრივ სიკეთეს. გარდა ზოგიერთი შემთხვევისა,[1008] ზოგადად, თვითდაზიანება ან საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნა პასუხისმგებლობას არ იწვევს. მაშინ, როცა საქმე ეხება საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნას, სახეზე არ არის არა თუ მართლწინააღმდეგობა, არამედ ქმედების შემადგენლობაც.

საკუთარი თავისთვის და სხვისთვის საფრთხის შექმნის გამიჯვნა ხდება იმის მიხედვით, თუ ვინ ბატონობს მოვლენათა განვითარებაზე და მათ გასამიჯნავად გამოიყენება ის კრიტერიუმები, რაც ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნისას.[1009] საკუთარი თავისთვის და სხვისთვის საფრთხის შექმნის გამიჯვნა რთულია, როცა ადგილი

[1008] მაგალითად, როცა თვითდაზიანება ხდება იმ მიზნით, რომ პირმა არ შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობა და განგებ იყენებს თავს მოვალეობის შესრულებისთვის უუნარო მდგომარეობაში.

[1009] იხ. *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 70, Rn. 190.

აქვს საკუთარი ნებით განხორციელებულ დაუცველ სქესობრივ კავშირს შიდსით დაინფიცირებულთან.[1010]

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში აზრთა სხვაობაა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ გარემოებას მივაკუთვნოთ საფრთხის შექმნა სხვისთვის, მისივე თანხმობით. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მაშინ, როცა საფრთხის შექმნა სხვა პიროვნებისთვის მისივე თანხმობით ხდება და იგი საკუთარი თავის საფრთხეში ჩაყენებას უტოლდება უნდა გამოირიცხოს არა მართლწინააღმდეგობა, არამედ ქმედების შემადგენლობა (მაგალითად, შიდსით ინფიცირებულის ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი ჯანმრთელ პირთან, თუ ორივე მხარემ იცის, რომ ერთ-ერთი სქესობრივი პარტნიორი შიდსითაა დაინფიცირებული).[1011] მეცნიერთა მეორე ნაწილი კი თვლის, რომ საფრთხის შექმნა სხვისთვის მისივე თანხმობით ქმედების შემადგენლობას კი არ გამორიცხავს, არამედ მართლწინააღმდეგობას.[1012]

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობით ზოგჯერ შეუძლებელია პასუხისმგებლობის გამორიცხვა სხვა პირისათვის საფრთხის შექმნისთვის, მისივე თანხმობითაც. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლით ისჯება უკანონო აბორტი. უკანონო აბორტისთვის პასუხისმგებლობაა დაწესებული როგორც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტისთვის. უკანონო აბორტი ხშირად ორსული ქალის თანხმობით კეთდება, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ორსული ქალი სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მისივე თანხმობით ექცევა, პასუხისმგებლობა მაინც არ გამოირიცხება. თუ ჩვენ მესამე პირისთვის, მისივე თანხმობით საფრთხის შექმნას პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად ჩავთვლიდით, პასუხისმგებლობა უნდა გამოგვერიცხა უკანონო აბორტისთვის, როცა აბორტი მართალია, კანონის მოთხოვნათა დარღვევით, მაგრამ ორსული ქალის თანხმობით კეთდება.

ქმედების მართლწინააღმდეგობა არ გამოირიცხება მაშინაც, როდესაც სქესობრივი კავშირის შედეგად შიდსით და ვენერიული სენით ხდება ადამიანის დაინფიცირება ან დაინფიცირების საფრთხის შექმნა, როცა დაზარალებულმა იცოდა, რომ ის ადამიანი, რომელთანაც სქესობრივ კავშირს ამყარებდა, დაინფიცირებული იყო.[1013]

[1010] იხ. *Wessels/Beulke*, Strafrecht, იქვე, გვ. 71, ველის ნომერი 191.

[1011] იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 411, § 11, Rn. 123; *Hellmann U.,* Einverständliche Fremdgefährdung und objektive Zurechnung, Roxin-FS, 2001, 271; *Geppert K.,* Zur Unterbrechung des strafrechtlichen Zurechnungszusammenhangs bei Eigenschädigung/-gefährdung des Opfers oder Fehlverhalten Dritter, Jura, 2001, S. 490. თანხმობას არა მართლწინააღმდეგობის,არამედ ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველ გარემოებად მიიჩნევს გალასიც. იხ. *Gallas W.,* Zur Struktur des strafrechtlichen Unrechtsbegriffs, Bockelmann-FS., München, 1979, S. 174.

[1012] იხ. *Beulke W.,* Opferautonomie im Strafrecht, Zum Einfluss der Einwilligung auf die Beurteilung der einverständlichen Fremdgefährdung, Otto-FS, 2007, 207; *Duttge G.,* Erfolgszurechnung und Opferverhalten – Zum Anwendungsbereich der einverständlichen Fremdgefährdung-, Otto-FS, 2007, S. 227; *Dölling D.,* Einwilligung und überwigende Interessen, Gössel-FS, 2002, 209; *Heinrich B.*, Strafrecht, AT I, 2. Aufl., Stuttgart, 2010, S. 197, Rn. 473; *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 71, Rn. 191.

[1013] იხ. *წერეთელი თ.,* წიგნში: *მაყაშვილი ვ, მაჭავარიანი მ, წერეთელი თ, შაგულიძე თ,* დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980, გვ. 121.

4.4. მოვალეობათა კოლიზია

საფრთხის შემქმნელ დელიქტებში პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებას შეიძლება ასევე წარმოადგენდეს მოვალეობათა კოლიზია, რამდენადაც საფრთხის შემქმნელი ზოგიერთი დელიქტი სწორედ მოვალეობის შეუსრულებლობასთანაა დაკავშირებული. მაგალითად, როგორიცაა განსაცდელში მიტოვება და დაუხმარებლობა. განსაცდელში მიტოვებისა და დაუხმარებლობის შემადგენლობანი ადამიანისგან მოითხოვენ აქტიურ მოქმედებას განსაცდელში მყოფი ადამიანის დასახმარებლად. „კანონმდებელი უმოქმედობის დასჯადად გამოცხადებით ადამიანს განიხილავს არა უბრალოდ როგორც *Homo sapiens*-ს, არამედ როგორც *Homo moralis*-ს, რომელსაც ბოროტების ჩაუდენლობასთან ერთად ბოროტების აღკვეთაც უნდა ევალებოდეს.“[1014] ორივე დასახელებული დელიქტი მოვალეობის შეუსრულებლობას გულისხმობს. მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ ერთ შემთხვევაში მოვალეობას სამართლებრივი ვალდებულების ხასიათი აქვს და იგი ზოგჯერ პროფესიული ფუნქციიდან, ზოგჯერ კიდევ ნათესაური ურთიერთობიდან გამომდინარეობს, ხოლო დაუხმარებლობის დროს საქმე ეხება ზნეობრივ, ადამიანურ ვალდებულებას, რაც კანონმდებელმა სამართლებრივი ვალდებულების დონემდე აიყვანა.

მოვალეობათა კოლიზიის საფუძველზე პასუხისმგებლობის გამორიცხვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მოვალეობათა თანასწორფასოვნება, მოვალეობანი თანაბარი მნიშვნელობის არის თუ არა. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მაშინ, როცა ორი თანაბარი მნიშვნელობის მოვალეობა არსებობს და აქედან მოვალეობის სუბიექტი მხოლოდ ერთს ასრულებს ქმედების მართლწინააღმდეგობა უნდა გამოირიცხოს,[1015] ხოლო მეცნიერთა მეორე ნაწილი თანაბარი მნიშვნელობის მოვალეობათა კოლიზიის არსებობას მიიჩნევს არა მართლწინააღმდეგობის, არამედ ბრალის გამომრიცხველ გარემოებად.[1016]

მ. ტურავა მოვალეობათა კოლიზიას განიხილავს როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ზეკანონურ გარემოებას[1017], ხოლო ცალკეულ შემთხვევებში ბრალის გამომრიცხველ გარემოებად[1018].

თანაბარი რანგის მოვალეობათა ურთიერთშეპირისპირებისას ასევე შეიძლება დაისვას კითხვა, ხომ არ უნდა გამოირიცხოს მსგავს შემთხვევაში ქმედების შემადგენლობა და კერძოდ კი, მიზეზობრივი კავშირი? საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უმოქმედობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება სსკ-ის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების ან კონკრეტული საფრთხის შექმნის აუცილებელ პირობად, როდესაც

[1014] იხ. *კუტალია ლ.,* ბრალი სისხლის სამართალში,თბ.,2000,გვ. 372.

[1015] იხ. *Kühl K.,* Strafrecht, AT, 6. Aufl., München, 2008, S. 628-629, Rn. 137; *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 233, Rn. 514; *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 289, Rn. 736; *გამყრელიძე ო.,* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება,მე-2 გამოცემა,თბ.,2008,გვ. 240; *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი,დანაშაულის მოძღვრება,თბ.,2011,გვ. 400-401.

[1016] იხ. *Jescheck H-H., Weigend T.,* Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 368, 501-502; *Haft F.,* Strafrecht, AT, 8. Aufl., München, 1998, S. 104.

[1017] იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილის მიმოხილვა,მე-9 გამოცემა,თბ., 2013,გვ. 204-205.

[1018] იხ. *ტურავა მ.,* იქვე,გვ. 279.

პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული. როგორც მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან ჩანს, ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი გამოირიცხება თუ პირს არ ჰქონდა მისდამი დაკისრებული სპეციალური სამართლებრივი მოვალეობის შესრულების შესაძლებლობა. მაშინ, როცა ერთმანეთს ერთნაირი სამართლებრივი მოვალეობა უპირისპირდება, ხშირად პირს არ შეუძლია ორივე მოვალეობა ერთდროულად შეასრულოს. თუმცა, ასეთ დროს ადამიანი ზოგადად არ არის მოვალეობის შესრულების შესაძლებლობას მოკლებული. ვერ ვიტყვით, რომ მოვალეობათა კოლიზიის დროს არ იყო შედეგი თავიდან აცილებადიო. მოვალეობის სუბიექტის არჩევანზეა დამოკიდებული, თუ რომელ ადამიანს დაეხმარება.

ი. დვალიძე მართებულად შენიშნავს, რომ „სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილში მოხსენიებულ „შესაძლებლობაში“ უნდა მოვიაზროთ ფიზიკურ-რეალური შესაძლებლობა, რა დროსაც არანაირი შესაძლებლობა არ ენიჭება იმ ფაქტს, რომ ამ დროს პიროვნებამ სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ინტერესი უნდა გადაარჩინოს“.[1019] *ი. დვალიძის* თვალსაზრისით „ეს საკითხი ბრალის საფეხურზე გადასაჭრელი საკითხია“.[1020] აღნიშნული დებულებიდან თითქოს ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ მოვალეობათა კოლიზია არა მართლწინააღმდეგობის, არამედ ბრალის ეტაპზე გამორიცხავდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაგრამ *ი. დვალიძე* მის ადრეულ ნაშრომებში მკაფიოდ აღნიშნავს, რომ განსახილველი გარემოება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებაა.[1021]

მოვალეობათა კოლიზიასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ასევე საქართველოს სსკ-ის 128-ე და 130-ე მუხლების დისპოზიციის შინაარსი. აღნიშნული მუხლით ისჯება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისათვის *არასაპატიო მიზეზით* მედიცინის მუშაკის მიერ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაუწევლობა. ვინაიდან მოვალეობის შეუსრულებლობის მიზეზზე ქმედების შემადგენლობაშია მითითებული, ეს იმის თქმის შესაძლებლობას იძლევა, რომ მოვალეობა თუ საპატიო მიზეზით ვერ შესრულდა ქმედების შემადგენლობაც განხორციელებულად არ ჩაითვლება.[1022] სსკ-ის 128-ე მუხლშიც მითითებულია ვალდებულების შესრულების შესაძლებლობაზე. ყოველივე აღნიშნულის მერე ჩნდება კითხვა, ხომ არ გამორიცხავს მოვალეობათა კოლიზია სსკ-ის 128-ე და 130-ე მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებათა შემადგენლობებს? აღნიშნულ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. მაგრამ, აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს

[1019] იხ. *დვალიძე ი.,* შერეული უმოქმედობის დასჯადობის ზოგიერთი პრობლემა სისხლის სამართალში,„ცხოვრება და კანონი“,2012,სპეციალური გამოშვება,ეძღვნება ო. გამყრელიძის 80 წლის იუბილეს,გვ. 27.

[1020] იხ. *დვალიძე ი.,* იქვე.

[1021] იხ. *დვალიძე ი.,* წიგნში: *ნაჭყებია გ,დვალიძე ი.* (რედ.),სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სახელმძღვანელო,თბ.,2007,281; *დვალიძე ი.,* მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებანი სისხლის სამართალში,„მართლმსაჯულება და კანონი“,2007, №1,გვ. 158.

[1022] იხ. *წერეთელი თ.,* წიგნში: *მაყაშვილი გ,მაჭავარიანი მ,წერეთელი თ,შავგულიძე თ,* დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ,თბ.,1980,გვ. 146.

სსკ-ის 128-ე და 130-ე მუხლების დისპოზიცია ისე უნდა შეიცვალოს, რომ დისპოზიციაში არ იყოს მითითებული მოვალეობის შესრულების შესაძლებლობაზე ან უმოქმედობის არასაპატიო ხასიათზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ შემდეგ სურათს: თუ მოვალეობათა კოლიზია შერეული უმოქმედობით ჩასადენ დელიქტებში მართლწინააღმდეგობას გამორიცხავს, წმინდა უმოქმედობის დელიქტებში იგი ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველი გარემოება გახდება, რაც საკითხის არათანმიმდევრული გადაწყვეტა იქნებოდა. მართალია, წმინდა და შერეული უმოქმედობის დელიქტები თავიანთი ბუნებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ ეს მაინც არ ქმნის იმის საფუძველს, რომ ერთი და იგივე გარემოება ერთ შემთხვევაში ქმედების შემადგენლობის, ხოლო მეორე შემთხვევაში მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველ გარემოებად ვცნოთ.[1023] „სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა და მოქმედების შესაძლებლობა არის უმოქმედობის, როგორც პასიური მოქმედების სამართლებრივი დახასიათება და არა მიზეზობრივი კავშირი“ აღნიშნავს *ი. დვალიძე.*[1024]

როგორ უნდა შეფასდეს ქმედება, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება არა თანაბარი მნიშვნელობის, არამედ არათანაბარი ძალის (სამართლებრივი და სოლიდარული) ვალდებულება? მაგალითად, ზღვაში იხრჩობა ორი ადამიანი, რომლებიდან „ა“-სთვის, რომელიც ზღვის ნაპირთან ისვენებს, ერთი ცოლია, ხოლო მეორე მეგობარი. ა“ა“ ხედავს, რომ მის ცოლს და მეგობარს დაღუპვის საფრთხე ემუქრებათ. ა“ა“ გადაარჩენს მეგობარს, ხოლო ცოლი დაიხრჩობა დაუხმარებლობის შედეგად.

იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე აზრთა სხვაობაა.[1025] მეცნიერთა ერთი ნაწილის თვალსაზრისით, ადამიანთა სიცოცხლე არ შეილება აიწონოს. რამდენადაც საქმე ეხება თანაბარმნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს, ადამიანზე ზრუნვის მოვალეობაც თანაბარი მნიშვნელობისაა. ის, რომ ორივე მოვალეობის შეუსრულებლობისთვის განსხვავებული ზომის სანქციაა გათვალისწინებული, არ ცვლის მოვალეობის მნიშვნელობას.[1026] თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მოყვანილი მაგალითის მიხედვით, „ა“ უნდა განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო. მართალია, „ა“-მ არ გადაარჩინა თავისი ცოლი, რომლის მიმართ ზრუნვის ვალდებულება ჰქონდა და მის ნაცვლად გადაარჩინა თავისი მეგობარი, რომლის მიმართ „ა“-ს მხოლოდ სოლიდარული ვალდებულება გააჩნდა, მაგრამ ცოლის და მეგობრის სიცოცხლე თანაბარი მნიშვნელობისაა, რაც მეცნიერთა ერთი ნაწილის შეხედულებით, „ა“-ს ქმედების მართლწინააღმდეგობას გამორიცხავს.

ფ. ჰაფტის თვალსაზრისით, მაშინ, როცა სამართლებრივი და სოლიდა-

[1023] პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ზოგიერთი გარემოება (მაგალითად, თანხმობა) ორმაგი ბუნებისაა და ზოგჯერ ქმედების შემადგენლობას გამორიცხავს (გაუპატიურების შემადგენლობას), სხვა შემთხვევაში ქმედების მართლწინააღმდეგობას (ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დელიქტებში),მაგრამ ამას თავისი საფუძველი და გამართლება აქვს.

[1024] იხ. *დვალიძე ი.,* „ცხოვრება და კანონი“,2012,გვ. 24.

[1025] იხ. *ტურავა მ.*,სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილის მიმოხილვა,მე-9 გამოცემა,თბ., 2013,გვ. 281; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*,სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი,დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები,თბ.,2011,გვ. 341-342.

[1026] იხ. *Joecks W.,* Studienkommentar StGB, 8. Aufl., München, 2009, S. 43, §13 Rn. 54.

რული მოვალეობა ერთმანეთს უპირისპირდება და სამართლებრივი ვალდებულება შესრულდება, ხოლო სოლიდარული არა, უნდა გამოირიცხოს არა მხოლოდ მართლწინააღმდეგობა, არამედ ქმედების შემადგენლობაც კი. ხოლო მაშინ, როცა არჩევანი სოლიდარული მოვალეობის შესრულების სასარგებლოდ კეთდება, არა თუ ქმედების შემადგენლობა, არამედ მართლწინააღმდეგობა და ბრალიც კი არ გამოირიცხება.[1027]

მეცნიერთა მესამე ნაწილი მართებულად მიიჩნევს, რომ სამართლებრივ მოვალეობას სოლიდარულთან შედარებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს და შესაბამისად, მოვალეობათა კონკურენციის დროს მოვალეობის სუბიექტმა სამართლებრივი მოვალეობა უნდა შეასრულოს, რათა მისი ქმედება მართლზომიერად ჩაითვალოს. აღნიშნული შეხედულებით, მართალია, მაშინ, როცა მოვალეობის სუბიექტი სამართლებრივის ნაცვლად, სოლიდარულ მოვალეობას ასრულებს, პასუხისმგებლობა გამოირიცხება, მაგრამ არა ქმედების მართლზომიერების, არამედ არაბრალეულობის საფუძველზე[1028].

ის, რომ სამართლებრივი ვალდებულება სოლიდარულ ვალდებულებაზე მაღლა დგას, იმითაც საბუთდება, რომ თუ გარანტის ფუნქციის მქონე პირის მიერ საკუთარი მოვალეობის შეუსრულებლობას დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, გარანტს პასუხისმგებლობა არა მხოლოდ მოვალეობის შეუსრულებლობისთვის (სსკ-ის 128-ე მუხ.), არამედ დამდგარი შედეგისთვისაც (სსკ-ის 109-ე მუხ.) ეკისრება, მაგრამ სოლიდარული მოვალეობის შეუსრულებლობა ასეთ შედეგებს არ იწვევს და მოვალეობის სუბიექტს პასუხისმგებლობა მხოლოდ მოვალეობის შეუსრულებლობისთვის (საქართველოს სსკ-ის 129-ე მუხ.) ეკისრება.

როცა საქმე სამართლებრივ ვალდებულებას ეხება, არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ საიდან გამომდინარეობს ეს ვალდებულება. თუ განსაცდელში ორი მცირეწლოვანი იმყოფება და მოვალეობის სუბიექტი ერთისთვის მშობელია, ხოლო მეორესთვის ძიძა, გარანტს უფლება აქვს გადაარჩინოს იმ ბავშვის სიცოცხლე, რომელსაც იგი აირჩევს, ვინაიდან ორივე ბავშვის მიმართ მოვალეობის სუბიექტს გააჩნია ზრუნვის არა სოლიდარული, არამედ სამართლებრივი ვალდებულება. თუ დაკისრებულ მოვალეობას მოვალეობის სუბიექტი არ შეასრულებს, მაშინ, როცა ასეთ შესაძლებლობას მოკლებული არ არის, პასუხისმგებლობა ორივე შემთხვევაში ერთნაირად დადგება და იგი პასუხს აგებს დამდგარი შედეგისთვის.

[1027] იხ. *Haft F.,* Strafrecht, AT, 8. Aufl., München, 1998, S. 104.

[1028] იხ. *Lenckner/Sternberg/Lieben,* წიგნში: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., München, 2010, S. 592-593, Rn. 75; *Haft F.,* Strafrecht, AT, 8. Aufl., München, 1998, S. 104; *დვალიძე ი.,* მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებანი სისხლის სამართალში,„მართლმსაჯულება და კანონი“,2007,№1,გვ. 159-160.

4.5. მართლზომიერი რისკი

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა შორის ერთეროს წარმოადგენს მართლზომიერი რისკი. საქართველოს სსკ-ის 31-ე მუხლის თანახმად, „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად გამართლებული რისკის პირობებში დააზიანებს სამართლებრივ სიკეთეს“. მართალია, აღნიშნული ნორმის მიხედვით ქმედების მართლწინააღმდეგობა გამოირიცხება[1029] მაშინ, როცა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად განხორციელებულ რისკს მოჰყვება, მაგრამ, მართლზომიერი რისკი ყოველთვის როდი გულისხმობს ხელყოფას. სიტყვა „რისკი“ თავისი ბუნებით საშიშს ანუ ისეთს ნიშნავს, რომელიც ხელყოფის განსაზღვრულ საფრთხეს შეიცავს. მიუხედავად იმისა, რომ მართლზომიერი რისკის ვითარებაში განხორციელებული ქმედება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის საფრთხეს გულისხმობს, შექმნილი საფრთხისთვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმას, ვინც მოქმედება საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად განახორციელა.

მართლზომიერი რისკი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს საქართველოს სსკ-ის 127-ე მუხლით გათვალისწინებულ საფრთხის დელიქტთან მიმართებით, ვინაიდან იგი სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში სხვა ადამიანის ჩაყენებას გულისხმობს.

მართლზომიერი რისკის შესანიშნავი მაგალითი მოჰყავს *ო. გამყრელიძეს* ლ. ტოლსტოის მოთხრობიდან „ზვიგენი“[1030]. აღნიშნული მოთხრობის მიხედვით, გემიდან მეზღვაური ხედავს, რომ მის შვილს უახლოვდება ზვიგენი და შვილის გადასარჩენად მეზღვაური ისვრის ზვიგენის მიმართულებით, მაგრამ არსებობს იმის საშიშროება, რომ ზვიგენის ნაცვლად ტყვია შვილს მოხვდეს, თუმცა რისკმა გაამართლა და ტყვია ზვიგენს მოხვდა, რამაც შვილი სიკვდილს გადაარჩინა. მიუხედავად იმისა, რომ მეზღვაურმა რისკი გასწია და მისი შვილისთვის ახალი საფრთხის შემქმნელი მოქმედება განახორციელა, მისი ქმედება მაინც მართლზომიერია, რამდენადაც შვილის სიცოცხლეს საფრთხე ზვიგენისგან ისედაც ემუქრებოდა და მამის ქმედება, სწორედ უკვე შექმნილი საფრთხის განეიტრალებისკენ იყო მიმართული. მამის მიერ განხორციელებულმა ქმედებამ, რომელმაც ახალი საფრთხე დააფუძნა, ხელი შეუწყო იმ საფრთხის განეიტრალებას, რომელიც მის მოქმედებამდე არსებობდა. ამიტომ, მამას პასუხისმგებლობა სსკ-ის 127-ე მუხლით არ დაეკისრება. გარდა იმისა, რომ მამის ქმედებამ ობიექტურად ხელი შეუწყო შვილის სიცოცხლის გადარჩენას, მამა მოქმედებდა შვილის სიცოცხლის გადარჩენის მიზნითაც ანუ სახეზე იყო გამართლების როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური პირობაც. სწორედ ამ ორი ნიშნის – ობიექტურის და სუბიექტურის ერთიანობამ განაპირობა მეზღვაურის ქმედების მართლზომიერება.

[1029] რუსულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ნებადართული რისკი მიიჩნევა არა მართლწინააღმდეგობის, არამედ ბრალის გამომრიცხველ გარემოებად. იხ. Уголовное право, Общая и особенная части, 2-е издание, Под общей редакцией *Журавлева М.П.,* и *Никулина С.И.*, М., 2008, с. 170.

[1030] იხ. *გამყრელიძე ო.,* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მეორე გამოცემა, თბ., 2008, გვ. 236.

მართლზომიერი რისკი, ქართულისგან განსხვავებით, გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში არ არის გათვალისწინებული, მაგრამ იურიდიულ ლიტერატურაში იგი განხილულია როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოება.[1031] *ბ. ჰაინრიხი* მართლზომიერ რისკზე აღნიშნავს, რომ იგი ნაწილობრივ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებაა, ვინაიდან მართლზომიერი რისკის პირობებში ადგილი აქვს უსაფრთხოების ზომების დაცვას და ამასთან ერთად, აღნიშნული გარემოება ობიექტურ შერაცხვას, როგორც ქმედების შემადგენლობის ნიშანს გამორიცხავს, რის გამოც, ქმედების ობიექტური შემადგენლობა არ არის განხორციელებული.[1032]

როგორც *ბ. ჰაინრიხის* მსჯელობიდან იკვეთება, მართლზომიერი რისკი ორმაგი ბუნებისაა, მაგრამ რამდენად შეიძლება საკითხის ასეთი გადაწყვეტა სწორი იყოს? თუ ქმედების ობიექტური შემადგენლობა გამოირიცხა, რა აუცილებლობას წარმოადგენს ქმედების მართლზომიერებაზე დამატებით საკითხის დასმა. ქმედების შემადგენლობის გამორიცხვა განა იმას არ ნიშნავს, რომ ქმედება მართლზომიერია?

გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ეკვივალენტური თეორიის მიერ გაფართოებული მიზეზობრიობის ჯაჭვს ობიექტური შერაცხვის კატეგორიით ზღუდავენ. ობიექტური შერაცხვა კი ქმედების შემადგენლობის დაუწერელ ნორმატიულ ნიშნად განიხილება, რომელსაც მხოლოდ პრობლემატურ შემთხვევებში იყენებენ. თუმცა, მართლზომიერ რისკზე გამოთქმული შეხედულებები საეჭვოს ხდის ქმედების ობიექტურ შემადგენლობაში ობიექტური შერაცხვის კატეგორიის შემოტანის გამართლებას. იმისთვის, რომ შედეგი დამნაშავეს ობიექტურად შეერაცხოს, ქმედება სამართლებრივად დასაძრახი უნდა იყოს, მაგრამ შეუძლებელია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებაში განხორციელებული, თუნდაც ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული, ქმედება სამართლებრივად დასაძრახი იყოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მართლზომიერი ქმედება ვერ იქნება სამართლებრივად დასაძრახი. ამიტომაც არის, რომ მართლზომიერი რისკი გერმანულ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისით, მართლწინააღმდეგობის და, ამავდროულად, ქმედების ობიექტური შემადგენლობის გამომრიცხველ გარემოებად რომ არის მიჩნეული, რაც გაუმართლებელია. ობიექტური შერაცხვის აღიარებას ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნად, მაშინ ექნებოდა აზრი, თუ მას არა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი, არამედ სხვა გარემოება გამორიცხავდა. ობიექტური შერაცხვის მიჩნევა ქმედების შემადგენლობის ნიშნად და მის გამომრიცხველ გარემოებად მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების გამოცხადება იმ შედეგამდე მიგვიყვანს, რა შედეგამდეც მივიდნენ ქმედების ნეგატიური ნიშნების თეორიის წარმომადგენლები, რომლებმაც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არარსებობა ქმედების შემადგენლობის ნეგატიურ ნიშნად ჩათვალეს და ამ გზით მართლწინააღმდეგობა ძალაუნებურად აქციეს ქმედების შემადგენლობის ელემენტად. უფრო მართებული იქნებოდა, თუ ის მეცნიერები, რომლებსაც ობიექტური შერაცხვის კატეგორია ქმედების ობიექტური შემადგენლობის

[1031] იხ. *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 235, Rn. 518.

[1032] იხ. იქვე.

დაუწერელ, ნორმატიულ ნიშნად მიაჩნიათ, ერთმანეთისგან გამიჯნავდნენ იმ რისკს, რომელიც ობიექტური შერაცხვის წინაპირობაა და მას უწოდებდნენ ნებადართულ რისკს, და გამართლებულ რისკს, რომელიც მართლწინააღმდეგობას გამორიცხავს. მართლზომიერი რისკი უფრო ფართო ცნებაა და იგი ნებადართულ რისკსაც მოიცავს და გამართლებულსაც. რაც შეეხება გამართლებული და ნებადართული რისკის ურთიერთმიმართებას, მათ შორის არსებობს გარკვეული სხვაობა. კერძოდ, გამართლებულია ისეთი რისკი, რომლის მართლწინააღმდეგობა შეიძლება გამოირიცხოს იმის გამო, რომ საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად განხორციელდა ქმედება და უფრო მნიშვნელოვანი სიკეთე გადარჩა, მაგრამ ქმედება გამართლებამდე ეჭვს აღძრავს, რომ შეიძლება იგი მართლსაწინააღმდეგო იყოს. ნებადართული რისკი ასეთ ეჭვს არ იწვევს და იმთავითვე იგულისხმება, რომ ქმედება მართლზომიერია. მას გამართლება არ სჭირდება.

5. მართლწინააღმდეგობა გაუფრთხილებლობით საფრთხის დელიქტებში

საფრთხის შემქმნელი დელიქტები არა მხოლოდ განზრახ, არამედ განუზრახველადაც შეიძლება განხორციელდეს. უფრო მეტიც, ზოგიერთი საფრთხის დელიქტის განზრახ განხორციელება შეუძლებელია. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს სსკ-ის 242-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. აღნიშნული მუხლით ისჯება აფეთქებასაშიშ საწარმოში ან საამქროში საწარმოოტექნიკური წესის დარღვევა, რასაც გაუფრთხილებლობით შეეძლო გამოეწვია მძიმე შედეგი. როდესაც ვსაუბრობთ გაუფრთხილებლობით საფრთხის დელიქტებზე, ჩნდება კითხვა, დგინდება თუ არა მართლწინააღმდეგობა განზრახ და განუზრახველ საფრთხის დელიქტებში ერთნაირად.

განზრახ დელიქტებში მართლწინააღმდეგობა გულისხმობს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის, აკრძალვის დარღვევას ამა თუ იმ ქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით. როდესაც ადამიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედებას განზრახ ჩადის, იგი შეგნებულად უგულებელყოფს სამართლის ნორმის მოთხოვნას. ხოლო მაშინ, როცა გაუფრთხილებლობით ხდება დანაშაულის ჩადენა, დამნაშავე არღვევს წინდახედულობის ნორმას.

მართლწინააღმდეგობა განზრახ და გაუფრთხილებლობით დელიქტებში განსხვავებული მასალისგან აიგება. მაგალითად, თუ განზრახ საფრთხის დელიქტის შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგოდ ჩამდენი არღვევს აკრძალვას სხვისი სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნასთან დაკავშირებით, განუზრახველად საფრთხის დელიქტის ჩამდენი იგივე სახის აკრძალვას კი არ არღვევს, არამედ წინადაუხედაობას იჩენს.

გაუფრთხილებლობაზე ადრე გაბატონებული დოქტრინით წინდახედულობის დარღვევა წარმოადგენდა ბრალის ელემენტს, ხოლო გაუფრთხილებლობა იყო მხოლოდ ბრალის ფორმა. ქმედების ფინალური და სოციალური მოძღვრების მიხედვით, გაუფრთხილებლობა არ არის ბრა-

ლის ფორმა, არამედ ქმედების შემადგენლობის ელემენტი. შესაბამისად, წინდახედულობის ნორმის ობიექტური დარღვევა გაუფრთხილებლობით დანაშაულში, აღნიშნული თეორიების მიხედვით, ქმედების შემადგენლობის ნიშანია.[1033] წინდახედულობის ნორმის ობიექტური დარღვევისგან განასხვავებენ წინდახედულობის ინდივიდუალურ დარღვევას, რომელიც მოწმდება არა ქმედების შემადგენლობის ფარგლებში, არამედ ბრალის ეტაპზე.[1034]

განზრახვის და გაუფრთხილებლობის ქმედების შემადგენლობაში გადატანით ფინალურ თეორიას სურდა ბრალი წმინდა შეფასებით ცნებად ექცია და გაეწმინდა იგი ფსიქოლოგიური ელემენტებისგან. ფინალური თეორიის მიხედვით, თუ ბრალი შეფასებას გულისხმობს, ქმედება შეფასების საგანია. მაგრამ, ჩნდება კითხვა, რამდენად შესაძლებელია, შეფასებისგან ნეიტრალური იყოს ქმედება, რომელიც იწვევს წინდახედულობის თუნდაც ობიექტურ დარღვევას? წინდახედულობის ობიექტური დარღვევა ხომ უკვე გარკვეულ შეფასებას გულისხმობს? თუ ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა წინდახედულობის ნორმის ობიექტურ დარღვევას ეს ხომ არ ნიშნავს ამავდროულად ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენასაც?

თუ წინდახედულობის ნორმის ობიექტურ დარღვევას ქმედების შემადგენლობის, ხოლო წინდახედულობის ნორმის დარღვევის თავიდან აცილების შესაძლებლობას ბრალის ეტაპზე დავადგენთ, რა არის ის, რაც მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დგინდება, როცა ქმედება განუზრახველადაა განხორციელებული?

წინდახედულობის ნორმის ობიექტური დარღვევა უნდა დადგინდეს არა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე, არამედ მართლწინააღმდეგობის დადგენისას. წინდახედულობის ნორმის ობიექტური დარღვევის დადგენით ფაქტობრივად ვადგენთ ქმედების მართლწინააღმდეგობას.[1035] ქმედების შემადგენლობის დონეზე უნდა დადგინდეს არა წინდახედულობის ნორმის ობიექტური დარღვევა, არამედ ადამიანი მოქმედებდა განზრახ, თუ განზრახვის გარეშე (განუზრახველად). თუ მართლწინააღმდეგობა და ბრალი შეფასებას გულისხმობს, ქმედება, რომელიც სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ნიშანია, შეფასებისგან ნეიტრალურია და იგი ჯერ კიდევ შეფასებას მოითხოვს. როცა ვამბობთ, რომ ქმედება მართლსაწინააღმდეგოა ან ბრალეულია, ამით მას შეფასებას ვაძლევთ.

სწორად შენიშნავს *ო. გამყრელიძე,* რომ, თუ განზრახვა შეფასებისგან ნეიტრალური ცნებაა და მას შეფასება სჭირდება, „გაუფრთხილებლობა, პირიქით, უკვე შეფასებაა, გაკიცხვაა, საყვედურია ინდივიდის მიმართ“.[1036] ამიტომ, „განზრახვა და გაუფრთხილებლობა არ შეიძლება დანაშაულის ცნების სტრუქტურაში გვერდიგვერდ თანაარსებობდნენ,

---

[1033] შეად. *Baumann/Weber/Mitsch,* Strafrecht, AT, Lehrbuch, 11. Aufl., Bielefeld, 2003, S. 528-529, §22 Rn. 19-22.

[1034] იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 563.

[1035] იხ. *Baumann/Weber/Mitsch,* Strafrecht, AT, Lehrbuch, 11. Aufl., Bielefeld, 2003, S. 528-530, §22 Rn. 26.

[1036] იხ. *გამყრელიძე ო.,* შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა,,,ადამიანი და კონსტიტუცია“,2002,№4,გვ. 84.

რადგან ისინი სხვადასხვა სინამდვილის მოვლენებს გამოხატავენ".[1037] თუ განზრახვა შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი, ამას ვერ ვიტყვით გაუფრთხილებლობაზე. „არ არსებობს დადებითი და უარყოფითი გაუფრთხილებლობა".[1038] გაუფრთხილებლობა ყოველთვის გულისხმობს გაკიცხვას, უარყოფით შეფასებას, გულისხმობს იმას, რომ სუბიექტმა დაარღვია სწორი მოქმედების ნორმა.[1039] გაუფრთხილებლობა შეუძლებელია მიეკუთვნოს მოქმედების ცნებას, ე. ი. ცნებას, რომელიც სამართლებრივ შეფასებას მოკლებულია, წინ უსწრებს სამართლებრივ შეფასებას როგორც ონტოლოგიური ცნება.[1040] აღნიშნულიდან გამომდინარე, *ო. გამყრელიძე* დაასკვნის, რომ, „თუ განზრახვის ადგილი ქმედების შემადგენლობის ცნებაშია, გაუფრთხილებლობა ბრალის გამოხატულებაა".[1041] ქმედების შემადგენლობის ეტაპზე მისი მართებული მოსაზრებით, განზრახვის არარსებობის აღმნიშვნელ ტერმინად შეიძლება გამოვიყენოთ არა გაუფრთხილებლობა, არამედ განუზრახველობა.

თუ წინდახედულობის ნორმის ობიექტური დარღვევის დადგენას ქმედების შემადგენლობის ეტაპზე გადავიტანთ, მივიღებთ დანაშაულის არა სამნიშნოვან, არამედ ორნიშნოვან სტრუქტურას გაუფრთხილებლობითი დანაშაულისთვის.

როდესაც ვამბობთ, რომ ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ქმედება შეფასებისგან ნეიტრალურია, მხედველობაში გვაქვს კლასიკური დელიქტები. მაშინ, როცა საქმე ბლანკეტურ დელიქტებს ეხება, ქმედება შეუძლებელია შეფასებისგან სრულად იყოს თავისუფალი. მას თან ახლავს ნორმატიული ნიშანიც. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა სატრანსპორტო დანაშაულებში, ქმედების უკანონობა უკანონო აბორტის შემადგენლობაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, დასახელებული ნორმატიული ნიშნები (ქმედების უკანონობა უკანონო აბორტის დროს და მოძრაობის წესების დარღვევა სატრანსპორტო დანაშაულებში) დგინდება არა მართლწინააღმდეგობის, არამედ ქმედების შემადგენლობის ეტაპზე.

ერთიანი მართლწინააღმდეგობის თეორიის მიხედვით, ობიექტურად წინდახედულობის ნორმის შესაბამისი ქმედება ფასდება როგორც გამამართლებელ (მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ) გარემოებაში განხორციელებული ქმედება.[1042] ერთიანი მართლწინააღმდეგობის თეორია, ერთის მხრივ, სწორად წყვეტს საკითხს, როცა წინდახედულობის ნორმის ობიექტურ დარღვევას არა ქმედების შემადგენლობის, არამედ მართლწინააღმდეგობის ნიშნად მიიჩნევს. მაგრამ, დასახელებული თეორიის ხარვეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ იგი ქმედების შემადგენლობის და მართლწინააღმდეგობის საკითხების გადაჭრისას არ ახდენს კლასიკური და ბლანკეტური დელიქტების დიფერენცირებას. რამდენადაც ერთიანი მართლწინააღმდეგობის თეორია მართლწესრიგის ერთიანობის

[1037] იხ. *გამყრელიძე ო.,* იქვე,გვ. 84.

[1038] იხ. *გამყრელიძე ო.,* იქვე,გვ. 88.

[1039] იხ. *წერეთელი თ.*„ფინალური თეორია ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში და მისი კრიტიკა,"საბჭოთა სამართალი",1966,№2,გვ. 36.

[1040] იხ. *წერეთელი თ.*,იქვე,გვ. 36.

[1041] იხ. *გამყრელიძე ო.,* იქვე,გვ. 88.

[1042] შეად. *Baumann/Weber/Mitsch,* Strafrecht, AT, Lehrbuch, 11. Aufl., Bielefeld, 2003, S. 528-528, §22 Rn. 21.

იდეას ემყარება, ყველანაირი, მათ შორის სისხლის სამართლის კანონს გარეთ მყოფი, ნორმის მოთხოვნის დარღვევა, ბლანკეტურ დელიქტებშიც, ყოველთვის მართლწინააღმდეგობის ნიშნად მიიჩნევა.

ბლანკეტური დელიქტების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სსკ-ში ქმედების შემადგენობის ჩამოყალიბება მხოლოდ აღწერილობითი ნიშნების საფუძველზე შეუძლებელია. ქმედების შემადგენლობა ასეთ დელიქტებში მოიცავს შეფასებით ნიშნებსაც. ამით განსხვავდება იგი კლასიკური დელიქტებისგან. ზოგჯერ კლასიკური დელიქტების ქმედების შემადგენლობაც შეიცავს შეფასებით ნიშანს (მკვლელობა *განსაკუთრებული სისასტიკით*). თუმცა, ეს მაინც ვერ ცვლის საერთო სურათს და ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობისგან განსხვავებით, აღწერილობით მსჯელობას გულისხმობს. არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე და ასეთი გამონაკლისია ბლანკეტური და ის კლასიკური დელიქტები, რომელთა ქმედების შემადგენლობაშიც აღწერილობითის გარდა შეფასებითი ნიშნებიც არის მოცემული.

6. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა სუბიექტური მხარე

მართლწინააღმდეგობა, როგორც უკვე ითქვა, დგინდება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების გამორიცხვით. თუ დადგინდა, რომ სახეზეა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება, ქმედება მართლზომიერად ჩაითვლება, მაგრამ რამდენად შეესაბამება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა სტრუქტურა გაუფრთხილებლობით დელიქტებს და როგორ ხდება მართლწინააღმდეგობის დადგენა გაუფრთხილებლობის დროს?

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებზე არსებობს ობიექტური და სუბიექტური თეორიები,[1043] რომლებიც ქმედების გამართლებისთვის განსხვავებული პირობების არსებობას მოითხოვენ. ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებული შეხედულებით, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა დამაფუძნებელ ნიშანს ქმედების მიზანი წარმოადგენს. ქმედების მართლზომიერების და მართლწინააღმდეგობის დასადგენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტის მიზანს. ერთიდაიგივე ობიექტური შემადგენლობა შეიძლება მართლზომიერ ან კიდევ მართლსაწინააღმდეგო ქმედებად აქციოს მიზანმა. მთავარი მხოლოდ ის კი არ არის, ობიექტურად რა განხორციელდა, არამედ ისიც, თუ რა მიზანი ამოძრავებდა მოქმედს.[1044]

[1043] აღნიშნულ თეორიებზე იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 335.

[1044] იხ. *Церетели Т.,* Причинная Связь в уголовном праве, М., 1963, с. 196; *წერეთელი თ.,* საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ., 2006, გვ. 60-61; *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 301; *Шавгулидзе Т.*, Необходимая Оборона, Тб., 1966, 88; *შაგულიძე თ.,* წიგნში: *შაგულიძე თ., სურგულაძე ლ.,* საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბ., 1988, 102; *ნაჭყებია გ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ, 2011, გვ. 294-295; *დვალიძე ი.*, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ. 75; *ხერხეულიძე*

ობიექტური თეორიის მიხედვით, ქმედების მართლზომიერებისთვის გადამწყვეტი სუბიექტური ნიშანი კი არ არის, არამედ ობიექტური.[1045] აღნიშნულ მოსაზრებას არ ჰყავს ბევრი მომხრე.

გერმანელი მეცნიერების დიდი ნაწილი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების სუბიექტური შემადგენლობის საკითხს დიფერენცირებულად განიხილავს განზრახ და გაუფრთხილებლობით დელიქტებში. ქმედების გამამართლებელი სუბიექტური ნიშნების არსებობას აუცილებლად მიიჩნევენ მხოლოდ განზრახ დელიქტებში და მას არ თვლიან ქმედების გამართლების აუცილებელ წინაპირობად გაუფრთხილებლობით განხორციელებულ ქმედებათა მიმართ,[1046] ვინაიდან გაუფრთხილებლობის დროს ასეთი სუბიექტური ნიშნების არსებობა ისედაც შეუძლებელია.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა სუბიექტურ მხარესთან დაკავშირებით ასევე არსებობს მესამე პოზიციაც, რომლის წარმომადგენელია *ჰ. იეშეკი.* იგი გამართლებულად მიიჩნევს დამნაშავის დასჯას დანაშაულის მცდელობისთვის, მაშინ, როცა ქმედების გამამართლებელი ობიექტური გარემოება არსებობს, თუ ეს გარემოება დამნაშავისთვის უცნობია.[1047] *იეშეკს* მისი დებულების საილუსტრაციოდ მოჰყავს შემდეგი მაგალითი: ექიმი გააკეთებს აბორტს ისე, რომ მან არ იცის ორსულობის შეწყვეტის გამამართლებელი ობიექტური წინაპირობის, სამედიცინო ჩვენების (ინდიკაციის) არსებობის შესახებ. აღნიშნულ შემთხვევაში სახეზეა ორსულობის შეწყვეტისთვის (უკანონო აბორტი) გამამართლებელი ობიექტური წინაპირობა, მაგრამ *იეშეკის* თვალსაზრისით, ექიმი მაინც უნდა დაისაჯოს, თუმცა არა დამთავრებული დანაშაულისთვის, არამედ დანაშაულის მცდელობისთვის.[1048] აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აბორტის უკანონობა ქართული სსკ-ის მიხედვით, უკანონო აბორტის შემადგენლობის ნიშანია და არა მართლწინააღმდეგობის. გარდა ამისა, უკანონო აბორტის შემადგენლობით დაცულია ორსული ქალის სიცოცხლე და ჯანმრთელობა და არა დაუბადებელი სიცოცხლე. აღნიშნულის გათვალისწინებით, *იეშეკის* შეხედულების გაზიარება ქართული სსკ-ით ექიმის დასჯასთან დაკავშირებით შეუძლებელია.

მაშინ, როცა სახეზეა სამედიცინო ინდიკაცია (ორსული ქალის შესაბამისი დაავადება), რომელიც ექიმს 12 კვირაზე მეტი ხნის ორსული ქალისთვის აბორტის გაკეთების უფლებას აძლევს, თუ კანონის სხვა

ი., აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში, თბ.,2010, გვ. 63-65.

[1045] იხ. *Spendel G.,* Notwehr und «Verteidigungswille», objektiver Zweck und subjektive Absicht, Oehler-FS, 1986, S. 197.

[1046] იხ. *Baumann/Weber/Mitsch,* Strafrecht, AT, Lehrbuch, 11. Aufl., Bielefeld, 2003, 542, § 22 Rn. 54; *Kühl K.,* Strafrecht, AT, 6. Aufl., München, 2008, 538, § 17 Rn. 77; *Haft F.,* Strafrecht, AT, 8. Aufl., München, 1998, 79-80; *Schünemann B.,* Moderne Tendenzen in der Dogmatik der Fahrlässigkeits- und Gefährdungsdelikte, JA 1975, 787; *Schaffstein F.,* Handlungsunwert, Erfolgsunwert und Rechtfertigung bei den Fahrlässigkeitsdelikten, FS für *Welzel H.,* 1974, 576; *Fischer T.,* Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Auflage, München, 2010, 285, § 32 Rn. 31.

[1047] იხ. *Jescheck H-H., Weigend T.,* Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 330. ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს *ქ. მჭედლიშვილიც.* იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 36.

[1048] იხ. *Jescheck H-H., Weigend T.,* Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 330.

მოთხოვნები არ დაირღვა, ქართული კანონმდებლობით ექიმს პასუხისმგებლობა საერთოდ არ უნდა დაეკისროს, ვინაიდან ორსული ქალი დაავადებულია ისეთი დაავადებით, რაც აბორტის გაკეთების უფლებას იძლევა. ექიმის ქმედება არათუ მცდელობად, არამედ უვარგის მცდელობადაც არ უნდა შეფასდეს. უვარგისი მცდელობის დროს გვაქვს ან უვარგისი ობიექტი ან უვარგისი იარაღი, რაც ქმედების საშიშროებას სრულად არ გამორიცხავს, ხოლო მოყვანილ მაგალითში ობიექტურად არსებობს ორსული ქალისთვის მუცლის მოშლის უფლება, რაც ექიმმა არ იცის. ჩნდება კითხვა, ხომ არ არსებობს იმ შემთხვევის ანალოგიური მდგომარეობა, როცა აუცილებელი მოგერიების ობიექტური პირობები სახეზეა, მაგრამ მოქმედი პირის შეგნებით არ არის იგი მოცული? რასაკვირველია არა, ვინაიდან განსახილველ მაგალითში თვითონ ორსული ქალის ნების შესაბამისად მოქმედებს ექიმი და რაც მთავარია ექიმის ქმედება ობიექტურად ორსულის ინტერესების დაცვას ხელს უწყობს. ე. ი. მაშინ, როცა სამედიცინო ინდიკაცია არსებობს და არ არის დარღვეული კანონმდებლობის სხვა მოთხოვნები, ქართული სსკ-ის მიხედვით, ექიმს პასუხისმგებლობა უკანონო აბორტის მცდელობისთვისაც არ უნდა დაეკისროს.

ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა სუბიექტურ შემადგენლობასთან დაკავშირებით *იეშეკის* დებულებას საფუძვლად უდევს პერსონალური უმართლობის მოძღვრება, რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავს ქმედების და შედეგის უმართლობას. აღნიშნული მოძღვრების მიხედვით, თუ სახეზეა ქმედების გამამართლებელი ობიექტური გარემოება (მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა), მაგრამ, არ არსებობს ქმედების გამამართლებელი სუბიექტური ნიშნები (გამამართლებელი გარემოების ცოდნა), გამოირიცხება შედეგის უმართლობა, ხოლო ქმედების უმართლობა განხორციელებულად ითვლება და დამნაშავეს პასუხისმგებლობა ეკისრება არა დამთავრებული დანაშაულის განხორციელებისათვის, არამედ მცდელობისთვის.[1049] ასეთი მოსაზრების გაზიარებისას პასუხისმგებლობა საერთოდ უნდა გამოირიცხოს მაშინ, როცა საქმე ეხება დელიქტს, რომლის მცდელობა გერმანული სსკ-ის მიხედვით საერთოდ არ ისჯება.[1050]

პერსონალური უმართლობის მოძღვრების წარმომადგენელთა შეხედულების გაზიარება, ქმედების მართლწინააღმდეგობის გამორიცხვასთან დაკავშირებით, გაუმართლებელია. კერძოდ, მიუღებელია ადამიანის დასჯა თუნდაც დანაშაულის მცდელობისთვის მაშინ, როცა განხორციელებული ქმედება სამართლებრივ სიკეთეს არც ხელყოფს და არც ასეთი ხელყოფის საფრთხეს ქმნის, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი პირი ცდება და ჰგონია, რომ მის მიერ განხორციელებული ქმედება აკრძალულია. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქმედება, რომელიც განხორციელდა, ეხება მხოლოდ ერთ კონკრეტულ პიროვნებას და ეს ქმედება ამ პიროვნების სიკეთეს კი არ ხელყოფს ან საფრთხეს კი არ უქმნის, პირიქით, მისთვის სარგებელი მოაქვს. განსხვავებულ მდგომარეობასთან გვექნებოდა საქმე, თუ განხორციელებული ქმედება, მართალია, გადაარ-

---

[1049] პერსონალური უმართლობის მოძღვრებაზე იხ. *Kühl K.,* Strafrecht, AT, 6. Aufl, München, 2008, S. 110-111, §6. Rn. 12.

[1050] აღნიშნული დებულების კრიტიკა იხ. *Spendel G.,* Notwehr und «Verteidigungswille», objektiver Zweck und subjektive Absicht, Oehler-FS, 1986, S. 200.

ჩენდა ერთი კონკრეტული ადამიანის სიკეთეს, მაგრამ მეორე ადამიანის სიკეთის ხარჯზე. ამ შემთხვევაში ქმედების მართლზომიერების დასადგენად მეტად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ქმედების გამამართლებელი ობიექტური გარემოების ცოდნას ანუ სუბიექტურ ნიშანს. ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში, ექიმის დასჯას მცდელობისთვის იმ აბორტის გაკეთების გამო, რომლის გაკეთების უფლებაც მას ჰქონდა, საფუძვლად უდევს პერსონალური უმართლობის მოძღვრების წარმომადგენელთა მიერ ობიექტური ნიშნების დაკნინება და სუბიექტური ნიშნებისთვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება. სწორად მიუთითებს *ო. გამყრელიძე*, რომ პერსონალური უმართლობის ცნება ძირს უთხრის იმ პროგრესულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძველს წარმოადგენს არა აზრთა წყობა, არა ნების წარმართვა განსაზღვრული მიმართულებით, არამედ გარეგანი ქცევა, ობიექტურად რომ ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს“.[1051] მისი თვალსაზრისით, პროგრესული სისხლის სამართლისთვის უმართლობის პერსონალური გაგება მიუღებელია, ვინაიდან იგი მოასწავებს რეაქციული სოციოლოგიური სკოლისკენ შემობრუნებას.[1052]

უ. ებერტი ქმედების გამამართლებელ გარემოებათა ცოდნის, შეგნების გარეშე განხორციელებული ქმედების კვალიფიკაციის საკითხს ერთიანი უმართლობის მოძღვრების მიხედვით წყვეტს და აღნიშნავს, რომ მაშინ, როცა სახეზეა ქმედების გამამართლებელი ობიექტური გარემოებანი და ამის შესახებ არ იცის მოქმედმა პირმა, ერთიანი უმართლობა არ არის ობიექტურად განხორციელებული, ვინაიდან სახეზე არის ქმედების გამამართლებელი ობიექტური გარემოება, რომლის არარსებობაც, აღნიშნული მოძღვრების მიხედვით, დანაშაულის ნეგატიურ ნიშნად ითვლება. ქმედების გამამართლებელი სუბიექტური ნიშნების არარსებობისას, ერთიანი უმართლობის შემადგენლობა სუბიექტურად განხორციელებულია, ვინაიდან მოქმედმა პირმა არ იცის გამამართლებელი ობიექტური გარემოების არსებობა.[1053] იმისთვის, რომ უმართლობა სრულად ჩაითვალოს განხორციელებულად, სახეზე არ უნდა იყოს ქმედების გამამართლებელი არც ობიექტური გარემოება და არც სუბიექტური ნიშანი. ერთიანი უმართლობის მოძღვრების მიხედვით, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე ქმედების გამამართლებელი ობიექტური გარემოების დადგენა ზეგავლენას ახდენს ქმედების შემადგენლობის ფორმაზე და მიუხედავად იმისა, რომ ქმედების შემადგენლობა სრულად განხორციელდა, ქმედების გამამართლებელი სუბიექტური ნიშნის არარსებობის გამო სისხლისსამართლებრივი უმართლობა სრულად არ არის მოცემული და ქმედება დანაშაულის მცდელობის ანალოგიით ისჯება. საკითხის ასეთი გადაწყვეტა მიუღებელია.

უ. ებერტის მიერ ერთიანი უმართლობის მოძღვრებად წოდებული თეორია თითქმის იგივეს გვთავაზობს, რასაც გვთავაზობდა „ნეგატიური ნიშნების თეორია“. ერთიანი უმართლობის მოძღვრება წარმოადგენს ნეგატიური ნიშნების თეორიის მოდიფიცირებულ ვარიანტს. ქმედების შემადგენლობა სრულად არის თუ არა განხორციელებული

[1051] იხ. *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2013, გვ. 44.

[1052] იხ. *გამყრელიძე ო.*, იქვე.

[1053] იხ. *Ebert U.,* Strafrecht, AT, 3. Aufl., Heidelberg, 2001, S. 158-159.

უნდა გადაწყდეს ქმედების შემადგენლობის ეტაპზე მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა არსებობისგან დამოუკიდებლად. დაუშვებელია ქმედების შემადგენლობის ნიშნად ვაქციოთ ქმედების გამამართლებელი გარემოების არარსებობა. გარდა ამისა, მართლწინააღმდეგობა ობიექტური კატეგორიაა და, შესაბამისად, ქმედება ან შედეგთან ერთად არის მართლზომიერი ან, პირიქით, მართლსაწინააღმდეგო. დაუშვებელია ქმედების და ქმედებით გამოწვეული შედეგის მართლზომიერება ან მართლწინააღმდეგობა შედეგისაგან მოწყვეტით დადგინდეს. ქმედება იმდენადაა მართლსაწინააღმდეგო, რამდენადაც მან მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია. თუ მართლზომიერი შედეგი დადგა, როგორ შეიძლება მართლზომიერი შედეგის გამომწვევი ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ შეფასდეს.

გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ გაუფრთხილებლობით დელიქტებში მართლწინააღმდეგობა შეიძლება გამორიცხოს არა მხოლოდ აუცილებელმა მოგერიებამ და უკიდურესმა აუცილებლობამ, არამედ დაზარალებულის თანხმობამაც.[1054] მაგალითად, „ა“ რესტორნიდან მთვრალი საკუთარი მანქანით სახლში ბრუნდება, რა დროსაც იგი გააჩერა „ბ“-მ და სთხოვა თან გაყოლოდა. „ა“-მ „ბ“-ს მიანიშნა, რომ მთვრალი იყო და „ბ“-ს მანქანის კარი გაუღო. „ბ“-მ „ა“-ს სიმთვრალეზე გულგრილი დამოკიდებულება გამოხატა და „ა“-ს მანქანაში ჩაუჯდა. მგზავრობის დროს „ა“ ავტოავარიას მოახდენს, რის შედეგად „ბ“-ს ჯანმრთელობა დაუზიანდება. აღნიშნულ შემთხვევაში *ბ. ჰაინრიხის* თვალსაზრისით, „ა“-ს არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა „ბ“-ს ჯანმრთელობის დაზიანებისთვის, ვინაიდან „ბ“-მ თანხმობა განაცხადა საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნაზე, რაც საკმარისია, რომ „ა“-ს პასუხისმგებლობა „ბ“-ს ჯანმრთელობის დაზიანებისთვის გამოირიცხოს.[1055] *ჰაინრიხის* მოსაზრებით, მართალია, „ა“-ს პასუხისმგებლობა აღნიშნულ შემთხვევაში არ დაეკისრება „ბ“-ს ჯანმრთელობის გაუფრთხილებლობით დაზიანებისთვის (გერმანული სსკ-ის 229-ე პარაგრაფი.), მაგრამ იგი არ განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან სრულად და დაისჯება გერმანული სსკ-ის მხოლოდ 315c (მე-3 აბზაცის პირველი ქვეპუნქტი) პარაგრაფით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მთვრალ მდგომარეობაში მყოფი მძღოლის მიერ საფრთხის გაუფრთხილებლობით გამოწვევისათვის.[1056] თუ ამ მსჯელობას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობას შევუსაბამებთ, მსგავს შემთხვევაში მძღოლი საეროდ უნდა გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ვინაიდან, ქართული სისხლის სამართლის კოდექსი მხოლოდ მაშინ სჯის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევას, თუ მას რაიმე სახის მძიმე შედეგი (ჯანმრთელობის დაზიანება,

---

[1054] იხ. *Welzel H.,* Das Deutsche Strafrecht, 11. Aufl., Berlin, 1969, S. 97; *Schaffstein F.,* Handlungsunwert, Erfolgsunwert und Rechtfertigung bei den Fahrlässigkeitsdelikten, Welzel-FS., 1974, S. 573-574; *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 458, Rn.1020.

[1055] იხ. *Heinrich B.*, Strafrecht, AT , 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 458, Rn.1020.

[1056] იხ. *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 458, Rn.1020. ავტოავარიის შემთხვევებში გერმანული სსკ-ის 315c პარაგრაფით გათვალისწინებულ დელიქტთან მიმართებით მართლწინააღმდეგობის გამორიცხვის თვალსაზრისით დაზარალებულის თანხმობის უმნიშვნელობაზე იხ. ასევე *Schaffstein F.,* Handlungsunwert, Erfolgsunwert und Rechtfertigung bei den Fahrlässigkeitsdelikten, Welzel-FS, 1974, S. 574.

სიცოცხლის მოსპობა) მოჰყვა (საქართველოს სსკ-ის 275-ე და 276-ე მუხლები).

ზემოთ მოყვანილი მაგალითის მიხედვით, მძღოლს პასუხისმგებლობა იმიტომ ეკისრება გერმანული სსკ-ის 315c პარაგრაფით და იმიტომ არ თავისუფლდება საერთოდ პასუხისმგებლობისგან, რომ აქ საქმე ეხება საფრთხის შექმნას სხვისთვის და არა საკუთარი თავისთვის. თანხმობამ მაშინ შეიძლება გამორიცხოს პასუხისმგებლობა, როცა საქმე ეხება საფრთხის შექმნას არა სხვისთვის, არამედ საკუთარი თავისთვის.[1057] მართალია, დაზარალებულის თანხმობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამორიცხავს, მაგრამ იგი გულისხმობს პირის თავისუფალი ნების გამოხატულებას არა სხვისი, არამედ საკუთარი სიკეთის ხელყოფაზე ან მისთვის საფრთხის შექმნაზე.[1058] პირის თანხმობით მხოლოდ მაშინ გამოირიცხება პასუხისმგებლობა, როცა თანხმობის მიმცემი თავად არის დასაზიანებელი სამართლებრივი სიკეთის მატარებელი.[1059] გერმანული სსკ-ის 315c პარაგრაფი კიდევ იცავს არა ინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთეს, არამედ უნივერსალურ სამართლებრივ სიკეთეს (საზოგადოებრივი უშიშროება).

ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, პასუხისმგებლობა არ გამოირიცხება მაშინ, როცა მძღოლის მიერ ნასვამ მდგომარეობაში მანქანის ტარებას მოჰყვება მგზავრის სიცოცხლის მოსპობა, მიუხედავად იმისა, რომ მგზავრმა იცის მძღოლის სიმთვრალის შესახებ და უფრო მეტიც, მგზავრთა გადაყვანა ხდება მათი თხოვნის შემდეგ.[1060] ხარაგაულის რაიონულმა სასამართლომ ა. ს-ძე დამნაშავედ სცნო საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მერვე ნაწილით, რომელიც პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მთვრალ მდგომარეობაში მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის თუ მან გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. ა.ს-ძეს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ათი წლის ვადით. მსჯავრდებულმა ა. ს-ძემ ხარაგაულის რაიონული სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. აპელანტი ითხოვდა განაჩენში ცვლილების შეტანას და შეფარდებული სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ მგზავრები, რომლებიც ავტოავარიის შედეგად გარდაიცვალნენ, გადაჰყავდა მათივე თხოვნით. როგორც განჩინების აღწერილობითი ნაწილის წაკითხვის შედეგად ირკვევა, თავიდან მძღოლმა უარი განაცხადა არაფხიზელ მდგომარეობაში მგზავრთა გადაყვანაზე, მაგრამ, ვინაიდან მათ დახმარება სჭირდებოდათ, საბოლოოდ დასთანხმდა მათ და უარი ვერ უთხრა. სააპელაციო სასამართლომ ა.ს-ძეს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულად ცნობასთან დაკავშირებით რაიონული

[1057] იხ. *Rengier R.,* Strafrecht, BT II, Delikte gegen die Person und die Allgemeinheit, 11. Aufl., München, 2010, S. 407; *Jescheck H-H., Weigend T.,* Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 590.

[1058] იხ. *ლეკვეიშვილი მ.,* დაზარალებულის თანხმობა,როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება,,,სამართლის ჟურნალი“,2010,№1-2,გვ. 167. *მ. ლეკვეიშვილი* მიიჩნევს,რომ ტერმინი „დაზარალებულის თანხმობა“ პირობით ხასიათს ატარებს და ამდენად, მიზანშეწონილი იქნება თუ გამოვიყენებთ მის ნაცვლად ტერმინს „პირის თანხმობა საკუთარი ინტერესისათვის ზიანის მიყენებაზე“.

[1059] იხ. *Jescheck H-H., Weigend T.,* Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 590; *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი,დანაშაულის მოძღვრება,თბ.,2011,გვ. 397.

[1060] იხ. სუსგ,2009,№12,გვ. 7.

სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა, რაც მართებულად უნდა ჩაითვალოს.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში ბევრს კამათობენ იმაზე, შეიძლება თუ არა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემობას ადგილი ჰქონდეს გაუფრთხილებლობის დროს, მაგრამ, ზოგიერთ გარემოებასთან მიმართებით საკითხი ცალსახაა. მაგალითად, შეუძლებელია გაუფრთხილებლობით ისეთი გამამართლებელი გარემოების განხორციელება, როგორიცაა მართლზომიერი რისკი. მართლზომიერი რისკი განზრახ ქმედებას გულისხმობს, რამდენადაც იგი მიზნითაა დეტერმინირებული და ქმედების მართლზომიერებას მოქმედი პირის მიზანი განაპირობებს,[1061] რის შესახებაც პირდაპირაა მითითებული საქართველოს სსკ-ის 31-ე მუხლში. მართლზომიერი რისკის ვითარებაში მოქმედი მოსალოდნელ შედეგთან დაკავშირებით ევენტუალური განზრახვით მოქმედებს, იგი დარწმუნებული კი არ არის არასასურველი შედეგის თავიდან აცილებაში, არამედ უშვებს ამ შედეგის დადგომის შესაძლებლობასაც. თუმცა, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის საფრთხე რისკის ვითარებაში მოქმედს შეგნებული აქვს, რაც საფრთხის შექმნის განზრახვისთვის საკმარის პირობას წარმოადგენს.

7. შეჯამება

მართლწინააღმდეგობა დანაშაულის დამოუკიდებელი ნიშანია, მაგრამ, ზოგიერთ ქმედების შემადგენლობაში ჩვენ ვხვდებით მართლწინააღმდეგობაზე მითითებას, რაც ქმედების შემადგენლობის და არა მართლწინააღმდეგობის ნიშანია. მთელ რიგ შემთხვევებში, მართლაც შეუძლებელია ქმედების შემადგენლობის ჩამოყალიბება მსგავსი მითითების გარეშე. შესაბამისად, დამნაშავის განზრახვით უნდა იყოს მოცული ქმედების შემადგენლობის აღნიშნული ნიშანიც, ქმედება განზრახ განხორციელებულად რომ ჩაითვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქმედება არ იქნება განზრახ განხორციელებული და თუ მსგავსი ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა არ ისჯება, მისი ჩამდენიც საერთოდ გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

რამდენადაც ქმედების შემადგენლობაში მოცემული მითითება ქმედების მართლწინააღმდეგობაზე (მაგ. უკანონო აბორტი) ქმედების შემადგენლობის ნიშანია და არა მართლწინააღმდეგობის, შესაბამისად, ასეთ (ბლანკეტურ) დელიქტებშიც მართლწინააღმდეგობა დგინდება არა პოზიტიურად, არამედ ნეგატიურად (მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების გამორიცხვით).

თუ დანაშაულის განზრახ ჩადენისას დამნაშავე არღვევს სისხლისსამართლებრივ აკრძალვას ამა თუ იმ ქმედების განხორციელებაზე, გაუფრთხილებლობის დროს იგი ამავე სახის აკრძალვას კი არ არ-

[1061] იხ. *უგრეხელიძე მ.,* ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 18; Уголовное право, Общая и особенная части, 2-е издание, Под общей редакцией *Журавлева М.П.,* и *Никулина С.И.*, М., 2008, с. 171; Комментарий к уголовному кодексу Российской Федерации, Под ред. *Радченко В.И., Михлина А.С.*, Санкт-Петербург, 2008, с. 71.

ღვევს, არამედ წინდახედულობის ნორმას. მაშასადამე, განზრახ და გაუფრთხილებლობით დელიქტებში მართლწინააღმდეგობა განსხვავებული მასალისგან აიგება.

საფრთხის შემქმნელ დელიქტებში მართლწინააღმდეგობის დადგენა განსაკუთრებული სპეციფიურობით არ გამოირჩევა. რაც შეეხება ისეთ გარემოებას, როგორიცაა სხვისი ჩაყენება საფრთხეში მისივე თანხმობით: მეცნიერთა ნაწილი მას მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებად მიიჩნევს, რაც არ შეიძლება გაზიარებული იქნეს და ამის მაგალითად შეიძლება დასახელებული იქნეს თუნდაც უკანონო აბორტის შემადგენლობა, რომელიც ორსული ქალის თანხმობას უკანონო აბორტზე, ე. ი. მისი სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელი ქმედების განხორციელებაზე არ გამორიცხავს, მაგრამ, აღნიშნული ქმედება, მიუხედავად ორსული ქალის თანხმობისა, მაინც ისჯება, თუ სახეზე არ არის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი რაიმე გარემოება.

განზრახ დელიქტებში გამამართლებელი გარემოებანი მოითხოვენ ისეთი სუბიექტური ნიშნების არსებობას, როგორიცაა სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილი და მიზანი. შეიძლება ქმედებით გამოწვეული შედეგი არ იყოს განზრახვით მოცული, როცა ადგილი აქვს წინასწარ განზრახულზე უფრო მძიმე შედეგის გამოწვევას, მაგრამ, სულ მცირე, სახეზე მაინც უნდა იყოს ისეთი სუბიექტური ნიშნები, როგორიცაა გამამართლებელი გარემოების არსებობის შეგნება, სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილი და მიზანი. რაც ყოველთვის არ გამორიცხავს ქმედების გამართლების შესაძლებლობას მაშინ, როცა დამდგარი შედეგისადმი დამოკიდებულება განუზრახველია. შეიძლება ადამიანი მოქმედებდეს სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით და ქმედებით გამოწვეული შედეგისადმი ჰქონდეს განუზრახველი დამოკიდებულება.

XI. თავი

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელ დელიქტთა ცალკეული შემადგენლობანი

1. ზოგადი შესავალი

საქართველოს მოქმედმა სისხლის სამართლის კოდექსმა, წინამორბედი კოდექსისგან განსხვავებით, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელ დელიქტებს ცალკე თავი (XXI) დაუთმო. ამით ხაზი გაესვა იმას, რომ ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას სხვა სიკეთესთან შედარებით კანონმდებელმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა. ეს ჩანს იქიდანაც, რომ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებით იწყება და გარდა ამისა, დასჯადია სიცოცხლის და ჯანმრთელობის არა მხოლოდ ხელმყოფი, არამედ მათთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტებიც. ზოგიერთი საფრთხის შემქმნელი დელიქტი 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსითაც ისჯებოდა, მაგრამ დასჯად ქმედებებს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით დაემატა ისეთი ახალი შემადგენლობებიც, როგორიცაა ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება; სისხლით ან სისხლის კომპონენტებით უკანონო ვაჭრობა; ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა; გენეტიკური მანიპულაცია. ჩამოთვლილ ქმედებათა კრიმინალიზაცია შედეგია მედიცინის მეცნიერების განვითარებისა. თანამედროვე პირობებში შესაძლებელი გახდა ბევრი ისეთი ქმედების განხორციელება, რაც ადრე შეუძლებელიც იყო. ამან დღის წესრიგში დააყენა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ახალ შემადგენლობათა შემოტანის საკითხი.

საფრთხის შემქმნელი დელიქტები შეიძლება შემდეგ სახეებად დავყოთ: დელიქტები, რომლებიც ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას უქმნიან საფრთხეს, და დელიქტები, რომლებიც საფრთხეს სხვა სამართლებრივ სიკეთეს (სახელმწიფო უსაფრთხოება, საზოგადოებრივი წესრიგი და ა.შ.) უქმნიან. ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები ქართული სისხლის სამართლის კოდექსის XXI თავის გარდა სხვა თავებშიც გვხვდება, მაგრამ სხვა თავებში თავმოყრილი ნორმებისთვის ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვა არ არის უპირველესი მიზანი. ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ სწორედ იმ საფრთხის დელიქტებს, რომლებიც საქართველოს სსკ-ის XXI თავშია მოცემული და უპირველესად ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ არიან მიმართულნი.

2. სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება (127-ე მუხ.)

2.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლით პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმის ჩაყენებისთვის, ვისაც შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად. მაშასადამე, 127-ე მუხლით ისჯება არა ნებისმიერი ადამიანის ჩაყენება სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში, არამედ იმისა, რომელსაც არა აქვს შესაძლებლობა მიიღოს ზომები თავის დასაცავად. ასეთ ადამიანთა წრეს განეკუთვნება მოხუცი, მცირეწლოვანი, ინვალიდი და ა. შ. ის, რომ ამ ნორმით სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მხოლოდ პირთა განსაზღვრული წრის ჩაყენება ისჯება, კანონის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს. დასჯადი უნდა იყოს ნებისმიერი ადამიანის ჩაყენება სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში. ხოლო, იმ ადამიანთა სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება, ვისაც არა აქვს შესაძლებლობა მიიღოს ზომები თავის დასაცავად, კვალიფიციური შემადგენლობის სახით უნდა იყოს გათვალისწინებული ამავე მუხლში, რაც აღნიშნული ქმედების უფრო მკაცრად დასჯის შესაძლებლობას მოგვცემს.

საქართველოს სსკ-ის 127-ე მუხლით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს ადამიანის სიცოცხლე წარმოადგენს. კარგი იქნებოდა თუ კანონმდებელი აღნიშნული მუხლით დაცულ სიკეთედ ადამიანის ჯანმრთელობასაც გამოაცხადებდა.

სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ადამიანი შეიძლება ჩაყენებული იქნეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. აღნიშნული დანაშაული კონკრეტული საფრთხის დელიქტია და შესაბამისად, მოქმედებით ან უმოქმედობით ადამიანს უნდა შეექმნას კონკრეტული საფრთხე, ქმედება საქართველოს სსკ-ის 127-ე მუხლით რომ დაკვალიფიცირდეს. ვინაიდან 127-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული კონკრეტული საფრთხის დელიქტია, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს შორის.

არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს *გ. ნაჭყებიას* მოსაზრება, რომელიც საქართველოს სსკ-ის 127-ე მუხლით გათვალისწინებულ დელიქტს აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ დელიქტად მიიჩნევს.[1062] *გ. ნაჭყებიასაგან* განსხვავებით, *გ. ტყეშელიაძე* მართებულად მიაკუთვნებს აღნიშნულ დელიქტს კონკრეტული საფრთხის დელიქტებს. თუმცა, იგი ამ დანაშაულს ამავდროულად შედეგგარეშე ანუ ე. წ. ფორმალურ დანაშაულს უწოდებს,[1063] რაც არ შეიძლება გაზიარებული იქნეს. იქ სადაც კონკრეტულ საფრთხეზე, მაშასადამე, მიზეზობრივი კავშირის დადგენაზეა საუბარი, საქმე ეხება შედეგიან ანუ ე. წ. მატერიალურ და-

---

[1062] იხ. *ნაჭყებია გ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, გვ. 238-239.

[1063] იხ. *ტყეშელიაძე გ.*, წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002, გვ. 204.

ნაშაულს.[1064] სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის კონკრეტული საფრთხეც დანაშაულის შედეგს წარმოადგენს სიტყვის გარკვეული მნიშვნელობით.[1065]

სსკ-ის 127-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულია სიცოცხლისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნის მომენტიდან და შემდგომი შედეგის დადგომას არ მოითხოვს. თუ სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებას ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც მკვლელობა ევენტუალური განზრახვით.

სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება გულისხმობს განზრახ ქმედებას, მაგრამ დამნაშავის განზრახვა მხოლოდ სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ადამიანის ჩაყენებას არ მოიცავს. სიცოცხლისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნის განზრახვა არ გამორიცხავს სიცოცხლის მოსპობისადმი განზრახ დამოკიდებულებასაც, მაგრამ ეს უნდა იყოს არა პირდაპირი განზრახვის, არამედ ევენტუალური განზრახვის სახით.

მეცნიერთა ერთი ნაწილი, რომლებიც ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას გამორიცხავს, აღნიშნავს, რომ იმ ხარვეზს, რომელიც ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობით იქმნება, სსკ-ის 127-ე და 128-ე მუხლები ავსებენ. მათი მოსაზრების თანახმად, სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებისას, სიცოცხლის მოსპობისადმი დამოკიდებულება დამნაშავეს ევენტუალური განზრახვით გააჩნია.[1066]

ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის იდეის მოწინააღმდეგე მეცნიერთა მეორე ჯგუფი 127-ე მუხლით გათვალისწინებული საფრთხის დელიქტის განხორციელებისას უშვებს მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობისადმი დამნაშავის როგორც ევენტუალური განზრახვით, ისე თვითიმედოვნებით დამოკიდებულების შესაძლებლობას. მეცნიერთა ეს ნაწილი მიიჩნევს, რომ საფრთხის შემქმნელი ქმედების განზრახ განხორციელებით სასიკვდილო შედეგის გამოწვევისას, დამდგარი შედეგისადმი დამნაშავის სუბიექტური დამოკიდებულების გათვალისწინებით, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ან როგორც მკვლელობა ევენტუალური განზრახვით ან როგორც სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.[1067]

მ. ტურავას მოსაზრებით კი, 127-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაცია მაშინ ხდება, როცა საფრთხე ადამიანის სიცოცხლისთვის შექმნილია და სიცოცხლის მოსპობის მიმართ დამნაშავეს დამოკიდებულება ევენტუალური განზრახვით კი არა, გაუფრთხილებლობით, კერძოდ, თვითიმ-

---

[1064] იხ. *Anastasopoulou I,* Deliktstypen zum Schutz kollektiver Rechtsgüter, München, 2005, S. 46-48; *Jescheck H-H., Weigend T.,* Lehrbuch des Strafrechts, AT, Berlin, 1996, S. 263-264; *Horn E.*, Konkrete Gefährdungsdelikte, Köln, 1973, S. 11; *Graul E.*, Abstrakte Gefährdungsdelikte und Präsumtionen im Strafrecht, Berlin, 1991, S. 24.

[1065] იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები,II ტომი,თბ.,2007,გვ. 419.

[1066] იხ. *გამყრელიძე ო.,* სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 245; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.,* სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი,დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები,თბ.,2011,გვ. 71-72.

[1067] იხ. *წერეთელი თ.,*წიგნში: *მაყაშვილი ვ.,მაჭავარიანი მ.,წერეთელი თ., შავგულიძე თ.,* დანაშაული პროვნების წინააღმდეგ,თბ., 1980, გვ. 137; *ტყეშელიაძე გ.,* წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი,დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ,თბ.,2002, გვ. 205.

ედოვნებით გააჩნია.[1068] მისი თვალსაზრისით, მაშინ, როცა დამნაშავეს მართალია არ სურს, მაგრამ უშვებს ადამანის სიცოცხლის მოსპობის შესაძლებლობას, სახეზეა მკვლელობის მცდელობა და ქმედებაც უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლებით.

მ. ტურავა საქართველოს სსკ-ის 127-ე მუხლით გათვალისწინებულ დელიქტთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ დამნაშავის მიერ თუნდაც არაიმწუოიერი სასიკვდილო შედეგის დადგომის შეგნებულობა არის საფრთხის შემქმნელი ამ დელიქტის დამაფუძნებელი. თუ სახეზე გვაქვს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმის ჩაყენება, ვისაც შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად და მას შედეგად მოჰყვა სიცოცხლის მოსპობა მესამე პირთა მხრიდან მოსალოდნელი შუალედური მოქმედებების შეუსრულებლობის გამო, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 127-ე მუხლით 116-ე მუხლის პირველ ნაწილთან ერთად (გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა).[1069] აღნიშნული შეხედულება საკამათოდ უნდა მივიჩნიოთ. კერძოდ, მაშინ, როცა საფრთხის შემქმნელ ქმედებას გარკვეული შედეგი მოჰყვება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს იმ ნორმით, რომელიც შედეგიან შემადგენლობას ითვალისწინებს, ვინაიდან საფრთხის რეალიზაცია შედეგში მოხდა და დანაშაულთა ერთობლიობის წესით ქმედების კვალიფიკაციის აუცილებლობა არ არსებობს. საფრთხის შემქმნელი დელიქტის ნორმით ქმედების კვალიფიკაცია მაშინ ხდება, როცა საფრთხის შემქმნელი ქმედების განხორციელებას სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა არ მოჰყვება. გარდა ამისა, შეუძლებელია დამნაშავეს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება ჰქონდეს მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებით, მაშინ, როცა დამნაშავე სხვისი სიცოცხლისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნის განზრახვით მოქმედებს.[1070]

გაუგებრობას იწვევს ასევე *გ. ტყეშელიაძის* შეხედულება, რომლის თანახმადაც „127-ე მუხლით დაკვალიფიცირდება, მაგალითად, მძღოლის მოქმედება, რომელმაც ავტომანქანა დააჯახა ქვეითად მიმავალს, ამ უკანასკნელს ჯანმრთელობა დაუზიანა, ამასთან, მას არ დაეხმარა, უსაფუძვლოდ ვარაუდობდა, რომ დაზარალებულს დაეხმარებოდნენ შემოხვევის ადგილზე მყოფი მოქალაქენი. ამის შედეგად დაზარალებული გარდაიცვალა.“[1071] 127-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებისთვის, მაგრამ ეს არ უნდა გამოიხატებოდეს ჯანმრთელობის დაზიანებაში. თუ დამნაშავემ მსხვერპლს ჯანმრთელობა დაუზიანა სიცოცხლისთვის სახიფათოდ, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა 127-ე, არამედ 117-ე მუხლით, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ასევე შემდეგი გარემოებაც. თუ ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვა მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევას, გამოირიცხება 117-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაციის შესაძლებლობა და ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 276-ე მუხლის შესაბამისი პუნქტით ჯანმრთელობის დაზიანების სიმძიმის გათვალისწინებით. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ჯანმრთელობის დაზიანება ან სიცოცხლის მო-

---

[1068] იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 138, 140.

[1069] იხ. *ტურავა მ.,* იქვე, გვ. 141.

[1070] ამ საკითხზე ვრცლად იხ. VII თავის 1-ლი პარაგრაფი.

[1071] იხ. *ტყეშელიაძე გ.,* იქვე, გვ. 205.

სპობა 127-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის მიიღმაა. გარდა ამისა, ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის დატოვება და დაზარალებულითვის დახმარების გაუწევლობა მოითხოვს დამატებით ქმედების კვალიფიკაციას 128-ე მუხლით, ხოლო თუ განსაცდელში მიტოვებას დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა ქმედება 276-ე მუხლის შესაბამის პუნქტთან ერთად უნდა დაკვალიფიცირდეს 108-ე მუხლითაც (მკვლელობა ევენტუალური განზრახვით). თუ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევას მოჰყვა შედეგად სიცოცხლის მოსპობა და არა განსაცდელში მიტოვებას, ქმედება 276-ე მუხლის მე-5 პუნქტით დაკვალიფიცირდება.

2.2. გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება ისჯება გერმანული სსკ-ის 221-ე პარაგრაფის პირველი ნაწილით. დასახელებული პარაფრაფით გათვალისწინებული დანაშაულისგან დასაცავ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს არა მხოლოდ სიცოცხლე, არამედ ჯანმრთელობა, რამდენადაც აღნიშნული პარაგრაფით ისჯება განსაცდელში ადამიანის ჩაყენება.[1072] განსაცდელი კიდევ გულისხმობს არა მხოლოდ სიცოცხლისთვის, არამედ ჯანმრთელობისთვის საშიშ მდგომარეობას.[1073]

თუ გერმანული სსკ-ის 221-ე პარაგრაფი ადამიანის ჯანმრთელობასაც იცავს, ქართული სსკ-ის 127-ე მუხლით მხოლოდ სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებაა დასჯადი, რაც ქართული სსკ-ის ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს. რამდენადაც, ჯანმრთელობა მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს, დასჯადი უნდა იყოს არა მხოლოდ ჯანმრთელობის ხელყოფა, არამედ ასეთი ხელყოფის საფრთხის შექმნაც.

გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში 221-ე პარაგრაფით ქმედების კვალიფიკაციის შემთხვევა ხშირი არ არის (წელიწადში ოცამდე შემთხვევა), რასაც ამ პარაგრაფის ნაკლები პრაქტიკული მნიშვნელობითაც ხსნიან.[1074] გასათვალისწინებელია ასევე ისიც, რომ ქართულისგან განსხვავებით, გერმანულ სისხლის სამართალში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, დანაშაულის მცდელობა ევენტუალური განზრახვითაც არის შესაძლებელი და განსაცდელში ჩაყენების პარაგრაფით ქმედებას მაშინ

[1072] გერმანული სსკ-ის 221-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ შემადგენლობას („Aussetzung“) შეიძლება ვუწოდოთ განსაცდელში ჩაყენება,რაც ბუნებრივია,განსხვავდება განსაცდელში მიტოვებისგან,ვინაიდან განსაცდელში მიტოვება უმოქმედობას გულისხმობს,ხოლო განსაცდელში ჩაყენება მოქმედებითაც ხდება. გარდა ამისა,განსაცდელში ჩაყენება ნიშნავს იმას,რომ ადამიანი განსაცდელში მანამდე არ იმყოფებოდა,ხოლო განსაცდელში მიტოვება გულისხმობს განსაცდელში უკვე მყოფი ადამიანისთვის დაუხმარებლობას.

[1073] იხ. *Krey/Hellmann/Heinrich,* Strafrecht, BT, Band 1, 15. Aufl., Stuttgart, 2012, S. 50, Rn. 125; *Rengier R.*, Strafrecht, BT II, Delikte gegen die Person und die Allgemeinheit, 13. Aufl., München, 2012, S. 78, §10 Rn. 1; *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf,* Strafrecht, BT, Lehrbuch, 2. Aufl., Bielefeld, 2009, S. 955, §36 Rn. 1.

[1074] *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf,* Strafrecht, BT, Lehrbuch, 2. Aufl., Bielefeld, 2009, S. 956, §36 Rn. 3.

აკვალიფიცირებენ, როდესაც დამნაშავეს მკვლელობის მცდელობის განზრახვას ვერ უმტკიცებენ.[1075]

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული აზრის თანახმად, უმწეო მდგომარეობაში (განსაცდელში) ჩაყენება სახეზეა, როცა დამნაშავე მსხვერპლს ისეთ მდგომარეობაში აყენებს, რომ არ შესწევს ძალა დაიცვას საკუთარი თავი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის შექმნილი საფრთხისაგან.[1076]მაგალითად, განსაცდელში ჩაყენებად არ შეიძლება ჩაითვალოს ცურვის მცოდნე ადამიანისთვის ხელის კვრა და ხიდიდან მდინარეში გადაგდება. იგივე ქმედება შეიძლება შეფასდეს განსაცდელში ჩაყენებად, თუ იგი განხორციელდება ცურვის არმცოდნე ადამიანის მიმართ. განსაცდელში ჩაყენება გულისხმობს არა მხოლოდ ისეთ მდგომარეობას, როდესაც ადამიანი ვარდება ისეთ მდგომარეობაში, როცა საკუთარ თავს ვერ იცავს იმ საფრთხისგან, რომელიც მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ემუქრება, არამედ მოცემულ მომენტში შემთხვევის ადგილზე ისეთი მესამე პირის არყოფნასაც, რომელსაც შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს განსაცდელში მყოფს.[1077] თუ შემთხვევის ადგილზე მყოფი გარანტის ფუნქციის მქონე ადამიანია და არაფერი მოიმოქმედა იმ ადამიანის დასახმარებლად, რომელზე ზრუნვის ვალდებულებაც აქვს, პასუხისმგებლობა 221-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტის მიხედვით დაეკისრება.

განსაცდელში ჩაყენება გულისხმობს ისეთი მოქმედების განხორციელებას, რომელიც დაზარალებულის მანამდელ მდგომარეობას ცვლის და საკმარისია დაზარალებულის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება.[1078]განსაცდელში ჩაყენება შესაძლებელია დაზარალებულის ადგილსამყოფელის შეცვლიდან გამომდინარეობდეს. მაგალითად, შიშველი ადამიანის დატოვება ღამით სიცივეში, მთვრალი ადამიანის გაგდება ქუჩაში და ა.შ. განსაცდელში ჩაყენება, ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, შეიძლება გამოიხატოს დამხმარე საშუალების (სათვალე, მობილური ტელეფონი) ჩამორთმევაში ან განადგურებაში. ასევე იმ ადამიანის ხელყოფაში ან შეცდომაში შეყვანაში, რომელსაც სურს განსაცდელში მყოფისთვის დახმარება.[1079] მაგალითად, დაჭრილ „ა“-ს უვლის „ბ“. მოვა „გ“ და გონების დაკარგვამდე ცემს „ბ“-ს. ამ შემთხვევაში „გ“ ვინც „ბ“ სცემა, სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში აგდებს „ა“-ს,[1080] ვინაიდან იგი რჩება მომვლელის გარეშე.

განსაცდელში ჩაყენება გულისხმობს ასევე ისეთი ქმედების განხორციელებას, რომელიც ახალ საფრთხეს აფუძნებს. მაგრამ საფრთხე ახალი ქმედების შედეგად მნიშვნელოვნად უნდა იყოს გაზრდილი. განსაცდელში ჩაყენების მაგალითად განიხილავენ შემდეგ შემთხვევას: „ა“ ზამორის

[1075] *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf,* Strafrecht, BT, Lehrbuch, 2. Aufl., Bielefeld, 2009, S. 917, 921, §35 Rn. 9, 21.

[1076] იხ. *Eisele J.,* Strafrecht, BT I, Straftaten gegen die Person und die Allgemeinheit, Stuttgart, 2012, S. 89, Rn. 237.

[1077] იხ. *Rengier R.*, Strafrecht, BT II, Delikte gegen die Person und die Allgemeinheit, 13. Aufl., München, 2012, S. 80, §10 Rn. 5.

[1078] იხ. *Maurach/Schroeder/Maiwald,* Strafrecht, BT, Teilband 1, Straftaten gegen Persönlichkeits- und Vermögenswerte, 10. Aufl., Heidelberg, 2009, S. 71, §4 Rn. 6.

[1079] იხ. *Maurach/Schroeder/Maiwald,* იქვე,გვ. 71,§4 Rn. 6.

[1080] იხ. *Eisele J.,* Strafrecht, BT I, Straftaten gegen die Person und die Allgemeinheit, Stuttgart, 2012, S. 89, Rn. 237.

ცივ ღამეში გზაზე იპოვის ძლიერ მთვრალ „ბ“-ს, რომელსაც მანქანაში ჩაისვამს, ტყეში წაიყვანს და იქ გადმოსვამს. „ბ“-ს შემთხვევით აღმოაჩენს მონადირე და დახმარებას აღმოუჩენს. აღნიშნული მაგალითის მიხედვით, „ა“-მ განახორციელა ახალი ქმედება, რომელმაც გაზარდა „ბ“-ს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხე.[1081]

გერმანული სსკ-ის 221-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანაშაული შეიძლება განხორციელდეს მოქმედებით და უმოქმედობითაც.[1082]მისი ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი.[1083] განსხვავებით 221-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის პირველი პუნქტისა, ამავე ნაწილის მე-2 პუნქტით ისჯება განსაცდელში მიტოვება. თუ პირველი ნაწილით ისჯება განსაცდელში ჩაყენება, მე-2 ნაწილით ისჯება წმინდა უმოქმედობის დელიქტი განსაცდელში მიტოვების სახით.

უმოქმედობით განსაცდელში ჩაყენების მაგალითად გერმანელ მეცნიერებს მოჰყავთ შემდეგი მაგალითები: 1. გარანტის ფუნქციის მქონე, მაგალითად მამა, ხელს არ უშლის მესამე პირს მისი შვილის განსაცდელში ჩაყენებაში; 2. გარანტი ხელს არ უშლის მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფს ალკოჰოლური სასმელით თრობაში, მიტოვებულ, მივარდნილ ადგილას წასვლაში (საკუთარი თავის საფრთხეში ჩაგდებაში).[1084]

221-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის მე-2 პუნქტით და ამავე პარაგრაფის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა შედეგით კვალიფიცირებული დელიქტისთვის, კერძოდ, თუ პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის დაზიანება ან სიცოცხლის მოსპობა. გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით მძიმე შედეგის მიმართ დამნაშავეს არ მოეთხოვება განზრახი დამოკიდებულება და აღნიშნული პუნქტებით ქმედების კვალიფიკაცია მაშინ მოხდება, თუ დამდგარი უფრო მძიმე შედეგის მიმართ დამნაშავეს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება გააჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში განხორციელებული იქნება არა განსაცდელში ჩაყენების, არამედ განზრახ მკვლელობის შემადგენლობა. თუმცა, საკითხის ასეთი გადაწყვეტა ანუ განზრახ განხორციელებული კონკრეტული საფრთხის დელიქტით სასიკვდილო შედეგის გამოწვევისას სასიკვდილო შედეგისადმი დამნაშავის გაუფრთხილებლობით დამოკიდებულებაზე საუბარი საკამათოა, რაზეც უკვე ზემოთ გავამახვილეთ ყურადღება.[1085]

გერმანული სსკ-ის 221-ე პარაგრაფით გათვალისწინებული სისხლისსამართალდარღვევა გადაცდომას წარმოადგენს. იმისთვის რომ გადაცდომის მცდელობა დაისაჯოს გერმანული სსკ-ის შესაბამის პარაგრაფში, რომელიც კონკრეტული გადაცდომის დაჯადობას ითვალისწინებს, უნდა იყოს მითითებული ამ გადაცდომის მცდელობის დასჯის შესაძლებლობაზე ანუ იმაზე, რომ ამ გადაცდომის არა მხოლოდ დასრულებული ფორმით

[1081] იხ. *Eisele J.,* Strafrecht, BT I, Straftaten gegen die Person und die Allgemeinheit, Stuttgart, 2012, S. 89, Rn. 239.

[1082] იხ. *Maurach/Schroeder/Maiwald,* იქვე,გვ. 71,§ 4 Rn. 8; *Eisele J.,* იქვე, გვ. 90, Rn. 241.

[1083] იხ. *Rengier R.*, Strafrecht, BT II, Delikte gegen die Person und die Allgemeinheit, 13. Aufl., München, 2012, S. 79, §10 Rn. 4.

[1084] იხ. *Eisele J.,* იქვე, გვ. 90, Rn. 241; *Rengier R.*,BT II, S. 81, § 10 R. 8.

[1085] იხ. VII თავის 1-ლი პარაგრაფი.

განხორციელება, არამედ მცდელობაც ისჯება. ვინაიდან, ასეთ მითითებას 221-ე პარაგრაფი არ შეიცავს, ამ პარაგრაფით გათვალისწინებული გადაცდომის მცდელობაც ვერ დაისჯება.[1086]

კანონმდებლის მიერ 221-ე პარაგრაფით გათვალისწინებული გადაცდომის მცდელობის დასჯადობაზე უარის თქმამ გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში კრიტიკა დაიმსახურა,[1087] ვინაიდან, ზოგიერთი მეცნიერის პოზიციით, 221-ე პარაგრაფით გათვალისწინებული გადაცდომის მცდელობის დასჯადობაზე უარის თქმა წინააღმდეგობაში მოდის მთელი რიგი დელიქტების მცდელობის დასჯადობასთან და ასევე, შეუძლებელი ხდება ადამიანის დასჯა სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ადამიანის ჩაყენების მცდელობის შედეგად სიცოცხლის მოსპობის გამოწვევისას. თუმცა, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებაც არის გამოთქმული. კერძოდ, თუ გერმანული სსკ-ის 221-ე პარაგრაფის პირველი აბზაცით გათვალისწინებული დელიქტის მცდელობას ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, ქმედება „შედეგით კვალიფიცირებული მცდელობის“ სახით შეიძლება დაკვალიფიცირდეს 212-ე და 22-ე პარაგრაფებით, როგორც მკვლელობის მცდელობა.[1088] ეს მოსაზრება საინტერესოც არის და საკამათოც. საკამათოა ქმედების როგორც „შედეგით კვალიფიცირებული მცდელობის“ კვალიფიკაცია, ვინაიდან გერმანიის სსკ-ის 212-ე პარაგრაფით ისჯება განზრახ მკვლელობა. ხოლო „შედეგით კვალიფიცირებულ მცდელობად“ გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში განიხილავენ ისეთ შემთხვევას, როცა განზრახი დანაშაულის მცდელობას მოჰყვება ის მძიმე შედეგი, რომლის მიმართაც დამნაშავეს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება გააჩნია.

რაც შეეხება ქმედების 212-ე და 22-ე პარაგრაფებით კვალიფიკაციის საგულისხმო მხარეს: ქმედების ამგვარი კვალიფიკაცია კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრის მართებულობას, რომ სიცოცხლისთვის კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის განზრახ განხორციელებისას სასიკვდილო შედეგის მიმართ დამნაშავეს დამოკიდებულება ევენტუალური განზრახვის ფორმით გააჩნია და კონკრეტული საფრთხის განზრახვა შედეგის მიმართ თვითმედოვნებით დამოკიდებულებას გამორიცხავს. ავტორიც ამ აზრს რომ არ იზიარებდეს, ქმედებას 212-ე, 22-ე პარაგრაფებით ვერ დააკვალიფიცირებდა, ვინაიდან სიცოცხლის მოსპობის მიმართ გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულების დროს ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს გერმანული სსკ-ის 222-ე და არა 212-ე პარაგრაფით. 212-ე პარაგრაფით ქმედების კვალიფიკაცია მოითხოვს, რომ სასიკვდილო შედეგის მიმართ დამნაშავეს დამოკიდებულება სულ მცირე არაპირდაპირი განზრახვით მაინც გააჩნდეს.

[1086] იხ. *Rengier R.*, იქვე,S. 85,§ 221 Rn. 22.

[1087] იხ. *Bussmann K.,* Zur Dogmatik erfolgsqualifizierter Delikte nach dem Sechsten Strafrechtsreformgesetz, GA 1999, S. 23.

[1088] იხ. *Rengier R.*, იქვე,S. 85,§ 221 Rn. 21.

3. განსაცდელში მიტოვება (128-ე მუხ.)

3.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – განსაცდელში მიტოვება გულისხმობს დაუხმარებლად იმის მიტოვებას, ვინც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა და შესაძლებლობა არ ჰქონდა მიეღო ზომები თავის დასაცავად, თუ მიმტოვებელ ევალებოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება.

განსაცდელში მიტოვება წმინდა უმოქმედობის დელიქტია და იგი დამთავრებულია იმ მომენტიდან, როცა მოვალეობის სუბიექტი არ დაეხმარება განსაცდელში მყოფს. შეუძლებელია ამ დანაშაულის მცდელობა. განსაცდელში მიტოვების მხოლოდ უვარგისი მცდელობა არის შესაძლებელი. მაგალითად, ადამიანი ისვენებს ზღვის სანაპიროსთან და ჰგონია, რომ საცურაო ბალიშზე, რომელიც ზღვის ზედაპირზე მოჩანს, მისი მცირეწლოვანი შვილი იმყოფება, რომელსაც დახრჩობის საფრთხე ემუქრება, მაგრამ იგი ცდება, ვინაიდან საცურაო ბალიშზე თოკინა დევს. ასეთ დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს, მიუხედავად იმისა, რომ უშედეგო მცდელობაც დასჯადია. უშედეგო მცდელობა ყოველთვის არ არის დასჯადი. კერძოდ, მაშინ, როცა ქმედება არ ქმნის იმ საფრთხეს, რაც აუცილებელს გახდიდა მოქმედისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.

განსაცდელში მიტოვების უვარგისი მცდელობა უნდა გაიმიჯნოს მოჩვენებითი დანაშაულისგან. მოჩვენებითი დანაშაულის დროს საერთოდ არ დგება დასჯადობის საკითხი, ვინაიდან ქმედება საზოგადოებრივი საშიშროების მცირე ხარისხსაც არ შეიცავს და ადგილი აქვს მხოლოდ განზრახვის გამომჟღავნებას. უვარგისი მცდელობის დროს ადამიანი ფაქტობრივ გარემოებებში ცდება. მოცემულ მაგალითში პირს ეგონა, რომ საცურაო ბალიშზე თოკინა კი არ იდო, არამედ მისი მცირეწლოვანი შვილი იმყოფებოდა. თუ საცურაო ბალიშზე თოკინა კი არა, მისი შვილი აღმოჩნდებოდა უმოქმედობა განსაცდელში მიტოვების შემადგენლობას შექმნიდა. მოჩვენებითი დანაშაულის დროს კი პირი ფაქტობრივ გარემოებაში კი არ ცდება, არამედ ქმედების სამართლებრივ შეფასებაში. პირს ჰგონია, რომ დასჯად ქმედებას ახორციელებს, მაგრამ ცდება.[1089]

განსაცდელში მიტოვება მოვალეობის დელიქტია. სხვაგვარად მას საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტიც შეიძლება ვუწოდოთ. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია განსაცდელში მიტოვება შუალობითი ამსრულებლობითა[1090] და თანაამსრულებლობით[1091].

საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტის განხორციელებისთვის აუცილებელია, რომ დამნაშავეს განსაცდელში მყოფის მიმართ ზრუნვის სპეციალურ-სამართლებრივი მოვალეობა ეკის-

---

[1089] იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 55-57.

[1090] იხ. *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2011, გვ. 200.

[1091] იხ. *გამყრელიძე ო.*, იქვე, გვ. 279-280.

რებოდეს. განსაცდელში მყოფზე ზრუნვის ვალდებულება შეიძლება სხვადასხვა მიზეზით იყოს წარმოქმნილი: წინარე ქმედება, პროფესიული საქმიანობა, ახლონათესაური და სახელშეკრულებო ურთიერთობები.[1092]

როგორც უკვე აღინიშნა, განსაცდელში მიტოვებისას, განსაცდელში მყოფის მიმართ სპეციალური ვალდებულება განსაცდელში მიმტოვებლის წინარე მოქმედებითაც შეიძლება იყოს წარმოქმნილი. მაგრამ იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა ასეთი სპეციალური მოვალეობა არაბრალეული წინარე მოქმედებითაც შეიქმნას? მაგალითად, მძღოლი დაეჯახა ქვეითად მოსიარულეს, მაგრამ ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი არ ყოფილა მძღოლის ბრალეული ქმედება, არამედ ქვეითის მიერ წინდახედულების წესების დარღვევა ან კიდევ დაჯახება მოხდა მანქანის სამუხრუჭე სისტემის გაფუჭების გამო. ისმის კითხვა: არის თუ არა მძღოლი სამართლებრივი მოვალეობის სუბიექტი, თუ იგი მხოლოდ სოლიდარული მოვალეობის სუბიექტია?

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, წინარე მოქმედებიდან სამართლებრივი გარანტის ფუნქციის წარმოშობისათვის საკმარისია პირის მიერ საფრთხის გამოწვევა და საჭირო არაა, რომ ეს წინარე მოქმედება მართლსაწინააღმდეგო იყოს და პირი წინდახედულობის ნორმებს არღვევდეს.[1093]

თ. წერეთლის თვალსაზრისით, მოქმედების მოვალეობა წინარე არაბრალეული ქმედებითაც შეიძლება წარმოიშვას.[1094] მაგალითად: კარგი მცურავი შეაგულიანებს ცუდ მცურავს ზღვაში საცურაოდ, თანაც პირდება, რომ საჭიროების შემთხვევაში დახმარებას აღმოუჩენს. იმ მომენტში, როცა ცუდი მცურავი განსაცდელში აღმოჩნდა, კარგი მცურავი თავისი უდარდელობისა და უპასუხისმგებლობის გამო იმდენად შორს იყო ცუდი მცურავისგან, რომ თავის ამხანაგს დახმარება ვერ აღმოუჩინა. ამ მაგალითში დადებითი მოქმედება (ცუდი მცურავის შეგულიანება) ჩადენილია არაბრალეულად, რადგან კარგ მცურავს გულწრფელად სურდა თავის ამხანაგს დახმარებოდა. ხოლო ბრალეულ ქმედებას დახმარების აღმოუჩენლობის მომენტში ახორციელებს.[1095]

ნ. თოდუას შეხედულებით, მაშინ, როცა მძღოლი ადამიანს დაეჯახება, მაგრამ არაბრალეულად, მძღოლს უჩნდება მხოლოდ სოლიდარული მოვალეობა განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანის მიმართ.[1096] ჭმისი მოსაზრებით, მძღოლმა სამართლებრივი გარანტის ფუნქცია რომ შეიძინოს, საჭიროა შემდეგი წინაპირობების არსებობა: ა) მძღოლმა თავისი ქმედებით უნდა შექმნას სამართლებრივად დასაძრახი რისკი; ბ) ეს რისკი უნდა გადაიზარდოს მართლსაწინააღმდეგო შედეგში (ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში).[1097] *თოდუას* შეხედულებით, მძღოლის არაბრალეულმა მოქმედებამ თუ ჩააგდო ადამიანი განსაცდელში და თუ იგი დაჯახების

[1092] იხ. *ტურავა მ.*,სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილის მიმოხილვა,მე-9 გამოცემა,თბ., 2013,გვ. 276.

[1093] იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხ ქ.*, იქვე, გვ. 322; *ტურავა მ.*, დასახელებული ნაშრომი, გვ. 281.

[1094] იხ. *წერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები,I ტომი,თბ.,2007,გვ. 286.

[1095] იხ. *წერეთელი თ.*, იქვე,გვ. 286.

[1096] იხ. *თოდუა ნ.*, წიგნში: *მამულაშვილი გ.*,(რედ.),სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II,მე-4 გამოცემა,თბ.,2012,გვ. 15.

[1097] იხ. *თოდუა ნ.*, იქვე,გვ. 15.

შემდეგ არ დაეხმარება განსაცდელში მყოფს, მძღოლს პასუხისმგებლობა საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით კი არა, არამედ 129-ე მუხლით უნდა დაეკისროს.[1098] აღნიშნული მოსაზრება არ უნდა ჩაითვალოს მართებულად. მძღოლი სამართლებრივი მოვალეობის სუბიექტად უნდა იქნეს მიჩნეული, მიუხედავად იმისა, მძღოლი მოქალაქეს ბრალეულად დაეჯახება თუ არა. მთავარი ამ შემთხვევაში არის ის, რომ განსაცდელში ადამიანი მძღოლის იმ მოქმედების შედეგად ვარდება, რომელიც შეიძლება სამართლებრივად დასაძრახი არ არის, მაგრამ სოციალური რისკის შემცველია. ასეთ დროს არავითარი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს იმას, მოქმედებდა თუ არა მძღოლი ბრალეულად. მაშინაც არ შეიძლება გამოირიცხოს მძღოლის სამართლებრივი მოვალეობა, როცა შეჯახება ქვეითად მოსიარულის, დაზარალებულის ბრალით მოხდება. აღნიშნულ მოსაზრებას ასევე მხარს უჭერს *თ. წერეთელიც.* მაგალითად, მძღოლი ღამით დაეჯახა გზაზე ფეხით მოსიარულე მთვრალ კაცს და დაჭრილი გზაზე მიატოვა, რადგან პასუხისმგებლობის შეეშინდა. მანქანის დაჯახებაში მძღოლს ბრალი არ მიუძღოდა, უბედური შემთხვევა გამოწვეული იყო თვით დაზარალებულის უხეში გაუფრთხილებლობით. მაგრამ მძღოლის უდანაშაულო მოქმედებამ შექმნა დაზარალებულის სიკვდილის საშიშროება. *თ წერეთლის* მოსაზრებით, ასეთი საფრთხის შექმნა თუნდაც მძღოლის არაბრალეული ქმედებით, ავალდებულებდა მას გადაუდებელი დახმარება აღმოეჩინა დაზარალებულისთვის, წაეყვანა იგი საავადმყოფოში, გამოეძახა სასწრაფო დახმარება და ა. შ.[1099] თუ მძღოლი მსგავს ვითარებაში დაზარალებულს დახმარებას არ აღმოუჩენს და მას შედეგად დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვება, მძღოლმა პასუხი უნდა აგოს არა მხოლოდ უმოქმედობისთვის, არამედ დამდგარი შედეგისთვისაც.[1100]

კ. როქსინი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თუ საფრთხე დააფუძნა ისეთმა ქმედებამ, რომელსაც მოქმედ პირს ვერ შევრაცხავთ, შეუძლებელია ვისაუბროთ გარანტის ფუნქციაზე. მისი შეხედულებით, როცა ავტოავარია წარმოადგენს არა ქმედების შემადგენლობის შესაბამის ხელყოფას, რომელიც ხელმყოფს შეერაცხება, არამედ უბედურ შემთხვევას, მძღოლს პასუხისმგებლობა შემდგომი უმოქმედობისთვის მხოლოდ დაუხმარებლობისთვის (გერმანული სსკ-ის 323c პარაგრაფი) უნდა დაეკისროს, რამდენადაც ამ შემთხვევაში მძღოლი არ არის გარანტორი.[1101]

თუკი, დაჯახება არც მძღოლის და არც დაზარალებულის ბრალით არ მომხდარა, არამედ სხვა მიზეზით (ა/მანქანის სამუხრუჭე სისტემის გაფუჭება), მძღოლი ამ შემთხვევაშიც, მიუხედავად არაბრალეული ქმედებისა, სამართლებრივი მოვალეობის სუბიექტია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიხედვით, მძღოლი გარანტორია მაშინაც, როცა ქვეითად მოსიარულისთვის ავტომანქანით შეჯახება ხდება არაბრალეულად, ა/მანქანის ძრავის მექანიზმის მწყობრიდან გამოსვლის გამო.[1102]

[1098] იხ. *თოდუა ნ.,* იქვე,გვ. 16.

[1099] იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები,I ტომი,თბ.,2007,გვ. 286.

[1100] იხ. *წერეთელი თ.,* იქვე,გვ. 287-288.

[1101] იხ. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band II, München, 2003, S. 769, §32 Rn. 167.

[1102] იხ. სუსგ,2003,№10,გვ. 1266.

განსაცდელში მყოფის მიმართ ზრუნვის სამართლებრივი მოვალეობა შეიძლება წარმოიშვას სხვა შემთხვევებშიც. მაგალითად, ბავშვი დაკბინა მეზობლის ძაღლმა და ბავშვი სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩავარდა. ასეთ დროს მეზობელი სამართლებრივად ვალდებულია იზრუნოს განსაცდელში მყოფ ბავშვზე. თუ იგი ბავშვის გადასარჩენად არავითარ მოქმედებას არ განახორციელებს, მას პასუხისმგებლობა განსაცდელში მიტოვებისთვის დაეკისრება, ხოლო თუ შედეგი დადგა, იგი შედეგისთვისაც აგებს პასუხს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოქმედების მოვალეობა შეიძლება წარმოშვას წინარე განუზრახველმა ბრალეულმა ან არაბრალეულმა ქმედებამ, მაგრამ, თუ საფრთხე დამნაშავემ ბრალეული განზრახი ქმედებით შექმნა და შემდგომ არ მიიღო ზომები ამ საფრთხის გასანეიტრალებლად, მას პასუხისმგებლობა დაეკისრება მოქმედებისთვის და არა უმოქმედობისთვის, განსაცდელში მიტოვებისთვის. ხოლო მაშინ, როცა განზრახ საფრთხის შემქმნელი ქმედების განხორციელებას შედეგი მოჰყვება, დამნაშავე პასუხს აგებს მოქმედებით ჩადენილი განზრახი შედეგიანი დანაშაულისთვის, მიუხედავად იმისა, რომ საფრთხის შექმნიდან სამართლებრივი სიკეთის ხელყოფამდე დამნაშავეს ჰქონდა მის მიერ შექმნილი საფრთხის განეიტრალების შესაძლებლობა. განსაცდელში მყოფზე ზრუნვის ვალდებულება არ წარმოეშობა იმას, ვინც ადამიანს განსაცდელში განზრახი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით ჩააყენებს. განზრახი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით ადამიანის განსაცდელში ჩაყენებისას აზრს მოკლებულია დამნაშავისთვის განსაცდელში მყოფი პირის გადასარჩენად ზრუნვის მოვალეობის დაკისრება. მაგალითად, როცა მძღოლი არა განუზრახველად, არამედ განზრახ ბრალეულად ეჯახება ქვეითად მოსიარულეს, მძღოლი არ შეიძლება გარანტორად ვცნოთ დაზარალებულის მიმართ. ასეთ დროს მძღოლის გარანტორად ცნობა არავითარ სამართლებრივ შედეგებს არ იძლევა და რაც მთავარია, ამის აუცილებლობაც არ არსებობს. წინარე განუზრახველი ბრალეული თუ არაბრალეული ქმედების ჩამდენი იმიტომ მიიჩნევა გარანტორად მისი ქმედებით განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანის მიმართ, რომ ერთმანეთისგან იმიჯნება წინარე ქმედება და შემდგომი უმოქმედობა. თუ წინარე ქმედება განუზრახველია, შემდგომი უმოქმედობა განზრახ დანაშაულად ფასდება. მაგალითად, როცა მძღოლი მოძრაობის უსაფრთხოების წესებს არღვევს, წინდაუხედაობას იჩენს, ქვეითად მოსიარულეს განუზრახველად ეჯახება, რის შედეგადაც მას ჯანმრთელობას მძიმედ უზიანებს, ხოლო შემდგომ დახმარებას არ აღმოუჩენს და მიიმალება. წინარე ქმედება – დაჯახება განუზრახველი მოქმედებითი დანაშაულია, ხოლო შემდგომი უმოქმედობა განზრახი დანაშაული (განსაცდელში მიტოვება). ავტოავარიის შემდგომი უმოქმედობის განზრახ დანაშაულად კვალიფიკაცია იმას ეფუძნება, რომ წინარე განუზრახველი ქმედებისთვის ხდება მძღოლის გარანტორად ცნობა. თუ მძღოლი გარანტორი არ იქნებოდა, ავტოავარიის შემდგომი უმოქმედობა განზრახ დანაშაულად ვერ შეფასდებოდა და მას პასუხისმგებლობა მხოლოდ ავტოავარიისთვის დაეკისრებოდა.

როდესაც მძღოლი განზრახ და ბრალეულად ეჯახება ქვეითს, არც არსებობს მანქანის ქვეითისთვის დაჯახების და შემდგომი მდგომარეობის („მძღოლის უმოქმედობის“) გამიჯვნის საჭიროება. მთელი ეს პრო-

ცესი, ქვეითისთვის ავტომანქანის განზრახი დაჯახებიდან მოყოლებული მოვლენათა შემდგომი განვითარების (შედეგის დადგომის) ჩათვლით, ერთად ფასდება და ქმედება განზრახ დანაშაულად, და არა სატრანსპორტო დანაშაულად, კვალიფიცირდება.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არათანმიმდევრულად მსჯელობს *ი. დვალიძე*. იგი ერთი მხრივ, უმოქმედობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაპირობად მიიჩნევს საფრთხის შემქმნელ წინარე გაუფრთხილებლობით ქმედებას და უმოქმედობის მიზეზობრიობას გამორიცხავს წინარე განზრახი ქმედების შემთხვევაში,[1103] ხოლო მეორე მხრივ, უმოქმედობით განხორციელებულ დანაშაულად მიიჩნევს შემდეგ შემთხვევას: „ა. ავტომობილით განზრახ დაჯახება ფეხით მოსიარულეს, მაგრამ შემდეგ აღმოაჩენს, რომ დაზარალებული ფეხმძიმე ან არასრულწლოვანია“.[1104] *ი. დვალიძის* შეხედულებას თუ გავიზიარებთ, ქმედება ასეთ დროს უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლით, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა წინააღმდეგობაში მოდის განზრახვის შინაარსთან. მთავარია, რომ დამნაშავეს ქმედების განხორციელების დროს ჰქონდეს შეგნებული პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების არსებობა. ქმედების განხორციელებაში ამ შემთხვევაში იგულისხმება ავტომანქანის განზრახ დაჯახება.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ განსაცდელში მყოფზე ზრუნვის სამართლებრივი მოვალეობა შეიძლება გამომდინარეობდეს ახლონათესაური ურთიერთობიდან. საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის შენიშვნაში მოცემულია ახლო ნათესავთა ამომწურავი ჩამონათვალი. გარანტის სამართლებრივი მოვალეობა არ არსებობს თუნდაც იმ ადამიანის მიმართ, რომელთანაც ადამიანს ახლომეგობრული ურთიერთობა გააჩნია, თუ იგი არ განეკუთვნება 109-ე მუხლის შენიშვნაში მოცემულ პირთა წრეს. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, გარანტის სამართლებრივი მოვალეობა არ წარმოიშობა მაშინ, როცა შერაცხად მდგომარეობაში მყოფი ნათესავი საკუთარ თავს თავად ჩაიგდებს საფრთხის მდგომარეობაში.[1105] სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხზე ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებებია გამოთქმული. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ საკუთარი თავის საფრთხეში ჩაყენება გარანტს ყოველთვის ათავისუფლებს განსაცდელში მყოფის მიმართ ზრუნვის სამართლებრივი მოვალეობისგან,[1106] ხოლო ნაწილი თვლის, რომ მაშინ, როცა განსაცდელში მყოფს დაკარგული აქვს საკუთარ თავზე ზრუნვის შესაძლებლობა და იგი კარგავს მოვლენათა განვითარებაზე ბატონობის უნარს, გარანტს ეკისრება სამართლებრივი მოვალეობა, იზრუნოს განსაცდელში მყოფზე.[1107]

[1103] იხ. *დვალიძე ი.*, შერეული უმოქმედობის დასჯადობის ზოგიერთი პრობლემა სისხლის სამართალში, „ცხოვრება და კანონი“, 2012, სპეციალური გამოშვება, ჟურნალი მიეძღვნა *ო. გამყრელიძის* 80 წლის იუბილეს, გვ. 25.

[1104] იხ. *დვალიძე ი.*, იქვე, გვ. 26.

[1105] იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 308, ველის ნომერი 602.

[1106] იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 239; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, იქვე, გვ. 309-310, ველის ნომერი 605.

[1107] იხ. BGHSt 32, 367; *Fischer T.*, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Aufl., München, 2010, S. 2256, §323c Rn. 3b.

როდესაც ვსაუბრობთ ახლო ნათესაური ურთიერთობიდან გამომდინარე გარანტის სამართლებრივ მოვალეობაზე, წარმოიშობა კითხვა, გარანტს ყოველთვის აკისრია განსაცდელში მყოფ ახლო ნათესავზე ზრუნვის სამართლებრივი მოვალეობა, თუ რაიმე მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს მათ შორის რეალურად არსებულ ურთიერთობას? მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ თუ ახლო ნათესავებს შორის ურთიერთობა გაწყვეტილია, ახლო ნათესავი ასეთ დროს გარანტორად არ არის,[1108] ხოლო ნაწილი მიიჩნევს, რომ ცუდი ურთიერთობის მიუხედავად, ახლო ნათესავი მაინც უნდა ჩაითვალოს გარანტორად.[1109]ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ცოლ-ქმრული ურთიერთობა. ლიტერატურაში გამოთქმული მართებული თვალსაზრისის მიხედვით, გარანტის ფუნქციის მოსპობას ვერ გამოიწვევს ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობის გაფუჭება. სანამ ისინი იურიდიულ ქორწინებაში იმყოფებიან, ერთმანეთის მიმართ ინარჩუნებენ გარანტორის ფუნქციას.[1110] ხოლო, განქორწინების ფაქტი ამ ფუნქციის მოსპობას განაპირობებს. გარანტორად არ შეიძლება ჩაითვალოს ყოფილი მეუღლე, რომელიც იურიდიულად არის განქორწინებული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, ცოლ-ქმარი ითვლება ახლო ნათესავად, და შესაბამისად, ისინი ერთმანეთის მიმართ გარანტორებად ითვლებიან, მაგრამ იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა ცოლ-ქმრად მივიჩნიოთ ის ადამიანები, რომლებსაც ერთმანეთისგან ჰყავთ შვილები, მრავალი წელია ერთად ცხოვრობენ, ერთად ქმნიან დოვლათს და ზრდიან შვილებს? თუ ეს ცნება მხოლოდ სამოქალაქო კანონმდებლობის შესატყვისად ვიწროდ უნდა განვმარტოთ? *ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი* [1111] სავსებით მართებულად მიიჩნევს არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს ერთმანეთის გარანტად. სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, ადამიანზე ზრუნვის სამართლებრივი მოვალეობა ნიშნობის შედეგადაც წარმოიშობა და დანიშნულებიც ერთმანეთის მიმართ გარანტორებად შეიძლება ჩაითვალონ.[1112]

გარანტორთა წრიდან უნდა გამოიყოს იმ პირთა წრე, რომლებსაც განსაცდელში მყოფზე ზრუნვის სამართლებრივი მოვალეობა მათი პროფესიული ფუნქციიდან გამომდინარე წარმოეშობათ. ასეთები არიან: მეხანძრე, მაშველი, პოლიციელი, გემის კაპიტანი, პილოტი. პოლიციელი ვალდებულია დაიცვას მოქალაქე მართლსაწინააღმდეგო თავდასხმისას, მაშველი ვალდებულია გადაარჩინოს ის ადამიანი, ვისაც წყალში დახრჩობის საფრთხე ემუქრება, მეხანძრემ უნდა იზრუნოს ალმოდებული შენობიდან ადამიანების გამოყვანასა და ცეცხლის ლიკვიდაციაზე. ზოგჯერ პროფესიულად ადამიანებს განსაცდელში მყოფ სხვა ადამიანზე ზრუნვა საკუთარი სიცოცხლის ფასადაც ევალებათ. მაგალითად, პოლიციელი ვალდებულია საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაყენების ფასად დაიცვას მოქალაქე მართლსაწინააღმდეგო თავდასხმისას. ასევე

[1108] იხ. *Joecks W.,* Studienkommentar StGB, 9. Aufl., München, 2010, S. 35, §13 Rn. 25.

[1109] იხ. *Wessels/ Beulke*, Strafrecht, AT, §16 Rn. 718.

[1110] იხ. *ტურავა მ.*,სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილის მიმოხილვა,მე-9 გამოცემა,თბ., 2013,გვ. 279.

[1111] იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*,იქვე,გვ. 314,ველის ნომერი 616.

[1112] იხ. *Joecks W.,* Studienkommentar StGB, 9. Aufl., München, 2010, S. 34, §13 Rn. 23.

გემის კაპიტანს ევალება საფრთხე თავის თავზე მიიღოს, არ დაიხიოს უკან და იზრუნოს გემზე მყოფი ადამიანის გადასარჩენად და მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია საკუთარ თავზე ზრუნვა, როდესაც სხვა იქ მყოფ ადამიანებს აარიდებს იმ საფრთხეს, რომელიც მათ ემუქრებოდათ. იგივე შეიძლება ითქვა პილოტზეც. თუ ისინი არ იზრუნებენ სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად და სხვისი სიცოცხლის გადარჩენას საკუთარ სიცოცხლის დაცვას ამჯობინებენ, მათი ქმედება ვერ გამართლდება უკიდურესი აუცილებლობით.

იმისთვის, რომ პირს უმოქმედობისას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 128-ე მუხლით განსაცდელში მიტოვებისთვის დაეკისროს, ამავე მუხლის დისპოზიციის თანახმად, მას მოქმედების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. მაგრამ, მოქმედების შესაძლებლობის არსებობაზე 128-ე მუხლის დისპოზიციაში არ უნდა იყოს მითითება, ვინაიდან იგი არ შეიძლება ქმედების შემადგენლობის ნიშნად ჩაითვალოს.[1113] 128-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელების საკითხის გასარკვევად იმის დადგენაც საკმარისი უნდა იყოს, რომ გარანტი არ დაეხმარა განსაცდელში მყოფ იმ ადამიანს, რომელზე ზრუნვაც ევალებოდა. საკითხი იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა გარანტს მოქმედების შესაძლებლობა, უნდა გაირკვეს არა ქმედების შემადგენლობის, არამედ მართლწინააღმდეგობის ან ბრალის ეტაპზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სსკ-ის 128-ე მუხლის ჩამოყალიბება შემდეგი რედაქციით: „დაუხმარებლად იმის მიტოვება, ვინც სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა, თუ მიმტოვებელს ევალებოდა მასზე ზრუნვა“.

როდესაც ვსაუბრობთ მოვალეობის შეუსრულებლობით განსაცდელში მიტოვების განხორციელებაზე, იბადება კითხვა, ეკისრება თუ არა პირს ვალდებულება, დახმარება აღმოუჩინოს იმას, ვინც საკუთარი თავი საფრთხეში ჩაიყენა და საფრთხე შეუქმნა საკუთარ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას? მართალია, საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნა არ იწვევს პასუხისმგებლობას ქმედების შემადგენლობის არარსებობის გამო, მაგრამ რამდენად გამორიცხავს იგი გარანტის ვალდებულებას, დახმარება აღმოუჩინოს საფრთხეში მყოფს? მაგალითად, თუ ადამიანი მდინარეში თავის დასახრჩობად გადახტა, ეკისრება თუ არა მასზე ზრუნვის ვალდებულების მქონე პირს ან თუნდაც სხვას, დახმარება აღმოუჩინოს იმ ადამიანს, ვინც თვითმკვლელობის მიზნით მდინარეში გადახტა?

მ. ტურავა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მაშინ, როცა ქმედება მსხვერპლის საკუთარი პასუხისმგებლობითაა განხორციელებული, სამართლებრივი გარანტის მოვალეობა არ არის დარღვეული.[1114] აღნიშნულ შემთხვევას ავტორი მიიჩნევს ობიექტური შერაცხვის გამომრიცხველ გარემოებად, შესაბამისად, გამორიცხავს პასუხისმგებლობას დამდგარი შედეგისთვის. ობიექტური შერაცხვის გამომრიცხველად ავტორი განიხილავს ისეთი მოქმედებას, რომელიც მსხვერპლის მიერ განხორციელებუ-

---

[1113] აღნიშნულ საკითხზე ზემოთაც გვქონდა საუბარი მოვალეობათა კოლიზიის პრობლემის განხილვისას.

[1114] იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 239. ასევე იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.,* სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 308, ველის ნომერი 602.

ლია იმ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის მიზნით, რომლის მატარებელიც იგი არის.

აღნიშნული მოსაზრება საკამათოდ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან *მ. ტურავა,* აღნიშნულ შემთხვევაში, გარანტის მოქმედების ვალდებულების და, აქედან გამომდინარე, მისი პასუხისმგებლობის გამორიცხვას საფუძვლად უდებს მსხვერპლის ნებისმიერი გადაწყვეტილებისადმი პატივისცემის გამოხატვას.[1115] ასეთ დროს მსხვერპლის ნებისმიერი გადაწყვეტილებისადმი პატივისცემაზე საუბარი გაუმართლებელია, ვინაიდან საქმე ეხება ადამიანის სიცოცხლეს, რომლის განკარგვის უფლება ადამიანს არ გააჩნია.

თუკი ადამიანი მდინარეში თავის მოკვლის მიზნით გადახტება, *მ. ტურავას* პოზიციით, როგორც რიგითი მოქალაქე, ისე გარანტის ფუნქციის მქონე პირი თავისუფლდება იმ ვალდებულებისაგან, რომ იზრუნოს მდინარეში თვითმკვლელობის მიზნით გადამხტარი ადამიანის გადარჩენაზე. ასეთი ლოგიკით, ანალოგიურ ვითარებაში, ადამიანს, რომელმაც დახმარება არ აღმოუჩინა საფრთხეში მყოფს, ვერ დავსჯით დაუხმარებლობის ან განსაცდელში მიტოვებისთვის.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ თუ ადამიანმა თვითმკვლელობის მიზნით თავი სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში შეგნებულად ჩაიყენა და ამასთან დაკავშირებით გარანტიც ჩააყენა საქმის კურსში, გარანტი თავისუფლდება გარანტის ფუნქციისგან, რაც განსაცდელში მიტოვების შემადგენლობას გამორიცხავს, მაგრამ მსგავს შემთხვევაში შეიძლება გვეფიქრა იმაზე, ხომ არ უნდა დაეკისროს გარანტს პასუხისმგებლობა დაუხმარებლობისთვის,[1116]ვინაიდან გარანტის ფუნქციისგან გათავისუფლებით იგი ფაქტობრივად რიგით მოქალაქეს უტოლდება.

დაუხმარებლობასა და განსაცდელში მიტოვებაზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ არა აქვს მნიშვნელობა თუ რა მიზეზით აღმოჩნდა ადამიანი განსაცდელში, საკუთარი, თუ სხვისი მოქმედებით. ორივე შემთხვევაში ერთნაირად წარმოიშობა განსაცდელში მყოფი ადამიანის მიმართ ზრუნვის ვალდებულება. თუ საკუთარი თავის განსაცდელში ჩაყენება გარანტს გაათავისუფლებდა განსაცდელში მყოფზე ზრუნვის ვალდებულებისგან, იგივე გარემოება შეიძლება მოქმედების ვალდებულების გამომრიცხველ მიზეზად შეგვეფასებინა რიგითი მოქალაქის მიმართაც, რაც ასევე დაუხმარებლობისათვის გამოიწვევდა პასუხისმგებლობის გამორიცხვას.

სისხლის სამართლის კანონმდებლობით არ ისჯება თვითმკვლელობაში აქტიური დახმარება, რაც ბუნებრივია წარმოშობს კითხვას: თუ თვითმკვლელობაში აქტიური დახმარება არ ისჯება, რა უფლება გვაქვს დავსაჯოთ თვითმკვლელობაში პასიური დახმარება ანუ თვითმკვლელობაში დახმარება თვითმკვლელისთვის ხელის არშეშლით?[1117] დასმულ კითხვაზე არსებობს შემდეგი პასუხი: თვითმკვლელობის მიზნით განხ-

---

[1115] იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 239.

[1116] იხ. *ჯიშკარიანი ბ.*, სიცოცხლის უფლების აბსოლიტური დაცვა და თვითმკვლელობის პრობლემატიკა გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2012, №3, გვ. 111.

[1117] იხ. *ჯიშკარიანი ბ.*, იქვე.

ორციელებული ქმედების (მაგალითად, ნემსის გაკეთება ან ღრმა მდინარეში გადახტომა და ა. შ.) განხორციელების შემდეგ ადამიანი ხშირად ისეთ ვითარებაში ვარდება, რაც გამორიცხავს მისი მხრიდან ქმედებაზე ბატონობის შესაძლებლობას, რაც მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა განსაცდელში მყოფისთვის დახმარების ვალდებულების დასაკისრებლად. სანამ თვითმკვლელი თავად ბატონობს ქმედებაზე, რთულია ხელის არშეშლისთვის პასუხისმგებლობის გადაკისრება იმ პირზე, ვინც პროცესების ბატონ-პატრონი არ არის, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ქმედებაზე ბატონობის სადავეები ხელიდან გამოეცლება დაზარალებულს, პასუხისმგებლობა იმ პირზე უნდა გადავიდეს, ვისაც შეუძლია მოვლენებზე ზემოქმედების მოხდენა. გაუმართლებელი იქნებოდა გარანტორისთვის ან რიგითი მოქალაქისთვის მიგვენიჭებინა იმის უფლება, მშვიდად უყუროს, თუ როგორ კვდება განსაცდელში (თუნდაც საკუთარი ქმედების შედეგად) მყოფი, მაშინ, როცა არსებობს განსაცდელში მყოფზე დახმარების შესაძლებლობა და ამ დახმარებას შეუძლია იხსნას ადამიანის სიცოცხლე.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის შინაარსი, რომლის თანახმადაც, **ექიმი ვალდებულია აღმოუჩინოს პაციენტს სამედიცინო დახმარება და უზრუნველყოს მისი უწყვეტობა, თუ გამოხატულია სიცოცხლისთვის საშიში, მათ შორის თვითმკვლელობის მცდელობით განპირობებული მდგომარეობა**. მაშასადამე, აღნიშნული კანონი ექიმს არა მხოლოდ უფლებას ანიჭებს, არამედ ავალდებულებს კიდეც დახმარება აღმოუჩინოს სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ პაციენტს, მიუხედავად იმისა, იგი ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა თვითმკვლელობის მცდელობის შედეგად, თუ სხვა მიზეზით. კანონმდებელმა 38-ე მუხლში გააკეთა მითითება იმაზე, რომ ექიმი სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ პაციენტზე ზრუნვის ვალდებულებისგან არ გათავისუფლდება იმ საბაბით, რომ პაციენტმა თავად ჩაიგდო თავი ასეთ მდგომარეობაში თვითმკვლელობის მცდელობით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევასაც, როცა ექიმი ვალდებულია პატივი სცეს პაციენტის გაცნობიერებულ გადაწყვეტილებას და თავი შეიკავოს სიცოცხლის შემანარჩუნებელი მკურნალობისგან. კერძოდ, 148-ე მუხლის შესაბამისად, „ტერმინალურ სტადიაში მყოფ ქმედუნარიან, გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე ავადმყოფს უფლება აქვს უარი განაცხადოს სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელ ან პალიატიურ მკურნალობაზე ან/და პალიატიურ მზრუნველობაზე“. მოცემული საკანონმდებლო დებულების მიხედვით თუ რატომ არის ექიმი ვალდებული პატივი სცეს პაციენტის გაცნობიერებულ გადაწყვეტილებას, აქვს თავისი მიზეზი. პაციენტი უკურნებელი სენით არის დაავადებული და იმყოფება სიკვდილისწინა სტადიაში, რაც იმას ნიშნავს, რომ პაციენტის განკურნების, გამოჯანმრთელების არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს. გარდა ამისა, პაციენტი განიცდის ძლიერ, აუტანელ ტკივილს და, ამიტომ, ევთანაზია ღირსების საკითხსაც უკავშირდება. მაშინ, როცა პასიური ევთანაზია ნებადართულია, აქტიური ევთანაზია, მართალი, შედარებით მსუბუქად, მაგრამ, მაინც ისჯება (საქართველოს სსკ-ის 110-ე მუხლი). აქტიური ევთანაზია იმიტომ ისჯება, რომ ქმედებაზე ბატონობს

არა პაციენტი, არამედ ის, ვინც ევთანაზიას ახორციელებს.

ბ. ჯიშკარიანი ფაქტობრივად მხარს უჭერს თვითმკვლელობაში უმოქმედობით დახმარების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების იდეას და აღნიშნავს, რომ „თუ პატიმარი შიმშილობს და ამით რაიმე მიზნის მიღწევა სურს, სიცოცხლისთვის არსებული რეალური საფრთხის შემთხვევაშიც კი, საპატიმროს ადმინისტრაცია არ არის ვალდებული ის იძულებით გამოკვებოს“.[1118] მართალია, მოშიმშილე პატიმარის იძულებით გამოკვების ვალდებულება საპატიმროს ადმინისტრაციას იმთავითვე არ ეკისრება, მაგრამ, თუ შიმშილობამ პატიმრის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე შეუქმნა და პატიმარმა დაკარგა ნების თავისუფლად გამოხატვის უნარი, საპატიმროს ადმინისტრაცია ვალდებულია პატიმარი იძულებით გამოკვებოს.[1119] ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ, როცა ექიმის დასჯა შესაძლებლად ჩათვალა მსხვერპლის თხოვნით უმოქმედობით მკვლელობისთვის შემდეგ საქმეზე: ექიმი მიდის თვითმკვლელობის მიზნით მედიკამენტის ზედმეტი დოზის მიღების შედეგად კომაში ჩავარდნილ თავის პაციენტთან. ექიმი არავითარ ზომას არ იღებს მის გადასარჩენად, ვინაიდან თვითმკვლელობაზე პაციენტის სურვილს და უკანასკნელად ფურცელზე დაწერილ თხოვნას პატივს სცემს.[1120]

თვითმკვლელობის მიზნით საკუთარი თავის განსაცდელში ჩაყენების დროს ერთმანეთს უპირისპირდება განსაცდელში მყოფის სიცოცხლე და მისი სურვილი სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებით. ჩნდება კითხვა, რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა? არჩევანი, რასაკვირველია, სიცოცხლის სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს! მართალია, თვითმკვლელობის მიზნით აქტიური ქმედების განხორციელებისას ქმედებას საფუძვლად უდევს თვითმკვლელობაზე მიღებული გადაწყვეტილება და მოვლენათა განვითარებაზე თვითმკვლელი ბატონობს, მაგრამ განხორციელებულმა ქმედებამ თუ უმალვე არ გამოიწვია სასიკვდილო შედეგი და თვითმკვლელობის მიზნით მოქმედმა გონების დაკარგვის შედეგად თუ დაკარგა ქმედებაზე ბატონობა, ქმედებაზე ბატონობა გარანტზე გადადის.[1121]

მას შემდეგ, როცა განსაცდელში მყოფი ქმედებაზე ბატონობისთვის უუნარო ხდება, ის ვინც სასიკვდილო შედეგის დადგომას თავისი უმოქმედობით ხელს შეუწყობს, ხდება არა მხოლოდ განსაცდელში მყოფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისადმი „პატივისცემის“ გამომხატველი, არამედ მისი ამსრულებელიც.

როდესაც ვსაუბრობთ გარანტორის პასუხისმგებლობაზე განსაცდელში მიტოვებასთან დაკავშირებით, შემდეგი სახის მეტად საინტერესო კითხვა ჩნდება: თავისუფლდება თუ არა გარანტორი პასუხისმგებლობისგან, როცა სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი რელიგიური შეხედულებიდან გამომდინარე ამბობს უარს სამედიცინო მომსახურებაზე და გარანტორი, ასევე რელიგიური მოტივით, არავითარ ზომებს არ იღებს

[1118] იხ. *ჯიშკარიანი ბ.*, იქვე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ *ბ. ჯიშკარიანი* განსახილველ საკითხზე მის მიერ გამოთქმულ შეხედულებასთან დაკავშირებით იმ ავტორს იმოწმებს, რომელიც არა ანალოგიურ, არამედ საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოხატავს.

[1119] იხ. *Fischer T.*, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Aufl., München, 2010, S. 2256, §323c Rn. 3b.

[1120] იხ. BGHSt 32, 367; *Rengier R.*, Strafrecht, BT II, Delikte gegen die Person und die Allgemeinheit, 13. Aufl., München, 2012, S. 68, §8 Rn.12.

[1121] იხ. *Rengier R.*, იქვე, S. 68, §8 Rn.12.

იმისთვის, რომ გადაათქმევინოს მიღებული გადაწყვეტილება? აღნიშნულ საკითხზე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ შემდეგი პოზიცია გამოხატა: მაშინ, როცა „საერთო შეხედულებების მიხედვით არსებულ და დამკვიდრებულ სამართლებრივ ვალდებულებასა და რელიგიურ მცნებას შორის კონფლიქტს პირი სულიერ დილემამდე მიჰყავს, სისხლის სამართლის სანქციის გამოყენება და სასჯელის დაკისრება, რომელიც პირს სამართალდამრღვევის დამღას დაასვამს, აღიქმება გადაჭარბებულ და, აქედან გამომდინარე, ადამიანის ღირსების შემლახველ სოციალურ რეაქციად“.[1122] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეხებოდა შემდეგ შემთხვევას: პროტესტანტული რელიგიური გაერთიანების წევრმა, რომელსაც მეოთხე მშობიარობის შემდეგ სისხლნაკლებობა აღენიშნებოდა, ექიმის რეკომენდაციის მიუხედავად, უარი განაცხადა ჰოსპიტალიზაციასა და, განსაკუთრებით, სისხლის გადასხმაზე. ავადმყოფის მეუღლემ, რომელიც იმავე რელიგიური გაერთიანების წევრი იყო, არ მოახდინა მასზე რაიმე ზეგავლენა, რათა დაეყოლიებინა იგი, გაეთვალისწინებინა ექიმის რჩევები. ავადმყოფის მეუღლე წინააღმდეგი იყო განსაცდელში მყოფი მეუღლის ჰოსპიტალიზაციის, თუმცა, მან გადაწყვეტილების მიღება თავის მეუღლეს მიანდო. შესაბამისად, პაციენტს არ უმკურნალეს, რის შედეგადაც იგი, ბოლომდე საღ გონებაზე მყოფი, გარდაიცვალა. ულმის ლანდის სასამართლომ ქმარი დაუხმარებლობის გამო დამნაშავედ სცნო.[1123] „აღნიშნული გადაწყვეტილება ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ რწმენის და აღმსარებლობის ძირითად უფლებაში ჩარევად მიიჩნია.[1124]

მაშინ, როცა სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი სრულწლოვანი და ფსიქიკურად ჯანმრთელია და უარს აცხადებს ჰოსპიტალიზაციაზე რელიგიური შეხედულებიდან გამომდინარე, გარანტორი არც ვალდებული და არც უფლებამოსილია, რომ მიიღოს განსაცდელში მყოფი პირის მიმართ იძულებითი ზომები ჰოპიტალიზაციის მიზნით. ასეთი იძულებითი ზომების მიღება წინააღმდეგობაში მოდის რწმენის და აღმსარებლობის თავისუფლების უფლებასთან, რაც ასევე ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონსტიტუციური უფლებაა. რწმენის თავისუფლება გულისხმობს პირის კანონით გარანტირებულ შესაძლებლობას მიიღოს გადაწყვეტილება რელიგიური წესებისა და შინაგანი რწმენის შესაბამისად. „რწმენის თავისუფლება უნდა განიმარტოს ისე, რომ პირს ჰქონდეს უფლება თავად გადაწყვიტოს, ისარგებლოს თუ არა სამედიცინო მომსახურებით“.[1125]

განსაცდელში მიტოვებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება გარანტორს იმის მიუხედავად, აღმოუჩინეს თუ არა განსაცდელში მყოფს დახმარება სხვა პირებმა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიციით, გარანტორი ვალდებულია თვითონ აღმოუჩინოს დახმარება სი-

---

[1122] იხ. *შვაბე ი.*,გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები,გერმანულიდან თარგმნა ე. ჩაჩანიძემ,თბ.,2011,გვ. 62.

[1123] იხ. *შვაბე ი.*,იქვე,გვ. 59.

[1124] იხ. *შვაბე ი.*,იქვე,გვ. 60.

[1125] იხ. *კორკელია კ.*,წიგნში: იზორია ლ,კორკელია კ,კუბლაშვილი კ,ხუბუა გ,საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები,ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ.,2005,გვ. 119.

ცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფს. გარანტორი არ შეიძლება დარჩეს იმის იმედად, რომ განსაცდელში მყოფს სხვები გაუწევენ დახმარებას. საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლი მოითხოვს, რომ „დახმარება დაზარალებულს აღმოუჩინოს სწორედ მისთვის ზიანის მიმყენებელმა პიროვნებამ“.[1126] უზენაესი სასამართლოს იმავე გადაწყვეტილებით განსაცდელში მიტოვების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის არც იმას აქვს მნიშვნელობა, თუ სად იქნა პიროვნება მიტოვებული – დასახლებულ პუნქტში, თუ დაუსახლებელ ტერიტორიაზე.[1127]

საქართველოს უზენაესი სასამართლო სწორად მოიქცა, როცა განსაცდელში მიტოვებად მიიჩნია შემდეგი შემთხვევა: ავტობუსის მძღოლმა დაარღვია მოძრაობის უსაფრთხოების წესები და ფეხზე გადაუარა ავტობუსიდან ჩასულ მგზავრს. მძღოლმა დაზარალებულს მხრებში მოკიდა ხელები და გადაიყვანა 10 მეტრის მოშორებით მდებარე მოსაცდელამდე და მოსაცდელის კუთხეში მიატოვა იგი, თვითონ ავტობუსით განაგრძო გზა.[1128] მართალია, მძღოლმა გარკვეული მოქმედება განახორციელა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არ შეუსრულებია მას თავისი სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა განსაცდელში მყოფი პირისთვის დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებით. მძღოლს სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა მაშინ ექნებოდა შესრულებული, თუ იგი განსაცდელში მყოფს მოსაცდელთან კი არ მიატოვებდა იმის იმედით, რომ მას ვინმე დაეხმარებოდა, არამედ თვითონ გადაიყვანდა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში.

განსაცდელში მიტოვებას კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტად მიიჩნევენ *გ. მამულაშვილი*[1129] და *ნ. თოდუა*[1130], რაც არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს, რამდენადაც, განსაცდელში მიტოვების დროს მართალია, ადამიანი კონკრეტულ საფრთხეში-განსაცდელში იმყოფება, მაგრამ ხშირად ეს საფრთხე მესამე პირის მიერ არის შექმნილი და ამდენად მოსამართლეს არ უწევს იმის დადგენა, არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი უმოქმედობას-განსაცდელში მიტოვებასა და დაზარალებულის საფრთხეში ყოფნას შორის. მიზეზი, თუ რის გამოც ეკისრება განსაცდელში მიტოვებისთვის ადამიანს პასუხისმგებლობა, არის არა კონკრეტული საფრთხის შექმნა, არამედ უკვე შექმნილი საფრთხის განეიტრალებისგან თავის შეკავება. უმოქმედობა კონკრეტულ საფრთხეს მაშინ ქმნის, თუ შესაბამისი ქმედების განხორციელებისას ეს საფრთხე არ შეიქმნებოდა.[1131] განსაცდელში მიტოვების დროს კი უმოქმედობა კონკრეტულ საფრთხეს კი არ ქმნის, არამედ ასეთი საფრთხე უკვე არსებობს, მიუხედავად იმისა, დაეხმარება თუ არა დამნაშავე განსაცდელში მყოფს. განსაცდელში მიტოვების დროს ადამიანის განსაცდელში ყოფნა წარმოშობს ამ დანაშაულის ამსრულებლის მოქმედების ვალ-

---

[1126] იხ. სუსგ,2003,№10,გვ. 1268.

[1127] იხ. იქვე.

[1128] იხ. სუსგ,2003,№10,გვ. 1302.

[1129] იხ. *მამულაშვილი გ.*, წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.),სისხლის სამართლის კერძო ნაწილი,I წიგნი,მე-5 გამოცემა,თბ.,2014,გვ. 148.

[1130] იხ. *თოდუა ნ.*,საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით,ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“,2007,№2-3,გვ. 154.

[1131] იხ. *Горелик И.И.*, Квалификация Преступлений, опасних для Жизни и Здоровья, Минск,1973, с. 19.

დებულებას და განსაცდელში ყოფნა განსაცდელში მყოფისთვის დახმარების აღმოჩენის ვალდებულების შესრულების პროცესს წინ უსწრებს. უმოქმედობა-განსაცდელში მიტოვება არ შეიძლება განხილულ იქნეს იმ კონკრეტული საფრთხის (განსაცდელში ყოფნის) გამომწვევ მიზეზად, რომელიც უმოქმედობამდე უკვე არსებობდა. შესაძლოა განსაცდელში ადამიანი დამნაშავის (განსაცდელში მიმტოვებლის) წინარე მოქმედებითაც (მაგ. ავტო-საგზაო შემთხვევა)[1132] აღმოჩნდეს, მაგრამ ეს წინარე მოქმედება დამოუკიდებელ დელიქტად განიხილება.[1133]

განსაცდელში მიტოვებას აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად მიიჩნევენ *მ. უგრეხელიძე* და *გ. ტყეშელიაძეც*.[1134] *მ. უგრეხელიძე* და *გ. ტყეშელიაძე* განსაცდელში მიტოვებას, ისევე როგორც სხვა აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებს, შედეგგარეშე ანუ ე. წ. ფორმალურ დელიქტებს მიაკუთვნებენ.[1135]

როცა განსაცდელში მიტოვებას ადამიანის სიკვდილი მოჰყვება, დაუხმარებლობისგან განსხვავებით, დამნაშავეს პასუხისმგებლობა ეკისრება არა მხოლოდ უმოქმედობისთვის, არამედ დამდგარი შედეგისთვისაც და ქმედება (ევენტუალურ) განზრახ მკვლელობად დაკვალიფიცირდება. აღნიშნული ფაქტორი განპირობებულია იმ მოვალეობის მნიშვნელობით, რომელიც დამნაშავეს მსხვერპლის მიმართ გააჩნია.

განსაცდელში მიტოვება განზრახი დანაშაულია. დამნაშავეს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ადამიანი განსაცდელში იმყოფება და დახმარებას საჭიროებს. განსაცდელში მიტოვება არ იქნება განხორციელებული, თუ გარანტორმა არ იცის, რომ ის პირი, ვისზე ზრუნვაც ევალება განსაცდელშია ან თუ გარანტორი ვარაუდობს, რომ მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში არ იმყოფება. შესაბამისად, განსაცდელში მიტოვების შემადგენლობას არ ექნება ადგილი, თუ მძღოლი ავტომანქანას დაეჯახება და შემდგომ გაუჩინარდება ისე, რომ არ იცის მანქანაში მყოფი პირები დაზიანდნენ თუ არა.

განსაცდელში მიტოვება ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ მძღოლის გაუჩინარებით მაშინ შეიქმნება, თუ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ადამიანი სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩავარდა და (სატრანსპორტო დანაშაულის ჩამდენმა) დამნაშავემ იცის კიდევაც

[1132] ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ განსაცდელში მიტოვებისთვის პასუხისმგებლობაზე გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში სპეციალური ნორმა არსებობს (გერმანული სსკ-ის 142-ე პარაგრაფი).

[1133] იხ. სუსგ,2003,№9,გვ. 1168-1169. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წ. 2 მაისის განაჩენით გ. კიკაჩეიშვილი დამნაშავედ იქნა ცნობილი სსკ-ის 276-ე მუხლის მე-4 ნაწილითა (სატრანსპორტო დანაშაული) და 128-ე მუხლით (განსაცდელში მიტოვება). ანალოგიური კვალიფიკაცია იხ. სუსგ,2005,№1,გვ. 82-85.

[1134] იხ. *უგრეხელიძე მ.*, ბრალი საფრთხის დელიქტებში,თბ.,1982,გვ. 4–5; *ტყეშელიაძე გ.*, წიგნში: *ნაჭყებია გ.,დვალიძე ი.* (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სახელმძღვანელო,თბ.,2007,გვ. 121.

[1135] იხ. დასახ. ნაშრომები,იქვე; *ტყეშელიაძე გ.*, წიგნში: *გამყრელიძე ო.* (რედ.),სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002,გვ. 206. განსაცდელში მიტოვებას „ფორმალურ“ დანაშაულად მიიჩნევენ რუსი ავტორებიც. იხ. Уголовное право, Общая и Особенная части, 2-е издание, Под общей редакцией *Журавлева М.П.,* и *Никулина С.И.*, М., 2008, с. 361; Комментарий к уголовному кодексу Российской Федерации, Под ред. *Радченко В.И., Михлина А.С.*, Санкт-Петербург, 2008, с. 220.

ამის თაობაზე.[1136] განსაცდელში მიტოვების დროს დამნაშავე მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებით ევენტუალური განზრახვით მოქმედებს.

მეცნიერთა ერთი ნაწილის შეხედულებით განსაცდელში მიტოვების დროს დამნაშავე მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებით მოქმედებს ევენტუალური განზრახვით ან თვითიმედოვნებით.[1137]

მ. ტურავას თვალსაზრისით, განსაცდელში მიტოვების დროს დამნაშავე სხვისი სიცოცხლის მოსპობის მიმართ თვითიმედოვნებით მოქმედებს.[1138]

შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებით არათანმიმდევრულია იმ ავტორთა მსჯელობა, რომლებიც ერთი მხრივ, განსაცდელში მიტოვებას კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტად მიიჩნევენ[1139] და, მეორე მხრივ, განსაცდელში მიტოვების დროს უშვებენ დამნაშავის გაუფრთხილებლობით დამოკიდებულებას მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობის მიმართ.[1140]

განსაცდელში მიტოვების დროს, ისე როგორც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებისას, დამნაშავეს სიცოცხლის მოსპობის მიმართ შეუძლებელია გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება ჰქონდეს. მართალია, განსაცდელში მიტოვება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია, მაგრამ საფრთხე, რომელიც მსხვერპლის მიმართ არსებობს, კონკრეტულია. კონკრეტული საფრთხის არსებობის გაცნობიერება, კონკრეტული საფრთხის ბუნებიდან გამომდინარე, როგორც ზემოთ აღინიშნა, შეუძლებელს ხდის იმას, რომ დამნაშავე დარწმუნებული იყოს შედეგის თავიდან აცილებაში. არ არის გამორიცხული, რომ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის საფრთხე რეალურად, კონკრეტულად არსებობდეს და დამნაშავე დარწმუნებული იყოს იმაში, რომ არსებულ ვითარებას მოცემულ, კონკრეტულ შემთხვევაში სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა არ მოჰყვება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გამოირიცხება კონკრეტული საფრთხის არსებობის გაცნობიერება. კონკრეტული საფრთხის არსებობის გაცნობიერება ნიშნავს დამნაშავის მიერ იმის გათვალისწინებას, რომ ქმედებას შეიძლება გარკვეული შედეგიც მოჰყვეს.

საქართველოში განზრახვის და გაუფრთხილებლობის შინაარსი

[1136] ქმედების სსკ-ის 128-ე მუხლით კვალიფიკაციის წინაპირობად საკუთარი ქმედებით ადამიანის სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენების ცოდნაზე ხაზგასმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში იხ. სუსგ,2005,№1,გვ. 85.

[1137] იხ. *წერეთელი თ.*, წიგნში: *მაყაშვილი ვ., მაჭავარიანი მ., წერეთელი თ., შავგულიძე თ.,* დანაშაული პროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980, გვ. 140; *ტყეშელიაძე გ.,* წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002,გვ. 208; *მამულაშვილი გ.,* წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.),სისხლის სამართლის კერძო ნაწილი,I წიგნი,მე-5 გამოცემა,თბ.,2014, გვ. 164; *თოდუა ნ.*,წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი,წიგნი II,მე-4 გამოცემა,თბ.,2012,გვ. 18-19.

[1138] იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილის მიმოხილვა,მე-9 გამოცემა,თბ., 2013,გვ. 138.

[1139] იხ. *მამულაშვილი გ.,* წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.),სისხლის სამართლის კერძო ნაწილი,I წიგნი,მე-5 გამოცემა,თბ.,2014,გვ. 148; *თოდუა ნ.*,საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით,ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“,2007,№2-3,გვ. 154.

[1140] *მამულაშვილი გ.,* წიგნში: *მამულაშვილი გ,* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი,I წიგნი,მე-5 გამოცემა,თბ.,2014, გვ. 164; *თოდუა ნ.*,წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი,წიგნი II,მე-4 გამოცემა,თბ.,2012,გვ. 18-19.

დღემდე არავის უკვლევია კონკრეტული საფრთხის ბუნების გათვალისწინებით და არასწორი დასკვნების საფუძველიც ამაში უნდა ვეძიოთ.

3.2. გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში განსაცდელში მიტოვებაზე ცალკე მუხლი არ არსებობს. განსაცდელში მიტოვებისთვის პასუხისმგებლობა გერმანული სსკ-ის 221-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მე-2 აბზაცითაა გათვალისწინებული. თუ 221-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის პირველი ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული მოქმედებითაც და უმოქმედობითაც შეიძლება განხორციელდეს და მისი ჩადენა ყველას შეუძლია, 221-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მე-2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი მხოლოდ გარანტი შეიძლება იყოს და იგი წმინდა უმოქმედობის დელიქტად განიხილება.[1141]თუმცა, საკითხი იმის შესახებ, გულისხმობს თუ არა 221-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემადგენლობა გარანტის ფუნქციის მქონე პირებს, საკამათოდ ითვლება. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ აღნიშნული შემადგენლობის ამსრულებლები არიან ისეთი პირები, როგორებიცაა ექიმი, მეხანძრე, პოლიციელი, მაშველი. ხოლო ნაწილი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება.[1142]

განსაცდელში მიტოვებასთან გვაქვს საქმე მაშინ, როცა დაცვის ფუნქციის შესრულებაზე გარანტი უარს ამბობს და თავის ფუნქციას არ ასრულებს. მაგალითად, დედა მიატოვებს თავის მცირეწლოვან შვილს.[1143]განსაცდელში მიტოვება შეიძლება გამოიხატოს გარანტის სივრცობრივ დაშორებაში იმ პირისგან, რომელზე მზრუნველობის ვალდებულებაც არსებობს.[1144]მაგრამ, აუცილებელი არ არის, რომ გარანტი სივრცობრივად იყოს დაშორებული იმ ადამიანს, ვისზე ზრუნვაც აკისრია. თუ ექთანი დაიძინებს თავის სამუშაო ოთახში და უყურადღებოდ მიატოვებს პაციენტს, რითაც ჩააგდებს მას სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში, ექთანის ქმედება დაკვალიფიცირდება გერმანული სსკ-ის 221-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტით.[1145] გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოჰყოფენ განსაცდელში მიტოვების სხვა შემთხვევასაც, რომელიც არ განიხილება მსხვერპლისგან სივრცობრივ დაშორებად. კერძოდ, როცა მშობელი არ ასრულებს დახმარების მოვალეობას, ოღონდ იმის გამო, რომ უკან მსხვერპლთან არ ბრუნდება. ეს იმ შემთხვევას გულისხმობს, როცა სივრცობრივი გადაადგილება

[1141] იხ. *Rengier R.*, Strafrecht, BT II, Delikte gegen die Person und die Allgemeinheit, 13. Aufl., München, 2012, S. 79, §10 Rn. 4.

[1142] იხ. *Rengier R.*, იქვე,გვ. 83,§10 Rn. 11.

[1143] იხ. *Rengier R.*, Strafrecht, BT II, Delikte gegen die Person und die Allgemeinheit, 13. Aufl., München, 2012, S. 80, §10 Rn. 5 a.

[1144] იხ. *Eisele J.*, იქვე, გვ. 90, Rn. 244.

[1145] იხ. *Eisele J.*, იქვე, გვ. 90, Rn. 245.

მოხდა ისე, რომ იგი არ ატარებდა დანაშაულებრივ ხასიათს, მაგრამ განსაცდელში მიმტოვებელს ევალება უკან დაბრუნება იმ ადგილას, სადაც განსაცდელში მყოფი იმყოფება და ამას არ აკეთებს. ასეთ დროს განსაცდელში მიტოვება დაუბრუნებლობაში გამოიხატება. რაც შეეხება განსაცდელში მყოფისგან განსაცდელში მიმტოვებლის სივრცობრივ დაშორებას, ეს ადრე მოხდა, მანამ, სანამ განსაცდელში მყოფი განსაცდელში აღმოჩნდებოდა. მაგალითად, ა-მ თავისი შვილი დაუტოვა ძიძას. ა-მ ძიძას უთხრა, რომ იგი სახლში ჩვეულებისამებრ სამუშაო საათის დამთავრების შემდეგ ღამის 7 საათზე სახლში დაბრუნდებოდა და მას მხოლოდ 7 საათამდე ჰქონდა მის ბავშვზე ზრუნვის ვალდებულება, ხოლო თუ სახლში მოსვლა დააგვიანდებოდა და ზუსტად 7 საათზე სახლში ვერ მოვიდოდა, მას ნუ დაელოდებოდა და თავის სახლში წასულიყო. ძიძაც ასე მოიქცა, მაგრამ ა-მ არა თუ დაიგვიანა, არამედ იმ ღამეს სახლში საერთოდ არ მოვიდა.

ქართული სისხლის სამართლის კოდექსით განსაცდელში მიტოვება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია, ვინაიდან დისპოზიციაში არ არის მითითებული, რომ დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხე უნდა შეიქმნას, მაგრამ გერმანული სსკ-ის მიხედვით, განსაცდელში მიტოვება არის კონკრეტული საფრთხის დელიქტი. გერმანული სსკ-ის 221-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემადგენლობის ნიშანია დაზარალებულის სიცოცხლის ხელყოფისა და ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხის შექმნა. იმისთვის, რომ ქმედება გერმანიის სსკ-ის 221-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის მე-2 პუნქტით დაკვალიფიცირდეს, ადამიანი არ უნდა იმყოფებოდეს სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში, არამედ ისეთ მდგომარეობაში, რომ საფრთხის მდგომარეობის შექმნისას ვერ შეძლოს საკუთარი თავისთვის დახმარების აღმოჩენა (hilflose Lage). მაგალითად, ადამიანი, რომელიც ისე მძიმედ არის მთვრალი, რომ აზროვნების უნარი არ შესწევს, გადის რესტორნიდან ქუჩაში და მისი თანმხლები ფხიზელ მდგომარეობაში მყოფი სრულწლოვანი შვილი არ იჩენს ყურადღებას მამამისის მიმართ, რითაც მთვრალ მდგომარეობაში მყოფი სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიშ ვითარებაში აღმოჩნდება. კერძოდ, იგი ძლივს გადაურჩა ავტომანქანის დაჯახებას. ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე მუხლით კი ქმედება მაშინ კვალიფიცირდება განსაცდელში მიტოვებად, როცა ადამიანი უკვე იმყოფება სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში და მასზე ზრუნვის მოვალეობის მქონე პირი მას დახმარებას არ აღმოუჩენს. ამ შემთხვევაში გარანტის უმოქმედობით კი არ იქმნება საფრთხე, არამედ ეს საფრთხე მისგან დამოუკიდებლად (ან მის მიერ, მაგალითად ავტოავარიისას) უკვე შექმნილია და იგი არაფერს არ აკეთებს უკვე არსებული საფრთხის გასანეიტრალებლად.

გერმანული სსკ-ის 221-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობა მკაცრდება მაშინ, როცა განსაცდელში მიმტოვებელი მშობელი ან ის პირია, რომელსაც განსაცდელში მყოფის მიმართ ცხოვრების განმავლობაში მასზე მზრუნველობის ვალდებულება აკისრია. პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას ასევე წარმოადგენს დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანების გამოწვევა.

4. დაუხმარებლობა (129-ე მუხ.)

4.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

საქართველოს სსკ-ის 129-ე მუხლით ისჯება „სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისთვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების გაუწევლობა, თუ დამნაშავეს შეეძლო მისი დახმარება თავისთვის ან სხვისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე, აგრეთვე დახმარების საჭიროების შეუტყობინებლობა სათანადო დაწესებულებისათვის ან პირისთვის“. 129-ე მუხლით კანონმდებელმა ადამიანზე ზრუნვის მოქალაქეობრივი მოვალეობა სამართლებრივი მოვალეობის დონემდე აიყვანა. აღნიშნული ნორმით ნებისმიერი ადამიანი ვალდებულია იზრუნოს განსაცდელში, სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფზე, თუ მას ამის გაკეთება საკუთარი თავისთვის ან სხვისთვის საფრთხის შექმნის გარეშე შეუძლია. კანონი გმირობას არავის არ თხოვს და არავის არ ავალდებულებს თავი გასწიროს სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად.

დაუხმარებლობისგან დასაცავ სამართლებრივ სიკეთეს ადამიანის სიცოცხლე შეადგენს. ამის შესახებ ხაზგასმითაა აღნიშნული სსკ-ის 129-ე მუხლში. განსახილველი დანაშაული წმინდა უმოქმედობის დელიქტია. იგი გამოიხატება სოლიდარული მოვალეობის შეუსრულებლობაში.

129-ე მუხლით დასჯადი დანაშაული, როგორც მუხლის დისპოზიციაში არის აღნიშნული, შეიძლება გამოიხატოს განსაცდელში მყოფი ადამიანისთვის დახმარების გაუწევლობაში ან სათანადო დაწესებულებისათვის ან პირისათვის იმის შეუტყობინებლობაში, რომ ადამიანი სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაშია და საჭიროებს დახმარებას.

სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ადამიანი შეიძლება სხვადასხვა მიზეზით აღმოჩნდეს. ეს შეიძლება იყოს: უბედური შემთხვევა, მაგალითად ავტოავარია; ავადმყოფობა, როცა ადამიანი დაავადების გამო კომაში ვარდება; საკუთარი წინდაუხედაობა და აგრეთვე ბოროტმოქმედის მართლსაწინააღმდეგო თავდასხმაც.

დაუხმარებლობის დროს დანაშაულის ამსრულებელია პირი, რომელსაც განსაცდელში მყოფ პირზე ზრუნვის სოლიდარული მოვალეობა ეკისრება, მაგრამ იბადება კითხვა, რამდენად ეკისრება რიგით მოქალაქეს იმის მოვალეობა, რომ შეებას დამნაშავეებს და იბრძოლოს დამნაშავეთა თავდასხმის შედეგად საფრთხეში ჩავარდნილი ადამიანის გადასარჩენად?

ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ თუ ადამიანი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის შედეგად აღმოჩნდა, გვერდზე მყოფს აუცილებელი მოგერიების უფლება კი არა, აუცილებელი დახმარების მოვალეობა წარმოეშობა, მაგრამ 129-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში გვერდზე მყოფს არა აქვს სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისათვის დახმარების სპეციალური მოვალეობა. მას დახმარების ზოგადი სამართლებრივი მოვალეობა ეკისრება. „გვერდზე მყოფი ვალდებულია ხელმყოფის დაზიანების გზით დაეხმაროს მას, ვისი მოკვლაც თავდამსხმელმა განიზრახა, რასაკვირველია იმ პირობით, თუ მას ეს შეეძლო თავისთვის ან სხვისთვის სერიოზული

საფრთხის შეუქმნელად, როგორც ამას 129-ე მუხლი ითვალისწინებს“.[1146]

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დახმარების სოლიდარული მოვალეობა შეიძლება წარმოეშვას თავდამცველს აუცილებელი მოგერიების დროს დაჭრილი თავდამსხმელის მიმართ. აღნიშნული მოსაზრების თანახმად, აუცილებელი მოგერიების დროს ხელყოფისას თავდამცველს მის მიერ განხორციელებული თავდაცვითი ქმედების შედეგად დაჭრილი თავდამსხმელის მიმართ გარანტის მოვალეობა არ წარმოექმნება. თუ თავდასხმისას თავდამცველი დააზიანებს თავდამსხმელს ისე, რომ თავდამსხმელი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში აღმოჩნდება და თავდამსხმელისგან ხელყოფის საფრთხე არ მომდინარეობს, მაშინ თავდამცველს თავდამსხმელის მიმართ უჩნდება არა სამართლებრივი, არამედ სოლიდარული მოვალეობა.[1147] მაგრამ, თუ თავდამსხმელი თავდამცველის ოჯახის წევრია, თავდამსხმელის მიმართ თავდამცველს არა თუ სოლიდარული, არამედ სამართლებრივი მოვალეობა ეკისრება.[1148] შესაბამისად, თუ თავდაცვითი მოქმედების შედეგად დაჭრილ თავდამსხმელს თავდამცველი არ დაეხმარება, თავდამცველს პასუხისმგებლობა განსაცდელში მიტოვებისთვის და არა დაუხმარებლობისთვის დაეკისრება, ვინაიდან თავდამსხმელი თავდამცველის ოჯახის წევრია, ხოლო, თუ უმოქმედობას დაჭრილის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, იგი არა მხოლოდ უმოქმედობისთვის, არამედ დამდგარი შედეგისთვის დაისჯება.

იმისთვის, რომ ადამიანმა განსაცდელში მყოფისთვის დახმარების აღმოჩენა შესძლოს, მან უნდა გაიაროს ხუთი ეტაპი: მომხდარი შემთხვევის დაფიქსირება; მომხდარის უბედურ შემთხვევად აღქმა; პასუხისმგებლობის აღება; დახმარების გაწევისთვის საჭირო მექანიზმის ცოდნა; დახმარების გაწევაზე გადაწყვეტილების მიღება.[1149] ადამიანის განსაცდელში ყოფნის ფაქტის დაფიქსირებას და აღქმას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაუხმარებლობისთვის პასუხისმგებლობის საკითხის სწორად გადასაწყვეტად. განსაცდელში ადამიანის ყოფნის აღქმაში ხელის შემშლელი ფაქტორი შეიძლება სხვადასხვა იყოს: ხმაური, ფიქრი და ა. შ.[1150]

დაუხმარებლობა განზრახი დანაშაულია, დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ არ ეხმარება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფს. თუ თვითმხილველმა ვერ აღიქვა განსაცდელში ადამიანის ყოფნის ფაქტი და ამის გამო ვერ აღმოუჩინა მას დახმარება, თვითმხილველს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. პასუხისმგებლობა გამოირიცხება ასევე მაშინაც, როცა თვითმხილველმა იცის, რომ განსაცდელში მყოფს სხვა ეხმარება.

[1146] იხ. *გამყრელიძე ო.,* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება,მე-2 გამოცემა,თბ.,2008,გვ. 215-216.

[1147] იხ. *Baumann/Weber/Mitsch,* Strafrecht, AT, Lehrbuch, 11. Aufl., Bielefeld, 2003, S. 292, §15 Rn. 66; *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band II, München, 2003, S. 773, §32 Rn. 181; *Krey/Esser.,* Deutsches Strafrecht, AT, 4. Aufl., Stuttgart, 2011, S. 389, Rn. 1161; *Fischer T.*, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 58. Aufl., München, 2011, S. 95, §13 Rn. 29; *Freund G.*, Strafrecht, AT, 2. Aufl., Berlin Heidelberg, 2009, S. 235, §6 Rn. 74.

[1148] იხ. *Kühl K.,* Strafrecht, AT, 6. Aufl., München, 2008, S. 591, §18 Rn. 47.

[1149] იხ. *შალიკაშვილი მ.,* ვიქტიმოლოგია – მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ,თბ.,2011,გვ. 77.

[1150] იხ. *შალიკაშვილი მ.,* იქვე,გვ. 77.

დაუხმარებლობა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია[1151] და იგი დამთავრებულად ითვლება სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობისას. თუ მოვალეობის შეუსრულებლობას მძიმე შედეგი მოჰყვა ადამიანის გარდაცვალების ან მისი ჯანმრთელობის დაზიანების სახით, დამნაშავე დამდგარი შედეგისთვის პასუხს არ აგებს.

დაუხმარებლობა დანაშაულის მიმნებებლობის კერძო შემთხვევას წარმოადგენს.[1152]არ შეიძლება დანაშაულის მიმნებებლობის და დაუხმარებლობის გაიგივება. დაუხმარებლობა გულისხმობს განსაცდელში მყოფი პირისთვის დაუხმარებლობას, რაც შეიძლება გამოიხატოს სათანადო დაწესებულებისთვის იმის შეუტყობინებლობაში, რომ ადამიანი განსაცდელშია და საჭიროებს დახმარებას. ადამიანი განსაცდელში შეიძლება დანაშაულებრივი თავდასხმის შედეგადაც აღმოჩნდეს. დაუხმარებლობა, გარდა ამისა, სხვაგვარი ქმედებითაც შეიძლება გამოიხატოს. რაც შეეხება დანაშაულის მიმნებებლობას, იგი დანაშაულის ჩადენისთვის ხელის არშეშლას გულისხმობს. დანაშაულის განხორციელებისთვის ხელის არშეშლა არ მოითხოვს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ მდგომარეობაში, განსაცდელში ადამიანის ყოფნას. მაშინ, როცა აღნიშნული მდგომარეობის არსებობა დაუხმარებლობის შემადგენლობის განხორციელების აუცილებელ პირობას შეადგენს. მაგალითად, ადამიანმა იცის, რომ მოქალაქეს ბოროტმოქმედები თავს უნდა დაესხან და ამის თაობაზე ინფორმაციას არ აწვდის არც პოტენციურ მსხვერპლს და არც სამართალდამცავ ორგანოებს. ეს იქნება დანაშაულის შეუტყობინებლობა, მაგრამ თუ თავდასხმა უკვე განხორციელდა და ის პირი, რომელიც ამას ხედავს და არაფერს არ აკეთებს საფრთხის გასანეიტრალებლად, დაუხმარებლობის ამსრულებლად უნდა განვიხილოთ.

დაუხმარებლობა შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ სამართალდამცველი ორგანოსთვის იმის შეუტყობინებლობაში, რომ მოქალაქეს ბოროტმოქმედი თავს დაესხა და შველას ითხოვს, არამედ სამედიცინო დაწესებულებისთვის ან სამაშველო სამსახურისთვის შეუტყობინებლობაში, რომ მოქალაქე შესაბამისი სამსახურის დახმარებას საჭიროებს.

დაუხმარებლობას, როგორც ზემოთ აღინიშნა, განსაცდელში მიტოვებისგან განსხვავებით, არაგარანტორი ჩადის. იგი არ არის სპეციალური ამსრულებლობით ჩასადენი დანაშაული. ამიტომ, გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს დაუხმარებლობის მუხლით ქმედების კვალიფიკაცია სსკ-ის 276-ე მუხლთან ერთობლიობაში, როცა დარღვეულია გზებზე მოძრაობის წესები. უზენაესმა სასამართლომ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო ერთ-ერთ საქმეზე, როცა ქმედება საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით და 129-ე მუხლით დააკვალიფიცირა.[1153] საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაციის მთავარი წინაპირობაა მძღოლის მიერ ტრანსპორტის

[1151] იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010, გვ. 177. საწინააღმდეგო მოსაზრებაზე იხ. *ნაჭყებია გ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ.,2011, გვ. 239.

[1152] იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ.,2011, გვ. 263; *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ.,2007, გვ. 350-351.

[1153] იხ. სუსგ,2001, ნოემბერი, №11, გვ. 773.

მოძრაობის ან ექსპლუატაციის წესების დარღვევა. თუ აღნიშნული წესები არ დაირღვა, ქმედება მითითებული მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება. ყოველივე ეს კი (ტრანსპორტის მოძრაობის წესების დარღვევა) მიუთითებს იმაზე, რომ მძღოლი სოლიდარული მოვალეობის სუბიექტი კი არ არის, არამედ გარანტორი. უფრო მეტიც, მძღოლი გარანტორად მაშინაც შეიძლება ვცნოთ, როცა ავტოავარიას საფუძვლად არ უდევს მძღოლის მხრიდან წინდახედულობის ნორმის დარღვევა. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება კიდევ უფრო საკამათო გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მძღოლის წინდაუხედაობას დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, რაც საფუძვლად დაედო ქმედების სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით კვალიფიკაციას. დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, ქმედების 129-ე მუხლით კვალიფიკაცია ყოვლად გაუმართლებელია, ვინაიდან საფრთხის შემქმნელი დელიქტის შემადგენლობა მაშინ გამოიყენება, როცა შედეგი არ არის დამდგარი. თუმცა, არის შემთხვევებიც, როცა შედეგი დამდგარია და ამის მიუხედავად საფრთხის შემქმნელი დელიქტის მუხლით ხდება ქმედების კვალიფიკაცია, მაგრამ ქმედების ასეთი კვალიფიკაცია მაშინ არის გამართლებული, თუ დადგინდება, რომ შედეგი განსაცდელში მყოფი პირისათვის დახმარების აღმოჩენის შემთხვევაშიც დადგებოდა.

საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიცია ერთერთ საქმეზე ქმედების დაუხმარებლობის მუხლით კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, საქმე ეხებოდა შემდეგ შემთხვევას: მსუბუქი ა/მანქანის მძღოლმა თავისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა დააჯახა ფეხით მოსიარულეს ისეთ ვითარებაში, როდესაც მძღოლი, ტექნიკური თვალსაზრისით, ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილებას ვერ შეძლებდა, რის შემდეგ უმწეო მდგომარეობაში მყოფი დაზარალებული მიატოვა დახმარების აღმოუჩენლად და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, ხოლო დაზარალებული სხვა პირებმა მიიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიღებული ტრავმების შედეგად გარდაიცვალა. მძღოლის უმოქმედობა სსკ-ის 129-ე მუხლით დაუხმარებლობად დააკვალიფიცირა ქვედა ინსტანციის სასამართლომ, რომელიც უზენაესმა სასამართლომ უცვლელად დატოვა.[1154] როგორც ჩანს, უზენაესი სასამართლო ქმედების სამართლებრივი შეფასების დროს დაეყრდნო იმას, რომ მძღოლი, ტექნიკური თვალსაზრისით, ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილებას ვერ შეძლებდა. მაშასადამე, მძღოლს წინარე ქმედება ბრალად არ შეერაცხება. აქედან გამომდინარე მძღოლი არ იქნა გარანტორად მიჩნეული. წინააღმდეგ შემთხვევაში მძღოლის უმოქმედობას სასამართლო განსაცდელში მიტოვებად დააკვალიფიცირებდა. აღნიშნულ საქმეზე სასამართლოს შეფასება არ არის მართებული. მიუხედავად იმისა, რომ მძღოლის წინარე ქმედება არ იყო ბრალეული, მძღოლი მაინც გარანტორად უნდა ეცნო სასამართლოს და შემდგომი უმოქმედობა განსაცდელში მიტოვების მუხლით უნდა დაეკვალიფიცირებინა, რამეთუ მძღოლმა მოქალაქე სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩააყენა, მართალია, არაბრალეული, მაგრამ სოციალური რისკის შემცველი წინარე ქმედებით. უზენაესი სასამართლო სწორად მოიქცა

[1154] იხ. სუსგ,2004,№3,გვ. 568.

მაშინ, როცა სხვა მსგავს საქმეზე მძღოლის უმოქმედობა განსაცდელში მიტოვებად მიიჩნია.[1155]

ვინაიდან განსაცდელში მყოფი პირისთვის რიგითი მოქალაქის მიერ დახმარების აღმოჩენის მოვალეობა პირველ რიგში ზნეობრივი ნორმიდან მომდინარეობს, სისხლის სამართლის მეცნიერებაში გამოთქმული თვალსაზრისით, დაუხმარებლობისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას გასათვალისწინებელია პირის როგორც ცხოვრებისეული გამოცდილება და ზოგადი (პირველდაწყებითი) განათლება,[1156] ისე პიროვნული თავისებურებანი და წარმომავლობა. ამავე შეხედულებით, დაუშვებელია იმ თავისებურებათა გაუთვალისწინებლობა, რომელიც კულტურული კუთვნილებიდან გამომდინარეობს. განსაკუთრებით სხვა რელიგია და მსოფლმხედველობა. მაგალითად, როგორც ცნობილია, ისლამურ ქვეყნებში სხვა მორალურ-რელიგიური შეხედულებებია გაბატონებული, ვიდრე ევროპის ქვეყნებში. გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოებაც, რომ ისლამურ ქვეყნებში ყურანი სახელმძღვანელო ინსტრუქციას წარმოადგენს არა მხოლოდ მორალურ-რელიგიური, არამედ სამართლებრივი და პოლიტიკური თვალსაზრისითაც.[1157]

მოყვანილი მსჯელობა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთერთ შემთხვევასთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა გერმანიაში: პაკისტანის მოქალაქე ა., რომელიც ისლამის მიმდევარი იყო, ჩავიდა გერმანიაში. მის მეზობლად ცხოვრობდნენ 49 წლის ქალბატონი კ. და მისი მეგობარი მამაკაცი ლ. კ. და ლ. ხშირად სვამდნენ ალკოჰოლურ სასმელს და ხმამაღლა კამათობდნენ და ჩხუბობდნენ. ერთ საღამოს კ. და ლ. ძლიერ შეკამათდნენ. ა.-ს ესმოდა კ.-ს და ლ.-ს ჩხუბის ხმა. 22:30 საათზე ა.-ს კარზე გაისმა კაკუნის ხმა. როცა ა.-მ კარი გააღო, კართან იდგა ქვედა საცვალისა და მაისურის ამარა (არასაკმარისად შემოსილი) მყოფი კ., რომელმაც ა.-ს სთხოვა სასწრაფო დახმარებისთვის დაერეკა. ა.-მ ქალის ფეხზე, რომელსაც ალკოჰოლის სუნი ასდიოდა, სისხლი შენიშნა. ზიზღის, სიძულვილის გამო და იმის შიშით, რომ ჩხუბში არ ყოფილიყო ჩათრეული, ა.-მ კარი დაკეტა და დასაძინებლად დაწვა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ა.-ს ოთახში არ ჰქონდა ტელეფონი და სასწრაფო დახმარებისთვის დასარეკად გარეთ გასვლა სჭირდებოდა. გარდა ამისა, ა.-ს არ უნდოდა საკუთარი თავი საფრთხეში ჩაეყენებინა, ვინაიდან ლ.-სგან ცუდი მოპყრობის საშიშროება შეიქმნებოდა.

მანამ სანამ კ. ა.-ს დახმარებას სთხოვდა, ლ.-მ იგი დანით დაჭრა, რის გამოც კ. 23:00 საათზე გარდაიცვალა. ექსპერტმა დაადგინა, რომ თუ ა. კ.-ს დახმარებას დაუყოვნებლივ აღმოუჩენდა, მისი გადარჩენა შესაძლებელი იყო. აღნიშნულის გამო ლ.-ს მსჯავრი დაედო მკვლელობისთვის, ხოლო ა.-ს დაუხმარებლობისთვის.[1158]

მოცემულ შემთხვევაში ა. მოიქცა ისლამურ ქვეყანაში არსებული მორალური და რელიგიური ნორმების შესაბამისად, რომელსაც ა.-ს მიმართ სავალდებულო ძალა ჰქონდა, ვინაიდან იგი შეაძრწუნა **არასაკმარისად ჩაცმული მთვრალი უცხო ქალის** ნახვამ, რაც გახდა ა.-ს უმო-

---

[1155] იხ. სუსგ, 2003, №10, გვ. 1266.

[1156] იხ. *Fischer T.*, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Aufl., München, 2010, S. 2258, §323c Rn. 7.

[1157] იხ. *Sonnen B-R.*, Kulturkonflikt und Verbotsirrtum, Neue Kriminalpolitik, 1990, Heft 4., S. 42.

[1158] იხ. *Sonnen B-R.*, იქვე.

ქმედობის ერთ-ერთი საფუძველი. თუ გავითვალისწინებთ ისლამურ ქვეყნებში მოქმედი მორალურ-რელიგიური ნორმების მოთხოვნას, რომელსაც მოქმედი სამართლის ძალა აქვს,[1159] საკამათოა, რამდენად ჰქონდა ა.-ს გაცნობიერებული, რომ აკრძალულ ქმედებას ახორციელებდა. გარდა ამისა, პაკისტანში დაუხმარებლობა არ ისჯება.[1160] მაშინ, როცა ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით ყველა ადამიანს მოეთხოვება გაჭირვებაში მყოფისთვის დახმარების აღმოჩენა, მიუხედავად იმისა, მკაცრად იცავს თუ არა რელიგიურ დოგმებს, ყურანი ასეთ მოთხოვნას არ აწესებს. დახმარება შეიძლება გაეწიოს მორწმუნეებს ომის დროს. სხვა შემთხვევაში, მაგალითად, არამორწმუნესთვის დახმარების აღმოჩენა დაუშვებელია. პირიქით, ის ვინც მორწმუნე არ არის, უნდა განადგურდეს. აქ ადგილი აქვს კულტურულ კონფლიქტს ისლამსა და ქრისტიანობას შორის.[1161] მაშასადამე, *ბ. ზონენის* მართებული თვალსაზრისით, ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში ა.-მ დაუშვა შეცდომა აკრძალვაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პაკისტანის მოქალაქე ა., რომელიც ჩვეულებრივი მუშა იყო, გერმანიაში არ იყო დიდი ხნის ჩასული (დაახლოებით ერთი წლის), აგრეთვე, მან არ იცოდა გერმანული და დაუხმარებლობაც გერმანული კანონმდებლობით სულ 50 წლით ადრე გამოცხადდა დასჯად ქმედებად[1162] ანუ მას არ ჩაუდენია ისეთი ქმედება, რომელიც ყოველთვის დასჯადი იყო, რომელთა განხორციელება, ყველამ იცის, რომ დაისჯება.

4.2. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

დაუხმარებლობა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 323c -ე პარაგრაფით ისჯება. აღნიშნული პარაგრაფით ქმედების სისხლის-სამართლებრივი დასჯადობის საფუძველს წარმოადგენს დაუხმარებლობა უბედური შემთხვევის ან საყოველთაო საშიშროების ან უკიდურეს შემთხვევაში, ე. ი. დაუხმარებლობა განსაზღვრულ ვითარებაში და არა ზოგადად შედეგის დადგომისთვის ხელის არშეშლა.[1163]

გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის 323c -ე პარაგრაფით პასუხისმგებლობა მაშინ დაეკისრება პირს, როცა ადამიანი იმყოფება სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში და მას არ ეხმარება. თუ ეს საფრთხე რეალიზებულ იქნა და დაზიანებაში გადაიზარდა, დახმარების მოვალეობაც ქრება. დახმარების მოვალეობა არსებობს მანამ, სანამ საფრთხე სიკეთის ხელყოფაში არ გადაიზრდება. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ზიანის შემდეგ დამნაშავე თავისუფლდებოდეს მოვალეობის შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისგან. საფრთხის შეფასება

[1159] ყურანი, რომელიც ისლამის წმინდა წიგნია, მუსლიმანური სამართლის პირველი წყაროა. იხ. *დავიდი რ.*, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, რუსული გამოცემიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო *თ. ნინიძემ*, თბ., 1993, გვ. 337.

[1160] იხ. *Sonnen B-R.*, იქვე.

[1161] იხ. *Sonnen B-R.*, იქვე, გვ. 43.

[1162] იხ. *Sonnen B-R.*, იქვე.

[1163] იხ. *Eisele J.,* Strafrecht, BT I, Straftaten gegen die Person und die Allgemeinheit, 2. Aufl., Stuttgart, 2012, S. 388, 1248.

ხდება არა დამნაშავის პოზიციიდან (სუბიექტურად), არამედ ობიექტური დამკვირვებლის პოზიციიდან (ობიექტურად).[1164]

სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ადამიანი შეიძლება სხვადასხვა მიზეზით აღმოჩნდეს და მათ შორის ავადმყოფობის შედეგადაც. როგორც ზემოთ აღინიშნა, დახმარების სოლიდარული მოვალეობა წარმოეშობა ასევე აუცილებელი მოგერიების დროს თავდამცველს დაჭრილი თავდამსხმელის მიმართ. მიუხედავად თავდამსხმელის მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა, ადამიანური სოლიდარობიდან გამომდინარე იგი მაინც რჩება დაცვის ღირსი. ამავდროულად, გასათვალისწინებელია, დახმარების აღმოჩენა თუ რამდენად მისაღები და საჭირო იყო, ხომ არ ემუქრებოდა თავდამცველს კიდევ ხელყოფის საფრთხე თავდამსხმელისგან.[1165] დახმარების მოვალეობა არ წარმოიშობა მაშინ, როცა თავდამსხმელისგან საფრთხე ჯერ კიდევ მომდინარეობს.

სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ადამიანი შეიძლება მესამე პირის ქმედების შედეგად აღმოჩნდეს. მაგალითად, გაუპატიურების ან მკვლელობის მცდელობა და ა.შ.[1166]მაგრამ, ამ დროს დაუხმარებლობისთვის პასუხს აგებს არა ის, ვინც გაუპატიურების ან მკვლელობის მცდელობა განახორციელა, არამედ მესამე პირი.

მაშინ, როცა მკვლელობის მიზნით განხორციელებული ქმედება მცდელობის სტადიაზე შეწყდება, რის შედეგად შეიქმნება საფრთხე და შემდგომ დაზარალებულს დახმარებას არ აღმოუჩენენ და დახმარების გარეშე მიატოვებენ, ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს გერმანული სსკ-ის 323c -ე მუხლით, რამდენადაც მკვლელობის მცდელობის განზრახვა მოიცავს იმ საფრთხეს, რომელშიც დაზარალებული იმყოფება.[1167] უხერხული იქნებოდა, მკვლელისთვის დაეკისრებინათ მისი მოქმედებით საფრთხეში ჩავარდნილი დაზარალებულისთვის დახმარების აღმოჩენის მოვალეობა. ასეთი მოვალეობა შეიძლება დაეკისროს მესამე პირს, რომელსაც განზრახ არ შეუქმნია საფრთხე თავისი მოქმედებით.

სოლიდარული მოვალეობის წარმომშობ სიცოცხლისთვის საშიშ უბედურ შემთხვევად გერმანულ სისხლის სამართალში არ განიხილავენ თვითმკვლელობის მცდელობას, თუ თვითმკვლელის მოქმედება პირადი პასუხისმგებლობით განხორციელებულ ქმედებად შეიძლება შეფასდეს და მასზე გავლენა სხვას არ მოუხდენია.[1168] თუმცა, ეს არ ნიშნავს იმასაც, რომ თვითმკვლელობისთვის ხელის შეშლა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევდეს.[1169] გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოებაც, რომ სხვისთვის დახმარების სოლიდარული მოვალეობა თვითმკვლელობის მცდელობის მხოლოდ საწყის ეტაპზე არ წარმოიშობა, მანამ, სანამ ის, ვინც თვითმკვლელობა სცადა არ არის მოკლებული ნების თავისუფლად გამოხატვის უნარს და არ იმყოფება სიცოცხლისთვის სე-

---

[1164] იხ. *Eisele J.,* იქვე,გვ. 388,Rn. 1249-1250; *Rengier R.*, Strafrecht, BT II, Delikte gegen die Person und die Allgemeinheit, 13. Aufl., München, 2012, S. 375, §42 Rn. 4; *Sternberg/Lieben/Hecker,* in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., München, 2010, S. 2796, §323 c Rn. 9.

[1165] იხ. *Eisele J.,* იქვე,გვ. 389,Rn. 1251.

[1166] იხ. *Sternberg/Lieben/Hecker,* in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., München, 2010, S. 2795, §323 c Rn. 7.

[1167] იხ. *Sternberg/Lieben/Hecker,* იქვე, გვ. 2799, §323 c Rn. 29.

[1168] იხ. *Sternberg/Lieben/Hecker,* იქვე, გვ. 2795, §323 c Rn. 7; *Rengier R.*, Strafrecht, BT II, Delikte gegen die Person und die Allgemeinheit, 13. Aufl., München, 2012, S. 69, §8 Rn. 18.

[1169] იხ. *Sternberg/Lieben/Hecker,*იქვე.

რიოზულად სახიფათო ვითარებაში.[1170] აღნიშნულ საკითხზე არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, დახმარების ვალდებულება არ წარმოიშობა მას შემდეგაც, როცა თვითმკვლელი თავისი ქმედების შედეგად უგონო მდგომარეობაში აღმოჩნდება.[1171]

როგორც აღინიშნა, დახმარების სოლიდარული მოვალეობა შეიძლება წარმოშვას საყოველთაო საშიშროებამ, რომელიც ადამიანთა განუსაზღვრელი რაოდენობისთვის ან მნიშვნელოვან ღირებულებას უქმნის დაზიანების არსებით საფრთხეს.[1172] ასეთ საყოველთაო საშიშროებას შეიძლება ადგილი ჰქონეს მაშინ, როცა საცხოვრებელ სახლში ხანძარი გაჩნდება ან ქუჩაში საშიში ვითარება შეიქმნება.[1173]

გერმანული სსკ-ის 323c -ე პარაგრაფით გათვალისწინებული დანაშაულისგან სამართლებრივად დასაცავი სიკეთის საკითხი სადაოა. ერთი მხრივ, აღნიშნული ნორმით დაცულ სიკეთედ გერმანელი მეცნიერები ასახელებენ ინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთეს,[1174] ხოლო მეორე მხრივ, ქმედების შემადგენლობას განიხილავენ საყოველთაო საშიშროების დელიქტების თავში. უმცირესობის აზრით, განსახილველი დანაშაულისაგან დასაცავ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს არა ინდივიდუალურ-სამართლებრივი ინტერესები, არამედ სოციალური სტაბილურობა.[1175]

დაუხმარებლობა წარმოადგენს დენად დანაშაულს. იგი ფორმალურად დამთავრებულია მაშინ, როცა ადამიანი განსაცდელში აღმოჩნდება და მას დახმარებას არ აღმოუჩენენ, მაგრამ მატერიალური გაგებით გრძელდება მანამ, სანამ დაზარალებული საფრთხეში იმყოფება.[1176]

აზრთა სხვაობა არსებობს იმასთან დაკავშირებით, დაუხმარებლობა გერმანული სსკ-ის მიხედვით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია თუ კონკრეტული.[1177] დაუხმარებლობას ზოგიერთი გერმანელი ავტორი კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტად მიიჩნევს.[1178]

დაუხმარებლობა ისევე უნდა იქნეს მიჩნეული აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად, როგორც განსაცდელში მიტოვება, ვინაიდან განსაცდელში მიტოვება და დაუხმარებლობა როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური შემადგენლობით, თითქმის ანალოგიურ შემადგენლობას წარმოადგენენ. მათ შორის განსხვავება ამსრულებელშია. განსაცდელში მიტოვება მოვალეობის დელიქტია, მისი ამსრულებელი არის სპეციალური სუბიექტი, რომელსაც გარანტის ფუნქცია გააჩნია. განსაცდელში მიტოვებასა და დაუხმარებლობას შორის განსხვავება იმაშიც არის, რომ თუ განსაცდელ-

---

[1170] იხ. *Fischer T.*, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Aufl., München, 2010, S. 2256, §323c Rn. 3b.

[1171] იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 239.

[1172] იხ. *Eisele J.,* იქვე, გვ. 390, Rn. 1253.

[1173] იხ. *Eisele J.,* იქვე, გვ. 390, Rn. 1253.

[1174] იხ. *Lackner/Kühl,* Strafgesetzbuch, Kommentar, 27. Aufl., München, 2011, S. 1491, §323c Rn. 1; *Rengier R.*, Strafrecht, BT II, Delikte gegen die Person und die Allgemeinheit, 13. Aufl., München, 2012, S. 373, §42 Rn. 1; *Eisele J.,* იქვე, გვ. 387, Rn. 1246.

[1175] იხ. *Pawlik M.,* Unterlassene Hilfeleistung: Zuständigkeitsbegründung und systematische Struktur, GA 1995, S. 365-366.

[1176] იხ. *Spendel G.*, in: LK, 11. Aufl., Berlin, 2005, §323 c Rn. 25.

[1177] იხ. *Spendel G.*, იქვე, Rn. 20.

[1178] იხ. *Satzger H., Schmitt B., Widmaier G.,* (Hrsg), Strafgesetzbuch, Kommentar, 1. Aufl., 2009, S. 2127; *Fischer T.*, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Aufl., München, 2010, S. 2255, §323c Rn. 1. დაუხმარებლობას აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტად მიიჩნევს *ბ. ჭაბრიხი.* იხ. *Heinrich B.,* Der Erfolgsort beim abstrakten Gefährdungsdelikt, GA 1999, S. 74.

ში მიტოვების დროს დაზარალებული განსაცდელში ხშირად დამნაშავის წინარე მოქმედებით აღმოჩნდება, დაუხმარებლობის შემთხვევაში კი დახმარების ვალდებულება ყოველთვის დამნაშავისგან დამოუკიდებელი მიზეზით წარმოიშობა. ორივე დელიქტი წმინდა უმოქმედობის დელიქტია და დამთავრებულად ითვლება სავალდებულო მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების მომენტში ანუ მათი დასრულებისთვის არ არის საჭირო კონკრეტული შედეგის დადგომა, ხოლო ის კონკრეტული საფრთხე, რომელიც დაზარალებულის განსაცდელში ყოფნას გულისხმობს, უნდა არსებობდეს მანამ, სანამ განსაცდელში მიტოვების ან კიდევ დაუხმარებლობის ამსრულებელს მოქმედების ვალდებულება წარმოეშობა.

დანაშაულის ამსრულებლად განიხილავენ, როგორც მძღოლს, რომელსაც ავტოსაგზაო შემთხვევაში ბრალი არ მიუძღვის, ისე მგზავრსაც, რომელიც მძღოლს ეჯდა მანქანაში, აგრეთვე იმას, ვინც შემთხვევის ადგილზე შემთხვევით აღმოჩნდა.[1179] მაგრამ, ზემოთ აღინიშნა და კიდევ უნდა ითქვას, რომ გაუმართლებელია დაუხმარებლობისთვის დაისაჯოს მძღოლი მაშინაც, როცა ავტოსაგზაო შემთხვევაში მძღოლს ბრალი არ მიუძღვის, ვინაიდან მძღოლი ახორციელებს სოციალური რისკის შემცველ ქმედებას. ამიტომ, მძღოლმა პასუხი განსაცდელში მიტოვებისთვის უნდა აგოს, თუ ავტოავარიის შემდეგ დაუხმარებლად მიატოვებს დაზარალებულს, მიუხედავად იმისა, მძღოლის წინარე ქმედება მართლზომიერი იყო, თუ მართლსაწინააღმდეგო.

დაუხმარებლობის დროს დახმარების მოვალეობა ეკისრება არა მხოლოდ იმას, ვინც უბედური შემთხვევის ადგილზე იმყოფება, არამედ იმასაც, ვინც უბედური შემთხვევის და განსაცდელში ადამიანის ყოფნის შესახებ გაიგებს.[1180] აღნიშნულიდან გამომდინარე დაუხმარებლობისთვის შეიძლება შემთხვევის ადგილზე არმყოფი ის პირიც დაისაჯოს, ვინც გაიგებს, რომ ადამიანი განსაცდელშია და არ მიიღებს ზომებს მის დასახმარებლად, არც თვითონ გაემართება დაზარალებულისკენ დახმარების მიზნით და არც შესაბამის ორგანოებს შეატყობინებს არსებულ მდგომარეობაზე.

დაუხმარებლობაში თანამონაწილეობა გაბატონებული შეხედულების თანახმად შეუძლებელია, თუ უბედური შემთხვევის ადგილზე მყოფის მიმართ დახმარების ვალდებულება არ ვრცელდება.[1181]

[1179] იხ. *Sternberg/Lieben/Hecker,* იქვე, გვ. 2799, §323 c Rn. 28.

[1180] იხ. *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf,* Strafrecht, BT, Lehrbuch, 2. Aufl., Bielefeld, 2009, S. 1027, §39 Rn. 20.

[1181] იხ. *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf,* Strafrecht, BT, Lehrbuch, 2. Aufl., Bielefeld, 2009, S. 1029, §39 Rn. 27.

5. ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება (130-ე მუხ.)

5.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება გულისხმობს „სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისათვის არასაპატიო მიზეზით მედიცინის მუშაკის მიერ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაუწევლობას“. განსახილველი დანაშაული დიდად არ განსხვავდება საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისგან. განსხვავება მდგომარეობს დანაშაულის ამსრულებელში და დაზარალებულში. დანაშაულის ამსრულებელია მედიცინის მუშაკი. რაც შეეხება დაზარალებულს, იგი არის პაციენტი.

დანაშაული ხორციელდება უმოქმედობით და დამთავრებულია უმოქმედობის მომენტშივე. თუ უმოქმედობას სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, ქმედება დაკვალიფიცირდება 130-ე მუხლის მე-2 ნაწილით. ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია.

დანაშაული განზრახია. დანაშაულის ამსრულებელს გაცნობიერებული აქვს, რომ პაციენტი დახმარებას საჭიროებს და მედიცინის მუშაკი კიდევ შეგნებულად არ უწევს დახმარებას. დახმარების გაუწევლობის მიზეზი არასაპატიო უნდა იყოს და ამის შესახებ პირდაპირ არის აღნიშნული 130-ე მუხლის დისპოზიციაში, რაც იმის წარმოდგენას იძლევა, რომ თუ დაუხმარებლობის მიზეზი საპატიოა, ექიმი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ქმედების შემადგენლობის არარსებობის გამო. დაუხმარებლობის მიზეზი საპატიო ვერ იქნება, თუ მედიცინის მუშაკი შვებულებაში იყო და ამის გამო არ დაეხმარა პაციენტს. ექიმი სამსახურში არყოფნის დროსაც არის ვალდებული იზრუნოს პაციენტის გადასარჩენად, თუ მას ეს ფიზიკურად შეუძლია. დაუხმარებლობის საპატიო მიზეზი იგივეა, რაც დახმარების შესაძლებლობის არქონა. რამდენადაც მოქმედების შესაძლებლობის არქონა ქმედების შემადგენლობის ნიშანი არ შეიძლება იყოს,[1182] მიზანშეწონილია 130-ე მუხლის დისპოზიცია შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდეს: „სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისთვის მედიცინის მუშაკის მიერ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაუწევლობა“.

ავადმყოფის განსაცდელში მიტოვების შემადგენლობა მაშინ იქნება განხორციელებული, თუ პაციენტი სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ის სამედიცინო დახმარება, რომლის გაწევაზეც უარი თქვა ექიმმა, გადაუდებელი იყო. ორივე პირობა კუმულაციურად უნდა არსებობდეს. შეიძლება სამედიცინო დახმარება სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფს სჭირდებოდეს, მაგრამ დახმარება არ იყოს გადაუდებელი ხასიათის. გადაუდებელი დახმარება გულისხმობს ისეთს, რომლის გაუწევლობაც პაციენტის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის დამატებით სერიოზულ პრობლემებს შექმნის.

ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება წმინდა უმოქმედობის დელიქტია, მაგრამ იბადება კითხვა, შეიძლება თუ არა განსაცდელში მი-

[1182] აღნიშნულ საკითხზე ზემოთ ვრცლად ვისაუბრეთ მოვალეობათა კოლიზიისა და სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის განხილვისას.

ტოვებად ჩაითვალოს ექიმის მიერ მისდამი დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება, თუ აღნიშნული დანაშაული სრულ უმოქმედობას გულისხმობს? მაგალითად, საავამდყოფოში შეიყვანეს დაჭრილი ადამიანი, რომელიც საჭიროებდა გადაუდებელ ქირურგიულ ჩარევას. ექიმმა პაციენტს გაუკეთა ოპერაცია, მაგრამ უხარისხოდ ანუ ექიმმა არ ამოწურა თავისი შესაძლებლობები და მართალია, პაციენტს მოემსახურა, მაგრამ არა სათანადო დონეზე, რითაც არ შეასრულა კანონის მოთხოვნა. ვმიუხედავად კანონის მოთხოვნის სრულად შეუსრულებლობისა, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს არა უმოქმედობას, არამედ მოქმედებას. ე. ი. იგი არ შეიძლება ჩაითვალოს პაციენტის განსაცდელში მიტოვებად. მთავარია, რომ ექიმი მოქმედებდა. ხოლო, ის ფაქტი, რომ ექიმმა სრულად არ განახორციელა კანონის მოთხოვნები, ვერ მოგვცემს უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის შემადგენლობას. თუ ჩვენ ანალოგიურ შემთხვევებში უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულზე ვიმსჯელებთ, მოქმედებით ჩადენილი დანაშაულებიც უმოქმედობით განხორციელებულ დანაშაულებად უნდა განვიხილოთ. კანონით გათვალისწინებული მოთხოვნა არ სრულდება მოქმედებით დელიქტებშიც. მაგალითად, როცა მძღოლი არღვევს მოძრაობის უსაფრთხოების წესებს და აღნიშნული ქმედებით დგება მძიმე შედეგი, ადგილი აქვს მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის მოთხოვნების შეუსრულებლობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, დანაშაული მაინც მოქმედებითაა ჩადენილი. თვით ავტომანქანით გადაადგილება მოქმედებაა. იგივე უნდა ითქვას უხარისხო სამედიცინო მომსახურებით გამოწვეულ სიცოცხლის მოსპობაზე. როცა სიცოცხლის მოსპობა შედეგად მოჰყვება ექიმის მიერ უხარისხოდ ჩატარებულ ქირურგიულ ოპერაციას, შედეგი გამოწვეული იქნება არა განსაცდელში მიტოვებით, არამედ მოქმედებით, რომელიც არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

როგორც უკვე აღინიშნა, ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება წმინდა უმოქმედობის დელიქტია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ფორმალური დელიქტია, მაგრამ *ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი* საკამათოდ მიიჩნევს წმინდა უმოქმედობის დელიქტის მიჩნევას ფორმალურ დანაშაულად და სვამს კითხვას: „თუ წმინდა უმოქმედობა ყოველთვის შედეგგარეშე დანაშაულია, უმოქმედობის რომელ სახეს უნდა მივაკუთვნოთ სსკ 130-ე მუხლის მე-2 ნაწილი“?[1183] საკითხის ასე დასმა გაუმართლებელია. მართალია, სსკ-ის 130-ე მუხლის მე-2 ნაწილით ისჯება ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება, რამაც ავადმყოფის ჯანმრთელობის დაზიანება ან სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, მაგრამ ეს ვერ შეცვლის ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობის ბუნებას. 130-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობა, რაც არა მხოლოდ შედეგიან, არამედ უშედეგო დელიქტებშიც არსებობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მძიმე შედეგმა სასჯელი ფორმალურ დელიქტებშიც შეიძლება დაამძიმოს. თუმცა, ეს არ ცვლის ფორმალური შემადგენლობის შინაარსს. ფორმალური შემადგენლობა ყოველთვის ძირითად შემადგენლობაშია მოცემული. შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობა კი ყოველთვის შედეგიანი, მატერიალური

[1183] იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 300.

შემადგენლობაა. შესაბამისად, უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირიც დამდგარ მაკვალიფიცირებელ შედეგსა და ქმედებას შორის. შედეგიან დანაშაულთან გვაქვს საქმე ოუ უშედეგოსთან, ეს უნდა გაირკვეს შესაბამისი ქმედების არა კვალიფიცირებული, არამედ ძირითადი შემადგენლობით.

5.2. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე შემადგენლობას ავადმყოფის განსაცდელში მიტოვებაზე არ ითვალისწინებს. თუ ექიმი მძიმე ავამდყოფს უყურადღებოდ მიატოვებს, ექიმის ქმედება დაკვალიფიცირდება გერმანიის სსკ-ის 221-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მე-2 ქვეპუნქტით.[1184]აღნიშნული ნორმით კვალიფიცირდება არა მხოლოდ ექიმის მიერ ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება, არამედ განსაცდელში მიტოვების სხვა შემთხვევებიც (მაგალითად მძღოლის მიერ მისი ბრალეული ქმედების შედეგად განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანის მიტოვებაც).

მაშინ, როცა ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია, გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით იგი კონკრეტული საფრთხის დელიქტად განიხილება,[1185] ვინაიდან გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის თანახმად, განსაცდელში მიტოვებით დაზარალებულს სიკვდილის ან ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხე უნდა შეექმნას.

რამდენადაც ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება გერმანული სსკ-ის მიხედვით კონკრეტული საფრთხის დელიქტია და ავადმყოფის განსაცდელში მიტოვებამ ავადმყოფის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას კონკრეტული საფრთხე უნდა შეუქმნას, საჭიროა მიზეზობრივი კავშირის დადგენა კონკრეტულ საფრთხესა და ექიმის უმოქმედობას შორის.

ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება გერმანული სსკ-ის მიხედვით, გადაცდომად ითვლება.

6. შიდსის შეყრა (131-ე მუხ.)

6.1. ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

შიდსი შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომია. იგი ერთ-ერთი მძიმე, განუკურნებელი დაავადებაა, რომელსაც იწვევს იმუნოდეფიციტის ვირუსი. ტერმინით „შიდსი“ აღინიშნება აივ ინფექციის განვითარების ბოლო სტადია, როდესაც ავადმყოფს უვითარდება კლინიკური ნიშნები

[1184] იხ. *Rengier R.*, Strafrecht, BT II, Delikte gegen die Person und die Allgemeinheit, 13. Aufl., München, 2012, S. 82, §10 Rn. 9a.

[1185] იხ. *Lackner/ Kühl,* Strafgesetzbuch Kommentar, 27. Aufl., München, 2011, S. 1026, §221 Rn. 1.

და იმუნური სისტემის მძიმე დაზიანება.[1186]

შიდსი, როგორც დაავადება პირველად 1981 წელს ამერიკაში იქნა იდენტიფიცირებული, ხოლო 1982 წელს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის მიერ ოფიციალურად იქნა რეგისტრირებული. აღნიშნული დაავადების წარმოშობასთან დაკავშირებით განსხვავებული ვერსიები არსებობს. ერთ-ერთი ვერსიით შიდსი დიდი ხნის წინათ არსებობდა ცენტრალური და დასავლეთ აფრიკის ზოგიერთ რეგიონში და მის გლობალურ გავრცელებას ხელი შეუწყო ამერიკის და ევროპის სისხლის ბანკებში აფრიკიდან იაფფასიანი სისხლის ექსპორტმა. განსხვავებული და შედარებით გავრცელებული შეხედულების მიხედვით კი, შიდსის ვირუსის წინამორბედი ფართოდ იყო გავრცელებული აფრიკის კონტინენტზე მცხოვრებ მაიმუნებში, რომელმაც მუტაცია განიცადა და ადამიანებში გავრცელდა.[1187]

აივ ინფექციამ – ინფექციურმა დაავადებამ, რომელსაც ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ) იწვევს, საფრთხე შეუქმნა მსოფლიოს საზოგადოებას და ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა იგი. ჯერ-ჯერობით კაცობრიობამ ვერ მოიგონა წამალი, რომლითაც ამ დაავადების განკურნება იქნებოდა შესაძლებელი.

აივ ინფექცია/შიდსის შესახებ საქართველოს 2009 წლის 17 ნოემბრის კანონით საქართველოში მცხოვრები მოქალაქეები უზრუნველყოფილნი არიან აივ ინფექციაზე ნებაყოფლობითი ტესტირებით. აივ ინფექციაზე/შიდსზე ტესტირება სავალდებულოა ორგანოების, ორგანოთა ნაწილების, ქსოვილების, სისხლის, სისხლის კომპონენტების, კვერცხუჯრედისა და სპერმის დონორთათვის.

ცნობილია, რომ აივ ინფექცია გადადის აივ ინფიცირებულთან დაუცველი სქესობრივი კავშირის, სისხლის გადასხმისა და ნახმარი ინფიცირებული ნემსით ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების გზით. შიდსით დაინფიცირების მიზეზი ასევე შეიძლება იყოს სილამაზის სალონებსა და სტომატოლოგიურ ან სხვა სამედიცინო კლინიკებში ჰიგიენის ნორმების დაუცველობა და არასტერილური ინსტრუმენტების გამოყენება.

პირს, რომელიც გაივლის შემოწმებას აივ ინფექციაზე და დაუდასტურდება ინფიცირების ფაქტი, შესაბამისი ჯანდაცვის ორგანოებისგან განემარტება აივ ინფექციის გავრცელების თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ. აივ ინფექციით დაინფიცირებული კი წერილობით ადასტურებს აღნიშნული ინფორმაციის გაცნობას. თუ ინფიცირებული არასრულწლოვანი ან ფსიქიკურად დაავადებულია, აივ ინფექციის გავრცელების თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ინფიცირებულის მეურვეს ან მზრუნველს.

ინფიცირების დადგენა შესაძლებელია ინფიცირებიდან 4-6 კვირის ვადაში. ხოლო ინკუბაციიდან საშუალოდ ექვსი წლის შემდეგ ვლინდება იმუნოდეფიციტის სინდრომი (შიდსი). თუმცა, აივ ინფექციით ჯანმრთელი ადამიანის დაინფიცირების მომენტიდან მისი ჯანმრთელობა უკვე დაზიანებულია იმუნიდეფიციტის სინდრომის დაწყებამდეც. ინფიცირების

[1186] იხ. *მამულაშვილი ბ.*, აივ ინფექცია/შიდსი – სოციალურ-ეთიკური პრობლემები, ფილოსოფიური ძიებანი, კრებული მეათე, თბ., 2006, გვ. 266.

[1187] იხ. *მამულაშვილი ბ.*, იქვე, გვ. 266-267.

შედეგად ზიანდება იმუნური სისტემა და სუსტდება ადამიანის ორგანოების ფუნქციები. ეს ყოველივე თავს იჩენს იმაში, რომ ინფიცირების შედეგად ინფიცირებული სხვა დაავადებისადმი მიდრეკილი ხდება.[1188]

აივ ინფექცია/შიდსის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 და საქართველოს სსკ-ის 131-ე მუხლების შესაბამისად, აივ ინფიცირებული/შიდსით დაავადებული პასუხს აგებს სხვა პირისთვის შიდსის შეყრისთვის და ასევე შიდსის განზრახ შეყრის საფრთხის შექმნისთვის. აივ ინფიცირებული/შიდსით დაავადებული, რომლისთვისაც ცნობილია საკუთარი დაავადების შესახებ, ვალდებულია აცნობოს მეუღლეს/სქესობრივ პარტნიორს საკუთარი აივ ინფიცირების შესახებ. საქართველოს სსკ-ის 131-ე მუხლით ისჯება არა მხოლოდ შიდსით დაინფიცირებული, არამედ ნებისმიერი პირი, რომელიც ჯანმრთელ ადამიანს დააინფიცირებს შიდსით ან შეუქმნის შიდსით დაინფიცირების საფრთხეს.

სხვა პირისათვის შიდსის შეყრის საფრთხის შექმნის დასჯით კანონმდებელი ფაქტიურად ქმედებას მცდელობის ეტაპზე აცხადებს დამთავრებულ დანაშაულად. შიდსის შეყრის საფრთხე შეიძლება გაუფრთხილებლობითაც, მაგალითად არასტერილიზებული სამედიცინო ინსტრუმენტის გამოყენების შედეგად შეიქმნას, მაგრამ გაუფრთხილებლობითი ქმედებით შიდსის შეყრის საფრთხის შექმნა არ ისჯება. იმისთვის, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დაისვას, აუცილებელია შიდსის შეყრის საფრთხე განზრახ იყოს შექმნილი.

შიდსის შეყრა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით კონკრეტული საფრთხის დელიქტია. აღნიშნული ქმედება საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს. შიდსის შეყრა, როგორც უკვე აღინიშნა, ამავდროულად ჯანმრთელობის დაზიანებასაც წარმოადგენს.

შიდსის შეყრა შეიძლება განხორციელდეს განზრახაც და გაუფრთხილებლობითაც, მაგრამ თუ შიდსის განზრახ შეყრა ყოველთვის დასჯადია, გაუფრთხილებლობით შიდსის შეყრა მაშინ ისჯება, როდესაც ეს დაკავშირებულია პროფესიულ საქმიანობასთან. თუ შიდსის განზრახ შეყრის ამსრულებელი ნებისმიერი პირი შეიძლება იყოს, გაუფრთხილებლობით შიდსის შეყრისას, დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია. მაგალითად, როდესაც ექიმი არღვევს წინდახედულების ნორმებს და იყენებს არასტერილიზებულ სამედიცინო ინსტრუმენტს, რაც იწვევს ჯანმრთელი ადამიანის დაინფიცირებას. შიდსით დაინფიცირება შეიძლება მოხდეს დაუცველი სქესობრივი კავშირის შედეგად, მაგრამ იგი მხოლოდ მაშინ დაისჯება თუ განზრახ მოხდა დაინფიცირება. არ დაისჯება პირი, რომელმაც არ იცოდა, რომ შიდსით იყო დაინფიცირებული და დაამყარა ჯანმრთელ ადამიანთან სქესობრივი კავშირი, თუ სქესობრივმა კავშირმა გამოიწვია სქესობრივი პარტნიორის შიდსით დაინფიცირება.

საქართველოს სსკ-ის 131-ე მუხლით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებადაა გათვალისწინებული ორი ან მეტი ადამიანისთვის, ორსული ქალის ან არასრულწლოვნისთვის შიდსის შეყრის საფრთხის შექმნა ან შიდსის შეყრა. დამნაშავეს, რასაკვირველია, შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ არასრულწლოვანთან, ორსულ ქალთან ამყარებს ურთ-

[1188] იხ. *Lilie H.*, in: LK, 11. Aufl., 2005, §223 Rn. 10.

იერთობას და მათ უქმნის დაინფიცირების საფრთხეს. თუ დამნაშავისთვის დაზარალებულის დაინფიცირების შემდგომ გახდა ცნობილი, რომ დაზარალებული არასრულწლოვანი ან ორსული იყო, მაკვალიფიცირებელი გარემოება არ იქნება სახეზე.

6.2. გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

შიდსით დაინფიცირებისთვის პასუხისმგებლობა ადამიანს არა მხოლოდ ქართული, არამედ გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობითაც ეკისრება, მაგრამ თუ ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში სპეციალური მუხლით არის აღნიშნული ქმედებისთვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებული, გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში შიდსის შეყრის შემადგენლობა ცალკე არ გვხვდება.

რამდენადაც შიდსი სიცოცხლისთვის საშიში, მძიმე დაავადებაა, იბადება კითხვა, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება, როცა შიდსით დაინფიცირებული, რომელმაც იცის, რომ შიდსით არის დაინფიცირებული, დაუცველ სქესობრივ კავშირს ამყარებს სქესობრივ პარტნიორთან? დამნაშავე ასეთ დროს სიცოცხლის მოსპობის განზრახვით მოქმედებს, თუ ჯანმრთელობის დაზიანების?

დასმულ კითხვაზე გერმანულ სისხლის სამართალში არ არსებობს ერთიანი მოსაზრება. დისკუსიის საგანს წარმოადგენს ასევე არა მხოლოდ შიდსის, არამედ სხვა მაღალი რისკის ინფექციურ დაავადებათა (A, B, C. ჰეპატიტი) შეყრის დროს ქმედების კვალიფიკაციის საკითხი.[1189] იურიდიულ ლიტერატურაში შიდსის შეყრისას ქმედების კვალიფიკაციის რამდენიმე შესაძლო ვარიანტზე მიუთითებენ. კერძოდ, სხვადასხვა მოსაზრების მიხედვით, ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს გერმანული სსკ-ის 223-ე პარაგრაფით (ჯანმრთელობის დაზიანება), 224-ე პარაგრაფით (ჯანმრთელობის საშიში დაზიანება[1190]), 226-ე პარაგრაფით (ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება) ან საეროდ 211-ე პარაგრაფით (მკვლელობა).

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული ერთერთი შეხედულების თანახმად, მაშინ, როცა დამნაშავემ იცის მისი ინფიცირების შესახებ და ამას უმალავს სექსუალურ პარტნიორს, დაუცველი სქესობრივი კავშირის შემთხვევაში არაა გამორიცხული ქმედების კვალიფიკაცია მკვლელობის (მცდელობა) პარაგრაფით (§211), მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილის გამომწვევ ავადმყოფურ მდგომარეობასა (აივ ინფექციით დაინფიცირება) და სიკვდილს შორის არის დროის არც თუ ისე მოკლე ინტერვალი. ამავე მოსაზრებით დოგმატურად გაუმართლებელია მკვლელობის პარაგრაფით ქმედების კვალიფიკაციაზე უარის თქმა, ვინაიდან შედეგის გამომწვევი მიზეზობრიობის ჯაჭვის გაშლის შედეგად სასიკვდილო შედეგი უნდა დადგეს. აღნიშნული თვალსაზრისის ავტორები სვამენ კითხვას, თუ რატომ უნდა იქნეს პრივილეგირებული ის დამნაშავე, რომელიც მსხვერპლს შიდსის შეყრის გზით კლავს, იმ დამ-

[1189] იხ. *Joecks W.*, in: MüKo, Band 3, München, 2003, S. 731, §223 Rn. 62.

[1190] იგულისხმება სიცოცხლისთვის საშიში.

ნაშავესთან შედარებით, რომელიც მსხვერპლს უმალვე უსპობს სიცოცხლეს. მათ მთავარი აქცენტი გადააქვთ სასიკვდილო შედეგზე, რომელიც შიდსის შეყრას დროის გარკვეულ პერიოდში აუცილებლად მოჰყვება და არა იმაზე, რომ შიდსის შეყრასა და სასიკვდილო შედეგს შორის დროის გარკვეული შუალედია. გარდა ამისა, იმასაც მიუთითებენ, რომ შიდსის შეყრა არცთუ იშვიათად მალე მთავრდება სასიკვდილო შედეგით.[1191]

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომელიც გაბატონებულ შეხედულებად ითვლება. კერძოდ, ავტორთა უმრავლესობა თვლის, რომ შიდსის შეყრა თანამედროვე გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლით უნდა დაისაჯოს. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ჯანმრთელობის საშიში დაზიანებისთვის. დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის პირველი პუნქტი ითვალისწინებს მოწამვლის შედეგად ჯანმრთელობის დაზიანების დასჯადობას.

რ. რენგირის შეხედულებით, შიდსის განზრახ შეყრისას დამნაშავე მოქმედებს არა სიცოცხლის მოსპობის, არამედ ჯანმრთელობის დაზიანების განზრახვით,[1192] მიუხედავად დაავადების სიმძიმის და საშიშროებისა. შიდსის შეყრისას ქმედების კვალიფიკაციას მკვლელობად ან მკვლელობის მცდელობად შეუძლებლად თვლის *ბ. შუნემანიც.*[1193]

გერმანული სსკ-ის 224-ე პარაგრაფით შიდსის შეყრის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით არსებობს ერთი კითხვა: ვინაიდან 224-ე პარაგრაფით ისჯება სხეულის სახიფათო დაზიანება, რამდენად გამართლებულია სიცოცხლისთვის საშიში დაავადების გაიგივება ჯანმრთელობის დამაზიანებელ ნივთიერებასთან? იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, სიცოცხლისთვის საშიშ, ჯანმრთელობის დამაზიანებელ ნივთიერებად შეიძლება განვიხილოთ შიდსით დაინფიცირებულის სისხლი და სპერმა, რომლის გამოყოფა შიდსით დაინფიცირებულისგან შესაძლებელია.[1194] *შუნემანის* თვალსაზრისით, შიდსის შეყრის დროს დამნაშავე ახორციელებს ჯანმრთელობის დაზიანების ობიექტურ შემადგენლობას და მკვლელობის ობიექტურ შემადგენლობას გამორიცხავს სწორედ ის გარემოება, რომ დღეისათვის აივ ინფექციით ინფიცირება უდავოდ მიიჩნევა ჯანმრთელობის ხელმყოფ ნივთიერებად („gesundheitsschädliche Stoff“).[1195]

შუნემანს თერაპიის განვითარების გათვალისწინებით თანამედროვე პირობებში შიდსის შეყრისას ქმედების კვალიფიკაცია მკვლელობის მუხლით მიუღებლად მიაჩნია, ვინაიდან შესაძლებელია სიკვდილის დროის პროგნოზირება[1196] და ინფიცირება სათანადო მკურნალობის შემთხვევაში არ იწვევს უეცარ სიკვდილს. იგი გაკვირვებას გამოხატავს იმ ავტორთა პოზიციასთან დაკავშირებით, რომლებიც შიდსის შეყრისას მკვლელობის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების იდეას მკაცრად იცავენ.

[1191] იხ. *Lilie H.*, in: LK, 11. Aufl., 2005, §223 Rn. 11.

[1192] იხ. *Rengier R.,* Strafrecht, BT II, Delikte gegen die Person und die Allgemeinheit, 13. Aufl., München, 2012, S. 102, §13. Rn. 14.

[1193] იხ. *Schünemann B.*, Die Rechtsprobleme von AIDS, Eser-FS, München, 2005, S. 1149-1150.

[1194] იხ. *Krey/Hellmann/Heinrich.,* Strafrecht, BT, Band 1, 15. Aufl., Stuttgart, 2012, S. 72, 41-ე სქოლიო.

[1195] იხ. *Schünemann B.*, Die Rechtsprobleme von AIDS, Eser-FS, München, 2005, S. 1150.

[1196] იხ. *Schünemann B.*, იქვე.

შუნემანი ასახელებს იმ მიზეზებს, თუ რის გამოც მიიჩნევს შიდსის შეყრისას ქმედების კვალიფიკაციას მკვლელობის მუხლით: იგი აივ ინფექციას ადარებს ქრონიკულ დაავადებას და აღნიშნავს, რომ ყველა ქრონიკული დაავადება სიცოცხლის შემოკლებას გულისხმობს, მაგრამ შეუძლებელია ქრონიკული დაავადების გამომწვევი ქმედება მკვლელობის მუხლით დაკვალიფიცირდეს; ჯანმრთელობის დაზიანების გამო ადრეული სამართლებრივი გაკიცხვა გაუმართლებელია; მკვლელობის ვარგისი და არა წარუმატებელი მცდელობის გამო დამნაშავის დასჯა პარადოქსულია მაშინ, როცა მსხვერპლის მკვლელობის მცდელობა უკვე განხორციელებულია და მსხვერპლი ჯერ კიდევ ცოცხალია.

შუნემანის შეხედულება შიდსის შეყრისას ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით მართლაც საინტერესოა. განსაკუთრებით საყურადღებოა მის მიერ დასახელებული მესამე მიზეზი, რის გამოც თვლის იგი გაუმართლებლად ქმედების კვალიფიკაციას მკვლელობის მცდელობად. მკვლელობის მცდელობა გულისხმობს ქმედებას, რომელიც განხორციელებულია სასიკვდილო შედეგის გამოწვევის მიზნით, მაგრამ არ მოჰყვება სიცოცხლის მოსპობა. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ხელის შეშლა მესამე პირთა მხრიდან, მაგრამ ამას შიდსის შეყრის დროს ადგილი არ აქვს. შიდსის შეყრას ვერ შევადარებთ ასევე მკვლელობის მცდელობას უშედეგო ობიექტზე ან უშედეგო იარაღით. უშედეგო ობიექტზე მცდელობის დროს, არ გვყავს მკვლელობისთვის ვარგისი ობიექტი, ასეთი ობიექტის მიმართ არა მხოლოდ მკვლელობის მცდელობის განხორციელებაა შეუძლებელი, არამედ მისთვის შიდსის შეყრაც. რაც შეეხება შიდსის შეყრის შედარებას უვარგისი საშუალებით მკვლელობის მცდელობასთან, მკვლელობის მცდელობისთვის უვარგისი იარაღი ობიექტურად არავითარ ან ყოველი შემთხვევისთვის რეალურ საფრთხეს არ ქმნის პოტენციური მსხვერპლის სიცოცხლისთვის. აივ ინფექციაზე კი ვერ ვიტყვით, რომ სიცოცხლისთვის საშიში არ არისო, მაგრამ აღნიშნული ინფექცია სათანადო მკურნალობის შემთხვევაში მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში ქმნის სასიკვდილო შედეგის გამოწვევის შესაძლებლობას. ასეთი შესაძლებლობა სხვა დაავადებითაც იქმნება, მაგალითად, C ჰეპატიტით. მკვლელობის მცდელობის დროს ეს ესაა იწყება ქმედების შემადგენლობის განხორციელება, რასაც შედეგად სიცოცხლის მოსპობა მოჰყვება. თუმცა, შიდსის შეყრისას სიცოცხლის მოსპობის მომენტი არ არის ისე ახლოს, როგორსაც მკვლელობის მცდელობა გულისხმობს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკამათო შეიძლება იყოს საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად შეიძლება ჩაითვალოს შიდსის შეყრა სიცოცხლისთვის კონკრეტული საფრთხის შემქმნელ ქმედებად.

რამდენადაც შიდსის შეყრა თანამედროვე გერმანული სსკ-ის მიხედვით და ავტორთა უმრავლესობის თვალსაზრისით ისჯება როგორც ჯანმრთელობის დაზიანება, ამდენად აღნიშნული დანაშაული უპირატესად მიიჩნევა არა საფრთხის შემქმნელ დელიქტად, არამედ მატერიალურ, შედეგიან შემადგენლობად. შიდსის შეყრით ადამიანს ჯანმრთელობა მძიმედ უზიანდება და უფრო მეტიც, მის სიცოცხლეს საფრთხესაც უქმნის. ამდენად, იგი ერთის მხრივ შედეგიანი შემადგენლობაა, როგორც ჯანმრთელობის დაზიანება, მაგრამ მეორეს მხრივ იგი სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელი დანაშაულიცაა.

შიდსის შეყრისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებულ ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს მიზეზობრივი კავშირის დადგენა. კერძოდ, იმის გარკვევა, თუ ვისგან და რომელი აქტით, ზუსტად რა დროს მოხდა ჯანმრთელი ადამიანის დაინფიცირება. მიზეზობრივი კავშირის დადგენა განსაკუთრებით ძნელია მაშინ, როცა ინფიცირებული ნარკოტიკების მომხმარებელია და თან კავშირი ჰქონდა რამოდენიმე სექსუალურ პარტნიორთან. რთულია, ზუსტად იმის დადგენა, დაინფიცირება ინფიცირებული ნემსით ნარკოტიკული საშუალების მოხმარების შედეგად მოხდა, თუ აივ ინფექციის მატარებელ სქესობრივ პარტნიორთან სექსუალური კონტაქტის შედეგად.[1197]

აივ ინფექცია, როგორც ცნობილია, გადადის სქესობრივი კავშირით. ამ გზით აივ ინფექციის გავრცელების რისკი დიდია მეძავებსა და ჰომოსექსუალებში. ლიტერატურაში დავაა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ქმედების კვალიფიკაციის საკითხი აღნიშნული რისკ ჯგუფების წარმომადგენლებთან ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირის შედეგად შიდსის შეყრისას. ავტორთა ერთი ნაწილის აზრით, მაშინ, როცა შიდსის შეყრას ადგილი აქვს ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირის შედეგად და სქესობრივი პარტნიორი აცნობიერებს იმას, რომ სქესობრივ კავშირს ამყარებს რისკ ჯგუფს მიკუთვნებულ პირთან, პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს მსხვერპლის მიერ საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნის გამო, ხოლო ავტორთა მეორე ჯგუფი მიიჩნევს, რომ მსხვერპლის წინდაუხედაობა სასჯელის დანიშვნის დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული, მაგრამ აღნიშნულ გარემოებას არ შეუძლია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვა, ვინაიდან საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნა არ არის სისხლისსამართლებრივად ირელევანტური.[1198] მართებულად უნდა მივიჩნიოთ სწორედ ეს უკანასკნელი შეხედულება. მსხვერპლის წინდაუხედაობა თუ მის მიერ გაწეული რისკი არ შეიძლება პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად მივიჩნიოთ დამნაშავისთვის, თუმცა სასჯელის დანიშვნისას სათვალავში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტობრივი ვითარება, რომ ადგილი ჰქონდა ნებაყოფლობით სქესობრივ კავშირს და მსხვერპლიც ითვალისწინებდა მისი ქმედების სავარაუდო შედეგებს. ასევე უნდა გავითვალისწინოთ შემდეგიც: მსხვერპლის ვარაუდი სქესობრივი კავშირის საალბათო შედეგებზე არ შეიძლება გავუთანაბროთ ისეთ შემთხვევას, როცა მსხვერპლი დარწმუნებულია მისი ქმედების მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ასევე მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქმე ეხება ისეთი ინფექციის შეყრას, რომელიც იწვევს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას, საშიშია სიცოცხლისთვის და შეიცავს საზოგადოების ჯანმრთელ წევრებზე სხვადასხვა გზით გადადების უნარს.

მართებულად მიუთითებს *რ-დ. ჰერცბერგი*, რომ თუ რისკ ჯგუფის წარმომადგენელთან ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირის გზით შიდსის შეყრის დროს მსხვერპლის წინდაუხედაობას დამნაშავის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად მივიჩნევდით, მოგვიწევდა დასკვნის გაკეთება, რომ „წინდაუხედავი არ საჭიროებს დაცვას“. საკითხისადმი

[1197] იხ. *Lilie H.*, იქვე, §223 Rn. 11.

[1198] იხ. *Joecks W.*, in: MüKo, Band 3, München, 2003, S. 732, §223 Rn.65.

ასეთ მიდგომას მივყავართ დამნაშავის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისკენ, როცა დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზი ხდება მსხვერპლის წინდაუხედაობა. ამგვარი პოზიციით პასუხისმგებლობისგან უნდა გავათავისუფლოთ ის, ვინც სხვის მანქანას ფარულად ეუფლება, თუ დამნაშავეს სხვისი მანქანის დაუფლებაში ხელი შეუწყო იმან, რომ მანქანის კარები არ იყო დაკეტილი და მანქანის დასაქოქი გასაღები მანქანაში იყო.[1199]

მსხვერპლის წინდაუხედაობა ხელს უწყობს ვიქტიმურობას, მაგრამ იგი არ შეიძლება დამნაშავის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება გახდეს. სისხლისსამართლებრივ დაცვას ისევე საჭიროებს წინდაუხედავი ადამიანი, როგორც წინდახედული. სისხლის სამართალი იმიტომ აწესებს პასუხისმგებლობას წინდახედულობის ნორმის დარღვევისთვის, რომ წინდახედულობის ნორმის დარღვევით სხვა ადამიანი არ დაზიანდეს, და არა იმიტომ, რომ თავად წინდახედულობის ნორმის დამრღვევი არ დაზიანდეს. თუ მსხვერპლის წინდაუხედაობას ვაქცევდით სხვისთვის შიდსის შეყრისთვის პასუხისმგებლობისგან გამათავისუფლებელ გარემოებად, პასუხისმგებლობას გადავაკისრებდით მსხვერპლს, რომელმაც, გარკვეულწილად, საკუთარი წინდაუხედაობით ხელი შეუწყო მოვლენათა იმგვარ განვითარებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა. ხოლო, დამნაშავეს, რომელმაც სხვისი წინდაუხედაობით ბოროტად ისარგებლა, პასუხისმგებლობისგან გავათავისუფლებდით, რაც გაუმართლებელი იქნებოდა. პრობლემის ამგვარი გადაჭრის შემთხვევაში ქურდი უნდა გავათავისუფლოთ პასუხისმგებლობისგან, რომელიც ხშირად დანაშაულს სწორედ მსხვერპლის წინდაუხედაობის საშუალებით ჩადის.

7. განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა (132-ე მუხ.)

7.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

საქართველოს სსკ-ის 132-ე მუხლის პირველი ნაწილით ისჯება სხვისთვის განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრის საფრთხის შექმნა. ხოლო, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა. 132-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული კონკრეტული საფრთხის დელიქტია. იგი საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. ჯანმრთელობის უფლება კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებას წარმოადგენს (37-ე მუხ.). კონსტიტუციის მიხედვით ჯანმრთელობა არ არის მხოლოდ სამედიცინო კატეგორია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, ჯანმრთელობა არის ადამიანის როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად და სოციალურად კარ-

[1199] იხ. *Herzberg R.-D.*, Aids: Herausforderung und Prüfstein des Strafrechts, JZ 1989, S. 474.

გად ყოფნა.[1200] საქართველოს სსკ-ის 132-ე მუხლთან მიმართებით ჯანმრთელობის ცნება ასე ფართოდ არ უნდა იქნეს გაგებული და იგი უნდა განიმარტოს მხოლოდ როგორც სამედიცინო კატეგორია, რომელიც არ მოიცავს სოციალურ ასპექტს. საქართველოს სსკ-ის 132-ე მუხლი იცავს ადამიანის ჯანმრთელად არსებობის უფლებას და არა ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ადამიანის ცხოვრების უფლებას. მართალია, სსკ-ის 132-ე მუხლით დაცული არ არის ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება, მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი განა როდი ამბობს საერთოდ უარს ამ უფლების დაცვაზე. აღნიშნული უფლება დაცულია სსკ-ის სხვა მუხლებით, რომლებიც მოცემულია ეკოლოგიურ დანაშაულთა თავში (სსკ-ის 288-ე, 289-ე, 292-ე და სხვა მუხლები). ჯანმრთელობის დაცვის უფლებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, კერძოდ, 1853 წელს პარიზში გაიმართა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სანიტარიის საკითხებს.[1201]

სსკ-ის 132-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება მას შემდეგ, როცა შეიქმნება სხვისთვის განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრის რეალური და კონკრეტული საფრთხე. სისხლის სამართლის კოდექსში არ არის მითითებული დანაშაული განზრახია თუ გაუფრთხილებლობითი, მაგრამ ამ შემთხვევაში ქმედება მხოლოდ განზრახ განხორციელებისას უნდა დაისაჯოს.[1202]

სსკ-ის 132-ე მუხლის მე-2 ნაწილით ისჯება სხვისთვის განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა. აღნიშნული დანაშაული შედეგიანია და შესაბამისად, იგი დამთავრებულად მხოლოდ შედეგის დადგომისას ითვლება. ასევე უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი განსაკუთრებით საშიშ ინფექციურ დაავადებებს მიაკუთვნებს ისეთ დაავადებებს (ქოლერა, შავი ჭირი, ყვითელი ცხელება, სისხლმდენი ვირუსული ცხელება, ყვავილი), რომელთა დროსაც შეიძლება გამოცხადდეს კარანტინი.[1203]

კანონმდებელი არც მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობაში არ მიუთითებს ქმედების სუბიექტურ მხარეზე. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ამ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით.[1204] თუ კანონმდებელი სსკ-ის 131-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობასთან დაკავშირებით ერთგვარ შეზღუდვას აწესებს და გაუფრთხილებლობით შიდსის შეყრას მხოლოდ მაშინ სჯის, როცა იგი პროფესიულ საქმიანობას-

---

[1200] იხ. *იზორია ლ.,* წიგნში: იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005, გვ. 308.

[1201] იხ. *კვაჭაძე მ.,* პაციენტთა უფლებების დაცვის საკითხები საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და საქართველოს კანონმდებლობაში, კრებულში: *კორკელია კ., სესიაშვილი ი.* (რედ.), საქართველო და საერთაშორისო სამართალი, თბ., 2001, გვ. 146.

[1202] იხ. *მამულაშვილი გ.,* წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 174.

[1203] იხ. *მამულაშვილი გ.,* იქვე, გვ. 174.

[1204] იხ. *მამულაშვილი გ.,* იქვე.

თანაა დაკავშირებული, 132-ე მუხლი ასეთ შეზღუდვას არ აწესებს და განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრას გაუფრთხილებლობით მაშინაც სჯის, როცა იგი პროფესიულ საქმიანობას არ უკავშირდება.

ვინაიდან 132-ე მუხლის დისპოზიციაში არ არის მითითებული დანაშაული სუბიექტური მხრივ განზრახ ხორციელდება, თუ გაუფრთხილებლობით და დანაშაულის ჩადენა ორივე ფორმით შეიძლება, აღნიშნული საკითხი სასჯელის დანიშვნის დროს იქნება გათვალისწინებული და არა ქმედების კვალიფიკაციისას. ვინც განზრახ ჩაიდენს დანაშაულს მკაცრად დაისჯება, ხოლო ის, ვინც გაუფრთხილებლობით, შედარებით მსუბუქად. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ხარისხს განსაზღვრავს.

132-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები იდენტურია 131-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებებისა.

7.2. გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე შემადგენლობას განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრაზე არ ითვალისწინებს. აღნიშნული ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს იმ პარაგრაფით, რომელიც პასუხისმგებლობას ჯანმრთელობის დაზიანებისთვის აწესებს.

8. უკანონო აბორტი (133-ე მუხ.)

8.1. აბორტის დასჯადობა საერო და საეკლესიო სამართლის ძეგლების მიხედვით

სიტყვა „აბორტი“ ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტას, მუცლის მოშლას. ერთმანეთისაგან განასხვავებენ მუცლის სპონტანურ ანუ თავისთავად და ხელოვნურ მოშლას, როდესაც იგი ორსულ ქალზე ზემოქმედების შედეგად ხდება.

ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით, ნაყოფი სიცოცხლის უფლების სუბიექტად მიიჩნეოდა ჩასახვის მომენტიდან და აბორტი ისჯებოდა როგორც ნაყოფის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული (ე. წ. შედეგიანი, მატერიალური) დანაშაული.

აბორტის დასჯადობის ნორმებს ვხვდებით როგორც საერო, ისე საეკლესიო სამართლის ძეგლებში. საეკლესიო სამართლით, მუცლის მოწყვეტა დასჯადია ორსულობის ნებისმიერ სტადიაზე და იგი ნებადართულია მაშინ, როდესაც ნაყოფი საფრთხეს უქმნის ქალის სიცოცხლეს. ამ შემთხვევაში წარმოიშობა კოლიზია ნაყოფის და დედის სიცოცხლის უფლებას შორის.

ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით, მუცლის ხელოვნურად მოშლა გაიგივებული იყო კაცის კვლასთან და ის, ვინც ამ დანაშაულს

ჩაიდენდა, ისჯებოდა, როგორც კაცის მკვლელი.[1205] მუცლის ხელოვნურად მოშლისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა არა მხოლოდ იმას, ვინც ორსულ ქალს მუცელს მოუშლიდა, არამედ ორსულ ქალსაც.[1206]

აბორტის დასჯადობის შესახებ ნორმას შეიცავს მცირე სჯულის კანონიც[1207] და დასახელებული სამართლის ძეგლის მიხედვით, მიუხედავად იმისა, მუცელი ნებსითი (განზრახ) მოქმედებით მოეშლებოდა თუ უნებლიეთი (გაუფრთხილებლობით), ქალს ორივე შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრებოდა როგორც კაცის მკვლელს.[1208] დავით ბატონიშვილის სამართლის მიხედვით ორსული ქალის მკვლელი უნდა დასჯილიყო როგორც ორი ადამიანის მკვლელი, ანუ ნაყოფის სიცოცხლე (დაუბადებელი სიცოცხლე) გათანაბრებული იყო დაბადებული ადამიანის სიცოცხლესთან.[1209]

დიდი სჯულისკანონის მიხედვით, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა ისჯებოდა, ერთი მხრივ, როგორც მკვლელობა ნაყოფის სიცოცხლის მოსპობის გამო და, მეორე მხრივ, როგორც თვითმკვლელობისკენ გადადგმული ნაბიჯი, ვინაიდან მუცლის მოშლით საფრთხე ექმნება ქალის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ორსულობის ხანგრძლივობას, იმას, თუ როდის ჩაისახა ნაყოფი. კანონიკური სამართლის მიხედვით, ჩასახვის მომენტიდან ნაყოფი მიიჩნევა სიცოცხლის უფლების სუბიექტად.[1210]

დედის მიმართ, რომელიც ნაყოფს მუცელში სპობდა, გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის სასჯელები, რომელთაგან ერთ-ერთს უზიარებლობა წარმოადგენდა. უზიარებლობა საეკლესიო სასჯელის სახე იყო, რომელსაც შემდგომ მორწმუნე ადამიანისთვის მეტად მძიმე შედეგები მოჰყვებოდა. კერძოდ, ვინც სამი კვირის განმავლობაში არ ეზიარებოდა, კანონის თანახმად, ეკლესიიდან უნდა განდევნილიყო.[1211] თავდაპირველად ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ გამოიყენებოდა სიკვდილამდე უზიარებლობა, რომელიც შემდგომ შეიცვალა 10 წლამდე უზიარებლობით, რაც ზოგიერთი მეცნიერის შეხედულებით კაცთმოყვარეობის პრინციპით იყო განპირობებული.[1212] სასჯელის ჰუმანიზაციასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდა აკად. *ივ. ჯავახიშვილს*, რომლის თანახმადაც, ეკლესიის მხრივ დამნაშავისათვის სასჯელის შემცირება და შემსუბუქება იმდენად ჰუმანურობითა და

[1205] იხ. დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს *ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ,* თბ., 1975, გვ. 401.

[1206] იხ. იქვე, გვ. 479.

[1207] იხ. *ვაჩეიშვილი ალ.,* ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, I ტომი, თბ., 1946, გვ. 152.

[1208] იხ. მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა *ელგუჯა გიუნაშვილმა,* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება", თბ., 1973, გვ. 80.

[1209] იხ. სამართალი ბატონისშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, თბ., 1964, გვ. 77.

[1210] იხ. დიდი სჯულისკანონი, გვ. 475.

[1211] იხ. *ჯავახიშვილი ივ.,* ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისი, 1929, გვ. 528; *ნადარეიშვილი გ.,* სასჯელის მიზნები და ამოცანები საეკლესიო სამართლის მიხედვით, ჟურნალი „მაცნე", ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1983, №3, გვ. 110.

[1212] იხ. *გუჯეჯიანი რ.,* რელიგიისა და ჩვეულებითი სამართლის ურთიერთმიმართება სვანეთის ტრადიციულ ყოფაში, სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი", საქართველოს საპატრიარქო, IV, 2007, გვ. 109.

კაცთმოყვარეობის მაღალი გრძნობით არ იყო ნაკარნახევი, რამდენადაც ცხოვრების უკუღმართობისა და პოლიტიკის თვალსაზრისით, რადგან მძიმე სასჯელი დამნაშავეს ეკლესიაზე გულს უყრიდა და ზნეობრივადაც აშორებდა.[1213] მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის გამო შეცოდებულნი და დამნაშავენი თავიანთ ბრალეულობას მალავდნენ და მსჯავრს გაურბოდნენ.[1214]

ბერძნული სამართლის მიხედვით, მუცლის მოშლისთვის დედაკაცის მიმართ გამოიყენებოდა სასჯელის ისეთი სახე, როგორიცაა ექსორია.[1215] ექსორია ანუ გაძევება ერთ-ერთი მძიმე სასჯელი იყო, რომელიც გულისხმობდა დამნაშავის დატოვებას მფარველობის გარეშე. გაძევებული პირის მოკვლისთვის არავინ აგებდა პასუხს და ამასთან, არავის ჰქონდა უფლება, მისთვის თავშესაფარი აღმოეჩინა.[1216]

აბორტის დასჯადობას ითვალისწინებს მხითარ გოშის სამართალიც.[1217] თუ დედაკაცი მუცელს მოიშლიდა წამლით ან სხვა რამ საშუალებით, იგი შეიძლება დასჯილიყო სასჯელის უმკაცრესი ზომით – სიკვდილით.

ვახტანგ VI–ის სამართალში მუცლის მოწყვეტა გვხვდება, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, თუ იგი შედეგად მოჰყვებოდა თავდასხმას და დამნაშავე ისჯებოდა სისხლის დაურვებით.[1218] ანალოგიური ხასიათის ნორმას ვხვდებით დავით ბატონიშვილის სამართალშიც. მაგრამ, ვახტანგ VI–ის სამართალისგან განსხვავებით, აღნიშნულ შემთხვევაში სასჯელის სახით გათვალისწინებულია როგორც სისხლის დაურვება, ისე ეკლესიური კანონით განკანონება.[1219]

ვერ გავიზიარებთ *ი. დოლიძის* თვალსაზრისს, რომელიც მიიჩნევდა, რომ დანაშაული ჩადენილი არ იყო დამამძიმებელ გარემოებაში, როცა თავდასხმის შედეგად ფეხმძიმე ქალს ბავშვი მოწყდებოდა.[1220] არ შეიძლებოდა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ ყოფილიყო აღნიშნული შემთხვევა და სასჯელის ზომაზე გავლენა არ მოეხდინა ორსული ქალისთვის მუცლის მოშლას, მაშინ, როცა ნაყოფის სიცოცხლე დაბადებული ადამიანის სიცოცხლესთან იყო გათანაბრებული. ვახტანგ VI–ის სამართლის თანახმად, მიხდომისთვის დამნაშავეს ერთი მთელი სისხლი უნდა გადაეხადა, ხოლო თუ თავდასხმას შედეგად მუცლის მოწყვეტა მოჰყვებოდა დამნაშავეს დამატებით კიდევ ერთი მთელი სისხლი უნდა გადაეხადა, რაც სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ თავდასხმის შედეგად ორსული ქალისთვის მუცლის მოშლის გამოწვევა პასუხისმგე-

---

[1213] იხ. *ჯავახიშვილი ივ.,* დასახელებული ნაშრომი, გვ. 529.

[1214] იქვე, გვ. 531.

[1215] იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოიკვლია და ლექსიკონი დაურთო *ი. დოლიძემ,* თბ., 1963, გვ. 152.

[1216] იხ. *დოლიძე ი.,* ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 233.

[1217] იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოიკვლია და ლექსიკონი დაურთო *ი. დოლიძემ,* თბ., 1963, გვ. 297.

[1218] იხ. ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა *თ. ენუქიძემ,* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1955, გვ. 65; იხ. ასევე, სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბ., 1964, გვ. 59.

[1219] იხ. სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, თბ., 1964, გვ. 59.

[1220] იხ. *დოლიძე ი.,* ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 198 – 199.

ბლობის დამამძიმებელ გარემოებად უნდა მიჩნეულიყო. დავით ბატონიშვილის სამართლის მიხედვით კი ორსული ქალის მკვლელი ისე უნდა დასჯილიყო, როგორც ორი ადამიანის მკვლელი.

ბერძნული სამართლის მიხედვით, თუ დედაკაცისთვის მუცლის მოსაშლელად წამლის მიცემას ორსული ქალის სიკვდილი მოჰყვებოდა, წამლის მიმცემი სიკვდილით ისჯებოდა. ანალოგიური სახის სასჯელი გამოიყენებოდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ქალის სიკვდილის მიმართ დამნაშავეს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება გააჩნდა.[1221] დავით ბატონიშვილის სამართლის მიხედვით კი წამლის მიმცემი უფრო მსუბუქად ისჯებოდა მაშინ, როცა შედეგის მიმართ გააჩნდა გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება.[1222]

დავით ბატონიშვილის სამართლი დედაკაცის მუცლის პირველად მოშლისთვის ეკლესიური კანონით განკანონებას ითვალისწინებდა, ხოლო განმეორებით მისი ჩადენა მიჩნეული იყო პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად და იგი გამათრახებით ისჯებოდა.[1223] დავით ბატონიშვილის სამართლით ორსულობა წარმოადგენდა სასჯელის აღსრულების დამაბრკოლებელ გარემოებას, ე. ი. ორსული დედაკაცი ჩადენილი დანაშაულისთვის არ უნდა დასჯილიყო მანამ, სანამ არ შობდა.[1224]

როგორც საეკლესიო და საერო სამართლის ძეგლების შესწავლამ გვიჩვენა, მუცლის მოშლისთვის სხვადასხვა სახის სასჯელი გამოიყენებოდა და დამნაშავის დასჯის საკითხისადმი მიდგომა არაერთგვაროვანი იყო. საერო სამართლის ძეგლები უფრო მკაცრ სასჯელებს ითვალისწინებენ, ვიდრე საეკლესიო სამართლის ძეგლები. მაგალითად, დიდი სჯულისკანონი ზემოაღნიშნული დანაშაულისათვის ითვალისწინებდა სასჯელის სახით უზიარებლობას, მაშინ როდესაც, მხითარ გოშის და ბერძნულ სამართალში ამ დანაშაულისთვის გათვალისწინებულია სასჯელის ისეთი უმკაცრესი ზომა, როგორიცაა სიკვდილით დასჯა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით, ხელოვნური აბორტი საქართველოში აკრძალული იყო და იგი როგორც მკვლელობა ისე ისჯებოდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ ხელოვნური აბორტის დასჯადობა გაუქმდა და 1936 წლის 27 ივნისამდე ნებადართული იყო. ამ დროიდან კი, აბორტი კვლავ აიკრძალა და აღნიშნული აკრძალვა მხოლოდ 1955 წლის 23 ნოემბერს გაუქმდა.[1225] მას შემდეგ, რაც აბორტი აიკრძალა, უკანონო აბორტისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტად საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში ორსული ქალის სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან ერთად ნაყოფსაც მიიჩნევდნენ.[1226] თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის

[1221] იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოიკვლია და ლექსიკონი დაურთო *ი. დოლიძემ*, თბ., 1963, გვ. 152.

[1222] იხ. სამართალი ბატონისშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, თბ. 1964, გვ. 77.

[1223] იხ. იქვე, გვ. 76.

[1224] იხ. იქვე, გვ. 77.

[1225] იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I ტომი, თბ., 1975, გვ. 31.

[1226] იხ. *Пионтковский А.,* Преступления против личности, М., 1938, с. 69.

კოდექსი აბორტს ნაწილობრივ კრძალავს და უკანონო აბორტისთვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს არა როგორც ნაყოფის სიცოცხლის ხელმყოფი, არამედ როგორც ორსული ქალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტის გამო.

8.2. ნაყოფი, როგორც სიცოცხლის უფლების სუბიექტი

სანამ თანამედროვე სისხლის სამართლით უკანონო აბორტის დასჯადობაზე ვისაუბრებდეთ, მიზანშეწონილი იქნება, თუ განვიხილავთ შემდეგ საკითხებს: როდის იწყება სიცოცხლე და არის თუ არა ნაყოფი სიცოცხლის უფლების სუბიექტი?

ძველი ქართული სამართლისაგან განსხვავებით, თანამედროვე ქართული და ზოგიერთი სხვა ქვეყნის (რუსეთი, ისრაელი) სისხლის სამართლის კანონმდებლობით სიცოცხლე დაცულია დაბადების მომენტიდან, ნაყოფი არ მიიჩნევა სიცოცხლის უფლების სუბიექტად და ნაყოფის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ქმედება განიხილება არა როგორც მკვლელობა, არამედ როგორც სხვა დანაშაული (უკანონო აბორტი). სიცოცხლის დასაწყისად ითვლება ბავშვის დაბადების პროცესი, ამიტომ ბავშვის სიცოცხლე მკვლელობის ობიექტია მშობიარობის დაწყების მომენტიდან.[1227]

მეცნიერთა ნაწილის მოსაზრებით და რიგი ქვეყნების კანონმდებლობით სიცოცხლის უფლების სუბიექტია ყოველი ადამიანი, მათ შორის, ქალის ორგანიზმში სპერმატოზოიდით კვერცხუჯრედის განაყოფიერების შედეგად წარმოშობილი ნაყოფიც (ემბრიონი).[1228]

ფრანგი მეცნიერი *ჯ. ლიჟენი* აღნიშნავს, რომ „თითოეული პიროვნების დამახასიათებელი ნიშანი – სქესი, თვალის ფერი, ფეხის ზომა, ინტელექტი და სხვა – ჩასახვისთანავე ადამიანის 46 ქრომოსომაში, ბავშვის გენეტიკის კოდში არის ჩადებული.“[1229] ამერიკელმა მეცნიერმა *ბ. ნატანსონმა*, რომელიც აბორტის მომხრე იყო, მეცნიერული გამოკვლევის შემდეგ შეცვალა თავისი პოზიცია და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დაუბადებელი ბავშვი დამოუკიდებელი ადამიანია, საზოგადოების სრულუფლებიანი და განუყოფელი წევრია. სწორედ *ბ. ნატანსონს* ეკუთვნის აბორტის ულტრაბგერითი კინოგადაღებით შექმნილი ფილმი – „უხმო ყვირილი“, რომლითაც დასტურდება, რომ ფეტუსი: 1. წინასწარ გრძნობს საფრთხეს იმ ინსტრუმენტების მხრიდან, რომლითაც აბორტი კეთდება; 2. გრძნობს საშიშროებას, ცდილობს თავი დააღწიოს ინსტრუმენტებს და ამას იმით გამოხატავს, რომ: ა) მოძრაობს სწრაფად და მშფოთვარედ;

[1227] იხ. *ლეკვეიშვილი მ.*, წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 25-26; *მაყაშვილი ვ, მაჭავარიანი მ, წერეთელი თ, შავგულიძე თ.*, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980, გვ. 6.

[1228] იხ. *იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბ., 2005, გვ. 46; *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, იურიდიული სახელმძღვანელო, მე-3 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 125.

[1229] იხ. *ჭელიძე ლ.*, სიცოცხლის უფლება ფეტუსისათვის საქართველოში, თბ., 2002, გვ. 17.

ბ) გულის ცემა მატულობს 140-დან 200-მდე; გ) ფართოდ აღებს პირს და უხმოდ ყვირის.[1230]

მეცნიერული გამოკვლევით დასტურდება, რომ დედა და შვილი ჩასახვის მომენტიდან ერთმანეთისგან განცალკევებული და განსხვავებული, უნიკალური ადამიანები არიან. ძალიან ხშირად მათ გააჩნიათ განსხვავებული სქესი, თვალისა და თმის ფერი, სისხლის ჯგუფი.

ნაყოფის განვითარების შემდეგ ეტაპებს გამოჰყოფენ: მეექვსე კვირისათვის ბავშვის ტვინი იწყებს მოქმედებას; მე-7 კვირაში ბავშვი თავისუფლად ცურავს სანაყოფე წყალში; მე-9 კვირაში ბავშვი ექსტრემალურად აქტიურია; მე-10 და მე-11 კვირის ბავშვი შეხებაზე რეაგირებს; მე-11 კვირისათვის ბავშვის ყველა ორგანოს სისტემა ფუნქციონირებს, ბავშვს გააჩნია თვალის ქუთუთო, ფრჩხილები და თითის ანაბეჭდები; 12 კვირის დაუბადებელ ბავშვს ჩამოყალიბებული აქვს ზურგის ტვინი.[1231]

ნაყოფის სიცოცხლის დაცვის საკითხი არაერთგვაროვნად არის გადაწყვეტილი საერთაშორისოსამართლებრივ აქტებში. მაგალითად, ბავშვის უფლებების დეკლარაციის პრეამბულაში ნათქვამია, რომ „ბავშვი, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას და მზრუნველობას, შესაბამისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდგომ..“ ანალოგიური შინაარსის ტექსტს მოიცავს ბავშვის უფლებების კონვენციის პრეამბულა, რითაც აღიარებს ფეტუსის სამართლებრივი დაცვის აუცილებლობას.

ადამიანის ემბრიონის დამცავ დებულებებს შეიცავს ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენცია, რომელიც ბიოლოგიისა და მედიცინის გამოყენების დროს ადამიანის ღირსების დაცვას ეხება. აღნიშნული კონვენციის პირველ მუხლში მითითებული სიტყვა „ადამიანი“ იმას გულისხმობს, რომ ადამიანის ღირსება და თვითმყოფადობა დაცულია სიცოცხლის ჩასახვისთანავე.[1232]

ფეტუსის სიცოცხლის უფლებას იცავს ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია და ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია სიცოცხლის უფლებას ჩასახვის მომენტიდან იცავდა, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა კომისიამ 1981 წელს ერთ-ერთ საქმეზე აბორტი დასაშვებად ცნო დედის სიცოცხლის გადასარჩენად და მაშინ, როცა ორსულობის მიზეზი გაუპატიურება იყო. ხოლო, 2000 წელს აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია ნებრასკას შტატის კანონი, რომელიც კრძალავდა აბორტს და უგულებელყოფდა ქალის ჯანმრთელობის დაცვის უფლებას. აღნიშნული გადაწყვეტილებით აბორტი ქალის კონსტიტუციურ უფლებად იქნა აღიარებული.[1233]

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლის თანახმად, „ყველას აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“, მაგრამ „ყველაში“ არ იგულისხმება ფეტუსი, ე. ი. დაუბადებელი სიცოცხლე. აღნიშნული დასკვნის საფუძველს იძლევა ის,

---

[1230] იხ. იქვე, გვ. 18-19.

[1231] იხ. იქვე, გვ. 22-25.

[1232] იხ. *გოცირიძე ე.* (შეადგინა და კომენტარები დაურთო), სიცოცხლის უფლების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბ., 2007, გვ. 74-75.

[1233] იხ. *გელაშვილი ი.,* ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, თბ., 2012, გვ. 16.

რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მომზადებისას უარი ეთქვა დეკლარაციის მე-3 მუხლის იმ პროექტს, რომელიც ითვალისწინებდა სიცოცხლის დაცვას ჩასახვის მომენტიდან.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, „ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის სიცოცხლე არ შეიძლება განზრახ იყოს ხელყოფილი..“ მაგრამ იბადება კითხვა: რა იგულისხმება სიტყვებში „ყოველი ადამიანი“ და „არავინ“. შეიძლება თუ არა ჩვენ ამ სიტყვებში ვიგულისხმოთ ნაყოფი/ფეტუსი? იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, ზემოაღნიშნული კონვენციის მე-2 მუხლი „ტექსტუალურად სრულად არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მასში ფეტუსის სიცოცხლის უფლებაც იგულისხმებოდეს, და არა მხოლოდ დაბადებული ადამიანებისა“.[1234] ამერიკელი მეცნიერი *ჯ. დრესლერი* აღნიშნავს, რომ „ადამიანური არსების“ ცნება მოიცავს ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვსაც.[1235] მაგრამ, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სიცოცხლის უფლების შეზღუდვის მართლზომიერების პირობებს, შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ იცავს ფეტუსის სიცოცხლეს, ვინაიდან „მე-2 პუნქტით დაწესებული გამონაკლისები არ შეესატყვისება ფეტუსის მოკვდინების მართლზომიერად მიჩნევის შესაძლო შემთხვევებს.“[1236] რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციას, ამ საკითხზე, იგი დუმილს ამჯობინებს და თავს იკავებს ფეტუსის სიცოცხლის უფლების როგორც აღიარების, ასევე უარყოფისაგან.[1237]

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის თანახმად „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.“ აღნიშნულ მუხლში არაფერია იმაზე ნათქვამი, თუ რა მომენტიდან არის დაცული სიცოცხლე და არის თუ არა ნაყოფი ამ უფლების მატარებელი.

ნ. ფარსადანიშვილი აღნიშნავს, რომ „საქართველოში სიცოცხლის დაცვით სარგებლობს როგორც ფეტუსი, ისე უკვე დაბადებული ადამიანი“.[1238]მაგრამ, იგი არ აკონკრეტებს თუ რას ეფუძნება მისი ეს მოსაზრება.

საქართველოს კონსტიტუციისაგან განსხვავებით, სლოვაკეთის კონსტიტუცია ნაყოფს მიიჩნევს სიცოცხლის უფლების მატარებლად. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს სლოვაკეთის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შინაარსიდან: „ყველას აქვს სიცოცხლის უფლება. ადამიანის სიცოცხლე დაცვას ექვემდებარება დაბადებამდე.“[1239]

ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაყოფს არ აღიარებს სიცოცხლის უფლების სუბიექტად

[1234] იხ. *გოცირიძე ე.,* სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული: ფეტუსისა და ევთანაზიის უფლებრივი საკითხები სტრასბურგის იურისპრუდენციის მიხედვით,კრებულში: *კორკელია კ.* (რედ.),ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები,2007,გვ. 46.

[1235] იხ. *Козочкин И. Д.,* Уголовное право США,С-П,2007,с. 316-317.

[1236] იხ. *გოცირიძე ე.,* დასახელებული ნაშრომი,გვ. 74.

[1237] იხ. *გოცირიძე ე.* (შეადგინა და კომენტარები დაურთო), სიცოცხლის უფლების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით,თბ.,2007,გვ. 71.

[1238] იხ. *ფარსადანიშვილი ნ.,* ლეგალიზებული მკვლელობა, კრებულში: კონსტანტინე კორკელია (რედ.),ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები,თბ.,2009,გვ. 216.

[1239] იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები,ნაწილი V,თბ.,2007,გვ. 865.

და სიცოცხლეს იცავს დაბადების მომენტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, აბორტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დედის სიცოცხლეს ნაყოფი საფრთხეს უქმნის, საერთოდ უნდა აკრძალულიყო ან კიდევ უკანონო აბორტისთვის პასუხისმგებლობა კანონმდებელს სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში უნდა გაეთვალისწინებინა და აღნიშნული დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დედისთვისაც უნდა დაეკისრებინა. თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სიცოცხლის უფლების სუბიექტად ემბრიონსაც გამოაცხადებდა, აუცილებელი გახდებოდა არა მხოლოდ იმ ადამიანის დასჯა, ვინც აბორტს გააკეთებდა, არამედ თვით ორსული ქალისაც. სიცოცხლის უფლების სუბიექტად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ნაყოფს/ფეტუსს რომ არ აღიარებს, ამაზე მიუთითებს ასევე ის გარემოებაც, რომ ორსული ქალის მკვლელობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სსკ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობისთვის ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. ქართული სისხლის სამართლის კანომდებლობა ნაყოფს დამოუკიდებელ ინდივიდად რომ აღიარებდეს და იცავდეს ნაყოფის სიცოცხლეს საჭირო იქნებოდა კი ორსული ქალის მკვლელობისთვის პასუხისმგებლობის ცალკე პუნქტით გათვალისწინება მაშინ, როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი პასუხისმგებლობას აწესებს ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობისთვის?

არ არის გასაზიარებელი მოსაზრება, რომ ქართული სისხლის სამართალი ფეტუსის/ემბრიონის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას არაპირდაპირ იცავს ორსული ქალის სიცოცხლის ხელყოფისა თუ ჯანმრთელობის დაზიანებისათვის გამკაცრებული პასუხისმგებლობის დაწესებით.[1240] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მკვლელობისთვის მკაცრი სასჯელის დაწესების საფუძველს წარმოადგენს არა ფეტუსის სიცოცხლეზე კანონმდებლის განსაკუთრებული ზრუნვა, არამედ ქმედების სოციალური საშიშროების მაღალი ხარისხი.[1241] ანალოგიურად წყდება საკითხი დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მკვლელობის დროსაც. ამ შემთხვევაშიც კანონმდებელი პასუხისმგებლობას ამკაცრებს ქმედების სოციალური სა-

---

[1240] იხ. *გოცირიძე ე.,* დასახელებული ნაშრომი, გვ. 64; *გოცირიძე ე.,* წიგნში: *ტურავა პ.* (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბ., 2013, გვ. 74. აღნიშნული დანაშაულის ხელყოფის ობიექტად ნაყოფის განვითარებას მიიჩნევს *ზ. წულაია.* იხ. *წულაია ზ.,* სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, პირველი ტომი, თბ., 2000, გვ. 52.

[1241] სწორად აღნიშნავს *ზ. გოთუა,* რომ ორსული ქალის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენა „მიუთითებს დამნაშავის მომეტებულ საშიშროებაზე, მის სისასტიკეზე და სრულ ზნედაცემულობაზე, რის გამოც სასამართლო ვალდებულია მკაცრი სასჯელი დაუნიშნოს მას“. იხ. *გოთუა ზ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბ., 2001, გვ. 45. მოსამართლემ მკაცრი სასჯელი შეიძლება დაუნიშნოს იმას ვინც წინასწარი შეცნობით ორსული ქალის წინააღმდეგ დანაშაულს ჩაიდენს, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გარემოება არ არის სსკ-ის შესაბამის მუხლში ან მუხლის ნაწილში მითითებული როგორც დანაშაულის შემადგენლობის ნიშანი, ხოლო, თუ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ან მუხლის ნაწილი წინასწარი შეცნობით ორსული ქალის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენას ითვალისწინებს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად, იგივე გარემოება სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღება (იხ. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

შიშროების მაღალი ხარისხის გამო. მკვლელობის მიზნით თავდასხმის შემთხვევაში მსხვერპლს თავდაცვის ნაკლები შესაძლებლობა აქვს თუ იგი არასრულწლოვანი, მოხუცი ან ორსულია და ამიტომაც ითვალისწინებს კანონმდებელი მკაცრ პასუხისმგებლობას ასეთ ადამიანთა მკვლელობისთვის. წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მკვლელობისთვის სასჯელის გამკაცრების მიზეზს ნაყოფის დაცვა რომ წარმოადგენდეს, კანონმდებელს პასუხისმგებლობა უნდა გაემკაცრებინა ორსული ქალის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისთვისაც, რამდენადაც ამ შემთხვევაშიც ხდება ნაყოფის ხელყოფა.

საქართველოს კანონმდებლობით ნაყოფის სიცოცხლე სათანადოდ რომ არ არის დაცული ამაზე მიუთითებს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 139-ე მუხლი, რომლის თანახმადაც სამედიცინო დაწესებულებაში „გასაუბრების დროს ექიმმა უპირატესობა უნდა მიანიჭოს ნაყოფის სიცოცხლის დაცვას“, მაგრამ „არჩევანი ქალის პრეროგატივაა“(!). ქართული კანონმდებლობით ნაყოფი სიცოცხლის უფლების სუბიექტად რომ იყოს აღიარებული, ქალისთვის ასეთი არჩევანის შესაძლებლობის მიცემა იქნებოდა კი შესაძლებელი? რა თქმა უნდა არა.

როდესაც ვსაუბრობთ ნაყოფის სიცოცხლის უფლებაზე, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, „მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე“. ასეთ დროს ბუნებრივია იბადება კითხვა: თუ ნაყოფი არის მემკვიდრეობის უფლების სუბიექტი, რატომ არ უნდა გააჩნდეს მას ყველაზე მნიშვნელოვანი და უზენაესი სიცოცხლის უფლება, ყველა უფლება ხომ სიცოცხლის უფლებიდან გამომდინარეობს.

რელიგიურად ჩანასახი მიიჩნევა არა როგორც დედის სხეულის რაღაც ნაწილად და უსულო ან ჯერ კიდევ არაადამიანურ არსებად, არამედ ნამდვილ ადამიანად, სიცოცხლის უფლების სუბიექტად. დედის წიაღში მყოფი ბავშვის სიცოცხლის შეწყვეტა კი განიხილება მკვლელობად.[1242] მართლმადიდებლური ეკლესია წინააღმდეგია არა მხოლოდ აბორტის, არამედ ჩასახვის საწინააღმდეგო კონტრაცეპტივების გამოყენებისა. თუმცა, იგი არ კრძალავს ორსულობის დარეგულირებას კალენდარული მეთოდით, რაც გულისხმობს მარხვის პერიოდში სქესობრივი ურთიერთობისაგან თავის შეკავებას. ეკლესიური ცხოვრების დროს ქალი თავს იცავს ორსულობისგან ყოველგვარი გარეგანი ჩარევის გარეშეც.[1243] ჩასახვის საწინაღმდეგო კონტრაცეპტივების გამოყენების წინააღმდეგია ასევე კათოლიკური ეკლესიაც, მაგრამ აღნიშნული აკრძალვა იქნა შესუსტებული რომის პაპის ბენედიქტე XVI-ის გადაწყვეტილებით, ვინაიდან აღნიშნული კონტრაცეპტივების გამოყენება აუცილებელია ადამიანების შიდსით დაინფიცირების რიცხვის ზრდის შემცირების მიზნით.[1244]

[1242] იხ. *იღუმენი ადამი (ვახტანგ ახალაძე),* დაბადებამდელი ბავშვობის სიხარული და მწუხარება,თბ.,2007,გვ. 16–17.

[1243] იხ. *ჩიკვილაძე ნ.,* მართლმადიდებელ მორწმუნეთა შვილიანობა,სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“,საქართველოს საპატრიარქო,IV,2007,გვ. 92-93.

[1244] http://www.tagesschau.de/ausland/papstkondome100.html. აღნიშნული ინფორმაცია მითითებული ინტერნეტგვერდის საშუალებით მოძიებულ იქნა 2010 წლის 20 ნოემბერს.

8.3. უკანონო აბორტის დასჯადობა თანამედროვე სისხლის სამართალში

8.3.1. უკანონო აბორტის დასჯადობა თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალში

თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა აბორტს ნაწილობრივ კრძალავს და უკანონო აბორტისთვის სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს როგორც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტის გამო (სსკ-ის 133-ე მუხლი).

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონით ორსულობის შეწყვეტა უკანონოდ ითვლება თუ: ა) ორსულობის შეწყვეტა განხორციელდა ორსული ქალის თანხმობის გარეშე; ბ) ორსულობის შეწყვეტა მოხდა არალიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში ან არალიცენზირებული ექიმის მიერ; გ) ორსულობის ხანგრძლივობა აღემატება თორმეტ კვირას; დ) ორსულს სამედიცინო დაწესებულებაში არ ჩაუტარდა წინასწარი გასაუბრება და გასაუბრებიდან ოპერაციამდე გასული არ არის სამდღიანი მოსაფიქრებელი ვადა.

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აბორტის დროს პაციენტის წერილობითი ინფორმირებული თანხმობა აუცილებელია. იბადება კითხვა, დაეკისრება კი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ექიმს, რომელიც გააკეთებს აბორტს ორსული ქალის ნების საწინააღმდეგოდ მისივე (ორსული ქალის) სიცოცხლის გადასარჩენად? აღნიშნულ შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს ექიმის პასუხისმგებლობა მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო.[1245]

[1245] იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, „მოქალაქის თანხმობის გარეშე ნებისმიერი სახის სამედიცინო ჩარევა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიზნით მართლსაწინააღმდეგოდ უნდა ჩაითვალოს“. იხ. *ნაჭყებია გ., დვალიძე ი.* (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 278. ვფიქრობ, მართლწინააღმდეგობა არ უნდა გამოირიცხოს იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს ადამიანის ჯანმრთელობაში იძულებით სამედიცინო ჩარევას სხვა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისა და სიცოცხლის გადარჩენის მიზნით, მაგრამ ასეთი მიდგომა არ გამოდგება მაშინ, როცა ადამიანის ჯანმრთელობაში იძულებითი ჩარევა ხდება მისივე სიცოცხლის დასაცავად. ა.კრასიკოვი აღნიშნავს, რომ „ექიმს არ გააჩნია სპეციალური უფლება ჩაერიოს სხვა პირის პირად ინტერესებში, ისევე როგორც მოქალაქეს არა აქვს მკურნალობის მოვალეობა“. (იხ. *Красиков А.,* Сущность и значение согласия потерпевшего в советском уголовном праве, 1976, с. 76). ორმაგი სტანდარტი იქნებოდა, რომ ერთი მხრივ, დაგვესაჯა მსხვერპლის თხოვნით მკვლელობა (ევთანაზია), ხოლო მეორე მხრივ, უარი გვეთქვა მართლწინააღმდეგობის გამორიცხვაზე პაციენტის სიცოცხლის გადასარჩენად მისი ნების საწინააღმდეგოდ სამედიცინო ჩარევისას მოქალაქისათვის მკურნალობის ვალდებულების არქონის საბაბით. როგორც მართებულად აღნიშნავს მ.ტურავა „უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას აქვს ჩარჩოები. ამა თუ იმ მოქმედების შედეგად შეიძლება გადარჩენილი სიკეთე უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე დაზიანებული, მაგრამ თუ მოქმედებით მოხდა პიროვნების თავისუფლების ხელშეუხებელი სფეროების ხელყოფა, ეს მოქმედება არ შეიძლება გამართლებულ იქნეს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით“. (იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2010, გვ. 208.). მაგრამ აღნიშნული დებულება არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტის ნების საწინააღმდეგოდ მოხდება სამედიცინო ჩარევა მისივე სიცოცხლის გადასარჩენად. ანალოგიურად უნდა გადაწყდეს საკითხი მაშინაც, როცა იძულებითი სამედიცინო ჩარევა ხორციელდება იმ პირის სიციცხლის გადასარჩენად, ვის მიმართაც

ხოლო, თუ აბორტის გაკეთებისას ორსული ქალი მოკლებულია გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარს, აუცილებელია ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ინფორმირებული თანხმობა. თუ აბორტის გარეშე გარდაუვალია ორსული ქალის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება და პაციენტი მოკლებულია გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარს, ხოლო მისი ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენლი სამედიცინო მომსახურების წინააღმდეგია ან ვერ ხერხდება მათი მოძიება, სამედიცინო მომსახურების გამწევი ექიმი არა თუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიც კი არის მიიღოს გადაწყვეტილება პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესების შესაბამისად (25-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი). მშობიარეს არა აქვს უფლება უარი თქვას ისეთ სამედიცინო მომსახურებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ცოცხალი ნაყოფის დაბადებას და რომელიც მშობიარის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მინიმალური რისკის მატარებელია (36-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

აბორტის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლები (ჩვენებები) შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: სამედიცინო, სოციალური, ეთიკური, ევგენური.[1246] „ჯანმთერლობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 140-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „თორმეტ კვირაზე მეტი ხნის ორსულობის შემთხვევაში აბორტი ნებადართულია მხოლოდ სამედიცინო და სოციალური ჩვენებების მიხედვით“. სამედიცინო ჩვენებაში იგულისხმება ორსული ქალის ისეთი დაავადება, რომელიც მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით აუცილებელს ხდის ორსულობის შეწყვეტას. თორმეტ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის სამედიცინო და არასამედიცინო ჩვენებების ჩამონათვალი განსაზღვრულია საქართველს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 13 მარტის №30 ბრძანებით. სამედიცინო ჩვენებებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ნებადართულია თორმეტ კვირაზე მეტი ხნის ორსულობის შეწყვეტა, მიეკუთვნება: ინფექციური და პარაზიტული დაავადებები (ტუბერკულიოზი, ვირუსული ჰეპატიტი, ათაშანგი და სხვ.), ენდოკრინული სისტემის დაავადებები (შაქრიანი დიაბეტი, უშაქრო დიაბეტი და სხვ.), სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების დაავადება, ფსიქიკური აშლილობა, ნერვული სისტემისა და მგრძნობელობის ორგანოების დაავადება, სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები, თანდაყოლილი ანომალიები და სხვა.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანებით აბორტი ნებადართულია აგრეთვე მაშინ, როცა სახეზეა შემდეგი არასამედიცინო, და მათ შორის ეთიკური, ჩვენება: ორსულობა, სასამართლოს მიერ დადგენილი გაუპატიურების შედეგად[1247], თუ ქა-

---

„დაზარალებულს“ გააჩნია სამართლებრივი გარანტის ფუნქცია. იხ. *ტურავა მ.,* დასახ. ნაშრომი, გვ. 209.

[1246] იხ. *კუბლაშვილი კ.*„სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, კრებულში: *კორკელია კ.* (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, თბ.,2006, გვ. 197.

[1247] უზუსტობაა გაპარული სახელმძღვანელოებში,რომლებშიც აღნიშნულია,რომ საქართველოს კანონმდებელმა არ გაითვალისწინა თორმეტ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შეწყვეტის მართლზომიერების ისეთი ეთიკური საფუძველი, როგორიცაა გაუპა-

ლის ასაკი არ აღწევს 15 წელს, თუ ქალის ასაკი გადაცილებულია 45 წელს. ჩამოთვლილი გარემოებების არსებობისას აბორტი ნებადართულია 22 კვირამდე. 22 კვირის მერე აბორტის გაკეთება ქართული კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.

ქართული კანონმდებლობით ორსულობის შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლად არ არის გათვალისწინებული ევგენური და ეკონომიკური ჩვენებები. ევგენური ჩვენება ნიშნავს იმას, რომ ნაყოფი არ არის ჯანმრთელი ან არსებობს საშიშროება, რომ ფიზიკური ან მენტალური ნაკლის მქონე ბავშვი შეიძლება დაიბადოს. ეკონომიკური ჩვენება გულისხმობს მდგომარეობას, რომელიც გამორიცხავს ბავშვის ცხოვრებისა და აღზრდის მინიმალური პირობების არსებობას.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ კანონში ცვლილებები იქნეს შეტანილი და გაითვალისწინონ ევგენური ჩვენება.[1248] მაგრამ, არ შეიძლება ეს მოსაზრება გავიზიაროთ, ვინაიდან იგი წინააღმდეგობაში მოდის ადამიანურ ღირებულებებთან. როგორც დაბადებული, ისე დაუბადებელი სიცოცხლე არის დაცვის ღირსი, მიუხედავად მისი მატარებლის ჯანმრთელობის მდგომარეობისა. არ შეიძლება ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანს ვუყუროთ როგორც ზედმეტ პრობლემას.

სამედიცინო და სოციალური ჩვენებების არსებობისას, თუნდაც თორმეტ კვირაზე მეტი ხნის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის შემთხვევაში, გამოირიცხება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის, და არა მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით „უკანონობა“ 133-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების („უკანონო აბორტი“) შემადგენლობის ნიშანია.[1249] თუ „უკანონობა“ არ იქნებოდა სსკ-ის 133-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ნიშანი, მაშინ აღნიშნულ ვითარებაში (სამედიცინო და სოციალური ჩვენებები) აბორტის განხორციელებისას პასუხისმგებლობა უნდა გამოგვერიცხა არა 133-ე მუხლით

ტიურების შედეგად წარმოშობილი ორსულობა და მან უპირატესობა მიანიჭა ნაყოფის სიცოცხლეს. (იხ. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ავტორთა კოლექტივი თბ., 2005, გვ. 52; *კუბლაშვილი კ.,* ძირითადი უფლებები, გამომცემლობა ჯისიაი, იურიდიული სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2014, გვ. 128). მართალია, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში არ არის მითითებული, თუ რა იგულისხმება თორმეტ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შეწყვეტის სოციალურ ჩვენებებში, მაგრამ ამ ხარვეზს ავსებს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 13 მარტის №30 ბრძანება „თორმეტ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის სამედიცინო ჩვენებების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც (№3 დანართი) თორმეტ კვირაზე მეტი ხნის ორსულობის შეწყვეტა მართლზომიერია, თუ ორსულობის მიზეზს წარმოადგენდა გაუპატიურება, რომელიც სასამართლოს მიერ არის დადგენილი. ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ „სოციალური ჩვენების მიხედვით ნაყოფის მშობლები ისეთ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში არიან, რომელიც შეუძლებელს ხდის შვილის ნორმალურ გაზრდას და ჯანმრთელობის უზრუნველყოფას“ (იხ. დასახ. ნაშრ. გვ. 52). თუმცა, ქართული კანონმდებლობა თორმეტ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შეწყვეტის მართლზომიერების ასეთ პირობას არ იცნობს.

[1248] იხ. *გონაშვილი ვ., ხიზანიშვილი ნ.,* ჩანასახის სიცოცხლის უფლება საქართველოსა და მსოფლიოში, ჟურნალი “თსუ მეცნიერება”, ივლისი, 2013, გვ. 70.

[1249] იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, თბ., 2010, გვ. 215.

გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის, არამედ მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო.

გერმანულ ლიტერატურაში უმცირესობის მიერ გამოთქმული თვალსაზრისით, სამედიცინო ინდიკაცია არის ბრალის გამომრიცხველი გარემოება, ვინაიდან აღნიშნული შეხედულების მიხედვით, ინტერესების აწონვა, რაც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობისთვის არის დამახასიათებელი, გამორიცხულია აბორტის დროს. უმცირესობის იდეა სამედიცინო ინდიკაციის ბრალის გამომრიცხველ გარემოებად მიჩნევასთან დაკავშირებით არ არის გასაზიარებელი. მისი გაზიარება შეიძლებოდა მაშინ, თუ დაუბადებელ და დაბადებულ სიცოცხლეს თანაბარი ღირებულების სიკეთედ ვცნობდით.[1250]

არის თუ არა დაბადებული და დაუბადებელი სიცოცხლე თანაბარი ღირებულების სიკეთე, შეიძლება გერმანული კანონმდებლობის მიხედვით სადავო იყოს, ვინაიდან დაუბადებელი სიცოცხლეც დაცულია, მაგრამ ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ დაუბადებელი და დაბადებული სიცოცხლე არ არის თანაბარი ღირებულების, დაუბადებელი სიცოცხლე არც არის დაცული და ამიტომ, სამედიცინო ინდიკაცია ვერ ჩაითვლება ბრალის გამომრიცხველ გარემოებად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით ი. თ.-ს ბრალად შეერაცხა უკანონო აბორტის მცდელობა, რამაც შვილოსნობის სამუდამო მოშლა გამოიწვია.[1251] სასამართლოს განაჩენში ის არის გაუგებარი და საკამათო, რომ ი.თ-ს ბრალად უკანონო აბორტის მცდელობა შეერაცხა, მაშინ, როცა განაჩენში ასევე საუბარია იმაზე, რომ ი.თ.-მ აბორტი გააკეთა. ექიმის მიერ კანონის დარღვევა გამოიხატა იმაში, რომ აბორტი გაუკეთა არა 12, არამედ 13 კვირის ორსულს. გარდა ამისა, ექიმმა არ დაიცვა სამდღიანი მოსაფიქრებელი ვადა და ამ ვადის გასვლამდე მოუშალა მუცელი ორსულ ქალს.

აბორტი უკანონოდ ჩაითვლება მაშინ, „როცა ის ხდება სახლში ან სხვა შენობაში, თუნდაც სამკურნალო დაწესებულებაში, მაგრამ არა იმ სტაციონალურ სამკურნალო დაწესებულებაში, რომელიც სპეციალურადაა მოწყობილი აბორტის გასაკეთებლად“.[1252]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით ბრალი დაედო ნ. გ.-ს უკანონო აბორტისთვის, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, რაც გამოიხატა შემდეგში: შესაბამისი ლიცენზიის არმქონე ნ. გ.-მ სახლში გაუკეთა აბორტი ნ. ს.-ს, რითაც დაარღვია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის“ მოთხოვნა.[1253] კერძოდ, აბორტი გააკეთა არალიზენცირებულმა ექიმმა სახლში, მაშასადამე აბორტი არ გაუკეთებია ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში. სასამართლომ განაჩენში მიუთითა, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თუ რომელი მოთხოვნა დაარღვია ექიმმა

[1250] იხ. *Fischer T.,* Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Aufl., München, 2010, S. 1433, §218a Rn. 15.

[1251] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 26 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/3676-09.

[1252] იხ. *გამყრელიძე ო.,* წიგნში: *გამყრელიძე ო.* (რედ.), სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002, გვ. 217.

[1253] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 8 ივლისის განაჩენი, საქმე №1/2308-11 (008110636).

ნ. გ.-მ თავისი ქმედებით, მაგრამ არ განმარტა რაში გამოიხატა ის მძიმე შედეგი, რომელიც ექიმის ქმედებას მოჰყვა და საქართველოს სსკ-ის 133-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს. მიზანშეწონილი იყო სასამართლოს აღნიშნულ მაკვალიფიცირებელ გარემოებაზე კონკრეტულად მიეთითებინა.

თუკი ექიმი აბორტს გააკეთებს არასპეციალიზებულ დაწესებულებაში, იგი გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უკიდურესი აუცილებლობის საფუძველზე, „თუ აბორტის გაკეთება აუცილებელი იყო ქალის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და საავადმყოფოში გადაყვანას შეიძლებოდა ქალის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა საფრთხეში ჩაეგდო.“[1254]

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, უკანონო აბორტისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს წარმოადგენს არა ნაყოფის სიცოცხლე, არამედ ორსული ქალის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს შეხედულება, რომლის თანახმადაც, ორსული ქალის თანხმობის გარეშე ნაყოფის დედის საშოდან გამოდევნის შემთხვევაში დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტად მიიჩნევა არა მხოლოდ ქალის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, არამედ ნაყოფიც.[1255] აღნიშნული შეხედულება მართებული იქნებოდა, თუკი კანონმდებელი ნაყოფს გამოაცხადებდა სიცოცხლის უფლების სუბიექტად და უკანონო აბორტისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას დააკისრებდა თავად ორსულ ქალსაც.

არ არის გასაზიარებელი სისხლის სამართლის მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ორსული ქალის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით უკანონო აბორტისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება უცნაურია, მაშინ როდესაც ყოველ ადამიანს გააჩნია საკუთარი ჯანმრთელობის განკარგვის უფლება, თუ იგი არ ხელყოფს მესამე პირის ინტერესებს.[1256] ჯანმრთელობის განკარგვა დაუშვებელია მაშინაც, როდესაც იგი არ ხელყოფს მესამე პირის ინტერესებს, თუ იგი ეწინააღმდეგება ჯანსაღი ცხოვრების წეს-ჩვეულებებს. გარდა ამისა, უკანონო აბორტი ორსული ქალის მხოლოდ ჯანმრთელობას როდი აზიანებს, იგი საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლესაც. სიცოცხლე კი მიეკუთვნება იმ უფლებათა კატეგორიას, რომელთა განკარგვაც შეუძლებელია.[1257]

[1254] იხ. *მაყაშვილი გ, მაჭავარიანი მ, წერეთელი თ, შავგულიძე თ,* დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980, გვ. 125.

[1255] იხ. *Горелик И.И.,* Квалификация преступлений, опасных для жизни и здоровья, Минск, 1973., с. 158. უკანონო აბორტისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის დამატებით ობიექტად ნაყოფს მიიჩნევს *თ. სადრაძე.* იხ. *სადრაძე თ.,* ევთანაზია და ფეტუსის სისხლისსამართლებრივი დაცვის პრობლემები, სადისერტაციო ნაშრომი (გამოქვეყნებული არ არის), თბ., 2012, გვ. 243.

[1256] იხ. *Панкратов В.,* Проблемы установления уголовной ответственности за незаконное производство аборта, „Уголовное право“, 2001, №3, с. 40.

[1257] თუ ვიტყვით, რომ სიცოცხლის უფლების განკარგვა შეიძლება, იქმნება ევთანაზიის ანუ მსხვერპლის თხოვნით მკვლელობის დასჯადობის ზნეობრივი და სამართლებრივი პრობლემა, ვინაიდან თუ სიცოცხლის განკარგვა შეიძლება, ის ვინც მსხვერპლს კლავს მისი დაჟინებული თხოვნით მსხვერპლს ეხმარება სიცოცხლის უფლების განკარგვაში. ევთანაზიასთან დაკავშირებით იხილეთ *წერეთელი თ.,* ევთანაზია, როგორც ზნეობრივი და სამართლებრივი პრობლემა, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1976, №6, გვ. 35–45.

უკანონო აბორტი მოქმედებით ჩასადენ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება. დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ექიმი, ასევე სამედიცინო განათლების არმქონე. „ორსულობის შეწყვეტა შეიძლება განხორციელდეს თვით ორსული ქალის ხელითაც, როდესაც ხდება მისთვის მოტყუებით მუცლის მოსაშლელი საშუალების მიწოდება და მისი გამოყენება ბრმა იარაღად.“[1258] ასეთი შემთხვევა განხილული უნდა იქნეს როგორც შუალობითი ამსრულებლობით ჩადენილი დანაშაული. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლის თანახმად, ორსულ ქალს არ ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საკუთარი ორსულობის შეწყვეტისთვის, ამდენად, იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს დანაშაულის ამსრულებლად საკუთარი ორსულობის შეწყვეტისას, ისე როგორც მკვლელობის ამსრულებლად არ განიხილება თვითმკვლელი, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი იცავს სხვის სიცოცხლეს და პასუხისმგებლობას აწესებს სხვისი და არა საკუთარი სიცოცხლის მოსპობისთვის. ორსულობის შეწყვეტა შეიძლება განხორციელდეს თანამონაწილეობითაც.

იურიდიულ ლიტერატურაში საკამათოდ შეიძლება ჩაითვალოს საკითხი იმასთან დაკავშირებით, უკანონო აბორტი კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება თუ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს. *ი. გორელიკი* უკანონო აბორტს კონკრეტული საფრთხის დელიქტებს მიაკუთვნებს.[1259] თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ გავიზიარებდით დასახელებული მეცნიერის პოზიციას, რომლის მიხედვითაც როგორც აბსტრაქტული, ისე კონკრეტული საფრთხის დელიქტები შედეგგარეშე ანუ ე. წ. ფორმალურ შემადგენლობებს მიეკუთვნება,[1260] არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა იმის დადგენას, უკანონო აბორტი კონკრეტული საფრთხის დელიქტია თუ აბსტრაქტული, ვინაიდან უშედეგო (ე.წ.ფორმალური) შემადგენლობის შემთხვევაში ქმედებასა და დამდგარ შედეგს[1261] ან შექმნილ საფრთხეს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა არ ხდება.

მართებულად შეიძლება ჩაითვალოს პროფ. *თ. წერეთლის* შეხედულება, რომელიც უკანონო აბორტს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად მიიჩ-

---

1258 იხ. *Schönke A, Schröder H.*, Strafgesetzbuch, 24. Aufl., München, 1991, S. 1576, 1579.

1259 იხ. *Горелик И.И.,* Квалификация преступлений, опасных для жизни и здоровья, Минск., 1973., 159.

1260 იხ. *ი. გორელიკის* დასახ. ნაშრ., გვ. 22.

1261 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა.“ თუ გავითვალისწინებთ სსკ მე-7 მუხლში მოცემულ დანაშაულის დეფინიციას, რომლის მიხედვითაც დანაშაული სამი ელემენტისგან შედგება – სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალი – და იმას, რომ დანაშაულის პირველი ნიშნის – სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის დადგენის ეტაპზე არ ხდება ქმედებისა და დამდგარი შედეგის მართლწინააღმდეგობის დადგენა და იგი შემდეგ ეტაპზე დგინდება, მიზანშეწონილი იქნებოდა მიზეზობრივი კავშირის დეფინიციაში არ ყოფილიყო ხაზგასმა შედეგის მართლწინააღმდეგობაზე, რამდენადაც მიზეზობრივი კავშირის დადგენის ეტაპზე ქმედებისა და დამდგარი შედეგის მართლწინააღმდეგობაზე მსჯელობა ნაადრევია. ამიტომაც ვიყენებთ ჩვენ „მართლსაწინააღმდეგო შედეგი“ – ს ნაცვლად ტერმინს – „დამდგარი შედეგი“.

ნევს.[1262] უკანონო აბორტი კონკრეტული საფრთხის დელიქტს რომ წარმოადგენდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, კონკრეტული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის აუცილებელი გახდებოდა მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და საფრთხეს შორის, მაგრამ აბსტრაქტული საფრთხის დანაშაულებში საფრთხე პრეზუმირებულია თვით კანონმდებლის მიერ. ასეთი შემადგენლობის შექმნის დროს, კანონმდებელი აღიარებს, რომ სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში აღწერილ ქმედებას ზოგადად, ცხოვრებისეული გამოცდილების შესაბამისად, შეუძლია ზიანი მიაყენოს სამართლით დაცულ განსაზღვრულ ინტერესებს.[1263] უკანონო აბორტის საშიშროების განსაზღვრა მხოლოდ კანონმდებლის პრეროგატივაა. ნორმის შემფარდებელს ამ შემთხვევაში ევალება მხოლოდ იმის დადგენა, ჩატარდა თუ არა აბორტი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით (აღნიშნული კანონის 139-ე და 140-ე მმ) გათვალისწინებული პირობების დაცვით, ე. ი. ადგილი ხომ არ ჰქონდა უკანონო აბორტის ფაქტს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა განხორციელებულად ითვლება არა მაშინ, როცა ორსულობის შეწყვეტის მიზნით ქმედება განხორციელდება, არამედ, როცა მიზანი მიღწეულია, ე. ი. ნაყოფი დედის საშოდან გამოდევნილია. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ დანაშაულის მცდელობაზე.[1264] გერმანული კანონმდებლობისგან განსხვავებით, ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, უკანონო აბორტის დამთავრებისთვის აუცილებელი არ არის ნაყოფის მოკვლა, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლის დაცვის ობიექტს ნაყოფის სიცოცხლე არ წარმოადგენს. უკანონო აბორტი დამთავრებულია დედის საშოდან ნაყოფის გამოდევნის მომენტში და ნაყოფი მკვდარი დაიბადება თუ ცოცხალი 133-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დამთავრებისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ეთუკი უკანონო აბორტის შედეგად ბავშვი ცოცხალი დაიბადება და შემდგომ მას მოკლავენ, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, როგორც სსკ 133-ე მუხლით (უკანონო აბორტი), ისე სსკ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფისა), რადგან სახეზე იქნება სისხლისსამართლებრივი დაცვის ორი დამოუკიდებელი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული ქმედება – ახალშობილის სიცოცხლის ხელყოფა და ორსული ქალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა.[1265] ხოლო, თუ ახალშობილის მკვლელობა განახორციელა დედამ მშობიარობისას ან უმალვე მშობიარობის შემდეგ, ქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლით.

[1262] იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები,IV ტომი,თბ.,2010,177.

[1263] იხ. *Церетели Т.,* Деликты создания опасности, „Советское государство и право“, 1970, №8,с. 56.

[1264] საფრთხის შემქმნელი დელიქტების მცდელობისა და მომზადების შესაძლებლობის შესახებ იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები,I ტომი,თბ.,2007,გვ. 502-503; *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები,IV ტომი,თბ.,2010,გვ. 230-231.

[1265] იხ. *გორელიკი ი.,* დასახ. ნაშრომი,გვ. 156.

უკანონო აბორტისა და განზრახ მკვლელობის ერთმანეთისგან გამიჯვნისათვის აუცილებელია სიცოცხლის დაწყების მომენტის განსაზღვრა. იურიდიულ მეცნიერებაში განსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული სიცოცხლის დაწყების მომენტზე. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, ადამიანის სიცოცხლის დასაწყისად ითვლება ის მომენტი, როცა ბავშვი გამოეყოფა დედის საშოდან, მიუხედავად იმისა, დაიწყო თუ არა მან დამოუკიდებლად სუნთქვა. სწორედ ამ მომენტიდან შეიძლება გახდეს ბავშვი მკვლელობის მსხვერპლი. ბავშვი მკვლელობის მსხვერპლი შეიძლება აღმოჩნდეს არა მხოლოდ დაბადების შემდეგ, ე. ი. მას შემდეგ, რაც დედის საშოს გამოეყოფა იგი, არამედ მშობიარობის დროს, რაზეც მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლი, რომელიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს დედის მიერ ახალშობილის მკვლელობისათვის „მშობიარობისას ან უმალვე მშობიარობის შემდეგ.“

თუ მუცლის მოშლა შედეგად მოჰყვა სამოქალაქო მოსახლეობაზე ან პირებზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში განხორციელებულ განზრახ მოქმედებას, ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 408-ე მუხლით (დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ). ხოლო, განზრახ განხორციელებული ქმედება, რომელიც იწვევს მუცლის მოშლას, შეიძლება დაკვალიფიცირდეს სსკ 407-ე მუხლით (გენოციდი), თუ ქმედების ჩამდენი მიზნად ისახავს კონკრეტული ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური ან რასობრივი ჯგუფის მთლიან ან ნაწილობრივ მოსპობას.[1266] გენოციდის განხორციელების ერ-ერთ ხერხს წარმოადგენს ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით ასეთი ჯგუფის წევრისთვის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მიხედვით კი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ცნება მოიცავს ისეთ განზრახ ქმედებასაც, რასაც შედეგად მოსდევს ორსულობის შეწყვეტა. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა იძულებით შეიძლება სსკ 407-ე მუხლით დაკვალიფიცირდეს ასევე იმ შემთხვევაშიც, როცა დანაშაულის ამსრულებელი მას ჩადის კონკრეტულ ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ ან რასობრივ ჯგუფში შვილოსნობის შემცირების მიზნით.

სუბიექტური მხრივ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა გულისხმობს პირდაპირ განზრახვას. ამსრულებელს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ მისი ქმედება გამოიწვევს ორსული ქალის მუცლის მოშლას. თუ ამსრულებელს არა აქვს ასეთი მიზანი, მაგრამ მის (განზრახ) მოქმედებას შედეგად მოჰყვება ორსულობის შეწყვეტა, ქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სსკ-ის არა 133-ე, არამედ 117-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება). 117-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულიც განზრახია, მაგრამ ამ მუხლით ქმედების კვალიფიკაციისთვის

[1266] ამიტომ, არასწორად მიგვაჩნია შეხედულება, რომლის თანახმადაც, „ქმედების საქართველოს სსკ 117-ე მუხლის პირველი ნაწილით კვალიფიკაციისათვის მოტივს და მიზანს მნიშვნელობა არა აქვს“. (იხ. *თოდუა ნ.*, წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 93).

საჭირო არ არის, რომ დამნაშავე დაზარალებულის მუცლის მოშლის მიზნით მოქმედებდეს. 117-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის განხორციელებისას დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ქმედებას ჩადის ორსული ქალის წინააღმდეგ, რაც მისი ჯანმრთელობის დაზიანებას გამოიწვევს. მაგრამ, ჯანმრთელობის დაზიანება შეიძლება სხვადასხვა შედეგში, მათ შორის დაზარალებულის მუცლის მოშლაში, აისახოს.

საქართველოს სსკ 133-ე მუხლი პასუხისმგებლობას ამკაცრებს თუ ქმედება ჩადენილია უკანონო აბორტისათვის მსჯავრდებულის მიერ, ან თუ ქმედებას შედეგად მოჰყვა შვილოსნობის სამუდამო მოშლა ან სხვა მძიმე შედეგი ან სიცოცხლის მოსპობა. როდესაც ქმედებას შვილოსნობის მოშლა ან სხვა მძიმე შედეგი ან სიცოცხლის მოსპობა მოჰყვება, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, რამდენადაც ისინი ქმნიან ქმედების ეგრეთ წოდებულ შედეგიან (მატერიალურ) შემადგენლობებს. ამსრულებელს ამ უკანასკნელ შემთხვევებში შედეგის მიმართ გააჩნია გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება. თუ დანაშაულის ამსრულებელს შეგნებული ჰქონდა, რომ აბორტს შედეგად მოჰყვებოდა ქალის სიცოცხლის მოსპობა და სურდა კიდეც ამ შედეგის დადგომა ამსრულებლის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის არა 133-ე მუხლით, არამედ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა).

საქართველოს 1922 და 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსები მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, უკანონო აბორტის დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებდნენ მუცლის მოშლას იძულებით. თუ მუცლის მოშლა განხორციელდა იძულებით, როცა ორსული ქალის სიცოცხლეს ნაყოფი საფრთხეს არ უქმნის, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება? არის თუ არა უკანონო აბორტის შემადგენლობისთვის აუცილებელი დაზარალებულის (ორსული ქალი) თანხმობა? სისხლის სამართლის მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე და 133-ე მუხლებით გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობებს შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ „უკანონო აბორტის შემთხვევაში ექიმი დედის სურვილით ახდენს ორსულობის ხელოვნურ შეწყვეტას“.[1267] აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ თუ ორსულობის შეწყვეტა მოხდა დაზარალებულის ნების საწინააღმდეგოდ, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის არა 133-ე, არამედ სსკ-ის 117-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება). აღნიშნული მოსაზრება არ შეიძლება დასაბუთებულად ჩაითვალოს და, რაც მთავარია, იგი სრულებით არ გამომდინარეობს 117-ე და 133-ე მუხლის შინაარსიდან. საქართველოს

[1267] იხ. *თოდუა ნ.*, წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014, გვ. 88; *წულაია ზ.*, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, პირველი ტომი, თბ., 2000, გვ. 170; *სადრაძე თ.*, ევთანაზია და ფეტუსის სისხლისსამართლებრივი დაცვის პრობლემები, სადისერტაციო ნაშრომი (გამოქვეყნებული არ არის), თბ., 2012, გვ. 245; იხ. ასევე *Панкратов В.*, Проблемы установления уголовной ответственности за незаконное производство аборта, „Уголовное право“, 2001, №3, с. 40. აღნიშნულ ნაშრომშიც ნათქვამია, რომ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებასა და უკანონო აბორტს შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ უკანონო აბორტის დროს არსებობს დაზარალებულის თანხმობა.

სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლი პასუხისმგებლობას აწესებს უკანონო აბორტისთვის. აბორტი უკანონოდ ჩაითვლება, თუ იგი გაკეთდა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 139-ე და 140-ე მუხლების მოთხოვნების დარღვევით. 139-ე მუხლის მიხედვით აბორტის მართლზომიერების ერთ-ერთ პირობას შეადგენს ორსული ქალის თანხმობა ორსულობის შეწყვეტაზე. ორსულობის შეწყვეტა აკრძალულია და, შესაბამისად, უკანონოდ ითვლება, თუ იგი მოხდა ორსული ქალის ნების საწინააღმდეგოდ. 117-ე მუხლი კი, შემდეგი შინაარსის დისპოზიციას მოიცავს: „ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ანდა რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის წარუშლელი დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან.“

ქმედება შეიძლება 117-ე მუხლით დაკვალიფიცირდეს მაშინ, როდესაც ამსრულებლის განზრახვა არ არის კონკრეტიზებული და უშუალოდ მიმართული ორსულობის შეწყვეტისკენ. თუკი ქმედება უშუალოდ ორსულობის შეწყვეტისკენაა მიმართული, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ არა 117-ე, არამედ 133-ე მუხლით, მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა იგი ქალის ნების საწინააღმდეგოდ და თუ არსებობდა 133-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის სხვა ნიშნები, რომლებიც აუცილებელია ქმედების 133-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის. ზემოაღნიშნულთან ერთად გასათვალისწინებელია ასევე მეორე გარემოებაც: 117-ე მუხლის დისპოზიციაში გამოყენებულია სიტყვები – „ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება“. ხომ შეიძლება, რომ ორსულობის შეწყვეტა განხორციელდეს სხეულის დაზიანების გარეშეც, მაგალითად მუცლის მოსაშლელი აბების გამოყენებით? 117-ე მუხლი, 133-ე მუხლისაგან განსხვავებით, გულისხმობს „ცემას, წამებას, დაჭრას ან სხვა მისთ., რასაც შედეგად მოჰყვა მუცლის მოშლა, და არა მოქმედებას, უშუალოდ მიმართულს აბორტის გამოსაწვევად (ოპერაცია, სპეციალური ხელსაწყოს ხმარება საშვილოსნოს გაფართოებისა და ჩანასახის გამოძევებისათვის ან საამისოდ წამლის მიცემა)“.[1268] მუცლის მოსაშლელი წამლის გამოყენებით ორსულობის შეწყვეტა უკანონო აბორტად განიხილება გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაშიც.[1269] ორსული ქალისათვის მუცლის მოსაშლელი წამლის მოტყუებით მიწოდების შემთხვევაში საკითხი სულ სხვაგვარად უნდა გადაწყდეს იმ მეცნიერთა მსჯელობით, რომლებიც მიიჩნევენ, რომ უკანონო აბორტის (133-ე მუხ.) შემადგენლობა მოითხოვს დაზარალებულის თანხმობას ორსულობის შეწყვეტაზე. ორსული ქალის თანხმობა ხომ გამოირიცხება მაშინ, როდესაც ორსულობის შეწყვეტა ხდება დაზარალებულისათვის მუცლის მოსაშლელი წამლის მოტყუებით მიწოდებით. სსკ 117-ე და 133-ე მუხლებით

[1268] იხ. *მაყაშვილი გ., მაჭავარიანი მ., წერეთელი თ., შავგულიძე თ.,* დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980, გვ. 126.

[1269] იხ. *Schönke A, Schröder H.*, Strafgesetzbuch, 24. Auflage, München, 1991, S. 1576, 1579.

გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობებს შორის განსხვავება არის არა ორსული ქალის თანხმობაში, არამედ ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში (განზრახვის კონკრეტიზებულობაში) და ქმედების განხორციელების ხერხში.[1270]

კარგი იქნება თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლში პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინებული იქნება უკანონო აბორტი იძულებით, ისე, როგორც ეს იყო საქართველოს 1922 და 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსებში.

თუ ორსული ქალის თანხმობის გარეშე ორსულობის შეწყვეტა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობას ქმნის, მაშინ ორსული ქალის სიცოცხლის გადასარჩენად მისი თანხმობის გარეშე ორსულობის შეწყვეტა უნდა მიგვეჩნია არა სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლით გათვალისწინებული, არამედ სსკ 117-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად.

თუ ორსულ ქალზე განხორციელდა იძულება მუცლის მოშლის მოთხოვნით, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლით (იძულება).

საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი უკანონო აბორტის დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებდა აბორტის გაკეთებას იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს უმაღლესი სამედიცინო განათლება და აბორტის გაკეთებას ხელობის სახით. უმაღლესი განათლების არმქონე პირის მიერ უკანონო აბორტისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრება გამოწვეული იყო იმით, რომ აღნიშნულ შემთხვევაში გაცილებით მეტი საფრთხე ექმნება ორსული ქალის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ვიდრე სამედიცინო განათლების მქონე პირის მიერ აბორტის გაკეთებისას.

საქართველოში ყოველწლიურად მატულობს რეგისტრირებული აბორტების რიცხვი და მან 2007 წლისთვის 20.600-ს მიაღწია, რაც საქართველოსთვის საგანგაშო ციფრს წარმოადგენს. მატების ტენდენცია განსაკუთრებით 2004 წლიდან შეინიშნება. ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი 20 დან 35 წლამდე ქალებზე მოდის. აბორტები ფიქსირდება 15 წლის ასაკს მიუღწეველ ქალებშიც, რომლებთანაც სრულწლოვნის ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირიც კი დასჯადია (სსკ 140-ე მუხ).

რა შეიძლება იყოს აბორტების რიცხვის ასეთი კატასტროფული მატების მიზეზი? საქართველოში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

[1270] არ ვიზიარებთ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებას, რომლის თანახმადაც „ორსულობის შეწყვეტის ხერხს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ქმედების შეფასებისათვის“. (იხ. *მამულაშვილი გ.*,წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.),სისხლის სამართლის კერძო ნაწილი,წიგნი I,მე-5 გამოცემა,თბ.,2014,გვ. 176).

საქართველოში რეგისტრირებული აბორტების სტატისტიკა[1271]

წლების მიხედვით	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
რეგისტრირებული აბორტები,ათასი	15,0	15,0	13,9	13,8	17,2	19,7	21,2	20,6
მათ შორის მინი აბორტები,ათასი	5,4	5,3	5,1	5,2	6,6	6,7	7,5	7,6

აბორტების რიცხვი ქალების ასაკის მიხედვით,ერთეული	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
15 წლამდე	1	1	9	2	6	5	2	8
15-19	787	857	789	897	1494	1057	1380	1037
20-34	11239	11267	10687	10247	13105	15710	16898	15780
35 და მეტი	2924	2883	2423	2688	2605	2909	2924	3819

წლების მიხედვით	2008	2009	2010	2011	2012
რეგისტრირებული აბორტები, სულ ათასი	22.1	24.3	25.6	30.6	39.2
მათ შორის მინი-აბორტი, ათასი	7.7	8.4	10.6	12.9	15.9
15 წლამდე	6	21	14	15	19
15-19	1359	1689	1770	1681	1955
20-44	20481	22419	23664	28760	37070
45 და მეტი	216	182	137	134	181

[1271] წყარო: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი

8.3.2. აბორტის დასჯადობა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

8.3.2.1. ორსულობის შეწყვეტა, როგორც დაუბადებელი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (გერმანიის სსკ-ის 218-ე პარაგრაფი)

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში უკანონო აბორტი გათვალისწინებულია სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში და ქართული სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, დასაცავ სიკეთედ უპირველეს ყოვლისა აღიარებს დაუბადებელ (ნაყოფის) სიცოცხლეს. ზოგიერთი მეცნიერი დაუბადებელი სიცოცხლის შემდეგ სისხლისსამართლებრივი დაცვის სიკეთედ ასევე ორსული ქალის ჯანმრთელობასაც მიიჩნევს.[1272] ორსულობის შეწყვეტის დროს დაუბადებელ სიცოცხლესთან ერთად ორსული ქალის ჯანმრთელობაც უნდა ჩაითვალოს თუ არა სამართლებრივი დაცვის სიკეთედ, საკამათოდ ითვლება.[1273]

ჰ. ზათცგერი მიიჩნევს, რომ გერმანული სსკ-ის 218-ე პარაგრაფით დასჯადი დანაშაულისგან დასაცავ სამართლებრივ სიკეთეს ორსული ქალის ჯანმრთელობა არ წარმოადგენს და ორსული ქალი საკმარისად არის დაცული მკვლელობის და ჯანმრთელობის დაზიანების (გერმანული სსკ-ის 211-ე და 223-ე პარაგრაფები) შემადგენლობით.[1274]

ნაყოფის სიცოცხლე არ მიეკუთვნება ორსული ქალის ძალმოსილების სფეროს ანუ ორსულ ქალს არ აქვს მისი განკარგვის უფლება შემდეგი გაგებით: „ჩემი მუცელი მე მეკუთვნის“.[1275]

რ. მერკელი აღნიშნავს, რომ 218-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი ორსული ქალის დაცვას ემსახურება.[1276]მაშინ, როცა ადგილი აქვს ორსულობის შეწყვეტას ორსულის ნების საწინააღმდეგოდ, სამართლებრივი დაცვის სიკეთედ შეიძლება ასევე განვიხილოთ ორსული ქალის გადაწყვეტილების თავისუფლება.[1277]

ორსულობის შეწყვეტა განიხილება როგორც ნაყოფის მკვლელობა.[1278] როდესაც ორსულობის შეწყვეტაზე, როგორც სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებაზე ვსაუბრობთ, იგულისხმება ორსულობის არა უბრალოდ არაკანონზომიერი შეწყვეტა, არამედ ორსულობის შეწყვეტა ნაყოფის

[1272] იხ. *Eser*, in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., München, 2010, S. 1945, §218 Rn. 12; *Rengier R.,* Strafrecht, BT II, Delikte gegen die Person und die Allgemeinheit, 13. Aufl., München, 2012, S. 92, §11. Rn. 6; *Lackner/Kühl,* Srafgesezbuch, Kommentar, 27. Aufl., München, 2011, S. 1002, §218 Rn. 1; *Maurach/Schröder/Maiwald,* Strafrecht, BT, Teilband 1, 10. Aufl., Heidelberg, 2009, S. 87, §6 Rn. 11; *Gropp*, in: MüK, Band 3, München, 2003, §218 Rn. 42; *Kindhäuser U.,* Strafrecht, BT, 5. Aufl., Baden-Baden, 2012, S. 82, §6 Rn. 4.

[1273] იხ. *Eisele J.,* Strafrecht, BT I, 2. Aufl., Straftaten gegen die Person und die Allgemeinheit, Stuttgart, 2012, S. 96, Rn. 263; *Merkel R.*, in: Kindhäuser, Neumann, Paeffgen (Hrsg), Strafgesetzbuch, Band 2, 3. Aufl., Baden-Baden, 2010, S. 731, §218 Rn. 7.

[1274] იხ. *Satzger H.,* Der Schwangerschaftsabbruch (§§ 218 ff. StGB), Jura 2008, S. 425.

[1275] იხ. *Satzger H.,* იქვე.

[1276] იხ. *Merkel R.*, in: Kindhäuser, Neumann, Paeffgen (Hrsg), Strafgesetzbuch, Band 2, 3. Aufl., Baden-Baden, 2010, S. 732, §218 Rn. 7.

[1277] იხ. *Rohrer J.,* Menschenwürde am Lebensanfang und am Lebensende und strafrechtlicher Lebensschutz, Berlin, 2012, S. 229; *Gropp*, in: MüKo, Band 3, München, 2003, §218 Rn. 42.

[1278] იხ. *Krey/Helmann/Heinrich,* Strafrecht, BT, Band 1, 15. Aufl., Stuttgart, 2012, S. 57, Rn. 148.

მოკვდინების გაგებით. ნაყოფი წარმოიშობა განაყოფიერებით, რომელიც როგორც წესი ჩასახვიდან მე-13 დღის მერე დასრულებულია. განაყოფიერება ხდება ბოლო მენსტრუაციიდან ოთხი კვირის ვადაში.[1279] ნაყოფის, როგორც დაუბადებელი სიცოცხლის დაცვის დაწყება განაყოფიერების დასრულებას უკავშირდება.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ ხელოვნურ (vitro) და ბუნებრივ განაყოფიერებას (vivo) და ნაყოფის დაცვაც ხდება სხვადასხვა კანონებით, იმის გათვალისწინებით, ნაყოფი ხელოვნური განაყოფიერების შედეგად განვითარდა, თუ ბუნებრივი განაყოფიერების შედეგად. თუ ბუნებრივი განაყოფიერების შედეგად განვითარებული ნაყოფის, როგორც დაუბადებელი სიცოცხლის, დაცვა გერმანული სსკ-ის 218-ე პარაგრაფით ხდება, ხელოვნური განაყოფიერების შედეგად განვითარებული ნაყოფის დაცვა ემბრიონის დაცვის თაობაზე 1991 წლის პირველ იანვარს მიღებული კანონით არის უზრუნველყოფილი. დასახელებული ე. წ. დამატებითი ანუ გვერდითი კანონით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს შეადგენს ისეთი მაღალი რანგის სიკეთეები, როგორიცაა ემბრიონის სიცოცხლე და სხეულებრივი ინტეგრაცია, იმ ქალის პიროვნულ უფლებები, ვის საშოშიც მოხდა ხელოვნური განაყოფიერება და ადამიანური ღირსება.[1280]

ხელოვნური განაყოფიერების მიზანი აუცილებლად უნდა იყოს დაორსულება, რაც იმას ნიშნავს, რომ განაყოფიერება კვლევითი მიზნით აკრძალულია.[1281]

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულების თანახმად, 218-ე პარაგრაფით დაცული ნაყოფი უნდა გაიმიჯნოს სისხლისსამართლებრივი გაგებით ადამიანისგან, რომელიც მკვლელობის შემადგენლობის დაცვის ობიექტს წარმოადგენს. 218-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა მაშინაც იქნება განხორციელებული, როცა ფეტუსზე მუცლად ყოფნის დროს განხორციელდება ზემოქმედება, მაგრამ იგი ამის გამო უკვე როგორც ადამიანი (ბავშვი) დაბადების შემდეგ კვდება. გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, 218-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელება იმაზეა დამოკიდებული, დადგება თუ არა სასიკვდილო შედეგი უმალვე დაბადების შემდეგ.[1282]

ტყუპების ხელყოფის შემთხვევაში თითოეული ნაყოფი განიხილება დანაშაულებრივი ხელყოფის დამოუკიდებელ ობიექტად. მაგრამ, თუ უკიდურესობიდან გამომდინარე აუცილებელია ერთ-ერთი ემბრიონის მოკვდინება, მაშინ არ არსებობს 218-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა და ექიმი თავისუფლდება სასჯელისაგან.[1283]

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ორსულობის შეწყვეტისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება არა მხოლოდ მესამე პირს, არამედ თავად ორსულ ქალსაც. მაგალითად, როცა ორსული ქალი მუცელს მოიშლის მედიკამენტის მიღების შედეგად.[1284] თუ ორსულმა ქალმა თვითონ სხვების ჩარევის შედეგად

[1279] იხ. *Rengier R.,* იქვე,გვ. 92,§11 Rn. 6a-7.

[1280] იხ. *Rohrer J.,* იქვე, გვ. 215.

[1281] იხ. *Rohrer J.,* იქვე, გვ. 226.

[1282] იხ. *Rengier R.,* იქვე,გვ. 92,§11 Rn. 8.

[1283] იხ. *Schönke/Schröder.*, Strafgesetzbuch, 24. Auflage, München, 1991, S. 1574.

[1284] იხ. *Krey/Helmann/Heinrich,* Strafrecht, BT, Band 1, 15. Aufl., Stuttgart, 2012, S. 60, Rn. 156; *Ren-*

მედიკამენტის გამოყენებით მოიშალა მუცელი, ქმედება კვალიფიცირდება 218-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილით. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ შემადგენლობას და მიეკუთვნება საკუთარი ხელით ჩასადენ დანაშაულებს. ორსული ქალის მიერ მუცლის მოშლა არ განიხილება არც თანაამსრულებლობად და არც შუალობით ამსრულებლობად. ეს უკანასკნელი ფორმა შეიძლება მაშინ გვქონდეს, როცა ორსულობის შეწყვეტის შემადგენლობას ექიმი ან არასპეციალისტი ახორციელებს, მიუხედავად იმისა, თავისუფლდება თუ არა ორსული ქალი პასუხისმგებლობისგან.

მუცლის მოშლის შემადგენლობა სრულად განხორციელებულად რომ ჩაითვალოს, მხოლოდ ორსულობის შეწყვეტა არ არის საკმარისი, არამედ ნაყოფის მოკვდინება. ქმედების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არა აქვს ნაყოფი დედის მუცელში მოკვდება თუ მის გარეთ.[1285]

გერმანული სსკ-ის 218-ე პარაგრაფით გათვალისწინებული შემადგენლობა უმოქმედობითაც ხორციელდება. ამის მაგალითად მოჰყავთ ნაადრევი მშობიარობის გამოწვევისთვის ხელის არშეშლა ექიმის მიერ, როცა ეს შესაძლებელი იყო.[1286]თუ ნაადრევი მშობიარობა ნაყოფის სიცოცხლის უუნარობის პერიოდში იქნა გამოწვეული, 218-ე პარაგრაფით გათვალისწინებული შემადგენლობა განხორციელებულად ითვლება. უმოქმედობით უკანონო აბორტის განხორციელების მაგალითად განიხილავენ ასევე შემთხვევას, როდესაც ორსული ქალი გინეკოლოგიური გამოკვლევისას შენიშნავს, რომ ექიმი იწყებს მოქმედებას, რომელიც მუცლის მოშლას გამოიწვევს და ორსული ქალი არაფერს აკეთებს თავის დასაცავად და არ იგერიებს ექიმის მოქმედებას.[1287]

გერმანული კანონმდებლობით ისჯება უკანონო აბორტის მცდელობაც, მაგრამ მცდელობისთვის, ისევე როგორც საკუთარი ორსულობის შეწყვეტის მომზადებისთვის, პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაეკისროს ორსულ ქალს. ორსულობის შეწყვეტის მცდელობად შეიძლება დაკვალიფიცირდეს ქმედება, თუ მას შედეგად არ მოჰყვა ნაყოფის სიკვდილი ან თუ მუცლის მოშლის მიზნით გამოყენებული იქნა უვარგისი საშუალება.[1288]

ორსულობის შეწყვეტის მოსამზადებელ მოქმედებად შეიძლება განხილული იქნეს ორსულობის შეწყვეტის მოთხოვნა ან ამ მიზნით კლინიკაში მიღება. ცალკეული მოსამზადებელი მოქმედებები კი ისჯება 219ა და 219ბ პარაგრაფებით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას უკანონო აბორტისათვის საშუალებების გასაღებისა და აგიტაციისათვის. უკანონო აბორტის აგიტაცია გულისხმობს შეთავაზებას, შეტყობინებას, რეკლამირებას: 1. ორსულობის შეწყვეტის ან ორსულობის შეწყვეტის ხელშეწყობისათვის საკუთარი ან სხვისი სამსახურისა; 2. საგნების, საშუალებების ან მოწყობილობისა, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ორსულობის შეწყვეტისათვის. მართალია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 140-ე მუხლითაც აკრძალულია აბორტის რეკლამა, მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდ-

gier R., იქვე,გვ. 94,§11 Rn. 13.

[1285] იხ. *Gössel/Dölling,* Strafrecht, BT 1, 2. Aufl., Heidelberg, 2004, S. 121, §9 Rn. 5.

[1286] იხ. *Gössel/Dölling,* იქვე,გვ. 121, §9 Rn. 5.

[1287] იხ. *Kröger P.,* in: LK, 11., Aufl., 198.

[1288] იხ. *Fischer T.,* Strafgesetzbuch und Nebengesetze, 59. Aufl., München., 2012, S. 1449, § 218 Rn. 5; *Kindhäuser U.,* Strafrecht, BT, 5. Aufl., Baden-Baden, 2012, S. 83, §6 Rn. 4.

ექსში გერმანული სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით არ არის მოცემული ნორმა, რომელიც აღნიშნული ქმედებისთვის პასუხისმგებლობას აწესებს.

გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ორსულობის შეწყვეტისთვის აუცილებელია სათანადო სამედიცინო დასკვნის არსებობა, რომელიც გაცემული უნდა იყოს არა იმ ექიმის მიერ ვინც აბორტს აკეთებს, არამედ სხვა ექიმის მიერ. ორსულობის შეწყვეტისთვის ასეთი სამედიცინო დასკვნის მოთხოვნის აუცილებლობა შეიძლება განხილული იქნეს უკანონო აბორტის შემცირების და ამ დანაშაულზე კონტროლის ერთგვარ მექანიზმად.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობა პასუხისმგებლობას აწესებს მხოლოდ განზრახი მოქმედებით გამოწვეული ორსულობის შეწყვეტისთვის. თუ ორსულობა შეწყდა გაუფრთხილებლობითი მოქმედების (მაგ. ექიმის დაუდევრობის) შედეგად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოირიცხება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შედეგად დადგება ორსულის ჯანმრთელობის დაზიანება.[1289]

გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, ორსული ქალის განზრახ მკვლელობისას თანადროულად განხორციელებულია ორსულობის შეწყვეტის შემადგენლობაც. ორსულობის შეწყვეტის შემადგენლობის განხორციელებისთვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა საშუალებით ან მეთოდით განხორციელდა იგი.[1290] ორსულობის შეწყვეტის შემადგენლობა შეიძლება განხორციელდეს თვითმკვლელობის მცდელობითაც, მაგრამ თუ მას შედეგად ნაყოფის სიკვდილი არ მოჰყვა, ორსულობის შეწყვეტის მცდელობისთვის ორსული ქალი, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ დაისჯება.[1291]

218-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის მიხედვით, ორსულობის შეწყვეტისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება ორსულობის შეწყვეტა ორსულის ნების საწინააღმდეგოდ. პასუხისმგებლობის ზომა იზრდება ასევე მაშინაც, როცა ორსულობის შეწყვეტა გაუფრთხილებლობით შექმნის ორსულის სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხეს.

8.3.2.2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ორსულობის შეწყვეტის დროს (გერმანული სსკ-ის მიხედვით)

გერმანული სსკ-ის 218a -ე პარაგრაფი ორსულობის შეწყვეტის დროს პასუხისმგებლობისგან გამათავისუფლებელ ორი კატეგორიის გარემოებას ითვალისწინებს. ესენია: ქმედების შემადგენლობის და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი. ქმედების შემადგენლობა მაშინ გამოირიცხება, როცა: 1. ორსულობის შეწყვეტა ორსული ქალის მოთხოვნით ხდება და ორსულობის შეწყვეტის წინ ორსულს გავლილი

[1289] იხ. *Fischer T.,* იქვე,გვ. 1450,§218 Rn. 11, 12; *Rengier R.,* იქვე,გვ. 93,§11 Rn. 9.

[1290] იხ. *Fischer T.,* იქვე,გვ. 1449, §218 Rn. 5.

[1291] იხ. *Kröger P.,* in: LK, 11. Aufl., Berlin, §218 Rn. 11; *Fischer T.,* Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Aufl., 2010, S. 1425, §218 Rn. 5.

აქვს ექიმთან წინასწარი კონსულტაცია, რაც ექიმის მიერ იქნება დადასტურებული; 2. ორსულობის შეწყვეტას ექიმი განახორციელებს; 3. ქალის ორსულობა ოორმეტ კვირას არ აღემატება.

რამდენადაც დაუბადებელი სიცოცხლის განკარგვის უფლება დედას არ გადაეცემა, შესაბამისად, ორსულობის უკანონო შეწყვეტის დროს მართლწინააღმდეგობის გამორიცხვა ორსული ქალის თანხმობის საფუძველზე შეუძლებელია.[1292] 218-ე პარაგრაფის მე-2 და მე-3 აბზაცით გათვალისწინებული გარემოებანი განიხილება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ უკიდურეს აუცილებლობად.[1293]

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები, რომლებიც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ უკიდურეს აუცილებლობად განიხილება, ორ ჯგუფად იყოფა – **სამედიცინო-სოციალური** და **კრიმინოლოგიური ჩვენებები**:

ა) სამედიცინო-სოციალური ჩვენება. 218a-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის მიხედვით ორსულობის შეწყვეტა არ არის მართლსაწინააღმდეგო, თუ ექიმმა ორსული ქალის თანხმობით გააკეთა აბორტი ორსული ქალის სიცოცხლის ხელყოფის ან მისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების საფრთხის თავიდან ასაცილებლად და თუ საფრთხის თავიდან აცილება სხვაგვარად შეუძლებელი იყო.

ბ) კრიმინოლოგიური ჩვენება. კრიმინოლოგიური ჩვენება გულისხმობს ექიმის მიერ ორსული ქალის თანხმობით ორსულობის შეწყვეტას, მაშინ როცა ორსულობის მიზეზს წარმოადგენს გაუპატიურება, მაგრამ არ უნდა იყოს გასული განაყოფიერებიდან ოორმეტი კვირა. თუ სამედიცინო და სოციალური ჩვენების დროს არ არსებობს ვადით შეზღუდვა, კრიმინოლოგიური ჩვენების დროს კი ოორმეტკვირიანი შეზღუდვა მოქმედებს.[1294]

8.3.2.3. ორსულობის შეწყვეტა და სამართლებრივად თავისუფალი სივრცე – არტურ კაუფმანის კონცეფცია

არტურ კაუფმანმა 1972 წელს გამოაქვეყნა სამეცნიერო სტატია, რომლითაც საფუძველი დაუდო დისკუსიას სამართლებრივად თავისუფალ სივრცეზე. მან სამართლებრივად თავისუფალი სივრცის პრობლემა განიხილა არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ორსულობის შეწყვეტასთან მიმართებით.[1295] *კაუფმანის* შეხედულებით, არ შეიძლება ქმედების სამართლებრივი გამართლება მაშინ, როცა ქმედება განხორციელებულია მორალური უკიდურესობის მდგომარეობაში, როცა კონფლიქტი ტრაგიკულ სახეს ატარებს. მისი თვალსაზრისით, ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს მაშინაც, როცა აბორტი კეთდება სამედიცინო ჩვენების შედეგად. *კაუფმანის* თეზა ეფუძნება იმ

[1292] იხ. *Eisele J.,* Strafrecht, BT I, 2. Aufl., Straftaten gegen die Person und die Allgemeinheit, Stuttgart, 2012, S. 98, Rn. 271.

[1293] იხ. *Eisele J.,* იქვე,გვ. 98,Rn. 271; *Satzger H.,* იქვე,გვ. 430.

[1294] იხ. *Eisele J.,* იქვე,გვ. 98-99,Rn. 273.

[1295] იხ. *Kaufmann A.,* Rechtsfreier Raum und eigenverantwortliche Entscheidung, Dargelegt am Problem des Schwangerschaftsabbruchs, Maurach-FS, Müller, Karlsruhe, 1972, S. 327; *Kayßer M.,* Abtreibung und die Grenzen des Strafrechts, Berlin, 1997, S. 102.

იდეას, რომ ორი თანაბარი ღირებულების სიკეთეთა კოლიზიის დროს ქმედების გამართლება შეუძლებელია. თუმცა, საკამათო შეიძლება იყოს, საკითხი იმის თაობაზე, არის, თუ არა ნაყოფი დედის სიცოცხლის თანაბარი ღირებულების სიკეთე. *კაუფმანის* თვალსაზრისით, სამედიცინო ჩვენების შედეგად გაკეთებული აბორტის მართლსაწინააღმდეგო ხასიათის გამორიცხვა და გამართლება ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ ნორმას.

კაუფმანის დებულება საინტერესოა, მაგრამ საკამათოც. კერძოდ, ქმედება თუ მართლსაწინააღმდეგო და არამართლზომიერია, იგი ამავდროულად სამართლებრივად ნეიტრალურიც ვერ იქნება. ქმედების არამართლზომიერება უკვე შეფასებაა და იქ, სადაც შეფასება ხდება, ქმედება ნეიტრალურ ხასიათს ვერ ინარჩუნებს. გარდა ამისა, გამორიცხულია იმ ქმედების სამართლებრივი ნეიტრალურობა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსითაა გათვალისწინებული. ის რომ ქმედება სისხლის სამართლის კოდექსითაა გათვალისწინებული, იმაზე მიუთითებს, რომ ქმედება უკვე არის სამართლებრივი შეფასების ობიექტი. სამართალი შეფასების გარეშე არ არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება ან მართლზომიერად უნდა შეფასდეს ან მართლსაწინააღმდეგოდ. ქმედების მართლზომიერების ან მართლწინააღმდეგობის დადგენა კი ქმედების სამართლებრივ ნეიტრალურობას თავისთავად გამორიცხავს.

8.4. შეჯამება

თუ გავითვალისწინებთ მედიცინის თანამედროვე მიღწევების გამოყენებით ჩატარებულ კვლევის შედეგებს, რომლის მიხედვითაც დედა და შვილი ჩასახვის მომენტიდან ერთმანეთისგან განცალკევებული და განსხვავებული, უნიკალური ადამიანები არიან და ორსულობის მე-11 კვირისთვის ბავშვის ყველა ორგანოს სისტემა ფუნქციონირებს, აგრეთვე საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობას, და იმას, რომ საქართველოში დომინირებულ რელიგიას მართლმადიდებლობა წარმოადგენს, რომელიც მუცლის მოწყვეტას კაცის კვლად მიიჩნევს, აბორტის აკრძალვის აუცილებლობამდე მივალთ. აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობამ აღიაროს ფეტუსის სიცოცხლის უფლება, მიანიჭოს მას სამართლით დაცული სუბიექტის სტატუსი და უკანონო აბორტისთვის პასუხისმგებლობა დააკისროს არა მხოლოდ იმას, ვინც სხვას მოუშლის მუცელს უკანონოდ, არამედ ორსულ ქალსაც.

დაუბადებელი სიცოცხლის დაცვაზე და სიცოცხლის უფლების სუბიექტად ჩანასახის აღიარებაზე საუბრისას, ისიც უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია დაუბადებელი სიცოცხლის, როგორც აბსოლუტური უფლების აღიარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველგვარი აბორტის აკრძალვა გახდებოდა აუცილებელი, რაც წინააღმდეგობაში მოდის დედის სიცოცხლის უფლებასთან. დაუბადებელი ბავშვისთვის სიცოცხლის აბსოლუტური უფლების მინიჭება შეუძლებელია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ დაბადებულ ადამიანსაც კი არ გააჩნია სიცოცხლის აბსოლუტური უფლება. მართალია, იგი სხვა უფლებებთან შედარებით უზენაესი და უძირითადესი უფლებაა, მაგრამ დაბადებული ადამიანის სიცოცხლის

უფლებაც ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს, მაგალითად, აუცილებელი მოგერიების, დამნაშავის შეპყრობის (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი) და სიკვდილით დასჯის შემთხვევებში.[1296]

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დაცულ ობიექტად დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლის უფლების გამოცხადების შემთხვევაში აღნიშნული უფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ქმედებისთვის პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული უნდა იქნეს არა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დანაშაულების, არამედ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში ან შეიძლება სისხლის სამართლის კოდექსში ახალი თავი იქნეს შემოტანილი, სადაც თავს მოიყრის ის ნორმები, რომელთა მიზანი დაუბადებელი სიცოცხლის დაცვა იქნება.

როდესაც ვსაუბრობთ უკანონო აბორტის პრობლემაზე, უნდა გავიხსენოთ ის მიზეზები, თუ რის გამოც გამოცხადდა აბორტი თავის დროზე ნებადართულად. აბორტის აკრძალვის პირობებში ორსული ქალები ნაყოფის მოსაშორებლად ხშირად მიმართავდნენ კანონით აკრძალულ გზებს, გაიზარდა ე.წ. „იატაკქვეშა აბორტების“ რიცხვი, რაც უფრო დიდ საშიშროებას უქმნიდა ქალთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, და ხშირ შემთხვევაში ასეთი აბორტები ქალთა სიცოცხლის მოსპობითაც სრულდებოდა. ამიტომ, კანონმდებელი იძულებული გახდა 12 კვირამდე ხანგრძლივობის ორსულობის შეწყვეტა ნებადართულად გამოეცხადებინა და აბორტის დასჯადობა გაეუქმებინა. ორსულობის შეწყვეტის მიზეზს ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს ცხოვრების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები, არალეგალური სქესობრივი ურთიერთობის გამჟღავნების და საზოგადოებისაგან გაკიცხვის შიში. მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ქალებს ხშირად უბიძგებს თავის რჩენის ისეთი „აპრობირებული“ მეთოდისკენ, როგორიცაა პროსტიტუცია, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს უკანონო აბორტების რიცხვის ზრდას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელია ისეთი კანონმდებლობის[1297] ჩამოყალიბება, რომელიც, არა მხოლოდ დაბადებულ, არამედ დაუბადებელ სიცოცხლესაც დაიცავს, მაგრამ ამისთვის მთავარ პირობას წარმოადგენს სახელმწიფოში

[1296] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 და მე-13 ოქმები კრძალავენ სიკვდილით დასჯის გამოყენებას როგორც მშვიდობიან, ისე საომარ პერიოდში. მიუხედავად ამ აკრძალვისა, იგი ჯერ კიდევ გამოიყენება ზოგიერთ სახელმწიფოში. საქართველოში სიკვდილით დასჯა 1997 წელს გაუქმდა.

[1297] უზუსტობაა გაპარული ერთ-ერთ წიგნში, სადაც აღნიშნულია, რომ 2000 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „აბორტის შესახებ“ (იხ. *კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა.*, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში, თბ., 2005, გვ. 40). საქართველოს პარლამენტში განსახილველად წარდგენილი იყო კანონპროექტი „აბორტის შესახებ“, მაგრამ იგი კანონის სახით საქართველოს პარლამენტმა არ მიიღო, რის მიზეზადაც მიიჩნევა აღნიშნული კანონპროექტისადმი საქართველოს საპატრიარქოს და ქართული საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება. კანონპროექტის მიღების აუცილებლობა არ იყო თუნდაც იმიტომ, რომ აბორტთან დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელი ნორმატიული აქტი საქართველოში ისედაც არსებობს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სახით. მართალია, აღნიშნული კანონი დასახვეწია, მაგრამ ეს არ ქმნის აბორტთან დაკავშირებით დამატებით კანონის მიღების აუცილებლობას.

ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური დონის ამაღლება, წინააღმდეგ შემთხვევაში არათუ შემცირდება, არამედ გაიზრდება უკანონო აბორტების რიცხვი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, აბორტის სოციალურ–ეკონომიკური გამართლება შეუძლებელია.[1298] აბორტი უდიდეს ცოდვად ითვლება მაშინაც, როდესაც მისი მიზეზი ხდება ეკონომიკური გაჭირვება, ამიტომ აბორტების შემცირების ერთ-ერთ გზად ასევე შეიძლება განვიხილოთ ადამიანებში მართლშეგნების ამაღლება და რწმენის განმტკიცება.

9. ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება (134-ე მუხ.)

9.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

მედიცინის მეცნიერება ისეთ დონეზე განვითარდა, რომ თანამედროვე პირობებში ადამიანის ორგანოს, მისი ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვა სირთულეს არ წარმოადგენს, რამაც დღის წესრიგში დააყენა ისეთი ქმედების კრიმინალიზაცია, როგორიცაა ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება. აღნიშნული ქმედება ისჯება როგორც საფრთხის შემქმნელი დელიქტი. იგი მიეკუთვნება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტთა რიცხვს, რამდენადაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის საკმარის პირობას წარმოადგენს ორგანოს, მისი ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება. ქმედების დასჯადობისთვის აუცილებელი არ არის ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნა. თავად იძულების ფაქტი დასჯისთვის საკმარისი საფუძველია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლით ისჯება იძულება. 134-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა იძულების სპეციალურ შემთხვევას წარმოადგენს და, შესაბამისად, სსკ-ის 134-ე და 150-ე მუხლებს შორის ისეთი ურთიერთმიმართებაა როგორც ზოგად და სპეციალურ ნორმას შორის.

ადამიანის ორგანოთა გადანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებს საქართველოში არეგულირებს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ 1997 წლის და „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ 2000 წლის 23 თებერვლის კანონები.

ტრანსპლანტაციის დროს ხდება ადამიანის ორგანოს გადანერგვა სხვა პირის (და არა დონორის) ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით და ამიტომ, ლიტერატურაში ადამიანის ორგანოს გადანერგვასთან დაკავშირებულ საქმიანობას არა საექიმო, არამედ ექიმობასთან დაკავშირებულ საქმიანობას მიაკუთვნებენ.[1299]

[1298] სწორად არის აღნიშნული ერთ-ერთ გამოცემაში, რომ, თუ ეკონომიკურ სიდუხჭირეში მყოფ ორსულ ქალს ვურჩევდით აბორტის გაკეთებას, სასიკვდილო განაჩენს გამოვუტანდით მსოფლიო გენიას – ლუდვიგ ვან ბეთჰოვენს, რომელიც მრავალშვილიანი და ეკონომიკურად გაჭირვებული ოჯახის შვილი იყო. იხ. *იღუმენი ადამი (ვახტანგ ახალაძე),* დაბადებამდელი ბავშვობის სიხარული და მწუხარება, თბ., 2007, გვ. 122-123.

[1299] იხ. *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2013, გვ. 120.

ადამიანის ორგანოს გადანერგვის დროს ქმედების მართლზომიერების ერთ-ერთ პირობას ორგანოს გადანერგვაზე დონორის თანხმობა შეადგენს. საკუთარი ორგანოს გადანერგვაზე ნებაყოფლობით თანხმობის გაცხადება ან უარი ქმედუნარიანი ადამიანის უფლებაა. ყველა ქმედუნარიან პირს უფლება აქვს განაცხადოს თანხმობა ან უარი სიცოცხლეში ან სიკვდილის მერე მისი ორგანოს გადანერგვაზე. თანხმობა ან უარი შეიძლება ეხებოდეს ერთ ან ორ ორგანოს. მიღებული გადაწყვეტილება წერილობით ფორმდება, რომელიც იგზავნება ტრანსპლანტაციის საინფორმაციო ცენტრში.

ცოცხალი ადამიანის ორგანოს გადანერგვა შესაძლებელია სიცოცხლის გადარჩენის, მძიმე ავადმყოფობისგან განკურნების ან დაავადების პროგრესირების შეფერხების მიზნით. ორგანოს გადანერგვა შეიძლება შემდეგი პირობების არსებობისას: 1. უნდა არსებობდეს დონორის თანხმობა; 2. დონორი ქმედუნარიანი უნდა იყოს; 3. დონორი რეციპიენტის გენეტიკური ნათესავი, მეუღლე ან ის პირი უნდა იყოს, რომელთა წრეც კანონითაა განსაზღვრული;[1300] 4. ორგანოს გადანერგვა არ უნდა წარმოადგენდეს დონორის სიცოცხლისთვის მნიშვნელოვან რისკს და არ უნდა იწვევდეს დონორის ჯანმრთელობის მკვეთრ გაუარესებას; 5. ორგანოს გადანერგვა უნდა ჩატარდეს შესაბამის დაწესებულებაში ლიცენზირებული ექიმის მიერ.

ორგანოს გადანერგვა მაშინაც შეიძლება ჩაითვალოს მართლზომიერად, თუ დონორი და რეციპიენტი გენეტიკური ნათესავები ან მეუღლენი არ არიან, მაგრამ გადასანერგ ორგანოს გააჩნია ხელმეორედ წარმოშობის უნარი. მართალია, ორგანოს გადანერგვა მაშინ არის ნებადართული, როცა დონორი ქმედუნარიანია, მაგრამ თუ საქმე ეხება ისეთი ქსოვილის გადანერგვას, როგორიც ძვლის ტვინია, შეიძლება დონორი არასრულწლოვანიც იყოს. აღნიშნულ შემთხვევაში საჭიროა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დადასტურებული მშობლების ან არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა.

ორგანოთა გადანერგვის დროს დონორს წინასწარ უნდა განემარტოს ოპერაციული ჩარევის სახე, მოცულობა, რისკი, რომელიც მის სიცოცხლეს ემუქრება და ოპერაციული ჩარევის მოსალოდნელი შედეგები, აგრეთვე ყველა ის გარემოება, რომელიც მის გადაწყვეტილებაზე აისახება.

მედიცინაში დაშვებულია არა მხოლოდ ცოცხალი, არამედ გარდაცვლილი ადამიანის ორგანოს გადანერგვაც. მაშასადამე, დონორი შეიძლება იყოს გარდაცვლილიც. თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისით, დონორი შეიძლება იყოს მხოლოდ ცოცხალი, ვინაიდან „დონორი“ უცხო სიტყვაა და ჩუქებას ნიშნავს, რაც მხოლოდ ცოცხალს შეუძლია. ამიტომ, აღნიშნული მოსაზრების ავტორი გვთავაზობს, რომ „მკვდარი დონორის“ ნაცვლად გამოვიყენოთ ტერმინი „გვამი“.[1301] როდესაც საუბარია გარდაცვლილის ორგანოს გადანერგვაზე, ჩნდება კითხვა, არის თუ არა მისაღები, გარდაცვლილის ორგანოს გადანერგ-

[1300] აღნიშნულ პირთა ჩამონათვალი მოცემულია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის“ 116-ე და „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-18 მუხლში.

[1301] იხ. *გამყრელიძე ო.*,იქვე,გვ. 181,194-ე სქოლიო.

ვა ყველა შემთხვევაში? ვინაიდან, მაშინ, როცა გარდაცვლილის ორგანოს გადანერგვა დაშვებულია, არსებობს იმის საფრთხე, რომ შემდგომში ორგანოს გადანერგვის მიზნით, თუნდაც სხვადასხვა სიმულაციის შედეგად, მოხდეს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა იმისთვის, რომ მისი ორგანო გადაუნერგონ ავადმყოფ ადამიანს. აღნიშნული საშიშროების გათვალისწინებით, მართებულად შეიძლება ჩაითვალოს *ო. გამყრელიძის* შეხედულება ადამიანის გვამისგან ტრანსპლანტანტის აღების აკრძალვაზე შემდეგ შემთხვევებში: 1) როცა ადამიანი მოკლულია ძალადობის გზით; 2) როცა ადამიანი გარდაცვლილია ავადმყოფის ნათესავის უშუალო მოქმედებით; 3) როცა გარდაცვლილი ავადმყოფის ნათესავია და გარდაცვალების მიზეზი თვითმკვლელობაა.[1302] გარდაცვლილის ორგანოს გადანერგვა სიცოცხლეში გაცხადებული თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაშიც შეიძლება, თუ არსებობს შემდეგი ორი გარემოება: 1. თუ გარდაცვლილის ორგანოს გადანერგვა რელიგიურ შეხედულებას არ ეწინააღმდეგება, ანუ თუ გარდაცვლილი არ მიეკუთვნებოდა იმ რელიგიურ ჯგუფს, რომლის შეხედულებებთან წინააღმდეგობაში მოდის ორგანოს გადანერგვა; 2. თუ გარდაცვლილის ორგანოს გადანერგვის წინააღმდეგი არ არიან ორგანოთა გადანერგვის შესახებ კანონის მე-9 მუხლით განსაზღვრული პირები.

საქართველოს სსკ-ის 134-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გამოიხატება იძულების განხორციელებაში, ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვასთან დაკავშირებით. იძულება სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოვლინდეს. შეიძლება მას როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური ხასიათი გააჩნდეს. დანაშაული დამთავრებულია იძულების განხორციელების მომენტში და აუცილებელი არ არის, რომ იძულებას შედეგად ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვა მოჰყვეს.

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ ვისთვის უნდა დამნაშავეს ორგანო, თავისთვის თუ სხვისთვის, მაგალითად ოჯახის წევრისთვის.

დანაშაული თავისი ბუნებით მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება განხორციელდეს.

როდესაც ვსაუბრობთ ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულების დასჯადობაზე, იბადება კითხვა, თუ ასეთი იძულება საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით ხორციელდება, გამოირიცხება თუ არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოების საფუძველზე?

თუ ორგანოს, მისი ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით განხორციელდა, პასუხისმგებლობა შეიძლება გამოირიცხოს ტრაგიკული კოლიზიის ანუ იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის საფუძველზე ბრალის არარსებობის გამო. მაგრამ, თუ ქმედება სხვისი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით ხორციელდება, პასუხისმგებლობა არ უნდა გამოირიცხოს.

[1302] იხ. *გამყრელიძე ო.*,იქვე,გვ. 187-189.

9.2. გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით

გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე შემადგენლობა ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულებაზე არ გვხვდება. აღნიშნული ქმედება შეიძლება დაისაჯოს გერმანიის სსკ-ის 241-ე პარაგრაფით, რომელიც პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ზოგადად იძულებისთვის (Nötigung). აღნიშნული მუხლით ისჯება ძალის გამოყენებით ან მუქარით ადამიანის იძულება განახორციელოს რაიმე ქმედება, თავი შეიკავოს ქმედების განხორციელებისგან, ან რაიმე მოითმინოს.

იძულების აკრძალვით დაცულ სიკეთეს პიროვნების თავისუფლება, გადაწყვეტილების თავისუფლება წარმოადგენს. ე. ი. იძულება ნიშნავს სხვა ადამიანის იძულებას განახორციელოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს მისგან. იძულება შეიძლება ასევე გამოიხატოს თმენის იძულებაში. იძულების დროს მსხვერპლი მოქმედებს საკუთარი ნების წინააღმდეგ. საკუთარი ნების წინააღმდეგ განხორციელებულად მაშინ ითვლება ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), როცა განხორციელებული ქმედება ქმედების განმახორციელებელ პირს (მსხვერპლს) ნორმატიულად არ შეერაცხება, არამედ იგი შეერაცხება იმას (დამნაშავეს), ვისი ზეგავლენითაც პირი მოქმედებდა. ასეთ შემთხვევაში დამნაშავე მსხვერპლის ნების პარალიზებას ახდენს.[1303] ამ დროს, როცა მსხვერპლი დამნაშავის ზეგავლენით საკუთარი თავის წინააღმდეგ მოქმედებს, დამნაშავე მსხვერპლის მიერ განხორციელებული ქმედების შუალობით ამსრულებლად განიხილება.[1304]

10. სისხლით ან სისხლის კომპონენტებით უკანონო ვაჭრობა

10.1. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით

სისხლის გადასხმა დონორობის ერთ-ერთი სახეა. სისხლის გადასხმას დიდი ხნის წინაც მიმართავდნენ, მაგრამ უშედეგოდ, სანამ არ დადგინდა სისხლის ჯგუფები. როგორც ცნობილია, პაპმა ინოკენტი VIII სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით ბავშვის სისხლი გადაისხა, მაგრამ იგი უშედეგოდ დასრულდა და სამი ბავშვის სიცოცხლეც შეიწირა.[1305] მედიცინის განვითარებასთან ერთად სისხლის გადასხმის პრაქტიკა მტკიცედ დამკვიდრდა და იგი წარმატებით გამოიყენება ადამიანთა ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით.

სისხლის და მისი კომპონენტების დონორობის საკითხს არეგულირებს 1995 წლის 21 მარტის საქართველოს კანონი „სისხლის და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“. სისხლის და მისი კომპონენ-

---

[1303] იხ. *Kindhäuser U.,* Strafrecht, BT, 5. Aufl., Baden-Baden, 2012, S. 136, §13 Rn. 3.

[1304] იხ. *Kindhäuser U.,* იქვე.

[1305] იხ. *გამყრელიძე ო.,* სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2013, გვ. 177.

ტების დონორობა ემყარება ნებაყოფლობითობის პრინციპს. დონორი შეიძლება იყოს საქართველოს ყველა ქმედითუნარიანი მოქალაქე 18-დან 65 წლამდე, რომელიც გაივლის სამედიცინო შემოწმებას და არ აღმოაჩნდება დონორობის საწინააღმდეგო ჩვენებები. სისხლის ჩაბარება მოქალაქეს შეუძლია როგორც ქველმოქმედების წესით, ასევე ფულადი ანაზღაურებით. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სისხლით ვაჭრობა საქართველოში ნებადართულია, მაგრამ უკანონო ვაჭრობა სისხლის-სამართლებრივად ისჯება.

დონორი გადის შემოწმებას სისხლის ჩაბარების წინ. იგი ვალდებულია გასცეს ყველა ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის, გადატანილი დაავადებების შესახებ. უკანონო ვაჭრობად შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული ინფორმაციის დამალვა და სისხლის ჩაბარება ანაზღაურებით ან სისხლის ჩაბარებისას დონორისგან სათანადო ინფორმაციის მიღებასა თუ დონორის ჯანმრთელობის გამოკვლევაზე უარის თქმა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 135-ე მუხლით ისჯება სისხლით ან სისხლის კომპონენტებით უკანონო ვაჭრობა, ჩადენილი ანგარებით. აღნიშნული ქმედება აკრძალულია ასევე ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 129-ე მუხლით.

საქართველოს სსკ-ის 135-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტი მიეკუთვნება მოტივით დაფუძნებულ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს. მოსამართლეს 135-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაციისათვის არ უწევს იმის დადგენა, შეექმნა თუ არა ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას კონკრეტული საფრთხე. ზოგადად, სისხლით უკანონდ ვაჭრობა ანგარების მოტივით, იმიტომ არის სისხლისსამართლებრივად დასჯადი, რომ აღნიშნულ შემთხვევაში არსებობს იმის საშიშროება, რომ არაჯანსაღი სისხლის გაყიდვა ან ყიდვა მოხდეს, რაც საფრთხეს შეუქმნის ადამიანის სიცოცხლეს. თუმცა, საჭირო არ არის ქმედების შემადგენლობის განსახორციელებლად, რომ ინფიცირებული სისხლის გადასხმა მოხდეს ადამიანისთვის.

როგორც უკვე აღინიშნა, 135-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული მოტივით დაფუძნებული დელიქტია. ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ სისხლისსამართლებრივ უმართლობას მიზანი აფუძნებს, ხოლო მოტივი ბრალის ნიშანია,[1306] რაც საკამათოა. ვინაიდან, სწორედ განსახილველი დანაშაულია იმის მაგალითი, რომ ზოგჯერ სისხლის-სამართლებრივ უმართლობას მოტივი აფუძნებს. ანგარების გარეშე 135-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელება შეუძლებელია.

უკანონობა სსკ-ის 135-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ნიშანია. აღნიშნული ნიშანი დამნაშავის განზრახვით უნდა იყოს მოცული. განსახილველი დელიქტი მხოლოდ განზრახ შეიძლება განხორციელდეს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სისხლის და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სისხლის დონორობა ნებაყოფლობითობის პრინციპს ეფუძნება, მაგრამ მამისგან შვილის გადასარჩენად სისხლის იძულებით აღება მისი ნების საწინააღმდეგოდ,

[1306] იხ. *გამყრელიძე ო.,* სისხლის სამართლის პრობლემები,I ტომი,თბ.,2011,გვ. 346.

შეიძლება ჩაითვალოს უკიდურეს აუცილებლობად, თუ დაცულია ქმედების მართლზომიერების სხვა პირობები. [1307]

10.2. გერმანული კანონმდებლობის მიხედვით

გერმანული სსკ-ი არ ითვალისწინებს სისხლის ან სისხლის კომპონენტებით უკანონო ვაჭრობისთვის პასუხისმგებლობას. სისხლის დონორობასთან დაკავშირებული საკითხები სისხლის გადასხმის მომწესრიგებელი კანონითაა[1308] დარეგულირებული.

11. ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა

11.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა აკრძალულია ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ საქართველოს კანონის 52-ე და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 121-ე მუხლებით. ანალოგიურ აკრძალვას ითვალისწინებს ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციის 21-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, „ადამიანის ორგანიზმი ან მისი ნაწილები არ შეიძლება გახდეს ფინანსური სარგებლობის წყარო“.

ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა ისჯება საქართველოს სსკ-ის 135[1]-ე მუხლით. აღნიშნული ქმედება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად უნდა ჩაითვალოს. დასჯადია თავად ფაქტი – ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა და ქმედების შემადგენლობის განსახორციელებლად არ არის საჭირო ვინმესთვის კონკრეტული საფრთხის შექმნის დადგენა. დასახელებული დანაშაული, ისევე როგორც სისხლით ან სისხლის კომპონენტებით უკანონო ვაჭრობის შემადგენლობა, აუცილებელი თანამონაწილეობითაა განსახორციელებელი. სიტყვა ვაჭრობა თავისი ბუნებით ორ მხარეს გულისხმობს: მყიდველს და გამყიდველს.

ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის ფაქტები გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან გაიზარდა. ადამიანის ორგანოებიდან ყველაზე მაღალი მოთხოვნა თირკმელსა და ღვიძლზე მოდის. ყოველწლიურად 70 000 გადანერგვის ოპერაციიდან 50 000 ოპერაცია თირკმელზე ტარდება.[1309]

ადამიანის ორგანოებით ვაჭრობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება არა დონორს, არამედ მესამე პირს, მაგალითად ექიმს. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ექიმიც არ უნდა ისჯებოდეს, რამდენადაც განსახილველი

[1307] იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 389.

[1308] Gesetz zur Regelung des Transfusionswesens (TFG).

[1309] იხ. *ლაგვილავა ი.*, კორუფცია და ტრანსპლანტაციის მიზნით ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა, წიგნში: *გამყრელიძე ო.* (რედ.), კორუფცია საქართველოში, თბ., 2011, გვ. 42.

ქმედების შემადგენლობა მოითხოვს დონორის[1310] თანხმობის არსებობას.[1311] როგორც ჩანს, ამ მოსაზრების ავტორმა არ იცის, თუ რატომ ისჯება ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა. აღნიშნული ქმედება იმიტომ ისჯება, რომ ადამიანი არ გახდეს ძალადობის მსხვერპლი. დონორი შეიძლება იყოს: გენეტიკური ნათესავი, მეუღლე (თუ ქორწინების რეგისტრაციიდან გასულია არანაკლებ 1 წელი) და ორგანოთა გადანერგვის შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრული სხვა პირები. კანონი დონორთა წრეს იმიტომ ზღუდავს, რომ ასეთი ნათესაური ურთიერთობა გამორიცხავს ორგანოების გადანერგვის მიზნით ვაჭრობას და ძალადობას. თუ კანონით დონორობის უფლება ნებისმიერ ადამიანს მიეცემოდა, გაიზრდებოდა ადამიანზე ორგანოების გადანერგვასთან დაკავშირებით თანხმობის მოპოვების მიზნით ძალადობის რისკიც. კანონი დონორთა წრეს აფართოებს, როცა იმ ორგანოს აღება ხდება, რომელსაც აქვს თვითგანახლების უნარი. ასეთ დროს შესაძლებელია, დონორი არ იყოს გენეტიკური ნათესავი ან მეუღლე.

კანონით დონორთა წრის შეზღუდვა მიზნად ისახავს არა იმას, რომ ორგანოს გადანერგვა არ მოხდეს, არამედ ორგანოს გადანერგვის მიზნით შესაძლო იძულების თავიდან აცილებას. ამდენად, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის დროს ორგანოს გადანერგვაზე დონორის თანხმობამ არ შეიძლება ექიმის პასუხისმგებლობა გამორიცხოს. უფრო მეტიც, უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობისას უნდა დაისაჯოს არა მხოლოდ ექიმი, არამედ დონორი და რეციპიენტიც კი.

ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ადამიანის ორგანოებით ვაჭრობისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება რეციპიენტსაც. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 3 ნოემბრის განაჩენით სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა ა.-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 135[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის განხორციელებისთვის, რაც შემდეგში გამოიხატა: ა.-მ, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროებდა თირკმლის გადანერგვას, განიზრახა მისი ყიდვა და დახმარებისთვის მიმართა თავის ნაცნობ ბ.-ს, ვინაიდან მისთვის ცნობილი იყო, რომ ბ.-ს ამავე მიზნით შერჩეული ჰყავდა დონორი, რომლისგანაც 15 000 (თხუთმეტი ათასი) დოლარად იძენდა ადამიანის დასახელებულ ორგანოს. ბ. დაუკავშირდა საქართველოს მოქალაქეს გ.-ს, მოელაპარაკა მას თირკმლის 15 000 დოლარად ა.-სთვის მიყიდვაზე და საბოლოო გამოკვლევების ჩასატარებლად დააკავშირა ამ უკანასკნელთან. გამოკვლევის შედეგების გათვალისწინებით, ა. მის თანამშრომელ ექიმ-ანესთეზიოლოგთან ერთად გაემგზავრა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ქ. ბაქოში, სადაც ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში ჩატარებული ოპერაციის შედეგად გადაინერგა თირკმელი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, გ.-მ ა.-ს მეუღლისგან მიიღო თირკმლის საფასური.[1312] მიუხედავად იმისა, რომ ა.-მ თირკ-

[1310] ავტორი „დონორის“ ნაცვლად იყენებს სიტყვა „პაციენტს“, რაც გაუმართლებელია. აღნიშნულ სიტყვებს განსხვავებული შინაარსი გააჩნია.

[1311] იხ. *ლაგვილავა ი.*, იქვე, გვ. 43.

[1312] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 3 ნოემბრის განაჩენი, საქმე №1/4848-11 (№090180811001).

მელი თავის ორგანიზმში გადასანერგად იყიდა, სასამართლომ იგი მაინც არ გაათავისუფლა პასუხისმგებლობისგან და დამხმარეებთან ერთად დასაჯა. მაშასადამე, სასამართლოს პოზიციით, არა აქვს მნიშვნელობა იმას, ადამიანი ორგანოს სხვის თუ საკუთარ ორგანიზმში გადასანეგად ყიდულობს. ორივე შემთხვევაში პირს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის შემადგენლობა დონორის თანხმობას გულისხმობს, ვინაიდან, თუ ადგილი აქვს იძულების ფაქტს, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობის წესით საქართველოს სსკ-ის 134-ე და 135[1]-ე მუხლით.

ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა გულისხმობს ორგანოს გადანერგვას გარკვეული საზღაურის გადახდის ფასად.

სსკ-ის 135[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული განზრახია. მისი განხორციელება გაუფრთხილებლობით შეუძლებელია. ზოგადად, ვაჭრობა, თავისი ბუნებით, მხოლოდ განზრახ ქმედებას გულისხმობს.

11.2. გერმანული კანონმდებლობის მიხედვით

გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაზე. აღნიშნული ქმედება აკრძალულია ტრანსპლანტაციის სპეციალური კანონით, რომელიც გერმანიამ თხუთმეტწლიანი დისკუსიის მერე 1997 წლის ბოლოს მიიღო, რომელიც ამავე წლის პირველ დეკემბერს შევიდა ძალაში. მიზეზი, რომლის გამოც დისკუსია ხანგრძლივი ვადით გაგრძელდა, შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: გარდაცვალების დროის და კრიტერიუმების განსაზღვრა, დონოროობის კომერციალიზაციის საფრთხე და ამ მხრივ ახალი შესაძლებლობის მიცემა იმ დონორებისთვის, რომლებიც ახლო ნათესავები არ არიან.[1313] გარდაცვალების დროის განსაზღვრა არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივ, არამედ კონსტიტუციურსამართლებრივ მნიშვნელობასაც იძენს. ამიტომ, სიკვდილის განსაზღვრის საკითხი კონსტიტუციურსამართლებრივი კრიტიკის შუაგულში იდგა. კერძოდ, სიკვდილის დადგომა უკავშირდება თუ არა თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტას. ასევე საკამათო საკითხს წარმოადგენდა სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანი ორგანოს გადანერგვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების საკითხი.[1314]

ორგანოებით ვაჭრობა აკრძალულია ტრანსპლანტაციის გერმანული კანონის პირველი პარაგრაფის პირველი ნაწილით და მე-17 და მე-18 პარაგრაფებით.[1315]აღნიშნული ქმედება ისჯება ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით. დასჯადია არა მხოლოდ ორგანოებით ვაჭრობა, არამედ მისი მცდელობაც.

ორგანოში იგულისხმება გული, თირკმელი, ღვიძლი, ფილტვი, ნაწლავი. ე. ი. ადამიანის ორგანოში იგულისხმება ადამიანის სხეულის

[1313] იხ. *Rixen S.,* in: Höfling W (Hrsg.), Kommentar zum Transplantazionsgesetz (TPG), Berlin, 2003, S. 59.

[1314] იხ. *Rixen S.,* იქვე,გვ. 62.

[1315] იხ. *Rixen S.,* იქვე,გვ. 39,52.

ნაწილი.[1316] კანი-სამედიცინო გაგებით ორგანო-ტრანსპლანტაციის კანონის მიხედვით ქსოვილად ითვლება.[1317] ორგანოსთვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის ფუნქცია, რომელსაც იგი ორგანიზმში, სხეულში ასრულებს: ორგანო არის ქსოვილებისა და უჯრედებისგან შემდგარი სხეულის ნაწილი, რომელიც განსაზღვრული ფუნქციებით ერთ მთლიანობას შეადგენს.[1318]

როდესაც ტრანსპლანტაციის გერმანულ კანონში საუბარია ადამიანის ორგანოზე, არ იგულისხმება დაუბადებელი ადამიანის (ემბრიონი, ფეტუსი) ორგანო და ქსოვილი.

სისხლი და მისი კომპონენტი რამდენადაც ორგანოდ არ ითვლება, ტრანსპლანტაციის კანონით არ ისჯება სისხლით ან სისხლის კომპონენტებით ვაჭრობაც.[1319]

ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა შეიძლება სხვადასხვა ქმედებაში გამოიხატოს. ამის მაგალითად გერმანულ ლიტერატურაში თვლიან შემთხვევას, როცა შვილი მამას საკუთარ თირკმელს გადაუნერგავს და მამა შვილს მადლიერების გამოსახატავად ქონებას მემკვიდრეობით გადასცემს. გამოთქმული მოსაზრებით, იმ შემთხვევაში ჩაითვლება მემკვიდრეობით ქონების გადაცემა დასჯად ქმედებად, თუ მემკვიდრეობით ქონების გადაცემის საფუძველს ორგანოს გადანერგვა წარმოადგენდა. დასახელებულ შემთხვევაში დაისჯება როგორც შვილი, ისე მამა. ორგანოებით ვაჭრობისთვის დაისჯება ასევე ექიმი, რომელიც ორგანოების გადანერგვისთვის მაღალ ჯილდოს მიიღებს.[1320] გერმანელი ავტორის მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება არ არის გასაზიარებელი. მადლიერების ნიშნად ადამიანისთვის თუნდაც ძვირადღირებული საჩუქრის გადაცემა არ შეიძლება ვაჭრობას გავუთანაბროთ. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მამა და შვილი მიეკუთვნებიან იმ პირთა წრეს, რომლებსაც კანონით შეუძლიათ ერთმანეთისთვის ორგანოს გადანერგვა.

ტრანსპლანტაციის გერმანული კანონით დასჯადია როგორც საკუთარი ორგანოს გაყიდვა, ისე სხვისი ორგანოს ყიდვაც. მაგალითად ექიმის მიერ გაყიდული ორგანოს ყიდვა საკუთარ სხეულში გადასანერგად. აღნიშნული კანონი პოტენციურ რეციპიენტს[1321]უკრძალავს ასეთი გზით გაყიდული (მიყიდული) ორგანოს გადანერგვას.[1322] ფაქტობრივად, გამოდის, რომ დასჯადია ქმედება, რომელიც საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას უზრუნველყოფს. საკამათო შეიძლება იყოს საკითხის ასეთი გადაწყვეტა მაშინ, როცა სისხლის სამართალი უშვებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვას საპატიო უკიდურესი აუცილებლობის საფუძველზე. თუ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება ის, ვინც საკუთარ სიცოცხლეს გადაარჩენს იმ ადამიანის სიცოცხლის ხარჯზე, ვისგანაც საფრთხე არ მომდინარეობდა, რამდენად

[1316] იხ. *Rixen S.,* იქვე,გვ. 79.

[1317] იხ. *König P.,* in : Roxin, Schroth, (Hrsg) Handbuch des Medizinstrafrechts, 4. Aufl., Stuttgart, 2010, S. 509.

[1318] იხ. *Rixen S.,* იქვე,გვ. 79-80.

[1319] იხ. *König P.,* in : Roxin, Schroth, (Hrsg) Handbuch des Medizinstrafrechts, 4. Aufl., Stuttgart, 2010, S. 507.

[1320] იხ. *König P.,* იქვე, გვ. 503.

[1321] რეციპიენტი არის პირი,რომელსაც ორგანოს გადაუნერგავენ.

[1322] იხ. *König P.,* იქვე,გვ. 507.

გამართლებულია ადამიანის დასჯა სხვისი ორგანოს ყიდვისთვის, როცა ეს ხდება მყიდველის სიცოცხლის გადასარჩენად? რასაკვირველია, აქ საკამათოა საკუთარ სხეულში გადანერგვის მიზნით სხვისი ორგანოს მყიდველის და არა მესამე პირის დასჯა. საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად სხვისი ორგანოს ყიდვა უნდა გავუთანაბროთ საპატიო უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში განხორციელებულ ქმედებას და ბრალის გამორიცხვის საფუძველზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს.

12. გენეტიკური მანიპულაცია

12.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

თანამედროვე მედიცინის მეცნიერებამ განვითარების ისეთ მაღალ დონეს მიაღწია, რომ შესაძლებელი გახდა გენეტიკური მანიპულაცია ანუ ადამიანის მსგავსი არსების შექმნა, რამაც დღის წესრიგში დააყენა მისი სისხლისსამართლებრივი აკრძალვის აუცილებლობა. უკვე დაფიქსირდა ცხოველებზე ჩატარებული გენეტიკური მანიპულაციის ფაქტი. ადამიანის მსგავსი არსების შექმნის შემთხვევას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ მედიცინის მეცნიერების განვითარების მაღალი დონე არც ადამიანის კლონირების შესაძლებლობას გამორიცხავს, რამაც აუცილებელი გახადა ადამიანის კლონირების აკრძალვა.

გენეტიკური მანიპულაცია ანუ ადამიანის მსგავსი არსების შექმნა აკრძალულია ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 142-ე მუხლით და ისჯება საქართველოს სსკ-ის 136-ე მუხლით, როგორც საფრთხის შემქმნელი დელიქტი. აღნიშნული დანაშაული მხოლოდ მოქმედებით შეიძლება განხორციელდეს. განსახილველი დანაშაული განზრახ ქმედებას გულისხმობს.

ადამიანის კლონირება აკრძალულია არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნის ნაციონალური კანონმდებლობით, არამედ საერთაშორისოსამართლებრივი ნორმებითაც. ევროსაბჭოს 1997 წლის 4 აპრილის ბიომედიცინის კონვენცია და მისი 1998 წლის 12 იანვრის დამატებითი ოქმი ადამიანის კლონირების აკრძალვაზე, საერთაშორისოსამართლებრივ ინსტრუმენტებს წარმოადგენენ, რომლითაც ადამიანის კლონირება იკრძალება. 1997 წლის 4 აპრილის ბიომედიცინის კონვენცია არ შეიცავს წესს, რომელიც ადამიანის კლონირების აკრძალვას სიტყვასიტყვით გამოხატავს, მაგრამ რამდენადაც კონვენციის პირველი მუხლის პირველი ნაწილი ადამიანის იდენტურობას და ღირსებას, მე-13 მუხლი ადამიანურ გენომს, ხოლო მე-18 მუხლი ემბრიონს იცავს, მითითებული მუხლები შეიძლება განიმარტოს ადამიანის კლონირების აკრძალვად.[1323] თუმცა, კონვენციის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ ევროსაბჭომ 1998 წლის 12 იანვარს ადამიანის კლონირების ამკრძალავი დამატებითი ოქმი მიიღო.

ზემოაღნიშნული საერთაშორისოსამართლებრივი აქტების მიხედვით ადამიანის კლონირებას მიიჩნევენ ადამიანის თავისუფლების, იდენ-

[1323] იხ. *Kersten J.,* Das Klonen von Menschen, Tübingen, 2004, S. 50.

ტურობის და ღირსების ხელმყოფ ქმედებად. შესაბამისად, კლონირების ამკრძალავი ნორმით დაცულ სიკეთეს ადამიანის ღირსება, იდენტურობა და თავისუფლება წარმოადგენს.[1324] იდენტურობის გარანტია, რომელიც მოცემულია ბიომედიცინის კონვენციის პირველ მუხლში, გულისხმობს ადამიანის უფლებას იყოს განუმეორებელი, ერთადერთი.[1325]

ადამიანის კლონირება, როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სსკ-ის მიხედვით ისჯება როგორც საფრთხის შემქმნელი დელიქტი, მაგრამ, იბადება კითხვა, თუ ვის ექმნება საფრთხე კლონირების შედეგად. ალბათ, დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა რთულია, ვინაიდან დაცვის ობიექტს არ წარმოადგენს კლონირებული ემბრიონი. კლონირებული ემბრიონი რომ იყოს დაცვის ობიექტი, ადამიანის კლონირება ანუ ადამიანის მსგავსი არსების შექმნა არ აიკრძალებოდა. საქართველოს სსკ-ი სამართლებრივი დაცვის სიკეთესთან დაკავშირებით არ შეიძლება საერთაშორისოსამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობაში მყოფად ჩაითვალოს. უფრო სწორია, რომ ადამიანის კლონირებისთვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებული იყოს არა საფრთხის შემქმნელი დელიქტების, არამედ ადამიანის უფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, ვინაიდან ადამიანის კლონირება, რეალურად, მიმართულია ადამიანური ღირსების წინააღმდეგ, იგი საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. ადამიანის კლონირებით ხდება ადამიანის გაუფასურება და მისი გაიგივება უსულო საგანთან. ადამიანის ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში უნდა იყოს გათვალისწინებული, რამდენადაც ღირსება ადამიანის არაქონებრივი უფლებაა. ადამიანის კლონირებით ხდება ადამიანის ინდივიდუალურობის ხელყოფა. იყო ინდივიდი, ნიშნავს, იყო სხვა ადამიანისგან განსხვავებული და განუმეორებელი.

12.2. გერმანული კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი კლონირების, ადამიანის მსგავსი არსების შექმნის დასჯადობას არ ითვალისწინებს. კლონირებასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია ემბრიონის დაცვის შესახებ სპეციალური კანონით. დასახელებული კანონის მე-6 პარაგრაფის თანახმად, „ხელოვნურად სხვა ემბრიონის, ფეტუსის, ადამიანის, გარდაცვლილის მსგავსი ადამიანური ემბრიონის შექმნა მსგავსი გენეტიკური ინფორმაციით ისჯება ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით“.[1326] გერმანელ კანონმდებელს რომ ადამიანის კლონირებისთვის ხელის შეშლა სურს ამაზე მიუთითებს დასახელებული კანონის მე-6 პარაგრაფის წარმოდგენილი დისპოზიცია. სხვაგვარად მისი ინტერპრეტაცია შეუძლებელია.[1327]

[1324] იხ. *Kersten J.,* იქვე,გვ. 51.

[1325] იხ. *Kersten J.,* იქვე,გვ. 53.

[1326] იხ. *Günther/Taupitz/Kaiser,* Embryonenschutzgesetz, Juristischer Kommentar mit medizinisch-naturwissenschaftlichen Einführungen, Stuttgart, 2008, S. 251.

[1327] იხ. *Rosenau H.*, Reproduktives und therapeutisches Klonen, in: Schreiber-FS, Heidelberg, 2003, S. 763.

ემბრიონის დაცვის კანონის მე-6 პარაგრაფის მე-3 ნაწილის მიხედვით, დასჯადია კლონირების მცდელობაც. ქმედების ობიექტური შემადგენლობა შედეგის სახით მოითხოვს ადამიანური ემბრიონის შექმნას. ქმედება ზემოაღნიშნული კანონის მე-6 პარაგრაფის პირველი ნაწილით რომ დაისაჯოს ჩანასახი/ემბრიონი უნდა იყოს განვითარების უნარის მქონე. განვითარების უნარში იგულისხმება განაყოფიერების უნარი, რათა ადამიანურ ინდივიდად განვითარდეს.[1328]

ემბრიონის დაცვის კანონის მე-6 პარაგრაფის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა მოითხოვს, რომ შექმნილი ემბრიონი სხვა ემბრიონის, ფეტუსის, ადამიანის, ან გარდაცვლილის მსგავს გენეტიკურ ინფორმაციას ფლობდეს. ერთსადაიმავე გენეტიკურ ინფორმაციას ადგილი აქვს იდენტური დეენემის (DNS), გენომის (Genome) დროს.[1329]

საკამათოდ ითვლება საკითხი, კვერცხუჯრედის განაყოფიერების შედეგად შექმნილი ემბრიონი შეიძლება თუ არა დონორის ანალოგიური გენეტიკური ინფორმაციის მატარებელი იყოს. ბიოლოგიური გაგებით კლონირება შეუძლებელია. ეს იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ კვერცხუჯრედი და სპერმატოზოიდის მიმღები ერთიდაიგივე (მდედრობითი სქესის) ინდივიდი იქნება. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ისჯება სხვა ემბრიონის, ფეტუსის, ადამიანის, გარდაცვლილის არა იდენტური, მაგრამ მსგავსი ემბრიონის შექმნა.[1330] ამ მხრივ შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ საქართველოს სსკ-ის 136-ე მუხლით ისჯება „ადამიანის **მსგავსი** არსების შექმნა“.

ემბრიონის არსებობა განაყოფიერებიდან იწყება. ემბრიონალური არსებობა მთავრდება მაშინ, როცა ემბრიონის ორგანული მონაცემები განვითარების რვა კვირაში განვითარდება. ხოლო შემდგომ საქმე ეხება არა ემბრიონის, არამედ ფეტუსის არსებობას. ფეტუსის არსებობა მისი აღმოცენებიდან დაბადების მომენტამდე პერიოდს მოიცავს. ადამიანში იგულისხმება დაბადების მომენტიდან დაბადებული ადამიანი მის გარდაცვალებამდე. რაც შეეხება გარდაცვლილს, იგი შეიძლება საკამათო იყოს. გარდაცვლილში იგულისხმება დაბადებული და შემდგომ გარდაცვლილი ადამიანი, მკვდარი ფეტუსი, თუ მკვდარი ნაყოფი. ემბრიონის დაცვის კანონის მე-6 პარაგრაფის პირველი ნაწილი, როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ექსტენსიურად უნდა განიმარტოს და გარდაცვლილში უნდა მოვიაზროთ მკვდარი ფეტუსი და ემბრიონიც.[1331]

კლონირებული ემბრიონის შექმნის განზრახვით განხორციელებულ ქმედებას თუ სათანადო შედეგი არ მოჰყვა, ქმედება დაისჯება ემბრიონის დაცვის კანონის მე-6 პარაგრაფის მე-3 ნაწილით, როგორც კლონირების მცდელობა.

ემბრიონის დაცვის გერმანული კანონი კრძალავს ასევე კლონირების საშუალების, ე. ი. სხვა ემბრიონის, ფეტუსის, ადამიანის, გარდაცვლილის მსგავსი გენეტიკური ინფორმაციის მქონე ადამიანური ემბრიონის სხვა ქალის საშოში ჩასახვას (Übertragung). ამით კანონი ამ ემ-

---

[1328] იხ. *Günther/Taupitz/Kaiser,* იქვე,გვ. 256.

[1329] იხ. *Keller, Günther, Kaiser,* Kommentar zum Embryonenschutzgesetz, Stuttgart, 1992, S. 236, § 6 Rn. 6; *Günther/Taupitz/Kaiser,* იქვე,გვ. 257.

[1330] იხ. *Günther/Taupitz/Kaiser,* იქვე,გვ. 257.

[1331] იხ. *Keller, Günther, Kaiser,* იქვე,გვ. 237; *Günther/Taupitz/Kaiser,* იქვე,გვ. 258.

ბრიონს დაბადების შესაძლებლობას არომევს, რითაც კანონი ფაქტობრივად არაპირდაპირ სიკვდილის ვალდებულებას აწესებს. აღნიშნულის შემდეგ იბადება კითხვა: **ემბრიონის დაცვა ემბრიონის მოკვდინებით?**[1332] როგორც ლიტერატურაში აღნიშნავენ, ამით არავითარ შემთხვევაში არ ხდება მკვლელობის უფლების დაკანონება სახელმწიფოს მიერ, ვინაიდან ემბრიონის სიცოცხლის უფლებას ამ შემთხვევაში გასაკიცხი გზით მისი წარმოქმნის გამო უარყოფენ და მას, როგორც ადამიანურად უღირს ცხოვრებას უარყოფითი შეფასება ეძლევა.[1333] კლონირებული ნაყოფის სიცოცხლე ფაქტობრივად არ ექვემდებარება დაცვას, მაშინ, როცა გაუპატიურების შედეგად გაჩენილი ბავშვის დისკრიმინაცია არ შეიძლება და მას გააჩნია ადამიანური ღირსების დაცვის უფლება.[1334]

დონორი დედა, რომელიც კლონირებულ ემბრიონს ატარებს, არ ისჯება. ემბრიონის დაცვის კანონი მისი ღირსების დაცვასაც ისახავს მიზნად. იგი გვევლინება დასახელებული კანონის მე-6 პარაგრაფის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის აუცილებელ თანამონაწილედ. მისი სხეული კლონირების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მაგრამ კანონის მიზნიდან გამომდინარე, დონორი დედა მაინც არ ისჯება.[1335]

დასკვნა

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტების შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევის შედეგად გაკეთდა არა მხოლოდ თეორიული, არამედ ასევე პრაქტიკული ღირებულების მქონე დასკვნები, როგორც საფრთხის შემქმნელი დელიქტების დასჯადობასთან დაკავშირებულ მეთოდოლოგიურ საკითხებზე, ისე ცალკეულ შემადგენლობებზეც. შეიძლება ითქვას, რომ მიღწეული იქნა ის მიზანი, რომელიც დაისახა კვლევის დასაწყისში.

ნაშრომის **პირველ თავში** მოცემულია დელიქტების კლასიფიკაცია, გაანალიზებულია საფრთხის შემქმნელი დელიქტების მიმართება შედეგიან და შედეგგარეშე დელიქტებთან და განხილულია საკითხის ისტორია. კვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნის შესაბამისად, საფრთხის დელიტების მიკუთვნება მხოლოდ შედეგგარეშე ან შედეგიანი დელიქტებისადმი, შეუძლებელია. საკითხი უნდა განვიხილოთ დიფერენცირებულად. თუ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები შედეგგარეშე ანუ ე. წ. ფორმალურ დელიქტებს მიეკუთვნება, შეუძლებელია კონკრეტული საფრთხის დელიქტების მიკუთვნება ამავე ტიპის დელიქტებისათვის. კონკრეტული საფრთხის დელიქტებში ქმედებით შექმნილი კონკრეტული საფრთხე ქმედების შემადგენლობის ნიშანია, ხოლო აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ასეთი საფრთხე არ არსებობს. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედება კონკრეტულ საფრთხეს არ ქმნის და ქმედების საშიშროება, რომელიც გენერალიზებული სახით არსებობს, ქმედების საკანონმდებლო აკრძალვის მოტივია. კონკრეტული საფრთხის დელი-

[1332] იხ. *Günther/Taupitz/Kaiser,* იქვე,გვ. 258-259.
[1333] იხ. *Günther/Taupitz/Kaiser,* იქვე,გვ. 259.
[1334] იხ. *Günther/Taupitz/Kaiser,* იქვე,გვ. 259.
[1335] იხ. *Günther/Taupitz/Kaiser,* იქვე,გვ. 259.

ქტები შედეგიან დელიქტებს რომ მიეკუთვნება ამაზე მიუთითებს თუნდაც ის გარემოება, რომ საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლის მიხედვით აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და ქმედებით შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს შორის. მიზეზობრივი კავშირის დადგენის საჭიროება მხოლოდ შედეგიან დელიქტებში არსებობს.

მეორე თავში აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების განხილვის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ ამ დელიქტებშიც შესაძლებელია ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ შედეგზე საუბარი, თუმცა ეს „შედეგი“ არ არის იმ შედეგის თანაფარდი, რომელიც გამოიყენება შედეგიანი და შედეგგარეშე შემადგენლობათა გასამიჯნად. მიუხედავად იმისა, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებშიც შეიძლება ქმედების და საფრთხის ერთმანეთისგან გამიჯვნა დროის და სივრცის თვალსაზრისით და ამ დელიქტებშიც არსებობს „ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი“, დელიქტების ეს სახე მაინც არ შეიძლება მივაკუთვნოთ შედეგიან დელიქტებს. შეუძლებელია ქმედებასა და აბსტრაქტულ საფრთხეს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა. მიზეზობრივი კავშირი მაშინ დგინდება, როცა გარკვეული ქმედება გარე სამყაროში ცვლილებებს იწვევს. ასეთი ცვლილებები აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში არ არსებობს.

დღემდე სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში დანაშაულის ადგილი აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი ქმედების განხორციელების ადგილით განისაზღვრება, მაგრამ სადისერტაციო ნაშრომში ეს საკითხი განსხვავებულად არის გადაწყვეტილი. კერძოდ, არა მხოლოდ კონკრეტული, არამედ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებშიც არის შესაძლებელი ქმედების და აბსტრაქტული საფრთხის გამიჯვნა დროის და სივრცის მიხედვით. შესაბამისად, დანაშაულის განხორციელების ადგილი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებშიც შეიძლება დადგინდეს არა მხოლოდ ქმედების, არამედ აბსტრაქტული საფრთხის შექმნის ადგილითაც, სადაც შეიძლებოდა საფრთხე ყოფილიყო რეალიზებული. ეს კი კიდევ უფრო განამტკიცებს სუყველგანობის პრინციპს, რომელიც საქართველოს სსკ-ის მე-4 მუხლშია ასახული.

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები, მართალია, შედეგგარეშე დელიქტებს მიეკუთვნება, მაგრამ მიუხედავად ამისა, გამორიცხული არ არის კონკრეტული საფრთხის ან ე. წ. შუალედური შედეგის არსებობა. მაგალითად, განსაცდელში მიტოვების და დაუხმარებლობის შემთხვევაში კონკრეტული საფრთხე არსებობს, მაგრამ ქმედება მაინც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად უნდა მივიჩნიოთ. დაუხმარებლობისა და განსაცდელში მიტოვების დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება უკვე არსებული, შექმნილი კონკრეტული საფრთხის განეიტრალებისაგან თავის შეკავების გამო. თუ ჩვენ დაუხმარებლობას და განსაცდელში მიტოვებას კონკრეტული საფრთხის დელიქტებად მივიჩნევდით, მოგვიწევდა მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და საფრთხეს შორის, მაგრამ ეს დასახელებულ დელიქტებში პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან კონკრეტული საფრთხე უმოქმედობამდეა შექმნილი. უმოქმედობის მიზეზობრიობა კი იმას მოითხოვს, რომ უმოქმედობით შეიქმნას კონკრეტული საფრთხე და არა იმას, რომ უმოქმედობამდე ასეთი საფრთხე არსებობდეს. თუ უმოქმედობამდე

კონკრეტული საფრთხე უკვე არსებობდა, უმოქმედობა ვერ გახდება იმ საფრთხის მიზეზი, რომელიც უმოქმედობას წინ უსწრებდა.

რაც შეეხება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ე. წ. შუალედური შედეგის არსებობას, ამის მაგალითად შეიძლება უკანონო აბორტის შემადგენლობა დასახელდეს. უკანონო აბორტი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია, მაგრამ იგი გულისხმობს ასევე გარკვეული შედეგის დადგომას მუცლის მოშლის სახით. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ იმის დასადგენად, თუ როგორ საფრთხის დელიქტთან გვაქვს საქმე, აუცილებელია როგორც ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო აღწერილობის, ისე ნორმის მიზნის გათვალისწინება. მაშასადამე, უნდა გამოვიყენოთ ნორმის როგორც სიტყვა-სიტყვითი, ისე ტელეოლოგიური განმარტება. ნორმის განმარტების ეს სახეები, როგორც ცნობილია, ერთმანეთს კი არ გამორიცხავენ, არამედ ავსებენ.

[3]აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებზე საუბრის დროს აუცილებლად უნდა აღინიშნოს მის ერთ თავისებურებაზე. ზოგჯერ კანონმდებელი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის შემადგენლობას პრაქტიკული მიზანშეწონილობიდან გამომდინარე ქმნის. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში სიმთვრალეში განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების დასჯადობისთვის შექმნილი სამართლებრივი მექანიზმი. როგორც ცნობილია, ძლიერი სიმთვრალე ბრალს გამორიცხავს. ბრალის გარეშე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დემოკრატიულ და ცივილიზებულ სამყაროში დაუშვებელია. ამიტომ, კამათის საგანი გახდა, თუ როგორ უნდა დაისაჯოს ის პირი, ვინც ძლიერი სიმთვრალის ანუ ბრალუუნარობის მდგომარეობაში მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ჩადის. ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, ასეთ დროს უნდა გამოვიყენოთ actia libera in causa, ხოლო მეცნიერთა მეორე ჯგუფი აღნიშნული ქმედების დასჯას მოითხოვს გერმანიის სსკ-ის იმ პარაგრაფით (323a), რომელიც სიმთვრალეში ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას სჯის როგორც საფრთხის შემქმნელ დელიქტს, მიუხედავად იმისა, რომ განხორციელებული ქმედება ხშირად მართლსაწინააღმდეგო შედეგსაც იწვევს. ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება ანალოგიური ნორმის შემოტანა ქართულ სისხლის სამართლის კოდექსშიც, მაგრამ არა სიმთვრალეში განხორციელებული განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების, არამედ გაუფრთხილებლობითი ქმედების დასასჯელად. მაშინ, როცა ადამიანი შეგნებულად იყენებს თავს შეურაცხადობის მდგომარეობაში, უნდა გამოვიყენოთ actia libera in causa-ს სამართლებრივი ფიგურა და დამნაშავე დავსაჯოთ იმ ქმედებისთვის, რაც განახორციელა. ხოლო, მაშინ, როცა პირს მისი გამოუცდელობიდან ან სხვა გარემოებებიდან გამომდინარე არ შეეძლო იმის განჭვრეტა, მოვლენები როგორც განვითარდა, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი საერთოდ უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან არაბრალეულობის საფუძველზე.

ნაშრომის **მესამე თავში** გაანალიზებულია კონკრეტული საფრთხის ცნება, კონკრეტული საფრთხის დელიქტები და განსაზღვრულია ის მაშტაბი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ქმედების საშიშროების დადგენა. კონკრეტული საფრთხის დელიქტებისთვის უმნიშვნელოვანეს პირობაა სამართლებრივი სიკეთის მოხვედრა ქმედებით შექმნილი სა-

შიშროების ზონაში. ქმედების საშიშროების დასადგენად კი გამოიყენება ობიექტური ex ante შეფასება, რაც იმას ნიშნავს, რომ ქმედების შეფასება ხდება ქმედების განხორციელების დროს ობიექტური დამკვირვებლის, საშუალო ადამიანის თვალსაწიერიდან.

მეოთხე თავში განხილულია განზრახვის და გაუფრთხილებლობის საკითხი საფრთხის შემქმნელ დელიქტებში. კონკრეტული საფრთხის დელიქტებში იმდენად საკამათო არ არის განზრახვის და გაუფრთხილებლობის პრობლემა. უფრო მეტად სადაოა არაპირდაპირი განზრახვა და თვითმედოვნება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში, ვინაიდან გაბატონებული შეხედულების მიხედვით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედებისგან საფრთხის გამოყოფა შეუძლებელია. გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მეცნიერთა უმცირესობის მიერ გამოთქმული შეხედულების გაზიარების შედეგად იმ დასკვნამდე მივედით, რომ ევენტუალური განზრახვა და თვითმედოვნება არა მხოლოდ კონკრეტული, არამედ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებშიც შესაძლებელია.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში ავტორთა ნაწილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ზოგიერთი ნორმა არ გულისხმობს სამართლებრივ სიკეთეს და თითქოს, ეს განსაკუთრებით შეეხება იმ ნორმას, რომელიც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დასჯადობას ითვალისწინებს. დისერტაციის **მეხუთე თავში** საკითხის შესწავლის საფუძველზე გაკრიტიკებულია აღნიშნული შეხედულება. თუ სისხლის სამართლის ნორმა არ მოემსახურება სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანს და ისე დააწესებს კონკრეტული ქმედების დასჯადობას, დაკარგავს ლეგიტიმაციას, რაც მთლიანად სისხლის სამართლის ლეგიტიმურობას საფრთხეს შეუქმნის. იურიდიულ მეცნიერებაში კამათის საგანი გახდა არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივ ნორმათა დაცვითი მიზანი, არამედ სამართლებრივი სიკეთის შინაარსიც. მეცნიერთა ნაწილი სამართლებრივ სიკეთედ მიიჩნევს რეალურ მდგომარეობას, ხოლო მეორე ნაწილი იდეალურ ღირებულებას. ჩვენი მოსაზრებით სამართლებრივი სიკეთე არ შეიძლება განიმარტოს მხოლოდ რეალურ მდგომარეობად ან იდეალურ ღირებულებად. სამართლებრივი სიკეთე არის სამართლით დაცული რეალური მდგომარეობა ან იდეალური ღირებულება. რეალურ მდგომარეობაში იგულისხმება ის სიკეთე, რომელიც განსხეულებული სახით არსებობს, ხოლო იდეალურ ღირებულებაში ის სიკეთე, რომელიც არ არსებობს განსხეულებული სახით და დროის კანონზომიერებას არ ემორჩილება, არ იცვლება, არ განიცდის კაუზალურ ზემოქმედებას. გარდა ამისა, სამართლებრივი სიკეთე იყოფა ინდივიდუალურ და ზეინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთედ. კონკრეტული საფრთხის დელიქტები მიმართულია ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ, ხოლო აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები როგორც ინდივიდუალური, ისე ზეინდივიდუალური სიკეთის წინააღმდეგ. ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის დაცვისთვის ყველაზე ვარგისი საშუალებაა ის ნორმა, რომელიც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებისთვის ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ნაშრომის **მეექვსე** და **მეშვიდე თავებში** შევეცადეთ დაგვესაბუთებინა საფრთხის შემქმნელი დელიქტების მცდელობის და მომზადების

შესაძლებლობა და წარმოგვეჩინა საფრთხის შემქმნელი დელიქტების მიმართება ხელყოფის დანაშაულის მცდელობასთან. როგორც საკითხის შედარებით-სამართლებრივმა კვლევამ დაგვანახა, დასჯადი მცდელობა შესაძლებელია არა მხოლოდ ხელყოფის დანაშაულებში, არამედ საფრთხის შემქმნელ დელიქტებშიც, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელ დელიქტებში დანაშაული დამთავრებულია დანაშაულის მცდელობის მსგავს ეტაპზე. მცდელობა შესაძლებელია როგორც აბსტრაქტული, ისე კონკრეტული საფრთხის დელიქტებში. მაგრამ, მცდელობა გამორიცხულია წმინდა უმოქმედობის საფრთხის დელიქტებში. მცდელობა არის თუ არა შესაძლებელი, დამოკიდებულია არა იმაზე, დასჯადი ქმედება ხელყოფის დანაშაულია, თუ საფრთხის შემქმნელი დელიქტი, არამედ დელიქტის ბუნებაზე და მის საკანონმდებლო აღწერილობაზე.

ხელყოფის დანაშაულის მცდელობისა და საფრთხის შემქმნელი დელიქტების ურთიერთმიმართების საკითხის გამოკვლევამ გვაჩვენა, რომ საკამათოა იმ ავტორთა შეხედულება, რომლებიც ცდილობენ დაასაბუთონ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასთან დაკავშირებით დამნაშავის გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება, როცა იგი კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტს განზრახ ახორციელებს. საკითხის ასეთი გადაწყვეტა წინააღმდეგობაში მოდის კონკრეტული საფრთხის ბუნებასთან, ისევე როგორც თვითიმედოვნების შინაარსთან. კონკრეტული საფრთხე გულისხმობს მდგომარეობას, როცა გაურკვეველია ის, თუ როგორ განვითარდება მომავალში მოვლენები, არ არსებობს იმის რწმენაც, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება და განხორციელებულ ქმედებას სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა არ მოჰყვება. თვითიმედოვნება კი გულისხმობს იმის რწმენას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ქმედებას საზიანო შედეგი არ მოჰყვება. აქედან გამომდინარე შეუძლებელია კონკრეტული საფრთხის შექმნის განზრახვით მოქმედი საზიანო შედეგის დადგომასთან დაკავშირებით თვითიმედოვნებით მოქმედებდეს. ყოველივე ეს ადასტურებს თუ რამდენად საკამათოა ის აზრი, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის კანონმდებლობაში საფრთხის შემქმნელი დელიქტების შემადგენლობა არა ევენტუალური განზრახვით, არამედ გაუფრთხილებლობით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობით გამოწვეული ხარვეზის შესავსებად იქნა შემოტანილი. რამდენადაც კონკრეტული საფრთხის დელიქტების განზრახ განხორციელებისას საფრთხის შექმნის განზრახვის თანადროულად სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის ევენტუალური განზრახვა არსებობს, ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობა გამოირიცხება და რაც მთავარია, ევენტუალური განზრახვით მცდელობის იდეა გამართლებული არ არის თვითონ დანაშაულის მცდელობის ბუნებიდან გამომდინარეც. თუ ევენტუალური განზრახვით მცდელობა შესაძლებელია, იკარგება განზრახი კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების არსებობის საჭიროებაც. ის, ვინც დანაშაულის მცდელობას ახორციელებს, პირველად დანაშაულის განხორციელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს, მაგრამ შეუძლებელია გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს იმ შედეგის გამოწვევის თაობაზე, რომლის მიმართ დამნაშავე ევენტუალური განზრახვით მოქმედებს. ის შედეგი, რომელთანაც დაკავშირებითაც დამნაშავე ევენტუალური განზრახვით მოქმედებდა, თანამდევ შედეგად განიხილება, ისე, როგორც

გაუფრთხილებლობით გამოწვეული შედეგი. თუ გადაწყვეტილება იქნა მიღებული კონკრეტული შედეგის გამოწვევაზე, ეს შედეგი არ შეიძლება თანამდევ შედეგად მივიჩნიოთ. ადამიანი გადაწყვეტილებას იღებს იმ შედეგთან დაკავშირებით, რომელიც მისი მოქმედების გეგმაში შედის, რომლის გამოსაწვევად იგი მოქმედებს და რომლის განხორციელების მიზანი მოქმედებას საფუძვლად უდევს.

რამდენადაც საფრთხის შემქმნელ დელიქტებში მომზადება და მცდელობა თეორიულად და პრაქტიკულად გამორიცხული არ არის, ნაშრომის **მერვე თავში** სათანადო ყურადღება მივაქციეთ საფრთხის შემქმნელ დელიქტებში ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხს. თუ საფრთხის შემქმნელი დელიქტის მცდელობა მისი საკანონმდებლო აღწერილობიდან გამომდინარე შეიძლება, ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობაც არ უნდა გამოვრიცხოთ. თუმცა, ეს შესაძლებელია საფრთხის შემქმნელი დელიქტის ფორმალურად ანუ იურიდიულად დამთავრებამდე. თუ საფრთხის შემქმნელ დელიქტებში დანაშაულის იურიდიულად დამთავრების მერეც შესაძლებლად ჩავთვლიდით ნებაყოფლობით ხელის აღებას, აზრს დაკარგავდა საფრთხის შემქმნელი დელიქტების შემადგენლობათა არსებობა და ყველა დელიქტი ხელყოფის დელიქტად იქცეოდა, რაც ხელს ვერ შეუწყობდა სამართლებრივი სიკეთის ეფექტურ დაცვას და ასევე წინააღმდეგობაში მოვიდოდით კანონის მიზანთან. საფრთხის შემქმნელი დელიქტების დასჯადობით კანონმდებელს სურს დაიცვას სამართლებრივი სიკეთე სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნის მომენტიდან ქმედების დასჯით, მაგრამ თუ საფრთხის შემქმნელი დელიქტის იურიდიულად დამთავრების შემდეგაც მიეცემა დამნაშავეს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა, დაზარალებულის ინტერესები და კანონმდებლის ნება უგულებელყოფილი დარჩება.

საფრთხის შემქმნელი დელიქტების განხორციელება შეიძლება როგორც ერთპიროვნული ამსრულებლობით, ისე თანამონაწილეობითაც. მაგრამ, ინტერესს იწვევს ის საკითხი, შეიძლება თუ არა თანამონაწილეობა საფრთხის შემქმნელი დელიქტის იურიდიულად განხორციელების შემდეგ. ეს კითხვა მით უფრო ბუნებრივად შეიძლება გამოიყურებოდეს, თუ გავითვალისწინებთ მეცნიერთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ თანამონაწილის ქმედება მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს ამსრულებლის ქმედებით გამოწვეულ შედეგთან. მართალია, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები უშედეგო დელიქტების რიცხვს მიეკუთვნება და აღნიშნული ტიპის დელიქტებში მიზეზობრიობის დადგენა არ ხდება, მაგრამ მიზეზობრიობის თეორიის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ თანამონაწილის ქმედება (რჩევა-დარიგება, დახმარების შეპირება და ა. შ.) დანაშაულის იურიდიულად დამთავრებამდე უნდა განხორციელდეს. საკამათო არ შეიძლება იყოს ის, რომ წამქეზებლის ქმედება (წაქეზება) ამსრულებლის ქმედებას წინ უსწრებს, მაგრამ ამ შემთხვევაში დამხმარის პასუხისმგებლობის საკითხი იპყრობს ყურადღებას. სადისერტაციო ნაშრომის **მეცხრე თავში** საკითხის გამოკვლევის შედეგად გაკეთდა დასკვნა, რომ კითხვაზე, შეიძლება თუ არა ე. წ. ფორმალურ დელიქტებში თანამონაწილეობა დანაშაულის იურიდიულად დამთავრების შემდეგ, ცალსახა პასუხის გაცემა შეუძლებელია. სწორი პასუხის გასაცემად აუცილებელია ფორმალურ შემადგენლობათა დიფერენცირება. თუ შეკვეცილ შემადგენლობებში

თანამონაწილეობა დანაშაულის დამთავრებამდეა შესაძლებელი, დენად ფორმალურ დელიქტებში დანაშაულში დახმარება დანაშაულის იურიდიულად დამთავრების მერეც შეიძლება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სადისერტაციო თემის კვლევა წარიმართა სისტემური სახით და შესწავლილ იქნა საკვლევ თემასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური პრობლემები, რისი დასტურიც, გარდა ზემოაღნიშნულისა, არის ისიც, რომ წინამდებარე ნაშრომის **მეათე თავში** საფრთხის დელიქტებთან მიმართებით გაანალიზებულია მართლწინააღმდეგობის საკითხი. მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს გაუფრთხილებლობით და ბლანკეტურ საფრთხის დელიქტებში ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ურთიერთმიმართება და ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენა. ნაშრომში კრიტიკულად არის განხილული იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული დებულება, რომლის მიხედვითაც ბლანკეტურ და კლასიკურ დელიქტებში მართლწინააღმდეგობა განსხვავებულად დგინდება და სათანადო არგუმენტების მოშველიებით დასაბუთებულია, რომ მართლწინააღმდეგობის დადგენა ორივე ტიპის დელიქტებში ნეგატიურად ანუ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა გამორიცხვით ხდება. კლასიკურ და ბლანკეტურ დელიქტებში განსხვავება არა მართლწინააღმდეგობაში, არამედ ქმედების შემადგენლობის აგებულებაშია. ბლანკეტურ დელიქტებში მოცემული მითითება ქმედების უკანონობაზე თუ წესების დარღვევაზე მართლწინააღმდეგობის ნიშანი კი არ არის, არამედ ქმედების შემადგენლობის ნორმატიული ნიშანი. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ უკანონო აბორტის შემადგენლობა.

განზრახ და განუზრახველ საფრთხის დელიქტებში მართლწინააღმდეგობა განსხვავებული მასალისგან აიგება. თუ განზრახ საფრთხის დელიქტებში მართლწინააღმდეგობა სამართლებრივი ნორმით დაწესებული აკრძალვის დარღვევაა, გაუფრთხილებლობის დროს მართლწინააღმდეგობა გულისხმობს არა სამართლებრივი ნორმის, არამედ წინდახედულობის ნორმის დარღვევას.

და ბოლოს, ნაშრომის **მეთერთმეტე თავში** ქართული და გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობის შედარების საფუძველზე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელ დელიქტთა ცალკეული შემადგენლობების განხილვის შედეგად გამოიკვეთა ის უპირატესობა თუ ნაკლოვანება, რომელიც დამახასიათებელია როგორც ქართული, ისე გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობისთვის. საკითხის გამოკვლევის დროს შესწავლილ იქნა სასამართლო პრაქტიკის მასალები და წარმოდგენილია სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს მეცნიერების განვითარებას, იურიდიული პრაქტიკისა და კანონმდებლობის შემდგომ დახვეწა-გაუმჯობესებას.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი წყაროები

ავალიანი ს., მეცნიერული ონტოლოგია და ფილოსოფიური თეოლოგია, თბ., 2012.

ავალიანი ს., ონტოლოგია და აქსიოლოგია, კრებულში: ფილოსოფიური ძიებანი, კრებული მეორე, თბ., 1998.

ავალიანი ს., მეცნიერული ონტოლოგია, თბ., 1994.

ასათიანი გ., შესაძლებლობა და სინამდვილე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 97, თბ., 1961.

ბაბილაშვილი ჯ., სატრანსპორტო დანაშაულის პრობლემები და სასამართლო პრაქტიკა, თბ., 2004.

ბანძელაძე გ., რა არის ზნეობა, თბ., 1979.

ბაქრაძე კ., რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტომი მეხუთე, თბ., 1976.

ბაქრაძე კ., წერეთელი ს., გუჯაბიძე პ., კილაძე ვ., ჭელიძე მ., ნემსაძე მ., ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1962.

ბიჭია მ., სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, „სამართლის ჟურნალი“, 2012, №1.

ბრეგვაძე ლ., აუტოპოიეტური სამართალი და სამართლებრივი კულტურა გლობალურ საზოგადოებაში: „პოსტმოდერნისტული სამართლის სოციოლოგია“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, სამართლის სერია, 2005, №1.

ბრეგვაძე ლ., სამართლებრივი კულტურა გლობალიზმსა და ლოკალიზმს შორის: სამართლის ტრანსფერების ფუნქციონალური განმარტებისთვის, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის „მაცნე“, 2006, №1.

ბუაჩიძე თ., ჰეგელი და ფილოსოფიის არსების პრობლემა, თბ., 1976.

ბურჯალიანი ა., სამართლის ფილოსოფია, თბ., 2012.

გაბიანი ა., სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდების ზოგიერთი საკითხი, „საბჭოთა სამართალი“, 1966, №1.

გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2011.

გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2013.

გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013.

გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამოცემა, თბ., 2008.

გამყრელიძე ო., სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., 1989.

გამყრელიძე ო., წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002.

გამყრელიძე ო., უვარგისი იარაღით თავდასხმა სხვისი ქონების დაუფლებისათვის, წიგნში: ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბ., 1998.

გამყრელიძე ო., გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართალზე, მისივე წიგნში: ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბ., 1998.

გამყრელიძე ო., შესავალი წერილი იროდიონ სურგულაძის წიგნში „ხელისუფლება და სამართალი", თბ., 2002.

გამყრელიძე ო., უმართლობის სუბიექტური ნიშნების საკითხისათვის, „მაცნე", ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1983, №2.

გამყრელიძე ო., პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, „საბჭოთა სამართალი", 1966, №6.

გამყრელიძე ო., შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, „ადამიანი და კონსტიტუცია", 2002, №4.

გამყრელიძე ო., მართლწინააღმდეგობის ცნება და სისხლის სამართლის კანონი, „ცხოვრება და კანონი", 2013, №2 (17), ნოემბერ-დეკემბერი.

გელაშვილი ი., ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, თბ., 2012.

გვენეტაძე ნ., ტურავა მ., სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2005.

გოთუა ზ., პასუხისმგებლობა გაუპატიურებისათვის, თბ., 1994.

გოთუა ზ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბ., 2001.

გოკიელი ფ., უფლება, „სამართალი", 1992, №8-9.

გონაშვილი ვ., ხიზანიშვილი ნ., ჩანასახის სიცოცხლის უფლება საქართველოსა და მსოფლიოში, ჟურნალი „თსუ მეცნიერება“, ივლისი, 2013.

გოცირიძე ე. (შეადგინა და კომენტარები დაურთო), სიცოცხლის უფლების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბ., 2007.

გოცირიძე ე., სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული: ფეტუსისა და ევთანაზიის უფლებრივი საკითხები სტრასბურგის იურისპრუდენციის მიხედვით, კრებულში: *კორკელია კ.* (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, თბ., 2007.

გოცირიძე ე., წიგნში: *ტურავა პ.,* (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013.

გუჯეჯიანი რ., რელიგიისა და ჩვეულებითი სამართლის ურთიერთმიმართება სვანეთის ტრადიციულ ყოფაში, სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“, საქართველოს საპატრიარქო, IV, 2007.

დავიდი რ., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, რუსული გამოცემიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო *თ. ნინიძემ,* თბ., 1993.

დავითაშვილი გ., დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011.

დავითაშვილი გ., დანაშაულის მცდელობის საკითხი ქართულ ჩვეულებით სამართალში, გიორგი ნადარეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში: *ფერაძე გ.* (რედ.), სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, თბ. 2010.

დვალიძე ი., წიგნში: *ნაჭყებია გ, დვალიძე ი.* (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007.

დვალიძე ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008.

დვალიძე ი., მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებანი სისხლის სამართალში, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2007, №1.

დვალიძე ი., შერეული უმოქმედობის დასჯადობის ზოგიერთი პრობლემა სისხლის სამართალში, „ცხოვრება და კანონი“, 2012, სპეციალური გამოშვება, ჟურნალი მიეძღვნა *ო. გამყრელიძის* 80 წლის იუბილეს.

დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს *ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ,* თბ., 1975.

დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953.

ებრალიძე თ., წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004.

ერქომაიშვილი ვ., ფილოსოფია, თბ., 1998.

ვაჩეიშვილი ალ., სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2010.

ვაჩეიშვილი ალ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, I ტომი, თბ., 1946.

ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თ. ენუქიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1955.

ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, თბ., 2013.

ზოიძე ბ., დასკვნა ქ. ქოჩაშვილის სადისერტაციო ნაშრომზე, წიგნში: ქოჩაშვილი ქ., მფლობელობა და საკუთრება – ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., 2013.

ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007.

ზოიძე ბ., პოზიტიური სამართლის მოქმედების ფარგლების ანუ მოწესრიგებული ადამიანისა და მიმტევებელი სახელმწიფოს შესახებ, „სამართლის ჟურნალი", 2011, №2.

თევზაძე გ., გერმანული ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია, თბ., 1963.

თევზაძე გ., ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგიის კრიტიკა, თბ., 1967.

თევზაძე გ., იმანუელ კანტი, თბ., 1974.

თოდუა ნ., სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი საკითხები, თბ., 1997.

თოდუა ნ., საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, „მართლმსაჯულება და კანონი", 2007, №2/3.

თოდუა ნ., წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014.

თოდუა ნ., წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მე-4 გამოცემა, თბ., 2012

თოდუა ნ., საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი, სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები, თ. წერეთლის დაბადების მე-100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 2006.

იზორია ლ., წიგნში: იზორია ლ, კორკელია კ, კუბლაშვილი კ, ხუბუა გ, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005.

იზორია ლ., წიგნში: *ტურავა პ.,* (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013.

ინწკირველი გ., სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1997.

იოჰანეს ვესელსი/ვერნერ ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, 38-ე გადამუშავებული გამოცემა, გერმანულიდან თარგმნა *ზ. არსენიშვილმა,* სამეცნიერო რედაქტორი *ი. დვალიძე,* თბ., 2010.

იღუმენი ადამი (ვახტანგ ახალაძე), დაბადებამდელი ბავშვობის სიხარული და მწუხარება, თბ., 2007.

კანტი, ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება, ქართულად თარგმნა ლ. რამიშვილმა, თბ., 2013.

კანტი, წმინდა გონების კრიტიკა, გერმანულიდან თარგმნა შ. პაპუაშვილმა, თბ., 1979.

კელზენი ჰ., რა არის სამართლის წმინდა თეორია?, ქართულად თარგმნა *ლ. ბრეგვაძემ,* „სამართლის ჟურნალი“, 2011, №2.

კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009.

კვაჭაძე მ., პაციენტთა უფლებების დაცვის საკითხები საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და საქართველოს კანონმდებლობაში, კრებულში: *კორკელია კ., სესიაშვილი ი.* (რედ.), საქართველო და საერთაშორისო სამართალი, თბ., 2001.

კობიაშვილი უ., თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ, „საბჭოთა სამართალი“, 1968, №3.

კობიაშვილი უ., ორმაგი ანუ შერეული ბრალის საკითხისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1969, №3.

კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა

და მისი ოქმების სტანდარტებთან, ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში, თბ., 2005.

კორკელია კ., წიგნში: იზორია ლ, კორკელია კ, კუბლაშვილი კ, ხუბუა გ, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005.

კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, გამომცემლობა ჯისიაი, იურიდიული სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2014.

კუბლაშვილი კ., წიგნში: იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005.

კუბლაშვილი კ., სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, კრებულში: *კორკელია კ.* (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, თბ., 2006.

კუტალია ლ., ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000.

ლაგვილავა ი., კორუფცია და ტრანსპლანტაციის მიზნით ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა, წიგნში: *გამყრელიძე ო.* (რედ.), კორუფცია საქართველოში, თბ., 2011.

ლეკვეიშვილი მ., წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014.

ლეკვეიშვილი მ., დაზარალებულის თანხმობა, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, „სამართლის ჟურნალი“, 2010, №1-2.

მამულაშვილი გ, წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-4 გამოცემა, თბ., 2011.

მამულაშვილი გ, წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბ., 2014.

მამულაშვილი გ., წიგნში: *მამულაშვილი გ*, (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მე-4 გამოცემა, თბ., 2012.

მამულაშვილი გ., წიგნში: *ნაჭყებია გ, დვალიძე ი.* (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007.

მამულაშვილი ბ., აივ ინფექცია/შიდსი – სოციალურ-ეთიკური პრობლემები, ფილოსოფიური ძიებანი, კრებული მეათე, თბ., 2006.

მაყაშვილი ვ., წიგნში: *წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ.*, (რედ.), საქართ-

ველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976.

მაყაშვილი ვ. წიგნში: *მაყაშვილი ვ, მაჭავარიანი მ, წერეთელი თ, შავგულიძე თ.,* დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980.

მაყაშვილი ვ., ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, „საბჭოთა სამართალი", 1965, №4.

მახარაძე ა., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისათვის, თბ., 2006.

მაღლაკელიძე ლ., მართლწინააღმდეგობის შეგნების მნიშვნელობა განზრახი და გაუფრთხილებლობითი დელიქტების დროს (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), „სამართლის ჟურნალი", 2010, №1-2.

მაღლაკელიძე ლ., განზრახვის ცნების ზოგიერთი პრობლემისათვის თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში, კრებულში: *ტურავა მ.* (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბ., 2013.

მაღლაკელიძე ლ., განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2013.

მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი I, დანაშაული, თბ., 2014.

მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011.

მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., დანაშაულის ჩადენის ადგილის პრობლემისათვის მედიის სისხლის სამართალში, აკაკი ლაბარტყავა, საიუბილეო კრებული, თბ., 2013.

მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა *ელგუჯა გიუნაშვილმა,* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აცადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1973.

ნადარეიშვილი გ., სასჯელის მიზნები და ამოცანები საეკლესიო სამართლის მიხედვით, „მაცნე", ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1983, №3.

ნანეიშვილი გ., სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა, მისივე წიგნში: სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბ., 1992.

ნანეიშვილი გ., სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის აპრიორულ-ემოციური საფუძვლები, მისივე წიგნში: სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბ., 1992.

ნაჭყებია გ., ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი, სისხლის სამართლის მეცნიერების ცნებათა სისტემის ასპექტით, თბ., 2000.

ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბ., 2006.

ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011.

ნაჭყებია გ., დანაშაული ბრალის ორი ფორმით, „სამართლის ჟურნალი", 2009, №1.

ნაჭყებია გ., დეონტური ლოგიკა და სამართლებრივად თავისუფალი სივრცის პრობლემა სისხლის სამართალში, „ფილოსოფიური ძიებანი", ტ XIV, თბ., 2010.

ნაჭყებია გ., ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენის საკითხისათვის, „მართლმსაჯულება და კანონი", 2006, №1.

ნაჭყებია გ., წიგნში: *ნაჭყებია გ., დვალიძე ი.,* (რედ), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007.

ნაჭყებია გ., სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება (ლექციების კურსი), თბ., 2002.

ნაჭყებია გ., „სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის" ცნება, „სამართალი", 1999, №6-7.

ნუცუბიძე შ., ჭეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა, შრომები, II, თბ., 1979.

პატაშური ზ., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის, თბ., 2005.

სადრაძე თ., ევთანაზია და ფეტუსის სისხლისსამართლებრივი დაცვის პრობლემები, სადისერტაციო ნაშრომი (გამოქვეყნებული არ არის), თბ., 2012.

სავანელი ბ., სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2005.

სავანელი გ., სამართლის აზრის წვდომის პრობლემა, „სახელმწიფო და სამართალი", 1990, №8.

სამართალი ბატონისშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, თბ., 1964.

სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო *ი. დოლიძემ,* თბ., 1981.

საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი V, თბ., 2007.

სულაქველიძე დ., დანაშაულის მცდელობა და ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე, „სამართალი“, 1991, №3-4.

სურგულაძე ლ., სისხლის სამართალი, დანაშაული, თბ., 2005.

სურგულაძე ლ., წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002.

სურგულაძე ირ., ხელისუფლება და სამართალი, გერმანულიდან თარგმნა ო. გამყრელიძემ, თბ., 2002.

ტურავა მ., სამართლებრივად დასაძრახი საფრთხის მდგომარეობის „რისკის ამაღლებაში“ რეალიზაცია მოქმედებით და უმოქმედობით ჩადენილ დელიქტებში, კრებულში: *ტურავა მ.* (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბ., 2013.

ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013.

ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011.

ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, თბ., 2010.

ტყეშელიაძე გ., წიგნში: *ნაჭყებია გ., დვალიძე ი.* (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007.

ტყეშელიაძე გ., წიგნში: *გამყრელიძე ო.* (რედ.), სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002.

ტყეშელიაძე გ., პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, თბ., 1965.

ტყეშელიაძე გ., ღირებულების პრობლემა და სამართალი, „საბჭოთა სამართალი“, 1981, №2.

უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982.

უგრეხელიძე მ., შერეული ანუ ორმაგი ბრალი სისხლის სამართალში, „მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1971, №1.

უგრეხელიძე მ., ბრალის შერეული ანუ ორმაგი ფორმის შესახებ, „საბჭოთა სამართალი“, 1980, №1.

უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 2006.

ფარსადანიშვილი ნ., ლეგალიზებული მკვლელობა, კრებულში: *კორკელია კ.* (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები, თბ., 2009.

ფუტკარაძე ე., მართლწინააღმდეგობის საკითხისათვის, *გამყრელიძე ო.* (რედ.), სისხლის სამართლის პრობლემები, *თ. წერეთლის* 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 2006.

ფხალაძე ბ., სამართალსუბიექტობა და მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა, „საბჭოთა სამართალი“, 1966, №6.

ფხალაძე ბ., სამართლის შეფარდებითი დამოუკიდებლობის შესახებ, „საბჭოთა სამართალი“, 1973, №4.

ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოიკვლია და ლექსიკონი დაურთო *ი. დოლიძემ,* თბ., 1963.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I ტომი, თბ., 1975.

ქოჩაშვილი ქ., მფლობელობა და საკუთრება – ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., 2013.

შავგულიძე თ., წიგნში: *შავგულიძე თ, სურგულაძე ლ,* საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბ., 1988.

შავგულიძე თ., წიგნში: *მაყაშვილი ე., მაჭავარიანი მ., წერეთელი თ., შავგულიძე თ.,* დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980.

შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია – მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბ., 2011.

შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, გერმანულიდან თარგმნა ე. ჩაჩანიძემ, თბ., 2011.

შუშანაშვილი გ., ღირებულება და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები, თბ., 1990.

შუშანაშვილი გ., ღირებულების იდეალისტური გაგების კრიტიკა, თბ., 1987.

შუშანაშვილი გ., ზნეობრივი ღირებულების სპეციფიკა, თბ., 1980.

ჩიკვილაძე ნ., მართლმადიდებელ მორწმუნეთა შვილიანობა, სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“, საქართველოს საპატრიარქო, IV, 2007.

ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მეათე გადამუშავებული გამოცემა, გერმანულიდან ქართულად თარგმნა ლ. თოთლაძემ, რედაქტორი მ. ტურავა, მიუნხენი, 2006.

ცუცქირიძე გ., სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის, თბ., 1971.

ცქიტიშვილი თ., უკანონო აბორტი – განზრახ მკვლელობა თუ საფრთხის შემქმნელი დელიქტი?, კრებულში: *ფერაძე გ.* (რედ.), სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, ეძღვნება გ. ნადარეიშვილის ხსოვნას, თბ., 2010.

ცქიტიშვილი თ., აუცილებელი მოგერიება, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება, კრებულში: *ფერაძე გ.* (რედ.), სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი II, ეძღვნება დ. ფურცელაძის ხსოვნას, თბ., 2012.

ცქიტიშვილი თ., მცდელობა შედეგით კვალიფიცირებულ საფრთხის დელიქტებში, „სამართლის ჟურნალი“, 2012, №1.

წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007.

წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007.

წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010.

წერეთელი თ., საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ., 2006.

წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ., მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969.

წერეთელი თ., დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961.

წერეთელი თ., ევთანაზია, როგორც ზნეობრივი და სამართლებრივი პრობლემა, „საბჭოთა სამართალი“, 1976, №6.

წერეთელი თ., ფინალური თეორია ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში და მისი კრიტიკა, „საბჭოთა სამართალი“, 1966, №2.

წერეთელი თ., რეალური შესაძლებლობის კატეგორიის გამოყენება დანაშაულის მცდელობის ცნების აგებისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXIV ტომი, თბ., 1945.

წერეთელი ს., ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, პირველი ტომი, ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1973.

წიქარიშვილი კ., ევენტუალური განზრახვა თანამედროვე დასავლეთ ევროპულ და ამერიკულ სისხლის სამართალში, „მართლმსაჯულება“, 2008, №3.

წიქარიშვილი კ., ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის ჩადენის საკითხი იტალიურ, ფრანგულ და ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2009, №1.

წულაია ზ., სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, პირველი ტომი, თბ., 2000.

ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011.

ჭელიძე ლ., სიცოცხლის უფლება ფეტუსისათვის საქართველოში, თბ., 2002.

ხარანაული ლ., დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., 2014.

ხარანაული ლ., დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი, კრებულში: *ტურავა მ.* (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბ., 2013.

ხერხეულიძე ი., აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში, თბ., 2010.

ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2004.

ხუბუა გ., წიგნში: იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005.

ხუროშვილი გ., წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007.

ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისი, 1929.

ჯიშკარიანი ბ., სიცოცხლის უფლების აბსოლიტური დაცვა და თვითმკვლელობის პრობლემატიკა გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2012, №3.

ჯორბენაძე ს., საკუთრება და საკუთრების უფლება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, იურიდიულ მეცნიერებათა სერია, ტ. 89, 1960.

ჰაიდეგერი მ., ყოფიერება და დრო, გერმანულიდან თარგმნა გ. თევზაძემ, თბ., 1989.

ჰარტმანი ნ., ონტოლოგიის ახალი გზები, გერმანულიდან თარგმნა გ. თევზაძემ, თბ., 1997.

ჰეგელი, გონის ფილოსოფია, გერმანულიდან თარგმნა ნ. ნათაძემ, თბ., 1984.

რუსულენოვანი წყაროები

Алексеев С.С., Собрание сочинений в десяти томах, Том 9, М., 2010.

Алексеев С.С., Социальная ценность права в советском обществе, М., 1974.

Габиани А.А., Уголовная ответственность за преступления, совершенные в состоянии опьянения, Тб., 1968.

Гамкрелидзе О., Взгляд Т. В. Церетели на основание уголовной ответственности, Уголовно-Правовые исследования, Тб., 1987.

Горелик И.И., Квалификация преступлений, опасных для жизни и здоровья, Минск, 1973.

Джиоев О.И., Природа исторической необходимости, Тб., 1967.

Дурманов Н.Д., Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, М., 1955.

Злобин Г.А., Никифоров Б.С., Умысел и его формы, М., 1972.

Козочкин И. Д., Уголовное право США, Санкт-Петербург, 2007.

Комментарий к уголовному кодексу Российской Федерации, Под ред. *Радченко В.И., Михлина А.С.,* Санкт-Петербург, 2008.

Красиков А., Сущность и значение согласия потерпевшего в советском уголовном праве, 1976.

Кудрявцев В.Н., Обьективная сторона преступления, М., 1960.

Кузнецова Н.Ф., Значение преступных последствий, М., 1958.

Курс советского уголовного права, Часть обшая, Т. II, «Преступление», М., 1970.

Леквеишвили М., Объект уголовно-прававой охраны и его значение для квалификации преступлений, уголовно-правовые исследования, Тб., 1987.

Лившиц В.Я., К Вопросу о понятии эвентуального умысла, «Советское государство и право», 1947, №7.

Лист Ф.Ф., Учебникъ уголовного права, Общая часть, М., 1903.

Макашвили В, Понятие умысла в уголовном праве, «Мацне», 1966, №6.

Михлин А.С., Понятие и виды последствий преступлений, «Вопросы уголовного права и процесса», М., 1958.

Мокринский С.П., Покушение и приготовление в советском праве, «Советское право», 1927, №1.

Панкратов В., Проблемы установления уголовной ответственности за незаконное производство аборта, «Уголовное право», 2001, №3.

Пионтковский А., Преступления против личности, М., 1938.

Пионтковский А.А., Учение о преступлении, 1961.

Слуцкий ИИ., Обстоятельства, исключаюшие уголовную ответственность, 1956.

Таганцев Н.С, Русское уголовное Право, Часть обшая, Том I, 2001.

Ткешелиадзе Г., Судебная практика и уголовный Закон, Тб., 1975.

Трайнин А.Н., Состав преступления по советскому уголовному праву, М., 1951.

Уголовное право, Общая и Особенная части, 2-е издание, Под общей редакцией *Журавлева М.П., Никулина С.И.,* М., 2008.

Угрехелидзе М., Проблема неосторожной вины в уголовном праве, Тб., 1976.

Церетели Т.В., Деликты создания опасности, «Советское государство и право», 1970, №8.

Церетели Т, Причинная свиазь в уголовном праве, М.,1963.

Церетели Т, Макашвили В, Состав преступления как основание уголовной ответственности, «Советское государство и право», 1954, №5.

Шавгулидзе Т., Необходимая Оборона, Тб., 1966.

Шаргородский М. Д., Некоторые вопросы общего учения о соучастии, «Правоведение», 1960, №1.

გერმანულენოვანი წყაროები

Ahn W-H., Zur Dogmatik abstrakter Gefährdungsdelikte, München, 1995.

Altenhein K., Der Zusammenhang zwischen Grunddelikt und schwerer Folge bei den erfolgsqualifizierten Delikten, GA 1996.

Alwart H., Strafwürdiges Versuch, Eine Analyse zum Begriff der Strafwürdigkeit und zur Struktur des Versuchsdelikts, Berlin, 1982.

Ambos Kai., Beihilfe durch Alltagshandlungen, JA 2000.

Anastasopoulou I, Deliktstypen zum Schutz kollektiver Rechtsgüter, München, 2005.

Arzt/ Weber/ Heinrich/ Hilgendorf, Strafrecht, Besonderer Teil, Lehrbuch, 2. Auflage, Bielefeld, 2009.

Baier H., Unterlassungsstrafbarkeit trotz fehlender Handlungs- oder Schuldfähigkeit, Zugleich ein Beitrag zur Rechtsfigur der omissio libera in causa, GA 1999.

Bauer W., Die Abgrenzung des dolus eventualis – ein Problem der Versuchsdogmatik, Wistra 1991.

Baumann/Weber/Mitsch, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 11. Auflage, Bielefeld, 2003.

Berz U., Formelle Tatbestandsverwirklichung und materialer Rechtsgueterschutz, München, 1986.

Beulke W., Opferautonomie im Strafrecht, Zum Einfluss der Einwilligung auf die Beurteilung der einverständlichen Fremdgefährdung, Otto-FS, 2007.

Binding K., Die Normen und ihre Übertretung, Band I, Neudruck der 4. Auflage Leipzig 1922, 1965.

Bohnert J., Die Abstraktheit der abstrakten Gefährdungsdelikte-BGH, NJW 1982, 2329, in: Jus 1984.

Börger N., Studien zum Gefahrurteil im Strafrecht, Ein Abschied vom objektiven Dritten, Berlin, 2008.

Bregvadze L., Legal Culture of the World-Society: Local Law and Social Change from the Autopoietic Perspektive, Teubner-FS, 2009.

Brehm W., Zur Dogmatik des abstrakten Gefährdungsdelikts, Tübingen, 1973.

Bussmann K., Zur Dogmatik erfolgsqualifizierter Delikte nach dem Sechsten Strafrechtsreformgesetz, GA 1999.

Cramer P., Der Vollrauschtatbestand als abstraktes Gefährdungsdelikt, Tübingen, 1962.

Demuth H., Der normative Gefahrbegriff, Ein Beitrag zur Dogmatik der konkreten Gefährdungsdelikte, Bochum, 1980.

Dold D., Die actio libera in causa als Sonderfall der mittelbaren Täterschaft, GA 2008.

Dölling D., Einwilligung und überwigende Interessen, Gössel-FS., 2002.

Dubber M., Einführung in das US-amerikanische Strafrecht, München, 2005.

Duttge G., Erfolgszurechnung und Opferverhalten – Zum Anwendungsbereich der einverständlichen Fremdgefährdung-, Otto-FS*,* 2007.

Ebert U., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, Heidelberg, 2001.

Eisele J., Strafrecht Besonderer Teil, Straftaten gegen die Person und die Allgemeinheit, 2. Auflage, Stuttgart, 2012.

Eser, in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Auflage, München, 2010.

Eser/Hecker, in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Auflage, München, 2010.

Finger A., Begriff der Gefahr und Gemeingefahr im Strafrechr, Frank-FG, Band I, 1930.

Fischer T., Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Auflage, München, 2010.

Fischer T., Strafgesetzbuch und Nebengesetze, 58. Auflage, München, 2011.

Fischer T., Strafgesetzbuch, 59. Auflage, München, 2012.

Fischer Th., Das Verhältnis der Bekenntnisbeschimpfung (§ 166 StGB) zur Volksverhetzung (§130 StGB), GA 1989.

Freund G., Strafrecht Allgemeiner Teil, 2. Auflage, Berlin, Heidelberg, 2009.

Frisch W., Grundprobleme der Bestrafung „verschuldeter~ Affekttaten, Eine dogmatische Zwischenbilanz aus Anlaß neuerer Entwiklungen, GA 1989.

Frisch W., Vorsatz und Risiko, Köln, Berlin, Bonn, München, 1983.

Frister H., Strafrecht, Allgemeiner Teil, 4. Auflage, München, 2009.

Frister H., Strafrecht Allgemeiner Teil, 5. Auflage, München, 2011.

Gallas W., Abstrakte und Konkrete Gefährdung, Heinitz-FS, 1972.

Gallas W., Zur Struktur des strafrechtlichen Unrechtsbegriffs, Bockelmann-FS, München, 1979.

Geppert K., Die schwere Brandstiftung (§306 StGB), Jura 1989.

Geppert K., Anmerkung Entscheidungen, JR 1994.

Geppert K., Zum Begriff der «Hilfeleistung» im Rahmen von Beihilfe (§ 27 StGB) und sachlicher Begünstigung (§ 257 StGB), Jura 2007.

Geppert K., Zur Unterbrechung des strafrechtlichen Zurechnungszusammenhangs bei Eigenschädigung/-gefährdung des Opfers oder Fehlverhalten Dritter, Jura, 2001.

Gössel K., Dogmatische Überlegungen zur Teilnahme am erfolgsqualifizierten Delikt nach § 18 StGB, Lange-FS, Berlin, 1976.

Gössel/Dölling, Strafrecht Besonderer Teil 1, 2. Auflage, Heidelberg, 2004.

Graul E., Abstrakte Gefährdungsdelikte und Präsumtionen im Strafrecht, Berlin, 1991.

Greco L., Das Subjektive an der objektiven Zurechnung: Zum „Problem~ des Sonderwissens, ZStW 2005.

Gropp, Strafrecht Allgemeiner Teil, 3. Auflage, Heidelberg, 2005.

Gropp, in: Münchener Kommentar zum Strafgesetzbuch, Band 3, München, 2003.

Grünwald G., Der Vorsatz des Unterlassungsdelikts, Mayer-FS, Berlin, 1966.

Günther H.L., Systematischer Kommentar zum Strafgesetzbuch, Band I, 8. Auflage, Köln, 2012.

Günther/Taupitz/Kaiser, Embryonenschutzgesetz, Juristischer Kommentar mit medizinisch-naturwissenschaftlichen Einführungen, Stuttgart, 2008.

Haft F., Strafrecht, Allgemeiner Teil, 8. Auflage, München, 1998.

Hardtung B., Versuch und Rücktritt bei den Teilvorsatzdelikten des § 11 Abs. 2 StGB, Köln, 2002.

Hassemer,Neumann., in: NomosKommentar, Strafgesetzbuch, Band 1, 2. Auflage, Baden-Baden, 2005.

Hassemer W., Theorie und Soziologie des Verbrechens, Frankfurt/M, 1973.

Hassemer W., Kennzeichen des Vorsatzes, Kaufman-FS, 1989.

Hau H., Die Beendigung der Straftat und ihre rechtlichen Wirkung, Berlin, 1974.

Hefendehl R., Kollektive Rechtsgüter im Strafrecht, Köln, Berlin, Bonn, München, 2002.

Heinrich B., Der Erfolgsort beim abstrakten Gefährdungsdelikt, GA 1999.

Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil I, 3. Auflage, Stuttgart, 2012.

Hellmann U., Einverständliche Fremdgefährdung und objektive Zurechnung, Roxin-FS, 2001.

Herzberg R., Anstiftung und Beihilfe als Straftatbestände, GA 1971.

Herzberg D., Das Wollen beim Vorsatzdelikt und dessen Unterscheidung vom bewußt fahrlässigen Verhalten, JZ 1988.

Herzberg D., Aids: Herausforderung und Prüfstein des Strafrechts, JZ 1989.

Herzberg D., Die Abgrenzung von Vorsatz und bewußter Fahrlässigkeit-ein Problem des objektiven Tatbestandes, Jus 1986.

Herzberg D., Bedingter Vorsatz und objektive Zurechnung beim Geschlechtsverkehr des Aidsinfizierten-AG München, NJW 1987.

Hettinger M., Zur Strafbarkeit der „fahrlässigen actio libera in causa~, GA 1989.

Hilgendorf, in: *Arzt/ Weber/ Heinrich/ Hilgendorf*, Strafrecht, Besonderer Teil, Lehrbuch, 2. Auflage, Bielefeld, 2009.

Hilgendorf E., Die Neuen Medien und das Strafrecht, ZStW 2001.

Hilgendorf E., Überlegungen zur strafrechtlichen Interpretation des Ubiquitätsprinzips im Zeitalter des Internet, NJW, 1997.

Hippel R., Vorsatzprobleme der Straßenverkehrsgefährdung de lege ferenda, ZStW 1963.

Hirsch H., Zur Problematik des erfolgsqualifizierten Delikts, GA 1972.

Hoffmann-Holland K., Strafrecht Allgemeiner Teil, 2. Auflage, Tübingen, 2011.

Horn E., Konkrete Gefährdungsdelikte, Köln, 1973.

Horn E., Actio libera in causa – eine notwendige, eine zulässige Rechtsfigur ?, GA 1969.

Hoyer A., Die Eignungsdelikte, Berlin, 1987.

Hruschka, Der Begriff der actio libera in causa und die Begründung ihrer Strafbarkeit-BGHSt 21, 381, Jus 1968.

Jähnke B., in: Leipziger Kommentar, 11. Auflage, 2005.

Jakobs G., Strafrecht Allgemeiner Teil, 2. Auflage, New York, 1991.

Jakobs G., Rücktritt als Tatänderung versus allgemeines Nachtatverhalten, ZStW 1992.

Jescheck H-H., Weigend T., Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, Berlin, 1996.

Jescheck H., Wesen und rechtliche Bedeutung der Beendigung der Straftat, Welzel-FS, 1974.

Joecks W., Studienkommentar StGB, 8. Auflage, München, 2009.

Joecks W., Studienkommentar StGB, 9. Auflage, München, 2010.

Joecks W, in: Münchener Kommentar, Band 1, 2. Auflage, München, 2011.

Joecks W., in: Münchener Kommentar, Band 3, München, 2003.

Kargl W., Friedenssicherung durch Strafrecht, Teleologische Strafrechtfertigung am Beispiel der Tötungsdelikte, Archiv für Rechts- und Sozialphilosophi, 1996.

Kaufmann A., Rechtsfreier Raum und eigenverantwortliche Entscheidung, Dargelegt am Problem des Schwangerschaftsabbruchs, Maurach-FS, Karlsruhe, 1972.

Kayßer M., Abtreibung und die Grenzen des Strafrechts, Berlin, 1997.

Keller, Günther, Kaiser, Kommentar zum Embryonenschutzgesetz, Stuttgart, 1992.

Kersten J., Das Klonen von Menschen, Tübingen, 2004.

Kiefl/Lamnek, Soziologie des Opfers, München, 1986.

Kindhäuser U., Gefährdung als Straftat, Rechtstheoretische Untersuchungen zur Dogmatik der abstrakten und konkreten Gefährdungsdelikte, Frankfurt/M, 1989.

Kindhäuser U., Strafrecht, Allgemeiner Teil, 5. Auflage, Baden-Baden, 2011.

Kindhäuser U., Strafrecht Besonderer Teil, 5. Auflage, Baden-Baden, 2012.

Kindhäuser U., Strafrecht, Allgemeiner Teil, 6. Auflage, Baden-Baden, 2013.

Kölz-Ott M., Eventualvorsatz und Versuch, Zürich, 1974.

König P., in : *Roxin, Schroth*, (Hrsg.), Handbuch des Medizinstrafrechts, 4. Auflage, Stuttgart, 2010.

Koriath H., Zum Streit um die Gefährdungsdelikte, GA 2001.

Koriath H., Grundlagen Strafrechtlicher Zurechnung, Berlin, 1994.

Kratzsch D., Prinzipien der Konkretisiierung von abstrakten Gefährdungsdelikten-BGHSt 38, 309, Jus 1994.

Krey/Esser., Deutsches Strafrecht Allgemeiner Teil, 4. Auflage, Stuttgart, 2011.

Krey/Esser, Deutsches Strafrecht Allgemeiner Teil, 5. Auflage, Stuttgart, 2012.

Krey/Hellmann/Heinrich, Strafrecht Besonderer Teil, Band 1, 15. Auflage, Stuttgart, 2012.

*Kröger P.,*in: Leipziger Kommentar, 11. Auflage.

Kühl K., Strafrecht, Allgemeiner Teil, 6. Auflage, München, 2008.

Kühl K., Strafrecht, Allgemeiner Teil, 7. Auflage, München, 2012.

Kühl K., Die Beendigung des vorsaätzlichen Begehungsdelikts, Berlin, 1974.

Kühl K., Der Versuch des Erfolgsqualifizierten Delikts, Gössel-FS, Heidelberg, 2002.

Küpper G., Zum Verhältnis von dolus eventualis, Gefährdungsvorsatz und bewußter Fahrlässigkeit, ZStW 1988.

Lackner/Kühl, Strafgesetzbuch Kommentar, 26. Auflage, München, 2007.

Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 27. Auflage, München, 2011.

Lampe E., Genügt für den Entschluß des Täter in §43 StGB sein bedingter Vorsatz?, NJW 1958.

Lange R., Der gemeingefaehrliche Rausch, ZStW Bd. 59, 574.

Lenckner/Sternberg/Lieben, in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Auflage, München, 2010.

Lackner, Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 27. Auflage, München, 2011.

Lilie H./Albrecht D., in: Leipziger Kommentar, 11. Auflage, Erste Band, Berlin, 2003.

Martin J., Strafbarkeit grenzüberschreitender Umweltbeeinträchtigungen, Zugleich ein Beitrag zur Gefährdungsdogmatik und zum Umweltvölkerrecht, Freiburg, 1989.

Maurach/Zipf, Strafrecht, Allgemeiner Teil, Teilband 1, Heidelberg, 1992.

Maurach R., Gössel K., Zipf H., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band 2, Heidelberg, 1989.

Maurach/Schroeder/Maiwald, Strafrecht Besonderer Teil, Teilband 1, Straftaten gegen Persönlichkeits- und Vermögenswerte, 10. Auflage, Heidelberg, 2009.

Maurach, Schroeder, Maiwald, Strafrecht, Besonderer Teil, Teilband 2, 10. Auflage, Heidelberg, 2012.

Merkel R., in: Kindhäuser, Neumann, Paeffgen (Hrsg), Strafgesetzbuch, Band 2, 3. Auflage, Baden-Baden, 2010.

Mezger E., Strafrecht, Ein Lehrbuch, 2. Aufl., München, 1933.

Mezger E., Moderne Wege der Strafrechtsdogmatik, Berlin-München, 1950.

Morkel D., Abgrenzung zwischen vorsätzlicher und fahrlässiger Straftat, NStZ 1981.

Oehler D., Das objektive Zweckmoment in der rechtswidrigen Handlung, Berlin, 1959.

Ostendorf H., Grundzüge des konkreten Gefährdungsdelikts, Jus 1982.

Otto H., Grundkurs, Strafrecht, Allgemeine Strafrechtslehre, 6. Auflage, Berlin, New York, 2000.

Otto H., Der Vollrauschtatbestand (§ 323 a StGB), Jura 1986.

Otto H., Konzeption und Grundsätze des Wirtschaftsstrafrechts (einschließlich Verbraucherschutz), ZStW 1984.

Otto H., Rücktritt und tätige Reue (Rücktritt nach §310 StGB) bei der Brandstiftung, Jura 1986.

Pahlke B., Rücktritt bei dolus eventualis, Berlin, 1993.

Pawlik M., Unterlassene Hilfeleistung: Zuständigkeitsbegründung und systematische Struktur, GA 1995.

Piazena M., Das Verabreden, Auffordern und Anleiten zur Begehung von Straftaten unter Nutzung der Kommunikationsmöglichkeiten des Internets, Berlin, 2014.

Puppe I., Strafrecht Allgemeiner Teil, 2. Auflage, Baden-Baden, 2011.

Puppe I, Der halbherzige Rücktritt, NStZ 1984.

Rabl K., Der Gefaehrdungsvorsatz, Breslau, 1933.

Radbruch G., Rechtsphilosophie, 2. Aufl., Heidelberg, 2003.

Radtke H., Die Dogmatik der Brandstiftungsdelikte, Zugleich ein Beitrag zur Lehre von den gemeingefährlichen Delikten, Berlin, 1998.

Rengier R., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, München, 2011.

Rengier R., Strafrecht Besonderer Teil II, Delikte gegen die Person und die Allgemeinheit, 13. Auflage, München, 2012.

Rengier R, Erfolgsqualifizierte Delikte und verwandte Erscheinungsformen, Tübingen, 1986.

Rixen S., in: Höfling W. (Hrsg.), Kommentar zum Transplantazionsgesetz (TPG), Berlin, 2003.

Röhl K., Röhl H., Allgemeine Rechtslehre, Einl Lehrbuch, 3. Auflage, Köln. München, 2008.

Rohrer J., Menschenwürde am Lebensanfang und am Lebensende und strafrechtlicher Lebensschutz, Berlin, 2012.

Rosenau H., Reproduktives und therapeutisches Klonen, in: Schreiber-FS, Heidelberg, 2003.

Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, München, 2006.

Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, München, 2003.

Roxin C., Pflichtwidrigkeit und Erfolg bei fahrlässigen Delikten, ZStW 1962.

Rudolphi H-J., Die zeitlichen Grenzen der sukzessiven Beihilfe, Jescheck-FS, Berlin, 1985.

Rudolphi H., Vorhersehbarkeit und Schutzzweck der Norm in der strafrechtlichen Fahrlässigkeitslehre, Jus 1969.

Rudolphi H., in: Systematischer Kommentar zum Strafgesetzbuch, I Band, Köln, 2012.

Rudolphi,Stein, Systematischer Kommentar zum Strafgesetzbuch, Band I, 8. Auflage, Köln, 2012.

Satzger H., Die Anwendung des deutschen Strafrechts auf grenzüberschreitende Gefährdungsdelikte, NStZ 1998.

Satzger H., Schmitt B., Widmaier G., (Hrsg), Strafgesetzbuch, Kommentar, 1. Auflage, 2009.

Satzger H., Der Schwangerschaftsabbruch (§§ 218 ff. StGB), Jura 2008.

Sauer D., Die Fahrlässigkeitsdogmatik der Strafrechtslehre und der Strafrechtsprechung, Hamburg, 2003.

Sax W., „Tatbestand~ und Rechtsgustverletzung, JZ 1976.

Schaffstein F., Handlungsunwert, Erfolgsunwert und Rechtfertigung bei den Fahrlässigkeitsdelikten, Welzel-FS, 1974.

Schaffstein F., Die Risikoerhöhung als objektives Zurechnungsprinzip im Strafrecht, insbesondere bei der Beihilfe, Honig-FS, Göttingen, 1970.

Schmidhäuser E., Zum Begriff der bewußten Fahrlässigkeit, GA 1957.

Schneider H.J., Viktimologie, Wissenschaft vom Verbrechensopfer, Tübingen, 1975.

Schönke A, Schröder H., Strafgesetzbuch, 24. Auflage, München, 1991.

Schröder H., Abstrakt-konkrete Gefährdungsdelikte?, JZ 1967.

Schröder H., Die Gefährdungsdelikte im Strafrecht, ZStW 1969.

Schröder H., Aufbau und Grenzen des Vorsatzbegriffs, Sauer-FS, Berlin, 1949.

Schroth U., Die Rechtsprechung des BGH zum Tötungsvorsatz in der Form des „dolus eventualis~, NStZ 1990.

Schünemann B., Moderne Tendenzen in der Dogmatik der Fahrlässigkeits- und Gefährdungsdelikte, JA 1975.

Schünemann B., Aufgabe und Grenzen der Strafrechtswissenschaft im 21. Jahrhundert, Herzberg-FS, 2008.

Schünemann B., Strafrechtswissenschaft in einem zusammenwachsenden Europa, in: Turava M. (Hrsg.), Strafrechtswissenschaft in einem zusammenwachsenden Europa, Tbilisi, 2013.

Schünemann B., in: Leipziger Kommentar, 12. Auflage, Berlin, 2007.

Schünemann B., Die Rechtsprobleme von AIDS, Eser-FS, München, 2005.

Sonnen B-R., Kulturkonflikt und Verbotsirrtum, Neue Kriminalpolitik, 1990, Heft 4.

Sternberg/Lieben/Hecker, in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Auflage, München, 2010.

Stratenwerth, Kuhlen, Strafrecht, Allgemeiner Teil, Die Straftat, 6. Auflage, München, 2011.

Spendel G., Notwehr und «Verteidigungswille», objektiver Zweck und subjektive Absicht, Oehler-FS, 1986.

Spendel G., in: Leipziger Kommentar, 11. Auflage, Berlin, 2005.

Stooss C., Dolus eventualis und Gefährdung, ZStW 1895.

Stratenwerth G, Jenny G., Schweizerisches Strafrecht, BT I, Bern, 2003.

Stratenwert, Kuhlen, Strafrecht Allgemeiner Teil, Die Straftat, 6. Auflage, München, 2011.

Streng F., Rücktritt und dolus eventualis, JZ 1990.

Streng F., in: Münchener Kommentar, Band 1, 2. Auflage, München, 2011.

Streng F., Schuld ohne Freiheit? Der funktionale Schuldbegriff auf dem Prüfstand, GA 1989.

Streng F., Unterlassene Hilfeleistung als Rauschtat?, JZ 1984.

Swoboda S., Die Lehre Rechtsgut und ihre Alternativen, ZStW 2010.

Teubner G., Recht als autopoietisches System, Frankfurt am Main, 1989.

Tiedemann K., Kindhäuser U., Umweltstrafrecht-Bewährung oder Reform?, NStZ 1988.

Tröndle/Fischer, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 50. Auflage, München, 2001.

Tröndle H., Dei Rechtsprechung des Bundesgerichtshofs in Strafsachen Materielles Recht, GA 1962.

Vogler T., Zur Frage der Ursächlichkeit der Beihilfe für die Haupttat, Heinitz-FS, 1972.

Vogel J., Leipziger Kommentar, 12. Auflage, Erste Band, 2007.

Volz M., Unrecht und Schuld abstrakter Gefährdungsdelikte, Göttingen, 1968.

Welzel H., Das Deutsche Strafrecht, 11. Auflage, Berlin, 1969.

Wessels/Beulke, Strafrecht, Allgemeiner Teil, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Auflage, Heidelberg, 2010.

Wessels/Beulke, Strafrecht, Allgemeiner Teil, 42. Auflage, Heidelberg, 2012.

Wohlers W., Deliktstypen des Präventionsstrafrechts-zur Dogmatik „moderner Gefährdungsdelikte~, Berlin, 2000.

Wolter J., Objektive und personale Zurechnung von Verhalten, Gefahr und Verletzung in einem funkzionalen Straftatsystem, Berlin, 1981.

Wolter J., Konkrete Erfolgsgefahr und konkreter Gefahrerfolg im Strafrecht-OLG Frankfurt, NJW 1975, 840, Jus 1978.

Wolter J., Adäquanz- und Relevanztheorie, Zugleich ein Beitrag zur objektiven Erkennbarkeit beim Fahrlässigkeitsdelikt, GA 1977.

Zaczyk R., Das Unrecht der versuchten Tat, Berlin, 1989.

Zielinski D., Handlungs- und Erfolgsunwert im Unrechtsbegriff, Berlin, 1973.

Zieschang F., Die Gefährdungsdelikte, Berlin, 1998.

Zieschang F., Der Begriff «Hilfeleisten» in § 27 StGB, Küper-FS, C.F. Müller, 2007.

Zippelius R., Rechtsphilosophie, 5. Aufl., München, 2007.

ნორმატიული მასალა

ქართული

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია 2013 წლის მდგომარეობით

1922 წლის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი

1928 წლის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი

1960 წლის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი

1999 წლის 22 ივლისის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 2013 წლის 10 მაისის მდგომარეობით

1997 წლის 10 დეკემბრის საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ

2000 წლის 5 მაისის საქართველოს კანონი პაციენტთა უფლებების შესახებ

2000 წლის 23 თებერვლის საქართველოს კანონი ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ

1995 წლის 21 მარტის საქართველოს კანონი სისხლის და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ

2009 წლის 17 ნოემბრის საქართველოს კანონი აივ ინფექცია/შიდსის შესახებ

უცხოური

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი 2009 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით

სლოვაკეთის კონსტიტუცია

საერთაშორისოსამართლებრივი აქტები

1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია

1959 წლის ბავშვთა უფლებების დეკლარაცია

1969 წლის ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია

1981 წლის ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია

1997 წლის ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე

2003, №9, გვ. 1168-1169;

2003, №10, გვ. 1266-1268;

2004, №1, გვ. 105-106.

2004, №2, გვ. 217-219;

2004, №3, გვ. 568;

2004, №4, გვ. 870-873;

2004, №5, გვ. 1070-1073;

2005, №1, გვ. 56-58; 82-85;

2007 წლის 26 დეკემბრის განჩინება №987;

2008, №8, გვ. 43;

2009, №8, გვ. 121-126.

2009, №12, გვ. 7.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებები

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 8 ივლისის განაჩენი, საქმე №1/2308-11 (008110636).

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 26 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/3676-09.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 3 ნოემბრის განაჩენი, საქმე №1/4848-11 (№090180811001).

გერმანიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე

BGHSt 42, 241;

BGH NJW 1989, 122;

BGHSt 18, 271, 272;

BGHSt, 2. Band, 1952, 163;

BGHSt 32, 367.

ინტერნეტწყარო

http://www.tagesschau.de/ausland/papstkondome100.html.

ნაშრომი შესრულებულია ჩემს მიერ, არ გამომიყენებია ლიტერატურა სათანადო მითითებების გარეშე და ვაცნობიერებ სიყალბის გამოვლენის შემთხვევაში ჩემი შედეგის ბათილად ცნობისა და შესაბამისი პროგრამიდან გარიცხვის რეალობას.

ხელმოწერა:

თარიღი: